


რეზანა
თვარაძე



წიგნი და
კითხვა



„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1971

წიგნში თავმოყრილი წერილები ქართული მწერლობის კულტურის, სალიტერატურო ენის განვითარების, ივრეთვე ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის საკითხებს ეძღვნება. მათი უმრავლესობა დაწერილია იმ შთაბეჭდილებათა და მოსაზრებათა საფუძველზე, რომლებიც ავტორს აღეჭროდა ამა თუ იმ ახალი ნაშრომის გაცნობისას. ამან განსაზღვრა სათაურიც — „წიგნი და მკითხველი“.

Тварадзе Реваз Александрович

Книга и читатель

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»,
Марджანიшვილი, 5, 1971.

შეკრები მომავლის კოეზიისთვის

თუ გულდასმით დაეუყვირდებით თანადროული მსოფლიოს კულტურული განვითარების ტენდენციებს, სხვა დამახასიათებელ ნიშანთა შორის კიდევ ერთს შევამჩნევთ. ეს არის სწრაფვა მთლიანობისაკენ, სინთეზისაკენ.

უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში კულტურის ყველა სფეროს დაეტყო დანაწევრება, დიფერენციაცია, განკერძოება. ეს პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა XVIII—XIX საუკუნეებში და XX საუკუნის პირველ მესამედში თავის ზენიტს მიაღწია. ასე, მაგალითად, თუ ავიღებთ მეცნიერების დარგებს, ძნელი დასანახი არ იქნება, რომ ამ დარგთაგან ყოველი მათგანი (იმის კვალობაზე, თუ როგორი ინტენსივობით იკვლევდა თავის საგანს) ნაწევრდებოდა, ქვედარგებად, ახალ და ახალ განშტოებებად იყოფოდა.

ეს ყოველივე იყო შედეგი ადამიანის გაცნობიერებული ან ზოგჯერ გაუცნობიერებელი სწრაფვისა — მაქსიმალურად მთვევა, შეესწავლა და შეეცნო როგორც გარე, ისე შიდასამყარო, მიუკვლეველი არ დაეტოვებინა არც ერთი, თუნდაც უშორესი კუნძული.

ხელოვნებაში ამ პროცესმა თავი იმით იჩინა, რომ მხატვრულად იქნა „ათვისებული“ სინამდვილის წარმოუდგენლად რთული, უღრანი და გაუვალი სფეროები, ხოლო ამ „ათვისების“ პროცესში ხელოვნების დარგები მანამდე არნახულ დიფერენციაციას განიცდიდა. გაჩნდა, მაგალითად, „სოციალური რომანი“, „ფსიქოლოგიური რომანი“, სამეცნიერო-ფანტასტიკური და ასე და ამრიგად... მიკვლევულ და შესწავლილ იქნა კაცობრიობის სოციალური, ბიოლოგიური, ინტელექტუალური თუ სხვა იმპულსები. არ დაჩინებულა არსებობის ვგონებ არც ერთი ფორმა, რომელსაც ხელოვნება არ მისწვდომოდა.

კულტურის სფეროთა ამ თავდავიწყებული დიფერენციაციის, განცალკევების, დანაწევრების, როგორც ჩანს, კანონზომიერი პროცესის თავისებურება ის არის, რომ ადამიანის თვალაწიერს დროებით ავიწროებს, მის ყურადღებას ერთი გარკვეული არხით მიმართავს და კერძოს, ცალკეულის ჩხრეკისას ზოგადის, მთლიანის ხილვას უძნელებს.

ერთი მაგალითი: ფსიქოლოგიის, როგორც ექსპერიმენტული მეცნიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი

ფსიქიკური მოვლენის საფუძველი ფიზიოლოგიურ ფაქტებში ყოფილა საძიებელი. ამ მხრე მიმართულმა კვლევა-ძიებამ მეცნიერთა ნაწილი ასე გაიტაცა. რომ ცნობიერების როლი მათ საერთოდ გამორიცხეს და ადამიანის ქცევა მთლიანად ფიზიოლოგიურ რეაქციებზე დაიყვანეს (ბაჰევიორიზმი). მსგავსი მავალითების მოტანა მრავლად შეიძლება როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნების სფეროდან.

ხსენებული დიფერენცირების, დანაწევრების პროცესი, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიქნა უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ ამ პროცესის სათავეები გაცილებით უფრო შორს არის საძიებელი; კაცობრიობის კულტურული განვითარების ისტორიას აღმა რომ ავყევთ, ბოლოს და ბოლოს მივაკვლევთ ხანას, როდესაც ადამიანის სულიერი ფასეულობანი დაუნაწევრებლად, მთლიანი სახით იყვნენ წარმოდგენილნი და როდესაც ადამიანს აზრადაც არ მოსდიოდა მათი გათიშვა. ეს გახლდათ ანტიკური ეპოქა, რომლისთვისაც ყველაზე ნიშანდობლივი ის იყო, რომ სინამდვილე (გარე თუ შიდა სამყარო) განიხილებოდა, შეისწავლებოდა და იწვდომებოდა როგორც მთლიანობა, და ამ განხილვის, შესწავლისა და წვდომის შედეგი გამოიხატებოდა ერთი სიტყვით — სიბრძნე. სიბრძნე შეიცავდა ყველა მეცნიერებას, შეიცავდა ფილოსოფიას, შეიცავდა ხელოვნებას...

ის, რასაც ჩვენ ხელოვნებას ვუწოდებთ, ამ დროისთვის სიბრძნის წიაღში მკვიდრობდა და მისი სხვაგვარი არსებობა ვერც წარმოდგინებოდა. მთლიანი ადამიანი შეიცნობდა მთლიან სინამდვილეს (ღმერთების ჩათვლით) და ამ შეცნობის შედეგი ვლინდებოდა აგრეთვე მთლიანობად — სიბრძნედ.

მაგრამ ამ მთლიანობას ჰქონდა ერთი თვისება, რომელიც იმანენტურად განაპირობებდა მის დაშლასა და დანაწევრებას: ეს იყო დიფუზიური მთლიანობა და არა კემპარიტი სინთეზი ადამიანის სულიერ ფასეულობათა. კემპარიტი სინთეზის მოსაპოვებლად, როგორც ახლა უკვე თვალსაჩინო შეიქნა, აუცილებელი იყო ამ მთლიანობის დარღვევა და მისი ცალკეული ინგრედიენტების უკიდურესი დიფერენცირება, რათა ეს ინგრედიენტები შემდგომ კვლავ შერწყმულიყვნენ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.

კულტურის ისტორიას აღწვსხული აქვს სახელი იმ მოაზროვნისა, ვინც ეს პირველად იგრძნო და ვინც პირველი კადნიერი ნაბიჯები გადადგა არსებული მთლიანობის ჰარმონიის დასარღვევად: ეს იყო არისტოტელე. ეს მან გამაჩნა პირველად ფილოსოფია მეცნიერებათაგან, მეცნიერებათა დარგები — ერთიმეორისგან, ხოლო ხელოვნება — ყოველივე დანაჩენისგან.

ამ დროიდან იღებს სათავეს ზემოხსენებული პროცესი, ხოლო ზენიტს, როგორც ითქვა, ჩვენი საუკუნის პირველ მესამედში აღწევს.

რალა თქმა უნდა, შუა საუკუნეებშიც და შემდგომშიც იყვნენ მთლიანობის წვდომის უნარის მქონე ადამიანები. ეს ადამიანები თავის თავში წინასწარ ახორციელებდნენ იმ უმაღლეს სინთეზს, რომელიც ახლად ისახება კაცობრიობის მეტი ნაწილისათვის. მაგრამ ასეთი თითოეულზე თუ ჩამოითვლებიან და მათ, როგორც მოგეხსენებათ, გენიოსებს ვუწოდებთ ხოლმე. ერთ-ერთი მათგანი იყო სწორედ რუსთაველი, რომელმაც პოეზია კვლავ სიბრძნის დარგად გამოაცხადა.

თანამედროვე ადამიანისთვის დღითი დღე აშქარავდება, რომ კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ყველა სფერომ დაიწყო გამომქლავება მთლიანობისკენ, სინთეზისკენ სწრაფვის ტენდენციისა; ანალიზის, ძირამდე ჩხრეკის, საწყისთა ძიების ხანგრძლივ ეპოქას მოსდევს სინთეზის, საწყისთა ერთობის წვდომის ეპოქა.

ეს ითქმის როგორც მეცნიერებათა ცალკეული დარგების, ისე ფილოსოფიისა და აგრეთვე ხელოვნების შესახებ. ყოველი ცალკეული დარგის მეცნიერი უკვე გრძნობს არა მარტო მომიჯნავე, არამედ ერთი შეხედვით შორს მდგარი დარგების მიერ მოპოვებულ მიღწევათა და დასკვნათა გათვალისწინების აუცილებლობას; ყოველი ჰემმარიტი ხელოვანი მიისწრაფვის მაქსიმალურად გაიფართოს თვალსაწიერი და ოდენ საკუთარი (თუნდაც უაღრესად მნიშვნელოვანი) გამოცდილების ანაბარა აღარ წარდგეს მკითხველის, მაყურებლის თუ მსმენელის წინაშე (აქ, ცხადია, იგულისხმება არა ცოცხლის მექანიკური შექმნა-გადაცემა, არამედ არსებობის უღრმეს საწყისთა წვდომისა და გააზრების უნარისთვის ზრუნვა).

ამრიგად, სულიერ ფასეულობათა უმაღლესი სინთეზი — ასეთად შეიძლება დაისახოს მომავლის კულტურა, რომელიც ყველაზე უკეთ გამოიხატება ალბათ ისევე ერთი ცნებით — სიბრძნე. და, თუკი ეს უნდა აღსრულდეს, მაშინ ისიც უეჭველია, რომ მომავლის პოეზია ჰემმარიტად სიბრძნის ერთი დარგი იქნება.

თუკი აწასთან დაკავშირებით ვისმე აღეძვრის კითხვა — როგორღა უნდა იტვირთოსო სიბრძნით დამძიმებულმა პოეზიამ უბრალო კაცობრიული განცდებისა და ვნებების ნატარებლის როლი, ამ კითხვის პასუხსაც ისევე და ისევე „ვეფხისტყაოსანში“ მიაკვლევს.

მთლიანი საქართველოს მენიჭყვა

ყოველივე რომ შეიკრიბოს, რაც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ირგვლივ თქმულა, არაერთი ტომი აიკინძებოდა. მისი თხზულებების შესახებ ამთავითვე იწერება სამეცნიერო გამოკვლევები და დისერტაციები. ისიც უცილობელია, რომ მომავალში კიდევ უფრო მრავლად დაიწერება ამგვარი გამოკვლევები. რადგან ჩვენ მოწმენის ვართ ნიშანდობლივი მოვლენისა: რაც დრო გადის, მით უფრო ცხოველ ინტერესს იჩენენ მკითხველნი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებებსადმი (ამ მხრივ მისი მწერლური ბედი ვაჟა-ფშაველასას მოგვაგონებს).

ოდონდ ამ წერილს არა აქვს გამოკვლევების პრეტენზია. ერთსა თუ ორფორმიან სტატიაში არამცთუ ანალიზი, ყოველივე იმის წვრილად აღნუსხვაც კი ძნელია, რასაც კონსტანტინე გამსახურდიას რჩეულ თხზულებათა რვატომეული (ჩემი გამოთვლით 350-მდე საავტორო თაბახი) შეიცავს. აქ არის როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პროზა და პოეზია, ესეიები, ლიტერატურის ისტორიისა და პოეტიკის საკითხები, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ენის პრობლემებისადმი მიძღვნილი წერილები... აქ არის დასავლეთი და აღმოსავლეთი, თანადროულობა და შორეული წარსული... და, რაც უმთავრესია, აქ არის საქართველო.

1

სიტყვაა მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა.
გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე

სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა.
შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

კონსტანტინე გამსახურდიას მწერლური ბედი კიდევ ერთი რამით ჩამოჰგავს ვაჟა-ფშაველასას: როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივმა პოზიციამ თავ-თავის დროს ერთგვარი შოკი დამართა მკითხველი საზოგადოების საგრძნობ ნაწილს და რო-

გორც ერთის, ისე მეორის ენას კრიტიკა ხმალამოწვართული შეეგება. ნიშანდობლივია, რომ ვაჟა-ფშაველას ენას უწუნებდა თვით აკაკი წერეთელი, — მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის ერთ-ერთი საკეთმპყრობელი, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივ პოზიციას ვერა და ვერ შეურიგდა ისეთი შესანიშნავი მოქართულე, როგორიც იყო გერონტი ქიქოძე.

თქმა არ უნდა, გემოვნება ფრიალ და ფრიალ სუბიექტური ფენომენია. ისტორიამ საკმაოდ აღგვიწახა შემთხვევები, როდესაც ერთ დიდ მწერალს მეორე დიდი მწერლის შემოქმედება მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა ხოლმე (ჩინებული ნიმუში: ტოლსტოის დამოკიდებულება შექსპირისადმი). მაგრამ ჩვენს შემთხვევაში გემოვნების თანუხვედრელობის გარდა სხვა რამეც იყო საჩინო: როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე კონსტანტინე გამსახურდიას მკითხველთა საგრძნობ ნაწილს ათეული წლები დასჭირდა, რათა ქართული სიტყვის ამ დიდოსტატების ენისადმი თუ აშკარად მტრული დამოკიდებულების არა, ყოველ შემთხვევაში აშკარა უნდობლობის გრძნობა გაქპარწყლებოდა. ასეთ ვითარებაში ნონსენსი იქნებოდა სუბიექტური გემოვნების ფაქტორისთვის ხელის შეწმენდა და საქმის ამით მიფუჩეჩება. საკითხი ცოტათი უფრო გულდასმით გამოძიებას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ, თუ ვაჟა-ფშაველას ენის მისამართით აუგის თქმას დღესდღეობით ვაგლახად ვედარავინ კადრულობს, კონსტანტინე გამსახურდიას ენის „ხელოვნურობისა“ და „არქაულობის“ გამო ზოგჯერ დღესაც არ იშლიან ქირქილს არაკომპეტენტურ მკითხველთა წრეებსა და კომპეტენტურ დაწესებულეებათა კულუარებში.

საკითხის ისტორიას მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე მივყავართ. დაემხო ქართული სახელმწიფო და მოიშალა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციები. ამას შედეგად მოჰყვა ნახევარსაუკუნოვანი ვაკუუმი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. და როდესაც თერგდალეულებმა თავს იდვეს ქართულის აღმორძინებელთა დიადი მისია, აღმოჩნდა, რომ სამკალი იმდენი დაგროვილიყო, მომკელთა ერთი და ორი თაობა ვერას გააწყობდა. ხოლო უფრო მოგვიანებით ისიც ცხადი შეიქნა, რომ ქართული ენა ოდინდელ ბრწყინვალეებას ვერასგზით ვერ დაიბრუნებდა, ვიდრე არ გამოთლიანდებოდა ქართული კულტურის განვითარების ხაზი, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ხელოვნურად და ნაძალადევად გაწყვეტილი. მთელი უღმობელობით წამოიჭრა საკითხი: ან შევეძლებდით იმის ორგანულად შეწოვას და შესისხლხორცებას, რაც ქართულ კულტურას მეცხრამეტე საუკუნემდეც შეეკმნა, ან არადა უნდა დავჯერებულეიყავით იმ ხალხთა ხედრს, ვისაც მეცხრამეტე თუ მეოცე საუკუნემდე დამწერლობაც არ ჰქონია საკუთარი. ეს საკითხი თავად ცხოვრებამ გადაჭრა: მეოცე საუ-

კუნეში აღდგა ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად იქცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველ კაცს კვლავ მიეცა საშუალება სწავლა-განათლება მიიღოს თავის მშობლიურ ენაზე — ქართულ სალიტერატურო ენაზე. ხოლო ქართული სალიტერატურო ენა თხუთმეტ საუკუნეს მაინც ითვისის ისტორიად.

აი, აქ არის დამარხული საიდუმლო. ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიცია გულისხმობდა როგორც თერგდალეულთა კულტურული მონაპოვრების ათვისებასა და დიალექტური მასალის მოხმობას, ისე ჟამთა სივრცის გამოიწვევით მივიწყებული მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართულის გამოყენებასაც. ამ საკითხში კარგად გაურკვეველ პირთ მართებთ გაიხსენონ ხოლმე ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „...ხშირად გამიგონია ზოგიერთი ჩვენის მწერლისაგან სამღურავი — დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო. რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გავიტანოთ და სანაგევზე გადავაგდოთ... ამისთანა სამღურავი, რა თქმა უნდა, უმეცრების ბრალია და, ხომ მოგეხსენებათ, უმეცრებასავით თამამი არა იქნება რა. არა მგონია შეეღარებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა. რითი ჰგავს ენა მდინარეს? იმითი, რომ, რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მიუღია, თუ ხელოვნურად არ მოხტაცე, არ წაართვი, იგი თავისთავად არასოდეს არ დაჰკარგავს... ვისაც ჰსურს ამ მდინარის წყალი იგემოს და დაათასოს, იგი ბოლოში, სადაც მღვრიე მოდის, კი არ ამოჰკრეფს, არამედ სათავეს მიჰმართავს... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა“.

ჩვენ ზოგჯერ ერთობ სწორხაზობრივად გვესმის ილია ჭავჭავაძისა და მისთა მოღასეთა ენობრივი ორიენტაცია. არასგზით არ გვსურს გავითვალისწინოთ, თუ როგორ მკითხველს გულისხმობდა მათი ნაწერები: ეს გახლდათ ბატონყმობის უღლისაგან ახლად თავდახსნილი მშრომელი ხალხი და ეროვნული კულტურის ნიადაგს სანახევროდ მოწყვეტილი ან სულაც მოწყვეტილი ინტელიგენცია, — საკმაოდ დაბალი დონის მკითხველი მასა (ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ზოგიერთი სხვა იმდროინდელი მოღვაწის ნაწერები დღესაც რომ სიტყვა-კაზმული მწერლობის მარგალიტებად რჩება, ეს მათი მაღალნიჭიერების წყალობაა და არა მათი მიზანდასახულებისა). ეს მკითხველი მასა შედარებით იოლად მოსანელებელ საზრდელს მოითხოვდა. თერგდალეულთა თაობა მიზნად ვერ დაისახავდა წარსულ საუკუნეთა კულტურასთან ორგანული კავშირის აღდგენას. ან კი რასთან უნდა აღედგინათ კავშირი? V—XVIII საუკუნეთა ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი თხზულებანი ამ მკითხველი მასისთვის ნამდვილ ტერა ინკოგნიტას

წარმოადგენდა (მასობრივი ტირაჟით დასტამბვის გამო რომ აღარაფერი ვთქვათ, მრავალი ბრწყინვალე ძეგლი საიმდროოდ მიკვლეულიც არ ყოფილა). მხოლოდ ერთეულ მოღვაწეებს ჰქონდათ ასე თუ ისე წარმოადგენილი, თუ რა საგანძურს ინახავდნენ „ძველთა ნიჟიერ მწერალთა ნაწარმოებნი“.

სხვა მიზეზთა გარდა ამიტომაც იქცა ვაჟა-ფშაველა მომავალ თაობათა მწერლად. მის თანამედროვეთაგან ერთეულები თუ ხვდებოდნენ (ისიც მეტწილად ინტუიციით), რა მასშტაბის გენიოსი წამომართულიყო მათ წინაშე. დანარჩენთათვის, უმრავლესობისთვის იგი ფშაველ მოლექსედ, საკმაოდ ახირებულ ენაზე მეტყველ მოზაირედ დარჩა. აგერ, ჩვენი საუკუნის ოციან წლებშიც კი ითქვა — ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი აღამიანი იყო!

ამიტომევეა, რომ, რაც უფრო ღრმად ვსწავლობთ ქართულ კულტურას მის მთლიანობაში, რაც უფრო სრულად ვითვალისწინებთ თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის უნივერსალურ ხასიათსა და მისიას, მით უფრო გვიორკეცდება და გვიათკეცდება ვაჟასადმი თაყვანისცემის გრძნობა. საჭირო შეიქნა აღზრდილიყვნენ ახალი თაობები, სახელმწიფოურად მოაზროვნე თაობები, რომელთა შეგნებაში ცნება „საქართველო“ აღარ იქნებოდა გარეშე მტრებთან უსწორო ბრძოლით ილაჭგაწყვეტილი, პარტიკულარიზმის მარწუხებში სულის შლადფელი, კლასობრივი წინააღმდეგობებით დაწეწილი მეათეხარისხოვანი ქვეყნის სინონიმი, თაობები, რომელთა თუნდაც სასკოლო განათლება თავისთავად გულისხმობს იაკობ ხუცესისა და იოანე საბანიძის, გიორგი მერჩულესა და „სიბრძნე ბალაჰვარისის“ გადმომქართულებლს, ათონელებისა და რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანისა და გურამიშვილის ნაღვაწის გაცნობას და რომელთაც არქივებში აღარ სჭირდებათ სიარული ყოველივე ამის მისაკვლევად.

(სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნოთ: ძირითადად ზემოაღნიშნული ვითარება იყო აგრეთვე ვასილ ბარნოვის თხზულებათა ნაკლები პოპულარობის მიზეზი. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას: გაივლის მცირე ხანი და ქართველი მკითხველი ხელმეორედ აღმოაჩენს და დაეწაფება ამ უბადლო პროზაიკოსს.)

კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა პირველი მკითხველნიც არ ყოფილან სათანადოდ მომზადებულნი, რათა უპირველად გარკვეულიყვნენ მისი ენობრივი ორიენტაციის არსებაში (ცხადია, აქ იგულისხმება მკითხველთა ძირითადი მასა. ერთეულებისა თუ ათეულების გამო არას ვაპბობ). „დიონისოს ღიმილის“ ენობრივმა ქსოვილმა უკვე საკმაოდ შეაცბუნა მკითხველი. ამას ზედ დაერთო თავად მწერლის მიერ დაფორმლებული კრედიო:

„ჯერ სავსებით შეუსწავლელია ქართული სტილის ისტორია,

დაუდგენელია ქართული ენის ზრდისა და განვითარების ეტაპები., თორემ მკითხველი უჩემოდაც შენიშნავდა, რომ გასული საუკუნის მწერლებმა დააღარიბეს, გააცვიფრეს, გააღატაკეს ხელხვაიანი ენა ქართული. ლექსიკა დაიშრიტა, უადგილო ბარბაროზებშით გაივსო, სინტაქსი შეირყვნა და დავიწყებას მიეცა დარბაისლური და ქარბი ქართული პროზის მრავალნადადი ტრადიცია. უთუოდ საჭირო იყო ერთგვარი უკუქცევა და მეც შეგნებულად უკან დავიხიე. ლექსიკური მასალის მხრივ მე სავსებით შეგნებულად უხვად დავესესხე „ვისრამიანის“ მთარგმნელს, საბას, ჩვენს დიდ ჰავიოგრაფებს და მთარგმნელებს. აქვე უნდა აღვნიშნო, დავით გურამიშვილის შემდეგ არც ერთ ქართველ მწერალს არ მოჰგონებია უძლიერესი ქართული სასულიერო მწერლობის მონაპოვარის ჭეროვანად გამოყენება. მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა. სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან ნახესხები სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც „დიონისოს ღიმილში“ და ჩემს ნოველების წიგნშიაც. მაშასადამე, ქართული სიტყვიერი ინვენტარის გამდიდრება ახალ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ცალკე რძ ძველ ქართულის მარაგიდან, ცალკე რძ ცოცხალი დიალექტებისა და ენაკავების წიაღიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გამხდარიყო“ („დიონისოს ღიმილის“ მეორედ გამოცემის გამო“, 1933, ტ. V).

„მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ენა დაკნინდა, დაიშრიტა ქართული ლექსიკონი, სოფლად გლეხობა თუ ლაპარაკობდა კიდევ ქართულად, ქალაქში კი მუშა ხალხი თუ მეტყველებდა ამ ენაზე. გადაგვარდა ქართულის სინტაქსი, მწერლობის დიდი ნაწილი მიჰყვა იმ ენადრეულ მეტყველებას, რომელიც უკვე ღიმღამობდა გადაგვარებული ქალაქელი წვრილი „ჩინოვნიკების“ პირში. ეს აღრეული ბაზრული ქართული გაისმოდა სცენაზე, ნაწილობრივ პრესასა და ლიტერატურაში“ („ვაჟა-ფშაველა“, 1933, ტ. VI).

რაოდენ ბუნებრივად, რაოდენ უქცეველ ჰეშმარიტებად გვეჩვენება ამგვარი პოზიცია დღეს, მისი წამოყენებიდან 30—40 წლის შემდეგ. მაგრამ იმხანად კონსტანტინე გამსახურდია თითქმის მარტოდმარტო იყო. ქართული კულტურის მთლიანობის იდეა ის-ის იყო ისახებოდა, ეგრეთ წოდებული ძველი ქართული კულტურის სათანადოდ შესწავლა ის-ის იყო იწყებოდა, და ამგვარ მასშტაბებს მკითხველთა ძირითადი

მასა ჯერაც არ იყო არამცთუ შეგუებული, უბრალოდ — ზიარებული. კონსტანტინე გამსახურდია თითქმის მარტოღმარტო იყო და წინასწარმეტყველის გულდაჭერებითა და გახელებით ერკინებოდა გარს მოჯარულ უნდობლობისა და გულგრილობის ატმოსფეროს, ზოგჯერ — ყოვლად შეუწყნარებელი მტრობის სულისკვეთებას.

მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ენა დაკნინდაო?! „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ კონსტანტინე გამსახურდია ილიასა და აკაკის ენას უწუნებსო?! „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ ასე ჩვენს თვალწინ დაიბადა მითი, რომელიც დღემდე ბოგინებს ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში და რომელსაც ის მითი თუ შეედრება, დაბეჯითებით რომ გვიმტკიცებს — ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანის ენას იწუნებდაო.

ილია ჭავჭავაძის ღვაწლისადმი კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულებას რაც შეეხება, ამ საკითხში დაქვევებულ პირთ ერთი რჩევა უნდა მივცეთ: სხვა რომ არაფერი, გადაშალონ მწერლის რჩეულ თაზულებათა მეშვიდე ტომი და იხილონ 234—240-ე გვერდებზე დაბეჭდილი წერილი „ილია ჭავჭავაძე“. თან იმასაც კარგად ჩაუკვირდნენ, რომ ამ წერილს 1922 წელი უზის თარიღად. ნუ დაივიწყებენ, რომ ილია ჭავჭავაძის მრავალტანჯული სახელი იმხანად ჯერაც არ ყოფილა გარდამოხსნილი ჯვარცმიდან და ამ სახელს იოლად წამოჰკრავდა ხოლმე ხელს ზოგიერთი კუჟანარძობი „მოღვაწე“, რომელთა ნაწილმა შემდეგში, როცა კლასიკოსების დევნა აღიკვეთა, კონსტანტინე გამსახურდიას აქეთ შემოუტია — ჯეროვნად არ აფასებო ილია ჭავჭავაძის ღვაწლს. ამას უკიჟინებდნენ იმ ადამიანს, ვისაც ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს ძველ ეპოქებში რომ ეცხოვრათ, მათ უეჭველად წმინდანებად შერაცხდა ჩვენი ხალხი და ჩვენი ტაძრების ძვირფას ფრესკებს მიემატებოდა სამი სათაყვანებელი ხატება“ (1963).

ახლა უმთავრესს მივუბრუნდეთ. ილია ჭავჭავაძეს აზრად არასოდეს მოსვლია გრიგოლ ორბელიანის ენა დაეწუნებინა ან, მით უმეტეს, შებრძოლებოდა ამ ენას. ან კი რა უნდა ჰქონოდა საბრძოლი „ყვარლის მთების“ ავტორს „სალამო გამოსალმებისას“ ავტორთან? ილია ჭავჭავაძე თავადანაწარული ინტელიგენციის იმ წრეებს ერკინებოდა, რომელთაც „მკვდრის სულარა“ გადააფარეს ქართულს, ან კიდევ იმ ხელმოცარულ „პიიტიკოსებს“, რომელნიც „სამი სტილის“ თეორიას იშველიებდნენ თავიანთი შემოქმედებითი უილაჯობის ფარად. რაღაუ არ მაგონდება, რომ საკუთრივ გრიგოლ ორბელიანის ენის თაობაზე ქების სიტყვების გარდა სხვა რამ დასცდნოდეს ილიას.

ასევე კონსტანტინე გამსახურდია ილია ჭავჭავაძეს და მისთა მო-

დასეთ კი არ აბრალებს ენის დაკნინებას (მიუხედავად იმისა, რომ თავადვე ამბობს: „მწერლური ტრადიციები მისი, მანერა წერისა ჩემთვის არც ისე მახლობელი იყო“), არამედ იმ ხელმოცარულ მკვლავებს, რომლებიც სოკოსავით მომრავლდნენ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან და ეპიგონური ლიტერატურის ზღვა დააყენეს. ამ ზღვამ ლამის იყო წალეკა მთელი ქართული მწერლობა, პრესა და თეატრი.

კონსტანტინე გამსახურდიას მახვილი აღლესილი იყო უწინარეს ყოვლისა ამ პროვინციელების მიმართ. „მარტოოდენ საკუთარი მაზრის ლექსიკონით რომ იკვებებოდნენ“. ამ წვრილფეხა პროზაიკოსებისა და დრამატურგების მიმართ, ბარბარიზმებით რომ ანაგვიანებდნენ ქართულ ენას. მისი ენობრივი პოზიცია საერთო სალიტერატურო ქართულის შერყვნას ვერ იწყნარებდა.

„ქართული ენის სინთეტიური ერთიანობის ნაყოფია რუსთაველი. იგი იმ ეპოქაშია წარმოშობილი, როცა ქართული სიტყვა ტომობრივი დიალექტების გადაღმა იდგა, როგორც სპონტანური, უალრესად თავისებური მოვლენა; და სიტყვა ქართული დიალექტებით გამიჯნული როდი იყო. არამედ ერთობლიობის მწვერვალამდის ასული. რუსთაველი, საბა ორბელიანი, გიორგი მერჩული და დავით გურამიშვილი მთლიანი საქართველოს მესიტყვენი იყვნენ“.

აი ამ „ერთობლიობის მწვერვალამდე ასული“ ქართული სიტყვის სამსხვერპლოზე მოიტანა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი დიდი ნიჭი. კოლოსალური ენერჯია და რაინდის შემართება, ამ იდეალიზ დასამკვიდრებლად იღვწის იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია. არ მეგულება მეორე ქართველი მწერალი, რომელსაც ამდენი დრო და ენერჯია შეეღიოს ქართული ენის განვითარების პრობლეზურ საკითხთა გამოძიებისთვის. რვატომეულის უბრალო გადაფურცვლაც კმარა ამაში დასარწმუნებლად: „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნის ბოლოსიტყვა, უმთავრესად ენის საკითხებისადმი მიძღვნილი, „დიონიზოს ლიმილის“ მეორედ გამოცემის გამო. სადაც აგრეთვე ქართულის ძირეულ პრობლემებს დასტრიალებს თავს ავტორი, წერილები — „როგორ ვწერ“, „თანამედროვე რომანისათვის“, „ქართული ენის მეურნეობისათვის“, „მცირე შენიშვნები დიდი საკითხის გამო“, „ლექსიკოლოგიური შენიშვნები“, „არქაიზმი და პროვინციალიზმი“, „თარგმანი და ენის სიწმინდე“, „ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“, „სალიტერატურო ქართულისათვის“, „ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის“, „ისევ ქართული მართლწერის გამო“.

„შე მუდამ მახსოვდა, რომ მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძო-

ლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა ხაკუთარბი სამშობლოისა“.

●

ამბობენ — სტილი მწერლის ხასიათის გამოვლინება არისო. იქნებ დაგვემატებინა — მწერლის ხასიათის, მსოფლშეგრძნების და ტემპერამენტისა (ამ ტერმინის უფრო ზუსტ დეფინიციას ნულარ შევეცდებით, თორემ შესაძლოა ულრანებში შევიკრათ და ბოლოს მაინც ვერ დავადგინოთ, თუ რა არის და რისი გამოვლინებაა სტილი).

არაფერი ისე უცდომლად არ ამხელს ქართველი მწერლის ბუნებას, როგორც სტილი. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ქართულ პროზას დასაბამიდან დღემდე, ვინძლო ყველაზე შეაფერისი ტერმინი გამოდგეს „პოეტური პროზა“. გავიხსენოთ ჩვენი ჰაგიოგრაფია და ისტორიოგრაფია („ბიბლიის“ გამო რომ აღარაფერი ვთქვათ), „ვისრამიანი“ და სულხან-საბა, „კალმასობა“ და „ოთარანთ ქერიეი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „არმაზის მსხვერვეა“, „ჟამთა სიავე“, „ლამბალო და ყაშა“, „პროვინციის მთვარე“, „სანავარდო“, „პირისპირ“, „კოლხეთის ცისკარი“, „მკვდრის მზე“... ათეულობით და ასეულობითაც სხვა ნაწარმოები, ყველას ვინ ჩამოთვლის!

სტილთა როგორი ნაირგვარობა გაკრთება ჩვენს თვალწინ! ჰემარიტად „უთვალავი ფერი“ არიალდება. და მაინც ყველა მათგანს მოეძებნება საერთო ნიშანი, ერთი გარდუვალა თვისება: ბობოქარი ტემპერამენტი, რომელიც, რაგინდ დაოკებულიც უნდა იყოს, სშირად შემოიწყვეტს ხოლმე ტრადიციულად მიჩნეულ პროზის არტახებს და წალეკით გვემუქრება; რომელიც „მოპენტის გრძნობისთვის“ მზად არის დათმოს ევროპული ლუბრმად მდინარე პროზის მრავალი ძვირფასი თვისება. რამდენგზის სცადეს ჩვენმა პროზაიკოსებმა ბალზაკისა თუ ტოლსტოისეულ ტრამალეებში მიეშვათ თავიანთი სტილის შმაგი მდინარება, მაგრამ, ვფიქრობ, ამოდ. რაიმე ხელშესახები და თვალსაჩინო შედეგი ამგვარ ცდებს არ მოპყოლია. „არსის ხვედრი არსშივეა თვითონ“.

შევეცდები უფრო დავაკონკრეტო სათქმელი. როდესაც ევროპელი მწერალი თავის რომელსაშე გმირს გვაცნობს, იგი თავდაპირველად გვიხატავს გარემოს უვრცეს სურათს; მის მახვილ თვალს არც ერთი წერილმანი არ გამოჩნება, დაწყებული, ვთქვათ, მისაღებ ოთახში მდგარი სავარძლის გადასაფარებელზე არსებული ნაოქით და დამთავრებული გმირის ძეწყვიანი საათით, ან ამავე გმირის მიერ შესრულებული რაიმე მოძრაობით თუ მიმიკით. ასე ნელ-ნელა, რთული და ზოგჯერ

თითქოს მოსაწყენი ლაბირინთების გავლით შევდივართ გმირის სული-
ერ სამყაროში და ბოლოს ვწვდებით მისი ფსიქიკის უღრმეს ნიუანსებ-
საც. მწერალი არ ცდილობს იმთავითვე განსაკუთრებული ვნებები,
ძალუმი ემოციები აღგვიძრას, აღგვაგზნოს და დაგვაინტერესოს. ისევ
შედარებას რომ მივმართოთ, ჩვენ წინაშეა ბარის ვრცელი და ღრმა
მდინარე, რომელმაც თავისი მოჩვენებითი ერთფეროვნებით თავდა-
პირველად იქნებ არც კი მიგვიზიდოს და რომლის სიღრმისა და სიდი-
ადის საწვდომად მოცურავემ თავის მხრივაც უნდა გამოიჩინოს აქტი-
ვობა — გადალახოს ნაპირის თხელი და მდორე წყალი. ამა თუ იმ
ევროპელ პროზაიკოსს — იგავმიუწვდენელ მხატვარსა და ოსტატს —
ვგრძნობთ მისი ამა თუ იმ ნაწარმოების პირველივე გვერდებიდან,
მაგრამ მთლიანად მისი ბუმბერაზობის, მისი გმირების სულიერი სიღრ-
მის შეგრძნობა ჩვეულებრივ ბევრად უფრო გვიან მოდის ხოლმე. ამ-
გვარი მწერლის პერსონაჟთა გაცნობისას მათი ფსიქიკის დინამიკურ
მდგომარეობაში ხილვამდე თავდაპირველად მათი სტატიური სურათი
უნდა ვიხილოთ.

ქართველი პროზაიკოსი, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებ
საგნობრივი, ნაკლებ ყოფითია. იგი არჩევს უშუალო ჰერეტიკთ
ხალს და გვახილვინოს თავისი პერსონაჟის მეობა და ფსიქიკა, ამასთან,
არა ყოველგვარი მდგომარეობა ამ ფსიქიკისა, სულისა, არამედ მეტ-
წილად დინამიკური, გარესამყაროსთან მკვეთრად დაპირისპირებული,
მისგან მკვეთრად გამორჩეული. ამავე დროს, თვით მწერლის მიმართე-
ბა პერსონაჟისადმი მუდამ უფრო ვნებიანი, ემოციური და აღგზნებუ-
ლია. ქართული პროზისათვის ნიშანდობლივია თხრობის შედარებით
აწეული ტონუსი, მეტი ემოციურობა, პოეტურობა და, თუ გნებავთ,
ხშირ შემთხვევებში — ლირიკის მიჯნამდე მისვლა.

ეს არის ქართული პროზის მიუცილებელი, თანდაყოლილი თვისე-
ბა და, ჩემი აზრით, ქართული პროზა მხოლოდ იქ იმარჯვებს ხოლმე,
სადაც არ ცდილობს ამ თვისებას უგანოს და უღალატოს. ჩვენი პროზა
არასოდეს არ ბრწყინავდა სივრცითა და მოცულობით, რადგან ზემო-
აღნიშნული სტილის ბუნება აპრიორულად გამორიცხავს იმის შესაძ-
ლებლობას, რომ, ეთქვათ, „აღამიანური კომედიის“ მსგავსი ქმნილე-
ბები დახვადდეს ქართულ ენაზე. ეს არ ესმის ზოგიერთ ლიტერატურის-
მცოდნეს, ან არ სურს გაიგოს. არ ესმის აგრეთვე ლიტერატურის მო-
ყვარულთა და მკითხველთა მოზრდილ ნაწილს. „ეჰ, არ გვაქვს, არა
პროზა“, — ამოისლუკუნებენ ხოლმე და გაღმა მიაპყრობენ მეოცნებე
შუერას. გინდაც ასე ეთქვათ: მეობა არ გვაქვსო. რადგან ქართული პრო-
ზის ბუნების შეცვლამდე უმაღლეს ქართველი კაცის ბუნება უნდა შეიცვა-
ლოს — მისი ხასიათი, მისი მსოფლშეგრძნება და ტემპერამენტი.

პროზა თუ არ გვაქვს, არც არქიტექტურა გვექონია და არც მხატვრობა...

არ შეეცდები ალბათ, თუ ვიტყვი, რომ კონსტანტინე გამსახურდია ერთი ყველაზე პოეტურთაგანია ქართველ პროზაიკოსთა შორის. ამ მოსაზრების გასაზიარებლად სულაც არაა აუცილებელი იმის ცოდნა რომ თავად მწერალი, ვთქვათ, „დიონისოს ღიმილს“ პოეტურ პროზას ან სულაც პოეზიას უწოდებს, ხოლო მის შემქმნელს — პოეტს. საკმარისია ერთხელ მაინც წავიკითხოთ იგივე „დიონისოს ღიმილი“ (მთლიანად), წავიკითხოთ „ზარები გრიგალში“, „დიდი იოსები“, „პორცელანი“, „ლილ“, „ქოსა გახუ“, „ტაბუ“, „ხოგაის მინდია“, ბოლოს — „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“ (ორივე — თითქმის მთლიანად), „დავით აღმაშენებლის“ ისეთი თავები, როგორცაა „შეიბ მახვილი“, „შენ ხარ ვენახი“, „პანისეულ ბაღში“, „მოგონებანი მიმწუხრის ჟამისა“, „ნურავინ გიყვარან“, „ზედაზნელი აფროდიტე“, „შამან ერისთავი“, „ქართული ხილნარი“, „როგორ უხმობდა ბნელში მამალი ხოხობი ცისკარს“, „შავი ბაზილიკა“, „ლურჯი მიმინო“, „ჯოჯოხეთო, აღახვენ პირნი შენნი“, „უქანასკნელი ომი“... აღარას ვამბობ ცალკეული პასაჟებისთვის, სადაც პროზა ძალდაუტანებლად იქცევა თავისუფალ, ზოგჯერ კი მეტრის მქონე ლექსადაც (თოთხმეტმარცვლიანი. წყობის მაგალითი „დიონისოს ღიმილიდან“: „მე მათ ქარხნებში ვიმუშავებ, როგორც ბოგანო, რომელმაც თავი გაიყიდა ლუკმაპურისთვის, ასეთი რამის არასოდეს შემრცხვება, ვიცი. პურს ვერ ვიშოვნი? ვისაზრდოებ თუნდ ძირტკილათი, გავათევ ღამეს ფარდულეებში, თივის ზვინებში, ან რკინისგზების სადგურებზე, სკვერში, პარკებში“).

არა მგონია საჭირო იყოს ვრცლად განმარტება იმ ამბისა, რომ გამოთქმა „პოეტური პროზა“ საავსებით პირობითი მნიშვნელობით იხმარება (გარდა უქანასკნელად ნახსენები შემთხვევებისა, როდესაც პროზაული თხრობა თავისუფალ თუ საზომის მქონე ლექსად გარდაიქმნება ხოლმე). არც საერთოდ ქართული და არც, კერძოდ, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის პოეტურობა არამც და არამც არ ნიშნავს პროზის სპეციფიკურ თვისებათა მოშლას ან მონათხრობის დატკბილებას. არ ნიშნავს აგრეთვე იპიკურობაზე უარის თქმას. აქ ნაგულისხმევაა მხოლოდ ზეაწეული ტონუსი, მოკარბებული ტემპერამენტი, მეტი სიმძაფრე და ექსპრესიულობა სტილისა.

კონსტანტინე გამსახურდიას სტილი აღბეჭდილია განუმეორებელი თვითმყოფადობით. ერთი თვისება განუშორებლად ახლავს ამ სტილს: არასოდეს არ არის დაუდევარი, გულგრილი, დუნე და მოშვებული. დიდი რუდუნებით, უტყუარი ალღოთი არჩევს მწერალი ყოველ სიტყვას, ყოველ შედარებას, სახეს, ოქრომკედლის გულისყუ-

რითა და მოთმინებით თხზავს ყოველ ფრაზას. და ეს ფრაზები კარბად არის ხოლმე შინაგანად დამუხტული, ენერგიით აღაავსეა, ცეცხლოვანი, გასაფრენად გამზადებული ურა ცხენივით დაძაბული და მთრთოლვარე, თორ-აბჯროსანი რაინდივით შემართული.

„გიორგელმა თავი აიღო, შენიშნა შორიდან:

გიორგი და წითური ფსოველი გაცხარებულნი ლანძღავდნენ ურთიერთს.

ერთბაშად წამოიჭრნენ და იშიშველეს ხმლები.

შემოუარეს ნავარდი ურთიერთს,

შეუძახეს.

შეუტიეს და შეიბნენ ხმალდახმალ“.

კონსტანტინე გამსახურდიას სტილის თავისებურებათა წარმოსახენად და გამოსამზებლად ვრცელი გამოკვლევა უნდა დაიწეროს. აქ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას.

წარმოუდგენლად დიდი ჯაფის გაწევა მოუხდა მწერალს იმ ლექსიკური მასალის დასაუნჯებლად, რომლითაც ასერიგად ბრწყინავს მისი შემოქმედება. აქ იგულისხმება „ძველთა ნიჭიერ მწერალთა“ თხზულებებისა და ფოლკლორული მასალის დაუცადებელი შტუდირება, იგულისხმება საქართველოს მთა-ბარის შემოვლა ხალხის მეტყველების შესასწავლად (ზემოთაც აღინიშნა: კონსტანტინე გამსახურდიას ლექსიკა უშთავრებად ამ ორი ნაკადიდან იღებს სათავეს). ვინ მოთელის, გასაქრობად განწირული რამდენი სიტყვა გადაურჩინა სალიტერატურო ქართულს, რამდენს შთაბერა ქაბუკური სული და ახალი ძალით ააეღვარა სიტყვის სტიქიონთან ცისმარე დღეს მორკინალმა. დიდი ვაჟკაცობა იყო საჭირო ამ ზღვადდამდგარი სტიქიონის დასაურვებლად, მოსათვინიერებლად, გასახედნად და გასაწვრთნელად; დიდი ალლო და ტაქტი, შეუმცდარი გემოვნება და დახვეწილობა მართებდა მწერალს, უამისოდ ემპირიული მასალა მოუზომლად დახვედებოდა და სიკეთის ნაცვლად ზიანი შეეძლო მოეტანა.

აკი ატეხეს კიდევ მრავალგზის განგაში: სალიტერატურო ქართული არქაიზმებით გაავსოო („დანაგვიანაც“ არაერთხელ წამოსცდენიათ!).

მუდამ მაოცებდა ამ „არქაიზმების“ გამო ამტყდარი ვაიუშველებელი. უკვე აღარც მახსოვს, რამდენჯერ მაქვს წაკითხული „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“, ვგონებ წელიწადსაც არ გაუვლია იაე, რომ კვლავ და კვლავ არ მივბრუნებოდი ჩემთვის უძვირფასეს ამ ქმნილებებს. და, რაგინდ გულდასმითაც უნდა მეჩხრიკა ორივე რომანის ტექსტი, ორ ათეულზე მეტი ნამდვილი არქაიზმის აღნუსხვა ვე-

რასოდეს შეეძელი. ორ ათეულამდე არქაიზში ისტორიულ თემაზე შექმნილ ორ ნაწარმოებში! სწორედ საარაყო ამბავია.

ისიც გავეთვალისწინოთ: სათანადო კონტექსტს თუ ჩაეუკვირდებით რიგიანად, ამ არქაიზშითა უმრავლესობის მნიშვნელობა არმცოდნისთვისაც დღესავით ნათელი შეიქნება („...საქართველოს კილჯვაჲ შემოესია, — ვკითხულობთ „დიდოსტატის მარჯვენას“ პირველივე სტრიქონებად. — ახლობინა შეფემ ფარსმანი და უბრძანა მოესრა სირი“). ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება შემთხვევები, როდესაც მკითხველს ლექსიკონის გამოყენება შეიძლება დასჭირდეს.

ლექსიკონის ხსენებამ აგრეთვე საარაყო ერთი ამბავი მომაგონა: თავის ისტორიულ რომანებს კონსტანტინე გამსახურდია ლექსიკონა დაურთავდა ხოლმე, არქაიზებებს, უცნობსა და იშვიათ სიტყვებს განუმარტავდა მკითხველებს. „დიდოსტატის მარჯვენასა“ და „დავით აღმაშენებლის“ ორ წიგნს, ეტყობა, მექანიკურად, რვატომეულშიც გადმოკყოლია ლექსიკონი. ჩაეკითხე და თვალს არ დაეუჭვრე. ნუთუ ისეთ დონეზე იდგა ქართველი მასობრივი მკითხველი ოცდაათიანი წლების მიწურულსა და ორმოციანის დამდეგს, რომ ულექსიკონოდ არ გაეგებოდა. თუ რა არის „ბერეკაობა“, „ბომონი“, „გნიასი“, „გოდოლი“, „დილეგი“, „იაბო“, „კატაბარი“, „კბოდე“, „კოკობი“, „ლაპი“, „ლასტი“, „ლაქაში“, „მარეკი“, „მაცნე“, „მიონი“, „მონუსხვა“, „მრუმე“, „მსტოვარი“, „სამანი“, „საჭურისი“, „სპასალარი“, „ტვიფარი“, „უსიერი“, „ქარაფი“, „ქონგური“, „ჰვინტი“, „ჯავარდენი“, „ხვატი“? (ეს სიტყვები „დიდოსტატის მარჯვენას“ დართული განმარტებებიდანაა. „დავით აღმაშენებლის“ ლექსიკონიდან მსგავსი მაგალითების ამოწერით მკითხველს თავს აღარ შევაწყენ).

არადა, ეს სიტყვები რომ არა, რაღა რჩებოდა ლექსიკონით განსამარტავი? „ამირჩქარი“, „ჩუხჩი“, „დიდროაი“, „ვარშამანგი“, „მაჯაგანი“ და ათი-თორმეტი კიდევ სხვა სიტყვა? ან იქნებ „ბიბლიის“ თარგმანში უკვე ნახმარი „ქარცემული“, „მხოლოდშობილი“, „მიახლება“, „მწდე“, „წამყოფა“, „შიმუნვარი“, „მალემსრბოლი“, „გამოხურვებული“?

წიგნიერ ქართველს დღესდღეობით სიცილად არ ეყოფა „ბომონისა“ და „გოდოლისთვის“ ლექსიკონისკენ რომ გააგზავნოთ. მაგრამ, როგორც ჩანს, „წიგნიერი ქართველის“ ცნებამ დღესდღეობით უკვე სხვა მნიშვნელობა შეიძინა.

კონსტანტინე გამსახურდიასეული ფრაზა.

ასი და ათასი მწერლის ნათხზავიდან გამოარჩევთ ამ ფრაზას; მართლაც ნაქსოვის სიღრმე და ნაკედის სიმტკიცე რომ ახლავს და გონე-

ბის წამლებ კონტრაპუნქტად რომ აღიქმება. ოლონდ ერთი წინაპირობა კი არის აუცილებელი: თქვენი სმენა სათანადოდ უნდა იყოს შემზადებული და გაწვრთნილი თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული პროზის ხმეგრებითა და ხალხური მეტყველების მუსიკით.

მეტსრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პროზის სტილისმიერ საზრუნავთაგან უმთავრესი იყო იმგვარი ინტონაციის მიკვლევა, რომლის მეოხებითაც მხატვრული ნაწარმოების ფრაზა მაქსიმალურად დაუახლოვდებოდა ხალხის მეტყველებას. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, დანიელ ჭონქაძემ, ვაჟა-ფშაველამ, ალექსანდრე ყაზბეგმა, ცოტათი მოგვიანებით — დავით კლდიაშვილმა და სხვებმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულეს. მაგრამ შემდეგ და შემდეგ თავი იჩინა ისეთმავე მოვლენამ, როგორც შეინიშნება ეგრეთ წოდებულ აღორძინებში ხანაში, როდესაც ყოველი მოშიარე (სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და კიდევ ერთი თუ ორი პიროვნების გამოკლებით) თავის თავს მოვალედ რაცხდა უეჭველად რუსთაველის ლექსისთვის მიებაძა, მისი სტილისტური ხერხები, მისეული ინტონაცია გაემეორებინა. ხსენებულ ხანაში ეპიგონების ეპიგონებმა რუსთაველის ლექსი ბოლოს და ბოლოს „ხილთა ქების“ ჭაობებში დაძირეს და მოვლენათა ლოგიკამ უღმობლად მოითხოვა აღნიშნული სტილისტური კალაპოტიდან გადახვევა. ასევე, მეოცე საუკუნის დამდგენისთვის აშკარა შეიქნა, რომ ქართული პროზა (პოეზიაც, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ ამჯერად პროზის განვითარების საკითხს ვეხებით) უეჭველად საჭიროებდა სტილისმიერ გადახალისებას. ამ დიდი საქმის პირველ თავკაცად მოგვევლინა ვასილ ბარნოვი. მან პირველმა შეჰბედა ქართული პროზის უკვე მონოტონურად მკლერ ინტონაციებს და იმდროინდელი მკითხველისთვის სრულიად მოულოდნელი (და ძნელად მოსანელებელი) ხმეგრება შესძინა ფრაზას. შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძემ ცხადყო ბრწყინვალედ, რომ მხოლოდ ქართლ-კახური ზღაპრის ინტონაცია როდი ყოფილა ქართული ხალხური მეტყველების ერთადერთი მოდუსი. ასე მიბრუნდა განახლებისკენ ჩვენი პროზის უკვე მოდუნებული სტილი. ერთადერთი მიხეილ ჭავჭავიშვილი იყო, რაღაც სასწაულით რომ შეძლო გაკაფულ-გატკეპნილი გზით ევლო და მაინც თავისი განუმეორებელი ხელწერა შეექმნა (ეს საკითხი საგულდაგულოდ შესწავლას საჭიროებს).

გარნა კონსტანტინე გამსახურდია იმ ყაიდის შიგომქმედი არ განლავთ, სხვათა მონაპოვრისა და მინაკვლევის გამოყენებით რომ შეიქერებენ ხოლმე გულს. მას წილად ხედა მისია ნამდვილი რეფორმა მოვინდინა ქართული ფრაზის აღნაგობაში. ხოლო, რამდენადაც ეს საქმე ემყარებოდა ქეშმარიტად ტიტანურ შრომას („ძველთა ნიჭიერ მწერალთა“ თხზულებების, ფოლკლორისა და ხალხის ცოცხალი მეტყველების

გულდასმით შესწავლას ათეული წლების მანძილზე), რამდენადაც მწერალმა ჯერ აბსოლუტურად შეისისხლხორცა ქართველი კაცის ზეპირი თუ წერიტი მეტყველების უთვალავ ფერად განფენილი სამყარო, ამდენად, მის მიერ მოხდენილი რეფორმა ქართული ფრაზისა ინდივიდუალური კაპრიზის შედეგი კი არ ყოფილა, არამედ ქართული ენის უშინაგანესი წიაღიდან ამოიზარდა, ამ ენის ბუნების ორგანულ პროდუქტად მოგვევლინა.

ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: კონსტანტინე გამსახურდიას სტილის შესწავლა მომავლის საქმეა. აქ ჩემს თავს მხოლოდ იმის უფლებას ვაძლევ, მკითხველებს გავუზიარო, მართალია, ორი ათეული წლის მანძილზე წარმოებულ, მაგრამ მაინც წინასწარი პირადული დაკვირვებები. სხვაგვარი პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეთ ქვემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

უმთავრესი სიახლე, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ შესძინა ფრაზას, იყო დაღმავალი ინტონაციის შენაცვლება აღმავალი ინტონაციით.

როგორც უკვე აღინიშნა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული სალიტერატურო ენა განსაკუთრებით დაუახლოვდა ხალხის მეტყველებას. ოღონდ ამ საქმის მესვეურებმა და მათმა მიმდევრებმა სალიტერატურო ენისა და ხალხის მეტყველების ურთიერთმიმართების ყველა ასპექტი როდი მოიციეს (ამგვარი ტვირთის აწვევა ერთი და ორი თაობის ძალღონეს აღემატებოდა). ქართულ პროზაში დაინერგა უმთავრესად ის ინტონაცია, რომელიც ყველაზე რელიეფურად ქართულ ზღაპარშია გამოვლენილი. ეს ინტონაცია კი დაღმავალი ხასიათისაა, ფრაზის დასაწყისი უფრო ტევალია, ენერგიული, ფრაზის დასასრული — შედარებით დაწეული ტონუსის მქონე, უფრო მოშვებული, უმთავრესი სათქმელი დასაწყისში იყრის თავს, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი — ბოლოში. „ერთ დღეს ძმები სანადიროდ ერთ უცხო მთაში წავიდნენ. ნადირი ბევრი იყო. ინადირეს, დახოცეს ნადირი, მოეწონათ ადგილი, გაშალეს კარავი და დადგნენ. იმ ღამეს კარავში ეძინათ, დილით ადგნენ და ისევ ტყეს მიაშურეს“.

ამგვარი ინტონაციის თითქმის აბსოლუტურად გაბატონებამ საბოლოოდ მონოტონურობის დაღი დააჩნია არაერთი ქართველი პროზაიკოსის თხზულებებს. ამ მონოტონურობას ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე და კიდევ ზოგიერთი მწერალი ფრაზის ლაკონურობითა და ლაბილარობით აღუდგნენ წინ. ეს იყო „ბიბლიის“ მთარგმნელთა საუკეთესო ტრადიციების აღორძინება, მაგრამ ამგვარი სტილი ფართოდ ვერასგზით ვერ დაინერგებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სალიტერატურო ენა ლაკონურ გამოთქმასთან ერთად ვრცელ პერიოდებსაც საჭიროებს ერთობ ხშირად.

და. აი, კონსტანტინე გამსახურდიამ გამოამზეურა ხალხის მეტყველების წიაღში ღრმად დამარხული და ძველი ქართული პროზის ტრადიციებითაც დადასტურებული სხვაგვარი ინტონაციური აღნაგობა ქართული ფრაზისა. ამგვარი ფრაზა აღმავალი ინტონაციის მქონეა, რაც შინაარსეულად იმას ნიშნავს, რომ უმთავრესი სათქმელი ფრაზის ბოლოში იყრის თავს, ფრაზის დასასრული უფრო ტევადია და ენერგიული, შემართული, ზეაწეული ტონუსის მქონე. გრამატიკის ენით რომ ვთქვათ, ამგვარი ფრაზის სინტაქსი გულისხმობს პირდაპირი თუ ირიბი დამატების (ზოგჯერ აგრეთვე ქვემდებარის!), ვითარების, დროისა და ადგილის გარემოების გადაადგილებას შემასმენლის მომდევნოდ, წინადადების ბოლოსკენ, რასაც თან ახლავს ხოლმე სინტაქსური ტემპი — ურთიერთდაკავშირებული სიტყვების (მეტწილად მსაზღვრელ-საზღვრულის) გათიშვა. სახელდახელო მაგალითი: „კატაის მიერ მიწოდებული ჰარისა მიირთვა ვაზირთა უპირველესმა მცირედი. მღუმარედ უჯდა სუფრას, სასანთლეებისა და მაშხალების შექზე წმინდანს მიაგავდა იგი მარხულობისაგან დაშრეტილს“.

ფრაზის ამგვარი კონსტრუქცია თითქმის სავსებით გამორიცხავს მონოტონურობას, რასაც ვერაფრით ვერ ეგუება კონსტანტინე გამსახურდიას ტემპერამენტი. უნდა ვიფიქროთ, სწორედ მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად დანერგა მან აგრეთვე ერთი სტილისტური ხერხი — სხვათა სიტყვის ო-ს მომარჯვება წინადადების შუაში და არა წინადადების ბოლოს: „...ძილის დრო არისო უკვე“; „გლოვა გმართებხო, ცხენო. აღარა გყავსო გმირი კიაბერი“.

ოღონდ „დანერგა“ ზუსტად ვერ გამოხატავს საქმის ვითარებას. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: აღაორძინა.

რადგან ამ სტილისტურ ხერხს უძველესი დროიდანვე იცნობს ჩვენი ლიტერატურა. აბა მოვეუსმინოთ.

„ნუ თუ უწყოდით, ვითარმედ მრქვას ჩვენ — მოიყვანეთო ძნაჲ თქვენი?“ („წიგნი შესაქმეთა“); „ზეცას ღმერთი არსო და მას დაუბადებიაჲ ცანი და ქვეყანაჲ“ („სიბრძნე ბალაჰვარისი“); „უკეთუ ისმინოთ ჩემიო, კეთილსა ქვეყნისასა სკამდეთ, უკეთუ არა ისმინოთ, მახვილმან შეგკამნეს თქვენ“ („გობრონის წამება“); „...რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას...“ („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“); „რომლისათვის თქვეს თუ — მისი უნდაო მეფობაჲ გიორგის“ („იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“); „გვიშველეთო, გვიშველეთო, მგკობრეთა ამოგეწყვიდნეს!“ („ვეფხისტყაოსანი“).

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მწერალი აღნიშნულ სტილისტურ ხერხს ჩვეულებრივის პარალელურადაც ხმარობს, ესე იგი სხვათა სიტყვის ო-ს წინადადების შუაშიც მოაქცევს ხოლმე და წინადადების ბოლოსაც.

ერთი მხრივ: „შენ სთქუ — დავარღვიო და სამსა დღესა აღვაშე-
ნო ეგეო“ („ევსტათი მცხეთელის წამება“); მეორე მხრივ: „ვითარ-
ცა იტყვის პავლე მოციქული — მე ვარო ნარჩევი მოციქულთაჲ“
(იგივე).

ეს მოვლენა განსაკუთრებით თვალში საცემია „გიორგი მთაწმიდე-
ლის ცხოვრებაში“.

ერთი მხრივ: „ხსენებაჲ მართალთაჲ ქებით აღესრულებიხო“; „რო-
მელი იგი მე ოქროსა ქალაქ მქმნაო“; „...და თუ არა სისპეტაკე თმა-
თაჲ, არად სარგებელ არსო“; „...ძმასა თვისსა ნეტარსა ბასილისაო“;
„შეეკაზმენით და თბოლნი ეგე აღიყვანენით, რათა წინაშე მეფისა წარ-
ვიდეთო“; „ერთი კმა ხართ და სხვათა განისვენეთო“; „უკეთუ თარგჳა-
ნი არა იყოს, მკითხველი დუმენო“;

მეორე მხრივ: „წინაჲსწარმეტყველთა მრავალთა დაფარონო პი-
რი ყოვლისა ქვეყნისაჲ“; „სარწმუნოებაიჲ და სასოებაჲ ეგვეითარი
მაქვენდაო, რომელ ვითარცა ქრისტესა ვხედვედი“; „ეტყოდეს წმიდასა:
„წარგიყვანოთო წინაშე წმიდისა პაპასა“; „დიდად სწყულობსო მეფო-
ბა ჩვენი“.

ამ ნაწარმოებში ერთგან ისეთი წინადადებაჲ გვხვდება, რომელ-
შიც ორივე ხსენებული ხერხი შეირწყმის: „უდაბნოსა ადგილსა შეგვი-
ღამდაო ტყეთა შინა, და იყო ელვაჲ, ქუხილი და პაერი ბოროტი, და
შეიდგზის დააკვეთა ეშმაკმანო მწუხარე იგი მას დამესა, და პეროვინ და
იღრპენ და ყიფინ, ხოლო მე ვილოცვედიო“ (სხვათა შორის, ეს ის წი-
ნადადებაჲ, რომელიც სიტყვასიტყვით, თითქმის უცვლელად აქვს გა-
მოყენებული კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“,
სადაც ფარსმან სპარსის მოგონებებს უკავშირდება მოტანილი
ფრაზა).

აღნიშნულ სტილისტურ ხერხს ვაქა-ფშაველაც მიმართავს ხოლმე,
ვასილ ბარნოვიც. ოლონდ, ძველად თუ ეს ხერხი სპორადულად იყო გა-
მოყენებული, კონსტანტინე გამსახურდიამ მას კანონზომიერი ხასიათი
მიანიჭა. ამასთან, მან მტკიცედ დანერგა ერთი წესი: სხვათა სიტყვის ო
მხოლოდ და მხოლოდ ზმნას, შემასმენელს დაერთვის და არა ნებისმიერ
წევრს წინადადებისას. გარდა ამისა, კონსტანტინე გამსახურდია ჩვეუ-
ლებრივს ხერხსაც უბრუნდება ხოლმე დროდადრო, როგორც ჩანს, იმა-
ვე მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად („...მოიბოდიშა, ბერძნუ-
ლად ლაპარაკი გადაშავიწყდაო“; „...სხვისი სამოსით მშვენიერი რიკხე-
ნის გულის მონადირებას ლამობსო“).

დასასრულ, უნდა ითქვას შემდეგი: მკითხველთა ნაწილს ადრე ეგო-
ნა (ზოგს დღესაც ჰგონია), თითქოს აღნიშნული სტილისტური ხერხი
კონსტანტინე გამსახურდიას შეექმნას. ამასთან დაკავშირებით კვლავ და

კვლავ იხსენიებოდა ხოლმე კონსტანტინე გამსახურდიას ფრაზის „ზედ-მეტი სირთულე“ და „ხელოვნური კონსტრუქცია“. როგორც ხედავთ, მსგავსი მოსაზრებები გაუგებრობის შედეგად აღმოცენებულია და ამ საკითხის ირგვლივ კამათს არავითარი აზრი აღარ ექნება (მით უმეტეს, რომ აღნიშნულ სტილისტურ ხერხს დღეს უკვე საკმაოდ ხშირად მიმართავენ არა მხოლოდ მწერლები, არამედ მეცნიერნიცა და ჟურნალისტებიც. გარდა ამისა, ხალხური მეტყველებაც ადასტურებს ამ ხერხს).

ჴ

ჩემი რომანებისა და ნოველების წერისას მე არ დამჭირებია არც ერთი დასავლეთელი მწერლის ლიტერატურული სატელიტობა, რადგან სიჭაბუკეში ღიახაც ბევრი მისვამს შპრეეს, სენას, მოსკვა რეკასა, ტიმბრისა და ტემზის წყალი, მაგრამ ყველაზე მეტად მიმირთმევია შტკერისა და რიონისა.

კონსტანტინე გამსახურდია,
„რეატომუელის გამოცემის გამო“.

ვინც ქართული კულტურის განვითარების გზებს დაჰკვირვებია, უეჭველად შენიშნავდა ერთ ნიშანდობლივ მოვლენას: როგორც კი ეთნოგრაფიულობის სამანებს გასცდებოდა ეს კულტურა, მის წინაშე უმაღლვე აღიძვროდა საკითხი ცალკერძ დასავლურ და ცალკერძ აღმოსავლურ კულტურასთან თავისი მიმართების გარკვევისა. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევის ან ვისიმე კაპრიზის შედეგი. უფრო შორეულ ხანას რომ თავი დავანებოთ, ქართული რენესანსის ეპოქამ (X—XIII საუკუნეები) გარკვევით მიგვითითა ამგვარი მიდგომის აუცილებლობა, როცა თავს იღვა ხსენებული ორი კულტურის (დასავლურისა და აღმოსავლურის) სინთეზის დიადი მისია. ამით მკაფიოდ განისაზღვრა ქართული კულტურის რაობა და ის როლი, რომელიც მას, თუ რომ დასცლოდა, უნდა შეესრულებინა მსოფლიოს კულტურული განვითარების ისტორიაში.

ამგვარ მიდგომაზე უარის თქმა უეჭველად ნიშნავდა ქართული კულტურის განვითარების მაგისტრალური ხაზიდან გადახვევას და ცდას — ეთნოგრაფიულობის ნაჭუჭში გამოემწყვდიათ ან ეპიგონობის ბედითი დამლით აღებუქდათ იგი. ამიტომ არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ, დაცემის ხანგრძლივი ეპოქის შემდეგ, როგორც კი შეიქმნა ასე

თუ ისე ხელსაყრელი პირობები კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ხსენებული სინთეზის პრობლემა ხელახლა წამოიჭრა ქართველების წინაშე.

სხვა დარგთაგან ეს პრობლემა ყველაზე ადრე მწერლობამ იტვირთა. სხვებზე ადრე მწერლები ჩასწვდნენ იმ კეშმარიტებას, რომ ქართული კულტურის მაგისტრალური მიმართულების აღორძინებისა და თანადროული სულისკვეთების მასზე დამყნობის გარეშე ფიქრიც კი შეუძლებელი იქნებოდა უნივერსალური მასშტაბის ღირებულებათა შექმნისათვის. ამის დაჰადასტურებელია XVIII, XIX და XX საუკუნეთა ყველა დიდი მწერლის შემოქმედება. მართალია, სულ უკანასკნელ ხანებამდე საქართველოს არც ეცალა და არც შესაძლებლობა ჰქონდა კვლავ უშუალოდ ზიარებოდა დასავლურსა თუ აღმოსავლურ კულტურას. მაგრამ, სამაგიეროდ, იგი მიუბრუნდა ტრადიციებს ქართული რენესანსისა, რომელიც თავისთავად წარმოქმნილი იყო იმდროინდელ მსოფლიო აზროვნების უსაჩინოეს მონაპოვართა შერწყმის, სინთეზის საფუძველზე, განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენდა და, ამდენად, მისეულ ტრადიციათა აღორძინება თავისთავად ნიშნავდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის საკვანძო პრობლემების ზიარებას. ის გზა, რომელიც ევროპისაკენ გაკაფეს XVIII—XIX საუკუნეთა დიდმა მოაზროვნეებმა. წინააღმდეგ მოარული შეხედულებისა. ახალი, მანამდე სავსებით უცნობი სამყაროს აღმოჩენას კი არ გულისხმობდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აღორძინებას ძველქართული რენესანსული სულისკვეთებისა, რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო ცალმხრივი მიმართულებით ორიენტაცია. ქართული კულტურის კრიზისი მაშინ იწყებოდა ხოლმე, როდესაც მისთვის დაიხშებოდა გზა მსოფლიო აზროვნების სიმაღლეებისაკენ, ან კიდევ მხოლოდ ერთი მიმართულებით იყო გახსნილი ეს გზა. ასე იყო ეგრეთ წოდებული დაცემისა და აღორძინების ეპოქებში: XIV—XVI საუკუნეები ყოველგვარი გზის დახშვის ბედითი ნიშნით იყო აღბეჭდილი, ხოლო XVII—XVIII (ზოგიერთი გამოჩენისის გარდა) — ორიენტაციის ცალმხრივი მიმართვით. ამ ხანაში მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილს ადგათ ძველქართული კულტურის ათინათი, მხოლოდ ისინი ჩასწვდნენ ქართული კულტურის თავისებურების ღრმა საიდუმლოს და კიდევ შეეცადნენ კვლავ უნივერსალური ხასიათი მიეცათ თავიანთი მოღვაწეობისთვის — ეთნოგრაფიულობის თუ ცალმხრივი აღმოსავლური გავლენის, ეპიგონობის მძიმე უღლისგან დაეხსნათ ქართული კულტურა.

ქართული რენესანსული სულისკვეთების აღორძინება უწინარეს ყოველისა ნიშნავდა აზროვნების ისეთ სიმაღლეს და ინტერესთა სფეროს ისეთ სიფართოვეს, რომელიც აუცილებელია უნივერსალური წყობის

ფასეულობათა შესაქმნელად. სწორედ ეს იგულისხმებოდა ზემოთ, როდესაც ითქვა, რომ სხვა დარგთაგან მწერლობამ პირველმა დააყენა ხელახლა ქართული კულტურის სინთეზურობის დიდი პრობლემა. ამ პრობლემის გამო წუხილი მეტ-ნაკლები ინტენსიობით გამოვლინდა ჩვენი დროის ყველა დიდი მწერლის ნააზრევში.

კონსტანტინე გამსახურდია ერთ-ერთი პირველი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისი ხანის ქართველ მოღვაწეთაგან, რომლის წინამეც მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით წამოიჭრა აღნიშნული პრობლემა. ოღონდ მწერალი თავადვე გვამცნობს, რომ აქამდე მისასვლელად მას „დიდი და ვრცელი ზიგზაგების გავლა“ მოუხდა. სიჭაბუკის წლებში ძველთუძველესი ინდური კულტურის საკითხებით გატაცებულს თავდაპირველად ვერც კი წარმოედგინა ალბათ, რომ ამ საკითხებამდე ნიახლებისთვის სულაც არ იყო აუცილებელი უეჭველად შემოსავლელი გზით (ევროპის მერიდიანებით) აეღო გეზი ინდოეთისკენ, რომ ამავე საკითხებამდე მას ქართული აზროვნების ტრადიციებიც მიიყვანდა. გარნა იმხანად ჩვენი ერის წარსულზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობდა, ასე რომ ევროპაში განსასწავლად გადახვეწილი ჰქაბუკი, თავისი წინაპრებისგან განსხვავებით, დანტესა და იტალიური რენესანსის პრობლემათა შესწავლის შედეგად ხელახლა მოუბრუნდა აღმოსავლეთს — ირანს, არაბეთს, დაბოლოს — ბიზანტიას (იხილეთ „დიდოსტატის მარჯვენის“ ბოლოსიტყვა, ტომი II, „დავით აღმაშენებლის“ ბოლოსიტყვა, ტომი IV).

ეს ის დრო იყო (ჩვენი საუკუნის დამდეგი და ათიანი წლები), როდესაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდთა მამულიშვილთა ღვაწლის მეოხებით ქართული აზროვნება იმდენად მომწიფდა ხელახლა, უკვე შეეძლო უმეშვეოდ ზიარებოდა ევროპული კულტურის მონაპოვრებს. გარდა მომწიფებისა, ამ აზროვნებას უქმარობის მძაფრი განცდაც აწვალებდა. რადგან რამდენიმე ათეული წლის წინ შემეშვავებული კრიტიკიუმები უკვე მოძველებულიყო სინამდვილის, უწინარეს ყოვლისა — კულტურის სისხლხორცეულ პრობლემათა ყოველმხრივ გასააზრებლად. ამან განაპირობა იმდროინდელი ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა ევროპისაკენ. კონსტანტინე გამსახურდიამაც (თვითონ გვაუწყებს) 1912—1923 წლები ევროპაში განსწავლასა და მოგზაურობას შესწირა.

იმხანად ეს ნამდვილ გმირობას უდრიდა: მატერიალურ მომენტს არ ვგულისხმობ აქ, უმთავრესი სხვა რამ გახლდათ. საქართველოდან ბერლინში, პარიზში, რომსა თუ ლონდონში მოხვედრილ ახალგაზრდას ემუქრებოდა უდიდესი საფრთხე — იმდენად მოენუსხა ან სულაც გაესრისა იქაურ კულტურას, რომ ყოველივე ეროვნულისთვის საბოლოოდ ზურგი შეექცია, სკეპსიით გამსჭვალულს ორიენტაცია

დაეკარგა და უნუგემო კოსმოპოლიტად ქცეულიყო (ზოგიერთი ევროპაში წაუსვლელადაც ახერხებდა და ახერხებს ამას). ნუ გაგველიმება ამ სტრიქონების წაკითხვისას, დღევანდელი საზოპით ნუ შევხედავთ საქმის ვითარებას. დღესდღეობით ქართველ კაცს საკმაოდ ნათლად აქვს (ყოველ შემთხვევაში — უნდა ჰქონდეს) გარკვეული თავისი ერის კულტურული რაობა და ჩინებულად მოეხსენება (ყოველ შემთხვევაში—უნდა მოეხსენებოდეს), რომ არაეის წინაშე არ მართებს მორცხვად თავის დახრა. მაგრამ 50—60 წლის წინ სხვაგვარი იყო ვითარება. ბევრ, ძალიან ბევრ ახალგაზრდას აუბნია თავგზა ევროპული კულტურის დიდებულ მწვერვალთათვის თვალის გასწორებამ, რადგან უკომპასოდ უხდებოდათ ამ დამათრობელ სიმადლეთა მოლაზვა.

ეს ისეთი სენი იყო, მისი საწინააღმდეგო იმუნიტეტის გამოსაძღვავებლად არ გამოდგებოდა მარტოოდენ სულიერი მხნეობა და ურატატრიოტრზმის მკავე-მკავე აბები. საამისოდ აუცილებელი იყო კაცს აგრეთვე ჰქონოდა არტთუ იოლად საშოვნელი წამალი, აზროვნების ძალმოსილებად სახელდებული. და კიდევ: იშვიათი უნარი საქვეყნო საქმისათვის პირადულის დათმობისა, დაუცადებელ შრომაში სამშობლოსთვის თავის დადებისა.

დღევანდელი ახალგაზრდა კაცი მზამზარეული რეცეპტებით იზრდება და ზოგჯერ იმდენ უმადურებას იჩენს, არც კითხულობს, თუ ვინ ამზადებდა ან როგორი გარჯის ფასად ამზადებდა ამ რეცეპტებს. დღევანდელი ჩვენი საზოგადოება უკვე შეჩვეულია კულტურის ფაქტების გამო მსოფლიო მასშტაბებით საუბარს, დღევანდელი ჩვენი ეტალონები პროვინციულ შეზღუდულობას ველარ ეგუება. მაგრამ ვინ იტყვის: თითქოს ყოველთვის გექონდეს გათვალისწინებული წინა თაობათა ის ღვაწლი, ურომლისოდაც ამგვარი თვალსაზრისის მოპოვება არამტთუ შეუძლებელი იქნებოდა, უბრალოდ არც კი მოგვეზმანებოდა. „არც ერთ ერს არათერი შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ოდესმე რომელიმე დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მუერვედ არ უცვნია თავი. ამის გარეშე ყოველივე ეპიგონობაა და მსოფლიო პროვინციის უნიათო ლულული... არათერი ნაციონალური საყურადღებო არაა, რასაც უნივერსალური მნიშვნელობა არ მიეწყება“. დღესდღეობით თითქოს თავისთავად ნაგულისხმევ ჰეშმარიტებად მიჩნეული მსგავსი ლოზუნგები რამდენიმე ათეული წლის წინათ ნადვილ გადატრიალებას მოასწავებდა ქართველი კაცის შეგნებაში (ამიტომ იყო, რომ მხოლოდ გოცებას კი არა, გულისწყრომასაც იწვევდა ზოგჯერ). უნებურად აღიძვროდა კითხვები: გვაქვს კი უფლება ასეთი მასშტაბების მოზაზვისა? ისეთ სფეროებს ხომ არ ვეპოტინებით, სადაც ჩვენი მეობა და თვითმყოფადობა შესაძლოა უმოწყალოდ წიხრატას? როდის იყო, რომ ქართველობას დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მუერვედ

უგულეებია თავი? ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად ქართველ კაცს, რომელსაც უკვე გვარიანი დოზით ჰქონდა ნაგემები სკეპსისის ბანგი, წალმა პირს ვერ აქნევინებდით.

არა, მამულიშვილური გრძნობების გავლევებს როდი ეხებოდა საქმე-საყველბურო პატრიოტიზმი, ღვთის წყალობით, არასოდეს გველებია მაინცდამაინც. უმთავრესი სხვა რამ იყო, გაცილებით ძნელად განსახორციელებელი რამ: საჭირო იყო ისტორიული საზრისის პოვნა, მანამდე მხოლოდ ინტუიტურად ნაგზნებ ისეთ ასპექტთა მიკვლევა, წარმოჩენა, დასაბუთება, რომელთა წილშიც ქვეშარიტად სცნობდა თავის თავს დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მტვირთველი ერი. ამ დიდი საქმისთვის რამდენიმე გამორჩეული მოაზროვნე იღვწოდა საქართველოში და მათგან ყველაზე სამძიმო იქნებ იმ ორი თუ სამი ადამიანის ხედრი იყო, რომელთაც მხოლოდ ცნებებთან და ლოგიკურ კატეგორიებთან კი არ ჰქონდათ საქმე, სიტყვის სტიქიონთან მიწყვიტი რკენაც უხდებოდათ საუწყებელისთვის მხატვრულ ქსოვილთა შემოსაბლარდნად.

ახლა, როდესაც ჩვენს წინაშეა კონსტანტინე გამსახურდიას რჩეულ თხზულებათა რვატომეული, ძნელი არაა თვალი მივაღვენოთ, თუ როგორ იხვეწება და კრისტალდება მის აზროვნებაში ეს იდეალი, ძნელი არაა ჩავხვდეთ იმ ამბავს, რომ მან სიკაბუჯიდანვე ამ იდეალის განსახორციელებლად გადადგა თავი და სწორედ ისეთ სფეროებს დაეწაფა (თავდაპირველად იქნებ გაუცნობიერებლადაც), რომელთა შეცნობაც აუცილებელი პირობა იყო ამ იდეალის სამსახური-სთვის.

უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო აზროვნების აბსოლუტურად ევროპულ დონეზე ამალღება, რაც, ქართველი კაცის თანდაყოლილ ნიჭი-ჯრებასთან ერთად, უეჭველად გულისხმობდა უფართოესი მასშტაბის განათლებას. განსწავლის ამ პროცესში არ გამოირიცხებოდა (ვერც გამოირიცხებოდა!) უცხოური კულტურის გარკვეული ზეგავლენა, რასაც თავისთავად დაძლევედა მომწიფებული, სიკაბუჯის დუდილმომთავრებული აზრი და მწყობრი მსოფლმხედველობა, ამავე ზეგავლენასთან ბრძოლაში ჩამოყალიბებული. თავად მწერალი მოგვითხრობს ამის თაობაზე: „განსწავლისა და მოგზაურობათა წლებში მე არ დაძლეებია ბერგსონის, ედუარდ ჰარტმანის, არტურ შოპენჰაუერის, სვედენბორგის. შტაინერის და კირკეგოს ზეგავლენანი. უფრო მეტს ვიტყვოდი. განსაზღვრულ პერიოდებში ანგელუსს სილეზიუსს, სუზოს და ფრანჩესკო ასიზელის სუნთქვაც მომწვდენია. იმავე წლებში გატაცებული ვყოფილვარ ჩინური, არაბული და ინდური ფილოსოფიის შედეგებითაც“.

მაგრამ ყველაზე დიდი გავლენა კონსტანტინე გამსახურდიას პი-

როვნების ჩამოყალიბების პროცესში ღვთაებრივმა გოეთემ იქონია. მასში ჩასწვდა ევროპის ქალაქებში მოგზაური ქართველი ჰაბუკი პიროვნების იმ პარმონიულობას, რომლის წილშიც ძალდაუტანებლად შეირწყმის აზრის თვალშეუდგამი სიმაღლე, გონის შემშლელ უფსკრულთა წვდომის უნარი და უბრალო ადამიანური ვნებები, ყოველდღიურით ტკბობა და თრობა. მოგეხსენებათ, ეს ისეთი თვისებაა, საუკუნეთა მანძილზე ერთნელ და ორჯერ რომ გამოვლინდება ხოლმე. ეს არის ადამიანი, რომელიც, ერთი მხრივ — „ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი, ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი“, ხოლო, მეორე მხრივ — ღვინის მსმელი, მონადირე, არშიყი, რომელიც ყმაწვილურ ხუმრობასაც არ ითავილებს, რადგან „ამოა კარგი ლაღობა, ლაღსა შე-ვე-იქმს ლაღებად“ (სხვათა შორის, რენესანსის უმთავრესი ამოცანა სხვა არაფერია, თუ არ ცდა ამგვარი პიროვნების ანტიკური იდეალის აღდგენისა).

შემთხვევით არ მომხდარა, ცხადია, რომ სწორედ ამ პიროვნებას უძღვნა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი ერთი უმშვენიერესი ნაწარმოები — „გოეტეს ცხოვრების რომანი“. მაგრამ აქ მაინც სხვა რამ იყო უმთავრესი: გოეთეს პიროვნებაც და შემოქმედებაც ისევ და ისევ აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა სინთეზის პრობლემისკენ მიუთითებდნენ განსწავლის პერიოდში მყოფ ჰაბუკს. ხოლო ამ პრობლემის გულდასმით, გამოწვლილვით შესწავლას და ყოველმხრივ გააზრებას იგი ბოლოს და ბოლოს უნდა მიეყვანა იმის შეცნობამდე, რომ სწორედ ამგვარი სინთეზი იყო ქართული კულტურის ძველთუძველესი იდეალი, მისი ჭეშმარიტი მისია.

„მე მუდამ მინიშნებული მქონდა ის გარემოება, რომ ქართული კულტურის დიდი მოღვაწენი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა სამანებზე იდგნენ, ამ პოზიციებზე მდგარნი მუდამ სინთეტიურ გზებს ეძებდნენ. ქართული სიტყვისა, ფერწერისა და ხუროთმოძღვრების დიდოსტატები კარგად იცნობდნენ როგორც ირანს, არაბეთს, ისე ძველი საბერძნეთისა და ბიზანტიის კულტურულ საუნჯეებს. ისინი არასოდეს კმაყოფილდებოდნენ რეცეპტიული აღქმით, პირიქით, ახალ სიტყვას ეუბნებოდნენ თავიანთ თანადროულ მსოფლიოს“.

ეს, ასე ვთქვათ, თეორიული მხარეა საქმისა, ხოლო პრაქტიკულად: „დიონისოს ღიმილით“ მე მოვსაქებნე სინთეტიური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის“

გარდა ამისა, კონსტანტინე გამსახურდიას, ვითარცა ისტორიული რომანების ავტორს, ბოლომდე უნდა გაეაზრებინა, თუ როგორ გარდატყდებოდა საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ყოფაში ზემოთ მინიშნებული იდეალი. ამგვარი გააზრებისა და წვდომის გარეშე ჩვენს წინაშე გაკრთებოდა მოვლენათა ზედაპირული მდინარეება, ხო-

ლო მდინარების მამოძრავებელ იმპულსებს ვერ შევიგრძნობდით (ეს ნაკლი ყველაზე ნიშანდობლივია ისტორიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა მრავალი და მრავალი ავტორისთვის).

ფ

აზომ არ არის სოფლისა საღამო, არცა დილია,
სიზმრისა უფრო სიზმარი, ჩრდილისა უფრო ჩრდილია.

შვიდთა მნათობთა სინათლე გაქვს არა შენ დაყოფილი.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს მ ი მ ბ ა ძ ვ ე ლ ნ ა
იქ ესალმება შუქი ნათელს ზოდიაკალურს.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე

სინთეზის უმთავრესი ამოცანა იყო სამყაროს იმგვარი მოდელის მიკვლევა, რომელიც მაქსიმალურად შეესატყვისებოდა ქართველი კაცის ბუნებას, მის მსოფლშეგრძნებასა და ტემპერამენტს. ამგვარი მოდელი, იმავე აღმოსავლური თუ დასავლური კულტურებისკენ უკუფენილი (თუ წარმოვიდგენთ იდეალურ ვითარებას, რაც ისტორიული უკულმართობის გამოისობით ვეღარ განხორციელდა), აღმასვლის მძლავრი სტიმული შეიქნებოდა ამ კულტურებისთვის.

შუა საუკუნეთა გარემოებაში ეს იყო უადრესად ძნელად შესასრულებელი ამოცანა.

უწინარეს ყოველთა უნდა გარკვეულიყო „ზესთასოფლისა“ და „სოფლის“ (ანუ ზეციურისა და ამქვეყნიურის, ფილოსოფიურ ასპექტში — იდეალურისა და მატერიალურის, ერთისა და მრავალის, სუბიექტურისა და ობიექტურის) მიმართების რაობა. უამისოდ იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ფიქრიც კი არ შეიძლებოდა რაიმე მწყობრი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის.

როგორი მემკვიდრეობა მიიღო ქართული რენესანსის ეპოქამ (X—XIII საუკუნეები) ამ თვალსაზრისით?

თუ თვალს მოვაკლებთ ფილოსოფიური და რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის მდინარებას უძველესი დროიდან აღნიშნულ ეპოქამდე, ვნახავთ, რომ ამ მდინარების ძირითადი ნაკადი სოფლის უარყოფის პათოსით წარიმართა. ჯერ კიდევ პარმენიდემ გვაუწყა, რომ შეგრძნებათა სამყარო, სოფელი არა-არსია, არარაა, მოჩვენება, და მხოლოდ უგუხსურს შეუძლია იფიქროს, თითქოს არა-არსი არის და არსი (ერთი) არ არის. შემდეგ პლატონმა დაადასტურა, რომ ცვალებადობას დამორჩილებუ-

ლი სოფელი კიდევ არის და არც არის, იგი მხოლოდ აჩრდილია და არა ნამდვილი სინამდვილე¹. ეს ფუძემდებლური დებულებები ხალხით იქნა გაზიარებული ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში თავდაპირველად გნოსტიკოსებისა და მისტიკოსი პლატონელების, შემდეგ — ნეოპლატონიკოსებისა და ქრისტიანული ფილოსოფიის წარმომადგენელთა მიერ. ამას დაერთო, როგორც ჩანს, მანიქეიზმის დუალისტური მოძღვრებისა და ბუდიზმის გარკვეული გავლენანი, და მოხდა ძალზე ნიშანდობლივი რამ: წმინდა ფილოსოფიურმა, მეტაფიზიკურმა დებულებებმა თანდათანობით ემოციური შეფერილობაც შეიძინეს (პლოტინის ცნობილი შედარება: ღმერთი — სინათლის წყარო, და მისი ემანაცია — სხივი, რომელიც თავისი წყაროდან დაშორებისდა კვალობაზე თანდათანობით კარგავს სიცხოველეს და ბოლოს მატერიის წყვდიადში ინთქება. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ვინდელზანდის მახვილგონივრული შენიშვნა, რომ ამ შედარებამ შემდეგ თავად პლოტინისავე აზრთა წყობაზე იქონია გარკვეული ზეგავლენა). ამასთან, მეტაფიზიკური დებულებები ეთიკისა და ესთეტიკის სფეროშიც იქნა გადანერგილი (მატერიის ნეოპლატონურ-მანიქეური ეპითეტი — „ბნელი“, მსგავსად ზოროასტრული რელიგიისა, იქცა „ბორბოტი“ სინონიმად), გარდა ამისა, საქმეში ჩაერია სოციალური მომენტი — ეკლესიის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს უზურპაცია. და საბოლოოდ მივიღეთ თვალსაზრისი, რომელიც თანაბრად იყო დაშორებული როგორც ანტიკურ პირველწყაროებს, ისე ქრისტიანობის ამოსავალ დებულებებსაც: „რომელმან შეურაცხყოს საწუთრო და მოიძულნეს საქმენი მისნი, მან პოოს საუკუნესა მას წყალობაჲ დაუსრულებელი“.

ამ ეთიკური ფორმულის საყოველთაო დოგმად ქცევა ადამიანის პარმონიული განვითარების ანტიკური პრინციპის სრულ უარყოფას ნიშნავდა. აქედან — ასკეტიზმის ამაზრზენი ფორმები და კულტურული განვითარების მკაცრი რეგლამენტაცია, სულისშემზოთველი ატმოსფეროს დანერგვა და სწორედ იმ იმპულსების შეფერხება, რომელთა გაღვივებასაც ისახავდნენ უმთავრეს მიზნად პლატონიცა და პირველი ქრისტიანებიც. რადგან პლატონს რომ სხეული სულის საპყრობილედ მიაჩნდა და მისგან განთავისუფლების საჭიროებისთვის ლაპარაკობდა, არ ავიწყლებოდა იმის აღნიშვნა, რომ ამქვეყნიური ცხოვრება მომავლისთვის მომზადება უნდა იყოს, ხოლო მომზადება ადამიანის აქტიურ, ქმედით პრინციპთა დაუცადებელ წვრთნასა და სრულყოფას გულისხმობდა; ასევე ძველი აღთქმის „ცანი ცათანი უფლიანი არიან.

¹ შედარეთ: „პრონებნ უგუნური არსსა მას არა-არსად და არა-არსსა მას — არსად... ხოლო არსი იგი მერმე იგი სოფელი არს და არა-არსი — სოფელი ესე“. და შემდეგ: „სოფელი არს და ვითარცა არა არს“ („სიბრძნე ბლაპყარისი“).

და ქვეყანაჲ მოსცა ძეთა კაცთასა“ და ახალი აღთქმის „შაბათი კაცი-სათვის დაებადა, და არათუ კაცი შაბათისათვის“, ქანქარის მფლობელი მონის იგავი, „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა... არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად“ და მისთანანი — იმას მოასწავებდა, რომ ამ მოძღვრების მიმდევართაგან ქმედითს ცხოვრებას მოითხოვდნენ და სოფლის არა-არსობის მეტაფიზიკური დებულების გონითი, აზრითი და ფიზიკური საქმიანობის სფეროში მექანიკურად გადმონერგვა და მისთვის ემოციურ-ეთიკური ელფერის მინიჭება გაუგებრობის შედეგი იყო.

ამ გაუგებრობამ გარკვეული დროის განმავლობაში შეაფერხა ქრისტიანული მსოფლიოს კულტურული განვითარება და კაცთა მოდგმის არაერთი სასიცოცხლო იმპულსის ჩახშობას შეუწყო ხელი. აქედან—ის ხარვეზები დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანობის კულტურაში, დღემდისაც რომ არ ამოვსებულა საბოლოოდ, ის წყვეტილები, ანტიკურსა და რენესანსის ეპოქებს რომ თიშავს ერთმანეთისგან.

ადრეულ შუა საუკუნეთა ქართული კულტურა ქრისტიანობის დვიძლი შვილი იყო და, ამდენად, ყოველივე ზემოთქმული ამ კულტურაშიც იჩენს თავს მეტ-ნაკლებად. მით უმეტეს, რომ საქართველო დაკავშირებული იყო ქრისტიანობის აღმოსავლურ ფრთასთან, ხოლო აქ (როგორც ჩანს, სხვა აღმოსავლურ მოძღვრებათა ზეგავლენითაც) სოფლის მოძავების ისეთი ყოვლისმომცველი კულტა იყო დანერგილი, რომ მისით სუნთქავდა მთელი კულტურული ატმოსფერო.

„...სიმდიდრე წარმავალ არს, და პატიოსნებაჲ ცუდ იქმნების, და სიკეთე შეიცვალების, და შვენიერებაჲ განირყვნების, და ყოველივე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ ამოა იქმნების, და ვითარცა სიზმარი დაივიწყების, და ვითარცა კვამლი განქარდების, და ვითარცა აჩრდილი წარვალს“ (იოანე ოქროპირი);

„...შვებანი და გემონი სოფლისანი სიკედლისა შობენ, და სიკედლით მოაკვდინებს შვენიერებაჲ მისი (სოფლისა) ტრფიალთა მისთა“: „ამისთვის ევლტიან (გაურბიან) სოფელსა ამას მონაზონნი განშორებულნი. რაჲთა არა შეიტყუენეს შვენიერებამან მისმან წარმავალმან და დაუდგრომელმან, რომელი მსგავს არს სიზმარსა, და ვითარცა ჩვენებაჲ ღამისაჲ განქარდების“; „კეთილ არს შენდა საყოფელი საგლაზაკოჲ, უღონოჲ და უპოარი. ეს უმჯობეს არს სამკვიდრებელსა სოფლისასა შვენიერებითა სავსესა, რომლისა სამკვიდრებელი ცეცხლი და სატანჯველი არს“; „განვათავისუფლნეთ სულნი ჩვენნი მონებისაგან სოფლისა ამის მყის წარმავალთა და ცუდისა, რომელი სავსე არს ეკლითა და საფრთხითა მაკვდინებელითა“ (ეფრემ ასური).

ამ რაფინირებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ შეგონებებს საყო-

ველთაობის პრეტენზია ჰქონდათ და სრულიად ვეღარ ითვალისწინებდნენ სახარებაშივე მოცემულ გაფრთხილებას, რომ „არა ყოველთა დაიტიონ სიტყვაჲ ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს“. ამდენად, აღნიშნული ეთიკური კრედო იმავე ქრისტიანობის თვალსაზრისით ქვეშარიტი შინაარსისგან დაცლილი იყო და ხელის შეწყობის ნაცვლად აფერხებდა ისტორიის ლოგიკურ მდინარებას. სოფლისა და ზესთასოფლის ამგვარი გათიშვა, შეურიგებელი დაპირისპირება (სოფელი — ბოროტება, ზესთასოფელი — სიკეთე) სრულიად შეუძლებელს ხდიდა რაიმე გამოსავალი მოძებნილიყო წარმოქმნილი მსოფლმხედველობრივი ჩიხიდან, და ამას კულტურის სფეროშიც სავალალო შედეგები ასლდა ხშირად.

ქრისტიანობის პირველი ქართველი აღმკვეთებიც გულმოდგინედ შეეცადნენ სოფლისა და ზესთასოფლის შეურიგებელი დაპირისპირების, სოფლის მოძაგების პრინციპებით ეხელმძღვანელათ და ამ საფუძველზე დაემყარებინათ ახალი ქრისტიანული კულტურა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაკადმა ქართულ მწერლობას შესძინა ისეთი შედეგები, როგორცაა „შუშანიკის წამება“ ან „სიბრძნე ბალაჰვარისი“ (სხვა ნაწარმოებთა გამო რომ აღარაფერი ვთქვათ). აღნიშნული ცდა მანაც იმთავითვე განწირული იყო. ოღონდ იმიტომ კი არა, თითქოს (როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს) საქართველოში ძლიერი ყოფილიყოს წარმართული კულტურის გავლენა და მისი გადმონაშთები. ვფიქრობ, სოფლისა და ზესთასოფლის დაპირისპირებისა და გათიშვის მსოფლმხედველობაში თავჩენილი კრიზისის მიზეზი ამ მსოფლმხედველობის წილშივეა საძიებელი. ხოლო ის გარემოება, რომ ეს კრიზისი საქართველოში გაცილებით ადრე შეიქნა საცნაური, ვიდრე სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, უნდა აიხსნებოდეს სამყაროს ამგვარი მოდელის სრული შეუსაბამობით ქართველი ადამიანის ბუნებისადმი, მისი ფსიქიკური წყობისადმი, მისი მსოფლშეგრძნებისა და ტემპერამენტისადმი, რაც გარკვეულ ისტორიულ-გეოგრაფიულსა და სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში ყალიბდებოდა ათეულ საუკუნეთა მანძილზე.

უკვე „შუშანიკის წამებაში“ გაისმის იმის მომასწავებელი სიგნალები, რომ, მიუხედავად სოფლის ამოების მძაფრი შეგრძნებისა და ამ დარგში არსებულ შეხედულებათა ჩინებული ცოდნისა („ესე ყოველი ცხოვრებაჲ ვითარც ყვაილი ველთაჲ წარმავალ არს და დაუდგრომელ...“), მისი მოძაგება განუკურნებელ ტრაგიზმად და უფსკრულის სიცარიელეს ბადებს საბოლოოდ. „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში... — აღმოხდება სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე შუშანიკს.— შიავოს მას უფალმან, ვითარ მან უყამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთვლნა

და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვაველი ჩემი დააქნო, შეენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა“.

ავიოგრაფიის კანონიკური სახეობისთვის აბსოლუტურად უცხო და მიუღებელი ეს გატირება უღროოდ დამქვანარი სიცოცხლის, მშვენიერების და დიდებისა, წმინდანის ეს გოდება სოფლიურ სიკეთეთა გამო იმდენად გულის შემძვრელია, რომ მის ფონზე ერთობ მკრთალდება უამისოდაც ეგოისტური სულისკვეთების მიწინაშეხებული ნუგეშინი: „ჭირისა ამიაა წილ ქრისტემან მომმადლოს მე სინარული, სატანჯველთა ამათ წილ — განსვენებაჲ, გვემათა ამათ ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა მივემთხვიო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა“.

ასევე არ ეთმობა სოფელი წმინდანობის საფეხურამდე ამაღლებულ აბენეს მეფეს („სიბრძნე ბალაჰვარისი“) სიკვდილის წინ: „ნუ მამბრალობ, შვილო, შეწუხებასა, რამეთუ ბუნებით თანა-აც ყოველსა სულსა მწუხარებაჲ განშორებისათვის ხორცთაჲსა და დატევებისათვის ჰაერისა და ნათლისა და წარსლვისათვის უცხოებად, სადა-იგი არა ვიცით, თუ ვითარსა იწროებასა მივალთ“.

ასევე ვერ ახერხებს „სიბრძნე ბალაჰვარისის“ ქართველი ავტორი სოფლის მოძაგებისა და უდაბნოდ გასვლის მოსწრაფე როდასაჲ მეფეს ასე თუ ისე დამაჯერებელი პასუხი მიაგებინოს მის მიერ სამეფოს მიტოვებით შეშფოთებულ დიდებულთა შეეითხვისა და საყვედურისთვის: „უკეთუ დაუტეო ესოდენი სიმრავლე უწინამძღვროდ, და ანუ აღდგენ ბრძოლანი და შფოთნი, ანუ კვალად მიიქცენ კერპთა მიმართ, არა შენგან იზღვიოსა ესოდენი სული, რომელ არს სამეფოსა ამან შინა შენსა?“

ეს გაუცნობიერებელი, მეტწილად ინტუიტურად გამოვლენილი წუხილი სოფლისა და ზესთასოფლის გათიშვის მქადაგებელი მსოფლმხედველობის კრიზისის გამო ბოლოს და ბოლოს ფართო სადინარს პოულობს და დაჟინებით მოითხოვს სამყაროს იმგვარ მოდელს, რომელიც ამოავსებდა ამ პირამუქმულ უფსკრულს, მისედააგებოდა აღმავლობის გზაზე მდგარი ქართული კულტურის ძირეულ ტენდენციებს.

და ამგვარი მოდელის დასახვა შესაძლო შეიქნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის განსაცვიფრებელ მოძღვრებაზე დამყარებით (ქართული რენესანსის ამ ფილოსოფიური ძირის მიკვლევა და ხაზის — არეოპაგელი-რუსთაველი გავლება აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის საშვილი-შვილო დამსახურებაჲ. მასვე ეკუთვნის აღმოჩენა, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი არის იგივე პეტრე იბერი, მეხუთე საუკუნის ქართველი მოღვაწე). ეს არის ნეოპლატონიზმის წიაღიდან აღმოცენებული, მაგრამ საბოლოოდ სრულქმნილი ქრისტიანული მსოფლმხედვე-

ლობა აქ სამყარო დასახულია საფეხურებად განფენილ სიკეთედ. რომლის მწვერვალს წარმოადგენს ერთი ანუ ღმერთი (გონებით მიუწვდომელი, შეუცნობელი და გამოუთქმელი ზესთასიკეთე). ღმერთი არის ყოველივე შექმნილსა და გამოვლენილში, ამდენად, ბოროტებისთვის არსად რჩება ადგილი. მატერიაც კი არ არის ბოროტება (ნეოპლატონიკოს პროკლეს მიერ მიკვლეული აზრი), ბოროტება საერთოდ არ არსებობს სუბსტანციურად („ბოროტი არცა არსთა შორის არს, არცა არა არსთა“). ის, რაც გარკვეულ საფეხურზე ბოროტებად გვეჩვენება, არის მხოლოდ სიკეთის ნაკლებობა და არცოდნა იმისა, რომ ყოველივე არის სიკეთე. ზესთასიკეთე, ერთი, ღმერთი შეუცნობელია, მაგრამ შესაცნობია მის მიერ გარდამოფენილი ნათელი, რომელიც, ისევე როგორც ხილული მზე. თანაბრად მიეფინება ყოველ ქმნილებას (ხოლო რამდენად ეზიარება ამ ნათელს, სიკეთეს ესა თუ ის ქმნილება, დამოკიდებულია ნათლის მიმღებლობის მისსავე უნარსა და ძალაზე). ღმერთი არის ყოველივეში, ოღონდ ყოველივე როდია ღმერთში („იგი ყოველსა თანა არს, ხოლო ყოველი არა მის თანა არს... რამეთუ იგი ზრა ადგილსა შინა არს, რაჟთა შორვიდეს ვისმე, არცა სხვითი-სხვად მიიცვალეზის, არამედ ყოველთავე არსთა შინა ყოფაჲ მისი ითქმის ყოველთა უზეშთაისისა და ყოველთა გარე-შემცველისა უზომოჲსა მიუწვდომელობისა მისისაგან“). მაგრამ ყოველი არსი ისწრაფვის მისკენ, ისწრაფვის მეტი და მეტი სინათლე, სიკეთე შეიმოსოს, თანდათანობით მიეახლოს ღმერთს. ეს აღმასვლა ანუ უკუსვლა (გამოვლენილი სამყაროს ერთისად მიბრუნება) სპირალური გზით ხორციელდება, ზემდგომ იერარქიათა წიად, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთი კი არ დაბლდება ამ იერარქიულ საფეხურებზე, არამედ არსნა მალღდებიან თანდათანობით (არეოპაგელს მოაქვს ამგვარი მაგალითი: ზღვის კიდეს მიახლოებული მენავენი კლდეს გამობმულ საბელს მოზიდავენ და მოიმოკლებენ. ამის შედეგად კლდე კი არ უახლოვდება ნავს, არამედ ნავი—კლდეს. „არა მას შთამოვიზიდავთ, რომელი ზეცა არს და ქვეცა, არამედ ჩვენ მის მიერ აღვიყვანებით...“). და ეს სწრაფვა ამაღლებისაკენ, სრულქმნისაკენ, სიკეთისაკენ იმდენად ყოვლისმომცველია, რომ (არეოპაგელი გამოთქვამს გამოგნებელ აზრს) „სახიერებისა მიმართ ზეშთა ყოველთა არსთაჲსა თვით მას არა-არსხსაცა სურის და იბრძოლების ვითამე კეთილისა მიმართ... არა-არსიცა მიიღებს კეთილისა და სახიერებისაგან“.

ასე დაუბრუნდა ფილოსოფიური აზრი მკაცრად მონისტურ საფუძვლებს, ასე წარმოისახა კვლავ ჰარმონიულ მთლიანობად საუკუნეთა განმავლობაში ზესთასოფლად და სოფლად გათიშული და გახლეჩილი სამყარო. და ამ სამყაროს იერარქიულ წყობაში არც ერთ ქმნილებას, რაგინდ დაბალ საფეხურზე მღგარი და უმნიშვნელოც უნდა ყოფილი-

ყო, არ ეკარგებოდა პერსპექტივა სიკეთეს, სინათლეს და, ამდენად, ერთს ზიარებოდა (თავორის მშვენიერი გამოთქმა რომ გავიხსენოთ, ბალახს არ უხდებოდა ამოა და განწირული ძალისხმევა, რათა უქველად ხედ ქცეულიყო), ყოველი ქმნილება თავისივე გვარის ფარგლებშიც ახერხებდა სრულყოფას. ერთის ნათელით შუქფენილ ამ სამყაროში ქარწყლდებოდა ზარდამცემი და, ამასთან, ბუნების საწინააღმდეგო შიში მატერიალურისა და ხორციელის წინაშე. ამგვარი სიღრმით გაგებული და ინტერპირებული ქრისტიანობა ადამიანს ათავისუფლებდა სოფლის მოძულების მლიქვნელურ-ფარისევლური და, საბოლოო ჯამში, ეგოისტური სწრაფვისაგან და სამყაროს ნამდვილ თანაშემოქმედად სახავდა, რადგან ფორმულას — „კაცი ამოებაა მიემსგავსა და დღენი მისნი ვითარცა აჩრდილნი წარხდეს“, უპირისპირდებოდა გაგება ადამიანის, როგორც ერთის წილის და ერთისად აღმავალისა, რომლის ცხოვრებასა და საქმიანობას ღვთაებრივი ნათელი ეფინებოდა და არა სატანის შემადრწუნებელი აჩრდილი და, ამდენად, ქეშმარიტ ღირებულებას იძენდა ეს ცხოვრება (ხოლო რაოდენ ფასდაუღებელი მონაპოვარი იყო ადამიანის არსების ამგვარი გაგება ადრეულ შუა საუკუნეთა პირობებში, ამის უკეთ გასათვალისწინებლად კიდევ ერთი ციტატი მოვიშველიოთ: „გულისხმა-მიყოფია ამოებაა ამის სოფლისაჲ და ქეშმარიტად მიცნობია, რამეთუ არარაჲ არს კაცი, გარნა მატლი და წუთხი, მტვერი და ნაცარი განქარვებადი მსწრაფლ“).

გამთლიანებული სამყაროს ამგვარი მოდელი წარმოადგენდა იმ იდეოლოგიურ საფუძველს, რომელსაც, როგორც ითქვა უკვე, ინტუიტურად ესწრაფვოდა ქართული ქრისტიანული კულტურა დღიდან აღმოცენებისა. სოფლისა და ზესთასოფლის პარმონიული შერწყმა და, აქედან გამომდინარე, აზრის შეუდარებელი თავისუფლება, ქმედითი ცხოვრების იდეალი და ადამიანის, პიროვნების წინა პლანზე წამოწევის პერსპექტივა მალამოსავით ედებოდა უდაბნოს სუნთქვითა და ქეშმარიტი შინაარსისგან დაცლილი ასკეტიზმით დაშაშრულსა და განაწამებ ფსიქიკას. ეს ყოველივე ჩინებულად ეხამებოდა აღმავლობის გზაზე მდგარი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიას. ქვეყანა მისთა შვილთაგან (სულ ერთია, ერისკაცი იქნებოდა თუ შავი ან თეთრი სამღვდლოების წარმომადგენელი) ქმედითს ცხოვრებას მოითხოვდა და არა განდგომას და ოდენ საკუთარი სულის გამოხსნისათვის ზრუნვას. ხოლო ქმედითი ცხოვრება წარმოუდგენელი იყო ადამიანის პარმონიული სრულყოფის გარეშე.

ამ თვალაზრისით საგულისხმოა, ადამიანის როგორი იდეალი ესახებოდა, ერთი მხრივ, სოფლისა და ზესთასოფლის გათიშვის პოზიციაზე მდგარსა და, მეორე მხრივ, მათი პარმონიულად შერწყმის პო-

ზიციანზე მდგარ ორ ავტორს. ციტატების მოხმობამდე გავითვალისწინოთ, რომ ორსავე შემთხვევაში საქმე ეხება არა ერისკაცს, არამედ სასულიერო პირს, მონაზონს, რომელიც სულიერი განვითარების თვალსაზრისით (შუა საუკუნეთა ქრისტიანული ეტალონების თანახმად, რაღა თქმა უნდა) ირგვლივ მყოფთათვის მიუწვდომელ სიმაღლეზეა ასული:

„ხოლო ბალაჰვარ განიძარცვა სამოსელი იგი, რომელი ემოსა ზედა კერძო, და იყო ყოველი გვაში მისი გამხმარ და დამქცნარ, და ტყავი ოდენ გარდართხმულ ძვალთა ზედა“ („სიბრძნე ბალაჰვარისი“);

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა (ტანი) სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გვაშითა მრთელ და სულითა უბიწო“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ეს იყო უკვე რენესანსული მშერით დანახული ადამიანი, მართალია, ბერი, მაგრამ ქმედითი ცხოვრებისთვის თავგადაღებული, რომელიც, თუკი საჭიროება მოიტანდა, თორნიკეს მსგავსად გაიხდიდა ბერულ ჩოხას და ხმლით შეებრძოლებოდა მამულის მტრებს.

ამგვარი მშერა დახშული აღარ იყო არც ადამიანის და არც ბუნების მშვენიერების მიმართ, რადგან შეგრძნებათა სამყარო ბოროტების სადგურად კი აღარ მიაჩნდა, არამედ იმ ასპარეზად, სადაც მოქმედების მეოხებით ჰარმონიულად უნდა განვითარდნენ და გამოვლინდნენ ადამიანის არსების უღრმესი შესაძლებლობანი. ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, როგორი სიყვარულით, როგორი შეფრთხინვით შესცქერის ბუნებას და ადამიანებს იგივე გიორგი მერჩულე:

„ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულმან წარმოთქვა ქებაჲ ხანძთისაჲ, ვითარმედ: კეთილ არს უდაბნოჲ¹ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზაუებითა ყოვლით კერძო. და აქვს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარე, შვენიერი, გრილი და ჰამოჲ, და მდნარათა სიმრავლე ურიცხვი და მცირედი რაჲმე სხვაცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა“.

„ამისა შემდგომად უბრძანა დიდსა ზენონს:

— ძმაო, შთავიდეთ ვენახად...

რამეთუ ესა იყო სთვლისაჲ. და შთავიდეს ორნივ ზოგად ვენახსა მას შენებულსა მისსა კეთილად-ნაყოფიერსა. და ესა მას შინა მოვიდა სანატრელი მამაჲ მაკარი ოპიზელი... და ვითარცა-იგი ფრად განიხარეს და სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთას, და რამეთუ იყო ესა

¹ „უდაბნო“ ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით კი არ იხმარება, დაუსახლებელ ადგილს ნიშნავს.

პურის ჭამისაჲ, პურად ხოლო დასხდეს. და შემდგომად პურის ჭამისა განიზრახეს მუნ დადგრომაჲ ვიდრე ხელისადმდე“.

ერთი ნაბიჯიც და ჩვენს წინაშე წარმოისახება სურათი ქართველი კაცის იმ იგავმიუწვდენელი ხორციელი და სულიერი მშვენიერებისა, თვით დამპყრობი გადამთიელნიც რომ განცვიფრებაში მოჰყავდა. ასე მონუსხა და გააოგნა მეფე არჩილის სხივმოსილმა მშვენიებამ მურვან ყრუს შემცველი სარკინოზი ჭიჭუმ-ასიმი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შესამუსრად იყო ამხედრებული, დიდხანს არ ემეტებოდა სასიკვდილოდ მოსისხლე მტერი. „და ვითარცა ცნა (ჭიჭუმ-ასიმმა) მოსლვა სანატრელისა ამის (არჩილისა). განიხარა ფრიად, აღდგა და მიეგება წინა, და დიდითა დიდებითა და სიხარულითა უზომოთა შეიწყნარა, და ვითარცა შვენოდა დიდებულებასა ამისსა, ეგრეთ პატივით მოიკითხა... და აქო სიკეთე და სისრულე ჰასაკისა (ტანი) მისისა და უფროხსად შვენიერებაჲ პირისა მისისაჲ. და შეუყვარდა ქცევაჲ და წესიერებაჲ მისი, და დიდითა პატივითა პატივ-სცემდა და განუსვენებდა, და ნიკთა (საჩუქარი) დიდ-დიდთა ანიკებდა, რამეთუ ღირსცა იყო სანატრელი ესე ზეშთა დიდებულებისა და პატივისა არა ხოლო თუ ოდენ მეფობითა და გვართა სიმაღლითა, არამედ უფროხსად შესახულებითა და ანაგებთა (აღნაგობა) ბრწყინვალეებითა, და უმეტესად შინაგანისა სულისა ბრწყინვალეებითა და სათნოებათა სიკეთითა... ესე მძლავრი (ჭიჭუმ-ასიმ), დაღაცათუ უღმრთო იყო, არამედ სიკეთისა მისისაგან და დიდებულებისა ეკლძიმებოდა (რცხვენოდა) და პატივ-სცემდა... არა ენება სიკვდილი მისი შვენიერებისათვის ხატი-სა მისისა და სიმაღლისათვის, და სისრულისა ჰასაკისა მისისა... ხორცთა ფეროვნებასა აქებდა და დაუკვირდებოდა (უკვირდა) ყვავილოვნებაჲ იგი სახისა მისისაჲ“.

ამგვარი იყო ის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რასაც დაემყარა ქართული რენესანსი. ატეოპაგიტის ეს მოძღვრება, თავისთავადაც დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა უმაღლესი სინთეზის საფუძველზე შემუშავებული ქართველი კაცის — პეტრე იბერის მიერ, იშვიათი სიზუსტით მიესადაგა როგორც ქართველი ადამიანის ბუნებას, მის თანდაყოლილ მიდრეკილებებს, მის უღრმეს იმპულსებს, ისე X—XIII საუკუნეთა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროს. ასეთი სიღრმით შეცნობილი ქრისტიანობა აღარ აფერხებდა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზისათვის შემდგომ მუშაობას, არ ეწინააღმდეგებოდა ადამიანობის იმ მაღალ იდეალს, რომელიც, საქართველოსგან განსხვავებით, ევროპაში გაცილებით გვიან იქნა მიკვლეული,

კონფესიონალობის შემხუთველი არტახებით ვეღარ ზღუდავდა გალაღებულსა და ძალმოცემულ აზროვნებას და პასიურობის ნაცვლად ქმედითი ცხოვრებისკენ მოუწოდებდა. პარმონიულ მთლიანობად დასახული სამყარო ძრწოლის მომგვრელი საშინელება კი აღარ იყო, არამედ მშობლიური, შექდაფრქვეული ნავთსაყუდელი, სადაც ბოროტებად, მოჩვენებად, სიზმრად, ილუზიად, მაიად მიიჩნეოდა არა ცხოვრება, არამედ არცოდნა (არცოდნა იმისა, რომ სოფელი და ზესთასოფელი პირაშემული უფსკრულით არ არის გათიშული), და არცოდნის ამ საბურველის ჩამოხსნით უმადლეს სიბრძნეს ზიარებული ადამიანი „ზესთ მწყობრთა წყობის“ შესართველად განემზადებოდა.

ამგვარი იყო სულიერი ლანდშაფტი იმ ეპოქისა, რომელსაც მიეძღვნა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“.

4

გიორგიმ ხმალი შემართა კვლავ, უფრო მძინვარე გაუხდა სახე... სწრაფად მიიმწყვდია მოპირდაპირე... და მერმე მთელმა ტომმა დაიზრიალა... გაფითრებულ ქალუნდაურს ხმლის ვადა ეჭირა ხელში. გაუღიმა გიორგიმ ფხოველს, უცნაურმა სიკეთემ გაიღვლა მის თეთრ კბილებზე.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თანადროულ დასავლურ მწერლობას ერთი ძალზე ნიშანდობლივი თვისება ახასიათებს: გაძლიერდა ტენდენცია პოეზიის პროზასთან და პირუკუ — პროზის პოეზიასთან დაახლოებისა. კერძოდ, ამერიკული პროზის შესახებ ეს აზრი სავსებით კატეგორიულად აქვს გამოთქმული პროფესორ ნიუტონ არვინს: „ამერიკული პროზის გულუბრყვილო უბრალოება, უფერულობა და (ხშირად) უსიცოცხლობა ახალ რომანებსა და მოთხრობებში სულ უფრო მეტად უთმობს ადგილს სიტყვიერი ქსოვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას. მწერალნი ისწრაფვიან იმისკენ, რომ მათი ენა ასოციაციური, ქარაგმული, „ორაზროვანი“ — ერთი სიტყვით, პოეტური იყოს. მეტიც, გაძლიერდა სწრაფვა ამერიკული პროზის მუსიკალურ და, განსაკუთრებით, რიტმულ შესაძლებლობათა გამოყენებისაკენ: ბგერითი მხარე, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე უგულუბელყოფდნენ ჩვენი პროზაიკოსები, კვლავ ყურადღებას იპყრობს... საფიქრებელია, რომ მომავალში მხატვრული პროზა მკრთალი გამოსახვისა და ფაქტოგრაფიულობის ნაცვლად თხზვასა და სახეობრიობას შეიძენს თანდა-

თანობით, ესე იგი ისეთ თვისებებს განივითარებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, პოეზიას ვუკავშირებთ ხოლმე უმთავრესად. მე მხედველობაში მაქვს არა პროზის სტილისმიერი თავისებურებანი, არამედ უფრო ღრმა, ფარული რამ, სახელდობრ, მხატვრული ნაწარმოების შექმნის უადრესად ინტიმური პროცესი — იმ წამიდან, როცა იგი ჩაისახება მწერლის აზრში, ვიდრე საბოლოო ხორცშესხმამდე. მთავარია, რომ თანადროული ლიტერატურა ჩვენს თვალწინ სულ უფრო და უფრო მითოსური ხდება. იგი სახესა და მეტაფორას მიმართავს აზრის იმგვარი სისრულისა და სიღრმის გამოსახატავად, რომლის გამოთქმა შეუძლებელია ფაქტების მარტივი გადმოცემით ან რეპორტაჟის მეთოდით“.

საკუთრივ ამერიკული მწერლობის შესახებ გამოთქმული ეს მოსაზრებანი, თუ არ ვცდები, თანადროული დასავლური ლიტერატურის საერთო ტენდენციასაც მიგვანიშნებენ. ამ ტენდენციის საფუძველი კი არის სწრაფვა მითოსის აღორძინებისა — დასავლური მწერლობა ცდილობს მსოფლმხედველობრივი ჩიხიდან გამოსავალი იმით იპოვოს, რომ მინიატურული მასშტაბით გაიმეოროს რენესანსის ეპოქისეული მიბრუნება ანტიურობისკენ. საქმე ის არის, რომ რენესანსის დროინდელმა ევროპამ გათიშული სამყაროს გამთლიანება შეძლო მხოლოდ მხატვრულად და არა ფილოსოფიურად. იმხანად, მსგავსად ელინური საბერძნეთისა, პოეტები ფილოსოფოსობდნენ და ფილოსოფოსნი პოეტობდნენ. მაგრამ მომდევნო რაციონალიზმის ეპოქამ უღმობლად შემუსრა სოფლიდან ზესთასოფლისკენ ვაივაგლახით გადებული საცალფეხო ხიდი, რასაც მოჰყვა თავისი ლოგიკური დასასრული: კანტმა საბოლოოდ აკურთხა ვერმისაწვდომობა შეგარძნებათა სამყაროს მიღმა არსებული (თუ არარსებული) საწყისებისა. ასე დაიწყო ბურჟუაზიული ფოლოსოფიის კრიზისი, რისგანაც თვით ჰეგელის მონუმენტურმა სისტემამაც ვერ იხსნა ევროპა მყარი გნოსეოლოგიური ბალავარის უქონლობის გამო. ყოველივე ამის შედეგად: ნიცშეს გოდება დიონისური საწყისის ნაცვლად აპოლონურის ზეობის გამო; სიმბოლისტების განწირული ცდა — სიტყვის მაგიით სწვდომოდნენ ზესთასოფლურს; საბოლოოდ — „ღმერთის დაკარგვა“ და ექსისტენციალიზმი; ხოლო რამდენადაც მეოცე საუკუნის დამდეგიდან დასავლური მწერლობა სულ უფრო მეტად ესწრაფვის ინტელექტუალურობას და სამყაროს ფილოსოფიურ გააზრებას, ყოველივე აღნიშნულმა ამ მწერლობაშიც ძალუმად იჩინა თავი. ძალზე რელიეფურად ჩანს ეს ამბავი. მაგალითად, კაფკას შემოქმედებაში, რომელიც უკვე საბოლოოდ „ღმერთდაკარგული“ მწერალია. ეს იყო უკანასკნელი ჩიხი, რომლის იქითაც ლიტერატურას აღარსაით წაესვლებოდა, გარდა თვითმკვლელობისა (საამისო ცდაც არ დაუკლიათ უკანასკნელი დროის ფორმალისტებს). და, როგორც ითქვა, ჩიხიდან გამოსავლად დაისახა ლოზუნგი—

მითოსისაკენ მიბრუნება. ის ფუნქცია, რაც ქრისტიანულ ღმერთს დააკარგვინეს, წარმართულ ღვთაებებს უნდათ ატვირთვინონ...

მსგავსი კატაკლიზმები ქართული მწერლობისთვის თუნდაც იმიტომ იყო უცხო (სხვა მიზეზთა გამო რომ აღარაფერი ვთქვათ), რომ, რა ერთხელ გამთლიანდა გათიშული სამყარო მის წიაღში, მერმე აღარ დარღვეულა ეს ჰარმონიული მთლიანობა, რადგან მთლიანობის მყარ ფილოსოფიურ ხაზს მისდევდა. ხოლო ამან სამყაროს ჰარმონიულად აღქმის იმდენად მძლავრი ტრადიცია შექმნა ქართულ მწერლობაში, მისი დარღვევა უკვე შეუძლებელი იყო (მოვიგონოთ, როგორ ძალდაუტანებლად ახერხებს დავით გურამიშვილი უღრპესი ქრისტიანულ-ნეოპლატონური მისტიციზმისა და „ქაცვია მწყემსის“ პერსონაჟთა ეროტიკის შერწყმას, მოვიგონოთ „მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან, შეილნი სოფლისა“ ან „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა“...). ამიტომ მითოსისაკენ მიბრუნება არასოდეს ქცეულა ქართული მწერლობის ორგანულ, შინაგან მოთხოვნილებად. ის, რის ხელახლა მოპოვებასაც ამოდ ესწრაფვიან დასავლელი მოაზროვნენი, ქართველ კაცს, შეიძლება ითქვას, აკვნიდანვე თან ახლავს მუდამ (ამასთან, მითოსის ამ ძიების შედეგად მიკვლეული პოეტურობა, როგორც ითქვა უკვე, ქართულ პროზას უამისოდაც იმთავითვე მოსდგამდა და მოსდგამს).

ამიტომაც ვერ იქცა ორგანულად ჩვენი მწერლობისთვის კონსტანტინე სავარსამიძის ტრაგედია. ეს იყო სხვისი სენით დაავადების იქნებ კეთილშობილური, მაგრამ მაინც განწირული ცდა. ის, რასაც ტაია შელიას წარმართულ მსოფლშეგრძნებაში ეძიებდა კონსტანტინე სავარსამიძე (მითოსისაკენ მიბრუნების ცდა), ფაქტიურად მასაც უხვად ჰქონდა მიმადლებული. ოღონდ ის იყო, რომ თავადვე არ უწყოდა ეს ამბავი, ქვეშეცნეულად გრძნობდა მხოლოდ. საკუთარი ბუნების შეუცნობლობამ დაღუპა იგი, ისევე როგორც თარაშ ემხვარი. ეს იყო შეცდომილი ძის ტრაგედია, „მამული შჯული“ რომ დათმო და, ცხადია, უცნოც ვერ შეიწყნარა ბოლომდე.

ვფიქრობ, სხვა მიზეზთა გარდა ამიტომაც მიიქცა „დიდოსტატის მარჯვენისკენ“ კონსტანტინე გამსახურდია. „დიონისოს ღმერთის“, ჩინებული ნოველებისა და მხატვრულად ბრწყინვალე „მთვარის მოტაცების“ შემდეგ საჩინო შეიქნა, რომ მისი მწერლური წყურვილი სანახევროდ მაინც არ ყოფილა მოკლული. მას სწყუროდა შემოქმედებითი პაემანი ლიბოგაუბზარავ, ჩამონაკეთულ ქართულ ხასიათებთან, რომელთა ტრაგედია სამყაროს ჰარმონიული ხატის შემუსვრა კი აღარ იქნებოდა (ქართველი კაცისთვის გარედან თავსმოხვეული ქვაზიპრობლემა, მრავალი საუკუნის წინ გადაქრილი საქართველოში), არამედ შინაგანი სრულყოფის მოწამეობრივ გზაზე აღძრული ღრმა ტყვივლები.

„დიდოსტატის მარჯვენაზე“ მუშაობის დაწყებისას კონსტანტინე გამსახურდია ასაკობრივად აკმეს პერიოდში იყო უკვე შესული. უკან იქნა მოტოვებული ყოველგვარი ზეგავლენა თუ კრიზისი, საბოლოოდ ჩამოიხვეწა მწერლის მსოფლმხედველობის ზვიადი შენობა, დაიწმინდა შინაგანი მზერა. და ამ მზერით შუქფენილ ასპარეზზე ახალი ხორცი შეისხეს, ახლად განსხეულდნენ „დიონისოს დიმილში“, ნოველებსა და „მთვარის მოტაცებაში“ ჭერ მაინც ბუნდად მოხაზული, მეტწილად ინტუიტიურად ნაგრძნობი ქართული ხასიათები. ასე გამოიხვედნენ ჩვენს წინაშე უკუნეთის წყვდიადს გამოტაცებული გონებისწამლები სახეები — გიორგი პირველი, კონსტანტინე არსაკიძე, შორენა, ზვიად სპასალარი, მამამზე ერისთავი, შემდეგ — დავითი, გიორგი მეორე, შამან ერისთავი, მარიამ დედოფალი, იოანე მაგისტრი, დედისიმედი, გვანცა, ნიანია, ჯონდი, მრავალნი და მრავალნი სხვანი...

ეს ისეთი რჩეული საზოგადოებაა, ნებისმიერი ქვეყნის უბრწყინვალეს ლიტერატურულ სალონებს დაამშვენებდა. ოღონდ მისი ღირსება ის კი არ არის მხოლოდ, რომ ზედმიწევნით იცნობს როგორც ევროპული აზრის მოდულაციებს, ისე აღმოსავლურ ვნებიანობას, არამედ უფრო ის, რომ იმდენად თვითმყოფადია, თავისთავადი და სრულქმნილი, შეუძლია ამ სალონების ეტიკეტს სულაც არ დაემორჩილოს. ამ საზოგადოებას არასოდეს შეაქრთობს შიში — არავის მოეჩვენებოდა, რომ ძველმოდურად არისო ჩაცმული. არც ყოველი დროის პროვინციელთათვის ეგზომ დამახასიათებელი სწრაფვა აღეძვრის — როგორმე საკუთარი მეობა შენიღბოს და სხვას დაემსგავსოს. რადგან ჩინებულად იცის საკუთარი თავის ფასი და თავისი ღირსებაც აქვს შეცნობილი. დიახ, იგი უნივერსალურ, გლობალურ პრობლემათა გამო გესაუბრებათ, უდახვეწილეს იდეებსა და თემებს მიმოიხილავს. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად განსაკუთრებით იმით არის საინტერესო მოსაუბრე, რომ, ჭერ ერთი, არ ერცხვინება თავისი მძაფრი ვნებებისა და ემოციების გამოვლინება (წინააღმდეგ ზოგიერთ დასავლურ სალონში დანერგილი ეტიკეტისა), და, მეორეც, რაც მთავარია, საუბარში ცნაურდება მისი არსების უღრმესი საწყისი — მრავალთავან დავიწყებული თუ დაგმობილი, მრავალთავის აუხსნელი თუ გაუგებარი, მაგრამ მაინც ყოველთა თანაბრად მომნუსხველი თვისება — სიკეთე. ამასთან, სიკეთის ის სახეობა, რომელიც, პლატონის ნათქვამის არ იყოს, სანაცვლო საზღაურს არასოდეს მოითხოვს.

საბრალოა კაცი, რომელიც დაიბოლმება და გაბოროტდება არსებობის შემშლელ სიღრმეთა ხილვისას. მოსაწყენია კაცი, რომელსაც საერთოდ თვალის არ მოუკრავს ამ სიღრმეთათვის და არც კი ეეჭვება მათი არსებობა. მაგრამ ვინ ჩასწვდეს ბუნებას კაცისა, რომელმაც იხილა ეს სიღრმეები და არც მზერა დაბინდვია, არც მხნეობა დაუკარგავს,

არც ხალისი, არც გულის სითბო, არც უნარი სიკეთისა! ვინ ახსნას ეს სასწაული, ღირსების, კაცობის ეს უმშვენიერესი გამოვლინება (რადგან ნამდვილი ვაჟკაცობა სიღრმეთათვის თვალის გასწორება როდია. ბოლოს და ბოლოს არც ისე ძნელია ნაპრაღის პირას ჩამოჯდომი გულგასენილი, სიღრმეებს ჩააშტერდეს და თვალი აღარ მოსწყვიტოს, მით უმეტეს, როდესაც ზურგს უკან აუდიტორიის მზერას გრძნობ გაშუღმებით. ვაჟკაცობა ნაპრაღთა არმოშიშობა და ნაბიჯშეუშლელი, გულდაჯერებული აღმასვლაა, რაც გზის სიძნელეს უადვილებს შენს მომყოლ მოძმეს).

ყოველ შემთხვევაში ის ნამდვილად ვერ ჩასწვდება და ვერ ახსნისა. ვითვისაც ამქვეყნად ცხოვრება კი არა, ცხოვრებისეული პოზაა უმთავრესი, ვისაც ცრემლსა თუ ღიმილს რობოტის უგრძნობლობა ურჩევნია ვითომც, ვინც სინამდვილეში გულდღეაღია, მაგრამ ნიადაგ იმას ცდილობს, როგორმე თავისი თავი და თავისი ვაჟკაცობა დააყვედროს ყველას — შემომხედეთ, რა საშიშ ნაპრაღებს ჩავტყერი, რარიგად საძნელო პოზაში ვდგავარო! მათ არასოდეს ჰგვანებიან „გილგამეშისა“ და „ამირანის“ შემქმნელნი, ჰომეროსი და პლატონი, რუსთაველი და დანტე, შექსპირი და სერვანტესი, გოეთე და ვაჟა-ფშაველა, რომენ როლანი და უილიამ ფოლკნერი...

ზემოთ ნახსენები სიკეთე მონასტრულ სათნოებას არ გულისხმობს, ცხადია. ამგვარი რამ არასოდეს ყოფილა არც ქართველი კაცისა და არც ქართული მწერლობის ორგანული მიდრეკილება. ზედაზნის მთაზე ძნელი არაა განდგომა სოფლიურ ვნებათაგან. კაცობა ის არის, სულის სიწმინდე და სიფაქიზე იქ შეინარჩუნო, სადაც მტრობაც გეძალბება, სიძულვილიც, შურიც, ვერაგობაც და გაუტანლობაც — ცხოვრებისეულ ბობოქარ მორევში. ისიც ხშირად ხდება ხოლმე, ერთ პიროვნებაში შეირწყმის ეს თითქოსდა შეუთავსებელი, პოლარული მოდუსები. ასეთია, მაგალითად, გიორგი პირველი, გულმხეციც რომ არის და დახვეწილი, მგრძნობიარე სულის მქონეც. გულის შემძვრელია გიორგის სიკვდილისწინა აღსარება, ისევე როგორც მისი რაყიფისა და ანტიპოდის — კონსტანტინე არსაკიძის სიკვდილი. სიყვარულმა იმსხვერპლა ორივე, მაგრამ, ვიდრე ცოცხალნი იყვნენ, ვაჟკაცურად იხდიდნენ მეფისა და ხელოვანის მოწამეობრივ ვალს.

მერმე მოვიდა ზეკაცური ნებელობის პიროვნება, რომელმაც ამ ვალის, ამ კარმის აღსრულებას შესწირა თვით სიყვარული, თვით სული თავისი. ეს იყო უმაღლესი მსხვერპლი, რის გაღებაც ძეხორციელს შეეძლო, და ეს მსხვერპლი სიკეთის ზეობისთვის იქნა მოტანილი, რადგან ამის გარეშე არ ეგების სიკეთის გზაზე აღმასვლა. სწორედ ამგვარია სიკეთის რუსთველური გაგება. მომხიბვლელია გიორგი მეორის, მარიამ და ელენე დედოფლების ან დედისიძემდის თუნდაც პასიური კე-

თილობა. მაგრამ დაეითი ისევე განსხვავდება მათგან, როგორც ალუდა ქეთელაური თვისტომთაგან. იგი „მაღალია და მაღლად მხედი“, „ზე-მხედველი ცნობის“ მფლობელი. და კრიშნას მიერ განსწავლულ არჯუნას მსგავსად მანაც იცის, რომ მხოლოდ მიწყვისა და დაუცადებელ ბრძოლაშია არსებობის აზრი და არა არსებულთ ტკბობაში. „ცხოვრება საზეიმო ასპარეზია. ზოგნი მოდიან შეტოქებაში მონაწილეობის მისაღებად, ზოგნი სავაჰროდ, უკეთესნი კი მხოლოდ 'საქვრეტად', ელინი ბრძენის ეს შეგონება იერარქიის შედარებით დაბალ საფეხურებს მიესადაგება. საქართველოში ამას დაუპირისპირდა უფრო მაღალი წყობის ფასეულობა: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“.

ხილვათა ხილვა

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს უილიამ ფოლკნერმა კითხვას — ფროიდს თუ იცნობთო — ამგვარად უპასუხა:

— ახალ ორლენში რომ ვცხოვრობდი, სულ ფროიდზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ არასოდეს წამიკითხავს. არც შექსპირს წაუკითხავს. ეკვი მეპარება, რომ ან მეღვიღს წაეკითხოს. მობი დიკს კი ნამდვილად არა აქვს წაკითხული.

როგორც უნდა გავიგოთ ეს პასუხი, ქარაგმულად თუ პირდაპირი მნიშვნელობით — რომ ფოლკნერი მართლაც არ გასცნობია ფროიდის ნაწერებს (რაც ძალზე საეჭვოა, ოღონდ ამიტომ კი არა, რომ ლიტერატურისმცოდნეთა მიერ ახორხლილი სქემების თანახმად ფოლკნერს უშუალოდ მიეწერება ფროიდის ზეგავლენა, საეჭვოა სწორედ მობი დიკთან დაკავშირებული ხუმრობის გამო), სულ ერთია, ორსავე შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ: ფოლკნერის აზრით, ჯერ ერთი, ქემმარტი შემოქმედი სპეციალური მეცნიერების დაუხმარებლადაც ჩინებულად ახერხებს ადამიანის სულის უღრმეს ხვეულთა (თუნდაც ქვეცნობიერის ნიუანსთა) წვდომას და, მეორეც, თვით აღნიშნული სპეციალური მეცნიერება ერთობ ავადსახსენებელი რამ არის.

პარადოქსივით ჟღერს ფსიქოანალიზისადმი ამგვარი დამოკიდებულება იმ მწერლის მხრივ, ვინც ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია სულით ავადმყოფთა, შიზოფრენიკთა, იდიოტთა, კოშმარული ხილვებით გვემულთა და მანიაკთა დახატვის დიდოსტატად, ვის ნაწერებშიც, როგორც გვიმტკიცებენ, „აშკარად იგრძნობა ფროიდისტული მოტივები“. და ეს პარადოქსი ვერასგზით ვერ აიხსნება, ვიდრე თავს არ დავაღწევთ ლიტერატურულ სქემატიზმს, რომლის ერთადერთი ამოცანა არა ჩაწვდომა, არამედ კლასიფიკაცია, არა უშუალო ხილვა, არამედ საბიბლიოთეკო კარტოთეკის გაწყობა.

საქმე ის არის, რომ არ არსებობს არც ერთი დიდი შემოქმედი, რომელიც პიროვნების, როგორც მთელის, გაგებიდან არ ამოდიოდეს (რისგანაც, რამდენადაც ამ საკითხზე მსჯელობა შემიძლია, ერთობ შორს უნდა იდგეს ფროიდის მოძღვრება). ქემმარტი ხელოვანისთვის ადამიანის ანალიზი თვითმიზნად ვერასოდეს იქცევა თუნდაც იმ უბ-

რალო მიზეზის გამო, რომ მწერლობა და ხელოვნება, როგორც ქმნის აქტთან წილნაყარი მოვლენები, სინთეზური უნდა იყოს. ამიტომ ჰემ-მარიტ ხელოვანზე არ შეიძლება გულისამრევად არ მოქმედებდეს ფსიქიკის ნიუანსების თვითმიზნური ჩხრეკა, შემადგენელ ნაწილებად დაშლილი და დახლეჩილი პიროვნება. მისთვის ანალიზი მიზანი კი არა — საშუალებაა მხოლოდ, საშუალება უფრო მაღალი წყობის სინთეზის წვდომისა.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქმის ვითარებას, ვნახავთ, რომ ყოველი დროის დიდნი შემოქმედნი, რაგინდ ღრმადაც უნდა დანთქმულიყვნენ ადამიანის სულის უფსკრულებში, საბოლოოდ მაინც პიროვნების, როგორც მთელის, წვდომას ესწრაფოდნენ. ოღონდ აქ ალბათ საჭიროა ერთი განმარტება: პიროვნების, როგორც მთელის, ცნება არ უნდა გავუიგივოთ მთლიანი, მონოლითური პიროვნების ცნებას. ქარაქტეროლოგიური თვალსაზრისით პიროვნება შეიძლება მთლიანიც იყოს და გათიშულიც, ეს დამოკიდებულია მის მსოფლშეგრძნებაზე, აზრთა წყობაზე, ნებელობასა და რიგ სხვა ფაქტორებზეც. მაგრამ მისი საწყისი არის მთელი. ამიტომ, როდესაც ესა თუ ის ავტორი გათიშული ბუნების პიროვნებას გვიხატავს, ეს როდი ნიშნავს, თითქოს ნაგულისხმევი ავტორი პიროვნების როგორც მთელის, პოზიციას უარყოფდეს. დოსტოევსკის როდიონ რასკოლნიკოვი, როგორც მისი გვარის რუსული მნიშვნელობაც გვაუწყებს (სხვას ყოველსავე თავი რომ დავანებოთ), გათიშული ბუნების ადამიანია. მაგრამ დოსტოევსკის შემოქმედება (და, კერძოდ, „დანაშაული და სასჯელიც“) სხვა არაფერია, თუ არ ხსენებული მთელის ძიება. დოსტოევსკი გონების დამკარგვინებელ სიღრმეებამდე იმიტომ კი არ ჩასდევს თავისთა პერსონაჟთა ფსიქიკას, თითქოს ამ ფსიქიკის სხვადასხვა შრეებისა და პლანების ასახვა ჰქონდეს მიზნად, არამედ სწორედ იმიტომ, რომ სწვდეს ყოველივე ამის გულისგულს, იმას, რის გამოვლინებაცაა ესა თუ ის შრე ან პლანი.

ფოლკნერის მისამართითაც იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ და დავსძინოთ, რომ ზემოხსენებული პარადოქსი მხოლოდ ამგვარი თვალსაზრისის მეოხებით თუ აიხსნება.

დიახ, ჰემმარიტ შემოქმედლათთვის, მწერალლათთვის, ხელოვანლათთვის უმთავრესზე უმთავრესი მუდამ იყო და არის ის, რაიც ესოდენ უღვთოდ დაიკარგა მეცნიერების სხვადასხვა დარგთა დიფერენციაციის მრავალსაუკუნოვან პროცესში — პიროვნება როგორც მთელი. ოღონდ, ამას რომ ვამბობთ, უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ერთი ძალზე ნიშანდობლივი რამ: მეცნიერების დარგთა არნახულ დიფერენციაციასთან ერთად ჩვენს ხანაში საჩინო ხდება ამავე დაწილადებულ დარგთა გამთლიანებისკენ სწრაფვა, ისახება ანალიზიდან სინთეზისკენ აღმასვლის

კონტურები. ასეთ ვითარებაში, რაც დრო გაევა, მით მეტი ფასი დაედება (წმინდა მეცნიერული თვალსაზრისითაც) პიროვნების, როგორც მთელის, გაგებას, რაც იმის საწინდარიც იქნება, რომ საბოლოოდ, მსგავსად ანტიკური ეპოქისა, მეცნიერება, მწერლობა და ხელოვნება კვლავ შეირწყვიან (ოღონდ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე) და სიბრძნედ სახელდებულნი მოგვევლინებიან.

მაგრამ დღესდღეობით დაგვრჩენია ისღა დავადასტუროთ, რომ აქამდე მწერლობა, ხელოვნება წინ უსწრებდნენ ხოლმე მეცნიერებასაც და ფილოსოფიასაც ადამიანის გაგების, ადამიანის არსების წვდომის თვალსაზრისით (პომპროსი წინ უსწრებდა პლატონს, დანტე -- რენესანსის ეპოქას, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე—ჰეგელს...).

წინ უსწრებდნენ და თავიანთი საუკეთესო გამოვლინებებით გაცნობიერებულად თუ ინტუიტურად სწვდებოდნენ არა მხოლოდ ადამიანს, როგორც მთელს, არამედ აგრეთვე სამყაროს, კოსმოსს, საერთოდ, არსებობას, როგორც მთელს, განუყოფელს, გაუთიშველსა და პარმონიულს. და ეს ხდებოდა არა ინფანტილობის ან გულუბრყვილობის, არა არსებობის სიღრმეთათვის მზერის არიდების, არამედ პირიქით—ამ სიღრმეთა წვდომის, მათში დანთქმისა და მათი გამოძიების საფუძველზე (ამდენად ისინი უკვე მოიცავდნენ იმას, რასაც მეცნიერება თუ ფილოსოფია შემდეგლა მიაკვლევდნენ ხოლმე).

აღნიშნული გარემოება მუდამ დიდი სტიმული იყო შემოქმედებითი ოპტიმიზმისთვის. იგრ განამტკიცებდა რწმენას მწერლობისადმი, ხელოვნებისადმი, რადგან მწერლობა, ხელოვნება სიბრძნის ისეთ დარგებად ისახებოდა, რომელთა გარეშეც განახევრებულია ამ სიბრძნის ღირებულება. ამიტომ იყო, რომ ჭეშმარიტი შემოქმედნი მუდამ გულგრილნი რჩებოდნენ როგორც საორდღეო მოღვაწი წილადობილის, ისე წერილფეხა პრაქტიკოსთა თუ თეორეტიკოსთა მიერ ატეხილი განგაშისადმი. რამდენჯერ გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, მაგალითად, ლიტერატურას; „რომანი მოკვდა“, „პოეზია კვდება“ და მისთანანი. მაგრამ ამის გამო არც ერთ ნამდვილ შემოქმედს საჭოკმანოდ არ უქცევია თავისი მრწამსი, არ აპყოლია ამ ცრუ პანიკას, ფსევდომოდერნისტების მიერ დათესილს, აზროვნების ფემინიზაციისა თუ კასტრაციის პროლექტს. ისინი გულდაჯერებულნი მიდიოდნენ თავთავიანთი გზით (ხანდახან მდინარების საპირისპიროდაც), მტკიცე ნებით ამკვიდრებდნენ თავიანთ იდეალებს. და ზოგჯერ ათეული წლებიც კი არ სჭირდებოდა იმას, რომ ცხადი შექნილიყო მათი სიმართლე და გზის შეუმცდარობა. ასეთ შემთხვევაში მათი გუშინდელი მოსისხლე მტრები გუნდრუკის მკმევლებად ექცეოდნენ და მათს სახელს ფსევდომოდერნიზმის ლაფში ამოსვრიდნენ ხოლმე.

სწორედ ფსევდომოდერნიზმის ლაფში. რადგან ნამდვილ მოდერ-

ნიშნზე ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მრავალ ქარიხვეტიას, რომელთაც მოდერნიზმის მეზაირახტრეებად მოაქვთ თავი (შესაძლოა ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მოდერნიზმი ზოგს სალანძღავე სიტყვა ჰგონია დღემდე). რადგან ნამდვილი მოდერნიზმი სრულებითაც არ ნიშნავს ტრადიციათა განუკითხველ მსხერევას, საუკუნეობით შექმნილ ღირებულებათა წყალში გადაყრას, ადამიანისადმი თუ არსებობისადმი რწმენის შემუსვრას.

ტრადიციები იმიტომაც ვახსენე, რომ მათდამი დამოკიდებულების საკითხი ხშირად ერთობ მწვავედ დგას ძველი კულტურის მქონე ქვეყნებში. ამ ქვეყნების ცხოვრებაში ეამიდან ეამზე დგება პერიოდები, როდესაც იგრძნობა ტრადიციებით გულის ამსუყება, მათი მოყირპება, და სწორედ მაშინ იხელთებენ ხოლმე დროს ხსენებული ფსევდომოდერნიზტები. ამაში საკვირველი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ამგვარ ვითარებას ერთი სიმპტომატური შტრიხიც ახლავს ხოლმე: სხვათა ფეხის ხმას იმ ქვეყნების მკვიდრნიც აპყებებიან ზოგჯერ, რომელთა კულტურა სულ ერთსა თუ ორ საუკუნეს ითვლის ისტორიად და, ამდენად, ამ ქვეყნებში, წესით, ძალზე ნაადრევი უნდა იყოს ტრადიციების მოყირპებაზე ლაპარაკი. ამავე დროს კი ხშირად სწორედ ისინი იჩენენ ყველაზე მეტ გულმოდგინებასა და პროზელიტურ პათოსს ძველი ფასეულობების უარყოფის ლოზუნგთა გადმოსროლისას (ფსიქოლოგიურად ადვილი ასახსნელია ამგვარი მოვლენა: თვითონ ბევრი არაფერი აბადლიათ დასაკარგი და, სხვები თუ თავისას დაკარგავენ, ესენი არას ინალვლიან!).

ხოლო ის, რაც საერთოა და უმთავრესი ყოველი დროის დიდთა შემოქმედთა ქმნილებებში (სულ ერთია—პოზიტიურად თუ ნეგატიურად გამოვლენილი), რაც დასაკარგად ვერგასამეტებელია, იმდენად მრავალი ასპექტით ვლინდება, იმდენად უნივერსალური და რთული რამ არის, რომ მისი წვდომა კაცობრიობის კულტურული აღმასვლის აზრის წვდომას ნიშნავს ფაქტიურად. და, თუკი მაინც მოვაწადინებდით მისი არსება რამდენიმე სიტყვით გამოგვეხატა: ამ სიტყვათაგან უმჯობესი იქნებოდა ალბათ შემდეგი: ჰუმანიზმი. რწმენა სიკეთის ზეობისა. მიწყვიცი სწრაფვა ჰეშმარიტებისკენ, დიადი ჰარმონიისკენ.

ამ მაღალ პრინციპებს ზიარებულ შემოქმედთ ვერავითარი ამქვეყნიური ძალა ვერ გაუქარწყლებს რწმენას, რომ მწერლობა, ხელოვნება, როგორც ჰუმანიზმისკენ, სიკეთისკენ, ჰეშმარიტებისა და ჰარმონიისკენ მარად მიმსწრაფი გამოვლინებანი ადამიანის უღრმესი არსებობისა, ასევე მარად იქნებიან კაცობრიული ყოფის თანმხლებნი..

ამგვარი საფიქრალი აღგვეძვრის თანადროული ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ქართული პოეზიის პრობლემათა გათვალისწინებისას. მისი ფესვები საუკუნეთა სიღრმეში დაინთქმის, და ამ სიღრმი-

დან სხივდება სწორედ იმგვარი ტრადიციები, რომლებიც დასაქარგად ვერგასამეტებელთა შორის იქნა მოხსენიებული ზემოთ. ინტუიტურად იყო თუ გაცნობიერებულად, ქართული პოეზიისთვის ორგანული არასოდეს ყოფილა ის მახინჯი ხატი, სამყაროს „სროფლად“ და „ზესთასოფლად“ გათიშვის მსოფლმხედველობამ რომ წარმოსახა ზოგიერთი ქვეყნის მწერლობაში. სიკეთისა და პარმონიის თავისთავადი ღირებულების რწმენა იმანენტურად დაჰყვა ამ პოეზიას. და ტრაგიკულის საფუძველს მასში წარმოადგენდა არა გათიშვის ლუციფერული საწყისი, არამედ შინაგანი სრულყოფის მოწამეობრივ გზაზე აღძრული ტკივილები. სამყაროსადმი ამგვარ მიდგომას რაციონალიზმის თვალსაზრისით ზოგჯერ მარცხიც თუ ახლდა, ეს მაინც არ იწვევდა ისეთ უსაშველო სკეპსისსა და ბოღმას, როგორსაც, ვთქვათ, ევროპულ მწერლობაში. ამაში მას შველოდა, ჯერ ერთი, ის, რომ ქართული კულტურა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზს წარმოადგენდა ოდითგანვე, და, მეორეც, თანდაყოლილი ინტუიტური სწრაფვა სიკეთისკენ.

ეს უკანასკნელი თვისება იმდენად თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი საერთოდ ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ კი ქართულ პოეზიაში, რომ გაოტებაც კი გიპყრობთ — რა ძალამ შეანარჩუნებინა სიკეთის ესოდენ ცხოველი განცდა ამ ხალხს, რომელსაც მთელი თავისი არსებობის მანძილზე ხმალი არ გაუგდია ხელიდან და რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ლამის იყო აღგავეს მიწის პირისაგან!

ამ სიკეთის მზით არის გასხივოსნებული რუსთაველის მთელი პოემა. და ეგევე მზე დაჰნათის გურამიშვილის სამყაროსაც. მეტაფიზიკურ პლანში ეს არის იგივე ქრისტიანული ღმერთი (მზეთამზე — მამა, მზე — ძე), მაგრამ გურამიშვილს ვერ წარმოუდგენია მეტაფიზიკური და ემპირიული პლანების გათიშვა. მზე-ღვთაება არსებობას, მზეობას ანიჭებს ხილულ მზეს („მზევე, მზისა მამზევებელო...“), უკანასკნელი ისევე გამოსხივდება პირველისგან, როგორც თინათინი — ამ ხილული მზისგან („ძეს ღმერთს კაცებით მზედ ესახავ, სახით მზეს — თინათინადა“; „ვით საწუთროსი მზესთანა მიჩნს თინათინის შვენება, ეგრეთვე ძესთან საწუთრო მზე მიჩანს და მის თენება“). ბოლოს ირკვევა თინათინის რაობაც:

საწუთროს მზის თინათინი
მოგიტობრა, რაცა ფერია:
სარკის მზის შუქით ციალსა
უწოდენ ქართველთ ერია,
ვერას ხორციელს სულდგმულსა
ბქალში ვერ დაუქერია.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო საიმისოდ, რათა ამ „თინათინში“ ვიცნოთ არსებობის ის სახეობა, რომელიც, პლატონის თანახმად, კიდევ არის და არც არის (განსხვავებით ნამდვილი სინამდვილისგან), რომელიც ინდურ რელიგიურ ფილოსოფიაში მიაღწევს იწოდება. ჩაკვირება იმ ფაქტს უნდა, რომ, წინააღმდეგ შუა საუკუნეთა ქრისტიანული ტრადიციებისა, გურამიშვილს ეს თინათინიც და მისი გამომასხივებელი ხილული მზეც (შეგრძნებათა სამყარო) უხილავი მზისადმი (ღმერთისადმი) დაპირისპირებულად და ბოროტების სადგურად კი არ ესახება, არამედ უქდაფრქვეულ ნავთსაყუდლად, სადამდისაც, მართალია, ღვთაებრივი ნათელის სიკეთე მთელი თავისი ბრწყინვალეობით ვერ აღწევს, მაგრამ იმდენად არის აცილებული, რომ კაცს სიკეთის გზა გაუსხივოსნოს. ზემოთ მოტანილი სტროფი ამგვარი საგულისხმო სტრიქონებით მთავრდება:

მე თინათინით მინათობს
სახლთ კედელ-ყურე, პერია.

ამ ასპექტით უნდა იქნეს განხილული აგრეთვე ბარათაშვილის „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...“ (მიუხედავად შეგრძნებათა სამყაროს მსწრაფლწარმავალი ბუნებისა, კაცი სიკეთის ქმნად არის მოწოდებული).

სიკეთისადმი ქართველი კაცის ამ მიწყევს სწრაფვას გვიდასტურებს ვაჟა-ფშაველაც:

რაც უნდა ჰირო მომკერძო,
ბილწთ არ შეეკერი ზავითა:
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა.

ბოლოს გალაკტიონ ტაბიძე თითქოს შეაჯამებს ქართული პოეზიის ამ მრავალსაუკუნოვან გზას: „და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით“...

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულის გაუცნობიერებლად და გაუთვალისწინებლად გაგვიძნელებოდა ჩაწვდომოდით ამ წერილის საგანს — ირაკლი აბაშიძის პოეზიას.

●

იმითომ რომ, ჯერ ერთი, ხსენებულ ფსევდომოდერნისტთა მიერ დანერგული მთარული კრიტერიუმები და ეტალონები (რომელნიც, გვსურს ეს თუ არა, ზოგჯერ გულმხეც ცენზორებად შეეპარებიან ხოლმე ჩვენს აზროვნებას) კრძალავენ მაღალი რანგის ფასეულობად იქნეს მიჩნეული ბოროტების ყვავილთა სუნთქვით მოუშხამველი პოეზია; მე-

ორეც, იმის შეუტყობლად, თუ არსებობის როგორ სიღრმეებს ძალუძს გვაზიაროს სიკეთესთან წილნაყარმა შემოქმედებამ, შეუძლებელია მისი ქემშარიტი ღირებულების გათვალისწინება.

სიკეთეს იმდენი გამოვლინება აქვს, რამდენ ფერადაც არის გაშლილი სამყარო, რამდენ პლანსაც წარმოგვიდგენს მისი სიღრმეები. ბუნებრივია, რომ მზერა თავდაპირველად სივრცულ პლანს მოიციავს და მხოლოდ შემდეგ — სიღრმისეულს.

მზე რომ წვებოდა აღუღებული
და დანამავდა ფოთლებს ისხარი,
წვიმა, ის წვიმა გაღულებული
მეჩვენებოდა დაუვიწყარი.

სიკაბუჯისდროინდელ ამ სტრიქონებში უკვე მრავალი რამ ცნაურდება: უნარი — მშვენიერით ბავშვურად მოხიბლვისა, ჰარმონიულობა, უშუალობა, სიწრფელე და, რაც უმთავრესია, — უთვალავი ფერის შთანთქმელად გადახსნილი მზერა, სამყაროს ცინცხალი აღქმა.

და ეს მზერა იხილავს და ჩვენც გვახილვინებს: წვიმაში ჩამალული ლურჯი ველები. ხოხბის ზურგივით გარინდებული მთა-ბარი. მზის ნაღვერდლები. თავსასთუმალივით თეთრი მთები. სინათლით სავსე პატარა თემი იმერეთში. ატმის ხეების გიზგიზი. ტყემლის ფთილები ლურჯ კონდარზე...

სიკეთედ განფენილი სამყარო. სიკეთედ განფენილი ჩვენი ქვეყანა.

მერე ეს ხალხი, ამ ქვეყნის მკვიდრნი: მინდვრად მშრომელი თუ მობურთალი გლეხკაცი. ნაბდიანი მონადირე. ბალყარეთის მთებში მოკლული ქართველი კაპიტანი. ჩალისფერი ჩოხით მოსილი მამა. ძმობილები... სიკეთით, სინათლით სავსენი, მარად მოსაგონარნი, მარად მოსანატრელნი, კაცობის, ღირსების საწყაულნი.

ყოველსავე ამას კვლავ და კვლავ მიმოიხილავს მოყვარული, მოალერსე მზერა. არც ერთი მათგანი, არაფერი არ ემეტება განსაშორებლად, შესალევად. გურიაში მყოფს იმერეთი უხმობს თავისკენ, იქით — ოდიში, რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, აფხაზეთი, მესხეთი, ქართლი... რა შეეღვევა ამ ტკბილ მზიანეთს, აპრილის დილას, ბავშვობის ზმანებათა მოწმე პეიზაჟებს, მეგობრებს, მეინახეებს, სიყვარულით გათუულ ღამეებს...

სიკეთედ განფენილი სამყარო. სიკეთედ განფენილი ჩვენი ქვეყანა.

ოღონდ ეს ყოველივე რომ აღიქვა, შეიგრძნო და განიცადო, სიკეთეს ზიარებული უნდა იყო თავადაც. და შემდეგ, ყოველივე ამის გამო საუბარს რომ მოჰყვები, უნდა გწამდეს, რომ ამ სიკეთის მაღლით არის ცხებული აგრეთვე შენი მოსაუბრე თუ მსმენელი, რომ მისი მზერაც გადახსნილია ყოველივე ამის აღსაქმელად, მისი ნერვები — შე-

საგრძობად, რომ მას გულის ნაცვლად მკერდში გამომთვლელი მანქანა არ უდევს და სისხლის ნაცვლად ქაობის წყალი არ უდგას ძარღვებში.

ხოლო ეს თუ გწამს, მაშინ საუბარიც ადვილდება, ინტონაცია იოლი მისაკვლევია, მოსაუბრეს თუ საკუთარ თავს უშუალოდ, წრფელად მიმართავ, კითხვებს უსვამ, ზოგჯერ ედავები კიდევ, მაგრამ საბოლოოდ თქვენი ურთიერთობა ეს არის ტკბილი, აუძღვრეველი ბაასი, რომლის დროსაც არავის ეჩოთირება, ვთქვათ, ამგვარი შინაურული კილო თუნდაც გრანდიოზულ მოვლენათა გახსენებისას: „მაგრამ ეს ომი, დასალუბავი, ყურში რად წივის გაბმულ წივილით“.

ამგვარი საუბრის დროს მკირეოდენი სტილისტური დაუდევრობაც დასაშვებია, ზოგჯერ ცოტა აჩქარებაც, აღსაწერის ბუნდად მოხაზვა. აქ დეტალიზაცია არ არის მთავარი, მთავარია მზერის კუთხის თანხვედრა და განცდის ორმხრივი სიწრფელე.

საუბრის ეს კილო გულისხმობს აგრეთვე უსაზღვრო ნდობას გამოხატვის ტრადიციული ფორმებისადმი. ასეთ ვითარებაში ვერ აღიძვრის ექვი — უნდა არსებობდეს თუ არა ხელოვნება, მწერლობა, პოეზია. მათი ყოფნა თავისთავად იგულისხმება, ისევე თავისთავად, როგორც თვით არსებობაა. ან რა უნდა იყოს საექვო? სიკეთედ განფენილი სამყაროს წინაშე შემართულია სიკეთით აღსავსე ადამიანი, მთელი, მაგრამ მისგან განუყოფელი, მასთან ჰარმონიულად შერწყმული.

მაგრამ მართლა სიკეთედ არის თუ არა განფენილი არსებობა? თუ თვალის ერთი გადავლებით ჩანს მხოლოდ ასეთად? იქნებ მოჩვენებითია ეს მისი ბუნება, სინამდვილეში კი მხოლოდ სიზმარია, ბინდის სადარი? ან იქნებ ეს არის მხოლოდ სივრცული განფენილობა მისი, ხოლო სიღრმისეული პლანები სულ სხვა სახის წარმომჩენია?

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე.
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,
მსურდა წამელო ყველა სიამე...
ვაგყვება რამე?!

არსებითად ეს იგივე კითხვაა, რომელმაც კვშმარიტების მამიებელი საკპია მუნი შემეცნების ხის ძირას მიიყვანა, რომელმაც მეფსალმუნე მეფეს უძველეს დროსვე ათქმევინა: „დღენი ჩემნი ვითარცა აჩრდილი წარხდეს, და მე ვითარცა თივა განეხემ“. ხოლო ახალ ხანაში — „მინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი?“.

პასუხის მისაკვლევად აუცილებელია არსებობის სიღრმისეული პლანების ხილვა და გამოძიება. ამასთან, ამ საქმეში სხვათა გამოცდილება შესაძლოა წაადგეს შეგირდს და არა ხელოვანს, არა პოეტს, რომელმაც თავადვე უნდა მოიპოვოს საკუთარი სიბრძნე. ხოლო პასუხზე

მრავალი რამ არის დამოკიდებული. თუ გამოირკვა, რომ სამყაროს სიღრმისეული პლანები სივრცედ განფენილის ბუნებას არ შეესატყვისება, თუ სიღრმეშიც იგივე სიკეთე არ იქნა მიკვლეული, რაც თვალის ხილულსა და ყურით მოსმენილში, მაშინ ცხადი შეიქნება, რომ ეს უკანასკნელი მართლაც მოჩვენება ყოფილა, ილუზია, სიზმარი, და მაშინ დაირღვევა მთლიანი, ჰარომნიული სამყაროს მოდელი, დაიხლიჩება პიროვნება როგორც მთელი.

მაგრამ აქ აღიძვრის კიდევ სხვაგვარი ეჭვი. შეძლებს თუ ვერა არსებობის უფსკრულთა ხილვად გამზადილი პიროვნება შეინარჩუნოს არა მხოლოდ აღმქმელია და შემმეცნებელის, არამედ აგრეთვე შემოქმედის ჰარმონიულობა? სიღრმეთა მოხილვის ამ პროცესში ხომ არ დაიკარგება ან ხომ არ გაუფასურდება მზერის, შეგრძნების ის უშუალობა და სიციცხალე, რაც ხელოვანის, პოეტის უპირველესი ღირსებაა? ერთი სიტყვით, ხომ არ ნიშნავს სიღრმისეულას წვდომა პოეზიის სპეციფიკურ, დამკვიდრებულ ნიშანთა მოშლას, მის აღსასრულს? (ზემოთ უკვე ითქვა გაკერით, რომ ფსევდომოდერნიზმი ხშირად ამგვარად სახავეს საქმის ვითარებას).

მაგრამ ვაითუ სტრიქონს აწინდელს
დააკლდეს ჟღერა და ხმოვანება,
ლექსი კვლავ ველარ გამოყმაწვილდეს,
ბგერას არ ჰქონდეს წებოვანება.

სიტყვას დაეტყოს აზრის მებრძობა,
ფერი არ დაჰყვეს მდიდარ მაისის.
ენამ დაკარგოს მიაშიტობა,
ღალი დაეკრას სიდარბაისლის...

ვაითუ მოტყდეს ლექსი ბებრულად,
ყელში ათრთოლდეს ჰანგი შემკრთალი,
სიმი დაჩლუნგდეს, ფუტკრისებურად
ვერ ამოსწოვოს ყვავილს ნექტარი.

ოცნებამ ღონე ვერ მოიკრიბოს,
შეკრთეს, დეარდეს მგონის ოცნება...
არა, ო, არა, ჩემო ფიქრებო!
ნუშტ გაგვეგონოს ეს საოცრება.

ოღონდ ეს იმგვარი ეჭვია, რომელიც შემეცნების პროცესშივე ქარწყლდება. მისთვის დეკლარაციული პასუხის გაცემა საჭირო არც არის, პასუხი საკუთრივ შემოქმედებითს პრაქტიკაშია საძებელი. რადგან ის, ვისაც სიღრმეთა წვდომა მტრად მოველინება და არა მოკავშირედ, არც არის კეშმარიტი შემოქმედი.

არიან პოეტები, რომლებიც მეტეორივით გაიელვებენ, შემოქმედებითს პოტენციას სწრაფად ამოწურავენ და ჩაქრებიან. და მათი შემოქმედებითი მოხუცებულობა დიდი ხნით უსწრებს წინ მათს ფიზიოლოგიურ სიბერეს. მაგრამ არიან აგრეთვე პოეტები, რომლებსაც წლების მომატება კი არ უკარგავს შინაგან ენერჯიასა და შემოქმედებითს პოტენციას, მათი საუკეთესო ნაწარმოებები სწორედ ხანდაზმულობის ასაკში იწერება. გამონაკლისი ყველგან მოიძებნება, ზოგადად კი შეიძლება ითქვას: პირველნი აღამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნიან მეტწილად, რომელნიც სამყაროს სივრცულ-ზედაპირულ მოხილვას სჯერდებიან ხოლმე, მათთვის უცხოა მეორეთათვის დამახასიათებელი სწრაფვა სიღრმეებისკენ, რაც, როგორც დავინახეთ, ესოდენ თვალსაჩინოდ გამოვლინდა ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითს ევოლუციაში.

ირაკლი აბაშიძე უაღრესად თვითმყოფადი ბუნების შემოქმედია. ამიტომ წინასწარვე შეგვეძლო გვეკარაუდნა, რომ სიღრმეთა წვდომის მისეული ცდა ასევე უაღრესად თვითმყოფად და საინტერესო პოეტურ სახეებად გამოვლინდებოდა.

ასე შეიქმნა ლექსების ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“.

თავდაპირველად ამგვარი სახელწოდება, როგორც ჩანს, შერჩეულ იქნა წმინდა გეოგრაფიულ მოსაზრებათა საფუძველზე. ინდოეთში მოგზაურობისას, მისი ბუნების ხილვისას პოეტს გაჰკრა ფიქრმა: „ეს ქვეყანა არ იქნება არ ენახოს რუსთველს“. იმიტომ რომ ამ ქვეყნის ბუნებამ მას საოცარი სიცხადით წარმოუხასა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი რეალია. ეს გაფიქრება საფუძველად დაედვა თავისთავადაც უაღრესად მომხიბვლელ ქარგას: დღევანდელი ქართველი პოეტი სწორედ იმ გზას მიჰყვება, რომლითაც ერთ დროს რუსთაველს მოუვლია ინდოეთი. მართალია, კვალი აღარხად ჩანს, მაგრამ რუსთაველის ცხოვრების კვალი ხომ საერთოდაც გაუჩინარებულა. შეგვიძლია წარმოვიხასოთ, როგორ იდგა რუსთაველი აი აქ, არაბეთის ზღვის კიდეზე, ან კიდევ განგის ნაპირას, მასაც ეს ვარსკვლავები დანათოდნენ, ეს მზე დაჰკაშკაშებდა...

ასე რომ სახელწოდება „რუსთაველის ნაკვალევზე“ გაჩნდა როგორც პოეტური არეკვლა სავსებით კონკრეტული ამბისა.

ინდოეთს მოჰყვა ცნობილი ექსპედიცია პალესტინაში, ქართველთა ჯვარის მონასტერში. ნაკვალევის გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა და ბიოგრაფიული მომენტებითაც შემტკიცდა: ექსპედიციამ ჯვარის მონასტერში მიაკვლია რუსთაველის პორტრეტს. გარდა ამისა, ხალხური გადმოცემაც გვეუბნება — რუსთაველმა სიცოცხლე იერუსალიმში დაასრულაო.

ასე რომ ლექსთა ციკლის სახელწოდებამ მეტი სიცხადე. მეტი გამოკვეთილობა შეიძინა და უკეთაც წინესადაც პირვანდელ ჩანაფიქრს: ახლა თითქმის უეჭველი შეიქნა, რომ პოეტი მართლაც რუსთაველის ნაკვალევს მიჰყვებოდა.

და მაინც ეს იყო მხოლოდ გარეგნული თანხვედრა მოვლენებისა. შემდეგ და შემდეგ ცნობიერების ზედაპირზე ისეთი მიმართებანი ამომზეურდნენ ქვეცნობიერის სფეროდან, რომელთა არსებობა, უნდა ვიფიქროთ, პოეტს ეჭვადაც არ ჰქონია, როცა წერდა ხსენებული ციკლის პირველ ლექსს — „რუსთაველის ნაკვალევზე“ („ნახე ეს ცა...“).

ცხადი შეიქნა, რომ ინდოეთისა თუ პალესტინის მოლაზხა არ ყოფილა უბრალო ტურისტული გასეირნება, რომლის შედეგადაც დაიწერებოდა ასევე უბრალო პოეტური დღიურები (თუნდაც მომხიბვლელი მიგნებებითა და ასოციაციებით ნაკაზმი). არა, ეს განუზომლად მეტს ნიშნავდა. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო კულტურული კავშირის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის აღდგენა და განგრძობა.

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ქართული კულტურა დასაბამიდანვე სინთეზური ხასიათისა იყო. აქ ხდებოდა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა საუკეთესო მონაპოვრების შერწყმა, სინთეზი (და არა მექანიკური შეზავება). ამის მეოხებითაც იყო, რომ უსაჩინოესი გამოვლინებებით ეს კულტურა განვითარების უმაღლეს საფეხურზე აღიორდა ხოლმე თავისი დროისთვის (პეტრე იბერი, რუსთაველი, გურამიშვილი...). ხოლო რამდენად მახლობელი შეიქნა იგივე აღმოსავლეთი და იგივე დასავლეთი, ვთქვათ, რენესანსის ეპოქის საქართველოსთვის, სხვას ყოველსავე რომ დავეხსნათ, ჩანს „თამარინს“ დართული ელევგიური ლექსითაც, რომელიც მოგვითხრობს ვინმე ყარბი მგოსნის ამბავს:

ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა,
ვის არად უჩნდის სახლი და კარი...
არვისად სწორად წაეიდის შორად,
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი,
ამოელნის ინდნი, ხანნი და ჩინნი,
არარად უჩნდის მას მათი ზარი...
წაეიდის ხმელსა, იონთა ველსა,
მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი.
მოელნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი...
მოელის სპარსეთი, სხვა ქმნის ასეთა,
სულტანი ნახის ცათა მეთუნარა,
ივანი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათადე სწორად — მათი ლაშქარი.

ისტორიულ უკულმართობათა გამოისობით საქართველომ ჭერ პოლიტიკურად, ხოლო შემდეგ (XIX საუკუნიდან) კულტურულადაც სა-

ბოლოდ შეაქცია ზურგი აღმოსავლეთს. მაგრამ ეს „საბოლოოდ“ პირობითი ცნება გამოდგა. და ჩვენს ხანაში, როცა ქართულმა კულტურამ კვლავ მოიცა ძალი და გარდასულ საუკუნეთა სულიერ ცხოვრებასთან ორგანული კავშირის აღდგენა შეძლო, მის წინაშე ისევე წამოიჭრა აღმოსავლეთთან კულტურული მიმართების პრობლემა. ასეთ ვითარებაში „რუსთაველის ნაკვალევზე“ დადგომა ნიშნავდა წინაპართა კულტურული ორიენტაციის აღორძინებას, სულიერი ზეობის იმ მწვერვალებისკენ სწრაფვას, რომელსაც გუმბათად ადგას რუსთაველი — სინთეზის უმაღლესი პროდუქტი.

ასე რომ სახელწოდებამ „რუსთაველის ნაკვალევზე“ გეოგრაფიულთან ერთად კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობაც შეიძინა.

მაგრამ ამით არ ამოიწურება სათქმელი.

როგორც ვიცით, ლექსების აღნიშნული ციკლის შექმნა თანხედება პოეტის სულიერი ევოლუციის იმ ეტაპს, როდესაც მან მწვავედ იგარძნო აუცილებლობა არსებობის სიღრმისეულ პლანთა და საწყისთა წვდომისა. ეს კი წინასწარვე გულისხმობდა ცდას — გადალახულიყო ის გზები, რომლებითაც გონითი უფსკრულების წიად ვიდოდა „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი პიროვნება. ასეთ ვითარებაში რუსთაველს ისეთივე მეგზურობა უნდა გაეწია პოეტისთვის, როგორსაც ვირგილიუსი უწევდა ქვესკნელ-ზესკნელის მომლახველ დანტეს.

ასე რომ სახელწოდებამ „რუსთაველის ნაკვალევზე“ გეოგრაფიულ და კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად ღრმად პიროვნული, სუბიექტურად ორგანული მნიშვნელობაც შეიძინა.

ღიახ, პოეტი მიესწრაფა ეხილა იგივე, რაც იხილა რუსთაველმა არა მხოლოდ ბიოგრაფიულად (თუკი ვირწმუნებთ ხალხურ გადმოცემას იერუსალიმში მისი ჩასვლის თაობაზე), არამედ სულიერადაც. ეს იყო არსებითის, ძირების წვდომა, ხილვათა ხილვა, სშენილის სშენა. ამიტომაც, რომ ლექსთა ციკლის ნაწილი („პალესტინა, პალესტინა!..“) ჩვენს წინაშე წარმოდგა როგორც „ხმები“, რომლებითაც ბგერს არა ავტორი ამ ციკლისა, არამედ თავად რუსთაველი.

აქ უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე: პოეტის წინაშე იდგა არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ აგრეთვე შემოქმედებითი პრობლემები. მისი მისია იყო არა მხოლოდ საკუთარი გონითი გამოცდილების გამდიდრება, არამედ ხილულისა და წვდომილის კონკრეტულ პოეტურ სახეებად ჩამოქნა. საქმეს ის აძნელებდა, რომ ლექსთა ციკლს პოეტის სუბიექტური ძიებანი კი არ უნდა გამოეხატა მხოლოდ, არამედ უნდა დაკავშირებოდა რუსთაველს — ქართველთა საფიციარ მზეს, და, მაშასადამე, მასში თვისთა ესთეტიკურ მისწრაფებათა რეალიზაცია უნდა ეპოვნა არა მხოლოდ იმას, ვისაც სამყაროს სივრცულ-სიღრმისეული მოდელის პრობლემები აწვალვებს, არამედ იმასაც, ვისთვის

საც რუსთაველი, ასე ვთქვათ, თავისთავადაც ძვირფასია, მისი პოემის ფილოსოფიურად გააზრების გარეშე.

რაღა თქმა უნდა, პოეტს შეეძლო ნაცადსა და ნატკეპნ გზასაც გაპყლოდა, ესე იგი გამოეყენებინა „ვეფხისტყაოსნის“ ზედაპირულსავე შრეებში უხვად არსებული განსჯითი და სიუჟეტური მასალა, რეალიზები, მოუშველიებინა რუსთაველის გონების წამლები სტრიქონები თუ სიტყვები (ეპიგრაფებად, ციტატებად, რემინისცენციებად...), ამისთვის დაერთო რუსთაველის ბიოგრაფიის ასე თუ ისე ცნობილი ფაქტები (ამ შემთხვევაში ისტორიულ სიზუსტეს არავითარი მნიშვნელობა არ მიენიჭებოდა — პოეტურ ქმნილებაში მეცნიერული უეჭველობით დადგენილ ფაქტსა და ლეგენდას შორის თითქმის წაშლილია ზღვარი) და ეს ნაქაზში წარედგინა მკითხველისთვის. ეფექტი განუზომელი იქნებოდა მაინც.

ოღონდ მაშინ ხელთ გვექნებოდა სულ სხვა მასშტაბის ნაწარმოები. რომელიც თავისი ღირებულებით შორს ვერ გასცილდებოდა ქართულ პოეზიაში (და მუსიკაშიც) დღემდე არსებულ ლირიკულ-ბიოგრაფიულ პოემებს. და, რაც მთავარია, გაწყდებოდა ორგანული კავშირი გამოსახატავსა და გამონატულს, სათქმელსა და თქმულს, შინაარსსა და ფორმას შორის. ეს იქნებოდა რუსთაველის ახლად გადაძლერება და არა წვდომა, ოდენ ხილვა და არა ხილვათა ხილვა.

ცხადია, ირაკლი აბაშიძემ სხვა გზა ირჩია. მისი იდეალი იყო გარეგნულად, ზედაპირულად კი არ მიახლოებოდა რუსთაველს, არამედ სიღრმეში, შიგნიდან სწვდომოდა მის სამყაროს. ამიტომაც, რომ ლექსთა ამ ციკლში გარეგნულად ერთობ ცოტა რამ უკავშირდება რუსთაველის ბიოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსანს“ (იერუსალიმს მისი ყოფნის ფაქტი თუ ლეგენდა, თამარი, ერთადერთი ციტატი ეპიგრაფად — „თამარს ვაქებდეთ მეფესა...“ — და ერთი თუ ორი პერიფრაზი). ეს ძუნწი აქსესუარი ორიენტირებს სახავს არაადაპტირებულ მკითხველთათვის.



ლექსთა ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“ ჯერაც დაუმთავრებელია, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ავტორს განზრახული აქვს კვლავაც იმუშაოს ამ ციკლის გასაგრძობად. მაგრამ არის რაღაც საკრალური იმ ამბავში, რომ ციკლის მეორე ნაწილი, — „პალესტინა, პალესტინა!..“ — სადაც უკვე თვით რუსთაველი მეტყველებს, მაინცდამაინც შვიდი „ხმისგან“ შედგება ამჟამად (ამ ნაწილს წინ უძღვის ორი ლექსი — „შენ აქ ხარ“ და „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“, ბოლოს დართული აქვს „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერ-

გამენტზე“, რაც, ასე ვთქვათ, სიუჟეტურად კრავს ლექსებს, მაგრამ საკუთრივ „ხმა“ შეიღია: „ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან“, „ხმა ჯვარის მონასტერში“, „ხმა ზეთისხილის ბაღში“, „ხმა სამრეკლოსთან“, „ხმა თეთრ სენაკში“, „ხმა კატამონთან“, „ხმა ჯვარის მონასტრის ბინდში“).

დანარჩენ ლექსთა გამო რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ შვიდ „ხმას“ შვიდი ცალკე თავისგან შემდგარი გამოკვლევა შეიძლება მიეძღვნას და სათქმელი მაინც ვერ ამოიწუროს. ცხადია, ეს წერილი ვერ დაისახავს ასეთ მიზანს. ლექსთა წმინდა პოეტური თვალსაზრისით განხილვას რომ თავი დავანებოთ, ამგვარ ზოგად მიმოხილვაში ის თუ მოხერხდება, რომ ასე თუ ისე სრულად მოვიცვათ პოეტის მზერის კუთხე, ის სფეროები, რომელთა წიაღშიც გამოწრთობილა მისი შემოქმედება.

როგორც უკვე ითქვა, პოეტის მზერა ამჟერად მიმართულია სულ სხვა პლანებისკენ და იგი ესწრაფვის გაარკვიოს — რამდენად შეესატყვისება სიღრმისეულის ხატი სივრცედ განფენილის ბუნებას, რამდენად არის შესაძლო სამყაროს მთლიანი, პარმონიული მოდელის შექმნა.

ოღონდ ერთი შენიშვნა აქაც უნდა ჩაერთოს: ამ კითხვის პასუხის მაძიებლებმა წამითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს არა რაიმე ტრაქტატთან, არამედ მალალი რანგის პოეტურ ქმნილებებთან, სადაც სათქმელს მომხიბვლელი პოეტური საბურველი აქვს შემობლარდნილი, სადაც შინაარსისა და ფორმის გათიშვა მხოლოდ პირობითად არის დასაშვები და, კაცმა რომ თქვას, საშუალება რომ იყოს, ისინი მათს მთლიანობაში უნდა განიხილებოდნენ კიდევ. ამიტომ არ უნდა მოველოდეთ, რომ ამ ლექსებში მივაკვლევთ აზრთა გამოკვეთილსა და მწყობრ სისტემას, რომლის გაცნობაც საკმარისი იქნებოდა აღნიშნული ფილოსოფიური კითხვის გადასაჭრელად. ამოცანა უფრო რთულია: იგაუერსა და ქარაგმულ ნათქვამებში, რაციონალურის ცალკეულ გამოკრთომებში, ქვეტექსტებში უნდა ვწვდეთ და ცნებების ენაზე გავშიფროთ ის უმთავრესი, რაც წარმოადგენს პოეტის სათქმელს. უამისოდ ჩვენ მოგვიხიბებოდა ყოველი ლექსის მთლიანობაში განხილვა, ეს კი, ვიმეორებ, იმგვარი სამუშაოა, რომელიც სცილდება ამ წერილის მიზანდასახულებას.

დამამხობელმან

მე საწუთრომ

დამამხო, თამარ!

დიდება ღეთის მადლს,

ჩემს კირს წამლით

არ ეწამლება;

გასრულდა ჩემი

უდაბური სულის წამება,

გასრულდა ჩემი ხეტიალი

ტრამალ და ტრამალ.

მეფეო ჩემო,
მზეო ჩემო,
ხმელთა გამთბობო!
ვაი ცრუ სოფელს —
აღარც მეფევ,
აღარც მნათობო.

არლარას შეეკრფი,
არას ვეძებ,
არას მოველი,
სოფელი დათმე,
აქ აღესრულდი
შენთვის მგლოველი.
გამომეღვიძა
და სიზმარი იყო ყოველი.

მხოლოდ მას მარადს
ღმერთს ვავედრებ
სამარის კარად,
ჩვენს მართალ მამულს.
მის კლდეთა დემას,
მის წყალთა დენას:
ეს ლოცვა ჩემი
ათას წლებში
ფარვიდეს ფარად
მის უკვდავ მთა-ბარს,
უკვდავ მაჭას,
მის უკვდავ ენას.

ეს არის უკანასკნელი „ხმა“, ავტორის წარმოსახვით — რუსთაველის უკანასკნელი, სიკვდილისწინა სულისკვეთება (ამიტომაც ჰქვია ლექსს „ხმა ჯვარის მონასტრის ბინდში“); ამის შემდეგ ყოველივეს წყვილია მოიცავს, „ხმა“ აღარ ისმის, მხოლოდ პოეტი თავის პირით გვაუწყებს, რომ რუსთაველი აღესრულა („უცნობი მიწაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“).

ეს ზარდამცემი, ქუფრი ფერები, ეს ტრაგიზმი და ეპიკი („ვაი ცრუ სოფელს — აღარც მეფევ, აღარც მნათობო“, „გამომეღვიძა და სიზმარი იყო ყოველი“) ღრმად ადამიანურ ელფერს ანიჭებს უფსკრულთა ხილვის მისტერიას, ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ ჩვენს წინაშეა არა მხოლოდ სამყაროს საიდუმლოებათა წვდომად ამუშავებული ინტელექტი, არამედ პიროვნება, როგორც მთელი, ადამიანი, კაცი, რომელიც, ვიდრე კაცობა ეთქმის, უსულგულო მექანიზმად ვერ იქცევა. ამიტომ არ უნდა გამოვიტანოთ ნაჩქარევი დასკვნა, თითქოს საბოლოოდ რუსთაველის (და, ამდენად, ლექსთა ციკლის ავტორის) წინაშე წარმოისახა გათიშული, ჰარმონიადარღვეული სამყარო. პასუხის ძიება ფაქტიურად

ამის შემდეგ იწყება (ოღონდ ამჟერად მოვლენები უნდა განვიხილოთ არა დროისმიერი, არამედ ლოგიკური თანმიმდევრობით), ტრაგიკულის განცდა უეჭველი პირობაა გონის აღმასვლისა.

ამ თვალსაზრისით უნდა გვაგმანვილოთ ყურადღება მოტანილი ლექსის არა მხოლოდ დასაწყისსა და შუა ნაწილზე, არამედ დასასრულზეც (და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ საქმე გვაქვს პოეტურ ნაწარმოებთან და არა ტრაქტატთან). უნდა ჩავუკვირდეთ იმ ამბავს, რომ განწყობილებათა მონაცვლეობა შეხედულებათა წინაუქმობას არ ნიშნავს სრულიადაც. არსებობის ზარდამცემ უფსკრულთა ხილვით აღძრული ტრაგიზმი არ ნიშნავს მის შეჩვენებას.

უადგილო არ იქნება აქ გავიხსენოთ ირაკლი აბაშიძის ერთი ცოტათი უფრო აღრინდელი ლექსი („მცხეთაში“), რომელიც ასე იწყება

თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჭვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?

როგორც ვხედავთ, ეს საკითხი აღრევე აღიძრა პოეტის წინაშე და ამ მოტივის განმეორება (ნეგატიური ფორმით) „ხმათა“ ციკლში იმის მაუწყებელია, რომ მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომ ჩვენც უნდა შევეცადოთ ძირამდე ჩავყვეთ ამ საკითხს, მით უმეტეს, რომ უამისოდ ღიად დაგვრჩება ზემოთ, წერილის შუა ნაწილში აღძრული კითხვა (რომელიც დაუკავშირდა პოეტისავე კითხვას: „წაგყვება რამე?“).

რუსთაველი შემოქმედს ავედრებს „ჩვენს მართალ მამულს, მის კლდეთა დგმას, მის წყალთა დენას... მის უკვდავ მთა-ბარს, უკვდავ მაჯას, მის უკვდავ ენას“. ეს ხომ იგივე სიკეთედ განფენილი სამყაროა, რომლის ხილვა პოეტს ასერიგად ხიბლავდა. რაღა აკავშირებს ყოველივე ამასთან სამარის პირას მდგარ რუსთაველს? აპრიორულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობის სიღრმულ განასერში მან რაღაც ისეთი შეიცნო, რაც სიერცედ განფენილსაც ანიჭებს ჭეშმარიტ ღირებულებას და რაც თანმიმდევრულად და მკაცრად გააზრებისას იმ სიღრმისეულს ჰარმონიულად შეესატყვისება. უამისოდ აბსოლუტური ნონსენსი იქნებოდა შემოქმედისთვის თავისი მამულის შევედრება იმ პიროვნების მიერ, ვინც სიზმრად დასახა ყოველივე.

„ხმათა“ გულდასმით გამოძიება გვარწმუნებს, რომ ეს მართლაც ასეა. ამ მხრივ ამჟერად ჩვენთვის ყველაზე საგულისხმოა „ხმა ჭვარის მონასტრის გალავანთან“ და „ხმა ჭვარის მონასტერში“. აქ რუსთაველი წარმოასახულია შემოქმედთან შესიტყვებულად.

მე ჩემს გონებას,
ცნობას ვთვლიდი
ჩემს დიდ საუუნჯედ,

რადგან არსთაგანს
მე მებოძა
ეს საბოძელი.
შენ მთხოვედი თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.

თუ განმაკაცე,
თუ დამადგი
თვალი სრულმქმნელის,
თუ მომეც ძალი
ხან ფრთაშესხმის,
ხან დაღონების,
მე მწაღდა შენგან
სიტყბოც
ცნობის თავისუფლების,
მე მწაღდა შენგან
სიხარულიც
განხმულ გონების.

დაეჭვება ჭეშმარიტების წედომის საფუძველია, რაც მოცემულ შემთხვევაში შეერწყმის სამარის პირას მდგარი ადამიანის ღრმა პიროვნულ განცდასა და ტრაგედიას. აქ ჩნდება ახალი ეკვი, რომელიც ფაქტიურად აბათილებს პირველ ეკვს და საფუძველად ედება მომდევნო მსჯელობასაც:

ან იქნებ ცოდვად
არც შეთვლება
ეს მკრეხელობა
და შენ, პირიქით,
მცირედ მითვლი
ჩემს შემართებას.
იქნებ ამაოდ
შენთან ვიწყებ
თავის შართლებას...

მე აზრი ვიყავ...
მე კაციც ვიყავ,
მე ამ მიწის
მედო ბეგარა...

აი, ეს არის საფუძველი, რომელიც ამთლიანებს ხსენებულ სივრცულსა და სიღრმისეულ პლანებს: აზრი, გონების ქმედება. აზრის მეშვეობით არსებობის შეცნობა ჭეშმარიტ ღირებულებას ანიჭებს ორსავე

პლანს და წარმოუდგენელს ხდის უერთმანეთოდ მათს სრულქმნილებას. ეს არის ვალი („ბეგარა“), რომლის გარდახდა, აღსრულება წარმოადგენს კაცობის უპირველეს ნიშანს. მხოლოდ ამ ვალს აღსრულებისას შეიკრავს პირს გამთიშველი უფსკრული და კაცი შეიცნობს, რომ არსებობა მართლაც სიკეთედ ყოფილა გაშლილი. მაშინ მისთვის ისიც საჩინო შეიქნება, რომ ყოველივე სიზმარეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ვალი არ არის აღსრულებული, როდესაც არ ხორციელდება მიწყვივი და დაუცხრომელი ქმედების წმიდათაწმიდა აქტი; რომ ამ ვალის გარდახდის კერძო გამოვლინება არის ჭეშმარიტი მამულიშვილობა; და რომ, დასასრულ, ეს ვალი უსიყვარულოდ ვერ აღსრულდება:

თუ ცოცხალ ვიყავ,
თუ რამ ძალი
მწამდა მოწყალის,
თუ მწამდა ლხინი,
მწამდა ცრემლი
ნიაღვარული, —
მე სიყვარულით,
სიყვარულით
ვიყავ ცოცხალი,
ჩემს სუნთქვას ერქვა
სიყვარული,
გულს — სიყვარული.

თუ მქონდა ფიქრი,
თუ მიზანი
მქონდა კაცური,
თუ აზრი წმიდა
გულს მეწერა
ასოთ მთავრულით, —
მე სიყვარულით,
სიყვარულით
ვიყავ აღძრული,
ჩემს მიზანს ერქვა
სიყვარული,
აზრს — სიყვარული.

თუ რამ გზა ვკაფე,
თუ ვაშენე
რამ სალოცავი,
თუ საქმედ დავდე
ღონე ჩემი
მკლავში ფარული, —
მე სიყვარულით,
სიყვარულით

ვიყავ შობრავე,
ჩემს საქმეს ერქვა
სიყვარული,
ცდას — სიყვარული.

კეშმარიტების
არეინ უწყის
ნათსაყუდარი,
მისი მიწური,
სრა-სასახლე,
ოდა ყავრული, —

კეშმარიტების
დასაფრენი,
დასაბუდარი
ჩემთვის სულ იყო
სიყვარული,
კვლავ სიყვარული.

ყოველივე ამის ჩინებული შეჯამებაა (ფაქტობრივადაც და ლოგიკურადაც) ფინალური ლექსის („უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“) სტრიქონები, სადაც თითქოს ნათელმხილველის მზერით არის დანახული რუსთაველის გარდაცვალება:

მზის დაწურვამდე
ვეგალობეთ
ჰანგი მრავალი
და როს მოიღო
ჯვარის მამამ
ჯვარი მთავარი:
— შევინდოს ღმერთმან.
აღასრულე შენ შენი ვალი...
ოხერა აღმოხდა,
საუკუნოდ
დახუჭა თვალი.

ღღუღ გარდიცვალა შოთა რუსთველი,
კვალად ზვიადი,
კვალად უცქლელი,
ათი ღღუღ-ღამე
უკმელ-უსმელი
სენაკის თვისის ცას შესცქეროდა,
ვისთან დაეობდა,
ვისთან მსჯელობდა!

სწამდა... სჯეროდა...
სწამდა... სჯეროდა...

„ბჰაგავატგიტას“ თარგმნის გამო

ინდოეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. ეს ურთიერთობა ჯერაც არ არის სათანადოდ შესწავლილი, მაგრამ უკვე ამთავითვე შეიძლება ითქვას: ინდოელთა და ქართველთა კულტურული კავშირი შემთხვევითი ხასიათისა არ ყოფილა. ამ აზრს მარტო „ვეფხისტყაოსანი“ დაადასტურებდა. მართლაც, შეუძლებელია შემთხვევითად მივიჩნიოთ ის ამბავი, რომ პოემის მთავარი გმირები ინდოელები არიან, რომ მოქმედების დიდი ნაწილი ინდოეთში ხდება, რომ, როგორც ფიქრობენ, რუსთაველი საკმაოდ კარგად იცნობდა ინდური ფალოსოფიის დეტალებს.

სწორედ ამგვარი ხანგრძლივი კონტაქტის შედეგად დამკვიდრდა საქართველოში ტრადიცია, რომელიც გულისხმობს ცხოველ ინტერესს ინდური კულტურის ყოველი თვალსაჩინო მონაპოვრის მიმართ. ამ ტრადიციამ კიდევ უფრო მკვიდრი საფუძველი პოვა ჩვენს დროში, როდესაც დღითი დღე მტკიცდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა.

მისასალმებელია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული წიგნის თაროზე გამოჩნდა ზოგიერთი ინდური თხზულება. გამოჩნდნენ აგრეთვე ამ საპატიო საქმის ახალი ენთუზიასტები, რაც იმის საწინდარია, რომ მომავალში მუშაობა უფრო გაცხოველდება.

„ბჰაგავატგიტას“ თარგმანიც (მთარგმნელი — თამაზ ჩხენკელი) გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ დიდ საქმეში.

მოყოლებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულიდან (როდესაც შეიქმნა განთქმული „ვედები“) ლიტერატურული და ფილოსოფიური საქმიანობა ინდოეთში არასოდეს დაშრეტილა. ამ დიდი ხალხის მაძიებელი გენია იმთავითვე ცდილობდა ჩასწვდომოდა სამყაროს თუ ადამიანის სულიერი ცხოვრების უღრმეს საიდუმლოებებს და პასუხი გაეცა მრავალ ისეთ საკითხზე, რომლებიც ევროპული კულტურის ხალხთა წინაშე გაცილებით უფრო გვიან წამოიჭრა.

ინდური ლიტერატურის მრავალ ბრწყინვალე ნაწარმოებს შორის ერთ-ერთი ძველთაგანია უზარმაზარი ეპოსი „მაჰაბჰარატა“. იგი შედგება 18 წიგნისაგან და შეიცავს ასი ათასზე მეტ ორსტრიქონედს --

„შლოკას (საინტერესოა, რომ მოცულობით რვაჯერ აღემატება ერთად აღებულ „ილიადასა“ და „ოდისეას“!).

ინდური ლიტერატურული ტრადიცია „მაჰაბჰარატას“ ავტორად მიიჩნევს ლეგენდარულ ბრძენ ვიასას, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს ეპოსი ერთი ავტორის ხელიდან კი არ გამოსულა, სხვადასხვა ავტორების მიერ იქმნებოდა საუკუნიდან საუკუნეში. ასეა თუ ისე, ვარაუდობენ, რომ „მაჰაბჰარატას“ ძირითადი ნაწილი უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისში დაიწერა.

ძეგლი შექმნილია ძველინდური კულტურის ძირითად ენაზე — სანსკრიტზე.

„მაჰაბჰარატას“ ძირითადი სიუჟეტური ქარგა ორი მონათესავე გვარის — კაურავეებისა და პანდავების ბრძოლის ამბავს ეხება. ამ ორი სამეფო გვარის წინაპარნი არიან ლეგენდარული მეფე ბჰარატა და მისი ძე კურუ (აქედან სახელწოდება კაურავეები—კურუს შთამომავალნი). ეპოსი მოგვითხრობს მათი შთამომავალი ორის ძმის — დრითარაშტრასა და პანდუს, აგრეთვე ამათი შვილების თავგადასავალს.

როგორც უფროს ძმას, დრითარაშტრას სამეფო ტახტი უნდა დაეკავებინა, მაგრამ, ვინაიდან ბრმა იყო (ხოლო ინდოეთში იკრძალებოდა ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების გამეფება), მის ნაცვლად ტახტზე ავიდა უმცროსი ძმა პანდუ.

პანდუს გაუჩნდა ხუთი ვაჟი (სწორედ მათ ეწოდებათ პანდავები, ესე იგი პანდუს ძენი, პანდუს შთამომავალნი). ესენი არიან: იუდჰიშთჰირა, ბჰიშმა, არჯუნა, ნაკულა და საჰადევა. პანდუს ძეთა გაჩენას ეპოსი ამგვარად გადმოგვცემს: ნადირობის დროს პანდუს შემოაკვდა ნერბობის მომენტში მყოფი ირემი, რომელიც ცხოველად სახეცვლილი ბრძენი აღმოჩნდა. ბრძენმა დაწყევლა პანდუ—შენც ასეთსავე დროს, ასეთსავე ვითარებაში მოგუწიოსო სიკვდილი; ამის შემდეგ პანდუ ცოლთან ურთიერთობისაგან თავს იკავებდა სიკვდილის შიშით. ოღონდ, უშვილოდ რომ არ გადაგებულყო, მის ცოლს თავად ღმერთებისაგან ჩაესახა ხსენებულნი ხუთი ვაჟი. უფროსი ძის იუდჰიშთჰირას ჩასახვის მიზეზი იყო ღმერთი დჰარმა, მომღევნო ძის—ბჰიმასი — ქარის ღმერთი ვაიუ, არჯუნასი — ღმერთი ინდრა, ხოლო უმცროსი ტყუპი ძმების—ნაკულას და საჰადევასი — ტყუპი ღვთაებანი — აშვინები.

ამგვარად, ეპოსში ხაზგასმულია პანდუს ძეთა (პანდავების) ღვთაებრივი წარმოშობა.

პანდუს სიკვდილის შემდეგ მის ვაჟებს მამისეულ მემკვიდრეობაში შეეცაილა ბრმა დრითარაშტრას ვერაგი და გულბოროტი ძე დურიოდჰანა.

დურიოდჰანა საკუთარ მემკვიდრეობას არ დასჯერდა და, როგორც

უფროსი ძმის შთამომავალმა, გადაწყვიტა ხელთ ეგდო თავისი ბიძა-შვილების მთელი სამფლობელო. პანდუს სიკვდილისთანავე, როცა პანდავები ჯერ კიდევ არ დაუფლებოდნენ მამის მემკვიდრეობას, ღურიოდჰანამ თავის მამას — ბრმა დრითარაშტრას გამოსტყუა ბრძანება, რომლის თანახმად პანდუს ძენი უნდა გაეძევებინათ. პანდავები დაემორჩილნენ ბრძანებას და თავიანთ დედასთან — კუნტისთან ერთად პატარა ქალაქში გადასახლდნენ. ღურიოდჰანამ ჯიოწადინა, ბიძაშვილები საბოლოოდ თავიდან მოეცილებინა — მათი საცხოვრებელი სასახლე დაეწვა და პანდავები შიგ ამოებუგა, მაგრამ ძმებმა საიდუმლო ხერხებით გაქცევა მოასწრეს.

პანდავების დაბრუნების შემდეგ ღურიოდჰანა ხელახლა შეეცადა საძულველ ბიძაშვილთა თავიდან მოცდევას. მან ზარის თამაშში ჩართია ბიძაშვილთაგან უფროსი იუდჰიშთჰირა და უპატიოსნოდ თამაშის წყალობით, მოტყუებით წააგებინა ზარში არა მარტო პანდავების მთელი საერთო ქონება, არამედ აგრეთვე საკუთარი, თავისი ძმებისა და ცოლის სიცოცხლეც. მხოლოდ ღმერთ კრიშნას საქმეში ჩარევამ გადაარჩინა სიკვდილს პანდავები. ისინი ცოლითურთ გააძევეს თორმეტი წლით, ამასთან დაუტოვეს უფლება — როცა ეს ვადა გავიდოდა, შეეძლოთ ძალით დაებრუნებინათ დაკარგული სამეფო.

მართლაც, პანდავები შეებრძოლნენ ბრმა დრითარაშტრასა და მისი ძის ღურიოდჰანას მომხრეებს (კაურავეებს), გაიმარჯვეს და ბოლოს მთელი ინდოეთი გააერთიანეს.

ქვეყნის გაერთიანების იდეა იყო „მაჰაბჰარატას“ დიდი პოპულარობისა და ხალხის მხრივ მისი სიყვარულის ერთ-ერთი მიზეზი. ამასთანავე, ხალხმა შეიყვარა ეს ეპოსი იშვიათი პოეტურობის, მასში ჩაქსოვილი დიდი სიბრძნის, უკეთილშობილესი და ურთულესი ეთიკური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური იდეების გამო. ამ მხრივ „მაჰაბჰარატას“ 18 წიგნიდან განსაკუთრებით გამოირჩევა, ამასთან, განსაკუთრებით პოპულარული იყო და არის (როგორც ინდოეთში, ისე მთელ მსოფლიოში) მეექვსე წიგნის ნაწილი, რომელსაც ეწოდება „ბჰაგავატგიტა“.

სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით „ბჰაგავატგიტა“ დიდ ეპოსს თითქმის არაფერს მატებს. წიგნის დასაწყისი გვამცნობს, რომ პანდავები და კაურავეები (ე. ი. პანდუს ძენი და დრითარაშტრას საგვარეულოს წევრნი) თავ-თავიანთი ლაშქრითურთ კურუს ველზე ორ მოწინააღმდეგე ბანაკად განლაგებულან და სადაცაა სისხლისმღვრელი ბრძოლა უნდა დაიწყონ. რაკი მეფე დრითარაშტრა ბრმაა, ბრძოლაში თავად ვერ მონაწილეობს. ბრძოლის ველზე მომხდარ ამბებს ჰას მოუთხრობს მეეტლე სანჯაია. სანჯაიას მიმადლებული აქვს ნათელმხილველის ნიჭი და შეუძლია შორიდანვე, ადგილზე მიუსვლელოდ დაინახოს და მოისმინოს გარდახდომილი.

უკვე გაისმა საყვირების ამაზრზენი ხმა, — ჰყვება სანჯაია, — ესაა მოწინააღმდეგენი ერთიმეორეს ეკვეთებიან. და ამ დროს პანდუს ერთ-ერთ ძეს — არჯუნას ავი წინათვრძნობა იპყრობს. პირისპირ მდგარი ლაშქრის მეწინავეთა შორის არჯუნა ხედავს ნათესაეებს (დურიოდ-ჰანა ხომ მისი ბიძაშვილია!), გამზრდელებსა და მახლობლებს. მას ებადება აზრი, რომ ეს ძმათამკვლელი ომი დამღუპველია. ამიტომ გადაწყვეტს არ იომოს — ნათესავთა დახოცვას უბრძოლველად სიკვდილი ამჯობინოს. სასოწარკვეთილ არჯუნას გამამხნეველად მოველინება ღმერთი კრიშნა, რომელიც მოუწოდებს კვლავ იარაღი აისხას და მოიხადოს თავისი ვალი. ფაქტიურად კრიშნასა და არჯუნას შორის გამართული დიალოგით იწყება და ამ დიალოგითვე მთავრდება „ბჰაგავატ-გიტა“. სიუჟეტური ხაზი მეტად აღარ ვითარდება და აქტორს არცა აქვს მიზნად ამ წიგნში მოქმედების განვითარებისთვის იზრუნოს. მისი მიზანია კრიშნას შეგონებათა სახით გადმოგვცეს თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური, ეთიკური და სოციალური იდეები.

„ბჰაგავატ-გიტაში“ გაშლილი მსოფლმხედველობის მრავალი მხარე, მისი აქტორის მრავალი იდეა თანამედროვე საბჭოთა მკითხველისათვის გაუგებარი იქნება ალბათ. მაგრამ, ჯერ ერთი, არ უნდა დავივიწყოთ, როდის არის შექმნილი ეს ძეგლი (დაახლოებით მეხუთე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე); უნდა გავითვალისწინოთ, რომ 25 საუკუნის წინანდელი მოაზროვნის რელიგიური აღტყინება და მისტიკური ხილვა დღესდღეობით, მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობასა და ინარჩუნებს. მეორეც, და ეს უმთავრესია, „ბჰაგავატ-გიტას“ არსეა ამ სფეროში კი არ არის საძიებელი, არამედ ცხოვრების მიღების, მოქმედების, აქტიურობისა და სიყვარულის ჰემმარიტად დიად, ამამალღებულ იდეებში, ადამიანის სულის სიღრმეთა წვდომის უნარში და აგრეთვე მის იშვიათ პოეტურობაში.

„ბჰაგავატ-გიტამ“ უდიდესი გავლენა მოახდინა ინდური აზროვნების განვითარებაზე 2500 წლის განმავლობაში. ეს წიგნი გაცხოველებული კამათის საგანი, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და რელიგიურ მიმდინარეობათა წყარო და მოაზროვნეთა და განმანათლებელთა ზნეობრივი საყრდენი იყო. „ბჰაგავატ-გიტა“ წარმოადგენს ფართოდ გავრცელებული ინდუიზმის ფილოსოფიურ საფუძველს. მისივე გავლენის შედეგად აღმოცენდა ვიშნუიზმის ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლა, რომლის მოძღვრებამ შუა საუკუნეების ინდოეთში ევროპული რენესანსის ბადალი კულტურული აღორძინება გამოიწვია

ევროპამ „ბჰაგავატ-გიტა“ პირველად გაიცნო 1785 წელს, როდესაც გამოიცა ინგლისური თარგმანი. საინტერესოა, რომ ამ თარგმანის გამოცემის თაოსანი და წინასიტყვის დამწერი იყო ინდოეთის პირველი გენერალ-გუბერნატორი უორენ ჰასტინგსი. „ამ დამპყრობელმა, დაი-

მორჩილა რა ინდოეთი, იგრძნო და საჯაროდ აღიარა ვედების ქვეყნის სულიერი უპირატესობა, — წერდა რომენ როლანი. — მან ოსტინდური კომპანიის თავმჯდომარეს ურჩია ეთარგმნა გიტა“. პასტინგსავე ეკუთვნის წინასწარმეტყველური სიტყვები: ინდური ფილოსოფიის შემქმნელი იცოცხლებენ, როცა ინდოეთში ბრიტანეთის ხელისუფლება დიდი ხნის გაუქმებული იქნებაო.

ინგლისური თარგმანის გამოქვეყნების სამი წლის შემდეგ, 1788 წელს, „ბჰაგავატგიტა“ უკვე რუსულად ითარგმნა და დაიბეჭდა მოსკოვში. ამის შემდეგ „ბჰაგავატგიტას“ მიმართ ინტერესი არამცთუ არ შენელებულა, არაჩვეულებრივად გაცხოველდა. გამოცემებზე რომ აღარაფერი ითქვას, იმის აღნიშვნაც კმარა, რომ არსებობს „ბჰაგავატგიტას“ თხუთმეტი ინგლისური, ათამდე გერმანული და რამდენიმე ფრანგული, იტალიური, პოლონური თარგმანი. უკანასკნელი — მეთხუთმეტე ინგლისური თარგმანი (1948 წ.) ეკუთვნის ინდოეთის პრეზიდენტს რადჰაკრიშნანს.

„ბჰაგავატგიტას“ რუსულ თარგმანთაგან საუკეთესოა აკადემიკოს ბ. სმიროვის თარგმანი, რომელიც უკვე ორჯერ — 1956 და 1960 წლებში გამოიცა (წიგნში წარმოდგენილია როგორც სიტყვასიტყვითი, ბჭკარედული — მეცნიერული, ისე მხატვრული თარგმანი, რასაც დართული აქვს დიდი მეცნიერული აპარატურა და შესანიშნავი წინასიტყვა).

„ბჰაგავატგიტათი“ მოხიბლული იყვნენ გოეთე, ჰეგელი, ტორო, ემერსონი და სხვა გამოჩენილი ევროპელი თუ ამერიკელი მწერლები და მეცნიერები. ამ წიგნის გავლენა დღესაც თვალსაჩინოა როგორც მის სამშობლოში, ისე მთელ კულტურულ მსოფლიოში. ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ცნობილი ფიზიკოსის იუნგის წიგნის (საბჭოთა მკითხველი ამ წიგნს იცნობს რუსული თარგმანით) სათაურად — „ათას მზეზე უფრო ელვარე“ — გამოყენებულია სიტყვები „ბჰაგავატგიტას“ მეთერთმეტე თავის მე-12 შლოკისა და წიგნის ეპიგრაფადაც იგივე შლოკაა წარმოდგენილი...

ასე რომ, „ბჰაგავატგიტას“ ქართულად გამოცემა უაღრესად საჭირო და დროულია, მით უმეტეს ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ზემოთაც ითქვა, რომ ინდოეთისა და საქართველოს კულტურული კავშირი არც ძველად ყოფილა და, მით უფრო, დღესდღეობით არ შეიძლება იყოს შემთხვევითი ხასიათის. მიუხედავად ამისა, ჩვენში ჭერჭერობით არ მოიძებნებიან ინდური ენების ისეთი მცოდნენი, რომლებიც უშუალოდ ორიგინალიდან შეძლებდნენ მხატვრული (და არა მეცნიერული) თარგმანის შესრულებას. ამიტომ, ჩემი აზრით, სწორად იქ-

ცევიან ის მთარგმნელები, რომლებიც რუსულ თუ დასავლეთევროპულ მთარგმანებს მიმართავენ და ამ გზით ცდილობენ გააცნონ ქართველ მკითხველს ინდური ლიტერატურის მშენება. ასევეა შესრულებულა თამაზ ჩხენკელის თარგმანი: მას საფუძვლად უდევს აკადემიკოს ბ. სმირნოვის მეცნიერული თარგმანი შენიშვნებითა და კომენტარებით.

აკადემიკოსი ბ. სმირნოვი წერს:

„ისევე, როგორც არ შეიძლება პლატონის დიალოგების ბჭკარედის ენით თარგმნა, არამედ საჭიროა ამ ნაწარმოების მხატვრული ფორმის გადმოცემაც, ისევე, როგორც არ შეიძლება ბერძნული ტრაგედიების პოეტური ფორმის გადმოცემასა. დავიწყებულ იქნეს მათი ღრმა ფილოსოფიური შინაარსი, ასევე გიტას თარგმნისას შეუწყნარებელია მისი არსების რომელსამე მხარეს მიენიჭოს უპირატესობა, რადგან გიტას მხატვრული მხარე ისევე არსებითია, როგორც ფილოსოფიური. გიტას მთარგმნელის წინაშე მდგარი ამოცანა შეიძლება შევეუდაროთ „ღვთაებრივი კომედიის“, განსაკუთრებით მისი მესამე ნაწილის, მთარგმნელის ამოცანას. ორსავე შემთხვევაში მთარგმნელს მკაცრად მოეთხოვება შეინარჩუნოს დედანში გამოვლენილი წინასწორობა ფილოსოფიური და მხატვრული შინაარსისა“.

„ბჰაგავატგიტას“ ქართულად მთარგმნელმა გაითვალისწინა ეს უეჭველი და, ამასთან, ერთობ ძნელად შესასრულებელი პირობა. მის თარგმანს არ ახლავს მეცნიერული ტექსტის სამშრალე, მაგრამ, ამავე დროს, პოეტური გაქანება და სილალე არსად ჩრდილავს ნაწარმოების აზრობლივ დატვირთვას.

„ბჰაგავატგიტას“ სანსკრიტული ტექსტი დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი ორბჭკარედებით — შლოკებით (ორაგინალში 700 შლოკაა), რომლებშიც მარცვალთა რაოდენობა მკაცრად არის დაცული (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, როდესაც ავტორი, შინაარსის უფრო მკვეთრად წარმოჩენის მიზნით, თერთმეტმარცვლიან საზომზე გადადის). ლექსი ურითმოა. მთარგმნელმა ქართულ ტექსტში თავისუფალი, საზომით შეუზღუდველი ლექსის გამოყენება არჩია. იგი დაემყარა სალექსო ფორმას, რომლითაც თარგმნილია ბიბლიური პოეზიის უძველესი ქართული ნიმუშები — ეგრეთ წოდებულ „წყობილ სიტყვას“. ამ ლექსს მისივე აღმომჩენელი პავლე ინგოროყვა აშკვარად ახასიათებს: აქ „ლექსთწყობას ჰქმნის არა მუხლედთა და ტერფთა რიტმიკა, არამედ შინაარსობლივად ერთიანი ტაეპების რიტმიკა, მთლიან ტაეპთა რიტმული მონაცვლეობა... „წყობილი სიტყვის“ სალექსო ფორმას ქართულად უძველესი ტრადიცია ჰქონდა“.

ამ ტრადიციის შემოქმედებითად გამოყენების ცდას წარმოადგენს „ბჰაგავატგიტას“ ქართული თარგმანი.

„სიბრძნე ბალაჰვარისი“ — ორი რედაქცია

ალბათ ვერ დაეასახელებთ ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლს, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, რომელსაც ქართველ და, განსაკუთრებით, უცხოელ მეცნიერთა ისეთი ყურადღება ხედომოდეს წილად, როგორც-თაც გარემოშილია „სიბრძნე ბალაჰვარისი“.

ამგვარი ყურადღების უპირველესი მიზეზია მისი უნიკალური მნიშვნელობა — ბუდას ცხოვრების ლეგენდად ქცეული ამბის ინდოეთიდან დასავლეთით მიგრაციის რთული საკითხი ქართული ვერსიის გვერდის ავლით ვერასგზით ვერ გადაწყდება.

ამავე დროს, „სიბრძნე ბალაჰვარისი“ საეტაპო ნაწარმოებია ქართული აზროვნების, ქართული მწერლობის ისტორიისთვის. როგორც ფოკუსში, ისე იყრის მასში თავს შუა საუკუნეთა ქრისტიანული კულტურის რელიგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული პრობლემატიკა.

ამიტომ, ბუნებრივია, ამ ძეგლის ირგვლივ დღემდე გრძელდება გაცხოველებული სამეცნიერო კამათი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, დიდხანს არ დაცხრება კიდევ.

სხვას რომ ყოველსავე თავი დავანებოთ, სადავოა თვით სათაურიც — „სიბრძნე ბალაჰვარისი“, რომელიც ავტორმა შეარჩია ორი ქართული რედაქციის სახელდებისთვის. სადავოა იმიტომ, რომ „სიბრძნე ბალაჰვარისი“ არის სათაური მხოლოდ ქართული მოკლე რედაქციისა, ხოლო ვრცელ რედაქციას, როგორც ვიცით, სხვა რამ უწერია ტიტულად.

ავტორს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა აღნიშნული თხზულებებისთვის ეწოდებინა „ბუდას ცხოვრების ქართული რედაქციები“, მაგრამ შემდეგში ამ მოსაზრებაზე ხელი აიღო ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ამგვარი სახელწოდება ზუსტი არ იქნებოდა — ქართულ რომანში, განსხვავებით, მაგალითად, არაბული ვერსიისგან, საკუთრივ ბუდას ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდისა შემორჩენილი, ისიც უმთავრესად ამბის პირველ ნახევარში მხოლოდ; მეორეც, ამ შემთხვევაში იკარგებოდა გამაერთიანებელი ტერმინი — „ვერსია“, ურომლისოდაც ძალზე ძნელია ამა თუ იმ ძეგლის შესახებ გლობალური ასპექტით საუბარი (გვაქვს არაბული ვერსია, ბერძნული ვერსია, რომელთაც უნდა დაუპირისპირდეს ქართული ვერსია და არა ქართული რედაქცია ან რედაქციები).

ავტორმა მიზანშეუწონლად მიიჩნია აგრეთვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფეხმოკიდებული სახელწოდება „ბალავარიანის ქართული რედაქციები“ (ამ სათაურით გააერთიანა ორი თხზულება პროფესორმა ილია აბულაძემ 1957 წლის გამოცემისას). ერთი, რომ „ბალავარიანი“ ზოგადი, გამაერთიანებელი სახელწოდება ვერ იქნება იმ ვერსიებისთვის, რომლებშიც ფიგურირებს ბილაუპარი (არაბული ვერსია), ვარლაამი (ბერძნული ვერსია) და ასე შემდეგ, ხოლო სახელწოდება „ბალავარიანის ქართული რედაქციები“ სწორედ ამგვარი პრეტენზიის მქონეა; გარდა ამისა, თავად ტერმინი „ბალავარიანი“ საკმაოდ ხელოვნურია და, ვფიქრობ, ამგვარი წარმოება ეგრეთ წოდებული ალოჩინების ხანის ლიტერატურულ ტრადიციებს უფრო შეშვენიის, ვიდრე აღრეული შუა საუკუნეებისას; დაბოლოს, აღნიშნული სახელწოდება, ჩანს, თავად პროფესორ ილია აბულაძესაც არ მიაჩნდა საბოლოოდ დაზუსტებულად. ამას ისიც მოწმობს, რომ 1957 წლის გამოცემას რუსულად აწერია „Грузинские редакции повести Варлаам и Иосаф“, ხოლო ვრცელი რედაქციის რუსული თარგმანის გამოცემას (რომლის რედაქტორიც არის აგრეთვე პროფესორი ილია აბულაძე) უკვე გაორმაგებული სათაური აქვს: «Балавариани. Мудрость Балавара».

ამავე მოსაზრებით უარყო ავტორმა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მიერ ხმარებული „ბალავარის რომანი“, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთგვარად მხარს უჭერდა ძველი ტრადიცია („რამეთუ „ბალაჰვარი“ და „აბუკურაჲ“ და სხვანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძნულად“).

ზედმეტია იმის თქმა, რომ ავტორისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იქნებოდა „ვარლაამისა და იოასაფის“ ქართული რედაქციები“; თუკი ქართული თხზულების პერსონაჟის სახელს — ბალაჰვარს ვერ მოვახვევთ თავს დანარჩენ ვერსიებს, მით უფრო ნაკლები პრეტენზია უნდა ჰქონდეთ საამისოდ ბერძნული რომანის პერსონაჟებს — ვარლაამსა და იოასაფს“¹.

ყოველივე აღნიშნულის გააზრების შემდეგ ავტორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართული რედაქციების გამაერთიანებელ სახელწოდებად უმჯობესი იქნება ვინმაროთ ისევე „სიბრძნე ბალაჰვარისი“². ცხა-

¹ გაკვადნიერდები და ვიტყვი, რომ უმართებულოდ მოიქცა აკადემიკოსი ი. კრაცოვსკი, როდესაც მისი რედაქტორობით რუსულად გამოცემულ არაბულ ვერსიას უდაზე წააწერა «Повесть о Варлааме и Иосафе», ხოლო ტიტულზე — «Повесть о Варлааме пустынноике и Иосафе царевиче индийском».

² ამგვარი მოსაზრება თავდაპირველად წამოაყენა პროფესორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა (მიზანტოური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 232, შენიშვნა 2). გარნა პატრუცემული შეცნობი ამ პრინციპს თავად თანმიმდევრულად არ ახორციელებს დასახელებულ წიგნში: ზოგან ხმარობს სათაურს „სიბრძნე ბალავარისა“, ზოგან — „ბალავარის სიბრძნე“, ან კიდევ „ბალავარი“ და „ბალავარიანი“.

დია, ესეც პირობითი სათაურია, მაგრამ მას შემდეგი უპირატესობები აქვს: 1. მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს ერთ ვერსიასთან (რომელიც ამჟამად წარმოდგენილია ორ რედაქციად); 2. მარჯვედ უპირისპირდება უცხოურ თხზულებათა სახელწოდებებს: არაბული ვერსია — „წიგნი ბილაუპარის და ბუდასფისა“, ბერძნული ვერსია — „ვარლაამი და იოასაფი“, ქართული ვერსია — „სიბრძნე ბალაპვარისი“; 3. გამოხატავს ქართული რომანის სპეციფიკას — ეს უკვე ბუდისტური სიბრძნე კი აღარ არის, არამედ ბალაპვარის სიბრძნე, ესე იგი ქრისტიანული მოძღვრების სიბრძნე; 4. უცხოური თხზულებებისთვის ეტალონად არ არის დასახული („ბალაპვარისის ქართული რედაქციები“, „ბალაპვარის რომანი“) და არც მათ ისახავს ეტალონად („ვარლაამისა და იოასაფის“ ქართული რედაქციები“); 5. გამართლებულია ფსიქოლოგიურად (ვრცელი რედაქციის აღმოჩენამდე მკითხველნი შეჩვეულნი ვიყავით სათაურს „სიბრძნე ბალაპვარისი“ და ეს სათაური მკვიდრად გვაქვს გამჭდარი ცნობიერებაში).



„სიბრძნე ბალაპვარისი“ ცხოველი ინტერესის საგნად იქცა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბერძნული რომანის შესაძლო ორიგინალად იქნა დასახული. ეს მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ მეცნიერება გულდასმით ცდილობდა დაედგინა ბუდას ცხოვრების ლეგენდად ქცეული ამბის ინდოეთიდან დასავლეთით გავრცელების გზები და ეტაპები.

ამ გზებისა და ეტაპების დასახვისას არსებით სიძნელეს წარმოადგენს XI საუკუნის დაძვევს შექმნილ ბერძნულ ვერსიამდე როგორმე მოღწევა. ამის შემდეგ სურათი საკმაოდ ნათელია: ლათინური, ქრისტიანულ-არაბული, კათოლიკური, სლავური და სხვა დანარჩენი თხზულებები უეჭველად ბერძნულიდან იღებს სათავეს. მაშასადამე, ძეგლის გლობალური მასშტაბით გავრცელების საკითხი უნდა გადაწყდეს, უწინარეს ყოვლისა, ბერძნული ვერსიის წარმომავლობის ახსნის საფუძველზე.

ბერძნული ვერსიის წარმომავლობის გამოსახატავად შესაძლოა რამდენიმე სქემის დაშვება: ინდური-ბერძნული. ინდური-x-ბერძნული, ინდური-x-y-ბერძნული და ასე შემდეგ.

1887 წელს ფრანგმა მეცნიერმა ზოტენბერგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბერძნული ვერსია უშუალოდ ინდურიდან გადმოკეთდა 620—634 წლებში, და რომ ამ ვერსიას ემყარება არაბულ-მუსლიმანური, არაბულ-ქრისტიანული, ებრაული, ეთიოპური და სომხური ვერსიები.

ზოტენბერგის ეს მოსაზრება მეცნიერებამ არ გაიზიარა თუნდაც იმიტომ, რომ ზოტენბერგი, ქართულ ვერსიაზე რომ აღარაფერი

ითქვას, ანგარიშს არ უწევდა ფაქლური ვერსიის არსებობის ფაქტს და არაბულ ვერსიათა არქაულობას. მაშასადამე, სქემა ინდური-ბერძნული უარყოფილ იქნა.

1887 წელს ჰომელმა ნაკლული არაბულ-მუსლიმანური ვერსიის გამოცემისას აღნიშნა შემდეგი: ბუდას ცხოვრების ამბის სხვადასხვა რედაქციები ჭერ კიდევ ფაქლურ (საშუალო სპარსულ) ენაზე არსებობდა, აქედან რამდენიმე წიგნი ითარგმნაო არაბულად, ხოლო არაბული — ბერძნულად. მაშასადამე, შეიქმნა სქემა: ინდური-ფალური-არაბული-ბერძნული. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გამძლე სქემათაგანი, რომელსაც დღესაც ჰყავს მომხრეები.

ამას უახლოვდება ე. კუნის სქემა (1894): ინდური-ფაქლური-სირიული-ბერძნული.

აქ წინასწარ შევნიშნოთ, რომ სირიული ვერსიის არსებობა იმთავითვე ჰიპოთეტური იყო და შემდეგში ზოგიერთმა მეცნიერმა ეჭვი გამოთქვა: საერთოდ დაწერილა კი ოდესმე ბუდას ცხოვრების ამბავი სირიულ ენაზე?

რაც შეეხება ფაქლურ ვერსიას, მისი არსებობა უეჭველ ფაქტად არის მიჩნეული. ასევე უეჭველია, რომ არაბული ვერსიები სწორედ ფაქლურიდან იღებს დასაბამს.

მაშასადამე, მეცნიერულად დადგენილია სქემა: ინდური-ფაქლური-არაბული, ზოგიერთ მკვლევარს ხელს არაფერი უშლის, ამ სქემას ბოლოში მიუმატოს ბერძნული (ჰომელისეული სქემა, ზეწოთ წარმოდგენილი). ამ შემთხვევაში რომანის ინდოეთიდან დასავლეთით გავრცელების საკითხი ძირითადად გადაჭრილად ჩაითვლებოდა.

გარნა ამ შემთხვევაში აუხსნელი რჩება, თუ როგორ გაჩნდა ქართულ, ბერძნულსა და ლათინურ წყაროებში ცნობა, რომლის თანახმადაც ბერძნული ვერსია ქართულიდან არის თარგმნილი (ეჭვთიმე ათონელის მიერ).

ვინც ამ ცნობას ქართველ პატრიოტთა აღზნებული ფანტაზიის ნაყოფად არ მიიჩნევს (მსგავსად პ. ზოტენბერგის ან ფ. დელგერისა), მას ისღა დარჩენია, დროებით მაინც უარი თქვას ჰომელისეულ სქემაზე და გულდასმით გამოიძიოს: 1. აქვს თუ არა რაიმე საფუძველი ამ ცნობას, ადასტურებს თუ არა მას ქართული ვერსიის ტექსტი; 2. თუ ადასტურებს, მაშინ საიდან არის წარმოქმნილი თავად ქართული ვერსია?



ზოტენბერგის შრომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში 1888 წელს ვ. როზენმა მხარი დაუჭირა ცნობას, რომლის თანახმადაც ბერძნული ვერსია ქართულიდან არის თარგმნილი. იმავე წელს მკვლევარმა ამგვარი მოწოდებით მიმართა ქართველოლოგებს: Мы усердно просим наших

გუზინოლოგთ, не жалеть трудов для розыскания такого списка (იგულისხმება მაშინ ჭერ კიდევ მიუკვლეველი ქართული ვერსია. — რ. თ.). В случае успеха вопрос о переделке романа грузинским святителем (იგულისხმება ექვთიმე ათონელის მიერ ქართულიდან ბერძნულად გადაკეთება.— რ. თ.) мог бы быть решен окончательно.

ამ მოწოდებით მიეცა დასაბამი ქართული ვერსიის აღმოჩენასა და მის მეცნიერულ კვლევას. საქართველოში მართლაც მიაგნეს ბუდას ცხოვრების ლეგენდად ქცეული ამბის საფუძველზე შექმნილ თხზულებას — „სიბრძნე ბალაპვარისი“ და იმავე 1888 წელს ნ. მარმა გამოაქვეყნა წერილი¹, რომელშიც ზოგადად შეუდარა ერთმანეთს ბერძნული, არაბული (პომელის მიერ გამოცემული) და ქართული ვერსიები.

ნ. მარის ამ ნაშრომმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული ვერსიის შემდგომი შესწავლის მიმართულებაცა და მეთოდიც, გზებიც დაუსახა და თავისდა უნებურად გაუგებრობათა და შეცდომათა წყაროდაც ექცა მომავალ მკვლევარებს.

ამ ნაშრომში უკვე მონიშნულია ის სფერო (არაბულ-ბერძნული, რასაც შემდეგში ნ. მარმავე შეუერთა სირიული), რომელთანაც ქართული თხზულების დამოკიდებულების გასარკვევად წარმართა ძირითადად სამეცნიერო კვლევა-ძიება, აღნუსხულია ბერძნული რომანის განმავრცობელი ადგილები, აგრეთვე ქართული ძეგლის რამდენიმე თავისებურება (კერპთმსახური მეფის შედარებით მიმზიდველად დახატვა, სხვა ვერსიათა სამი დიდებულის ერთ პერსონაჟად შერწყმა, მეფის ნათლისღება უფლისწულის და არა საკუთარ სამფლობელოში, იგავთა მოსამზადებელი ხასიათი, დოგმატურ-ასკეტურ მსჯელობათა სიმოკლე). ყოველივე ამის საფუძველზე შემოგომში ზოგიერთმა მკვლევარმა (არაიშვიათად ნ. მარის მოუხსენიებლადაც) ერთობ კატეგორიული მოსაზრებები გამოთქვა და დასკვნებადაც დააფორმულა.

ერთ-ერთი ამგვარი დასკვნათაგანი წარმოდგენილია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ (ტომი ბირველი) 1941 წლის გამოცემაში: „მართლაც, ქართული „ბალაპვარი“ ნათარგმნი უნდა იყოს არაბულიდან. ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს არა მარტო ის გარემოება, რომ მას არაბულთან მეტი ნათესაობა ეტყობა, ყოველ შემთხვევაში, იგავთა რაოდენობის (ქართულში 11, არაბულში 10, ბერძნულში 16) და თანმიმდევრობის თვალსაზრისით...“ (გვ. 466. ხაზი ჩემია. — რ. თ.).

ვინაიდან ამ მსჯელობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ქართული ვერსიის წარმომავლობის საკითხთა კვლევის ისტორიისთვის, მას აქვე განვიხილავ დეტალურად.

¹ «Мудрость Балавара». Грузинская версия «Душеполезной повести о Варлааме и Иоасафе». ЗВО. т. III, 1888.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მითითებულ გამოცემაში მოტანილი მსჯელობის შემცველი აბზაცი მოსდევს ნ. მარის ციტატას, რომელშიც ნათქვამია — ქართული თხზულება შესაძლოა არაბულიდან იყოს თარგმნილი (ამიტომ იწყება ეს აბზაცი სიტყვით „მართლაც“). მოტანილი მსჯელობა, როგორც ვნახეთ, გულისხმობს: ის, რაც ამ მსჯელობით გამოითქვა, არის თვით აკადემიკოს კ. კეკელიძის და არა ნ. მარის აზრი. ვფიქრობ, ეს საეჭვო არ უნდა იყოს.

მაგრამ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ წინა (1923) და მომდევნო (1954) გამოცემებში სხვაგვარი ვითარებაა. 1923 წლის გამოცემაში ვკითხულობთ: „მას (ქართულ თარგმანს, ქართულ ვერსიას. — რ. თ.) გულმოდგინედ სწავლობს აკად. ნ. მარი, რომელსაც ის შეუღარებია ბერძნულ-არაბულ ვერსიასთან და აღმოუჩენია, რომ... ბერძნულში მოყვანილია 16 იგავი, ქართულში 11, ხოლო არაბულში 10“ (გვ. 552). 1954 წლის გამოცემაში: „აკად. ნ. მარი თავდაპირველად ფიქრობდა, რომ ქართული რედაქცია სირიულიდან მომდინარეობს, მაგრამ შემდეგში მან აზრი შეიცვალა და განაცხადა, რომ ეს რედაქცია არაბულიდან მომდინარეობსო. ამის სასარგებლოდ, ლაპარაკობს არა მარტო იგავთა რაოდენობა, განლაგება და თანმიმდევრობა (ნ. მარი), არამედ უფრო მეტად საკუთარ სახელთა, — ბალაქვარი, იოდსაფი, — ფორმა“ (გვ. 72).

მაშასადამე, ის, რაც მკვლევარმა 1941 წელს საკუთარ მოსაზრებად წარმოადგინა, წინა და მომდევნო გამოცემებში მიეწერება ნ. მარს¹.

ეს, ცოტა არ იყოს, საჩოთირო ფაქტი შესაძლოა სხვადასხვაგვარად აიხსნას, მაგრამ ამჟამად ამ ფაქტის ახსნა როდია მთავარი. უმთავრესია შემდეგი: საკუთარ აზრად წარმოგვიდგენს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ქართული და არაბული ვერსიების იგავთა რაოდენობის სი-ახლოვეს, თუ ნ. მარს ასახელებს ამ მოსაზრების გამომთქმელად, ორ-სავე შემთხვევაში საქმე გვაქვს სამწუხარო გაუგებრობასთან.

უწინარეს ყოვლისა, დღემდე ცნობილ არაბულ ვერსიათაგან არც ერთი არ არის 10 იგავის შემცველი;

გარდა ამისა, ნ. მარსაც არსად უთქვამს, თითქოს არაბულ ვერსიაში 10 იგავი იყოს.

ეს სამწუხარო გაუგებრობა, როგორც ჩანს, იმის შედეგად წარმოიშვა, რომ ზემოხსენებულ წერილში ნ. მარს მოტანილი აქვს ქართული,

¹ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ 1960 წლის გამოცემასა და სპეციალურ ნაშრომში „ბალაქვარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“ (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, 1960) აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე იგავთა რაოდენობის თანხვედრას აღარ იშველიებს ქართული თხზულების არაბულიდან მომდინარეობის მტკიცებისას.

ბერძნული და არაბული ვერსიების იგავთა ნუსხა, სადაც მართლაც არაბული ვერსიის 10 იგავია ჩამოთვლილი. ოღონდ ნ. მარი წერილის დასაწყისშივე მიუთითებს, რომ ქართულსა და ბერძნულ თხზულებებს იგი უდარებს ჰომელის მიერ 1887 წელს ვენაში გამოცემულ არაბულ ვერსიას, რომელიც დეფექტურია, თხრობა წყდება იმ ადგილას, სადაც განდეგილი უფლისწულს დაემშვიდობება და მეფე და გრძნეული (რაქის) თათბირობენ, თუ როგორ მოაქციონ უფლისწული კვლავ თავიანთ სჯულზე.

ეტყობა, აკადემიკოს კორნელი კეკელიძეა მხედველობიდან გამოჩენია ეს უკანასკნელი გარემოება — არაბული ვერსიის დეფექტურობა. ამას ისიც დაერთო, რომ არც ერთ თავის ნაშრომში, რომლებშიც „სიბრძნე ბალაჰვარისის“ არაბულ წარმომავლობას ამტკიცებდა, გარდა უკანასკნელი სპეციალური გამოკვლევისა („ბალაჰვარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“), აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე არ აზუსტებდა, საერთოდ. არც მიუთითებდა, თუ რომელი არაბული ვერსია მიაჩნდა ქართულის დედნად. ეს ამბავი კი ბადებდა არაერთ გაუგებრობას (ამას ქვემოთაც ვნახავთ), რომელთა წყაროც, საბოლოო ჯამში, იყო ისევ და ისევ ნ. მარის ზემოხსენებული წერილის თუ მისი მომდევნო ნაშრომების უსწოროდ წაკითხვა.

1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა იმ დროს ცნობილ ნუსხათა საფუძველზე გამოსცა „სიბრძნე ბალაჰვარისის“. ამ გამოცემის ბოლისტიკვაში მკვლევარმა პირველად წამოჭრა მთელი სიცხადით ქართული ძეგლის წარმომავლობის საკითხი და მოგვცა ჰიპოთეზა. რომელიც გაცილებით გვიან, ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში, უაღრესად გონებამასწავლებურ თეორიად ჩამოყალიბდა ოდნავ სახეცვლილი. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ვინ იცის, იქნება, თვით ის იოანე ბერი საბას ლავრისა, რომელსაც იხსენიებენ ბერძნული ხელნაწერები და რომელსაც ბარონ როზენის მოსაზრებით პირველად უნდა დაეწეროს მართლთა კაცთა სიტყვების მიხედვით ინდოეთიდან შემოტანილი მოთხრობა ბალაჰვარის და იოსაფატის შესახებ, ქართველი იყო და სიბრძნე ბალაჰვარისა თავდაპირველად დაიწერა ქართულს ენაზე და არა სირიულზე, ან რომელიმე სხვა ენაზე. ვინ იცის, იქნება, როგორც ხელოვნური გადაკეთება ამ რომანისა ბერძნულს ენაზე ყველა მოსაზრების მიხედვით ეკუთვნის ექვთიმე მთაწმინდელს, ისე თავდაპირველი დაწერა მისი დაახლოებით იმ სახით, რა სახითაც ეს აღნიშნულია ჩვენს გამოცემაში, ეკუთვნოდეს ქართველ ბერს საბას ლავრისა სახელით იოანეს და მას იხსენიებდენ ბერძნული ხელნაწერები გვარტომობის მოუხსენიებლად. იოანე ბერი ქართულ ხელნაწერებში არ იხსენიება. სამაგიეროთ მოხსენებულია მამა ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა, მაგრამ სამწუხაროდ მოხსენიება ამ პირისა არ გვაძლევს ცნობას, ავტორი არის ის ქართული-

ბალავარისა, თუ სხვა რაიმე როლი აქვს მას ბალავარის მოთხრობის ისტორიაში. თუ ჩვენ მივიღებთ მოსაზრებას, რომ თავდაპირველად მოთხრობა დაწერილია იოანე ბერის მიერ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე ბერს ეს მოთხრობა მამა ისაკის სიტყვების, ანუ თხრობის მიხედვით დაუწერია. იქნება ამ აზრით იყოს დაწერილი ქართული ბალავარის სათაურში: „გვითხრობდა ჩვენ მამა ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა და სხვა“.

არა მგონია, ამ მოსაზრების ნეგატური გამოძახილი არ იყოს ნ. მარის მომდევნო ნაშრომი «Армянско-грузинские материалы для истории Душеполезной Повести о Варлааме и Иоасафе», ექვთიმე თაყაიშვილისეული გამოცემის შემდეგ ორ-სამ წელიწადში გამოქვეყნებული¹. ნ. მარს ერთი სიტყვაც არ აქვს ნათქვამი ამ მოსაზრების შესახებ, ოღონდ სწორედ ამგვარი ძნელად ასახსნელი იგნორირება ჰიპოთეზისა, რომელსაც მკვლევარი უეჭველად იცნობდა, აღიძრავს ამ ექვს. ხოლო ექვს ის აძლიერებს, რომ ნ. მარის აღნიშნული წერილი უმთავრესად მიძღვნილია სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღძრული საკითხის — ქართული თხზულების წარმომავლობის საკითხისადმი.

ასეა თუ ისე, მკვლევარმა ჩვეული ერუდიციით ვრცელი ჰორიზონტი მოხაზა, საკითხი ფართო ასპარეზზე გაიყვანა. მან მკაფიო მეცნიერულ პრობლემად ჩამოაყალიბა წინა მკვლევართა მიერ გაკვრით ან ჩანასახოვანი ფორმით გამოთქმული მოსაზრებები და ამ პრობლემათა კრიტიკულად დამუშავების ცდაც მოგვცა.

ერთ-ერთი ასეთი პრობლემა მაშინვე აღიძვრის, როგორც კი ვაირკვევა, რომ ბერძნული ვერსია ინდური ამბის უშუალო დამუშავება არ ყოფილა და რომ ამ ბერძნულ ვერსიას შესაძლოა ქართული თხზულება ედვას საფუძველად. — სახელდობრ: ხომ არ არის ქართული რომანი ამბის პირველი ქრისტიანული დამუშავება (ამგვარი აზრი გამოთქმული ჰქონდა კონიბირს). ეს პრობლემა ნ. მარმა მართებულად დაუკავშირა უმთავრესს — ქართული ძეგლის წარმომავლობის საკითხს.

(აქ ჩავერთოთ. რომ ამ საკითხის კვლევის დაწყებამდე ნ. მარმა თითქოს სხვათა შორის, გაკვრით გამოთქვა ერთი მოსაზრება, რომელიც

¹ ЗВО, т. XI, 1897—1898 (1899). სხვათა შორის, ეს იგივე ტომია, რომელიც გვაუწყებს, რომ რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების 1898 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე ნ. მარს გაუყუთებია მოხსენება «Из поездки на Афон». სხდომის ოქმში ვკითხულობთ: «Основываясь на целом ряде текстов св. Писания и на агнографических памятниках, сохранившихся в Иверских рукописях, он (Н. Я. Марр. — Р. Т.) документально доказал, что грузинская литература в древнейшую, приблизительно до начала VIII века, эпоху развивалась под влиянием армянской» (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1923, გვ. 36—39).

შემდგომში საესეებით დადასტურდა: Мы однако не имели бы ничего против того, если бы в известном пока грузинском тексте исследователи признали позднейшее сокращение недошедшего до нас древнего грузинского текста Мудрости Балавара; на это предположение наводит нас не столько краткость изданного грузинского текста, сколько неожиданные и резкие местами переходы а кое-где и неясности... Впрочем, быть может, хороший древний список устранил подобные шереховатости и неясности грузинского текста. ეს იყო მეცნიერული განჭვრეტის შესანიშნავი ნიმუში, ოღონდ პარადოქსი ის აღმოჩნდა, რომ თავად მოსაზრება იმ მაგალითების საფუძველზე როდი დადასტურებულა, რომლებმაც მის გამოსათქმელად მისცეს ბიძგი მკვლევარს. ერთ-ერთი ამგვარი მაგალითი, შემდგომში კარგა ხანს უტყუარ მინაგნებად მიჩნეული, ის იყო, რომ, ნ. მარის აზრით, „...იგი არს მეგობარი კეთილი, რომელი არა ჭიქამან მოიგოს, არამედ გამოცდილებამან“ — უსწორო წაკითხვის შედეგია, თავდაპირველად ტექსტში უნდა ყოფილიყო „არა როჭიქმან მოიგოს“. ვრცელი რედაქციის აღმოჩენის შემდეგ აშკარა შეიქნა ნ. მარის ვარაუდის მცდარობა. პროფესორი ილია აბულაძე აღნიშნავს: „ნ. მარს ეს სიტყვა (ჭიქა)... შებღალული ფორმა ეგონა „როჭიქისა“, რადგან იგი ესმოდა როგორც მინა — стекло. მაგრამ ის ვითარება, რომ ეს სიტყვა ასევეა დაცული ვრცელ ბალავარიანშიც, იმას მოწმობს, რომ ის უნდა გვესმოდეს როგორც „სასმისი“¹.)

ნ. მარი აქ უბრუნდება ვ. როზენისა და ჰომელის მიერ გამოთქმულ ვარაუდს — ქართული თხზულება, ეტყობა, სირიული ლიტერატურის მეშვეობით წარმოიქმნაო. როგორც უკვე ითქვა, ეს არის ერთდროულად ორი პრობლემის აღძვრა: იგულისხმება, რომ, თუ ქართული ძეგლი სირიულიდან მოდის, იგი ვეღარ დაიჩემებს პირველი ქრისტიანული დამუშავების პრიორიტეტს.

„სიბრძნე ბალაპვარისის“ სირიულ წარმომავლობას შესაძლოა ზოგიერთი შინაარსობლივი მონაცემიც მიუთითებდესო (მაგალითად, ქეშმარიტების მარგალიტთან შედარება, რაც სირიელთა საყვარელი ხერხი იყო), ოღონდ ამგვარი რამ ქართველებს სხვა ძეგლებიდანაც შეიძლებოდა გადმოეტანათო. გარნა Нельзя того же сказать про сирназмы в слогe грузинского извода: как ни малочисленны та-

¹ ჩემი მხრე დავსძენ, რომ პროფესორ ილია აბულაძის ამ მოსაზრებას მხარს უნდა უჭერდეს ბიბლიის ერთი ადგილი: „ნუ დაითრობით ღვინითა რამეთუ უკეთუ ფილობასა და ჭიჭოვანსა მისცე თაღნი შენი, უკანასკნელ გაქვენდეს სვლად უშიშვლეს საცხელის ხისა“ („იგავნი სოლომონისნი“, 23, 31). „სიბრძნე ბალაპვარისის“ შოტანილი ფრაზა თითქოს ეხმაურება კიდეც ამ ადგილს, ყოველ შემთხვევაში, „ქიქოვანი“ აქაც სასმისი ნიშნავს უუკველად. სხვათა შორის, გაცოცხლებას იწვევს ის ამბავი, რომ აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ არავითარი ანგარიში არ გაუწია პროფესორ ილია აბულაძის ამ შენიშვნას (შდრ. ეტიუდები, VI, 1960, გვ. 48).

кие случаи, однако они достаточно ясны, чтобы говорить в пользу сирийского происхождения того памятника, в котором они оказываются... Некоторые из них, именно касающиеся синтаксиса, становятся понятными лишь при том условии, что грузинский текст местами в таких случаях есть буквальный перевод и воспроизводит особенности сирийского подлинника (გვ. 57—58). ხაზი ჩემია. — რ. თ.).

ის, რაც ამ მსჯელობას მოსდევს საილუსტრაციო მასალად (ნ. მარის შეხედულებით — სირიული წარმომავლობის მოქცევები და ფორმები, გვ. 58—62), გასაგები მიზეზების გამო, არასემიტოლოგის განსჯის საგნად ვერ იქცევა. ამ ნაშრომის ავტორიც ვერ ხელიწიფებდა აღნიშნული მსჯელობის შეწყნარებას თუ უკუგდებას, ერთი ძალზე სიმპტომატური გარემოება რომ არა: გავიდა სამიოდე წელიწადი და ნ. მარს უკვე არაბული თხზულება წარმოესახა ქართულის დედნად. და, აი, როგორი გამართლება მოეძებნა სირიაზმების ჰიპოთეზას: Нет оснований непременно заключать, что непосредственно к сирийскому архетипу восходят все наличные истоки — пехлевийский, арабский и грузинский, не говоря о греческом и персидском. Например, грузинский текст может восходить к сирийскому подлиннику и через арабский перевод. Мои стилистические наблюдения в пользу зависимости грузинского перевода от предполагаемого сирийского подлинника, в значительной степени могут сохранить силу и в отношении арабского текста, так как арабский язык христианских памятников имеет много общего с сирийским¹.

ასეთ ვითარებაში სულაც არაა აუცილებელი უეჭველად სემიტოლოგი იყოს კაცი, რათა შენიშნოს ნ. მარის ჰიპოთეზათა უნიადგობა. თარგმნის პრაქტიკისა და თეორიის განვითარების დღევანდელი დონე სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: ამგვარი მეთოდით ძეგლის წარმომავლობა ვერ დამტკიცდება და მისი მომპარჯვებელი მკვლევარი თავს ვერასოდეს დააღწევს შესაძლოა გონებამახვილური, მაგრამ ძაინც მაცდუნებელი ფანტაზიის ზეგავლენას.

აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ შემდეგი: არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც, ჩვენამდე მოღწეული არაბული ვერსიები თუ ფრაგმენტები რომელიღაც პირველადი, აწ დაკარგული არაბული დედნიდან მოდის (დ. მ. ლანგი), ხოლო ერთ-ერთი ამ ვერსიის (ყველაზე სრულის) სტილის შესახებ ამგვარი აზრია გამოთქმული: Арабская версия... переведена, как предполагают, с утраченного пехлевийского оригинала... Арабская обработка не затронула содержания, но она совершенно не коснулась и формы. В этом слу-

¹ Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, часть вторая, Житие св. Варлаама Сирокавказского (К вопросу о «Варлаама и Иоасафе»), 1901, გვ. 101—102. ხაზი ჩემია.

ჩაე არაბская версия... не может быть названа даже произведением «арабской» литературы... Читая ее, почти все время приходится чувствовать, что имеешь дело с переводом, и притом таким, где переводчик стремился к точнейшей передаче своего оригинала! (ხაზი ჩემია, — რ. თ.).

ნ. მარის ლოგიკას თუ მივსდით, ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებათა საფუძველზე ქართულ ძეგლში ალბათ სპარსიზმების მიკვლევა ცოხერხდებოდა.

ამ საკითხზე დაწერილებით იმიტომაც შევჩერდი, რომ ნ. მარის განსახილველი წერილის გამოქვეყნებიდან ვაივლის წლები და ა. კრიმსკი დაწერს: *Мудрость Балавара, семитизмы которой показывают, что она переведена или с сирского языка или с арабского*². ხოლო სულ უკანასკნელ ხანს, 1960 წელს აკადემიკოსი კ. კეკელიძე დაადასტურებს: „გარდა შინაარსობლივი მონაცემებისა B (ვრცელი. — რ. თ.) რედაქციის არაბულზე დამოკიდებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ლექსიკურ-სინტაქსური სემიტიზმები, რომელნიც ნ. მარმა არაბულიდან მომდინარედ სენო A (მოკლე. — რ. თ.) რედაქციაში და რომელნიც ადგილს პოულობენ B რედაქციაშიც“³.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ დავუბრუნდეთ ნ. მარის განსახილველ წერილს — *Армянско-грузинские материалы для истории Душеполезной повести о Варлааме и Иоасафе*.

ამ წერილში გვაქვს ერთ-ერთი პირველი ცდა „სიბრძნე ბალაპვარისის“ შექმნის ეპოქის დაზუსტებისა. ნ. მარის აზრით, ქართული ძეგლი ვერ დაიწერებოდა უგვიანეს X საუკუნისა (რადგან XI საუკუნის დასაწყისში უკვე ბერძნული ვერსია გაჩნდა) და უადრეს VII საუკუნისა (როდესაც ნახევრად წარმართულ საქართველოში სირიელნი მამანი მოვიდნენ, — მანამდე სირიის უშუალო გავლენას არაფერი არ ადასტურებს).

В период VII—X веков и была, следовательно, переведена *Мудрость Балавара* на грузинский язык.

ნ. მარის აზრით, თუ შინაარსის მიხედვით ვიმჯღელებთ, ძეგლი შექმნილი უნდა იყოს ამ სავარაუდო ეპოქის (VII—X სს.) უფრო პირველ ნახევარში, ვიდრე მეორეში. Но грузинский текст VII—VIII вв. едва ли содержал бы такие ново-персидские слова, как перечисленные нами выше⁴. Для текста же IX—X вв. они вполне возможны. ოღონდო, განაგრძობს მკვლევარი, IX—X საუკუნეთა საქართვე-

¹ Повесть о Варлааме пустынноике и Иоасафе царевиче индийском. 1947, აკადემიკოს ი. კრაჩკოვსკის შესავალი წერილი, გვ. 9—15.

² Варлаам и Иоасаф. Новый энциклопедический словарь Ф. Брокгауза и И. Ефрона, т. IX, გვ. 564. ხაზი ჩემია.

³ ბალაპვარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში, ეტიუდები. ტ. VI, გვ. 54.

⁴ ნ. მარის აზრით, ამგვარი სიტყვებია. კაბუჯი, სიხუსტე, ფლასი, ჩანგი, პასუხი, სილაღე (გვ. 58).

ლოში არსად მოიძებნებოდა ისეთი ცენტრა, სადაც შეიძლებოდა ძეგლი სირიულიდან ეთარგმნათ (სირიელ მამათა ღვაწლი უკვე დავიწყებული იყო), ამავ დროს კი სირიასა და პალესტინაში მოქმედებდა ქართული მონასტრები და, ამდენად, აქ შეიძლებოდა გაჩენილიყო ქართული თარგმანი.

ახლა ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ნ. მარის აზრთა მსვლელობას თავიდან ბოლომდე: ჯერ წამოყენებულია ქართული ძეგლის სირიული წარმომავლობის ჰიპოთეზა, რომელიც ემყარება არარსებული სირიული არქეტიპის სავარაუდო ლექსიკურ-სინტაქსურ გავლენას ქართულ თხზულებაზე, შემდეგ, თითქოს უკვე დამტკიცებული იყოს ძეგლის სირიულიდან თარგმნა, დგინდება, თუ როდის შეიძლებოდა შესრულებულიყო ამგვარი თარგმანი (VII—X საუკუნეები) და, ბოლოს, ამ ორ, თავისთავად დაუმტკიცებელ მოსაზრებას ემყარება მესამე — თარგმანი საქართველოში ვერ განხორციელდებოდა, სირიაში უნდა წარმოქმნილიყო.

ვინც ყოველსავე ამას ბოლომდე თანმიმდევრულად გაიაზრებს, ისღა დარჩენია, უარი თქვას ნ. მარის მთელ ამ კონცეფციაზე, ძირითადად არარაინგან შექმნილზე, და სხვა გზები ეძებოს ქართული ძეგლის წარმომავლობის ასახსნელად¹.

მაგრამ, როგორც ჩანს, ერთობ ძნელი იყო ნ. მარის მეცნიერული ავტორიტეტის გავლენისაგან თავის დაღწევა. 1941 წელსაც აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერდა: „თხზულებაში გვხვდება მთელი რიგი ანალისპარსული სიტყვებისა: ჭაბუკი, სუსტი, ფლასი, ჩანგი, პასუხი, ლაღი; მეცხრე საუკუნის გავსვამდე თუ მეთათის დამდეგამდე ასეთი სიტყვები ქართულ ლიტერატურულ ძეგლში მოსალოდნელი არაა“.

მკითხველი შენიშნავდა: კ. კეკელიძის ეს მსჯელობა მთლიანად ემყარება ნ. მარის ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს. კერძოდ, კ. კეკელიძეს საბუთად მოაქვს სწორედ ის ექვსი სიტყვა, რომლებსაც ნ. მარი ასახელებდა თავის გამოკვლევაში. ხოლო რაოდენ მძიმე შეცდომებამდე შეიძლება მიგვიყვანოს თუნდაც დიდი ავტორიტეტის მოსაზრებათა შეუმოწმებლად გამეორებამ, სხვა რომ არაფერი, შემდეგიდა-

¹ კაცმა რომ თქვას, მთელი ეს მსჯელობა. შესაძლოა, არც მისსავე ავტორს ესახებოდა მიანიცდამიანც დამაჩერებლად. ნ. მარი თავად აღნიშნავდა ამ წერილში: *Нужно ли говорить, что только с детальным исследованием вообще размера и качества сирийского влияния как посредственного через армян, — так непосредственного на грузинскую литературу можно чувствовать под собою более прочную почву, чтобы с уверенностью обсуждать вопросы, подобные затронутым в настоящей заметке* (გვ. 63). შესაძლოა ფეხქვეშ ამ მყარი ნიადაგის უქონლობის გრძნობამ განაპირობა სწორედ ამ წერილის გამოქვეყნებიდან სამიოდე წლის შემდეგ „სიბრძნე ბალაქარისის“ უკვე არაბული წარმომავლობის მტკიცება.

ნაც ჩანს: აღნიშნული ექვსი ჭიტყვიდან ყოველ შემთხვევაში ორი — ჰაბუკი და პასუხი — საშუალო სპარსული ჭიტყვა ყოფილა და არა ახალი სპარსული¹. ამასაც რომ თავი დაეანებოთ, „პასუხი“ გვხვდება უკვე „აბოს წამებაში“, ხოლო ეს არ არის „მეცხრე საუკუნის გასული თუ მეათის დამდეგი“.

ასე იყო თუ ისე, ქართულ მეცნიერებაში თითქმის დაკანონდა ნ. მარის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, „სიბრძნე ბალაჰვარისი“ თარგმნილია არაბულიდან IX—X საუკუნეებში. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ 1941 და 1954 წლების გამოცემებში აკადემიკოსი კ. კეკელიძე ძირითადად ამ თვალსაზრისს მისდევს (1923 წლის გამოცემაში მკვლევარს გათვალისწინებული არ აქვს ნ. მარის მიერ აზრის შეცვლა არაბულის სასარგებლოდ და წერს: „ნ. მარის გამოკვლევით ქართული ვერსია ნათარგმნი უნდა იყოს ასურული ენიდან IX—X საუკუნეში...“ გვ. 552). ოღონდ ხსენებულ ორ გამოცემაში კ. კეკელიძეს ძეგლის წარმოშობის თარიღი კიდევ უფრო გვიან ხანაში გადმოაქვს (1941 წელს: „...ქართულ თარგმანს მეთავე საუკუნეზე ადრე ვერ დავდებთ“. 1954 წელს: „...ქართულ თარგმანს მეთავე საუკუნეზე ადრინდელად ვერ მივიჩნევთ. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ის ნათარგმნია მეთავე საუკუნის სამოცდაათიანი წლების შემდეგ“).

ძირითადად ამავე აზრს იზიარებდა პ. ინგოროყვა, იმ განსხვავებით, რომ ქართული ძეგლი მას მიაჩნდა არაბულის გადამუშავებად და არა თარგმანად: „ფაპლაური ტექსტიდან მომდინარეობდა არაბული თარგმანი მე-8 საუკუნისა, ქართული ვერსიის უშუალო პირველწყარო. მე-8—9 საუკუნეებში ქართველმა ავტორმა (ისაკ სოფრომის ძემ) გადაამუშავა ქართულს ენაზე ეს თქმულება ბუდდას შესახებ, მოახდინა მისი შინაარსის ნაწილობრივი ქრისტიანიზაცია, შეუფარდა იგი თანამედროვე ქრისტიან მკითხველთა ლიტერატურულ მოთხოვნილებებსა და გემოვნებს“².

1937 წელს ილია აბულაძემ განახორციელა „სიბრძნე ბალაჰვარისი“ მეცნიერული გამოცემა იმ დროს ცნობილი ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინებით. ამ გამოცემას წამძღვარებული აქვს შალვა ნუცუბიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის შესავალი წერილი, რომლითაც ახალი ეტაპი დაიწყო საკითხის ისტორიაში.

ავტორები წერდნენ: „მისი (ქართული ძეგლის. — რ. თ.) წარმოშობა VII საუკუნეში უნდა ვიგულისხმოთ — არც ადრე და არც გვი-

¹ მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1, 1966, გვ. გვ. 187, 193, 200, 408, 409, 191, 211, 360.

² „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“, რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 65. აგრეთვე „ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა“, „მნათობი“, 1939.

ან... მასში უცხოურია მხოლოდ ჩონჩხი სიუჟეტისა, რომელიც საბოლოოდ ისევ ქართულ-ქრისტიანულ პირობებშია ჩამოყალიბებული, ხოლო კომპოზიციით, სტილით და სოფლგაგებით იგი თავიდან ბოლომდე ქართული მოვლენაა... რაც შეეხება „ბალაეარში“ დარჩენილ უცხოურ ფენას, იგი ადასტურებს ბუდისტური ამბის ცოცხალ მატარებელთან უშუალო, ყოველგვარი შუამავლობის გარეშე შეხებას...“ ხოლო წერილის დასაწყისში „სიბრძნე ბალაჰვარისის“ წარმომავლობისათვის ამგვარი აზრი იყო გამოთქმული: „იგი საქართველოში უცხოური ამბავის სახით შემოსულა, ზეპირი „თხრობის“ გზით გაშლილა და მხოლოდ შემდეგ ჩაწერილა“.

აქ უკვე აღარსად იხსენიება ქართული თხზულების სირიული თუ არაბული წარმომავლობა, მითითებულია ინდურ პირველწყაროებთან უშუამავლო კავშირი, ამბის მოტანა მთხრობელის (თუ მთხრობელთა) მიერ და მისი ჩაფიქსირება უეჭველად VII საუკუნეში. დიდად საგულისხმოა ძეგლის დათარიღებისთვის მოხმობა მსოფლმხედველობრივი (ფილოსოფიური და რელიგიურ-ფილოსოფიური) მომენტებისა, რაც მანამდე ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში მაინცდამაინც დიდ პატივში არ ყოფილა (რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა).

ნ. მარის ჰიპოთეზათა ლაბორინთებში ამაო ხეტიალით დაქანცული აზრი ბოლოს და ბოლოს თავისუფლად ავირისუნთქავს და შვებას იგრძნობს, რა შეიცნობს, რომ სულაც არ ყოფილა აუცილებელი, ვთქვათ, დღესაც მიუკვლეველი და იქნებ არც არასოდეს არსებული სირიული ვერსიის სინტაქსის ქართულ თხზულებაზე უშუალო თუ სომხურის მეშვეობით მოხდენილი გავლენის ფუქი პრობლემების გამო თავის ტეხა.

მაგრამ, სამწუხაროდ, შვების ეს განცდა დიდხანს ვერ გაპყვება აღამიანს. საკმარისია პრობლემის თავიდან ბოლომდე გააზრება, რათა ახალი ეჭვები აღიძრას და არაერთი საფიქრალი გაჩნდეს. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ შევამჩნევთ, რომ ზემოხსენებული წერილის ავტორთა მოსაზრებებს აპრიორიზმის დალი აზის უეჭველად. ჩვენ გავგეხსენდება ჰომელის სიტყვები, ჭერ კიდევ 1887 წელს თქმული, რომ, დამუშავების თავისუფლებისდა მიუხედავად, ბერძნული რომანი ძალზე ახლოს დგას ფაქტურ პირველწყაროსთან საიმისოდ, რათა სხვაგვარი სესხება, თუ არა ლიტერატურული, შესაძლო იყოსო (ხოლო, რამდენადაც შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი კატეგორიულად ამტკიცებენ — ბერძნული რომანი ქართულიდან არისო თარგმნილი, ამ მოსაზრების ანგარიშგაუწველობა არასაგზით არ შეიძლება).

მაშასადამე, ზემოხსენებულ ავტორთა სქემა — ინდური-ქართული-ბერძნული, სხვას რომ ყოველსავე თავი დავანებოთ, საეჭვოდ იქცევა, ვიდრე არ დამტკიცდება, რომ ჰომელის მოტანილი სიტყვები მცდარი ყოფილა.

ძირითადად ამგვარი იყო ვითარება 1956 წლამდე, როდესაც აღმოჩნდა „სიბრძნე ბალაჰვარისის“ ვრცელი რედაქცია. ზედმეტია იმის გამო სიტყვის თქმა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს საკითხის ისტორიისთვის, საერთოდ, ქართული (და არა მხოლოდ ქართული) კულტურის შესწავლის წარმატებისთვის.

ამ ფაქტს პირველი გამოეხმაურა პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი წერილით „ახალი ვარიანტი ქართული რომანისა „სიბრძნე ბალაჰვარისისი““. ამ წერილში ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს შემდეგი სტრიქონები: „საჭიროა იგი (ახლად აღმოჩენილი ვრცელი რედაქცია. — რ. თ.) შევეუდაროთ „ბალავარიანის“ ყველა არსებულ ძველ ვარიანტს: ძველ ქართულ „ბალავარიანს“ (რომელსაც აქამდე ვიცნობდით), ბერძნულს და არაბულს“.

საკითხი სავსებით დროულად და სწორად იყო დასმული და მხოლოდ სინანული შეიძლება გამოითქვას იმის გამო, რომ ეს საქმე ჯერაც არ განხორციელებულა.

პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი აყალიბებს ზოგადი შედარების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს:

1. ორი ქართული რედაქციიდან პირველადია მოკლე რედაქცია. ამ დებულების საფუძველი ის არის, რომ, ჯერ ერთი, მსოფლიო მწერლობის მაგალითებით ვიცი, რომ, ჩვეულებრივ, მოკლე თხზულების განვრცობა ხდება ხოლმე და არა პირუკუ („ილიადა“ და „ოდისეა“, „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“), „ნაწარმოების შემოკლება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დგება კრებულები, რომლისთვისაც ცალკეულ ნაწარმოებებს შეკვეცავენ ხოლმე ამ კრებულთა რედაქტორები“; მეორეც, „...მოკლე ვარიანტში არის ისეთი ადგილები (ზოგჯერ 1—2 გვერდის მოცულობის), რომლებიც არ არის ვრცელში“.

2. „შთაბეჭდილება ისეთია, რომ ვრცელი იერუსალიმური „ბალავარიანის“ დამწერს წინ უდევს ძველი მოკლე ვარიანტი ქართული „ბალავარიანისა“, საიდანაც მას შეაქვს თავის ახალ ვრცელ „ბალავარიანში“ თითქმის ყველაფერი (ისიც სიტყვასიტყვით), და უდევს გვერდით ვრცელი ბერძნული „ბალავარიანიც“, ეჭვთიშვით მიერ გაკეთებული მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე, და იმ მოკლე ქართულს ავსებს ამ ბერძნული „ბალავარიანიდან“. მეტი წილი იმ ეპიზოდებისა, რომლებიც ვრცელ იერუსალიმურ ქართულ „ბალავარიანს“ ზედმეტად მოეპოვება შედარებით მოკლე ქართულ „ბალავარიანთან“, არის ბერძნულ „ბალავარიანში“ (არის, რასაკვირველია, შეხვედრები არაბულ „ბალავარიან-

1 „მნათობი“, 1956. № 8.

თანაც“). შესაძლებელია, ვრცელი ბალავარიანის . დამწერს, ამ ორი წყაროს გარდა, სხვა წყაროც მოეპოვებოდეს“.

3. ენობრივად ვრცელი რედაქცია უფრო გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებს (აქ გვხვდება „ფეკი“ ნაცვლად „ფერჯისა“, „მიუღრეკიხარ“ ტიპის ზმნის ფორმები, „საერისკაცო“, „სიაზნაურე“, „ნეტართუმცა“, „უვიწრეს“ და მისთანანი).

დასასრულ, ავტორი წერს: „რასაკვირველია, ამგვარ ენობრივ ნიშნებზე ჩვენ კატეგორიულად ვერაფერს ვიტყვი, რადგან ძველი ქართული ენა არ არის ჭერჭერობით იმდენად შესწავლალი, რომ შეგვეძლოს ექვემოთნადად ხელი დავადვათ — ესა და ეს ფორმა უთუოდ მეცხრე ან მეთათე საუკუნისააო. არც ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი მოგვეპოვება, რომ შეგვეძლოს ჩავიხედოთ და ვთქვათ, თუ რომელ ძეგლშია დამოწმებული ესა თუ ის ენობრივი ფორმა“.

1963 წელს პროფესორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა გაიმეორა ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა 1-ლი და მე-3 პუნქტები და დამატებით წარმოადგინა საბუთები, რომლებითაც ცხადყო, რომ არაერთი სიტყვა, რომელთა მომარკვებითაც აკადემიკოსი კორნელი ექვლიძე ამტკიცებდა — „სიბრძნე ბალაჰვარისი“ X საუკუნეზე ადრე ვერ იქნებოდა თარგმნილი (ასეთ სიტყვებად კ. ექვლიძეს მიაჩნდა, როგორც ვიცით, ჭერ კიდევ ნ. მარის მიერ დასახელებული ჭაბუკი, ხუსტი, ფლასი, ჩანგი, პასუხი, ლადი, აგრეთვე განი, გრო, დასტური, კოტორი, საბლარდნელი და სხვანი), სინამდვილეში ნახმარია უძველეს ქართულ ძეგლებში¹.

პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს პასუხი არ გაუცია პროფესორ ილია აბულაძის კონტრამოსაზრებებისთვის, რომლებიც უკანასკნელმა განსაზღვრულ წერილთან დაკავშირებით გამოთქვა². კერძოდ, ფრიად ანგარიშგასაწევეია შემდეგი შენიშვნა, გამოთქმული ს. ყაუხჩიშვილის იმ საბუთთან დაკავშირებით, რომ, ჩვეულებრივ, მოკლე თხზულების განვრცობა ხდება და არა პირუკუ: „...სწორედ ჩვენამდის მოღწეული მოკლე „ბალავარიანის“ ადრინდელი ნუსხები ყველა უკლებლივ აგიოგრაფიულ-ასკეტიკურ კრებულებს წარმოადგენს, ისიც ზოგჯერ ერთიანი მასალით, რაც, როგორც ჩანს, ჩვენს ავტორს გაუშვია მხედველობიდან“. თუ ამ შენიშვნას დამატებელი პასუხი არ გაეცა, ისე პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებათაგან პირველი პუნქტი ერთობ საეჭვო შეიქნება.

აღარაფერს ვიტყვი ილია აბულაძის შენიშვნებისათვის მესამე პუნქტის (ენობრივი ნიშნების) გამო, რადგან ენობრივი მონაცემები არც სიმონ ყაუხჩიშვილს მიუჩნევია თავის წერილში კატეგორიული დასკვნებისთვის საკმარის საფუძვლად.

1 ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963, გვ. 232—237.

2 ბალავარიანის ქართული რედაქციები, 1957, შესავალი წერილი, გვ. 046—048.

რაც შეეხება მეორე პუნქტს, მის შესახებ არც პროფესორ ილია აბულაძეს გამოუთქვამს რაიმე აზრი და არც პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს გაუმეორებია „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“. ჩემს თავს უფლებას მივცემ ამ პუნქტის საკითხი ღიად არ დავტოვო, მით უმეტეს, რომ მასში გამოთქმულ მოსაზრებებს, როგორც ვნახავთ, სავსებით იზიარებს და შემდგომ განაერცობს აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე.

უწინარეს ყოვლისა, შევნიშნოთ, რომ ამ პუნქტში გამოთქმული მოსაზრებები პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს კატეგორიული ფორმით არ წარმოუდგენია; პატივცემული მკვლევარი თავადვე შენიშნავს, რომ ეს არის მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება. ამიტომ ამ მოსაზრებებს მყარი საბუთები თუ არ წარემძღვარა, ცხადია, მხოლოდ მათს საფუძველზე რაიმე საბოლოო დასკვნის მიღებისთვის ლაპარაკიც არ შეიძლება.

გარდა ამისა, აპრიორულადვე შეგვიძლია ვთქვათ: ხსენებული შთაბეჭდილება (რომ ვრცელი რედაქციის შემქმნელი სიტყვასიტყვით იწერს ყოველივეს მოკლე რედაქციიდან, იწერს აგრეთვე ექვთიმეს მიერ თარგმნილი ბერძნული ვერსიიდან და, ბოლოს, ვგონებ, არაბული ვერსიიდანაც) ერთობ მერყევე ნიადაგზეა აღმოცენებული. ძალზე ძნელი წარმოსადგენია, როგორი მიზანდასახულება უნდა ჰქონოდა ამ შემთხვევაში ვრცელი რედაქციის შემქმნელს, ან, საერთოდ, როგორ უნდა წარმართულიყო მისი შემოქმედებითი პროცესი.

დაბოლოს, უმთავრესი: ამგვარი შთაბეჭდილების გამართლებებისთვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, თუკი ბერძნული რომანის უწინარეს აღმოცენებულ არაბულ ვერსიაში ისეთი არაფერი აღმოჩნდა, რაიც თანხედებოდეს ბერძნულ ვერსიაში და ვრცელ რედაქციაში არსებულს, ხოლო მოკლე რედაქციაში არარსებულს.

უბრალო მაგალითი სავსებით ცხადს გახდის, თუ რა იგულისხმება ზემოთქმულში. მოვიტანოთ ტექსტები. ვრცელ რედაქციაში, ბერძნულსა და არაბულ ვერსიაში ხაზი გაუუსვიათ იმას, რაიც ამ ძეგლებისთვის საერთოა, ხოლო მოკლე რედაქციით არ დასტურდება.

ქ ა რ თ უ ლ ი მ ო კ ლ ე რ ე დ ა ქ ც ი ა : სპილოდადევნებულმა კაცმა „იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღტდა და იხილნა კულად ორნი თავუნი: ერთი შავი და ერთი თეთრი... და შთახედნა ჭურღმულსა და იხილა ვეშაპი... და აღიხილნა ზე და იხილა თავლი მცირე...“.

ქ ა რ თ უ ლ ი ვ რ ც ე ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა : სპილოდადევნებულმა კაცმა „...პოვნა ორნი რტონი აღმოცენებულნი მას ზედა, და მოეკიდა და პოვა რაჟმე, რომელსა ზედა დაიდგნა ფერკნი თჳსნი. და ვითარ მიჰხედნა, იხილნა ორნი თავუნი: ერთი თეთრი და ერთი შავი... და შთაჰხედნა ჭურღმულსა მას შინა და იხილა ვეშაპი... ხოლო რომელსა იგი

ზედა ფერკნი ეღვნეს, ოთხნი თავნი იუვენეს ასპიტისანი გამოსულნი კურელით. და აღიხუნა თუალნი თვისნი და იხილა რტოთა მათ ზედა მცირედი რაჲმე თაფლი...“.

ბერძნული ვერსია: მარტორქადადევნებული კაცი „...რაღაც ხეს მოეჭიდა, მაგრად ჩააფრინდა და ფეხი რაღაც საყრდენზე მოიმაგრა. რომ მიმოიხედა, იხილა ორი თავგი: ერთი თეთრი, ერთი—შავი... ორმოს ძირს რომ ჩაჰხედა, დაინახა ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული... რომ დახედა საყრდენს, რომელზეც ფეხი ჰქონდა მომაგრებული, დაინახა ოთხი გველის თავი, გამოყოფილი იმ კედლიდან, რომელსაც ეურდნობოდა. ზე აიხედა და ხედავს, რომ ხის რტოთაგან ცოტაოდენი თაფლი მოწვეთავს“.

არაბული ვერსია (ბომბეისა და მოსკოვს გამოცემული): სპილოდადევნებული კაცი „... მოეჭიდა ორ რტოს, რომლებიც ჰის კიდეზე იზრდებოდა, ფეხები მოიმაგრა რაღაცაზე, რაიც მათ საყრდენს უქმნიდა ჰის გვერდითს კედელზე... შეხედა იმ ორ რტოს, და, აი. მათს ფესვზე აღმოჩნდა ორი თავგი. ერთი თეთრი, მეორე — შავი... დახედა იმას, რაც მის ფეხქვეშ იყო, და იქ დაინახა ოთხი გველი, რომელთაც თავები თავთავიანთი სორიებიდან გამოეყოთ. ჩახედა ჰის ფსკერს და იქ დაინახა ურჩხული... მერე თავი ასწია და იმ ორი რტოს წვერზე ცოტაოდენი ფუტკრის თაფლი იხილა“.

როგორც ვხედავთ, ქართული ვრცელი რედაქცია, ბერძნული ვერსია და აგრეთვე არაბული ვერსია შეიცავს ერთ დეტალს, მოკლე რედაქციისთვის სრულებით უცნობს: კაცი ფეხს მოიმაგრებს რაღაცაზე, რაც შემდეგ ოთხი გველის თავი აღმოჩნდება.

ახლა მივუბრუნდეთ პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ წარმოდგენილ სქემას: ვრცელი რედაქციის შემქმნელი იწერს მოკლე რედაქციის ტექსტს, ოღონდ თავის თანხულებაში ბერძნული ვერსიიდანაც შეაქვს ზემოაღნიშნული დეტალი (რაღაცაზე ფეხის მომაგრება და ოთხი გველის თავი).

მაგრამ თავად ბერძნულ ვერსიაში საიდანღა გაჩნდა ისეთი დეტალი, რომელიც მის დედნად საგულეებელმა მოკლე რედაქციამ არ იცოდა? თუ ვიტყვი, რომ ეს დეტალი ბერძნული ვერსიის შემქმნელის ფანტაზიის ნაყოფია, მყისვე აღიძვრის კითხვა: მაშ არაბულ ვერსიაში როგორღა აღმოჩნდა იგივე დეტალი (დღესდღეობით არავის ეეჭვება, რომ არაბული ვერსია ბერძნულზე აღრინდელია)? ან იქნებ ბერძნული ვერსია ქართულიდან კი არ თარგმნილა, არამედ არაბულიდან? მაგრამ ეს მოსაზრება ხომ ძირეულად ეწინააღმდეგება პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის კონცეფციას ბერძნული ვერსიის ქართულიდან წარმოშობისა.

ამრიგად, სქემა — ვრცელი რედაქცია—მოკლე რედაქცია + ბერძ-

ნული ვერსია — კრიტიკას ვერ უძლებს (აქ სიტყვას აღარ განვავრძობ იმის თაობაზე, რომ მოტანილი მაგალითი მოკლე რედაქციის განზე დადგომის და ვრცელი რედაქციის, ბერძნულის და არაბულის თანხედრობისა ცალად როდი დარჩება, თუკი ტექსტებს გამოწველივით შევაჯერებთ: მსგავსი მაგალითი უამრავია, ასე რომ რაიმე შემთხვევითობა აბსოლუტურად გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ).

●
საქმე. რომელიც დიდხანს ამაოდ ელოდა თავის განმანათლებელს, ბოლოს თავს იღვა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ: ფუნდამენტურ გამოკვლევაში К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф» (თბილისი, 1956) მკვლევარმა ძირითადად შეაჯამა მთელი ის მუშაობა, რაც ბუღას ცხოვრების ლეგენდად ქცეული ამბის ინდოეთიდან ბიზანტიამდე მიღწევის რთულსა და დახლართულ პრობლემატიკას მიედევნა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ამ გამოკვლევის წერის პროცესში ვრცელი რედაქცია ჯერ კიდევ არ ყოფილა მიკვლეული, მისი არსებობა მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც, როგორც ჩანს, გამოკვლევა ძირითადად დასრულებული იყო. ამიტომ მკვლევარს მოუხდა თავის ნაშრომში ჩაერთო ახალი (მეექვსე) თავი, რომელშიც განიხილავს ვრცელი რედაქციის აღმოჩენასთან დაკავშირებით აღძრულ პრობლემებს. ვრცელი რედაქციის ტექსტის ესოდენ დაგვიანებით გაცნობამ თავისი დადი დააჩნია როგორც, კერძოდ, აღნიშნულ ნაწილს ნაშრომისა, ისე, საერთოდ, მთელ წიგნს, რადგან ავტორის ძირითადი დებულებები ამ რედაქციის მონაცემთა გაუთვალისწინებლად იქნა ჩამოყალიბებული.

მართალია, შ. ნუცუბიძის ამ ძირითად დებულებებს უშუალო კავშირი არა აქვს ჩვენი აქამინდელი საუბრის საგანთან (მოკლე და ვრცელი რედაქციების ურთიერთმიმართება), მაგრამ ამ დებულებათა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია იმ პოზიციაში გარკვევა, რომელიც შ. ნუცუბიძემ დაიკავა ორი ქართული რედაქციის დამოკიდებულების საკითხში. ამიტომ აუცილებელია ხსენებულ დებულებათა ზოგადად მაინც გაცნობა.

მსგავსად 1937 წლის გამოცემის შესავალი წერილისა, აკადემიკოს შ. ნუცუბიძეს ამ გამოკვლევაში უცილებელ ფაქტად აქვს დასახული „სიბრძნე ბალაჰვარისის“ (მოკლე რედაქციის) VII საუკუნეში აღმოცენება. ამის საფუძველს მისთვის, გარდა ძეგლის მსოფლმხედველობრივი მონაცემებისა, წარმოადგენს უმთავრესად ქართულ და ბერძნულ ხელნაწერთა ჩვენება, რომლის მიხედვითაც ამბავი ჩაწერილია მონათხრობის საფუძველზე. შ. ნუცუბიძეს მიაჩნია, რომ ქართული და პირველადი ბერძნული თხზულებებისადმი მიმართებით ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე წერილობით წყაროთა უშუალო გამოყენების გამო. აქე-

დან კეთდება დასკვნა, რომ საკითხის გასარკვევად აუცილებელი არაა არაბული ტექსტების (როგორც VIII საუკუნის. ისე ბერძნულ ვერსიაზე დამყარებულის) განხილვა და აღნიშნულია, რომ ე. კუნის, ჰომელისა და ნ. მარის (ცდებს არაბულ, ქართულ და ბერძნულ ვერსიათა შესაძარებლად ფაქტიურად არავითარი შედეგი არ მოუტია. ამგვარი შედარების საფუძველზე წამოჭრილი რამდენიმე საკითხი. აკადემიკოს შ. ნუცუბიძის აზრით. საქმის არსებას არ ცვლის: გამოთქმა „სიტყვის მკერავი“ არაბული წარმოშობის კი არ არის, ქარაგმის უსწოროდ ამოკითხვის შედეგია (უნდა იყოს „სიტყვისა მკურნავი“); პერსონაჟთა სახელების (იოდასაფ. ბალაპვარ) არაბულთან მსგავსება საკმარისი საფუძველი არ არის წერილობითი წყაროს საგულველად — ეს სახელები შეიძლებოდა ზეპირი გადმოცემის საფუძველზეც წარმოქმნილიყო; ქართული თხზულება, წინააღმდეგ არაბულისა, ორად არ არის გაყოფილი და, ამდენად, პ. პეტერსის მოსაზრება, თითქოს ქართული ვერსია არაბულს უნდა ემყარებოდეს, მცდარია.

ყოველივე ამის. აგრეთვე ქართული (მოკლე რედაქციის) და ბერძნული ტექსტების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს გამოკყავს თავისი ძირითადი დებულებები: 1. ბუდას ცხოვრებას ამბავი ზეპირი გზით არის მოტანილი და შემდეგ მონათხრობის საფუძველზე ჩაწერილი იოანე მოსხის მიერ (VII საუკუნე); 2. იოანე მოსხს დაუწერია ჯერ ბერძნული პირველადი თხზულება, შემდეგ — ქართული (მოკლე რედაქცია); 3. რამდენადაც ის პირველადი ბერძნული თხზულება დაიკარგა, XI საუკუნეში ექვთიმე ათონელმა ქართული „სიბრძნე ბალაპვარისის“ (VII საუკუნის, იოანე მოსხისეული ძეგლის) საფუძველზე შექმნა ბერძნული მეტაფრასული ვერსია.

აქ წინასწარ შევნიშნოთ: აზრთა მთელი ეს მსვლელობა. მთელი კონცეფცია იმდენად მწყობრი, ლოგიკურად უეჭვო და მომხიბვლელი ჩანს გამოკვლევის კითხვის პროცესში, ლამის გულიც დაგწყდეთ, რომ არაბული ტექსტების, განსაკუთრებით კი ვრცელი რედაქციის ჩვენებანი მას სრულიად არ უჭერენ მხარს.

უწინარეს ყოვლისა, არაბულ ჩვენებათა გამო, როგორც ზემოთაუ აღინიშნა, ჯერ კიდევ ჰომელმა გამოთქვა ეჭვი: ბერძნული ვერსიის მხრივ სხვაგვარი სესხება, თუ არა ლიტერატურული. შესაძლოა არ უნდა იყოსო. ამ აზრს სრული უეჭველობით ადასტურებს ზემოთ წარმოდგენილი მაგალითი (როდესაც ბერძნულსა და არაბულ ვერსიებში სიტყვასიტყვით დასტურდება ერთი და იგივე დეტალი, მოკლე რედაქციისთვის უცნობი). რომლის მსგავსთა მრავლად დაძებნა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს კი, მეტი რომ არ ითქვას, ძალზე საეჭვოს ხდის აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ზემოხსენებული კონცეფ-

ციის საფუძველთა საფუძველს — დებულებას ამბის ზეპირი თხრობის და არა წერილობით წყაროთა მეშვეობით გადმოტანისა.

ესეც არ იყოს, გინდაც დავეუშვათ, რომ მოკლე რედაქცია მართლაც ზეპირი მონათხრობის საფუძველზეა შექმნილი და ბერძნული ვერსია მისი გადამუშავების შედეგად არის მიღებული, როგორღა უნდა ავხსნათ ის ამბავი, რომ თვით მოკლე რედაქციის ტექსტიც არაიშვიათად თითქმის სიტყვასიტყვით თანხვდება არაბული ვერსიისას? აი, ერთი მაგალითი მრავალთაგან:

ქართული მოკლე რედაქცია „პრქუა იოდასაფ: არასადა ასმიან მამასა ჩემსა ესევეითარნი სიტყუანი?.. პრქუა ბალაჰვარ: არა ასმიეს ესრე ზედამიწევნით. და პრქუა იოდასაფ: და რად არა ილუაწეს ბრძენთა კაცთა ამისთჳს? მიუგო ბალაჰვარ: ამისთჳს, რამეთუ... ვერ პოვეს აღგილი შეწყნარებისაჲ მის თანა“.

არაბული ვერსია (ბომბეისა და მოსკოვს გამოცემული): „ბუდასფმა უთხრა: ფიქრობ თუ არა, რომ მამაჩემს რაიმე სმენია ამაგვარი ნაუბარიდან? ბილაუჰარმა მიუგო: არა მგონია, ოდესმე ისე მოესმინოს, რომ ნათქვამი მის გულში განმტკიცებულყოფოს, მისთვის ისე არავის უთქვამს, რომ ამას ჩასწვდომოდეს... ბუდასფმა უთხრა: როგორ დატოვეს ბრძენთ უამისოდ მთელი ამ ხნის განმავლობაში? ბილაუჰარმა მიუგო: იმიტომ დატოვეს, რომ იცოდნენ, ვისდამი მიემართათ თავიანთი სიტყვა“.

როგორც ვხედავთ, თუ დავეუშვით, რომ მოკლე რედაქცია VII საუკუნის ზეპირი მონათხრობის ჩანაწერია მხოლოდ, ისიც უნდა დავეუშვათ, რომ არაბული ვერსია ან საკუთრივ ქართულ თხზულებას ემყარება, ან, ყოველ შემთხვევაში, ქართულიდან გადაღებულ რომელიღაც ტექსტს (რადგან მოტანილი მაგალითი ზეპირი სესხების შესაძლებლობას აბსოლუტურად გამორიცხავს), ოღონდ ბერძნულს არა — მასზე გაცილებით ადრინდელია. ეს კი იმდენად აბსურდული აზრია, არა მგონია საჭირო იყოს მის გასაბათილებლად მსჯელობის წამოწყება.

მაგრამ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის კონცეფცია ჩვენ ამ შემთხვევაში გვიანტერესებს არა თავისთავად, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განსახილველ საკითხს (მოკლე და ვრცელი რედაქციების ურთიერთმიმართებას) უკავშირდება. ამ საკითხს მკვლევარი უშუალოდ ეხება თავისი წიგნის მეექვსე თავში.

ვინც იცნობს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის კონცეფციას ბერძნული რომანის წარმოშობის შესახებ (რაც გაშლილია წიგნის წინა ხუთ თავში), მისთვის უეჭველი უნდა იყოს, რომ ამ კონცეფციის ავტორი ერთი წუთითაც ვერ დაუშვებს მოკლე რედაქციის ვრცელისგან წარმომავლობას, — ამ კონცეფციის ავტორი მხოლოდ იმ შეხედულებას უნდა ადგეს, რომ ვრცელი რედაქცია მოკლეზე გვიანდელია და არასგზით

არ არის ბერძნული ვერსიის წყარო (ჯერ ერთი, ვრცელი რედაქციის სატიტულო წარწერაში, მოკლე რედაქციისგან განსხვავებით, არ არის არავითარი მითითება მონათხრობის შედეგად ჩაწერის შესახებ, მეორეც, ამ ძეგლის აღნაგობა წინასწარვე გამოორიცხავს ზეპირი მონათხრობის გზით მისი წარმოშობის შესაძლებლობას, რის სამტკიცებლადაც გარკვეულ საფუძველს ქმნიდა მოკლე რედაქციის ტექსტის აიბიკრე და შედარებით მარტივი სტრუქტურა; მაშასადამე, თუ დავუშვებთ, რომ მოკლე რედაქცია ვრცელისგან არის მიღებული, საფუძველი გამოეცლება აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მთელ კონცეფციას). აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე რომ დარწმუნებულიყო — მოკლე რედაქცია ვრცელისგან არის მიღებული, თავის კონცეფციას უმკველად შეცვლიდა და ამჟამად არსებული სახით არ მიაწვდიდა მკითხველებს.

ამიტომ ხსენებული მეექვსე თავის გაცნობამდეც მკითხველმა უკვე იცის, რომ ავტორი დაიცავს სქემას: მოკლე—ვრცელი (და არა: ვრცელი—მოკლე).

ამ აზრს აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე ასაბუთებს ორივე ქართული რედაქციისა და ბერძნული ვერსიის ტექსტების ანალიზით, რის შემდეგაც დაასკვნის: Иерусалимский текст (ე. ი. ვრცელი რედაქცია. — რ. თ.). развит (расширен путем фразеологических вставок и исправлений) из «Мудрости Балавара» (ე. ი. მოკლე რედაქციისგან. — რ. თ.). и одновременно использует правки грузинского текста греческим метафрасом.

ავტორი იმდენად მტკიცედ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების უპიკველობაში, რომ კითხვასაც კი სვამს — იქნებ თავად ექვთიმე ათონელმა შეამზადა ვრცელი რედაქციის ტექსტი, ვიდრე მოკლე რედაქციას ბერძნულად გადააკეთებდაო? მართალია, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი აქვს გაცემული. ვრცელ რედაქციას სხვა დანიშნულება ჰქონდა — იგი ლიტურგიულ საჭიროებათაათვის. შეიქმნაო მოკლე რედაქციის ტექსტიდან, ბერძნული ვერსიის გამოყენებით.

არ არის უცილებელი აქ წარმოვადგინოთ ორი ქართული რედაქციისა და ბერძნული ვერსიის ტექსტების ავტორისეული ანალიზის სრული სურათი. საკმარისი იქნება მივმართოთ ერთადერთ მაგალითს: აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს პარალელურად მოაქვს ვრცელი რედაქციისა და ბერძნულ ვერსიის ის ადგილი, სადაც დიდებული მეფეს ესაუბრება საწუთროს ამოებისთვის (ეს ეპიზოდი მოკლე რედაქციაში არ იპოვება), და დაასკვნის: Ясно, что здесь грузинский (Иерусалимский) текст совпадает с греческим текстом Варлаама. Следовательно, не может быть сомнения в том, что автор пространного Иерусалимского текста знает греческий текст метафраса Евфимия Ивера и пользовался им.

აქ აღიძვრის იგივე კითხვა, რომელიც ზემოთაც დაიხვა უკვე: ამ შემთხვევაში როგორღა აიხსნება ის ამბავი, რომ საწუთროს ამოღებისთვის მეტყველი დიდებულის მთელი ეს ეპიზოდი რელიგიურ-ფილოსოფიური მსჯელობებითურთ თითქმის სიტყვასიტყვით ასევე იკითხება არაბულ ვერსიაში? საიდან მოხვდა ეს მოზრდილი ტექსტი VIII—IX საუკუნეებში შექმნილ არაბულ ძეგლში? XI საუკუნეში აღმოცენებული ბერძნულიდან ვერ მოხვდებოდა, ცხადია — რაღაც უფრო ადრეული წყარო უნდა ჰქონოდა საფუძვლად. ხოლო, რაკი არაბულთან ერთად ამგვარი წყაროც არსებობდა, როგორღა ვასკვნით, რომ ბერძნული ვერსია ემყარებოდა მაინცდამაინც ქართულ მოკლე რედაქციას, სადაც აღნიშნული ეპიზოდი სართოდ არ იპოვება?

გამოდის, რომ სქემის — ვრცელი რედაქცია—მოკლე რედაქცია + ბერძნული ვერსია — დასაცავად მოტანილი საბუთი საფუძველს აცლის მთელ იმ კონცეფციას (ქართული მოკლე რედაქცია ზეპირი მონათხრობის შედეგად არის ჩაწერილი და მას ემყარება ბერძნული ვერსია), რომლის დასამტკიცებლადაც დაიწერა ძირითადად აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დასახელებული ნაშრომი; გამოდის, რომ ვინც ვრცელი რედაქციის მოკლეზე დამოკიდებულებას ამტკიცებს, მან ან უარი უნდა თქვას ბერძნული ვერსიის ქართული მოკლე რედაქციისგან წარმოშობის თეორიაზე, ან არადა უნდა ახსნას, თუ საიდან გაჩნდა ვრცელი რედაქციის ტექსტში ისეთი ადგილები, რომლებიც მოკლე რედაქციაში არ იპოვება, ხოლო ბერძნული და არაბული ვერსიებით დასტურდება.

მასშალამე, თვით ფაქტი ვრცელი რედაქციის არსებობისა საფუძველს აცლის კონცეფციას, რომ მოკლე რედაქცია ზეპირი მონათხრობის ჩანაწერია და მას ემყარება ბერძნული ვერსია: ამ კონცეფციის გაზიარებისას ვერც ვრცელ რედაქციას დავსახავთ მოკლე რედაქციის დედნად (მაშინ მოკლე რედაქცია აღარ იქნება ზეპირი მონათხრობის ჩანაწერი, ამასთან, ბერძნული ვერსიის დედნობის პრეტენზია მასზე მეტად ვრცელ რედაქციას ექნება) და ვერც მოკლე რედაქციას — ვრცელის დედნად (რადგან ვრცელ რედაქციაში არის მოკლე რედაქციისთვის უცნობი ადგილები, ბერძნულით დადასტურებული, და ამ ადგილების ბერძნულის მოშველიებით ახსნა არ ხერხდება, რადგან ეს ადგილები არაბულ ვერსიაშიც არის).

ამგვარ ვამოუვალ მდგომარეობას შემდეგი მიზეზები განაპირობებს ძირითადად: 1. აღნიშნული კონცეფციის შექმნისას ავტორისთვის უცნობი იყო ვრცელი რედაქციის არსებობის ფაქტი (იგი აღმოჩნდა სწორედ იმ წელს, 1956-ს, როდესაც გამოვიდა დასახელებული წიგნი); 2. ვრცელი რედაქციის აღმოჩენის შემდეგ ავტორმა ყოველმხრივ არ გადასინჯა თავისი კონცეფცია, პირიქით, შეეცადა თავისი კონცეფცია-

სთვის მიესადაგებინა ეს რედაქცია; 3. ავტორმა თითქმის არავითარი ანგარიში არ გაუწია არაბული ტექსტების მონაცემებს.

●

ორივე (მოკლე და ვრცელი) ქართული რედაქციის 1957 წლის გამოცემას წამძღვარებული აქვს გამომცემლის — პროფესორ ილია აბულაძის ვრცელი შესავალი წერილი, რომლის II თავი — „მოკლე და ვრცელი რედაქციის დამოკიდებულებასათვის“ სწორედ ჩვენი საუბრის საგანს ეხება უშუალოდ ავტორი წერს: „...ვრცელი და მოკლე ბალავარიანის ტექსტების პირველი ჩაკითხვიდანვე შობაბეჭდილება გვექმნება, რომ მოკლე უმეტეს წილად გამოჰკრებს ვრცელის ტექსტს გარკვეული ხერხითა და საშუალებით და მასთან ზოგან ტექსტის შე-
მოკლებას თავისი სიტყვებით ეწევა და ზოგან სრულიად კვეცს ან აგ-
დებს ვრცელის ტექსტს. და მართლაც, ბალავარიანის ორივე რედაქციის გულდასმით შედარება ერთმანეთთან გვიდასტურებს, რომ გარკვეული ინტერესით შემეცირებული მოკლე ბალავარიანის ტექსტი ვრცელის ნამ-
დვილი შემოკლებაა...“

იმ ნიშნებს, რომლებიც მოკლე რედაქციის ვრცელზე დამოკიდებულების დამადასტურებლად მიაჩნია, პროფესორი ილია აბულაძე ოთხ ჯგუფად ალაგებს:

ა. სიტყვებისა და ფრაზების შენაცვლება-შესწორების შედეგად წარმოშობილი გაუგებრობანი,

ბ. თხრობისა თუ მსჯელობის არათანმიმდევრობა;

გ. დაგდება რაიმე ნიშნისა თუ მომენტისა, რომელიც მერმე დაინდება მოულოდნელ შედეგად თხრობის ასწრაფებისა და მით გატაცებისა, რაც მოკლე რედაქციის დამახასიათებელია; და

დ. გრაფიკის ნიადაგზე აღმოცენებული შეცდომები და გაუგებრობანი.

სურათის წარმოსაჩენად საკმარისი იქნება თითო ჯგუფიდან თითო მაგალითიც რომ მოვიტანოთ.

ა. მოკლე რედაქციაში ვკითხვლობთ: „ჰრქუა რაქის: ვინ უწყის, თუ ქეშმარიტსა იტყოდეს წინასწარმეტყუელნი და მოციქულნი? ჰრქუა: ამით გამო უწყი...“ მკვლევარი შენიშნავს: „პასუხის შესაბამისად („ამით გამო უწყი“) შეკითხვაში უნდა ყოფილიყო: „ვინაჲ უწყი?“ და მართლაც ასეა ეს შეკითხვა ვრცელს ბალავარიანში: „და ვინაჲ უწყი. თუ ქეშმარიტსა იტყვან წინასწარმეტყუელნი?.. ჰრქუა მეფემან იოდასაჲ: ამის გამო უწყი...“

ბ. მეორე ჯგუფში („თხრობისა თუ მსჯელობის არათანმიმდევრო-

2ა) ავტორსაც მხოლოდ ერთი მაგალითი მოაქვს: „ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს 43-ე თავი, სადაც საუბარია შეხვედრაზე მძოვარ კაცთა გუნდისა და აბენეს მეფისა, რომელთა შორის დიალოგი იმართება. ვრცელი წიგნით ამ სიტყვის-გებაში გუნდის (ტექსტით: გროს) მეთაურ წმინდა კაცთან თავიდან ბოლომდე რაქისი და მეფეა ჩაბმული, ხოლო მოკლით მარტო მეფე ესაუბრება ამ გროს, რომლის ნაცვლად მოულოდნელად ხშირად პასუხს იძლევა ვიღაც კაცი, რომლის ვინაობა ამ რედაქციით არსით ჩანს მთელი თხრობის მანძილზე“.

აქ პატივცემულ მეცნიერს ერთი შეცდომა აქვს დაშვებული: მოკლე რედაქციითაც მარტო მეფე კი არ ესაუბრება მძოვართ, არამედ მეფეც და რაქისიც (შეადარეთ გვ. 95, 10; 95, 18). ორივე რედაქციით რაქისს მხოლოდ ის ფუნქცია აქვს დაკისრებული, რომ გამოარკვიოს ბალაჰვარის ადგილსამყოფელი. ამის შემდეგ, რაკი ეს არ მოხერხდება, ვრცელი რედაქციის მიხედვით, რაქის განდგილებს მეფეს მიჰგვრის. ოღონდ აქ გამართულ სიტყვისგებაში რაქის აღარ მონაწილეობს. მოკლე რედაქციაში მეფისთვის განდგილთა მიგვრის ამბავი აღარაა, რადგან აქ თავშივე ითქვა, რომ მეფე და რაქის, ვრცელი რედაქციისგან განსხვავებით, ერთად შეხვედნენ განდგილებს („და სლვასა მას შინა მათსა ადგილსა ერთსა პოვნეს კაცნი მძოვარნი...“ 94, 25).

მიუხედავად ამისა, ეს მაგალითი მნიშვნელობას არ კარგავს, რადგან მოკლე რედაქციის ტექსტით მართლაც გაუგებარია, თუ ვინ ეპასუხება რაქისსა და მეფეს. თავდაპირველად მეფე მთელ გროს მიმართავს: „...ჰკითხა მათ: რანი ხართ თქუენ...“ პასუხიც შესაბამისია: „ხოლო მათ ჰრქუეს: ჩუენ კაცნი ვართ ღმრთის მსახურნი...“ მაგრამ მეფის შემდგომ ფრაზას მოულოდნელად მოსდევს: „და ჰრქუა კაცმან მან“. ვინ კაცმან? საქმე ისაა, რომ, ვრცელი რედაქციის მიხედვით, მეფესა და რაქისს ხვდებიან ღმრთისმსახურნი, რომელთაგან მხოლოდ ერთს ჰკიდია ძვლები. ეს კაცი ესიტყვება რაქისსაც და მეფესაც და სპეციალურად აღნიშნულია: „ჰრქუა მას კაცმან მან, რომელსა ეკ: და ძუალები“. ხოლო მოკლე რედაქციის მიხედვით, ძვლები ყველა ღმრთისმსახურს ჰკიდია (94, 27), ძვალკიდული კაცი ცალკე არ არის გამოყოფილი და ეს ქმნის გაუგებრობას.

ბ. „...მოკლეში ერთგან ბალავარი ეუბნება სიტყვის მკერავს: „შენ მეტყოდე, ვითარმედ: განვკურნებ სიტყვთა წყლულსა...“ ამ კონტექსტით ბუნებრივად საფიქრებელი ხდება, რომ ადრე საუბარი უნდა ყოფილიყო სიტყვით განკურნებაზე წყლულისა, მაგრამ ამოდ გაირკება აღამიანი, თუ ასეთი ადგილის ძებნას მიყოფს ხელს მოკლე ბალავარიანში. იქ მხოლოდ იმას აღმოაჩენს, რომ ნათქვამი იქნება განუ-

მარტებლად: „მე ვარ კაცი სიტყვს მკერავი და მკეცისაგან შექმულ ვიქმენ“, მაშინ როცა ვრცელშია: „მე კაცი ვარ სიტყვსა მკერვალი... უკუეთუ იყოს სიტყვათა შინა წყლულებამ, შევეკრო, რამათა არა მოიწიოს მის მიერ ვნებამ“. აქედან ნათელია, რომ ადრე ასეთ კერავაპურნალობაზე მოკლემიც საჭირო იყო თქმულიყო რამ, მაგრამ, როგორც ჩანს, რედაქტორს ეს მომენტი გამოჰპარვია მხედველობიდან...“

ღ. ვრცელი რედაქციის მიხედვით მეფე ეკითხება ძვალკიდულ კაცს: „მითხარლა, არისა მოყუასთა შენტა შორის უაღრესი შენსა?“ პასუხი: „არავინ არს უაღრესი ჩემსა მათ შორის და არცა ვინ უაღრესი ჩემსა მათგანი, რამეთუ ჩუენ ყოველნი ქრისტეს მიერ ვართ, ხოლო მეტნობამ სოფელსა ამას აქუს, ვითარცა შენ და მოყუასთა შენტა...“ მოკლე რედაქციაში შესაბამის ადგილას განდევილის პასუხი ასე იკითხება: „ხოლო მე ცნობამ (ზოგიერთი ხელნაწერთი: „მეცნობამ“) სოფელსა ამას შინა აქუს (ზოგიერთი ხელნაწერთი: „მაქუს“), ვითარცა შენ და მოყუასთა შენტა“. სრულიად უეჭველია, რომ მოკლე რედაქციის „მე ცნობამ“ (თუ „მეცნობამ“) გაჩნდა „მეტნობამ-ს“ უსწოროდ ამოკითხვის შედეგად.

ამის შემდეგ პროფესორი ილია აბულაძე აანალიზებს როგორც მოკლე, ისე ვრცელი რედაქციების ლექსიკასა და გრამატიკულ ფორმებს და მიღის იმ დასკვნამდე, რომ ვრცელი რედაქცია წარმოქმნილი უხდა იყოს IX—X საუკუნეებში, ხოლო მოკლე რედაქცია — XI საუკუნის გასულს თუ მის შემდეგ.

დასასრულ, მკვლევარი აღნიშნავს და აანალიზებს მოკლე და ვრცელი რედაქციების შინაარსობლივ სხვაობებს. აქ ყურადღებას გადასაკუთრებით იქცევს შემდეგი: როგორც ზემოთაც ითქვა, ჯერ კიდევ პროფესორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა აღნიშნა, რომ მოკლე რედაქციაში არის რამდენიმე ისეთი ადგილი, რომლებიც ვრცელით არ დასტურდება, და კითხვა დასვა: „რომ მოკლე ვარიანტი ვრცელისგან იყოს მიღებული, საიდან შეიძლებოდა გაჩენილიყო მოკლეში ისეთი ადგილები, რომლებიც ვრცელში არ მოიპოვება?“ ეს კითხვა პროფესორმა ილია აბულაძემაც წამოჭრა და ამგვარად უპასუხა: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესენი (ვრცელი რედაქციისთვის უცნობი ადგილები. — რ. თ.) მოკლე ბალავარიანის რედაქტორმა შეუმატაო, მით უფრო, რომ ვნახეთ, ის უბრალო მიმდევარი არ იყო მის წინ მდებარე ტექსტისა. არამედ ზოგან ადგილების გადამაჯღილებელიც კი გამოდგა. შეიძლება, რასაკვირველია, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენამდის მოსული ვრცელი ნუსხა სულ ვრცელი არ იყოს, არამედ მასაც რამდენადმე აკლდეს აქა-იქ ტექსტი, მით უმეტეს, რომ ის გადმონაწერი აღმოჩნდა“.

ასეთია, მოკლედ, ის ძირითადი მოსაზრებები, რომლებიც გამო-
თქმული აქვს პროფესორ ილია აბულაძეს მითითებულ წესაველ წე-
რილში.

ბუდას ცხოვრების ლეგენდად ქცეული ამბის ინდოეთიდან დასა-
ვლეთით გავრცელების პრობლემებს საგულისხმო გამოკვლევები
უძღვნა ინგლისელმა მეცნიერმა დ. მ. ლანგმა. მანვე თარგმნა და ინ-
გლისურად გამოსცა ჯერ მოკლე, ხოლო შემდეგ ვრცელი რედაქ-
ცია¹.

დ. მ. ლანგის ზოგად თვალსაზრისს რომანის დასავლეთით გავ-
რცელების შესახებ სხვაგან შევეხები საგულდაგულოდ. ამჟამად ჩვენ-
თვის საინტერესოა მხოლოდ ინგლისელი მკვლევარის შეხედულება ორი
ქართული რედაქციის დამოკიდებულების შესახებ. ეს შეხედულება
სავსებით ემთხვევა პროფესორ ილია აბულაძის დასკვნას, რომ მოკლე
რედაქცია მიღებულია ვრცელი რედაქციის გამოკრების (ზოგჯერ უს-
წოროდ და დამახინჯებულად გადაკეთების) საფუძველზე.

ინგლისელი მეცნიერი ასახელებს რამდენსამე ფაქტს, ჩვენთვის
უკვე ნაცნობს (საწუთროს ამაოებისთვის მეტყველი დიდებულ-
განდგეილთა შორის ერთი მობასუხე — ძვალკიდული ყაცი, რაც მო-
ლე რედაქციამ არ იცის), რასაც მოკლე რედაქციის ვრცელზე დამო-
კიდებულების საბუთად მიიჩნევს, და გარდა ამისა, წერს: „ორი ქარ-
თული ტექსტის გამოწვლილვით შედარება... ექვს არ ტოვებს, რომ
„სიბრძნე ბალაჰვარისი“ აქტიურად არის ახალი იერუსალიმური „ნე-
ტარი იოდასაფის ცხოვრების“ შიმოკლება“², და ქვემოთ: „ორი გამო-
ჩენილი თბილისელი მეცნიერის ს. ყაუხჩიშვილისა და შალვა ნუცუ-
ბიძის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, „სიბრძნე ბალაჰვარისი“ უნდა მი-
ვიჩინოთ უფრო ვრცელი იერუსალიმური ტექსტის შემოკლებულ ადა-
პტაციად“³.

რამდენადაც დ. მ. ლანგს რაიმე ახალი მნიშვნელოვანი საბუთო
არ წარმოუდგენია ამ მოსაზრების დასამტკიცებლად, ამჯერად მის ნა-
შრომებზე აღარც შევჩერდებით.

¹ The Wisdom of Balahvar, a Christian Legend of the Buddha, by David Marshall Lang, London, 1957; The Balavariani (Barlaam and Iosaphat), a tale from the Christian East translated from the old georgian by David Marshall Lang, introduction by Ilia V. Abuladze, London, 1966.

² The Wisdom of Balahvar, გვ. 47.

³ იქვე, გვ. 49.

ვრცელი რედაქციის აღმოჩენის შემდეგ „სიბრძნე ბალაპვარისის“ პრობლემებს სპეციალური გამოკვლევით გამოეხმაურა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე¹.

გამოკვლევის ავტორი წინასიტყვაში აღნიშნავს, „...არა ერთსა და ორ გამოჩენილ მეცნიერს სხვადასხვა ქვეყანაში მოუკიდია ხელი ამ საქმისათვის, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ჭერაც არ თქმულა, პირიქით, რაც დრო გადის, საკითხი უფრო მეტ ბურუსში ეხვევა“; შემდეგ მიუთითებს, რომ ვრცელი რედაქციის აღმოჩენასთან დაკავშირებით საჭიროა გადასინჯვა „...ყველაფერი იმის, რაც ამდღე ხანს ამ რომანის შესახებ დაწერილა...“

განსხვავებით აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ზემოხსენებული წიგნისგან, ამ გამოკვლევაში ჩვენთვის აქამდე საინტერესო საკითხი — ორი ქართული რედაქციის ურთიერთიმიმართება — ისეა განხილული, რომ მასში გასარკვევად განსაკუთრებულ აუცილებლობას არ წარმოადგენს რომანის ინდოეთიდან დასავლეთით მიგრაციის შესახებ ავტორის ზოგადი კონცეფციის გათვალისწინება. ამიტომ ამჯერად შევხვით მხოლოდ აღნიშნულ კონკრეტულ საკითხს.

გამოკვლევის დაწყებამდე აკადემიკოს კ. კეკელიძეს გამოთქმული აქვს ერთი შენიშვნა, რომელშიც ერთგვარად ასახულია საკითხისადმი ავტორისეული მიდგომის არსება და მისი კვლევის მეთოდიც. ამიტომ საჭიროა გავეცნოთ ამ შენიშვნას: „...კვლევა-ძიების საქმეში ამ მიმართულებით გაბატონდა იმდენად არა წმინდა მეცნიერული მოსაზრებანი, რამდენადაც სხვა რამე. პრობლემის გადაწყვეტას ლამობენ იმდენად არა ტექსტების შედარებითა და შესწავლით, რამდენადაც მათ სათაურში შეტანილი ჩანაწერებით, რომელთა არასწორი გეგმებით ნაწარმოების ავტორად აღიარებულა, უმეტეს შემთხვევაში, ვილაც იოანე საბაწმიდელი. ამ იოანე საბაწმიდელის შესახებ არავენ იცის — ისტორიული პიროვნებაა ის თუ მოგონილი. თუ ისტორიულია, ვინ იყო, როდის ცხოვრობდა, რა გააკეთა. ასეთი მონაცემებით ფიქრობენ რთული პრობლემის გარკვევას“.

აქ, ეკვი არ არის, იგულისხმება როგორც ფრანგი მეცნიერის ზოტენბერგის თვალსაზრისი (რამლი: თანახმადაც ბერძნული რომანის ავტორია საბაწმიდელი ბერი იოანე, ოღონდ არა დამასკელი), ისე აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მთელი კონცეფცია, რომელიც ბერძნული და, განსაკუთრებით, ქართული სატიტულო წარწერების ანალიზის

¹ ბალაპვარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში. ეს გამოკვლევა, 1956 წლის გაზაფხულზე დაწერილი, განსვენებულ მეცნიერს მოხსენებად წაუკითხავს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. პირველად დაიბეჭდა „ლიტერატურულ ძიებათა“ XI ტომში, საბოლოოდ — კ. კეკელიძის „ეტიუდების“ VI ტომში 1960 წელს (გვ. 41—69). ჩემს ნაშრომში ამ უკანასკნელს ვემყარები.

საფუძველზე პირველადი ქრისტიანული (ბერძნულ-ქართული) ვერსიების ავტორად მიიჩნევის იოანე მოსხს, სოფრონ პალესტინელის მოძღვარსა და მეგობარს.

ამ კონცეფციის დასაბუთებას აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ, როგორც ვიციტ, მთელი წიგნი მიუძღვნა და, სხვათა შორის, მას ასაბუთებდა არა მხოლოდ სატიტულო წარწერების, არამედ ტექსტების ანალიზის საფუძველზეც. ამიტომ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მხრივ სპეციალურ ნაშრომში მთელი ამ კონცეფციისა და უაღრესად სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევის აბსოლუტურად იგნორირება, მისი საბუთებისთვის ანგარიშის გაუწევლობა და მხოლოდ სქოლიოში ქვეტექსტით მოხსენიება მართებულად არ მიმაჩნია.

სხვას რომ ყოველსავე თავი დავანებოთ, არ შეიძლება არ ჩავგავთქროს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ზემოთ განხილულ წიგნში აღძრულმა ერთმა საკითხმა:

П. Пеетерс коснулся этого титула грузинской версии!... и затем задал вопрос: «почему хотят во что бы то ни стало, что он соврал?» Спрашивается: почему не верить титулу грузинской версии?.. На это также не имеется никаких оснований... У нас теперь титул от XVI в., а не XIX в. (как это было в издании 1895 г.²), но нет оснований сомневаться, что копист XVI в. имел под рукой более раннюю и хорошую рукопись³.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მიერ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ გამოცემებში აღნიშნულია და ამ გამოკვლევაში გამეორებული მოსაზრება, რომ ქართული ძეგლის სატიტულო წარწერა მას პატრიკული ენარის ლიტერატურას მიაკუთვნებს, არის ფაქტის კონსტატაცია და არა საკითხის საბოლოოდ გარკვევა. „ამ იოანე საბაწმიდელის შესახებ არავინ იცის — ისტორიული პიროვნებაა ის თუ მოგონილი. თუ ისტორიულია, ვინ იყო, როდის ცხოვრობდა, რა გააკეთა“, — ასე სვამდა საკითხს აკადემიკოსი კ. კეკელიძე. სამეცნიერო კვლევა-ძიების ამოცანაც ხომ ის არის, რომ გაარკვიოს აქ აღნიშნული პრობლემები და არა მოხსნას ისინი. მართალია, ეს არის ერთობ რთული, ამასთან, ნაკლებად შესწავლილი პრობლემები, მაგრამ ამით საქმის არსება არ იცვლება.

შ. ნუცუბიძის აღნიშნული კონცეფციის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნაშრომის (მაგალითად, „მნათობში“ 1956 წელს დაბეჭდილი პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის ზემოთ განხილული წერილის) იგნორირება

1 ივულისხმება „გვთხრობდა ჩუენ შამაა ისაჲ, ძე სოფრონ პალესტინელისაა...“.

2 ივულისხმება ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა.

3 ზემოთ დასახელებული წიგნი, გვ. 84 აღსანიშნავია, რომ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მოსაზრება, მოტანილი ციტატის უკანასკნელ ფრაზაში გამოთქმული, საესებით დაადასტურა მოკლე რედაქციის იერუსალიმურმა უძველესმა ნუსხამ.

უკვე წინასწარ მეტყველებს, რომ აკადემიკოს კ. კეკელიძის თვალსაზრისი ერთგვარ ცალმხრივობას არ იქნება მოკლებული.

გამოკვლევის გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს მართლაც ასეა.

(ციტატების მოტანამდე გავიხსენოთ, რომ გამოკვლევაში ავტორი მოკლე რედაქციას აღნიშნავს A ასოთი, ვრცელს — B ასოთი).

ორი ქართული რედაქციის ურთიერთმიმართების საკითხში აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ამოსავალი დებულებაა: ან A რედაქციაა შემოკლება და გადამუშავება B-სი, ან B გაერცობა და გადაკეთება A-სი, რადგან შედარების შედეგად ირკვევა, რომ ამ ორ რედაქციას შორის გენეტური კავშირიაო. ხოლო რით მტკიცდება, რომ მოკლე და ვრცელ რედაქციებს შორის მართლაც გენეტური კავშირია? იმით, რომ „საერთო ნაწილში ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ერთიმეორეს“; „საერთო ადგილებში არის ისეთები, რომლებშიც ერთი და იგივე აზრი გამოთქმულია სხვადასხვა სიტყვით ანდა ერთისა და იმავე სიტყვების ადგილგადაცვლით“; „...ორივეში გვაქვს ერთი და იგივე მოულოდნელი და გაუძარტლებელი სიტყვები“; „...რიცხვი იგავებისა, თანმიმდევრობა მათი და შინაარსი ერთია ორივეში“; ბოლოს, „ქვეყანას, სადაც აბენესი მეფობს, როგორც A-თი, ისე B-თი ეწოდება შოლაიტ“.

ჩვენ ვიცით, რომ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ძეგლის ლიტერატურული და არა ზეპირი წარმოშობის კონცეფციის მომხრეა. ამ კონცეფციის მატარებლისთვის კი ჩამოთვლილი ნიშნება საკმარისი არ უნდა ყოფილიყო ორი რედაქციის გენეტური კავშირის დასამტკიცებლად. მხოლოდ მსგავსი ნიშნების საფუძველზე შეიძლებოდა, მაგალითად, ისიც დაგვესვენა, რომ როგორც ვრცელი, ისე მოკლე რედაქცია გენეტურ კავშირშია ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილ არაბულ ვერსიასთან (ხოლო შემდეგ, გამოწველივით შედარების შედეგად, აღმოჩენილიყო, რომ ეს ასე არ არის). ასე ადარებდნენ ვერსიებსა და რედაქციებს ნ. მარი და სხვანი მრავალნი, და ამგვარი ზოგადი შედარების შედეგი მუდამ ერთი და იგივე იყო—გამოუვალი ჩიხი; ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მეცნიერება იმეორებდა დაახლოებით ამგვარ პარადოქსს: *Роль ее (ლაპარაკია ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილ არაბულ ვერსიაზე. — რ. თ.). в мировом распространении повести о Варлааме и Иоасафе, поистине, громадна. На ней основана возникшая в Палестине греческая версия... Несколькo особняком стоит грузинская редакция; есть предположение, что она более тесно связана с утраченной сирийской версией и, быть может послужила даже оригиналом для греческой!*

ამის წამკითხველს არ შეიძლება არ მოაგონდეს აკადემიკოს კორ-

¹ Повесть о Варлааме и Иоасафе. გვ. 9—10. ბაზი ჩემია.

ნელი კეკელიძისავე სიტყვები, ზემოთაც დამოწმებული: „...რაც დრო ვადის, საკითხი უფრო მეტ ბურუსში ეხვევა“.

„ან A რედაქციაა შემოკლება და გადამუშავება B-სი, ან B გავრცობა და გადაკეთება A-სი“, — ამგვარი დასკვნა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაკეთებულიყო, უკეთეს ორივე რედაქციის ტექსტების სკრუპულოზური ანალიზი დაადასტურებდა, რომ სხვა რაიმე წყარო (წარმოშობის და არა შეესების თუ გადამუშავების თვალსაზრისით) არ არსებობდა.

აკადემიკოს კ. კეკელიძეს ამგვარი ანალიზი რომ არ განუხორციელებია, სხვას ყოველსავე თავი რომ დაეანებოთ, შემდეგი ფაქტითაც ჩანს: მოკლე რედაქციის ვრცელზე დამოკიდებულების ერთ-ერთ საბუთად მკვლევარს ის მიაჩნდა, რომ „B-ში ლაპარაკია ოთხი ყუთის შესახებ, A-ში კი — ორის“. მივმართოთ მოკლე რედაქციის ტექსტს, სადაც, ამ საბუთის თანახმად, ორი კიდობანი უნდა იყოს სახეზე: „...მოიხუნა კიდობანნი ოქროათა და მარგალიტითა შემკულნი. და მოაღებინა ნაგევთაგან სკორე და მყრალი ძუალები მძორისაჲ და სხუაჲ საძაგელი ბაყლები და კიდობანთა მათ შინა ჩაღვა ყოველი. და დაჰკრძალა ზედა ბექდითა. და კუალად მოიხუნა სხუანი კიდობანნი, უშუერად შექმნაღნი, ფისითა შეგოზიღნი, და შთადვა მათ შინა თუალები პატიოსნებით...“ (33, 4—15).

ოქროით შემკულნი კიდობანნი პლუს ფისით შეგოზიღნი კიდობანნი არ შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ორ კიდობანს, არამედ — ოთხს ან ოთხზე მეტს.

გარდა აღნიშნული (როგორც ვნახეთ, ფრიად საკოქმანო) საბუთისა, მკვლევარს მოაქვს კიდევ ხუთი საბუთი, რომელთაგან სამს მხარს უჭერენ არაბული და ბერძნული ვერსიები. საგულისხმო ისაა, გამოკვლევის ბოლო ნაწილში ჩვენ შევიტყობთ, რომ, აკადემიკოს კ. კეკელიძის აზრით, ბერძნული ვერსია ემყარება ვრცელ ქართულ რედაქციას. ვინც ამ თვალსაზრისს მისდევს, მისთვის ბერძნული ვერსიის მხარდაჭერა საბუთად არ უნდა გამოდგეს. ხომ შეიძლება ვითარება ამგვარადაც დაისახოს: მოკლე რედაქცია—ვრცელი რედაქცია (შემატებული და გავრცობილი)—ბერძნული ვერსია (ამ შემატებათა და გავრცელებათა შემცველი).

გარდა ამისა, ბერძნული ვერსიის მოწმობა საკონტროლო წყაროდ ვერ გამოდგება, ვიდრე დასაბუთებულად არ იქნება უარყოფილი ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის სქ.მა: ვრცელი რედაქცია—მოკლე რედაქცია+ბერძნული ვერსია (ამ შემთხვევაში ვრცელი რედაქციისა და ბერძნული ვერსიის თანხვედრა იმით იხსნება, რომ ვრცელი რედაქციის შემქმნელი მოკლეს ტექსტს მისდევს, ოღონდ ბერძნული ვერსიითაც განავრცობს თავის ნაწარმოებს). როგორც უკვე ითქვა.

ამ სქემის იგნორირებამ აკადემიკოს კ. კეკელიძის თვალსაზრისი ნების-
უნებურად ცალმხრივობის დამლით აღბეჭდა.

შემდეგ გამოკვლევის ავტორი აანალიზებს ისეთ შემთხვევებს, რო-
-ლებშიც მოკლე რედაქცია შინაარსობლივ შორდება ვრცელს. განვი-
ხილოთ ეს შემთხვევები.

1. „A რედაქციით, აბენესი გაქრისტიანდა და მოინათლა იოლასა-
-ჟის სამეფოში... B რედაქციით, ეს ხდება აბენსის საბრძანებელში...
აქა ეს ბერძნულ რედაქციაშიც. არაბული რედაქციითაც მეფე მარ-
-თალ სარწმუნოებას იწყნარებს თავის სამეფოში. ამ შემთხვევაში ჩვენ
საქმე გვაქვს A რედაქციის ავტორის მიერ არასწორ გაგება-გააზრება-
სთან B რედაქციის ამბისა. საქმე ისაა, რომ A რედაქციაში ნავარაუდე-
-ვია, რომ, როდესაც აბენესი შვილის სამეფოში მივიდა, ის უკვე მონა-
-თლულია... აქ, რომ ეს ფაქტიც მაჩვენებელია იმისა, რომ A რედაქცია
არის შედეგი B რედაქციაზე მუშაობისა“.

უწინარეს ყოვლისა, ვიმეორებ, რომ, ვინც ბერძნულ ვერსიას
ვრცელ რედაქციაზე დამოკიდებულად მიიჩნევს, მისთვის ბერძნული
თხზულების ჩვენება საკონტროლო წყაროდ არავითარ შემთხვევაში
არ გამოდგება: რატომ უნდა გადასულიყო ბრძნულ ვერსიაში, ვთქვათ,
ის ვითარება, რაც დასტურდება მოკლე რედაქციაში და არა ის, რაც
არის აკადემიკოს კ. კეკელიძის მიერვე ბერძნულის დედნად მიჩნეულ
ვრცელ რედაქციაში?

რაც შეეხება არაბული ვერსიის დამოწმებას, ეს უბრალო გაუგებ-
რობაა: არაბული თხზულების მეფე სხვაგან ვერსად შეიწყნარებდა მარ-
-თალ სარწმუნოებას, თუ არ თავის სამეფოში, რადგან, განსხვავებით
ქართული რედაქციებისაგან, ამ სამეფოს მამა-შვილს შორის ორად გა-
-ყოფა აზრადაც არავის მოსვლია.

ახლა მივმართოთ საკუთრივ მოკლე რედაქციას, სადაც, მკვლევა-
-რის აზრით, „...ჩვენ საქმე გვაქვს A რედაქციის ავტორის მიერ არა-
-სწორ გაგება-გააზრებასთან B რედაქციის ამბისა“.

ეს პირველი შემთხვევა არ არაა ჩვენს მეცნიერებაში, როდესაც
ამა თუ იმ მოსაზრების მტკიცებით გატაცებული მკვლევარი რეგულარ-
-დ დასახავს ხოლმე ამა თუ იმ ძველ ავტორს, ვინაი ნალეაწიცი მკვლევარის
თვალსაზრისის არ ემოწმება ან აბათილებს კიდევ (გაუიხსენოთ თუხდაც
„ვეფხისტყაოსნის“ ნაშევილ თუ მოგონილ ინტერპოლატორთა მისა-
-მართით თქმული მწარე-მწარე სიტყვები“)¹.

„ხოლო მეფემან და ყოველმან ერმან მისმან განიზრახეს, რაჟთა

¹ ამასვე სჩადის, სხვათა შორის, ინგლისელი მეცნიერი დ. მ. ლანგი, რომლის
აზრითაც, მოკლე რედაქციის შექმნელს არ ეპის კრცელი რედაქციის ტექსტი და
ამხინჯებს კიდევ მას.

შეუდგენ შჯულსა იოდასაფისსა. და შეიწყნარეს წმიდა ნათლის-
 ლება მათი სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“
 (146, 3-7), -- ვკითხულობთ ვრცელ რედაქციაში. რა ასეთი რთულია
 ეს ტექსტი და მისით გადმოცემული ფაქტი (ნათლისღება), რომ მოკლე
 რედაქციის ავტორმა ვერ მოახერხა მისი „გაგება-გააზრება“? რატომ
 დაწერა მოკლე რედაქციის შემთხვევლმა მხოლოდ ასე: „ხოლო მეფემან
 და ყოველმან ერმან მისმან განიზრახეს, რაჲთა შეუდგენ სჯულსა იოდა-
 საფისსა და შეიწყნარონ წესი მისი“? რა დიდი „გაგება-გააზრება“ უნ-
 დოდა იმ ამბავს, რომ აქვე გადმოწერილიყო ვრცელი რედაქციის ტექ-
 სტიდან „და შეიწყნარეს წმიდა ნათლის-ღებაჲ...“ რატომ უნდა მი-
 ვიჩნიოთ მაინცდამაინც, რომ „საქმე გვაქვს A რედაქციის ავტორის მი-
 ერ არასწორ გაგება-გააზრებასთან B რედაქციის ამბისა“?

განა უფრო ბუნებრივი არ იქნება, საკითხი ასე დაისვას: მოკლე
 რედაქციის შემქმნელმა (გინდაც ვივარაუდოთ, რომ იგი სწორედ ვრცე-
 ლი რედაქციის ტექსტს ემყარებოდა) განზრახ არ მონათლა აბენესი
 თავის საშეფოში, რათა იოდასაფის საშეფოში ნათლისღებით ხაზი გას-
 მოდა ამ უკანასკნელის უპირატესობას მამამისის წინაშე? სხვათა შო-
 რის, თუ არასწორ გაგება-გააზრებაზე მიდგა საქმე, ვრცელი რედაქცი-
 ისეული ვითარება უფრო საეჭვოც კია, ვიდრე მოკლე რედაქციისა: სად
 და ვის მიერ ნათელილო აბენესმა და „ყოველმან ერმან“ თავის საშე-
 ფოში? იყო თუ არა მის კარზე (საერთოდ, მის საბრძანებელში) მეფის
 ტიტულისთვის შესატყვისი ნათლისღების პირობები (ეკლესიებს რომ
 თავი დაეანებოთ — მღვდელმსახურნი)? ცხადია, არ ყოფილა. ხოლო
 მოკლე რედაქციის მიხედვით, „...უბრძანა იოდასაჲ მღვდელთა და
 მღვდელთ მოძღუართა, რაჲთა ნათელასცენ მეფესა აბენესს და ყოველ-
 თა ერთა და ერისთავთა“ (151, 19—22). და მხოლოდ ამის შემდეგ, რო-
 დესაც აბენესი უკვე საკუთარ საშეფოში უნდა გაბრუნებულიყო, „წა-
 რალვასა მათსა საშეფოდ მათდა, წარიტანა თანა ებისკოპოსნი და
 მღვდელნი და დიაკონნი“ (იქვე).

აქადემიკოს კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ „...A რედაქციაში ნავა-
 რაუდღევია, რომ, როდესაც აბენესი შვილის საშეფოში მივიდა, ის უკ-
 ვე მონათლულია. მართლაც, იმ წერილში, რომელშიც იოდასაფი მამას
 სწერს მის სტუმრობამდე, ავტორი ამბობს: „ვმადლობ ღმერთსა ჩუენ-
 სა, რომელმან... ღირს მყო ხილვად ქეშმარიტისა მეფობისა შენისა, რა-
 მეთუ აწცა ღირს იქმენ მეფე, ხოლო პირველ ამისა მონა იყავ ეშმაკთა
 ...აწ აღსარებითა შენითა განათლდა სული და ვონებაჲ ჩემი, რამეთუ
 ვიქმენ ძე მეფისა მორწმუნისაჲ, და კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი,
 რომელმან განანათლნა თუალნი გულისა შენისანი“. ასე რომ, ეს ფა-
 ქტიც მაჩვენებელია იმისა, რომ A რედაქცია არის შედეგი B რედაქ-
 ციაზე მუშაობისა“.

მაშასადამე, მოკლე რედაქციის ავტორი ვრცელი რედაქციის ტექსტის გადმოწერა-გადმოკეთებრას გამოტოვებს მეფის თავისსავე სამეფოში ნათლისღების ამბავს და იქვე, ზუსტად რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, იოდასაფის წერილშივე ავიწყდება ეს ფაქტი, წერილში საქმეს ისე სახავს, თითქოს მეფე უკვე მონათლული იყოს; ეგ არაფერი: კიდევ ზუსტად რამდენიმე სტრიქონი, და ავტორს უკვე ის ავიწყდება, რომ მეფე მონათლულია, და ხელახლა ნათელადღებინებს აბენებს.

დიდად მოულოდნელი იყო კ. კეკელიძისთანა ავტორიტეტული მეცნიერის გამოკვლევაში ვმგვარი სამწუხარო გაუგებრობის ხილვა.

როდესაც „მეფემან და ყოველმან ერმან მისმან განიზრახეს, რა-მთა შეუღგენ სჯულსა იოდასაფისსა და შეიწყნარონ წესი მისი. და მიწერეს წიგნი ამის პირისათჳს“ (146, 3—14), ესე იგი იოდასაფს აცნობეს თავიანთი განზრახვა. აი, ამის საპასუხოდ დაიწერა იოდასაფის უსტარი (კ. კეკელიძის მიერ ციტირებული), რომელშიც არსად არ არის ნათქვამი, თითქოს აბენებს უკვე ნათელედოს. იოდასაფი მხოლოდ სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მამამისმა ირწმუნა და აღიარა ქეშმარიტი ღმერთი. მეტი არაფერი (იხილეთ იოდასაფის წერილი: 1937 წლის გამოცემა, 74, 3—29, 1957 წლის განოცემა, 146, 26—147, 33). ხოლო აღიარება და ნათლისღება რომ ერთი და იგივე არ არის, ამის თაობაზე, ვფიქრობ, სიტყვის გაგრძელება არ უნდა იყოს საჭირო.

2. „იოდასაფი, A რედაქციით, ეკითხება ზანდანს: „როდის მოიწივის კაცსა ზედა სიბერე“, ან რამდენხანს ცოცხლობს კაციო? პასუხი: „შემდგომად 90 წლისა, განა ასისაო“, B კი ასეთ პასუხს იძლევა: „შეპდგომად 80 წლისა, გინამე უმრავლეს ასისა“. აქ განსხვავებაა ერთ ციფრში: 80 თუ 90? ეს გადაწერის უბრალო, მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ B რედაქციის 80 გამეორებულია ბერძნულშიც“.

თუ გავიხსენებთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, აქ „მით უმეტეს“ არაფერ შუაშია: მოტანილი სტრიქონების ავტორისავე თვალსაზრისათ ხომ ბერძნული ვერსია წარმოქმნილია ვრცელი რედაქციიდან. ამდენად, ბერძნული თხზულება არასაგზით არ გამოდგება საკონტროლო წყაროდ ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართების გარკვევისას. ხოლო მოტანილი სტრიქონების ავტორის თვალსაზრისითაც ქართულ რედაქციებზე აღრინდელად მიჩნეული არაბული ვერსია ამგვარ ცნობას გვაწვდის: „ას წელიწადში ან მის ახლო ხანს“ (გვ. 39). ასე რომ უეჭველი საკონტროლო წყარო (არაბული ვერსია) ამ შემთხვევაში სწორედ მოკლე რედაქციასთან დგას უფრო ახლოს, ვიდრე ვრცელთან.

ესეც არ იყოს, მიემართოთ ტექსტს და ვნახოთ, შესაძლო იყო თუ არა, ვრცელი რედაქციის ტექსტიდან „გადაწერის უბრალო, მექანიკური შეცდომის“ შედეგად მიგვეღოს ის, რაც მოკლე რედაქციაშია.

ვ რ ც ე ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა : „პრეტუა ყრმამან მან: და ოდეს მოიწევის კაცი საზომსა ამას? პრეტუს მათ: შემდგომად ოთხმეოცისა წლისა, გინამე უმრავლეს ასისა“ (24, 15—18);

მ ო კ ლ ე რ ე დ ა ქ ც ი ა : „და რაზომსა წელსა შეიქმნების ესრეთ? მიუგო: ოთხმეოცდაათსა, გინა ასსა“ (24, 13—15).

აქ არსად გვაქვს ტექსტის ისეთი გამეორება, სიტყვასიტყვით ზუსტად თანხვედრა, რომ „უბრალო მექანიკური შეცდომის“ გამო შეიძლებოდეს საუბარი. უკეთუ მოკლე რედაქცია მართლაც ვრცელი რედაქციის ტექსტის მიხედვით იქმნებოდა, ფაქტია, რომ ეს ხდებოდა (მოცემულ შემთხვევაში) არა მექანიკურად გადაწერით, არამედ გააზრებულად შეცვლით. ასეთ ვითარებაში კი მექანიკურ შეცდომაზე ლაპარაკი უადგილოა.

დანარჩენი სამი შემთხვევა მოხმობილია იმის დაადასტურებლად, რომ მოკლე რედაქციის ავტორი სხვადასხვა წყაროებს იყენებს და ისე აგებს თავის თხზულებას (მაგალითად, ბალაპეარს გულზე ჭვარი რომ აღმოაჩნდა და ამით მისი ქრისტიანობა გამჟღავნდა, ამგვარი ზერხი აგიოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილი არისო, ასევე -- კაცის სიკვდილის დროს ანგელოზთა ხილვისა და სანთელზე თითის დაწვის ამბებიო). ეს იმიტომ, რომ მას აქვს გარკვეული მიზანი — პატერიკული ქანრის ნაწარმოების შექმნაო.

ასეც რომ იყოს, ამით სრულებითაც არ მტკიცდება მოკლე რედაქციის სწორედ ვრცელ რედაქციაზე დამოკიდებულება. თავისთავად ვრცელი რედაქციაც (და, როგორც ჩანს, მისი დედანიც) იყენებს სხვადასხვა წყაროებს, მაგრამ ამ ფაქტის მიხედვით ვერაფერს ვიტყვით მოკლე რედაქციისადმი მისი დამოკიდებულებისათვის.

ამრიგად, ის საბუთები, რომელთა მეშვეობითაც აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ცდილობს დაამტკიცოს მოკლე რედაქციის ვრცელ რედაქციაზე დამოკიდებულება, დამაჯერებლობას მოკლებულია და თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს.



როგორც ვხედავთ, ვერც მოკლე და ვრცელი რედაქციების ურთიერთდამოკიდებულების, ვერც მათი აღმოცენების გზებისა და ეპოქების საკითხები გადაწყვეტილად ვერასგზით ვერ მიიჩნევა — ერთობ ავტორიტეტული მეცნიერნი საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხველ აზრებს გამოთქვამენ ამ საკითხთა გამო. ამავე დროს, ეს საკითხები არ არის ვიწრო ფილოლოგიური ხასიათისა, მათ მრავალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა უკავშირდება. ყოველსავე სხვას რომ თავი დაეანებოთ, აღნიშნულ საკითხთა გადაუჭრელად ვერ გაირკვევა ბუდას ცხოვრების ლეგენდალ ქცეული ამბის ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირო-

ეპამდე მიღწევის რთული და დახლართული პრობლემატიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გადაჭრა მარტოოდენ ქართული კულტურის საქმეს როდი ემსახურება.

მართლაც, თუ საბოლოოდ არ დადგინდა ორი ქართული რედაქციის ურთიერთმიმართების რაობა, ვერც იმას ვიტყვით დაბეჭდვით, არაბული ვერსია არის თუ არა ქართული რომანის წყარო, ვერც იმას — ქართული რომანი არის თუ არა ბერძნული ვერსიის წყარო, და, ბოლოს, ვერც იმას — რომელ ეპოქაში უნდა ვიგულოთ ამა თუ იმ რედაქციის აღმოცენება.

ამავე დროს, ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართება საბოლოოდ ვერასგზით ვერ დადგინდება უცხოურ თხზულებათა მონაცემების გაუთვალისწინებლად. ამას განსაკუთრებით უნდა ანგარიშის გაწევა.

ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართების დადგენას აქვს აგრეთვე მეორე — ლოკალური, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა — უამისოდ ვერ გაიჩვენება ქართული რომანის ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური რაობა, ეს კი, თავის მხრივ, დააბრკოლებს ქართული აზროვნებისა და მწერლობის ისტორიის არაერთი პრობლემის ამომწურავად გაშუქებას.

სხვათა შორის, ორივე ქართული რედაქციის შესწავლას რომ იწყებდა, ავტორს სწორედ ეს უკანასკნელი ასპექტები აინტერესებდა — მიზნად ჰქონდა დასახული გამოეკვეთა ქართული რომანის ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური პროფილი.

ძეგლებზე მუშაობის პროცესში ავტორისათვის ცხადი შეიქნა, რომ არსებულ ვითარებაში ეს იყო განუხორციელებელი მიზანი. ცხადა შეიქნა, რომ ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი საკითხები ვერასგზით ვერ გადაწყდებოდა, ვიღრე არ განისაზღვრებოდა, თუ რას წარმოადგენს თავად კვლევის ობიექტი: ინდური ამბის ზეპირი მონათხრობის საფუძველზე შესრულებული ჩანაწერია, რომელიმე წერილობითი ძეგლის გადმოკეთებაა თუ თარგმანი; შემდეგ: რა არის მასში უცხოური წყაროებიდან მომდინარე და რა — ორიგინალური, ქართული (ეს თუ არ გაიჩვენა, შესაძლოა მიუტყვევებელი შეცდომა მოგვივიდეს — ქართულ კულტურას მივაკუთვნოთ სხვა ხალხთა ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი მონაპოვარნი); დასასრულ: როდის არის წარმოქმნილი ქართული რომანი, უფრო კონკრეტულად — როდის არის წარმოქმნილი ცალკერძ მოკლე და ცალკერძ ვრცელი რედაქცია და როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება.

ერთი სიტყვით, ავტორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წინასწარი სკრუპულოზური ფილოლოგიური ანალიზის გარეშე ოდენ თავის მოტყუება იქნებოდა ძეგლების ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ

საკითხთა გამოძიება. ამიტომ მან გადაწყვიტა თავისი პირველადი მიზნის განხორციელება მომავლისათვის გადაედვა, მანამდე კი დაესახა ხსენებული ფილოლოგიური ამოცანა და შეძლებისდაგვარად ცდილიყო მის გადაჭრას.

ამავე დროს, ტექსტების ამომწურავი ფილოლოგიური ანალიზი ვერ განხორციელდებოდა ერთობ შრომატევადი წინასწარი სამუშაოს — თხზულებათა გულდასმით შედარებისა და შეპირსპირების გარეშე.

„სიბრძნე ბალაჰვარისის“ საკითხებზე მუშაობისას ავტორი შემდეგი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა უმთავრესად:

1. შეუწყნარებელია ამა თუ იმ ვერსიის იზოლირებულად, სხვა, თუნდაც მხოლოდ წინამორბედად მიჩნეულ ვერსიათა მონაცემების გაუთვალისწინებლად შესწავლა (ზოგიერთი ქართული მეცნიერის შეცდომები იმის შედეგია, რომ ანგარიში არ გაეწია, მაგალითად, არაბული თხზულების მონაცემებს. ზოგიერთი ევროპელი მეცნიერის შეცდომები იმის შედეგია, რომ ანგარიში არ გაეწია ქართული რომანის მონაცემებს);

2. საკითხის საბოლოოდ გასარკვევად აუცილებელია ინდურ პირველწყაროებთან ახლოს მისვლა. მართალია, თხზულება იმ სახით, როგორადაც მას ჩვენამდე მოღწეული პირველი არაინდური (არაბული, ქართული) ვერსიებით ვიცნობთ, ინდოეთში, ჩანს, არასოდეს არსებულა, მაგრამ თავად ბუდას ცხოვრების ამბავთა შემცველი არაერთი ნაწარმოებია ცნობილი. ამ ნაწარმოებებს უაღრესად მნიშვნელოვანი საკონტროლო ცნობების მოწოდება შეუძლიათ;

3. აუცილებელია არაბული და ქართული, არაბული და ბერძნული, ქართული და ბერძნული ვერსიების სიტყვასიტყვით, ამომწურავად შეჯერება და საბოლოოდ დადგენა მათი ურთიერთთანხვედრი და ურთიერთგანსხვავებული ელემენტებისა. ამასთან, სასურველია, რომ ეს სამუშაო ერთმა პირმა (ან, ყოველ შემთხვევაში, მკვლევართა ერთმა ჯგუფმა) შეასრულოს;

4. ვიდრე ამგვარი ერთდიცისი (ერთდროულად არაბული, ქართული, ბერძნული და ინგლისური ან გერმანული ენების ზედმიწევნით მცოდნე) და შესატყვისი მოთმინების მქონე მკვლევარი გამოჩნდებოდა; არსებულ ვითარებაში გარკვეული ღირებულება შეიძლება აღმოაჩნდეს თუნდაც მხოლოდ ორი რედაქციისა და ორი ვერსიის შეჯერებას;

5. არსებულ ვითარებაში ვარკვეული ღირებულება შეიძლება აღმოაჩნდეს აგრეთვე თუნდაც მხოლოდ ნეგატიურ დასკვნებს — საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე წინსვლა შეიძლება გამოირიცხვის წესითაც (ვრცელი რედაქცია არ არის მოკლესგან მიღებული; ან: მოკლე რედაქცია არ არის ვრცელისგან მიღებული; ან: ქართული რომანი არ არის არაბულიდან თარგმნილი და ასე შემდეგ...).

მაშასადამე, ვიდრე არ გაირკვეოდა ორი ქართული რედაქციის ურთიერთმიმართების საღისკუსიო საკითხი, ფიქრიც კი არ შეიძლებოდა თხზულების ამომწურავად შესწავლისათვის. ამიტომ ავტორმა გადაწყვიტა, უწინარეს ყოვლისა, საბოლოოდ გაერკვია სწორედ ურთიერთმიმართება ორი ქართული რედაქციის ტექსტებისა.

თავის მხრივ, ამ ამოცანის განხორციელება ვერ მოხერხდებოდა საკონტროლო მონაცემების მოშველიების გარეშე. ამგვარი საკონტროლო მონაცემები უნდა გვეძებნა მხოლოდ ისეთ ძეგლებში, ქართულ თხზულებაზე აღრინდელი თუ არა, გვიანდელი მაინც რომ არ იქნებოდა. ცხადია, ასეთად ვერ დაისახებოდა ვერც ბერძნული ვერსია (რამდენადაც მეცნიერთა ნაწილი მას სწორედ ქართულიდან წარმოკმნილად მიიჩნევს), ვერც ბერძნულის მომდევნო და უშუალოდ თუ შუალობით მასზე დამოკიდებული რომელიმე ძეგლი. საკონტროლო მონაცემთა მოძიოდებელ ძეგლებად შეიძლებოდა მიგვეჩნია მხოლოდ არაბული ვერსიები, ისიც მხოლოდ არაქრისტიანულნი—ქრისტიანულ-არაბულნი ბერძნულიდან იღებენ სათავეს (აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის თაობაზე, რომ საკონტროლო მონაცემთა მიკვლევა ინდურ მასალებშიც ხერხდება. მართალია, თხზულება იმ სახით, როგორითაც დასაველეთით გავრცელდა, ინდოეთში, ჩანს, არასოდეს არსებულა, მაგრამ ბუდას ცხოვრების მომთხრობი არაერთი ნაწარმოებია ცნობილი, რომლებიც უაღრესად საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან. ოღონდ საკონტროლო მონაცემთა მოძიოდებელ თხზულებაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა იმგვარი ეპიზოდური ცნობები, რომელთა მოწოდებაც ინდურ წყაროებს შეუძლიათ, არამედ ქართულ რედაქციებთან ასე თუ ისე თანხვედრილი ტექსტის შემცველი მთლიანი ნაწარმოები).

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ მეცნიერებისათვის დღესდღეობით ცნობილ არაბულ ვერსიათაგან ბერძნული ან ქართული თხზულების დედნობის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ თხზულებას, რომელიც 1889 წელს ბომბეიში დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ აკად. ვ. როზენმა რუსულად თარგმნა და 1947 წელს მოსკოვს გამოიცა აკად. ი. კრაჩკოვსკის რედაქტორობით.

ავტორმა გადაწყვიტა აღნიშნული თხზულება გამოწვლილვით შეეჯერებინა ქართულ რედაქციებთან. ამგვარი შეჯერება ისახავდა ორგვარ მიზანს: 1. ხელთ გვექონოდა სანდო საკონტროლო მონაცემები ორი ქართული რედაქციის ურთიერთმიმართების გარკვევისას; 2. გარკვეულიყო აგრეთვე ქართული რედაქციებისა (მაშასადამე, ქართული ვერსიისა) და არაბული ვერსიის ურთიერთმიმართების საკითხი.

აქ შესაძლოა აღიძრას ერთი კითხვა: ჰქონდა თუ არა უფლება ნაშრომის ავტორს ისეთი სკრუპულოზური სამუშაოს შესრულებისას, როგორც არის ორი ტექსტის შეჯერება, გამოყენებინა არა არაბული

ორიგინალი, არამედ მისი რუსული თარგმანი? ვფიქრობ, რომ ჰქონდა ჯერ ერთი, წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ტექსტებს ადარებდა უპირატესად შინაარსის მიხედვით, ლექსიკურ შედარებებს ძალზე იშვიათად მიმართავდა, მეორეც, თხზულების რუსული გამოცემის რედაქტორის აკად. ი. კრაჩკოვსკის ცნობით (დასახელებული გამოცემა, გვ. 17—18) არაბული ვერსიის აკად. ვ. როზენისეული თარგმანი უაღრესად ზუსტია და სიტყვასიტყვით თანხვედბა ორიგინალს. იმ ზომამდე. რომ რუსულად ძნელი საკითხავიც კი არისო, — დასძენს რედაქტორი.

სამი თხზულების (ქართული მოკლე რედაქციის, ქართული ვრცელი რედაქციისა და არაბული ვერსიის) გამოწვლილვით შედარებისა და შეპირისპირების შედეგად შეიქმნა მოზრდილი (ოც სააეტორო თაბახამდე მოცულობის) ნაშრომი, რომელიც მომავალში ალბათ იხილავს დღის სინათლეს. მაგრამ, ვინაიდან საკითხი უაღრესად საინტერესოა და არა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობის მქონე, საჭიროდ მივიჩნეე ამ ნაშრომის ძირითადი დებულებები და დასკვნები ამოავითვე გამეცნო მკითხველთათვის.



უწინარეს ყოვლისა, რედაქციათა ურთიერთმიმართების გამო.

ტექსტების შეჯერების დაწყებამდე ავტორს უფრო მართებულად მიიჩნდა ის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც პირველადია ვრცელი რედაქცია, ხოლო მოკლე რედაქცია მისი გადანუშავებისა და შეკუმშვის საფუძველზეა შექმნილი; ამ მოსაზრების მხარდამჭერი საბუთები, განსაკუთრებით — პროფესორ ილია აბულაძის მითითებულ გამოკვლევაში წარმოდგენილი (რამდენიმეს გარდა), მას უფრო დამაჯერებლად ეჩვენებოდა.

მუშაობის პირველსავე დღეებში გამოიკვია, რომ სქემის — მოკლე—ვრცელი უარყოფა არასგზით არ ნიშნავს მიღებას უეჭველად საწინააღმდეგო სქემისა — ვრცელი—მოკლე. და პირუკუ. ორსავე თხზულებაში საკმაოდ იჩინა თავი ისეთმა ელემენტებმა, რომლებიც აშკარად მიუთითებდნენ მოკლე და ვრცელი რედაქციების ერთმანეთზე დამოუკიდებლად წარმოშობას. ამასთან, სხვაობანი იმგვარი ხასიათისა აღმოჩნდნენ, ხშირად გამოიციხავდნენ ვარაუდს, რომ ისინი მხოლოდ ნუსხათა გადაწერის პროცესში იყვნენ აღმოცენებულნი. ეს შეხედულება თანდათანობით განმტკიცდა შემდგომი მუშაობის პროცესში და ბოლომდე აღარ შეცვლილა. ერთი სიტყვით, შემუშავდა მოსაზრება, რომ ცალკერძ მოკლე და ცალკერძ ვრცელი რედაქცია უშუალოდ თუ შუალობით ემყარებიან აწ დაკარგულ პირველადს ქართულ ვერსიას, პირველადს ქართულ დედანს. მოკლე რედაქცია მართლაც გამოკრებისა და

შეკუმშვის გზით არის მიღებული, მაგრამ მიღებულია არა ვრცელი რედაქციისაგან, არამედ პირველადი დენდიდან.

ა. ვრცელი რედაქცია არ არის მოკლე რედაქციისაგან მიღებული.

წინააღმდეგ შემთხვევაში ვერასგზით ვერ აიხსნება, თუ რატომ თანხვდება ხოლმე ვრცელი რედაქციის ტექსტი არაბული ვერსიისას, როგორც კი ვრცელი და მოკლე რედაქციები ერთიმეორეს შორდება.

ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა იმის დაშვება, რომ, თავის მხრივ, არაბული ვერსია ბერძნულ თხზულებას ემყარება. მაგრამ, ჯერ ერთი, არავითარი საფუძველი არ არსებობს საამისოდ, მეორეც, მაშინ აღიძვრის ახალი კითხვა: თუკი არაბული ვერსია ბერძნულს ემყარება, საიდანღა გაჩნდა მასში ისეთი პირველწყაროებისეული ელემენტები, როგორიცაა, ვთქვათ, თეთრი სპილოს მისტიკური ზილვის შედეგად უფლისწულის ჩასახვა, რაც სრულიად უცხოა ბერძნულსათვის? მაშინ უნდა ვამტკიცოთ, რომ არაბული ვერსიის შემქმნელი იწერდა ბერძნულიდან და კიდევ რაღაც სხვა წყაროსაც იყენებდა: ამგვარი მსჯელობა საბოლოოდ კვლავ გამოუვალ ჩიხში მოგვაქცევდა და ისღა დაგვრჩებოდა, ყველაფერი თავიდან დაგვეწყო ხელახლა.

მართლაც, ირკვევა, რომ ქართული ვრცელი რედაქციის ნახევარზე მეტი თითქმის სიტყვასიტყვით თანხვდება არაბულს. ამასთან, თანხვდრა დასტურდება არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ვრცელი რედაქცია და არაბული ვერსია შეიცავენ მოკლე რედაქციისათვის უცნობ მთელ ეპიზოდებსა და ვრცელ მსჯელობებს (ამგვარი ადგილი მრავლადაა), არამედ იმ შემთხვევებშიც, როდესაც ქართული რედაქციების თხრობა პარალელურად მიედინება და ერთბაშად მოკლე რედაქცია გამოეთიშება ხოლმე თხრობას, აღარ შეიცავს ვრცელ რედაქციამ დაცულ ცალკეულ სიტყვებს, ფრაზებს თუ ფრაზის ნაწილებს.

ასეთ ვითარებაში ორი აზრი აღარ შეიძლება არსებობდეს: თუკი ვრცელი რედაქცია თანმიმდევრული თხრობისას თუნდაც ერთი სიტყვით, ფრაზის ნაწილით, ფრაზით ან რაიმე ცნობით უეცრად დაშორდება მოკლე რედაქციას და მაშინვე თანხვდება ხოლმე არაბულ ვერსიას, აღარავითარი ეჭვი აღარ რჩება, რომ ვრცელი რედაქცია მოკლეს ტექსტს კი არ დამყარებია, რაღაც სხვა წერილობითი წყარო ჰქონია ხელთ. წარმოუდგენელია, რომ ვრცელ რედაქციასაც და არაბულ ვერსიასაც ერთდროულად გადაეხვიოთ საერთო თხრობიდან და ერთმანეთზე დამოუკიდებლად ერთი და იგივე შედეგი მიეღოთ.

ნათქვამის ცხადსაყოფად მოვიტანოთ სამივე თხზულების ტექსტები (ქართული რედაქციების ტექსტში ხაზგასმა აღნიშნავს იმას, რაც მათ ერთიმეორისგან განასხვავებს, არაბული ვერსიის ტექსტში — რაც

მას მოკლე რედაქციისაგან განასხვავებს და, ამავე დროს, საერთო აქვს ვრცელ რედაქციასთან).

მოკლე რედაქცია: „პრეტუა მას მზარდულმან: კაცო. არას ვხედავ სახესა უგუნურებისასა, გარნა სიტყუაჲ: შენნი ნამეტნავ არიან და მეშინის, ნუჟუე განმამტყუენო მეფისა ძისა. აწ მიჩუენე (ლაპარაკია ძვირფასი თვალის შესახებ. — რ. თ.), რამთა ვიხილო და ეგრეთ ვაუწყო მისთვის“ (28, 19—25).

ვრცელი რედაქცია: „პრეტუა მას მზარდულმან მან: არარას ვხედავ შენ თანა, კაცო ვინმე, სახესა უგუნურებისასა, გარნა სიტყუანი შენნი მსგავს არიან სიტყუათა მეტნობისათა გარდარეულად მეტყუელთასა, რამეთუ იტყუ რასამე, რომელი არასადა მასმიეს ესევეთარი, და განმტყუენებასა შენსა ვერვე დაფილებ გულსა ჩემსა სიბრძნისათვს, რომელსა-ესე ვხედავ შენ თანა. არამედ აწ მითხარ: რაჲ არს კურკელი ესე, რომელსა შენ იტყუ? მიჩუენე მე, რამთა ვიხილო! უკუეთუ ჭერიოს სამეუფოლ, ვაუწყო მისთვის ძესა მეფისასა, რამეთუ არა ჭერ-არს ჩემდა, თუმცა უქე რამე უფროჲს ზომისა და შემდგომად ხილვისა მისისა არა ეგრეთ პოვა, ვითარ-იგი ვაუწყე მისთვის“ (28, 19—31).

არაბული ვერსია: „აღმზრდელმა უთხრა: შენ. ქემმარიტად, ამბობ რაღაც საკვირველს, რაიც შენამდე არავისგან გვსმენია. შენში უკეთურს არას ვხედავ, მაგრამ ჩემნაირი არ იტყვის რაიმეს იმის შესახებ, რაც არ იცის და რაიც მისთვის უცნობია. ამიტომ, მოდი, მიჩვენე შენი საქონელი, რათა შევხედო მას. და, თუკი ისეთი რამ ვიხილე, რის შესახებაც მოხსენება მმართებს, მოვასხენებ მას. რამეთუ ულამაზო იქნებოდა მეფის ძესთან მეხსენებინა საქმე და მის თვალში ამ საქმის მნიშვნელობა განმედიდებინა, თუკი შემდეგ მეფის ძე ამის დამადასტურებელს არ იხილავს თვალდათვალ მისი გამოცდისას“ (42)¹.

მსგავსი შემთხვევები გვხვდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე, დაწყებული პირველი სტრიქონებიდან, ვიდრე აბენესის სიკედალის ეპიზოდამდე, მისი ჩათვლით. მაგალითი მრავლის უმრავლესია და მათს განმეორებას აზრი აღარ ექნებოდა.

ასეთ ვითარებაში ვრცელი რედაქციის მოკლე რედაქციისგან წარმომავლობის სამტკიცებლად ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა იმის დაშვება, რომ, თავის მხრივ, არაბული ვერსია ბერძნულ თხზულებას ემყარება. მაგრამ, ჭერ ერთი, არავითარი საფუძველი არ არსებობს საამისოდ. მეორეც, მაშინ აღიძვრის ახალი კითხვა: თუკი არაბული ვერსია ბერძნულს ემყარება, საიდანღა გაჩნდა მასში ისეთი პირველწყაროებისეული ელემენტები, როგორცაა, ვთქვათ, თეთრი სპილოს

¹ არაბული ვერსიის ტექსტთან ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები მიუთითებს 1947 წლის რუსული გამოცემის გვერდს.

მისტიკური ხილვის შედეგად უფლისწულის ჩასახვა, რაც სრულიად უცხოა ბერძნულსათვის? მაშინ უნდა ვამტკიცოთ, რომ არაბული ვერსიის შემქმნელი იწერდა ბერძნულიდან და კიდევ რაღაც სხვა წყაროსაც იყენებდა. ამგვარი მსჯელობა საბოლოოდ კვლავ ვამოუვალ ჩიხში მოგვაქცევდა და ისღა დაგვრჩებოდა, ყველაფერი თავიდან დაგვეწყობ ხელახლა.

ბ. მოკლე რედაქცია არ არის ვრცელი რედაქცია იხსიან მიღებული.

როგორც ვნახეთ, ამგვარი მოსაზრება წამოაყენეს პროფესორმა სიმონ ყაუხშიჩვილმა და აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ. ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ის საბუთები, რომელთა მოშველიებითაც ხსენებული ორი გამორჩენილი მეცნიერი ესწრაფვის მოკლე რედაქციის ვრცელ რედაქციაზე დამოუკიდებლად წარმოშობის დამტკიცებას, საქმარისი არ არის ამ დებულების უეჭველობისათვის (საბუთს — ლიტერატურულ პრაქტიკაში ჩვეულებრივ მოკლე ტექსტის განვრცობა ხდება და არა პირუკუ, დაუპირისპირდა ის ფაქტი, რომ მოკლე რედაქციის ტექსტი სწორედ სპეციალურ კრებულშია შეტანილი; საბუთს — ვრცელი რედაქციის ტექსტში უფრო ახალი სიტყვები გვხვდება, ამიტომ ის მოკლეზე ვიანდელიაო, დაუპირისპირდა ამავე რიგის უეჭველი ფაქტები ლექსიკის სფეროდან; საბუთს — ვრცელი რედაქციის ტექსტი ბერძნულ ვერსიას თანხვდება ხოლმე, ამიტომ ის მოკლე რედაქციისა და ბერძნულ თხზულების შერწყმის შედეგად არისო შექმნილი, დაუპირისპირდა ის უეჭველი ფაქტი, რომ ვრცელი რედაქციის ტექსტი თანხვდება აგრეთვე არაბული ვერსიის ტექსტს).

გარნა ხსენებულ მკვლევართა ორი საბუთი საპირისპირო თვალსაზრისზე მედგარმა მეცნიერებმა ფაქტურად ვერ გააბათილეს.

საბუთი პირველი: რას ნიშნავს მოკლე რედაქციის სატიტულო წარწერა „გვთხრობდა ჩუენ მამაჲ ისაჲ, ძე სოფრონი“ პალესტინელი-საჲ...“?

აქ საქმეს ვერ შევლის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დებულება, რომ მოკლე რედაქცია გადაშუშავებულია პატრიარქული ეპარქის თხზულებად, ამგვარ თხზულებაში კი „...ესა თუ ის პირი ლაპარაკობს არა უშუალოდ, არამედ სხვისი, ზოგჯერ ორი-სამი პირის მეშვეობით“¹. ეს ასეა, მაგრამ ამით არაფერი იცვლება: სატიტულო წარწერა ეხსენიებს არა „ამბა პამბოს“ ან „ამბა იოსებს“, არამედ კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებას — მეშვიდე საუკუნის მოღვაწეს სოფრონი პალესტინელს, რომლის შესახებაც თავად აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა 1923 წელს: „თუ ეს იერუსალიმის პატრიარქი სოფრონია (634—644), კრუმბახერის აზრი მართლდება და მოთხრობის დაწერის დროდ უნდა

¹ ეტულები, ტ. VI, გვ. 51.

მეშვიდე საუკუნე იქმნეს მიღებული¹. მართალია, შემდეგში მოკლე რედაქციის წარმოშობა მეცნიერმა გაცილებით გვიანდელ ეპოქაში გადმოიტანა, მაგრამ საკუთრივ სოფრონ პალესტინელის ხსენების გამო აღარაფერი უთქვამს, რაც იმის მათწყებელია, რომ ეს საკითხი მისთვის არ იყო საბოლოოდ ცხადი და გარკვეული.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, პრობლემის იგნორირებასა და დასაბუთებულად მის მოხსნას შორის დიდი მანძილია.

მოკლე რედაქციის (ან მისი დედნის) VII საუკუნესთან კავშირის პრობლემა ვერ მოიხსნება, ვიდრე მეცნიერულად არ დასაბუთდება, რომ ამ ძეგლის შემქმნელმა თუ ასლის გადამღებმა ელემენტარული ტყუილი ჩაწერა თხზულების დასაწყისში.

საბუთი მეორე: თუკი მოკლე რედაქცია ვრცელზე არის დამოკიდებული, საიდან გაჩნდა მასში ისეთი ადგილები, რომლებიც ვრცელ რედაქციაში არ არის?

ამ კითხვას ორგვარი პასუხი აქვს გაცემული „ავტორი A (მოკლე.— რ. თ.) რედაქციისა არცთუ მონურად მისდევს B (ვრცელ.— რ. თ.) რედაქციას... ის გზადგაზა სხვა წყაროებსაც იყენებს“ (კ. კეკელიძე)²; „შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესენი მოკლე ბალავარიანის რედაქტორმა შეუმატაო, მით უფრო, რომ ვნახეთ, ის უბრალო მიმდევარა არ იყო მის წინ მდებარე ტექსტისა, არამედ ზოგან ადგილების გადამადგილებელიც კი გამოდგა. შეიძლება, რასაკვირველია, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენამდის მოსული ვრცელი ნუსხა სულ ვრცელი არ იყოს, არამედ მასაც რამდენადმე აკლდეს აქა-იქ ტექსტი“ (ი. აბულაძე)³.

ამათგან პირველი პასუხი (აკადემიკოს კორნელი კეკელიძისა) დამაკმაყოფილებელი ვერაა: ჯერ ერთი, „სხვა წყაროების“ გამოყენება თავისთავად არაფერს ამბობს იმის თაობაზე, უეჭველად ვრცელი რედაქციიდან წარმოღვება თუ არა მოკლე („სხვა წყაროები“ შეეძლო გამოეყენებინა როგორც IX—XI, ისე VII საუკუნის ავტორსაც); მეორეც, რაც მთავარია, მოკლე რედაქციის ტექსტში არის ვრცელი რედაქციისათვის უცნობი არაერთი ადგილი, რომლებიც „სხვა წყაროებს“ კი არ გულისხმობს, არამედ ისევე „სიბრძნე ბალავარიანის“ რომელიღაც ადრეულ ტექსტს (ამის თაობაზე აქვე, ცოტათი ქვემოთ).

რაც შეეხება მეორე პასუხს (პროფესორ ილია აბულაძისა), სავესებით უტყუარ დაკვირვებას ემყარება, ოღონდ, ვფიქრობ, ამ მოსაზრების თანმიმდევრულად განვითარების შემთხვევაში მივიღივართ სწორედ იმ დასკვნამდე, რომ მოკლე რედაქცია წარმოიშვა არა მხოლოდ ვრცელი

1 ქართული ლიტერატურის ისტორია, 1 ტომი, ძველი მწერლობა, გვ. 552.

2 ეტიუდები, VI, გვ. 51.

3 1957 წ. გამოცემის შესავალი წერილი, გვ. 044—045. ხაზი ავტორისაა.

რედაქციის ჩვენთვის ცნობილ ნუსხაზე, არამედ, საერთოდ, ამ რედაქციაზე დამოუკიდებლად, წარმოიშვა პირველადი ვერსიიდან, პირველადი ქართული დედნიდან, რომელიც იყო ცალკეოდ მოკლე რედაქციისა და ცალკეოდ ვრცელი რედაქციის საფუძველი.

იმიტომ, რომ მოკლე რედაქციის ტექსტში არის არა მხოლოდ ისეთი ადგილები და დეტალები, რომლებსაც ვრცელი რედაქცია არ იცნობს და მეტი არაფერი, არამედ ვრცელი რედაქციისათვის აგრეთვე უცნობი ისეთი ადგილებიცა და დეტალებიც, რომლებიც აშკარად მიუთითებენ მოკლე რედაქციის კავშირს უძველეს, დოკუმენტურად დადასტურებულ პლასტებთან.

ასე რომ ჩვენ საშუალება გვქვდა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძისა და პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის ორი (დღემდე გაუბათილებელი) საბუთის გარეშეც ვამტკიცოთ მოკლე რედაქციის ვრცელ რედაქციაზე დამოუკიდებლად წარმოშობა. ოლონდ საამისოდ უნდა მოვიხმოთ სწორედ ის ინდური და არაბული ჩვენებანი, რომელთა გამოყენების წინააღმდეგაც აგრე სასტიკად გაილაშქრა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ თავის წიგნში *К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф»*.

თავდაპირველად აღვნიშნოთ მოკლე რედაქციის ისეთი განსხვავებული მონაცემები, რომლებიც ინდური პირველწყაროებით დასტურდება.

ინდურ ლეგენდებში უფლისწულის ოთხი ნაწინასწარმეტყველები შეხვედრა (მოხუცთან, სნეულთან, მკვდრის გვამთან და მონაზონთან) ხდება მეეტლის თანდასწრებით, რომლის სახელია ჩანდაკა (ზოგი გადმოცემით „ჩანაა“, „ჩანა“). იგი უხსნის უფლისწულს მის მიერ ხილულ სურათთა მნიშვნელობას. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ეპიზოდი შემორჩენილი იყო ინდოეთიდან უკვე დასავლეთით გავრცელებულ ვერსიებში: ტურფანის ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მანიქეურ (ირანულიდან თურქულად თარგმნილ) ფრაგმენტებში იკითხება, თუ როგორ ხვდებიან ბოდისავი (ბოდჰისატვა) და ჩინაკი (= ჩანდაკა) მიხრწნილ ბერიკაცს და როგორ უხსნის ჩინაკი ბოდისავს ნანახის მნიშვნელობას: „...შემდგომ ამისა ბოდისავ უფლისწულმა თავისი ცხენის კანტაკას სადავე მოქაჩა და შეჩერდა. (ბერიკაცის) მზირალმა ჩინაკს ჰკითხა: ის არსება, იქ რომ წევს, საზიზლარი და მკენესარი, რა კაცია? ჩინაკმა მოკრძალებით მიუგო: ოდესღაც ეგ კაცი თქვენნაირად ახალგაზრდა იყო, ჯანმრთელი, მოხდენილი, პირმშვენიერი. ახლა მოხუცებულია და სნეული და, რაკი დაუძღურებულა. ესოდენ საზარელ დღეში ჩავარდნილა. მაშინ ბოდისავმა ასე თქვა: ბოლოს და ბოლო! ჩვენც ასეთად შევიქნებით ხანგრძლივი სიცოცხლის შემდეგ?“¹ (შესდეგ ტექსტს აკლია).

¹ ციტირებულია დ. მ. ლანგის წიგნიდან *The Wisdom of Balahvar*, 1957, გვ. 27.

ეს ეპიზოდი, მეტ-ნაკლებად სახეცვლილი, შემორჩენილია ყველა მომდევნო ვერსიაში, მათ შორის — არაბულში და ორსავე ქართულ რედაქციაში. მაგრამ როგორ არის შემორჩენილი?

არაბული ვერსია: „შემდეგ ის (ბუღდასუი) ერთ დღეს გამგზავრა და გზად წააწყდა მიხრწნილ ბერიკაცს, რომელიც სიბერეს წელში მოეხარა, რომელსაც თმა გასთეთრებოდა, სახის ფერი გაშავებოდა და კანი დანაოჭებოდა, მოკლე ნაბიჯებს დგამდა და (სხეულის) ანოხი დასუსტებოდა. გაოცდა მისთვის და მისი ამბავი იკითხა. უთხრეს: „ეს არის სიბერე“ (39).

ქართული ვრცელი რედაქცია: „და შემდგომად ამისა განვიდა კულად და იხილა ბერი ვინმე ერთი ფრიად მოხუცებული, დაღონებული ქუეყნად, რომლისა ფერი პირისა მისისაჲ დაშავებულ იყო და თმაჲ თავისა მისისაჲ სპეტაკ, და კორცნი მისნი შემკნარ და პირსა მისსა არღარა იყო კბილი და სიტყუაჲ მისი უშუერ, და ვითარცა ბლუნვით იყო სლვაჲ მისი. და ვითარცა ბერი იგი იხილა, კულად შეჰხარდა ხილვაჲ მისი და იწყო კითხვად მოყუასთა თვსთა მისთვს. ხოლო მათ ჰრქუეს: ესე დაძულებელ არს დღეთაჲ, რომელი მიწვევულ არს შემატებათა დღეთაჲთა მოკლებასა ძალისასა, ვიდრემდის საზომსა ამას მოიწია. რომელსა ჰხედავ, და ყოველთა დღეთა მოაკლდების. და ჰრქუა ყრმაჲნ მან: და ყოველთა ზედა მოიწვევისა ესე?“ (23, 30—24, 11).

შეიძლებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა იმ ამბავზე, რომ ვრცელი რედაქცია, არაბული ვერსიისგან განსხვავებით, მანიქეური ფრაგმენტის მსგავსად, კითხვას სვამს: „ყოველთა ზედა მოიწვევის ესე?“.

მაგრამ ამჯერად სხვა რამეს მივაქციოთ ყურადღება: მანიქეურ ფრაგმენტში, მსგავსად ინდური პირველწყაროებისა, უფლისწულს ეპასუხება მეეტლე ჩანდაკა (ჩინაკი), ხოლო არაბულ ვერსიასა და ქართულ ვრცელ რედაქციაში — უპიროვნო მხლებელნი („და უთხრეს“, „...იწყო კითხვად მოყუასთა თვსთა მისთვს. ხოლო მათ ჰრქუეს“).

მაგრამ, აი, როგორი ვითარებაა ქართულ მოკლე რედაქციაში:

„და კულად ოდესმე განვიდა, და მოყუასნი მისნი იგი წინამავალნი უდებ იქმნეს და ვერ იხილეს ბერი კაცი მდებარე მოუძღურებელი, რომლისა თმაჲ სპეტაკ იყო, ვითარცა მატყლი, და პირსა მისსა კბილი არა იყო და სიტყუაჲ მისი ფლაფნით იყო. და ვითარცა მივიდოდა ძე მეფისაჲ, იხილა იგი და შეეზარა, და ჰრქუა ზანდან მზარდულსა: რაჲ არს ესე? ხოლო მან ჰრქუა: და ესეცა კაცი არს: და ჰრქუა: რასა შეუქმნიეს ესე?.. მიუგო ზანდან...“ (23, 30—24, 10).

დაუუკვირდეთ ხაზგასმულ სიტყვებს („რაჲ არს ესე?“ „ესეცა კაცი არს“), რომლებიც არ იციან არც არაბულმა ვერსიამ და არც ვრცელმა რედაქციამ და რომლებიც მანიქეურ ვერსიაში ასე თუ ისე დასტურდება.

მაგრამ უმთავრესი სხვა რამ არის: ამბავთა განმმარტებელი ინდურ

პირველწყაროებში არის მეეტლე ჩანდაკა, მანიქეურ ვერსიაში -- ჩინაკი, ხოლო ქართულ მოკლე რედაქციაში — ზანდან. ამავე დროს, ამ პერსონაჟს არაბული ვერსია საერთოდ არ იცნობს, ხოლო ვრცელ რედაქციას იგი თხრობაში შემოჰყავს ერთობ გვიან, მას შემდეგ, რაც ბალაჰვარი ფაქტიურად დაასრულებს უფლისწულის დამოძღვრას (გვ. 75). ამასთან, ვრცელ რედაქციაში ამ პერსონაჟს ყველგან ეწოდება ზანდან (და არა ზანდან).

სრულიად უეჭველია, რომ ქართულ მოკლე რედაქციაში დაცულია თხზულების პირველსახე, რომ სახელი ზანდან მიღებულია ჩანდაკადან და, რომდენადაც ვრცელი რედაქცია არც სახელის ამ ფორმას იცნობს და არც ზანდანის მისიას (უფლისწულის შეხვედრათა მნიშვნელობის განმმარტებელი), რგი ვერასგზით ვერ იქნებოდა მოკლე რედაქციის დედანი.

არაბულ ვერსიასა და ვრცელ რედაქციაში მეფეს უშვილობა კი არ აწუხებს (არაბულში თავისთავად შვილმრავალია). არამედ ვაჟის უყოლობა: „მხოლოდ ქალები ებადებიან, ვაჟი კი არ ჰყავდა“ (23), „არა ესუა მას წული შვილი“ (3, 30).

მოკლე რედაქციაში სხვა ვითარებაა: „არა ესუა მას შვილი“ (3, 30), შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ ინდური ლეგენდებითაც მკვლევარს სწორედ უშვილობა აწუხებს: მის მეუღლეს 40 (თუ 45) წლისას ეყოლება პირველი შვილი — სიდჰარტა (იგივე ბუდა).

თვით აბუნესის დახასიათებაც („ხოლო კაცი იგი იყო მშვიდი და მდაბალი და ფრიად მოწყალე გლახაკათაჲ“) გაცილებით უახლოვდება ინდურ პირველწყაროთა სუბტონანას (ბუდას მამას), ვიდრე არაბული ვერსიისა და ვრცელი რედაქციის იმთავითვე მრისხანე, ამჰარტავანი, ზარდამეცი და მრავალი უარყოფითი თვისებით აღჭურვილი მეფე.

იმ პიროვნებას, ვინც შემდეგ ბუდას სახელით იქნა ცნობილი, ვიდრე ნირვანასთან შერწყმის სიმადლეზე ავიდოდა და უკანასკნელად გასსხეულდებოდა ამქვეყნად, მრავალი ათასი ინკარნაციის გადატანა მოუხდა. და, აი, მის უკანასკნელ ცხოვრებაზე მოქმედებს წინა განსხეულებათა შედეგები. წინა ცხოვრებათა დამსახურების წყალობით ეძლევა მას სამი შეხვედრა: ბერიკატთან, სნეულთან და მკვდრის გვამთან. მაგრამ მეოთხე შეხვედრა (განდევილთან) უკვე მის პირად ღირსებათა გავლენით კი არ ხდება, არამედ „ღვთის შვილთა“ ძალით. გავიხსენოთ. რომ არაბული ვერსიისა და ვრცელი რედაქციის მიხედვით, განდევილის (ბილაუჰარი, ბალაჰვარი) უფლისწულთან მისვლას არავითარი ზეპუნებრივი ძალა არ განაპირობებს, უბრალოდ, ნათქვამია, რომ ბუდასთვის ამბავი ყველგან გაითქვა და „მიადწია ერთ განდევილ კაცამდე სერენდიბის მცხოვრებთაგან...“ (41), რომ „...განკდა ჰამბავი მისი ყოველთა ადგილთა... ესმა ვისმე კაცსა ღმრთის მოყუარესა...“ (27, 7—14).

ხოლო მოკლე რედაქციაში სწორედ ეს შეხვედრა ხდება ღვთაებრივი ძალის დახმარებით: „მას უამსა შინა ბალაჰვარ ცნა სულითა წმიდითა, ვითარმედ ძესა მეფისასა სწადის ნახვა კაცთა ღმრთის მსახურთა“ (27, 14—17).

მხოლოდ მოკლე რედაქციას აქვს დაცული ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფრაზა: „ხოლო მამისა შენისა ფილოსოფოსნი ზოგნი მოკუდავად იტყვან სულსა და ზოგნი უკუდავად“ (25, 27). ეს უეჭველად ინდური წარმოშობის რეალიაა. მაგრამ ამჟერად იმის აღნიშვნით დაეკმაყოფილდეთ, რომ შევნიშნოთ: მოკლე რედაქცია არც ამ შემთხვევაში ემყარება ვრცელს.

ინდურ ლეგენდათა მიხედვით, სიდჰარტა მშვენიერ ქალთა საზარელი სახით ხილვის შემდეგ მამამისს განდევნილად წასვლის ნებართვას სთხოვს, მაგრამ მეფე მკაცრ უარზეა; რამდენიმე ხნის შემდეგ სიდჰარტა განმეორებით ევედრება სუდჰოდანას. მეფე კვლავ უარით უპასუხებს და აძლიერებს შვილის მეთვალყურეობას. ვრცელმა რედაქციამ ეს თხოვნა არ იცის. ჩვენების შედეგად იოდასაფს გარემომცველი ქალები რომ შეჰზარდება, კატეგორიულად განუცხადებს აბენესს: „მამაო ჩემო, მნებავეს განსლვაჲ უდაბნოს და ცხოვრებაჲ მონაზონებით მძოვართა თანა...“ (127, 30—32). თხოვნა არც არაბულმა ვერსიამ იცის. ხოლო მოკლე რედაქციაში დაცულია სურათი პირველწყაროებისა: „...უთხრა (იოდასაფმა) ყოველი, რომელი ეხილვა. და ცრემლით ევედრებოდა, რაჲთა განუტეოს უდაბნოს“ (127, 25—27).

მოკლე რედაქციაში დაცულია კიდევ რამდენიმე ჩვენება, თხზულების უძველეს პლასტებთან მისი დამაკავშირებელი, მაგრამ მათ შესახებ გულდაჩერებულად საუბარი შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება ტექსტების სკრუპულოზური ფილოლოგიური ანალიზი.

ახლა მივმართოთ მოკლე რედაქციის იმ ჩვენებებს, რომლებიც ვრცელმა რედაქციამ არ იცის, ხოლო არაბული ვერსიით დასტურდება. ამგვარ ჩვენებათა რიცხვი ორ ათეულს აღემატება.

ამათგან ნაწილი ისეთი ხასიათისაა, მათზე დამყარებით კატეგორიულ დასკვნათა გამოტანა ამჟერად აჩქარება იქნებოდა. ასეთია, მაგალითად, ერთი დეტალი, კეთროვანთან და ბრმასთან უფლისწულის შეხვედრის ეპიზოდში რომ შეინიშნება; ვრცელი რედაქციის მიხედვით, ბრმას ერთზე მეტი გამცილებელი ახლავს: „...მწუხარე, რომელი მიჰყვანდა სხუათა“ (23, 4), ხოლო მოკლე რედაქციის მიხედვით — მხოლოდ ერთი: „...მწუხარე, რომელი სხუასა მიჰყვანდა“ (იქვე). ასევეა არაბულ ვერსიაში: „მეორე ბრმა იყო და მეგზურს მიჰყავდა“.

აქ აღარ ჩამოვთვლით მსგავს მაგალითებს. ისინი აღნუსხული და გაანალიზებულია ზემოხსენებულ ნაშრომში. ტექსტების შემდგომ:

შესწავლამ უნდა ცხადყოს — მართლაც პირველადი ვითარების ამსახველია ეს მაგალითები, თუ შემთხვევით თანხვედრებთან გვაქვს საქმე (ამ ნაშრომის ავტორს კი სჯერა, რომ ეს თანხვედრები შემთხვევითი არაა, მაგრამ ერთია სუბიექტური გულდაჭერებულობა და მეორე — უცილობელ საბუთთა მოპოვება).

ჩვენებათა მეორე ნაწილი ამ ნაშრომის ავტორს მიაჩნია უკვე უქველ საბუთად იმისა, რომ ვრცელი რედაქციის ტექსტი მოკლე რედაქციის ამოსავალი ვერ იქნებოდა. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი ნუსხა ვრცელი რედაქციისა, არა ის ამბავი, რომ შესაძლოა „ჩვენამდის მოსული ვრცელი ნუსხა სულ ვრცელი არ იყოს, არამედ მასაც რამდენადმე აკლდეს აქა-იქ ტექსტი“ (პროფესორი ილია აბულაძე). მართო ეგ არა. აქ იგულისხმება მოკლესა და ვრცელის არა ნუსხისეული. არამედ რედაქციული სხვაობანი, რომელნიც ამ ორი თხზულების ჩამოყალიბების პროცესშივე ჩნდებოდნენ და რომელთაც გადამწერთა ნახელავად ვერ დაესახავთ. მოკლე რედაქციის გამოკრება და შეკუმშვა ხდებოდა არა ვრცელი რედაქციის ტექსტის მიხედვით, არამედ იმ პირველადი ტექსტის მიხედვით, რომლისგანაც ცალ-ცალკე ერთიმეორეზე დამოუკიდებლად ამოვიდა ორი რედაქცია — მოკლე და ვრცელი.

აქაც ერთ მაგალითს დავჭერდეთ. მოვიგონოთ იოდასაფისა და ბალაჰვარის საუბარი ამ უკანასკნელის ასაკისათვის (მოკლე რედაქციისა და არაბულ ვერსიაში ხაზგასმულია ის, რაც მათთვის საერთოა, ხოლო ვრცელ რედაქციაში არ იპოვება).

ქ ა რ თ უ ლ ი მ ო კ ლ ე რ ე დ ა ქ ც ი ა : „პრქუა ბალაჰვარ: ვინაჲთგან ვიშევ, სამეოცისა წლისაჲ ვარ, გარნა, რაჲთგან ღმერთსა სრულიად გაუსაკუთრე თავი ჩემი, ათორმეტი წელი არს, რაჲთუ წინაჲს მკუდარი ვიყავ და ათორმეტით წლითგან ცოცხალ ვარ. პრქუა იოდასაჲ: და ვითარ მკუდარ არს კაცი, რომელი ჳამს და სუამს?“ (56, 35—57, 5);

ქ ა რ თ უ ლ ი ვ რ ც ე ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა : „პრქუა ბალაჰვარ: ვინაჲთგან ვიშევ, ვარ სამეოცის წლის, ხოლო შენ მკითხენ ეჲმნი ცხოვრებისა ჩემისანი; და ცხოვრებაჲ სიციოცხლესა პრქვან. და სიციოცხლე არარაჲ არს თვნიერ სჯულისა ქრისტესისა და საქმეთა მისთა, და ესე არა იყო ჩემ თანა, გარნა ათორმეტით წლითგან. პრქუა იოდასაჲ: ვითარ უკვე ჳყოფ კაცსა, რომელი ჳამს და სუამს და მიმოვალს, მკუდრად?“ (56, 34—57, 5).

ა რ ა ზ უ ლ ი ვ ე რ ს ი ა : „ბელაუჰარმა თქვა: რაიცა შეეხება დაბადებას, ვას მართლაც სამოცი შეუსრულდა, გარნა შენ ხომ ცხოვრების ამბავი მკითხე, ცოცხალი ცხოვრება კი არ არსებობს ამა ქვეყნისგან განშორებისა და სარწმუნოების გარეშე. მე კი ხარწმუნოებას ვეწიე და

ქვეყანას განვეშორე მხოლოდ თორმეტი წლის წინათ. მანამდე კი მკვდარი ვიყავი და სიკვდილის დღეებს ცხოვრებად არ ვთვლი. ბუდასფმა პკითხა: როგორ უწოდებ მკვდარს, ვინც მკამელია, მსმელი, მოძრავი?" (68).

დაუფკვირდეთ, როგორ არის ჩამოყალიბებული ხაზგასმული ფრაზა მოკლე რედაქციასა და არაბულ ვერსიაში: „...რამდენიმე დღისა სრულიად გაუსაკუთრე თავი ჩემი, ათორმეტი წელი არს, რამეთუ წინამს მკუდარი ვიყავ და ათორმეტით წლითგან ცოცხალ ვარ“. ის, რასაც ამ ფრაზის პირველი ნახევარი გადმოგვცემს, ვრცელ რედაქციაში წარმოდგენილია უარყოფითი ფორმით: „და ესე არა იყო ჩემ თანა, გარნა ათორმეტით წლითგან“. აგრე იმიტომ ხდება, რომ მოკლე რედაქციისა და არაბული ვერსიის „წინათ მკვდარი ვიყავი“ ვრცელ რედაქციაში ფრაზის მეორე ნახევრიდან ატანილია პირველ ნაწილში; „წინათ მკვდარი ვიყავი“ დასკვნა კი აღარაა, არამედ წანამძღვარი და დაფორმულებულია სულ სხვა სიტყვებით: „ცხოვრებაჲ სიცოცხლესა ჰრქვან...“

ან კიდევ ამგვარი მაგალითი (მოკლე რედაქციისა და არაბული ვერსიის ტექსტებში ხაზგასმულია ის, რაც მათთვის საერთოა, ხოლო ვრცელ რედაქციაში არ იპოვება).

მოკლე რედაქცია: „ჰრქუა იოდასაჲ: არასადა ასმიან მამასა ჩემსა ესევითარნი სიტყუანი?.. ჰრქუა ბალაჰვარ: არა ასმიეს ესრე ზედმიწევნით“ (48, 16—24);

ვრცელი რედაქცია: „კუალად თქუა ბალაჰვარ: მე ვჰგონებ: ვითარმედ არასადა ასმიეს მამასა შენსა ცოცხლებით და არცა ვინ სადა ზრახულ არს მისდა ერთგულებით და არცა მას გულისჰმა-უყოფიეს მოლუაწებით“ (48, 16—20).

არაბული ვერსია: „ბუდასფმა უთხრა: ფიქრობ თუ არა რომ მამაჩემს რაიმე სმენია ამგვარი ნაუბარიდან? ბილაუჰარმა მიუგო: არა მგონია, ოდესმე ისე მოესმინოს, რომ ნათქვამი მის გულში განმტკიცებულიყოს, მისთვის ისე არავის უთქვამს, რომ ამას ჩასწვდომოდეს“ (61).

ხაზგასმული სიტყვები (უფლისწულის შეკითხვა) ისეთ კონტექსტშია მოქცეული (ამის ჩვენება ახლა უადგილობის გამო არ ხერხდება), არავითარი ეჭვი არ რჩება, რომ ეს სიტყვები პირველადი ტექსტისაა. ამასვე ადასტურებს არაბული ვერსია. მაშასადამე, ვრცელი რედაქციის ტექსტი, რაკი მასში ეს სიტყვები არ იპოვება, მოკლეს დედნად ვერ გამოდგებოდა.

ამგვარი ცვლილებები გადაწერის პროცესში ვერ მოხდებოდა: ის, რითაც ვრცელი რედაქცია შორდება მოკლე რედაქციასა და არაბულ ვერსიას, ესე იგი პირველადს ვითარებას, დაფორმულებულია თხზულების წარმოშობის პროცესშივე, ეს არის რედაქციული და არა ნუს-

ჩვეულებული სხვაობა. აქ დავსძენ, რომ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში
მკვლეველი არაერთი ანგვარი ჩვენება.

ყველა ამ ჩვენების საფუძველზე შემუშავდა დასკვნა, რომ მოკლე
რედაქცია ემყარება არა ვრცელ რედაქციას, არამედ აწ დაკარგულ პირ-
ველადს ქართულ დედანს.

გ. პირველადი ქართული ვერსიისათვის.

ზემოთ მოტანილი დასკვნის პირველი საფუძველია მოკლე რედაქ-
ციის ვრცელი რედაქციისაგან განსხვავებული ჩვენებანი, რომელნიც
თნდური თუ არაბული მონაცემებით დასტურდებიან. ხოლო მეორე
საფუძველია მოკლე და ვრცელი ტექსტების (და არა მხოლოდ ამბის.
თხრობის მსვლელობის) უზუსტესი თანხვედრა. შევადაროთ (ხაზგასმები
აღნიშნავს ორი ტექსტის სხვაობებს):

მოკლე რედაქცია

„აწ წარმართე გულის სიტყუა შენი,
რამეთუ კეთილ არს. რამათა წარმავალ-
სა ამის დატევებითა წარუვალი იგი ხო-
ფელი მოიყიდო. და დამძიმდეს სიტყუა-
ნი ესე წინაშე მეფისა და აღიგოს მანკი-
რებითა მისთვის და არა გამოუცხადა მას“
(13. 25—32).

ვრცელი რედაქცია

„აწ წარმართე გულის სიტყუა ეგე
შენი, რამეთუ კეთილ არს, რამათა წარ-
მავალისა ამის დატევებითა წარუვალი
იგი ხუფეგა მოიყიდო. და დამძიმდეს
სიტყუანი ესე წინაშე მეფისა და აღი-
გოს მანკიერებითა მისთვის, არამედ არაა
გამოუცხადა მას“ (13. 25—30).

ამგვარი უზუსტესი თანხვედრის შემთხვევები იმდენად ხშირია, არა-
ვითარი ეჭვი არ რჩება, რომ საქმე გვაქვს წერილობით სესხებასთან.
ამიტომ იმ მეცნიერებს, რომლებიც ფიქრობენ — მოკლე რედაქცია
ზეპირი მონათხრობის ჩანაწერს წარმოადგენსო; სხვა გამოსავალი არ
აქვთ, გარდა იმისა, რომ ამტყობონ: ვრცელი რედაქცია მოკლე რედაქ-
ციიდან არისო გადაწერილი. გაეიხსენოთ პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვი-
ლის სიტყვები, ზემოთაც დამოწმებული: „შთაბეჭდილება ისეთია, რომ
ვრცელი იერუსალიმური „ბალავარიანის“ დამწერს წინ უდევს ძველი
მოკლე ვარიანტი ქართული „ბალავარიანისა“, საიდანაც მას შეაქვს
თავის ახალ ვრცელ „ბალავარიანში“ თითქმის ყველაფერი (ისიც
სიტყვასიტყვით)...“

მაგრამ ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ ვრცელი რედაქცია ვერ
იქნება მოკლე რედაქციისაგან მიღებული.

ხოლო, რადგანაც არც მოკლე რედაქცია აღმოჩნდა ვრცელი რე-
დაქციისაგან მიღებული, ამავე დროს კი მათი წერილობითი თანხვედრა
აშკარაა, არავითარი სხვა გამოსავალი არ არსებობს, გარდა იმის აღი-
არებისა, რომ ორივე თხზულება მომდინარეობს საერთო დედნიდან,
რომელსაც პირველადი ქართული ვერსია ვუწოდეთ.

იმის თაობაზე, თუ როგორად ესახება ავტორს იმ პირველადი დედ-
ნის რაობა, საუბარი იქნება სხვა ნაშრომში, მას შემდეგ, რაც განხორ-

ციელდება ტექსტების ამომწურავი ანალიზი. ოღონდ აქ წინასწარ აღნიშნოთ ზოგიერთი რამ.

ავტორს მიაჩნია, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მეცნიერული ობიექტურობის დამკვიდრების პათოსში და ამ ობიექტურობის სახელით ხელალებით და ერთობ იოლადაც საეჭვოდ ცხადდებოდა გარდასულ საუკუნეთა არაერთი (როგორც შემდგომში ხშირად აღმოჩნდებოდა ხოლმე—უღარესად მნიშვნელოვანი) ცნობა და ჩვენება. მეცნიერული პედანტიზმი ერთობ ხშირად გვავიწყებდა უმთავრესს — იმ ადამიანთა სიყვარულს, ვისი ნაღვაწიც იქცეოდა კვლევის ობიექტად.

ორი მაგალითი გავიხსენოთ მრავლის უმრავლესიდან. პირველი მათგანი შეეხება საღმრთო პლატონს. საკმაოდ ცნობილი თანამედროვე ნეცნიერი წერს: Нам кажется, что... все же считать его (Платона. — Р. Т.) стопроцентным лгуном и выдумщиком не следует¹.

მეორე მაგალითია ევროპელ მეცნიერთაგან (ზოტენბერგი, დელგერი) ყალბისმქმნელად დასახვა გიორგი ათონელისა, იმ პიროვნებისა, ვისაც „ქვეყანისა ანგელოზს და ზეცისა კაცს“ უწოდებს მისი ბიოგრაფი.

თითქოს მეცნიერული ობიექტურობა ღვარძლისა და გესლის ნთხევის გარეშე ვერ წარმოიდგინებოდეს!

ამ ასპექტით მინდა შევხედოთ აგრეთვე მოკლე რედაქციის სატიტულო წარწერასაც: „გვთხრობდა ჩუენ მამაჲ ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისაჲ... მივიწიე ოდესმე იოპედ და მუნ ვპოვე წიგნი ესე ჰინდოთა საწიგნესა...“

პეტერსის არ იყოს, სრულებითაც არაა აუცილებელი, რომ ამ წარწერაში უეჭველად სიცრუე ვეძებოთ, ვიდრე საკითხის გამოწვლილით გამოძიებას არ დაუდასტურებია ამგვარი აუცილებლობა. ნუ დავივიწყებთ, რომ ამას წერს მოღვაწე, რომელმაც თავისი თხზულებით ერი უნდა დამოძღვროს და აზიაროს იმ სიბრძნეს, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი დოგმაა: „ქეშმარიტება დიდ არს და უძლიერეს უფროს ყოველთა“.

მაგრამ როგორ ეგუება ამ „გვითხრობდას“ (და მასზეც დაფუძნებულ მთელ თეორიას აკადემიკოს შალვა ნუცუბიძისა) ზემოთ გაოტანილი დასკვნა, რომ მოკლე რედაქცია უეჭველად წერილობითს წყაროს ემყარება?

ცნობილია, რომ ბერძნული ხელნაწერებიც მონათხრობის შესახებ მეტყველებენ. სხვათა შორის, რამდენადაც ვიცი. დღემდე არავის მიუქვევია ყურადღება იმ ამბისათვის, რომ არაბული ვერსიაც მთხრობელს იხსენიებს. ეს თხზულება იწყება სიტყვებით: „მოგვითხრობენ, რომ ჭანისარი, ერთ-ერთი ინდოელი მეფე, ძლიერ სახელმწიფოს ფლობდა...“ შემდეგ ტექსტშიც გვხვდება ამგვარი მითითება (როდესაც

¹ Н. Ф. Жиров, Атлантида. Москва, 1964, стр. 61.

ბუდასტი მიხრწნილ ბერიკაცს გადაჯერება): „მან თქვა: „ამის შემდეგ რაღა?“ მიუგეს: „სიკვდილი“. მთხრობელი იტყვის: და მაშინ ბუდასფა თავის სულს მიმართა ბჭობად...“ (გვ. 39).

როგორც ვხედავთ, დღესდღეობით არსებული თითქმის ყველა საეკაპო თხზულება (არაბული, ქართული, ბერძნული) მთხრობელს იხსენიებს. მაგრამ აუცილებელი არაა აქედან იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს ამათგან მაინცდამაინც ქართული მოკლე რედაქცია იყოს ზეპირი მონათხრობის საფუძველზე შექმნილი.

როგორც ჩანს, სრული საფუძველი გვაქვს ვითქვით, რომ მთხრობელი მოხსენებული იყო უკვე იმ ვერსიაში, რომლის ავტორმაც პირველად დაამუშავა და წერილობით დააფიქსირა ბუდას ცხოვრების ლეგენდად ქცეული ამბავი (ამ ამბის გადმოცემას მართლაც მთხრობელი სჭირდებოდა, რადგან ინდურ ლიტერატურაში თხზულება ჩვენთვის ცნობილი სახით არასოდეს არსებულა და არც შეიძლებოდა არსებულყო). ფაქტები ცხადყოფს, რომ ეს არ ყოფილა არც ქართული ვერსია, არც არაბული და, მით უმეტეს, არც ბერძნული. ყველა ნიშნის თანახმად, ეს იყო ნაევარუდევი ფაპლაური ვერსია.

ქართული მოკლე რედაქცია ზეპირი მონათხრობის საფუძველზე რომ არ შექმნილა, ამას, ზემოთ განხილულ საბუთთა გარდა, უნდა გვიდასტურებდეს მისივე სატიტულო წარწერაც (რომელსაც ემყარება ზეპირი მონათხრობის თეორია): ყურადღება მივაქციოთ არა მარტო იმას, რომ „გვითხრობდა ჩვენ მამაჲ ისაკ“, არამედ იმასაც, თუ რას გვითხრობდა მამა ისაკ: „მივიწიე ოდესმე როჲედ და მუნ ვპოვე წიგნი ესე ბინდოთა საწიგნესა“.

თუკი მიმკერძავნი არ ვიქნებით, ხაზგასმული სიტყვებიდან მხოლოდ ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ აქ ლაპარაკია წერილობითს წყაროზე და არა ზეპირი მონათხრობის ჩაწერაზე.

აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ ვრცელი რედაქცია ხშირად ატარებს თარგმნილი ტექსტის ნიშნებს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ვრცელი რედაქცია უნდა მივიჩნიოთ დამოუკიდებელ თარგმანად? არა. აქ სხვა ვითარებაა.

ვრცელი რედაქცია ერთგულად მისდევს პირველადს დედანს, ივი გაცილებით ახლოს დგას ამ დედანთან, ვიდრე მოკლე რედაქცია. ის, რაც ვრცელი რედაქციის ტექსტში თარგმანის კვალს ამოწმებს, უნდა ვითქვით, სწორედ იმ პირველადი დედნისეულია. თარგმანის კვალი მოკლე რედაქციაში აღარ შეინიშნება, რადგან ეს არის გადამუშავებული და უფრო დახვეწილი ტექსტი.

მასასადამე, არც ვრცელი რედაქცია ემყარება მოკლეს და არც მოკლე რედაქცია — ვრცელს, ორივენი ცალ-ცალკე. ერთიმეორეზე დამოუკიდებლად ემყარებიან პირველადს ქართულ ვერსიას. ამდენად.

საძიებელი ის კი არ არის, თუ რომელი ენიდან ითარგმნა ცალკერძ ვრცელი ან ცალკერძ მოკლე რედაქცია, არამედ ის, თუ რომელი ენიდან ითარგმნა პირველადი ქართული ვერსია (ეს ვერსია რომ სწორედ რომელიღაც უცხოურ წერილობითს წყაროს დაეფუძნა და არა ზეპირი მონათხრობის ჩანაწერს, ეს სრულიად უეჭველია).

ცხადია, დღესდღეობით ამ ძიებისთვის სხვა წყაროები არ გავგაჩნია, ისევ და ისევ ჩვენს ხელთ არსებული ორი რედაქციის ტექსტებს უნდა მივმართოთ. მაგრამ ამ ტექსტების შესწავლის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები ხსენებული პირველადი ვერსიის მიმართაც უფლებამოსილი იქნება უეჭველად. მაგალითად, თუ ფაქტებმა ცხადყვეს, რომ, ვთქვათ, ვრცელი რედაქცია არაბულ ვერსიაზე დამოკიდებულების ნიშნებს ამჟღავნებს, ეს იმის მაუწყებელიც იქნება, რომ პირველადი ქართული ვერსია სწორედ არაბულიდან ყოფილა თარგმნილი. და პირუკუ: თუკი, ვთქვათ, იმავე ვრცელ რედაქციაში არის ისეთი ელემენტები, რომლებიც უეჭველად ინდური პირველწყაროებისეულია, და იგივე ელემენტები არ იპოვება არაბულ ვერსიაში, ეს იმის მაუწყებელიც იქნება, რომ პირველადი ქართული ვერსია არაბულიდან არ ყოფილა თარგმნილი და მისი წყარო სხვაგან არის საძიებელი.

არაბული ვერსია მაგალითად იმიტომაც მოვიხსენიე, რომ მკვლევართა უმრავლესობა სწორედ არაბულს მიიჩნევს ქართულის დედნად.

ახლა ჩვენ სრული საფუძველი მოგვეპოვება, რათა წინასწარ ცოტათი უკეთ გავერკვეთ ამ საკითხში.



ქართული რომანი თარგმნილია არაბულიდან — ეს ლამის მთავრულად ქცეული შეხედულება მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში გასცილდა ზოგადი მსჯელობის ფარგლებს (მაგალითად, ისეთს, როგორც იყო იგავთა რაოდენობის თანხვედრა ან „იოდასაფის“ მიღება „ბუდააფიდან“ დიაკრიტული ნიშნების აღრევის შედეგად).

ამ ზოგადი მსჯელობის პათოსში მრავალ მეცნიერს დაავიწყდა ერთი თითქოსდა ელემენტარული საკითხი: რომელი არაბული თხზულება უნდა მივიჩნიოთ ქართულის დედნად?

ამ საკითხს კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან არსებობდა XI საუკუნემდე (ბერძნულ ვერსიამდე) შექმნილი რამდენიმე არაბული ძეგლი, რომლებიც ბუდას ცხოვრების ამბავს უკავშირდებოდა. გავიხსენოთ, რომელია ეს ძეგლები.

I. წიგნი ალ-ბუდისა („ქითაბ ალ-ბუდ“), VIII—IX საუკუნეებში უკვე არსებობდა. დამოუკიდებელი სახით აღარ შემორჩენილა. ფიქრობენ, რომ ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილ ტექსტში შესული ალ-ბუდის ამბები უნდა იყოს ამ წიგნის ნაშთი¹.

¹ The Wisdom of Balahvar, გვ. 32.

II. წიგნი ბალაუქარისა და ბუღძასაფისა („ქითაბ ბალაუქარ ვა ბუღძასაფ“), IX საუკუნის დამდეგისათვის უკვე არსებობდა უეჭველად, ბომბეისა (1889) და მოსკოვის რუსულად (1947) დაბეჭდილი, ჩვენ მიერ შესწავლილი.

III. წიგნი ბუღძასაფისა თავად („ქითაბ ბუღძასაფ მუფრად“), VIII—IX საუკუნეებში უკვე არსებობდა. ეს არის ბუღძას ამბის დამოუკიდებელი განშტოება, რომელსაც რომანის დასაყვეთით გავრცელების პროცესში არავითარი როლი არ შეუძლებია. მასში მოთხრობილია ალექსანდრე დიდის მიერ დანიშნული მეფე ფარუქანისა და მისი ვაჟის ბუღძასაფის ამბავი. რუსულად თარგმნა და დაბეჭდა აკადემიკოსმა ვ. როზენმა (ЗБО, т. XIV, 1902, გვ. 97—117).

IV. ბალაუქარისა და ბუღძასაფის გალექსილი წიგნი — პოეტ აბან ლაპიყისა. IX საუკუნის დამლევს უკვე არსებობდა. გალექსილი ვარიანტი ემყარებოდა ბალაუქარისა და ბუღძასაფის წიგნს. დღესდღეობით დაკარგულია.

V. იბნ ბაბიიას (X საუკუნის მწერლის) ტრაქტატში შეტანილი თხზულება. ამ ძეგლის სპარსული თარგმანის შინაარსი და, ნაწილობრივ, სპარსული ტექსტი დაბეჭდა ს. ოლდენბურგმა (ЗБО, т. IV, выпуск I—II, 1889, გვ. 229—265).

VI. ჰომელის მიერ გამოცემული (1887) შემოკლებული და ნაკლები თხზულება. ძირითადად მისდევს ბალაუქარისა და ბუღძასაფის წიგნის ტექსტს.

რაიმე სხვა არაბული თხზულების არსებობას XI საუკუნემდე ჯერჯერობით არაფერი ადასტურებს. მეცნიერთა მიერ ხშირად მოხსენიებული იბნ ალ-ნადიმის მიერ 987—8 წლებში შედგენილი ბიბლიოგრაფიული ტრაქტატი „ფიჰრისტი“ გვაუწყებს. რომ ფაჰლაურიდან არაბულად ნათარგმნ წიგნთა შორის 767—815 წლებისთვის უკვე მოიპოვებოდა ზემოთ წარმოდგენილ ნუსხაში დასახელებული პირველი სამი წიგნი („წიგნი ალ-ბუღძისა“, „წიგნი ბალაუქარისა და ბუღძასაფისა“ და „წიგნი ბუღძასაფისა თავად“). დავუმატოთ ამას მომდევნო სამი (აბან ლაპიყის მიერ გალექსილი, იბნ ბაბიიას ტრაქტატში შეტანილი და, ბოლოს, ჰომელის მიერ გამოცემული, ნაკლები თხზულება) და ამით ამოიწურება მეცნიერებისთვის ცნობილ იმ არაბულ თხზულებათა ნუსხა, რომლებიც ბერძნულ რომანს უსწრებდნენ.

ახლა აღიძვრის კითხვა: უკეთეს ქართული ვერსია არაბულიდან არის თარგმნილი, ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ არაბულ ძეგლს შეიძლება ჰქონდეს ქართულის დედნობის პრეტენზია?

ზედმეტია იმის თქმა, რომ ქართული თხზულების დედნობას ვერ გასწევდა „წიგნი ალ-ბუღძისა“, რადგან ბომბეისა და მოსკოვის დაბეჭ-

დილ, ჩვენ მიერ განხილულ ვერსიაში შესულ ალ-ბუდის ამბებს საერთო არაფერი აქვს ბალაჰვარის სიბრძნესთან.

ასევე არაფერი აქვს საერთო ქართულ თხზულებასთან „წიგნს ბუღაპასაფისა თავად“;

ზედმეტია აგრეთვე ლაპარაკი აბან ლაპიყის გალექსილი ვარიანტის გამო;

იბნ ბაბიიას ტრაქტატში შეტანილი თხზულებაც წინასწარ უნდა უკუევაგდოთ თუნდაც იმის გამო, რომ მასში არ იპოვება ქართული რედაქციებითა და ბომბეის არაბული ვერსიით დადასტურებული სამი იგავი (ქურციკის ნუკრისა, ვნებიანი ცოლის მყოლი პეიამრისა და ათ წლანდე სიბნელეში გაზრდილი უფლისწულისა);

დაბოლოს, ჰომელის მიერ გამოცემული ვერსიის საკითხიც წინასწარვე უნდა მოიხსნას, რადგან, მისი ტექსტის თანახმად, ბალაჰვარი ისე განშორდება უფლისწულს, რომ ქურციკის ნუკრის იგავს არ მოუთხოვს.

მაშასადამე, მეცნიერებისთვის ცნობილ არაბულ თხზულებათაგან ქართული ვერსიის დედნობა შეიძლებოდა გაეწია მხოლოდ ერთს — ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილ „ბილაჰვარისა და ბუღაპასაფის წიგნს“ (მართალია, პ. პეტერსი ვარაუდობდა, რომ ქართული ვრცელი რედაქციის ორ წიგნად არსებობა და „ფიპრისტში“ მოხსენიებული ცალკერძ „წიგნი ბალაჰვარისა და ბუღაპასაფისა“ და ცალკერძ „წიგნი ბუღაპასაფისა“ ერთიმეორესთან უნდა იყოს კავშირში, მაგრამ, როგორც ვნახეთ, არც „წიგნი ალ-ბუდისა“ და არც „წიგნი ბუღაპასაფისა თავად“ ამგვარი დასკვნის საფუძველად არ გამოდგება).

აქი მეცნიერებაშიც თითქოს ის აზრი იყო ფეხმოკიდებული, რომ სწორედ ეს ვერსია ექცა დედნად დანარჩენ დასავლურ თხზულებებს. გაიხსენოთ აკადემიკოს ი. კრაჩკოვსკის სიტყვები: *Роль ее (ლაპარაკია ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილი ვერსიის შესახებ. — რ. თ.) в мировом распространении повести «О Варлааме и Иосафе», поистине, громадна. На ней основана возникшая в Палестине греческая версия...!* (აქ ვერ გამოვუდგები იმის განსჯას, თუ რამდენად მართებულია აკადემიკოს ი. კრაჩკოვსკის აზრი, თითქოს ბერძნულ რომანი არაბულ ვერსიას დამყარებოდეს, ამჯერად ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ დასავლეთში გასავრცელებლად სწორედ ხსენებული არაბული ვერსია არის დასახული).

მაგრამ უკანასკნელ ხანს სხვა მოსაზრებებიც გამოითქვა.



ინგლისელი მეცნიერი დ. მ. ლანგი ზემოთ უკვე მითითებულ წიგნში ვითარებას ამგვარად სახავს: თავდაპირველად შეიქმნა ირანული

1 Повесть о Варлааме и Иосафе, стр. 9—10.

მანიქუერი ვერსია, რომელსაც დაემყარა პირველი არაბული ვერსია — „წიგნი ბალაუჭარისა და ბუღდასაფისა“. თავის მხრივ. ამ უკანასკნელიდან მოდის რამდენიმე წიგნი: მეორე არაბული — აბან ლაჰიყის გალექსილი თხზულება, მესამე არაბული — იბნ ბაბიას ტექსტი, მეოთხე არაბული — ჰომელის მიერ 1888 წელს გამოცემული, ნაკლული, და მეხუთე არაბული — ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილი წიგნი (იხილეთ The Wisdom of Balahvar, გვ. 29, 34, 35, 65).

აქ მრავალი რამ არის, ჯერ ერთი, გაუთვალისწინებელი თუ იგნორირებული და, შემდეგ, აუხსნელი.

იგნორირებულია, კერძოდ, შეხედულებები აკადემიკოს ი. კრაჩკოვსკისა (რომლის შესავალ წერილსაც, მოსკოვის 1947 წლის გამოცემისთვის წამძღვარებულს, ინგლისელი მეცნიერი უეკველად კარგად იცნობს). აკადემიკოს ი. კრაჩკოვსკის აზრით, ბომბეისა და მოსკოვა დაბეჭდილი ვერსია VIII—IX საუკუნეებში არის თარგმნილი ფაჰლაურიდან (იმდენად ზუსტად, სიტყვასიტყვით არის თარგმნილი, უცხოური სინტაქსი იმდენად სკარბობს, რომ მას არაბული თხზულება არც კი ეთქმისო).

ვინც ამ აზრს იზიარებს, ის ველარ იტყვიას, რომ ეს ძეგლი პირველადი არაბული დედნიდან მომდინარეობს და, თანაც, X საუკუნეში მცხოვრებ იბნ ბაბიას თხზულებაზე გვიანდელიაო; ხოლო, ვინც არ იზიარებს, ასე თუ ისე მოვალეა, თუკი მეცნიერული საბუთებით არ გააბათილებს ამ მოსაზრებას, გაკვირით მაინც აღნიშნოს მისი გაუზიარებლობა.

გარდა ამისა, ვიდრე ტექსტების სკრუპულოზური ანალიზი არ გვაძლევს, არავითარი გამართლება არ ექნება „ფიჰრისტში“ მოხსენიებულ ბალაუჭარისა და ბუღდასაფის წიგნად სხვა ტექსტის მიჩნევას, თუ არ ბომბეისა და მოსკოვს გამოცემული ვერსიისა; არავითარი გამართლება არ ექნება რაღაც პირველადი არაბული ვერსიის ძიებას. როდესაც ჩვენს წინაშეა სწორედ „წიგნი ბალაუჭარისა და ბუღდასაფისა“, რომელიც, იმავე „ფიჰრისტის“ ჩვენებისდაგვარად, სწორედ ფაჰლაურიდან თარგმნილად არის მიჩნეული.

მაგრამ ყველაზე მოულოდნელი ის არის, რომ დ. მ. ლანგი სწორედ ამ (ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილ) ვერსიას უდარებს ქართულ ვრცელ რედაქციას და ამ შედარების საფუძველზე დაასკვნის. — ქართული ვრცელი რედაქცია პირველადი არაბული ვერსიიდან მოდისო. რატომ მაინცდამაინც პირველადი არაბული ვერსიიდან და არა სწორედ ამ ვერსიიდან? არსებობს რაიმე საბუთი, რომელიც შეუძლებელს გაჩივდა ბომბეის ტექსტის ქართულის დედნად მიჩნევას? — ამის თაობაზე მეცნიერი არას ამბობს.

არადა ქართული ძეგლის წარმომავლობის შესახებ დ. მ. ლანგი

კატეგორიულად მსჯელობს ცოტათი ქვემოთ: „საკუთარი სახელების იგავთა განლაგების, ეპიზოდების თანმიმდევრობის შესწავლა, ისევე როგორც თვალსაჩინო ტექსტუალური პარალელები, მყარ წარმოდგენას გვიქმნიან, რომ (ვრცელი რედაქცია) სხვა არაფერია, თუ არ ადაპტაცია არაბული ბალაუპარისა და ბუდჰასაფის წიგნისა...“ (გვ. 45); ქართული ვრცელი რედაქცია არის „...ბოდჰისატეას არაბული ამბის პირდაპირი ადაპტაცია“ (გვ. 49, ხაზი ჩემია, — რ. თ.).

მეცნიერი ჩამოთვლის იმ საკუთარსა და გეოგრაფიულ სახელებს, რომლებიც, მსგავსად ზოგიერთი სხვა მეცნიერისა, მასაც არაბული წარმომავლობისად მიაჩნია ქართულ ძეგლში: „ბალაუპარი“ არის „ბალაუპარი“, „იოდასაფი“ — „ბუდჰასაფი“ (ზოგიერთი არაბი ავტორის ნიერ ხმარებული ფორმის „იუდასაფის“ მეშვეობით), „რაქისი“ — „რაქისი“, „ბოლაიტი“ — „შულაბატ“, „სარანდიზი“ — „სერენდიზი“, იგივე ცეილონი (გვ. 45).

ეს საბუთები, (ისევე როგორც სხვა მეცნიერთა მოსაზრებები, ქართული ძეგლის არაბული წარმომავლობის სასარგებლოდ გამოთქმული) დეტალურ განხილვას საჭიროებს, რის განხორციელებასაც ფიქრობს ავტორი მომავალში. ამჯერად კი იმით დავკმაყოფილდეთ, რომ წამოვაყენოთ მხოლოდ ერთი კონტრამოსაზრება: ქართული თხზულების დედნობას ვერ გასწევდა ვერც ერთი ვერსია, რომელშიც არ იქნებოდა პერსონაჟ ზანდანის (ინდურ პირველწყაროთა ჩანდაკას) პროტოტიპი და მისი საკუთარი სახელი. გინდაც დავუშვათ, რომ „ფიპრისტში“ მოხსენიებული „წიგნი ბალაუპარისა და ბუდჰასაფისა“ ბომბეისა და მოსკოვის დაბეჭდილი ვერსია კი არ არის, არამედ რომელიღაც პირველადი არაბული თხზულება (რისთვისაც, როგორც ითქვა, არავითარი საფუძველი არ არსებობს), მაინც იძულებული ვიქნებით დავასკვნათ: თუკ თვით დ. მ. ლანგის მიერვე პირველადს არაბულ დედანთან ყველაზე ახლოს მდგარად მიჩნეულ ბომბეისა და მოსკოვის დაბეჭდილ ვერსიაში ხსენებული პერსონაჟი არ იპოვება, წარმოდგენილია იგი ყოფილიყო იმ ნაეარაუდევე პირველადს არაბულ დედანში. ამას ისიც ცხადყოფს, რომ არც ერთ არაბულ ვერსიაში ჩანდაკას (ზანდანის) არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს.



სპეციალურ გამოკვლევაში — „ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე შეეხო არა მხოლოდ ქართული მოკლე და ვრცელი რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხს, არამედ დეტალურად წარმოადგინა თავისი შეხედულება რომანის გავრცელების ზოგად საკითხებთან დაკავშირებით.

ამ გამოკვლევის ერთ-ერთი დებულება ის არის, რომ ბუდას ცხოვ-

რების ამბის პირველი ქრისტიანული დამუშავება უნდა მომხდარიყო VII საუკუნეში; ეს პირველი ქრისტიანული ვერსია შეიქმნა ინდოეთში, ინდოეთის ნესტორიანულ მეტროპოლიაში, იმხანად არსებული ფაქტობრივი თხზულებიდან გადაკეთდა სირიულ ენაზე (ეტიუდები, VI, გვ. 44 — 46).

ამ სირიული ვერსიის შექმნის მიზანი, მკვლევარის აზრით, ის იყო, რომ ინდოელ ქრისტიანებს სურდათ პირიქებისთვის დაემტკიცებინათ — მართალია, ჩვენში ქრისტიანობა სირიელთა მომეტყველება თომა მოციქულმა დანერგა, მაგრამ შემდეგში მის მიერ დანერგილი ქრისტიანობა მივიწყებულ იქნა. იხე რომ საქირო შეიქნა ახალი მქადაგებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდოეთის ეკლესია სირიულს არ უნდა ექვემდებარებოდეს. აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერს: „ეს საქმე უკისრია ბუდას ფალაური „ცხოვრების“ ნიადაგზე სირიულად დაწერილ „ბალაფარიანს“, რომლის ტენდენციაა დაამტკიცოს, რომ ინდოეთის განმანათლებელია არა თომა მოციქული, არამედ ვარლაამი და იოასაფი“ (გვ. 68).

სახელოვანი მეცნიერის ეს დებულება კრიტიკას ვერ უძლებს.

თავი დავანებოთ იმ ამბავს, რომ საკმაოდ უხერხულია სირიული ვერსიის არსებობის მტკიცება ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემების გარეშე¹. გარდა ამისა, თავად მკვლევარი შენიშნავს: „ამ რედაქციას ჩვენამდე არ მოუღწევია (შეიძლება ჭერ აღმოჩენილი არაა), ალბათ მათ შემდეგ, რაც მან თავისი დანიშნულება შეასრულა, მივიწყებას მიეცა და დაიკარგა. ასე რომ „ბალაფარიანის“ ისტორიის ძიებაში დღეს იმას არ შეუძლია არსებითი დახმარება გაგვიწიოს“ (გვ. 46). თუმცა შემდეგ გამოთქმულია ამგვარი აზრი: „შესაძლოა დაუშვათ, რომ რომანის (ვრცელი რედაქციის. — რ. თ.) ბოლო ნაწილში გამოყენებული იყო ამასთანავე დღეს დაკარგული სირიული რედაქცია...“ (გვ. 68). ეს თუ ასეა, სირიული ვერსია სწორედ რომ უდიდეს დახმარებას გაგვიწევდა რომანის ისტორიის კვლევის საქმეში (რადგან ის, ვინც ბოლო ნაწილი ინდურისგან და არაბულისგან პრინციპულად განსხვავებული სახით შექმნა, არის სწორედ პირველი ქრისტიანული ვერსიის ავტორი. ამის თაობაზე ცალკე იქნება საუბარი). მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამის მეცნიერულად დამტკიცება ძეხორციელს არ ძალუძს.

1 აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის რამდენიმე ფრაზა ზემოთ განხილული წიგნიდან: О возможности сирийской версии говорят Н. Я. Марр, П. Пеетерс и др. Все эти допущения не идут дальше утверждения, что сирийский текст «должен был» существовать, он должен был быть ранним и обязательно христианизированным. Из всех этих «должествований» мы, к сожалению, никакого употребления сделать не можем (стр. 4); Проф. Дёлгер, не входя в обсуждение вопроса, не хочет верить, что сирийской версии не было в природе (стр. 7).

გარნა ამ შემთხვევაში ეს ყოველივე მეორეხარისხოვანი ჩანს იმ მოულოდნელსა და შემაცბუნებელ წინააღმდეგობასთან შედარებით. რომელიც დაფარულია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ღებულებაში. მეცნიერი შეეცადა ისტორიული ახსნა მოეძებნა იმ საკითხისათვის, თუ მაინცდამაინც რატომ უნდა არსებულიყო სირიული ვერსია (რის დასაბუთებასაც მისნი წინამორბედნი ამაოდ ესწრაფოდნენ ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამ განწირულ სწრაფვას თავისი ქვეცნობიერი მიზეზი ჰქონდა — ამით ნიადაგი უნდა გამოსცლოდა პირველი ქრისტიანული ვერსიის ქართულ ენაზე დამუშავების შემაშფოთებელ თეორიას); სირიული ვერსია იმიტომ უნდა არსებულიყო, რომ ინდოელებს სირიელებსათვის დაემტკიცებინათ — ჩვენი მომაქცეველი თომა მოციქული კი არ ყოფილა, არამედ უფლისწული იოასაფი და მისი მოძღვარი ვარლამი.

მერედა ვინ იყო უფლისწული იოასაფი? სახელის ეს ფორმა ხომ არსად გვხვდება ბერძნული ვერსიის გაჩენამდე! მანამდე დადასტურებულია იოდასაფი (ქართული ვერსია), ბუდჰასაფ (არაბული ვერსიები) და უფრო ადრეული ბოდისაფ (მანიქური ფრაგმენტი), ხოლო ყველა ამათი ძირია ბოდისატვა, ბუდას ეპითეტი (ბოდისატვა ნიშნავს ბუდად განმაზადებულს, მომაველ ბუდას).

მაშასადამე, ინდოელები სირიელთ უმტკიცებდნენ — ჩვენ ბოდისატვამ (ბუდამ) გავვაქრისტიანაო. ის ინდოელები, რომელთა თანამემამულეც გახლდათ ბუდა...

ამის შემდეგ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე სხვა ვერსიითა შესახებაც აყალიბებს თავის შეხედულებებს. მისი საბოლოო აზრი ამგვარია: ფაჰლაური ვერსიიდან შეიქმნა არაბული, არაბულიდან — ქართული ვრცელი რედაქცია, ხოლო ამ უკანასკნელიდან — ცალკერძ ქართული მოკლე რედაქცია და ცელკერძ ბერძნული რომანი.

აქ დაუვბრუნდით ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხს: რომელი არაბული თხზულება ითარგმნა ქართულად?

ვიდრე ამ საკითხზე აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრს გავეცნობოდეთ, აღვნიშნოთ, რომ „ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“. იყო მეცნიერის პირველი ნაშრომი, რომელშიც ბოლოს და ბოლოს აღიძრა ეს საკითხი. ყველა ადრინდელ გამოკვლევაში ლაპარაკი იყო ზოგადად არაბული ვერსიის შესახებ (რაც, როგორც ვნახეთ, დიდი შეცდომაა, რადგან არაბულ ენაზე რამდენიმე თხზულება არსებობდა უკვე ბერძნული ვერსიის გაჩენამდე).

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, უკვე VIII საუკუნეში არსებობდა არაქრისტიანული არაბული ვერსია (არაპირდაპირი მონაცემები ცხადყოფს, რომ მეცნიერს მხედველობაში აქვს ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილი ტექსტი). მაგრამ ეს არ ყოფილა ქართულის დედა

ნი. ქართულის დედნობა გაუწევია IX საუკუნეში აღმოცენებულ ქრისტიანულ არაბულ ვერსიას.

დავიმოწმით ტექსტი.

„...მხედველობაში გვაქვს არა ისლამური რედაქცია რომანისა, არამედ მისი ქრისტიანული გადმოკეთება არაბულ ენაზე. არაბულ ენაზე ფალაურიდან გადმოკეთებული რედაქცია რომანისა ქრისტიანებს, ჩანს. გადაუმუშავებიათ ქრისტიანულ ყაიდაზე... ეს მომხიბლავი შინაარსით და ზემოქმედი ნაწარმოები ქრისტიან არაბებს გადაუკეთებიათ ქრისტიანულ რომანად და დაუბირსპირებიათ, შეიძლება პროპაგანდის მიზნითაც, ისლამური რედაქციისათვის. შეუძლებელი არ იყო დღეს დაკარგული სირიული რედაქციის ზოგ რამეში გამოყენება. არაბულ-ქრისტიანული რედაქცია რომანისა უნდა გაჩენილიყო არა უადრეს მეცხრე საუკუნისა. მართლაც, მერვე საუკუნის მეორე ნახევარში ფალაურიდან არაბულზე თარგმნილი ნაწარმოები მეცხრე საუკუნეზე ადრე ვერ გადაკეთდებოდა ქრისტიანულ რომანად“ (55); „მეცხრე საუკუნეში ჩამოყალიბებული ქრისტიანულ-არაბული რომანი გადმოუკეთებიათ ქართულად, მაშასადამე, ეს უკანასკნელი მეცხრე საუკუნის ბოლომდე თუ მეათის დამდეგამდე ვერ გაჩნდებოდა“ (56); „უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართული რედაქცია არ აღმოცენებულა ქრისტიანულ-არაბული რედაქციის მეშვეობით, რომ ის შედგენილია ქართველის მიერ არაქრისტიანული არაბული რედაქციის ნიადაგზე. ამის საწინააღმდეგოდ ყველაზე მეტად ლაპარაკობს სიტყვების „მკერვალის“ და „მკურნალის“ აღრევა, აგრეთვე ონომასტიკური მონაცემები, თუგინდ „ბალაჰვარ“ და „იოდასაფ“ (56).

აქ ყოველივე ნათელია ორი რამის გარდა:

1. რატომ იყო აუცილებელი, რომ ქართველ მთარგმნელს მაინც-დამაინც ქრისტიანული ვერსიის კითხვისას აღრეოდა დიაკრიტული ნიშნები და „მკურნალი“ „მკერვალად“ გადმოეტანა ან „ბუდასფი“ „იოდასაფად“, რატომ ვერ გამოდგებოდა საამისოდ არაბული არა-ქრისტიანული ტექსტი?

2. რომელია ეს ქრისტიანული არაბული ვერსია?

პირველ საკითხზე ავტორი მეტს აღარაფერს ამბობს, ასე რომ ეს საკითხი ღიად რჩება.

ხოლო მეორე საკითხზე აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს პირდაპირი პასუხი აქვს გაცემული: „ვინ არის ავტორი არაბულ-ქრისტიანული რედაქციისა ან მისი ქართულად გადმომთარგმნელი, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. არაბული დედანი ქართულისა ჭერ აღმოჩენილი არაა“ (გვ. 57. ხაზი ჩემია — რ. თ.).

ბუდას ცხოვრების ამბის დასავლეთით გავრცელების პრობლემათა კვლევაში ავგვარი ტრადიცია დანერგა ჭერ კიდევ ნ. შარმა, რომელმაც,

როგორც ვნახეთ, ალბათ არც არასოდეს არსებული სირიული პროტოტიპის კვალი აღმოაჩინა „სიბრძნე ბალაჰვარისის“ ლექსიკასა და სინტაქსში, მაგრამ საკმაოდ მოულოდნელი იყო ტრადიციის აღორძინება შვიდი ათეული წლის შემდეგ, ისიც სახელოვანი მეცნიერის კორნელი კეკელიძის მიერ.

ხოლო რამდენად ბოლომდე გააზრებული არ ჰქონია ეს თეორია თვით მისსავე ავტორს, ჩანს თუნდაც შემდეგი ფაქტიდან.

აქადემიკოსი კ. კეკელიძე ერთიმეორეს უღარებს ქართულ ვრცელ რედაქციასა და არაბულ ვერსიას (ბომბეისა და მოსკოვს გამოცემულს, ოღონდ დასკვნები ჯერ აღმოუჩენელ არაბულ ქრისტიანულ ვერსიას შეეხება) და ამ შედარების შედეგად ამგვარ აზრს გამოთქვამს: „საყურადღებოა, რომ ჩვენს რედაქციაში არაა სახარების არც ერთი იგავი, არაა იმიტომ, რომ ასეთი იგავეები, თავისთავად იგულისხმება, არ იქნებოდა არც არაბულში (გარდა მთესვარის შესახებ იგავისა, რომელიც არაა წმინდა ქრისტიანული, სახარებიდან მომდინარე იგავი)“.

რატომ იგულისხმება თავისთავად, რომ არაბულში არ იქნებოდა სახარების იგავი? იმიტომ, რომ ქრისტიანული საღვთო წიგნის იგავებს არაქრისტიანულ ნაწარმოებში არ შეიტანდნენ, არა? კი მაგრამ, აკი ავტორი დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, რომ ქართულის დედანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული არაბული თხზულება?

ეს უნებური, გარნა სამწუხარო ლაპსუთი სახელოვან მკვლევარს სწორედ იმიტომ მოუვიდა, რომ მთელი მისი თეორია ქართულის დედნად თითქოს არსებული არაბული ქრისტიანული ვერსიისა (ბუდას თანამემამულეთა მიერ ინდოეთში ქრისტიანობის გამავრცელებლად ბუდასავე დასახვისა არ იყოს) ერთობ მერყევე ნიადაგს იყო დაფუძნებული.

რაც შეეხება საკუთრივ იმ საბუთებს, რომელთა საფუძველზეც აქადემიკოსი კორნელი კეკელიძე დაასკვნის, რომ „ყველაფერი ეს ექვს არ სტოვებს, რომ B რედაქცია ქართული „ბალაჰვარისისა“ დამოკიდებულია რომანის არაბულ რედაქციაზე“ (გვ. 54), ეს საბუთებიც, ქართულის არაბულიდან წარმომავლობის სხვა მომხრეთა მოსაზრებებთან ერთად, განხილული იქნება ნაშრომის მომდევნო ნაკვეთში.



მანც არსებობს თუ არა იმის საფუძველი, რომ ჩვენ მიერ განხილული არაბული ვერსია (ბომბეისა და მოსკოვს დაბეჭდილი) მივიჩნიოთ ქართულის დედნად?

ჯერ ერთი, თუკი ერთ-ერთ ქართულ რედაქციას (მოკლეს ან ვრცელს) არაბულიდან თარგმნილად მივიჩნევთ, უმალ აღიძვრის კითხვა: როგორღა წარმოიშვა მეორე რედაქცია? ზემოთ ვნახეთ, რომ ქართული რედაქციები ერთიმეორეზე დამოუკიდებლად არის წარმოშობილი. ასე რომ ორი სქემიდან — არაბული-ვრცელი-მოკლე ან არაბული-მოკლე-ვრცელი არც ერთი არ შეესატყვისება სინამდვილეს. ასეთ ვითარებაში დაგვრჩენია დაგვსკვნათ, რომ არაბულიდან თარგმნა ცალკერძ მოკლე რედაქცია და ცალკერძ ვრცელი.

გარნა ეს შეუძლებელია შემდეგი მიზეზის გამო: მოკლე და ვრცელ რედაქციათა ტექსტები ზედმიწევნით თანხვდება ხოლმე არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მათ პარალელი მოქმედება არაბული ვერსიის ტექსტში, არამედ ხშირად იმ შემთხვევებშიც, როდესაც არაბულ თხზულებაში მსგავსი არაფერი იპოვება. მაგალითი (ქართულ რედაქციებში ხაზგასმულია ის, რაც მათთვის საერთოა და არ არის არაბულში).

მოკლე რედაქცია: „ჩუენ არა შიშისათჳს სიკუდილისა ვიქმთ განსლჳსა ქუეყანით შენით, არამედ რაჲთა არა შემწე გექმნეთ სიბოროტესა შენსა და მიზეჳ გექმნეთ უღმრთოებისა, ხოლო შიში შენი არასოდეს მოსრულა გულთა ჩუენთა“ (17, 22—29).

ვრცელი რედაქცია: „ჩუენ არა შიშისათჳს სიკუდილისა ვივლტით, არამედ რაჲთა არა შემწე გექმნათ ბოროტის ყოფისა ჩუენ ზედა და მიზეჳ გექმნეთ უღმრთოებასა შენსა, რომელი გეგულების მოწეენად ჩუენ ზედა, ხოლო შიში შენი არაოდეს მოსრულ არს გულსა ჩუენსა“ (17, 23—28);

არაბული ვერსია: „ჩუენი ლტოლჳა სიკუდილის წინაშე შიშის გამო არ ხდება და ნუ გგონია, თითქოს შენი შეგვშინებოდეს, გარნა ჩუენ არ გვსურს დაგეხმაროთ ჩუენივე თავის წინააღმდეგ“ (35).

მე განზრახ შევარჩიე ისეთი მაგალითი, რომელშიც არაბულისგან განსხვავებული სიტყვები (ხაზგასმული) სწორედ ფრაზის შუაშია მოქცეული (აქ უფრო ნათლად ჩანს ქართული ფრაზების საერთო წარმომავლობა). ამგვარი მაგალითი მრავალია. კიდევ უფრო მრავლადაა შემთხვევა, როდესაც ქართული რედაქციები არაბულისგან განსხვავებულ ტექსტს გვაძლევენ არა ფრაზაში ჩართული სიტყვებით, არამედ ცალკეული ფრაზებით და ზოგჯერ მოზრდილი პერიოდებითაც. ეს ყოველივე სრული უქვევლობით ცხადყოფს, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება არაბული ვერსიიდან ქართული რედაქციების ცალ-ცალკე თარგმნის გამო (წარმოუდგენელია ორივე რედაქციას დედნიდან ერთდროულად გადახვია და ერთი და იგივე შედეგი მიეღო).

იქნებ ის საგულვებელი პირველადი ქართული ვერსია ითარგმნა ჩუენთვის ნაცნობი არაბული ვერსიიდან?

ზემოთ ითქვა, რომ ვრცელი რედაქციის ტექსტის ნახევარზე მეტი თითქმის სიტყვასიტყვით თანხვედბა არაბულისას. მაგრამ, ამავე დროს, როგორც ვრცელ, ისე მოკლე რედაქციაში არის ისეთი ელემენტები, რომლებიც ხსენებულ არაბულ ვერსიაზე დამყარებით ვერასგზით ვერ გაჩნდებოდა. ამასთან, ეს ისეთი ელემენტებია, რომლებიც უეჭველად ინდური პირველწყაროებიდან უნდა მოლიოდეს. მოვიხსენიოთ ზოგიერთი მათგანი.

ვრცელი რედაქციისა და არაბული ვერსიის დასაწყისშივე არის მოკლე რედაქციისთვის უცნობი ერთი ეპიზოდი: მეფე იკითხავს ერთ საყვარელ დიდებულს. აღმოჩნდება, რომ ამ უკანასკნელს საერისკაცო ცხოვრება მიუტოვებია და მეუღაბნოე გამზდარა. მეფე იბარებზ დიდებულს, მათ შორის გაიმართება ვრცელი დიალოგი, რომლის დროსაც დიდებული მეფეს დაწვრილებით მოუთხრობს სოფლის ამოებას. დიდებულის ეს სიტყვა უაღრესად საყურადღებო რელიგიურ-ფილოსოფიური მსჯელობის შემცველია და საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ორივე ძეგლი თითქმის სიტყვასიტყვით თანხვედბა ამ მსჯელობის გადმოცემისას. ქართული თხზულების მცირერიცხოვან სხვაობათაგან. გარდა სხვა მონაცემებისა, ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ფრაზა: „მაშინ განქარდა საცთური ვნებათა და დავინახე სოფელი ესე, ვითარ-იგი ყოვლით კერძო ცეცხლ არს“ (6, 24--25). აბზაცი, სადაც ეს ფრაზა წერია, არაბულ ვერსიაში საერთოდ არ არის. ამავე დროს, როგორც აბზაცი მთლიანად, ისე, განსაკუთრებით, მოტანილი ფრაზის ხაზგასმული ნაწილი იმის მაჩვენებელია, რომ ეს ყოველივე მოდის ინდური პირველწყაროებიდან. შევადაროთ ხაზგასმულ ფრაზას ბუდას გამონათქვამი: „ყოველივე ცეცხლის ალში ჰგიეს... მთელი სამყარო ცეცხლის ალში ჰგიეს... მთელი სამყარო ცეცხლის ალში შთაინთქმის“.

ინდური პირველწყაროებიდან მომდინარე აზრები ქართულ რომანში ისე ვერ გაჩნდებოდა, მის დედანშიც რომ არ ყოფილიყო. ხოლო რაკი არაბულ ვერსიაში შესატყვისი ადგილი არ იპოვება, ცხადია, რომ სსენებული არაბული ვერსია ქართულის დედნობას ვერ გასწევდა.

არაბული ვერსიის 58—59-ე გვერდებზე მოთავსებულია იგავი ორი მზისა, რომელშიც სიბრძნის არსება მზის მაგალითით განიმარტება. ქართულ ვრცელ რედაქციაში 46-ე გვერდზე ამას შესატყვისება გაშლილი შედარება, რომელშიც აგრეთვე სიბრძნის არსება მზის მაგალითით განიმარტება (მოკლე რედაქციაში ეს ადგილი არ არის). ოღონდ ამ ორი შედარების შინაარსი თითქმის სრულიად სხვადასხვაა, მხოლოდ ბოლო თანხვედბა. და, აი, ქართულ ვრცელ რედაქციაში ვკითხულობთ: „მსავს არს სახე სიბრძნისა მისისა მზესა, რომელი მიეფინების ყო-

ველთა ზედა კაცთა დიდთა და მცირეთაცა¹, და არავის დააყენებს. რომელნი ირგებენ მისგან, და არცა განტფობად ვის უნდეს მისგან და არცაღა ახლოთ ხელის მიყოფად რუპესა მისსა. ხოლო უკუეთუ ვისმე არ უნდეს რგომის, არა ბრალეულ არს მზე“.

ამ ტექსტში არის უცნობი სიტყვა — „რუპე“, რომელსაც პროფესორი ილია აბულაძე ამგვარად განმარტავს 1957 წლის გამოცემის შესავალ წერილში: „რუპე არაბული რახ უნდა იყოს, რაც აღნიშნავს „მეოთხედს, ანუ ნაოთხალს, ნაწილს“. ამის მიხედვით, მოყვანილი ციტატის აზრი ისაა, რომ მზე არავის დააბრკოლებს, არც მას, ვისაც გათბობა უნდა, და არც მას, ვისაც უნდა შეეხოს მის ნაოთხალს თუ ნაწილს (აღბათ, სხივს)“.

„რუპეს“ არაბული წარმოშობისად მიიჩნევა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

ამგვარი ახსნა მართებულიც რომ იყოს, მაინც ვერ შეცვლის ზემოთ წამოყენებულ მოსაზრებას, რომ ქართული რომანი ჩვენთვის ნაცნობი არაბული ვერსიიდან არ თარგმნილა. ამ ვერსიაში შესაბამის ადგილას „რუპე“ არსად გვხვდება. კონტექსტიც ისეთია, არც შეიძლება იყოს. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ ვერსიას ქართულის დედნად ვერ მივიჩნევთ: წარმოუდგენელია ქართველ მთარგმნელს ტექსტში ჩაერთოს ისეთი არაბული სიტყვა (როგორც დავინახეთ, ეს სიტყვა „სხივს“ ძალზე პირობითად შეიძლება უკავშირდებოდეს), რომელიც თვით მის დედანში — არაბულ ორიგინალში არ იპოვებოდა.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ყოველივე.

საქმე ისაა, რომ ინდურ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტექსტებში კარგად არის ცნობილი სიტყვა რუპა.

ინდურ ეზოთერიულ წიგნებში ეს სიტყვა ამგვარად განმარტება: რუპა—ფორმით გამოვლენილი იდეები. მას უპირისპირდება არუპა — ფორმით გამოუვლენელი იდეები. რუპა ხშირად იხმარება საკუთრივ ბუდისტურ წერილებშიც და აქ აღნიშნავს ფორმას, სხეულს, ზოგიერთი გაგებით — მატერიის ელემენტებს (ს. რადჰაკრიშნანი) თუ ფეროზ მოძრაობას (პროფ. შჩერბატსკოი).

ჩვენი თხზულების პირველწყაროები ინდოეთს და, კერძოდ, ბუდისტურ ლიტერატურას რომ არ უკავშირდებოდეს, „რუპასა“ და „რუპეს“ დაკავშირებაც ნაძალადევი იქნებოდა, ცხადია. მაგრამ ახლა სხვა

¹ შეადარეთ: „ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენშეცა ნუ მოგეწყინების“. მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტრიქონებს შესატყვისი სახარებაშიც მოეპოვება, მაინც ყურადღებას იპყრობს ლექსიკური თანხვედრა — „მოეფინების“. „დიდთა და მცირეთაცა“. აქ საინტერესო ლიტერატურული რემინისცენცია უნდა გვქონდეს.

ვითარებაა. თხზულების ინდური წარმოშობა არავითარ ექვს არ იწვევს და, რაკი ბუდისტური პირველწყაროები „რუპას“ გვიდასტურებენ. აუცილებელი აღარაა უეჭველად არაბულ ტექსტებში ვეძიოთ მისი შესატყვისი რამ. ამას მაშინ ექნებოდა მყარი საფუძველი, დამტკიცებული რომ იყოს ქართული თხზულების არაბული წარმომავლობა. მაგრამ „რუპას“ არაბული ლექსიკით ახსნის ცდას ხომ იმისთვის მიმართავენ, რომ სწორედ ამგვარი წარმომავლობის ერთ-ერთი საბუთი მოიპოვონ.

აქ დავსძენ, რომ, საერთოდ, ძველი ქართული ლიტერატურის ამა თუ იმ ძეგლის წარმომავლობის ლექსიკური მონაცემებით მტკიცება ერთობ საკომპანო საქმეა დღესდღეობით. ჯერ ერთი, არ მოგვეპოვება ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი, მეორეც, როგორც პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი მართებულად მიუთითებს, არავინ უწყის, აუცილებელია თუ არა ამა თუ იმ სიტყვის ქართულ მწერლობაში გასაჩენად უეჭველად ლიტერატურული წყაროები ვივარაუდოთ. ქართველებს იმთავითვე მრავალი კულტურული კერა ჰქონდათ უცხოეთში და ზოგიერთი ლექსიკური ერთეული შესაძლოა ზეპირი გზითაც იყოს შემოსული იმ ხალხებთან უშუალო კონტაქტის შედეგად, რომელთა ლიტერატურულმა ძეგლებმა საქართველოში შედარებით გვიან შეჰკოლწიეს.

ამ აზრის სისწორეს, სხვას რომ ყველაფერს. თავი დავანებოთ, ცხადყოფს აკადემიკოს ნიკო მარის ლექსიკურ დაკვირვებათა მაგალითი. ნიკო მარი წერდა: სიბრძნე ბალაჰვარისის VII საუკუნის ძეგლად მიჩნევას ხელს არაფერი შეუშლიდა, მასში რომ ახალი სპარსული სიტყვები არ გვხვდებოდეს. შემდეგში კი აღმოჩნდა, რომ ეს სიტყვები დამოწმებულია უძველეს ქართულ ძეგლებში.



„სიბრძნე ბალაჰვარისი“ საეტაპო ნაწარმოებია ქართული აზროვნების, ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. როგორც ფოკუსში, ისე იყრის მასში თავს შუა საუკუნეთა ქრისტიანული კულტურის პრობლემატიკა. ამდენად, ცხადი უნდა იყოს: ზეპირი მონათხრობის საფუძველზე ჩაწერილ თხზულებად მივიჩნევთ მას, თარგმანად თუ გადმოკეთება-გადამუშავებად, უეჭველად გვმართებს გავითვალისწინოთ, რომ მისი ავტორი, მთარგმნელი თუ გადმოკეთებელი ვერასგზით ვერ იქნებოდა შემთხვევითი პიროვნება. როგორც პირველადი ქართული ვერსიის, ისე ვრცელი და მოკლე რედაქციების შემქმნელნი ზედმიწევნით უნდა ყოფილიყვნენ გარკვეულნი იმდროინდელი რელიგიური ფილოსოფიისა და ლიტერატურული პრაქტიკის ნიუანსებში, მათ უნდა აღესრულებინათ არა საკუთარი კაპრიზის შედეგად დასახული საქმე, არა-

შედ უარესად პასუხსაგები და სავსებით კონკრეტული დაკვეთა ქართული ეკლესიისა.

„ხოლო აწ მიქსნიხარ მტერთაგან... და გამოგიტაცე შორის მათსა, რამეთუ გაუწყე მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ, მოციქულთაჲ და წმიდათა მამათა მცნებაჲ და ყოველი შჯული ქრისტიანობისაჲ გასწავე“, — ეუბნება ბალაჰვარი იოდანაფს. ეს სიტყვებიც რომ არა, თავად სათაური თხზულებისა მიგვანიშნებდა მის არსებას: მან მკითხველს მხატვრულ ჩარჩოში უნდა წარმოუდგინოს ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დებულებები, დაასაბუთოს ამ დებულებათა უპირატესობა. ამ ამოცანის შეარულება თავისი დროისთვის ღრმად განსწავლულ ადამიანს შეეძლო მხოლოდ. მას ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა არა მხოლოდ თავის მიერვე მითითებული ლიტერატურა (საღვთო წერილი, პატრისტიკა), არამედ აგრეთვე ერეტიკოსთა ნაწერებიც, საწინააღმდეგო მოძღვრებათა დოგმებიც და, საერთოდ, ფილოსოფიაც (ეიმეორებ, ეს თანაბრად ეხება ავტორისაც, მთარგმნელსაც და გადმომკეთებელსაც), რადგან თხზულებაში წარმოდგენილი ცოდნა მისი შემქმნელის სიბრძნე კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ოფიციალურად აღიარებული ექვშეუტანელი სიბრძნე ქრისტიანობისა. უამისოდ ბუდას ცხოვრების ამბავი პროზელიტი ქრისტიანი მოღვაწის, „ნეტარი“ და „სამგზის სანატრელი“ იოდანაფის ამბად ვერ იქცეოდა. ბუდიზმის ძირითადად დაძლევა იმ მიჯნებამდე მაინც უნდა განხორციელებულიყო, — ეთიკის სფერომდე, — სადაც ორი სხვადასხვა რელიგია შესაძლოა შინაგან წინააღმდეგობათა გარეშე შეერწყას ერთიმეორეს.

ჩვენთვის ნაცნობ არაბულ თხზულებაში ეს ამოცანა ვერ არის განხორციელებული თუნდაც იმიტომ, რომ ჰეშმარიტების წვდომის ძარითად გზად, ავტორიტეტისა და ღვთაებრივი გამოცხადების გარდა და მათს პარალელურად, დასახულია, შსგავსად ბუდიზმისა, ინდივიდუალური, განგებაზე დამოუკიდებელი ძალისხმევა. რელიგიური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით არაბული ვერსია ბუდიზმისა და ისლამის საემაოდ არაორგანული ნაზავია. ამის საწინააღმდეგოდ ქართული რედაქციები გააზრებული ქრისტიანიზაციის ნიმუშს წარმოადგენს. ბუდიზმი, როგორც სისტემა, აქ თავს აღარსად იჩენს, მისგან ალაგ-ალაგ დარჩენილია მხოლოდ ცალკეული სენტენციები, აზრები თუ გამოთქმები (შსგავსად ზემოთ მოტანილი სოფლარ და. ცეცხლის შედარებისა), რაც ნაწარმოებთა მთლიან ქსოვილს შეუხამებელ ლაქებად აღარ აჩნია.

ორივე რედაქციის შემქმნელი, პირველადი ქართული ვერსიიდან ზომდინარე ნაკადის სახით თუ დამოუკიდებლად, უხვად და მარჯვედ იყენებს ძველი და ახალი აღთქმის, პატრისტიკის, არისტიდეს აპოლოგიისა თუ სხვა ქრისტიანული ლიტერატურის ელემენტებს. გარდა 1937 და 1957 წლების გამომცემლის მიერ მითითებული ადგილებისა, ორსავე

რედაქციაში მრავლად აღინუსხა სათანადო შემთხვევები. აი, მაგალითი: „... (კერპები) არა ჰხედვენ, არცა ესმის, არცა კმობენ კორკითა მათითა...“ (ვრცელი რედაქცია, 144, 37); „...თულ ასხენ (კერპებს) და არა ხედვენ, ურ ასხენ და არა ესმის... არცაღა კმობენ კორკითა მათითა“ (ფსალმუნნი, 113, 14). ან კიდევ: „ხოლო ნაქორს რაყამს ესმნეს სიტყუანი ესე იოდსაფისგან, გულისკმა-ყო, რამეთუ შთავარდა მთხრებლსა მას, რომელცა ქმნა“ (ვრცელი რედაქცია, 114, 33--35); „ქნარც თხარა და აღმოკუეთა იგი და შთავარდეს მთხრებლსა მას, რომელცა ქმნა“ (ფსალმუნნი, 7, 5).

არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც, სრულიად მოულოდნელად, ჩვენი ძველი ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის ნაცნობობას უნდა აპყდავენებდეს. ასეთად მეჩვენება, მაგალითად, შემდეგი ადგილები:

ვ რ ც ე ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა : „(ღმერთი) უზეშთაეს არს გამოთქმისა და უზეშთაეს ბუნებისა და ხილვისა“ (46, 7); „...უხილავსა და გამოუთქმელსა... (56, 5); „პრქუა იოდსაფე: მესმა შენგან სიტყუე და გამოთქუმაღ ღმრთისა დიდებისათჳს. აწ შესძინე კუალად უგანცხადებულესადრე, რომელ ვითარცა თუალითა მიჩუენებ. პრქუა ბალაჰვარ: გამოუთქმელ არს ხატი ღმერთეებისაღ და გონებაღ ვერ მისწუთების გამოძიებაღ, ვითარ-იგი არს, და ვერცა ყოველნი ენანი შემძლებელ არიან ღირსებით ქებაღ მისა. და მიუწდომელ არს დაბადებულთაგან მეცნიერებაღ მისი...“ (69, 8 — 17);

ა რ ე ო პ ა გ ე ლ ი : „და ყოველთა მოგონებათაგან მოუგონებელ არს ზეშთაგონებისა იგი ერთი; და გამოუთქმელ არს ყოველისა სიტჳსაგან ზეშთასიტყუსა იგი სახიერებაღ...“ (6, 19—21), არამედ ყოველისა ღმრთის-მეტყველებისასა უგანცხადებულესიცა იგი იესუმსი ჩუენებრ კორცთ-შესხმაღ ღმერთისაღ გამოუთქმელეღ არს ყოველისა სიტყუსაგან და უცნაურ ყოველისა გონებისაგან...“ (21, 30—33).

ვ რ ც ე ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა : „მსგავს არს სახე სიბრძნისა მისისა მზესა, რომელი მიეფინებზ ყოველთა ზედა კაცთა დიდთა და მკირეთაცა, და არავის დააყენებს, რომელნი ირგებდენ მისგან, და არცა განტფობად ვის უნდეს მისგან და არცაღა ახლოთ ჰელის მიყოფად რუჳსა მისსა. ხოლო უკუეთუ ვისმე არა უნდეს რგომის, არა ბრალეულ არს მზე“ (146, 16—20).

ა რ ე ო პ ა გ ე ლ ი : „ეგრეთვე სახიერებისა ღმრთისა საჩინოა სახე, დიდი ესე და ყოველად ბრწყინვალე და მარადის მნათობი მზე... ყოველსავე განანათლებს, რაოდენსა ძალ-უც მიღებაღ ნათლისა მისისაღ, და ზეშთა ყოველთა განფენილად აქუს ნათელი თჳსი. ამისთჳს ყოველსავე ზედა ხილულსა გარდაჰვენს და ზე და ქუე მი-აწევეს ბრწყინვალებასა თჳსთა შარავანდედთასა. ხოლო რომელი რაღ ვერ მიიღებს ნათელსა მისსა, ესე არა უძლურებისაღ არს, არცა სიმცი-

რისა ნათელ-მიმცემლობისა მისისაჲ, არამედ უმარჯობისაგან ნათელ-მიმღებელთაჲსა...“ (32, 30—33, 5).

მეორე მაგალითში ვრცელი რედაქციის ტექსტში ზემოხსენებული „რუჲე“ რომ გვხვდება (რაც აშკარად მოწმობს მის თარგმნილობას), ეს შესადარებლად დიდ დაბრკოლებას არ ქმნის (ვთქვათ, ფაქტური ვერსიის ავტორს შესაძლო იყო ხელთ ჰქონოდა როგორც ინდური ტექსტები, ისე არეოპაგიტული ნაწერები და პარალელურად ესარგებლა მათგან). მთავარი სხვა რამ არის: ჯერ კიდევ საკითხავია — უეჭველად არეოპაგელის თხზულებებით უნდა ესარგებლა თუ არა იმ პიროვნებას, ვინც ვრცელი რედაქციის ზემოთ მოტანილი სტრიქონები დაწერა პირველად, თუ სხვა წყაროებიც მოიპოვებოდა საამისოდ? ამ კითხვის პასუხისათვის წერილის ავტორს ჯერჯერობით ვერ მიუჯვლევი.

ოღონდ წერილის ავტორს მიაჩნია, რომ, გარდა ტექსტუალური მონაცემებისა, სხვა საფუძველიც არსებობს „სიბრძნე ბალაჰვარისის“ დასაკავშირებლად არეოპაგიტკასთან. ამ საფუძვლის მისაკვლევად მცირე წიაღსგლა იქნება საჭირო.

როგორც ძირითადი (არაბული, ქართული, ბერძნული) ვერსიებიდან ჩანს, ბუდას ცხოვრების ამბის ინდოეთის ფარგლებს გარეთ დამუშავება უმთავრესად იმ გზით წარიმართა, რომ ბუდას ცნობილი ოთხი შეხვედრიდან (ბერიკაცთან, სნეულთან, მკვდრის გვამთან და ასკეტ მონაზონთან) უსაზომოდ გაიზარდა მნიშვნელობა უკანასკნელი შეხვედრისა, რამაც თხზულების მეტი ნაწილი დაიკავა. მართალია, ბუდისტურ ლეგენდებშიც ამ შეხვედრას სხვებზე მეტი მნიშვნელობა მიეწყვის. ჯერ ერთი, სწორედ ეს შეხვედრა ხდება „ღვთის შვილთა“ ძალით, მეორეც, ასკეტ მონაზონს მხოლოდ სიდჰარტა ხედავს, სხვათა თვალთათვის იგი დაფარულია (ამ უკანასკნელი მომენტის ნაშთი უნდა იყოს ბალაჰვარის ძვირფასი თვალი, რომლის ხილვა მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრია). მაგრამ საბოლოოდ ეს შეხვედრაც ოდენ საბაბია ქეშმარიტების საძიებლად გაქრისა, რადგან ბუდა არ ცნობდა ქეშმარიტების წვდომას გარეშე ძალის დახმარებით, მას მიაჩნდა, რომ არაფრით არ იყო დავალებული არც ღვთაებთაგან და არც კაცთაგან, მიზანს საკუთარი ძალებით მიაღწია, შემწეობას იღებდა მხოლოდ მასზე წინ არსებულ ბუდათაგან, მაგრამ მათ ძლევა კი არ ვიუნიჭებიათ, გზები დაუსახეს მხოლოდ და მხოლოდ. ასკეტ მონაზონთან შეხვედრამაც სიდჰარტა კაცთაგან განდგომის, განმარტოების იდეით აღავსო და ამით ანიოწურა ამ შეხვედრის მნიშვნელობა. უმთავრესი ამის შემდეგ დაიწყო — დაუცადებელი, მრავალწლიანი კვეთება ქეშმარიტების მისაკვლევად, რაც ბოლოს და ბოლოს გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებამდე კი განდგვილად ქცეული ბოდჰისატვა ბრძნად დასახულ განდგვილებსვე დაემოწაფა, მაგრამ მალე დარწმუნდა ამგვარი გზის უმაქნისო-

ბაში. მხოლოდ შემეცნების ხის — ბოს ძირას შვიდ (ზოგი გადმოცემით — ექვს) წელიწადს მარტოდმარტო ყოფნის შემდეგ მისწვდა იგი ქვეშარიტებას. ამასთან, თავისი მდიდარი გამოცდილება ქვეშარიტების ძიების გზაზე ამგვარ სენტენციად დააფორმულა: „არსებობს ორი უკიდურესობა, რომელთაგანაც შორს უნდა იდგეს სულიერი ცხოვრების მატარებელი ადამიანი; ერთი უკიდურესობა არის ცხოვრება ტყობისა, მინდობილი ავზორცობასა და სიამეს. ეს არის მდაბალი. უპატიოსნო, სულიერობისგან განძარცული, უღირსი, დაკნინებული ცხოვრება. მეორე უკიდურესობა არის ცხოვრება თვითგვემისა. ეს არის ბნელი, უღირსი, დაკნინებული ცხოვრება. სრულქმნილი შორსაა ორივე ამ უკიდურესობისგან და შეცნობილი აქვს საშუალო გზა, თვალთა აღმხელელი, გონების აღმხელელი, მშვიდობისად მწოდებელი, ნათლის მოფენისა და ნიკრვანისად მწოდებელი გზა“.

ქრისტიანული თუ მუსლიმანური სამყაროსთვის ქვეშარიტების წვდომის ამგვარი გაგება სრულიად მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ამ რელიგიებისათვის ქვეშარიტების მიღება ხდება ან წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და აღიარებულ საეკლესიო ავტორიტეტთა მოძღვრების გაცნობის, ან კიდევ ლეთაებრივი გამოცხადების გზით. ამიტომ არის, რომ ქართული ვრცელი რედაქციის შემქმნელისთვისაც მიუღებელია „განცოფებული ეგე სიბრძნე ამის სოფლისაჲ“ (148, 38), რადგან „ყოველი ქვეშარიტებაჲ იესუჲს ქრისტეს მიერ მოეცემის კაცსა“ (47, 17).

ამან განაპირობა ასკეტ მონაზონის როლის გაზრდა ბუდას ცხოვრების ქრისტიანულსა და მუსლიმანურ ვერსიებში. აქ უმთავრესი იყო არა პიროვნების ინდივიდუალური ძალისხმევა, არამედ მისთვის ქრისტიანული თუ მუსლიმანური სიბრძნის იმ სახით მიწოდება, რომ „ტაბულა რაზა“ აღვსებულიყო ამ სიბრძნის ქვეშარიტების რწმენით.

ამგვარი რწმენის მიღების შემდეგ იოლდასაფს თუ ბუდასაფს ქვეშარიტების თვალსაზრისით საძიებელი აღარაფერი აქვთ — ისინი ეზიარენ სხვათა მიერ დადგენილ ქვეშარიტებას. ამიტომ არის, რომ იოლდასაფი უდაბნოდ გასვლამდე უკვე იმდენად ბრძნულად მოძღვრავს მის შემცველ მეფეს — ბარაქიას. რომ არც მკვერამეტყველებით და არც ნათქვამის სიღრმით ბალაჰვარს არ ჩამოუვარდება. ამიტომვეა, რომ ბუდასაფიც თავის ძირითად სიბრძნეს მეფესთან და ალ-ბაჰვანთან კამათისას გამოავლენს (როგორც ზემოთაც ითქვა, არაბული ძეგლის შემქმნელი ბუდასაფს ამის შემდეგაც ბოდჰისატვას გზით ატარებს — შემეცნების ხესთანაც მიიყვანს, სიბრძნეს ხელახლა მიაღებინებს, მართალია, ანგელოსთა მიერ ზეცად აღყვანის შემწეობით, შემდეგ თავის ხალხთან დაბრუნებულს ქადაგებასაც ათქმევინებს, რაც ბუდას პირველი ცნობილი ქადაგების, ბენარესში წარმოთქმულის, ანალოგიით კეთდება. მაგრამ ბუდასაფის ეს უკანასკნელი ქადაგება, სიბრძნის ფაქტიუ-

ჩად ხელმეორედ მიღების შემდეგ თქმული, აჩრდილიდაა მის მიერ აღრევე ნათქვამი სიტყვებისა, საკმაოდ უგემური კონსპექტი ყოველივე აღრე წარმოდგენილისა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ძეგლის პირვანდელი, ინდურიდან მომდინარე ქარგის გავლენით არაბული ვერსიის შემქმნელმა თუ მისმა დედანმა დროულად ვერ დაუსვა წერტილი და ბილაუპარის მიერ გაბრძნობილ ბუდასფს ხელახლა აძიებინა სიბრძნე და ქეშმარიტება, რის გამოც, როგორც აღინიშნა. ნაწარმოები ბუდიზმისა და ისლამის საკმაოდ არაორგანულ ნაზავად იქცა).

მაგრამ ამის შემდეგაც იოდასაფიც და ბუდასაფიც მთელი არსებით ისწრაფვიან უდაბნოდ გასვლისაკენ. რატომ სჩადის ამას ბუდასაფიც, ეს აქვე ზემოთ ითქვა უკვე. მაგრამ იოდასაფიც?

აქ ჩვენ ქრისტიანული ვერსიის შემქმნელთან ერთად საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე ვდგავართ.

ბუდას ცხოვრების ლეგენდად ქცეული ამბავი ქრისტიანი ავტორისთვის იმით არის მომხიბვლელი, რომ ფუფუნებით აღზრდილი უფლისწული ყოველივე ამქვეყნიურს უყოყმანოდ მიატოვებს და უდაბნოს მიაშურებს ქეშმარიტების მაძიებელი. ამგვარი ქარგა ზედგამოჭრილია მონაზვნობის იდეალისთვის თავგადადებული ქრისტიანი ავტორის თვალსაზრისით. მაგრამ ამ კონკრეტული ამბის შინაგანი აზრი მეუდაბნოების შუა საკუნეთა ქრისტიანულ იდეალს სინამდვილეში ეწინააღმდეგება და ეს შინაგანი წინააღმდეგობა ბოლოს და ბოლოს სადინარსაც პოულობს და თხზულების სიუჟეტშიც გამოვლინდება.

საქმე ის არის, რომ, ბუდიზმის მთელი შემდგომი ისტორიული ბედის მიუხედავად, თავად ბუდა ფილოსოფოსი უფრო იყო, ვიდრე წინასწარმეტყველი ან მოციქული (ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტერესებს ის გარემოება, რომ ბიროვნულ ღმერთს მოწყურებულმა ბუდიზმის მიმდევრებმა შემდეგ თავად ბუდა, უფრო სწორად, პირველადი ბუდა — აღიბუდა დასახეს ღმერთად და თავყანისცემის საგნად. ამჟამად ამას არა აქვს მნიშვნელობა აქ გაშლილი მსჯელობისთვის). ამ ფილოსოფოსისთვის კი განდევნილად წასვლა თვითმიზანი, საკუთარი სულის ხსნის საშუალება კი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ დროებითი აქცია, რომლის მეოხებითაც ქეშმარიტების მიკვლევა უნდა განხორციელებულიყო. ამის შემდეგ, როგორც ზემოთ მოტანილი ციტატითაც ცხადი შეიქნებოდა, ბუდამ, სიამეს მიყოლილ ცხოვრებასთან ერთად, დაგმობის სხეულის მოკვდინებისა და თვითგვემის ფარისევლური იდეალი (მართალია, ზოგიერთი ბუდისტური სექტა შემდგომში ამ იდეალს მაინც დაუბრუნდა, მაგრამ აქ ხომ საქმე ეხება თავად ბუდას ცხოვრებას — ჩვენთვის საინტერესო თხზულების საფუძველს — და არა ბუდიზმის ისტორიულ განვითარებას). მან ჩამოაყალიბა თავისი ორდენი,

იწყონ ინდოეთში მოგზაურობა და თავის მიერ მიკვლეული ქეშმარიტების ქადაგება.

ხოლო განდევნილობის შუა საუკუნეთა ქრისტიანული იდეალის თანახმად, მეუღაბნოედ ქცევა თვითმიზანია, საკუთარი სულის გამოხსნის საშუალებაა და არა საკუთრივ ქეშმარიტების ძიება (აქ ვერ გამოვუდგებით იმის გარკვევას. თუ რამდენად შეესატყვისება ამგვარი იდეალი ძველი და ახალი აღთქმის ნამდვილ მოძღვრებას, ლაპარაკია ქრისტიანობის იმ ისტორიული სახის გამო, რომელიც მან მიიღო აღრეულ შუა საუკუნეებში, ჩვენი ძეგლის შექმნის ეპოქაში).

მეუღაბნოედ იმიტომ მიდიოდნენ, რომ მთლიანად განდგომოდნენ, მტრად ქცეოდნენ საწუთროს, სოფელს, რომელიც „ვითარცა აჩრდოლი წარვალს და ვითარცა კვამლი განქარდების“ და, რადგან „მტეობაა სოფლისა და აგებს ღმერთსა“, ამით დაემკვიდრებინათ მერმე სოფელი, საუკუნო სასუფეველი, უხრწნელი და მარადიული ნეტარება. ამას კი არაფერი აქვს საერთო ბუდასეულ ნირვანას იდეალთან, რადგან, მართალია, ბუდა არ უარყოფდა ამქვეყნიური ცხოვრების რაგვარობისა და მიხედვით იმ ქვეყნად საზღაურის მიწყევას, მაგრამ მისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ზუღიზმისთვის უმთავრესია არა საწუთროს მოძულება, არამედ საერთოდ გააოყოფილი არსებობის (როგორც მატერიალურის, ისე იმმატერიალურის) განქარვება და ნირვანას დამკვიდრება. „ნირვანა“ კი ჩაქრობას ნიშნავს, საერთოდ ყოველგვარი გამოვლენის დასასრულს. ამიტომ იყო, რომ ქეშმარიტების წვდომის შემდეგ სიდჰარტა გაუტამა, იგივე საქია მუნი, აწ უკვე ბუდად ქცეული, ცხოვრებას დაუბრუნდა და სხვათა გამოხსნისათვის იწყო ზრუნვა.

ამბის ამგვარი დასასრული მიუღებელი იყო მონაზვნობის იდეალის დაჰამკვიდრებელი ქრისტიანი აეტორისათვის. მას უნდა ეჩვენებინა, რომ საწუთროს საბოლოოდ მოძაგების გარეშე ხსნა არ არის. აი, ამიტომ ისწრაფოდა იმთავითვე იოდასაფი უდაბნოსაკენ, იმ ზომამდე, რომ ცრემლითაც ევედრებოდა მამამის აბენესს, „რამთა განუტეოს უდაბნოს“.

მაგრამ იოდასაფი მოქცევისთანავე უდაბნოდ რომ გასულიყო, ერთობ მძიმე იქნებოდა კონტრასტი ბუდას ცხოვრების პოზიტიურ შედეგებთან შედარებით და მაშინ ბუდისტ მოძღვარს ქრისტიანი მოღვაწე კი აღარ დაუპირისპირდებოდა, არამედ ჩვეულებრივი მონაზონი. თუნდაც ყოფილი უფლისწული. ხოლო რით უნდა დაპირისპირებოდა იოდასაფი ბუდას? ქეშმარიტება მან უკვე მოიპოვა ბალაჰვარის შემწეობით, ასე რომ ქეშმარიტების ძიებისას ძნელად დასათმენი კვეთება (ვთქვათ, იმდაგვარი, როგორიც მოუხდა შემეცნების ხის — ბოს ძირას მყოფ ბუდას სიკვდილის მეფეე მარასთან შერკინებისას) მას აღარ ესაჭიროებოდა.

აქ ქრისტიანული ვერსიის შემქმნელი ძნელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, წარმოიქმნა საშიშროება, რომ ბუდას ცხოვრების მომნიბვლელი ამბავი ნადრევად და უგემურად დასრულდებოდა უდაბნოდ გასვლის ტრაფარეტით.

და, აი, ავტორმა იოდასაფს დააკისრა პრაქტიკულად რთული, მაგრამ შემეცნებითი და მხატვრული თვალსაზრისით უმნიშვნელო მისია ქრისტიანულ სჯულზე ინდოეთის მომაქცეველისა.

ამ მისიის აღსრულების შემდეგ, მას შემდეგ, რაც დამტკიცდა ქრისტიანობის პრაქტიკული უპირატესობა, იოდასაფი, ყოველ შემთხვევაში ფორმალური თვალსაზრისით, გამოჩენილ მოღვაწედ იქცა და ქრისტიანული ვერსიის შემქმნელსაც საშუალება მიეცა დამშვიდებული სინდისით გამოეცვითა თავისი იდეალი — გმირის მეუღაბნოდ ქცევა.

მაგრამ აქ მოვლენათა ლოგიკამ კიდევ უფრო ძნელი პრობლემის წინაშე დააყენა პირველი ქრისტიანული თუ პირველადი ქართული ვერსიის შემქმნელი (გამოირიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ეს ერთი და იგივე პიროვნება იყოს): განდევილობის იდეალი, როგორც ლამის თავისთავად აქსიომატურ კეშმარიტებად მისაჩნევი რამ, რის დამკვიდრებასაც მიეძღვნა ფაქტიურად მთელი თხზულება, მოულოდნელად კრახის წინაშე აღმოჩნდა.

როდესაც იოდასაფმა გადაწყვიტა, საიდუმლოდ მიეტოვებინა მეფობა და განდევილად წასულიყო, და ეს აზრი გაანდო ბარაქიას. ამ უკანასკნელმა მიუგო:

„არა სამართლად საჭე, მეფე, რამეთუ წერილ არს: შეიყუარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ხოლო შენ აღირჩევ უმჯობესსა და ჩემი გნებავს წარწყმედაჲ. ხოლო თუ უმჯობეს არს დატევებაჲ საწუთროჲსაჲ და ძიებაჲ საუკუნოჲსაჲ, გუაღე და წარვიდეთ ორნივე“ (158, 1—9. ციტატი მომაქვს მოკლე რედაქციიდან; ვრცელ რედაქციაში გაშლილი ტექსტია, ოღონდ შინაარსი იგივეა).

აქ იშვიათი ძალით არის მხილებული განდევილობის ეგოისტური არსება, მასში ღაფარული შინაგანი წინააღმდეგობა და უაღრესად საგულისხმოა, რომ ამას თავად ავტორიც გრძნობს. აი, რა მოსდევს ზემოთ მოტანილ ციტატს ტექსტში:

„ხოლო ბარაქიამესგან რაჲ ესმნეს სიტყუანი ესე, ეშხილა სამართალი და აღარაჲ მიუგო“.

მაგრამ ავტორი, ცხადია, უარს მაინც არ ამბობს თავის იდეალზე, იოდასაფი უჩუმრად გაიპარება სასახლიდან. ბარაქია და მთავარნი დაეწყვიან და ეუბნებიან:

„უკუეთუ დაუტეო ესოდენი სიმრავლე უწინამძღვროდ და ანუ აღდგენ ბრძოლანი და შფოთნი. ანუ კუალად მიიქცენ კერპთა მიპართ, არა შეეგან იზღვიოსა ესოდენი სული, რომელ არს საშეფოსა ამას ში-

ნა შენსა? ხოლო მან (იოდასათმა) ჰრქუა: პირი იგი უტყუევარი ამას ბრძანებს: რაჲ სარგებელ არა, უკუეთუ ყოველი სოფელი შეიძინოს კაცმან და სული თვისი წარიწყმიდოს გინა იზღვიოს. აწ უწყოდეთ. მე უქველად წარვალ სათნოთა თანა ღმრთისათა. ხოლო თქვენ იძიეთ თავისა თქუენისა მეფე“ (159, 10—25).

ამრიგად, საკითხი ორჯერ აღიძრა და იოდასათმა (და მასთან ერთად ავტორმაც) ორჯერვე უპასუხოდ დატოვა.

ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ერთი მხრივ, თხზულების შექმნის უმთავრესი მიზანია განდევილობის იდეალის დამკვიდრება, მეორე მხრივ, თანმიმდევრულად გააზრების შემთხვევაში ეს იდეალი სრულფასოვანი არ აღმოჩნდება (მართალია, იოდასათი არ შეიცვლის თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ ბარაქიასთან და მთავრებთანაც სიტყვისგებისას ფაქტიურად მარცხდება).

ზემოთ გაკვრით უკვე აღინიშნა, რომ განდევილობის იდეალი საკუთრივ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან არც მოპდინარეობს. მაგრამ ჩვენ მოვლენები უნდა განვიხილოთ არა ევანგელისტის მხედრით, არამედ ისტორიული პერსპექტივის თანახმად. ისტორიული პერსპექტივა კი გვიჩვენებს, რომ სოფლის მოძაგების ტენდენცია ერთ-ერთი ყველაზე რელიგიურად გამოხატული ნიშანი იყო ადრეულ შუა საუკუნეთა ქრისტიანობისა (მით უმეტეს, იმ ეპოქის, როდესაც ჩვენი ძეგლი იქმნებოდა). სოფელი, საწუთრო არა მარტო მსწრაფლწარმავალია, გახრწნადი, ბოროტებით აღსავსე, ბნელი და სააუგო, არამედ, არსის საპირისპიროდ, პლატონის თანახმად, არა-არსიც არის (როგორც ეკლესიის მამათა. ისე ქრისტიან ფილოსოფოსთა თხზულებებიდან შეიძლება მოვიტანოთ უამრავი ამონაწერი. რომლებიც ამ თვალსაზრისის წლადღებელია. სხვათა შორის შევნიშნოთ, რომ სწორედ სოფლისა და ზესთასოფლის ამგვარი გათიშვის საბოლოო შედეგი იყო ის უფსკრული, რომელიც მოგვიანებით კანტმა დაუსახა ადამიანის შემეცნებას). ამიტომ სოფლის მიმართ ყოველგვარი კომპრომისი ზესთასოფლისკენ მიმავალი გზის გამრუდება ნიშნავდა. ხოლო ქართულ რედაქციებში არსებული ზემოთ ნაჩვენები ვითარება ამგვარი კომპრომისის უქველი ჩანასახი იყო: იოდასათის უძღურებას ბარაქიასა და მთავართა საყვედურებისთვის დასაბუთებული პასუხის გასაცემად თანმიმდევრული გააზრების შემთხვევაში განდევილობის იდეალის უარყოფამდე უნდა მიეყვანა მკითხველი, სწორედ ის მკითხველი, ვინც მანამდე თხზულების მთელი მდინარებით ჩინებულად რწმუნდებოდა სოფლის მოძაგების აუცილებლობაში.

როგორ მოხდა, რომ ამგვარი რამ დაიწერა ეკლესიის დაკვეთით შექმნილ ნაწარმოებში, რა წანამძღვარი განაპირობებდა განდევილობის

თვით არსებაში დამარბული წინააღმდეგობისთვის თუ თვალის გასწორებას არა, თვალის მოტანებას მაინც?

ადრეული შუა საუკუნეები იცნობს ერთადერთ მოაზროვნეს, რომლის მოძღვრებასაც შეეძლო ეტეირთა ამგვარი წანამძღვრის როლი. ეს იგულისხმებოდა ზემოთ, როდესაც ითქვა, რომ გარდა ტექსტუალური მონაცემებისა, სხვა საფუძველიც არსებობს ბუდას ცხოვრების ქართული რედაქციების (და, აშუენად, პირველადი ქართული ვერსიის) დასაკავშირებლად არეოპაგიტიკასთან.

ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული აზროვნებისათვის უცხო შეხედულება, რომელმაც ჩვენს ძეგლში, მართალია, ჩანასახოვანი ფორმით, მაგრამ მაინც, საეჭვოდ აქცია სოფლისა და ზესთასოფლის გათიშვა და სოფლის მოძაგების გარდუვალობა, რომელმაც შემდგომში ქართული კულტურა „ორისავე იყოს მხლებელის“ მაღალ იდეალამდე აღაზევა, ხოლო ევროპაში ერიუგენას ნააზრევინს სახით იჩინა თავი, საფუძველს პოულობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის¹ მოძღვრებაში.

მხოლოდ იმ ავტორს შეეძლო თუნდაც გაუცნობიერებლად საეჭვოდ ექცია განდევნილობის თავის მიერვე ნაქადაგები იდეალი, ვინც იცნობდა არეოპაგელის აზრებს, რომელთა თანახმადაც: „არარაა არა ყოვლად არა არს“; „არარაა არსთაგანი არს ბოროტისაგან“; „უკეთუ ყოველითურთ მოსპო კეთილი, არცა არსება იყოს, არცა ცხოვრება, არცა სურვილი, არცა ძვრა, არცა სხუაა არცა ერთი რაა“. ყოვლად უნაწილო კეთილისაგან არცა იყოს, არცა არს, არცა არსთა შორის არს“ და, ამდენად: „არარაა არს უსრულ ყოველსა შინა ბუნებასა, არცა რაა არს ბოროტ ყოველსა შინა ბუნებასა... არცა ბოროტა შინა არს ბოროტი... არცაღა მრავალ-განსმენილსა მას ნივთსა (=მატერია) შინა არს ბოროტი, ვითარ-იგი იტყვან ვიეთნიმე ბოროტ-ყოფასა ნივთისასა, რომელი იგი არა ბოროტ არს. უკუეთუ ოდენ ვგრეთ იყოს ნივთ, ვითარ იგი დაბადებულ არს? რამეთუ მასცა აქუს მიმღებლობაა სიკეთისა და შემკობისა დასახოვნებისა... ამას თანა კულად ვითარ იყოს ნივთი ბოროტი? რამეთუ უკუეთუ არასადა არა არს არს, არცა კეთილ არს, არცა ბოროტ... უკუეთუ საკირო-ყოფად იტყვან ნივთსა, ვითარცა აღმავსებელსა ყოვლისა სოფლისა საესებისასა, ვითარ ბოროტ იყოზ ნივთი?... ვინაჲცა არა ნივთისაგან არს სულთა შინა სიბოროტე, არამედ უწესოჲსა და ბრალეულად აღძრვისაგან“.

აქ ვერ გამოვუდგები იმის გარკვევას, თუ რამდენად შეესატყვისე-

¹ წერილის ავტორს სულის სიღრმემდე წინაშე ნუცუბიძე-ქონიგმანის ცნობილი თეორიის კეშმარტება და, თუ ამ მოაზროვნეა იხსენიებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის და არა პეტრე იბერიის სახელით, მხოლოდ ამიტომ. რომ მთავლით სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ტრადიცია ჯერაც არ დამკვიდრებულა — ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი ხსენებულ თეორიას ეკვით უყურებს.

ბა ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის მოძღვრების ცოდნა ქართული რედაქციების თუ პირველადი ქართული ვერსიის აღმოცენების საგულვეზელ ხანას. ეს საკითხი სპეციალური გამოკვლევის საგანია.

აქ აღიძვრის ერთი საკითხი: რა იყო ის თეორიული საფუძველი, რომელსაც დაემყარა პირველი ქრისტიანული (ქართული) ვერსიის შემქმნელი, როდესაც ქრისტიანობის გამარჯვებისთვის საჭიროდ მიიჩნია მისი პრაქტიკული განხორციელება სახელმწიფოში ბრძენი მმართველის მეოხებით? თხზულების ზოგიერთი მონაცემი გვაფიქრებინებს, რომ იგი უნდა დამყარებოდა პლატონის შრომას „სახელმწიფო“. ეს საკითხი გულდასმით შესწავლას, სპეციალურ კვლევას საჭიროებს. ამიტომ ამჯერად მის ირგვლივ სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ — ფაქტის კონსტატაციით დავკმაყოფილდეთ.

აღენიშნოთ მხოლოდ, რომ პლატონის და, საერთოდ, ანტიკური ფილოსოფიის ნაცნობობას „სიბრძნე ბალაპვარისი“ სხვა ასპექტებითაც უნდა ამჟღავნებდეს.

კერძოდ, ეს ეხება ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის, მატერიალურისა და იდეალურის, ძველი ქართული ტერმინოლოგიით — სოფლისა და ზესთასოფლის ურთიერთმიმართების საკითხს.

სოფელი რომ ამათა, ცვალებადი, ცრუ, ვერაგი, ბოროტებისა და ტანჯვის ასპარეზი, რომ „ყოველი ესე ხილული აჩრდილ და წარმავალ არს“, — ეს ყოველივე აკვნიდანვე ცნობილი უნდა ყოფილიყო ქრისტიანი მწერლისათვის. მაგრამ ამ ემოციური შეფერილობის ცნებებით ოპერირება, ჩანს, აღარ კმაროდა ისეთი რთული ფილოსოფიური აზრის შემცველი ამბის გადმოკეთებისას, როგორც იყო ბუდიზმის ფუძემდებლის თავგადასავალი. როგორც ჩანს, საჭიროდ იქნა მიჩნეული საღვთო წერილისა და პატრისტიკის მთელ სიბრძნეს დართვოდა ფილოსოფიური სიბრძნეც, რათა სოფლის მოძაგების იდეოლოგიას მეტი წონა მისცემოდა. ასე გაჩნდა ჩვენს თხზულებაში წმინდა ფილოსოფიური ცნებები „არსი“ და „არა-არსი“, რომელთაგან პირველი ზესთასოფელს დაუკავშირდა, ხოლო მეორე — სოფელს.

თხზულების დასაწყისშივე მკითხველი ეცნობა ვინმე დიდებულს, რომელიც იოდასაფის მამას აბენეს მეფეს მოუთხრობს, თუ რატომ მოიძაგა მან სოფელი და რატომ იქცა განდევნილად:

„დასაბამი საქმისა ჩემისაჲ ესე იყო, რამეთუ მესმა ზიტყუჲა ერთი ღღეთა ოდენ სიკბაბუკასა ჩემისათა... ხოლო სიტყუჲაჲ, რომელი მეჲჲა, ესე არს: ჰგონებნ უგუნური არსსა მას არა-არსად და არა-არსსა მას — არსად... ხოლო არსი იგი მერმე იგი სოფელი არს და არა-არსი — სოფელი ესე“ (6).

(მსგავსი აზრი მოკლე რედაქციაში ამგვარად არის გამოთქმული:

„და ამისთვის არა ვზრუნავ ხორცთათვის. რამეთუ არა არიან, ხოლო სული არს“ (78).

ფეიქრობ, მოტანილი ადგილის წყარო უნდა იყოს პარპენიდეს პოემა „ბუნებისათვის“, რომელშიც, როგორც ცნობილია, სწორედ ამგვარად არის დაპირისპირებული არსი და არა-არსი და მოიხსენიება ის „ორთავიანი“ უგუნურიც (პერაკლიტე), რომელსაც ჰგონია, რომ არა-არსი არის.

თუკი ეს დაკვირვება სწორია, არც ის იქნება მოულოდნელი, რომ თხზულების კიდევ ერთ ციტატაში ვიცნოთ პლატონის შეხედულება სოფლის შესახებ: „წარმავალი ესე... არს და ვითარცა არა არს, და რომელთა უხარის, ვითარცა არა უხარის, და რომელნი იშუებენ, ვითარცა არა იშუებენ, და რომელთა შვირს, ვითარცა არაარა შვირს, რამეთუ ერთი იგი წარმავალსა შინა მოკლე და წარუვალსა შინა არაა...“

ამას რომ ვაპბობთ, მთელი სიცხადით უნდა გვექონდეს გათვალისწინებული: ქართული სასულიერო და ფილოსოფიური მწერლობის წყაროთა შესწავლა დღესდღეობით იმ დონეზე არ დგას, მსგავს დასკვნათა კატეგორიულად გამოთქმის უფლებას გვაძლევდეს; გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ყოველივე აღნიშნული „სიბრძნე ბალაჰარისის“ შემქმნელმა ისეხბა არა უშუალოდ ანტიკური პირველწყაროებიდან, არამედ ამ წყაროთა რომელიმე მოგვიანო დამმუშავებლის თხზულებიდან¹. ეს საკითხიც მომავალ კვლევას საჭიროებს.

ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია: სოფლის დასახვა არა-არსად იყო ის ზღვარი, რომლის იქითაც არც ერთი რელიგიური, რელიგიურ-ფილოსოფიური და ფილოსოფიური სისტემა არასოდეს წასულა (ან კი საღდა წაესვლებოდა!).

ანტიკური ფილოსოფიიდან უნდა მოლიოდეს არა მხოლოდ ის ცნობილი ადგილი ჩვენი თხზულები. სადაც შექმნილის არსებობით შემქმნელის არსებობა მტკიცდება (70—71)², არამედ სხვააც, სადაც ნათქვამია: „და ვინაჲ უწყი, თუ ცაჲ და ქუეყანაჲ დაბადებულნი არიან?.. ამის გამო უწყი, რამეთუ სახე და ნიშანი შესაქმისა მათისაჲ წამებს, რამეთუ შექმნულ არიან, რამეთუ გონებასა შინა საცნაურ არს, ვითარმედ არა არიან იგინი თვინიერ ანუ შეერთებულნი, ანუ განყოფილნი. ანუ იძრვისნი, ანუ მდგომარენი, და ვჰხედავთ, ვითარმედ ყოველნი ზაბადებულნი მოიყვანებიან შეერთებასა. ვიდრეჲმის განთვისებით, ძრვით გინა დაყულებით. ამის გამო ვცან, რამეთუ ვითარცა ესენი,

¹ „რესხა“. ცხადია. არ ნიშნავს პლაგიატს დღევანდელ გაკებით. იმ ეპოქისთვის სხვათა აზრების დამოწმება ავტორის მოუხსენიებლად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამის პირველი მაგალითია საკუთრივ „ბიბლია“ (ძველესი და ახალი აღთქმაც).

² შეადარეთ შ. ნუსუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, 1956, გვ. 333.

ეგრეცა იგინი არიან, რამეთუ ვერ ხელ-ეწიფებინ, თუმცა რასა ჰმატის დიდებთა სხუათა დაბადებულთა“ (150).

ეს ადგილი იმითაც არის საინტერესო, რომ მიგვანიშნებს ქრისტიანული ვერსიის ავტორის ერთ დამახასიათებელ თვისებას — გონების ძალისადმი ხშირ აპელირებას. თუ „სიბრძნე ბალაჰვარისა“ მოკლე ვარიანტის მიმართ ერთგვარად გამართლებული იყო აკადემიკოს შ. ნუცუბიძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ჩვენს ავტორს არ სწამს რაციონალიზმის ძალა, გონებას ისე, როგორც ნებისყოფას, ის უნდობლობას უცხადებს“¹, იგივე აღარ ითქმის ვრცელი რედაქციის მიმართ.

პირიქით, თხზულება იმით იწყება, რომ დიდებული მეფეს ამცნობს, თუ როგორ მივიღა სოფლის არა-არსობის შეცნობამდე: „და სიტყუაჲ ესე² ყოვლადვე მეხსენა გულსა შინა ჩემსა, ჟამითი-ჟამად განვიხილევდი მას და ვითარ-იგი აზხილებნ, სულსა ჩემსა განაკრძალებდა, და განწმდებოდა გონებაჲ შემწედ სულისა. და მერმე აღმიდგინ ნებაჲ მიდრეკად შუებათა მიმართ და განმაშორებნ ჩემგან, რომელი-იგი მიცნობიედ. ვიდრემღის შეითქუნეს სული და გონებაჲ... მაშინ დავაყენე ნებაჲ ჩემი და აღმოვჰფხურენ მიზეზნი გულის თქუმისანი და მოვაცაულე გონებაჲ ჩემსა ცნობად კეთილისა და ბოროტისა. მაშინ აღმეძარცუა საბურველი მწუხარებისაჲ და მოჰქარდა სიმთრვალე გულის თქუმისაჲ, და გამოჩნდა სარცხვინელი საწუთროსაჲ, და განვიციდიდი მომავალსა და განვიხილევდი წარმავალსა, და გამოვსციდიდი აღსასრულსა, ვიდრემღის კმა-ვეყაე მეცნიერებაჲ ჩემი მას შინა“ (6).

აქ, თხზულების დასაწყის ნაწილში, ავტორი წმინდა წყლის რაციონალისტია და შემეცნების ერთადერთ გზად გონების მოღვაწეობას სახავს. მეტიც, შემეცნების, ქეშმარიტების მოპოვების საშუალებად, მსგავსად ანტიკური ფილოსოფოსებისა, მას მსჯელობა, კამათი მიაჩნია: „თავი სამართლისაჲ არს მიზეზი რაჲმე სიტყვის გებისაჲ ურთიერთთას“ (აქ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს სოკრატესა და პლატონის „დიალექტიკური მეთოდი“). არ უნდა შეგვაცბუნოს იმ ამბავმა, რომ ჩვენი ავტორი ბოლომდე თანმიმდევრული ვერ იქნება და შემდგომ და შემდგომ ქეშმარიტების წვდომის სხვაგვარ გზას დასახავს: „ყოველი ქეშმარიტებაჲ იესუჲს ქრისტეს მიერ მოეცემის კაცსა“ (47). ამ პოზიციიდან ინდივიდუალური გონების ძალისხმევას ფასი ეკარგება: „ჰრქუა იოდასაფ: საქმე ესე, რომელსა იტყვი და ჰქადაგებ შენ და მოყუასნი შენნი, თვით რაჲმე გადმოჰნახეთა სიბრძნითა და მეცნიერებითა თქუენითა და ჰპოეთ მას შინა ქეშმარიტებაჲ და გამოირჩიეთ სხუათაგან წესთა, ანუ

1 იქვე, გვ. 336.

2 იგულისხმება „ჰგონებნ უგუნური არსსა მას არა-არსად და არა-არსსა მას არსად“.

ღმერთმან გიხმო და ხმა-ეცით? ჰრქუა ბალაჰვარ: უმაღლეს და უღიღებულეს არს სიბრძნესა ამის სოფლისასა საქმე ესე... საქმე არს უცხოჲ, ჯადაგებული ღმრთისა მიერ ჰეშმარითისა განცხადებულად...“ (45—46). და ბოლოს ამქვეყნიური სიბრძნე შეჩვენებული იქნება: „...მტერო ჰეშმარითებისაო, რომელმან მოიპოვე განცოფებული ეგე სიბრძნე ამის სოფლისაჲ და თანა-წარჰხედ თავესა მას სიბრძნისასა, რომელ არს შიში უფლისაჲ...“ (148).

ეს ყოველივე ავტორს ხელს არ უშლის კვლავაც გონებას მიმართოს ხოლმე შეშვეცნების გზის დასახვისას: „მოისთულოს თუალმან და შეიკრიბოს გულმან და წარიმართოს გონებამან“ (36).

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ გონება დასახულია უპირველეს ძალად, რომლის მეოხებითაც უნდა განხორციელდეს ნების დათრგუნვა.

აქ საკირია მცირეოდენი განმარტება. ზოგიერთს ჰგონია, თითქოს სიტყვა „ნება“ დღევანდელი „ნებელობის“ მნიშვნელობით იხმარება ჩვენს ძეგლში. კერძოდ, ასე იქცევა ვრცელი რედაქციის რუხულად მთარგმნელი: „ნება“ გადააქვს როგორც „ВОЛЯ“. ეს ასე არაა. ამგვარი მნიშვნელობა ამ სიტყვამ, ჩანს, გაცილებით გვიან მიიღო. „სიბრძნე ბალაჰვარისიში“ კი „ნება“ ნიშნავს სურვილს. იმ ფსიქიკური ფენომენის აღმნიშვნელი ტერმინი, რასაც დღესდღეობით ნებელობას ეუწოდებთ, თხზულებაში არ იპოვება.

და, აი, საჩინო ხდება, რომ ავტორის რაციონალიზმის ერთი ნაკადი ბუღისტური პირველწყაროებიდან მომდინარეობს.

კაცობრივი მოღვაწეობის უპირველეს საზრუნავად დასახულია ნების (სურვილის) დათრგუნვა, ნების დაოკება და მასზე გამარჯვება. ხოლო სურვილის, წადილის („კამა“) დაოკება ბუღისტური ეთიკის ქვაკუთხედი. ბუღიზმის მიხედვით, განთავისუფლება იწყება მაშინ, როდესაც იწყება სურვილთა დათრგუნვა. ხოლო ეს უნდა განხორციელდეს გონების მეშვეობით, რადგან ბოროტების (გამოვლენილი, გამოყოფილი არსებობის) საფუძველია არცოდნა.

ეს მოძღვრება ჩვენს ავტორს ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის უცხოდ არ მიაჩნია. ისიც გვაუწყებს, რომ, მას შემდეგ, რაც გონება აქტიურად ამოქმედდება, აღიძარცვება „საიურველი მწუხარებისა“ (მწუხარება ნიშნავს „სიბრძნევეს“), ესე იგი არცოდნისა. ეს ძნელი ჰროცესია. „რამეთუ გონებაჲ და ნებაჲ მხდომ არიან ურთიერთას და მარადის ბრძოლა დამკვიდრებულ არს შორის მათსა სულსა ზედა“ (68).

სურვილი არის ის ძალა, რომელიც სულს ბნელი მატერიისკენ ეზიდება. გონება ამას წინააღუდგება და სულს ჩამოხსნის არცოდნის საბურველს, დაანახებს, რომ მატერიალური სამყარო არაარსია. ეს

ბრძოლა შეადგენს კაცობრიული არსებობის აზრს. არსებობა ისეა წიწყობილი, რომ „ვერვის ხელეწიფების შემოსად სამოსად სამოსელი იგი უხრწნელებისაა, ვიდრე არა შევარდეს ხრწნილებასა ხორცთასა“ (153). ზამყარო იმისთვის არის გაჩენილი, რომ აღამიანმა გონიერად მოიხმაროს ყოველივე, რაც მის ირგვლივ არსებობს, და მოემზადოს მარადიული ყოფისთვის (149). მაგრამ მატერიალური არსებობის ტყვეობაში მოხვედრილი სული თავდაპირველად შემცდარია და სურვილთა კაპრიზებს ემორჩილება. ამასთან, სურვილი მიაჩნია თავის მეგობრად და კეთილისმყოფლად, ხოლო გონება, რომელიც ამქვეყნიურობის ბოკილთაგან თავის დახსნის ძნელ გზას მიუთითებს, მაჭირვებლად ეჩვენება (68). აქ ჩაერთვის ცნება ეშმაკისა, რომელიც ნიდაგ იმის ცდაშია, კაცს მომხიბვლელად მოაჩვენოს სოფელი და საშუალება არ მისცეს მოიშოროს სიბრძავის საბურველი. ამ შემთხვევაში ხსნა აღარ არის, თუ საქმეში არ ჩაერია ღმერთი. მხოლოდ მისი დახმარებით შეიძლება ეშმაკის დათრგუნვა. „რამეთუ არა არს ძალი და ღონე, რომლითა წინააღმდეგეთ ღონეთა მტერისათა, გარნა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიერ დავსცეთ“ (69).

ასე შეერწყმის სურვილისა და გონების ბუდისტური დაპირისპირება ქრისტიანულ მსოფლგაგებას. ამას დაერთვის ანტიკური აზროვნებიდან მომდინარე ნაკადი — ყოველივე ამის ლოგიკურად დასაბუთების ცდა. ბალაჰვარი საგანგებოდ აფრთხილებს იოდასაფს: „...დაადგერ სწავლულებასა და ნურარას დაამტკიცებ პირველ გამოცდისა“ (63).

ოლონდ, რალა თქმა უნდა, ის საბუთები, რომლებიც ბალაჰვარს მოაქვს თავისი მოძღვრების გასამაგრებლად, ხშირად გულუბრყვილოცაა¹ და ბოლოს და ბოლოს არგუმენტს ავტორიტეტიც ენაცვლება ხოლმე.

საგულისხმოდ მეჩვენება ის ამბავიც, რომ ავტორი, რომელიც ცდილობს თანმიმდევრულად ლოგიკური იყოს და ყოველი თავისი დებულება დაასაბუთოს, საჭიროდ არ მიიჩნევს აღძრას და განიხილოს პერსონალური სულის უკვდავების პრობლემა (ამის თაობაზე ლაპარაკია მხოლოდ მოკლე რედაქციაში, ვრცელში — არა). არც ეს ამბავი უნდა იყოს შემთხვევითი. აქ უნდა გვეჩვენოს ნაგვიანევი გავლენა ბუდიზმისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ საკითხს უხალისოდ

¹ მაგალითად, როდესაც იოდასაფი ეცითება — საიდან ვიცით, რომ კეთილსა თუ ბოროტის ყოფისთვის კაცთ სანაცვლო მიეგებათო მომავალ ცხოვრებაში, ბალაჰვარი უპასუხებს: ჩვენ ვხედავთ, რომ ამქვეყნად მრავალი უღმერთო შეებითა და განცხრომით ცხოვრობს, ხოლო მრავალი მორწმუნე სოგლახაყესა და უბედურებაში ატარებს სიცოცხლეს, ხოლო, რადგან ღმერთი მართლმანაჟელია, ცხადი უნდა იყოს, რომ, რაკი მორწმუნენი ამ ცხოვრებაში არ აღიდა, იმ სოფლად მაინც მიუზღავსო სანაცვლო სჯეტეს.

განხილავდა ხოლმე და მისთვის საბოლოო პასუხი არასოდეს გაუცია (მოვიგონოთ მეფე მილინდასა და ნაგასენას ცნობილი დიალოგი), რამაც ზოგიერთ მკვლევარს ისიც კი აფიქრებინა — ბუდიზმი არ ცნობსო სულის უკვდავებას.

ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს სულის უკვდავების ლოგოკურად დასაბუთების ცდა, თორემ თავისთავად ჩვენი თხზულების ავტორი, ცხანდია, პერსონალური სულის უკვდავების იდეის მიმდევარია. ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ, შეიძლება ვიფიქროთ, მის ხელთ არსებული არგუმენტებით მან ვერ შეებდა აღნიშნულ პრობლემას და ისე გულდაჩერებულად ვერ დაიწყო მის შესახებ მსჯელობა, როგორც ეს მოიმოქმედა ლმერთის არსებობის დასაბუთებისას.

შესწავლილ ძეგლთაგან (არაბული ვერსია და ორი ქართული რედაქცია) ძირითადი მიზანდასახულებისთვის (ჩვენს შემთხვევაში — ქრისტიანობას აპოლოგია და განდევნობის იდეალი) უმჯობესი ჟორმა მოძებნილი აქვს ქართულ მოკლე რედაქციას. ეს ითქმის, უწი-ბარეს ყოვლისა, თხზულების აღნაგობის, კომპოზიციის გამო. ამ მოსაზრების მშვენიერი ნიმუშია ის ფაქტი, რომ ვრცელი რედაქციისა და არაბული ვერსიის სამი პიროვნება — სოფლის ამაოებისთვის მეტყვე-ლი ვილაღ დიდებული, სიტყვის მკერავის მიერ გადარჩენილი ვეზირი და თავად ბალაპვარი (ბილაუპარი) — მოკლე რედაქციაში შერწყმუ-ლია ერთ პერსონაჟად — ბალაპვარად, რაც თხრობას გაცილებით უფ-რო დინამიკურსა და მიზანმიმართულს, ლოგიკურს ხდის.

ექვი არ არის, ამგვარი შერწყმა მეორეული მოვლენაა და არა პირველადი ვითარების ამსახველი (მართებულად აღნიშნავდა აკადე-მიკოსი კორნელი კეკელიძე, რომ წარმოუდგენელი რამ არის ერთი პიროვნების სამად დაშლა შემდეგ მომხდარიყოს). ოღონდ ვრცელი რედაქციისა და არაბული ვერსიის ზოგიერთი მონაცემი ექვს ადძრავს, რომ ბალაპვარი (ბილაუპარი) პირველად თხზულებაში არ იყო იმ-დენად შორი ქვეყნიდან მოსული და სასახლისთვის უცხო პირი, რო-გორც ახლა არის გამოყვანილი ამ ძეგლებში.

ქართული რედაქციებისა და არაბული ვერსიის კომპოზიციურ სხვაობათა გამო ნაწილობრივ ზემოთაც იყო საუბარი. აქ დავსძენ: ბუდიზმის დაუძლეველობა არაბულ ვერსიაში, რაც სწორედ კომპოზი-ციითაც იჩენს თავს, იმას მეტყველებს, რომ ასეთივე იყო მისი ორიგინ-ალი ფაქტობრივი თხზულება (ან, როგორც დ. მ. ლანგი ვარაუდობს — პირველადი არაბული ვერსია): ხომ არ შეიძლება ბუდისტური ელემენტები ხელახლა გაჩენილიყო ამა თუ იმ ვერსიაში. თუკი მის ორიგინალს უკვე დაძლეული ჰქონდა ეს ელემენტები? ამგვარმა ვითა-რებამ შესაძლოა მოჰავეალში სულ სხვა ასპექტით წარმოვედგინოს

პირველადი ქართული ვერსიის რაღაც თხზულების ქრისტიანიზაციის რთულ ეტაპებად მიმდინარე პროცესში.

ქართული რომანის აღმოცენების ხანისთვის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ორივე რედაქციის ლექსიკა, მაგრამ მისი აქ თუნდაც ნაწილობრივ განხილვა ძალზე დიდ ადგილს დაიჭერდა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ზოგიერთი ლექსიკური მონაცემიც იმას გვაფიქრებინებს, რომ პირველადი ქართული რედაქციის წარმოქმნის სავარაუდო თარიღი მომავალში გაცილებით უკან გადაიწეეს ალბათ.

დასასრულ, ქართული რომანის მხატვრული კომპონენტებიდან მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდები.

სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ორივე ქართული რედაქციის ტექსტი ხშირ შემთხვევებში წარმოადგენს რიტმულსა და ალიტირებულს, ალგ-ალაგ მარტივი რითმებით გაწყობილსა და სახეთა პარალელიზმს დაჟყარებულ პროზას.

ცნობილია: მას შემდეგ, რაც პავლე ინგოროყვამ პროზაულად მიჩნეულ მრავალ ტექსტში ლექსებს მიაკვლია, ძველი ქართული ძეგლების ამ თვალსაზრისით შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. მაგრამ ეკვდაც არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ რაიმე მსგავსს დადასტურებდა აგრეთვე „სიმბრძნე ბალაჰვარისი“.

ჩემი ყურადღება პირველად ალიტერაციებმა მიიპყრო. მოკლე რედაქციის სიმფონიის შესადგენად ტექსტიდან ლექსიკურ ერთეულებს რომ ვიწერდი, შევნიშნე, რომ ზოგჯერ ერთ წინადადებაში ერთსა და იმავე ასოზე რამდენიმე სიტყვა ლაგდებოდა მიყოლებით. მაგალითად. ანგვარად: „...მოწყალებისა მათისათჳს მიაგებს ცხადად“ (მანი); „ესე შეიკრძალე და შეისწავლე და ჭუართა შეიკურე და ღმერთი მშჳდობისაჲ იყავნ ყოველთა თანა შინა საქმეთა შენთა“ (შინი); „...წარმავალია წილ ადგიარჩევიეს წარუვალი“ (წარი); „...გუესმის გალობაჲ ტებილ, რომელი გამოვალს პირთაგან ანგელოზთასა“ (განი)...

რამდენადაც მოკლე რედაქცია გამოკრებისა და გადაამუშავების შედეგად მიღებული ნაწარმოებია, საფიქრებელი იყო, რომ ზემოაღნიშნული თვისებები მხოლოდ მისი პრიორიტეტი იქნებოდა და ვრცელი რედაქციის საკმაოდ მდორე თხრობას მსგავსი არაფერი ეკოდინებოდა, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ გაიკვია:

„და მაშინ დავინახე, რამეთუ სიწმიდე მისი სიმრღვე არს, და სიხარული მისი მწუხარებად, და სიმდიდრედ მისი სიგლახაკედ. და სიმაღლე მისი სიმდაბლედ. და შუებაჲ მისი სინანული“ (6. 37—7, 1).

ასევე მოულოდნელი იყო ვრცელსავე რედაქციაში რიტმულად ორგანიზებული ტექსტისა და მარტივი რითმების მიკვლევა.

აი, რამდენიმე ამონაწერი ვრცელი რედაქციიდან:

„უგუნურო, შენ იყავ პათივცემულ და წარჩინებულ წინაშე ჩემ-

სა და აწ გიყოფიეს თავი შენი უგუნურთა თანა საცინელ, და დაამკვ
დიდებამ შენი, რომელი გაქუნდა წინაშე ჩემსა, და წარსწყმდიდ დიდე-
ხამ შენი, და იქვენ საკიცხელ და საჭიქელ ერსა შორის...”

„და დაამძიმა კელი მისი მათ ზედა, ვიღრემლის განმარტა კელი მი-
სი მათ ზედა...” (4, 17—18);

„სარწმუნო არს ჩემთანა სიბრძნე და გონებამ შენი, ხოლო საეპუ-
ელ ჩემდა არს გულის წყრომამ და ნებამ შენი“ (6, 1 — 2).

„და მიჩუენა მე ყოველნი საცთურნი და საბრტენი მისნი, რომლითა
მოინადირნეს ყოველნი მოყუარენი მისნი“. (6, 25—27).

„ხოლო მიზეზნი ტკივილისა და გულის კლებისანი —

მოლოდებითა მით მოწეენალთა ბოროტთაჲთა,

გინა შემთხვევითა სენთაჲთა,

გინა ოწეენილა ვნებთაჲთა.

გინა თუ მოსლვითა სიკუდილისაჲთა

თვთ მის თავადისა ზედა“ (7, 10—13):

„აწ უკუე შუებათა მათ მსწრაფლ შე-ხოლო-უღვს მწუხარებამ,
თვნიერ ღონისა განშორებამ“ (7, 15).

„...განსლვასა ზედა ვიპოენით ქუეყანით შენით“ (17, 1).

„...და დავღგი წინაშე მისსა, ვითარცა მონამ, ვითარცა მონამ რად
დგან წინაშე უფლისა თვისსა“ (108, 8 — 9);

„...რამთამცა შეგაკსენე სიტყუამ ცხორებისამ, რომელი-იგი არს
სიცოცხლე გონებისამ“ (78, 8 — 10);

„...რამეთუ იყო იგი ფრად გონიერ და სიტყვა-პოვნიერ“ (125, 5).

დაუებრუნდეთ მოკლე რედაქციას:

„...საქმენი ამის სოფლისანი, ფრად სარგებელნი სულისანი“.

„...სირცხვილ მიჩნს, გარნა მჭირს და მით მოვედ შენდა“.

„...არა მიეცეს სატანჯველსა დაუსრულებელსა, ცეცხლსა და მატ-
ლსა დაუძინებელსა, და ბნელსა გარესკნელსა“ (78, 32—35);

„...სამოსელი ჩუენი არს ძუელი, დაბეჭული, ნაგევთაგან შეყრ-
ბული“ (83, 17—19);

„და შენ, რომელი გნებავს, იგი ქმენ“ (79, 11):

„და ვითარ არა მოვიწყინო სოფელი ესე. რამეთუ იგი მოიწყინს
მოყუარეთა მისთა. და ვითარ არა ვექცე, რამეთუ იგი ექცევის მრავალ-
ფერად კაცთა; ანუ ვითარ დავსჯერდე კეთილთა მისთა, რამეთუ კეთილ-
ნი მისნი ბოროტ არიან...“ (106, 36—107, 4).

ამჯერად ეს ვიკმაროთ, აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ქართული რე-
დაქციების ხსენებული თვალსაზრისით შესწავლა, გარდა სხვა ასპექ-
ტებისა, ძეგლის წარმომავლობის საკითხსაც გარკვეულ შუქს მოჰფენს
აღბათ.

გასრულდა დიდი საქმე

გასრულდა დიდი, საშვილიშვილო საქმე — გამოიცა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის უკანასკნელი, მერვე ტომი.

მკითხველებს კარგად ემახსოვრებათ, რაოდენ დიდი სახარულო მოგვანიჭა განმარტებითი ლექსიკონის პირველი ტომის გამოჩენამ წიგნის მალაზიებში ამ თხუთმეტი წლის წინ, ათას ცხრაას ორმოცდაათს.

ისიც გავიხსენოთ, როგორ იქმნებოდა ეს მონუმენტური ნაშრომი.

1945 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია, რომელშიც შევიდნენ: გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, სიმონ ვაჩნაძე. ვარლამ თოფურია, თამარ ლომოური, სტეფანე მენტეშაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი და სიმონ ჯანაშია.

1949 წლის ოქტომბერში შექმნილი ლექსიკონის მთავარი რედაქცია თავდაპირველად 7 წევრს აერთიანებდა, საბოლოოდ კი 15 წევრამდე შეივსო: გიორგი ახვლედიანი; ივანე გიგინეიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ვასო ეგნატაშვილი, სიმონ ვაჩნაძე, ვარლამ თოფურია, ნაიკოლოზ კეცხოველი, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი ლეონიძე, ქეთევან ლომთათიძე, თამარ ლომოური, სტეფანე მენტეშაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, არნოლდ ჩიქობავა და გიორგი წერეთელი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორია არნოლდ ჩიქობავა.

კომისია და მთავარი რედაქცია ხელმძღვანელობდნენ განმარტებითი ლექსიკონის შესაქმნელად გაწეულ მუშაობას.

როგორც ხედავთ, ამ დიდი საქმის მუსყვეურობა მიენდოთ გამოჩენილ მეცნიერებს, ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებს.

ლექსიკონის შედგენას საფუძვლად დაედვა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები“, რომლის პროექტიც დაამუშავა პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ და რომელიც კომისიამ ლეტალურად განიხილა და მიიღო 1945 წელსვე.

უშუალოდ ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო 1936—1941 წლებში შედგენილი სიტყვანის განხილვით. ამ სიტყვიანიდან ლექსიკონში შესატანად შეირჩა 65 ათასი სიტყვა. ამავე დროს, 1945—1948 წლებში სიტყვანი შეივსო ზმნური ლექსიკური ერთეულებით.

ამის შემდეგ საჭირო იყო სიტყვათა განმარტება და სადოკუმენტაციო ფონდის შექმნა — საილუსტრაციო გამოთქმათა ამოწერა მხატვრული, სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურიდან. რაოდენ შრომატევადი იყო ეს სამუშაო, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ სიტყვათა განმარტებაში ჩაბმული იყო 35 სპეციალისტი, ხოლო საილუსტრაციო ამონაწერებმა მილიონ ექვსასი ათასი საკარტოთეო ბარათი შეადგინა.

განმარტებული მასალის განხილვაზე ექვსი სარედაქციო კომისია მუშაობდა. ენათმეცნიერთა გარდა ამ საქმეში ჩაბმული იყვნენ მწერლებიც (თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, ილია ზურაბიშვილი).

დაბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ ორმოცამდე ენათმეცნიერი, რომლებიც განმარტებულ მასალას სადოკუმენტაციო ფონდებს უდარებდნენ, ამ მასალას კითხულობდნენ, რეცენზიებს წერდნენ, ტექსტის რედაქტირებასა და სასტამბოდ მომზადებაზე მუშაობდნენ და ა. შ. აგრეთვე სპეციალურ ტერმინთა განსამარტავად თუ საკონსულტაციოდ მოწვეული ორმოცამდე გამოჩენილი სპეციალისტი.

პირველი ტომის (როგორც უკვე ითქვა, 1950 წელს გამოიცა) რედაქტორია პროფესორი არნოლდ ჩიქობავა, მეორე ტომისა (1951) — პროფესორი გიორგი წერეთელი, მესამისა (1953) — პროფესორი ვარლამ თოფურია, მეოთხისა (1955) — პროფესორი არნოლდ ჩიქობავა და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მიხეილ ქაბაშვილი, მეხუთის (1958) დოცენტი სიმონ ვაჩნაძე და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ოტა კახაძე, მეექვსის (1960) — პროფესორი თინათინ შარაძენიძე და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მერი მესხიშვილი, შუშვიდესი (1962) — პროფესორი ქეთევან ლომთათიძე, დოცენტი სტეფანე მენთეშაშვილი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი პოლიევქტ გაჩეჩილაძე, მერვესი (1964) — დოცენტი ივანე გიგინეიშვილი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ბიძინა ფოჩხუა.

ჩვენი საზოგადოების საერთო აზრს გამოვხატავ ალბათ, თუ ვიტყვი, რომ ლექსიკონის შესაქმნელად გაწეულ მუშაობაში ჩაბმულ მრავალრიცხოვან კოლექტივს, მის თითოეულ წევრს მადლიერების გრძობით მოიხსენიებს ყველა, ვისაც კი რაიმე აკავშირებს ქართულ სიტყვასთან.

სულ ლექსიკონი შეიცავს ას ცამეტ ათასამდე (112 949) სიტყვას.



განუზომლად დიდია განმარტებითი ლექსიკონის მნიშვნელობა ქართული ენის, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარებისათვის. როგორც ცნობილია, ენა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია ერისა, ენის სიმდიდრე, მრავალფეროვნება, დახვეწილობა ერის ძალმოსილ-

ბასაც მოასწავებს. ხოლო ენის სიმდიდრისა და უზადობისათვის გარჯა ერთობ ძნელია, თუკი არ არსებობს ამ ენის ლექსიკური მარაგის და მისი ბუნების ასე თუ ისე სრულად ამსახველი ლექსიკონი.

თავის დროზე სულხან-საბა ორბელიანი ჩიოდა: „...ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინოქმნილიყო... ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰქარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ...“

ქართული კულტურის განვითარების დღევანდელი დონე ვერაზგზით ვერ შეიწყნარებდა „თვისთა ნებაზედ გაერყვნათ“ ჩვენი ენა სხვათა და სხვათა. აუცილებელი იყო გვექონოდა მეცნიერების თანადროული მოთხოვნების შესატყვისად დამუშავებული, მკაცრად დადგენილი პრინციპების მიხედვით გამართული, ჩვენი ფასდაუდებელი ეროვნული საუნჯის თავის მომყრელი და გამომამზეურებელი ნაშრომი, რომლითაც, სპეციალისტების გარდა, რიგითი მკითხველიც თავისუფლად ისარგებლებდა.

ასეთი ნაშრომი შეიქმნა.

იმ პრინციპთაგან, რომლებიც საფუძვლად დაედვა ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონს, ყურადღებას საგანგებოდ გავამახვილებ ზნნური ლექსიკური ერთეულების ლექსიკონში შეტანის საკითხზე.

ევროპული ენების ლექსიკონებს შეჩვეული მკითხველი (მით უმეტეს ისეთი, ვინც საგანგებოდ არ დაჰკვირვებია საბაჲ „სიტყვის კონას“) შესაძლოა შეცბუნდეს, როდესაც გადაშლის განმარტებითი ლექსიკონის პირველ ტომს და პირველსავე გვერდზე პირველ სიტყვად ამოიკითხავს ააბაბანებს. ამას მოსდევს ააბაკუნებს, ააბამს, ააბარგებს, ააბარგვინებს, ააბდღვრიალებს და ასე შემდეგ. ევროპული ენების ლექსიკონებს შეზრდილი მკითხველი ამ ლექსიკური ერთეულების ნაცვლად, ცხადია, მოელოდებოდა ამგვარ ფორმებს: ააბაბანება, ააბაკუნება, ააბმა, ააბარგება და სხვა..

რამ განაპირობა პირიანი ფორმების ლექსიკონში შეტანა, რატომ განმარტებითს ლექსიკონშიც, ტრადიციისამებრ, მხოლოდ ნაზმნარი არსებითი სახელი არაა მიჩნეული ლექსიკურ ერთეულად?

ამ კითხვის პასუხს ვიპოვნით განმარტებითი ლექსიკონის პირველ ტომს დართულ წინასიტყვაში:

„ქართული ენის ბურჯი ზმნაა და არა სახელი: გამომხატველობითი საშუალებების სიმდიდრით ზმნა ქართულში ბევრად წინა დგას სახელზე. ზმნის ექსპრესიული ძალა დიდია, ზმნას შეუძლია წარმოვიდგინოს მოქმედება: როგორც პასიური პროცესი და როგორც სუბიექტის აქტიურობის გამოვლინება: ითვისება და თესავს; როგორც სუბიექტისთვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან — აქტიური, პასიური): ითვისავს და უთვისავს, ეთვისება; როგორც სუბიექტის ნამოქმე-

დარი და როგორც საეის მეწვეობით შესრულებული: თესავს და ათე-
სვინებს; როგორც მდგომარეობა, სტატიკურს ყოფაში: თესია (ე. ი.
დათესილია; კუთვნილების აღნიშვნით: უთესია), და როგორც პროცე-
სი, დინამიკა: თესავს, ითესება, ითესავს და სხვ. ქართული ზმნის ეს
სიმდიდრე ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნის წარმომადგენლად
ნაზმნარი არსებითი სახელი (მოქმედებისა) გვექნება: მაგალითად, თეს-
ვა არ განასხვავებს არც მოქმედებითსა და არც ვნებითს, არც სასუბი-
ექტოსა და არც საობიექტო კუთვნილებას, არც მდგომარეობის აღნი-
შენელ (სტატიკურ) წარმოებას“.

როგორც წინასიტყვიდანვე ჩანს, ანგვარ პრინციპს ყველა ქართვე-
ლი ენათმეცნიერი თუ ლექსიკოგრაფი როდი იზიარებს. საკითხი სა-
დავო ყოფილა. და არაფრით არ იქნება გამართლებული. ენათმეცნიერ-
თა და ლექსიკოგრაფთა პაექრობაში არასპეციალისტებიც ჩაებან და
მსგავს პრინციპულ საკითხთა გადაჭრას შეეცადონ ერთი ან მეორე
მხარის სასარგებლოდ.

მაგრამ კადნიერებად არავენ უნდა მიიჩნიოს, თუ არასპეციალის-
ტი მკითხველიც იტყვის: რამდენადაც ქართული ენის ბუნების ასეთი
თუ ისეთი ცოდნა და აგრეთვე საკუთარი ალღო უფლებას მაძლევენ,
შემიძლია დავასკვნა, რომ განმარტებითი ლექსიკონის კომისიის მიერ
აღიარებული პრინციპი უფრო მართებულია.

მართლაც, ზმნური ლექსიკური ერთეულების შეტანა ლექსიკონს
ძალზე ამდიდრებს და მკითხველისათვის მოსახერხებლად სახმარა
ხდის.

საერთოდ, ლექსიკონი ერთობ იოლი გამოსაყენებელია. თვით
არაფილოლოგს და ნაკლებ წიგნიერ ადამიანსაც კი არ გაუჭირდება სა-
თანადო სიტყვის თუ მასთან დაკავშირებული სხვა სიტყვების
ნიკვლევა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი დოკუმენტირებულია —
სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა დამოწმებულია სათანადო
ილუსტრაციებით.

მე აღარ გამოვეუდგები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
სხვა ღირსებათა აღნუსხვას. ამ მხრივ ლექსიკონი გამოწვლილვით,
ამომწურავად მიმოიხილეს დოცენტმა ფარნაოზ ერთელიშვილმა და
მწერალმა ლევან გოთუამ (იხილეთ გაზეთი „კომუნისტი“, 1965
წლის 13 თებერვლისა და 1 აპრილის ნომრები).

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ რაკი ასეთ დიდ საქმეს თავი მოება,
მკითხველნი მოველოდებით, რომ ამ საქმის მესვეურნი დიდხანს აღარ
დააყოვნებენ და, დაპირებისამებრ, მოგვაწოდებენ ქართული ენის ის-
ტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონსაც.

ამთავითვე გვმართებს ვიფიქროთ აგრეთვე ქართული ენის განმარ-

ტებითი ლექსიკონის განმეორებითი გამოცემისათვის — შევსებული, შესწორებული და უფრო დახვეწილი სახით.

ამის აუცილებლობას ორი რამ განაპირობებს:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ფაქტურად ბიბლიო-ოგრაფიულ იშვიათობად იქცა უკვე; დაინტერესებული პირი ამ გამოცემის უკანასკნელ ორ ტომს თუ იშოვის თავისუფლად. დანარჩენი ტომები ალაღებდნენ და საძებნი. ზედმეტია იმის თქმა, რომ ლექსიკონის მთლიან კომპლექტს — რვავე ტომს ერთად — საერთოდ ვეღარსად წააწყდებით საყიდლად.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ეს გამოცემა დაზღვეული არაა (არც შეიძლება იყოს!) ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან.



რაკი უკანასკნელ საკითხზე ჩამოვარდა სიტყვა, ჩემს თავს უფლებას მივცემ, ლექსიკონის ზოგიერთი ნაკლი და ხარვეზი აქვე აღნიშნო. ეჭვი არაა, ლექსიკონის მესვეურნი ჩემს შენიშვნებს შეიწყნარებენ, თუკი, რაღა თქმა უნდა, მართებულად მიიჩნიეს ისინი. რაც შეეხება გულისწყრომას, ამ არასასურველი მოვლენისგან თავისთავად უნდა ვიყო დაზღვეული: რიგითი მკითხველისა და მიმკერძავი სპეციალისტის შენიშვნები ადვილი განსასხვავებელია (ისიც უნდა დავსძინო, რომ ლექსიკონს, ცხადია, სხვა ნაკლიც და ხარვეზიც ექნება აქ აღნიშნულის გარდა. ამ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს სხვებზე უკეთ, უწინარეს ყოვლისა, თავად შემქმნელი კოლექტივი მიაკვლევს და დაინახავს, მით უმეტეს ახლა, როდესაც საქმე უკვე გასრულდა და უფრო ადვილია ყოველსავე ზოგადად მიმოავლო თვალი, ცალკეულმა წვრილმანებმა აღარ შეაბრკოლონ მხერა).

აი ჩემი შენიშვნები.

1. ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში მრავლად გვხვდება სხვისი მეშვეობით შესრულებული მოქმედების გამოძახატველი ზმნები (კაუზატივი): ააბზეყინებს, ააგდებინებს, აანთებინებს, გააგანივრებინებს და სხვა...

როგორც უკვე ითქვა, ამგვარი ფორმების შეტანა ლექსიკონში მისასაღმებელია: ისინი ქართული ზმნის სიმდიდრეს მეტყველებენ თუ გვაქვს ააბზეყვს, იქვე უნდა იყოს მისი კაუზატივიც — ააბზეყინებს. გვაქვს ააგდებს და მისი კაუზატივი — ააგდებინებს. ასევე: აანთებს — აანთებინებს, გააგანივრებს — გააგანივრებინებს...

მაგრამ ირკვევა, რომ აგრეთვე მრავალი ზმნა კაუზატივის გარეშე წარმოდგენილი. არის ააბრძანებს, არაა ააბრძანებინებს, არის ააბრჭყვიალებს, არაა ააბრჭყვიალებინებს, არის აამეტყველებს, არაა

აამეტყველებინებს; ასევე არაა. სათანადო ზმნების პარალელურად: აამოქმედებინებს, აამტვერებინებს, აამტუტებინებს, აამღერებინებს. გააბრწყინებინებს, გააბურთავებინებს, გააკვლევინებს, გაამარტივებინებს და მრავალი სხვა.

ბუნებრივია. იბადება კითხვა: რატომ არაა ლექსიკონში შეტანილი ეს (და სხვა ამგვარი) ზმნები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე უნდა გავითვალისწინოთ ორი რამ.

ჯერ ერთი, როგორც ლექსიკონის წინასიტყვა გვამცნობს, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებაა აღნუსხოს და განმარტოს ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვა-კაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, — ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში“.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ლექსიკონის მთავარი რედაქცია წინასიტყვაშივე გვაუწყებს: „თქმა არ უნდა, ზმნურ ლექსიკურ ერთეულთა სრულად ჩვენებას ამჟამად ჩვენ ვერ შევძლებთ, ძირითადი კი გამოვლენილია“.

მაშასადამე, ხსენებული (და მსგავსი) ზმნების ლექსიკონში შეუტანლობა ან იმიტთა გამოწვეული, რომ ეს ზმნები წიგნის მეტყველებაში, წერილობითს წყაროებში არ გვხვდება, ან კიდევ იმიტ, რომ რედაქცია ლექსიკონის მოცულობის გაზრდას მორიდდება.

თუ პირველ მიზეზთან გვაქვს საქმე, აქ, ჩემი აზრით, ზოგი რამ დასაზუსტებელია (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის — მკითხველებისათვის, თავად შემდგენლებს ლექსიკონისა, საერთოდ, ენათმეცნიერებსა და ლექსიკოგრაფებს, უნდა ვიფიქროთ, უჩვენოდაც მშვენივრად აქვთ გარკვეული ის, რის შესახებაც ქვემოთ მექნება მსჯელობა).

ზემოთ მოტანილი იყო ციტატი ლექსიკონის წინასიტყვისა, საიდანაც ჩანდა, რა პრინციპი შეიმუშავა რედაქციამ ზმნურ ლექსიკურ ერთეულთა შერჩევისას. ქართული ზმნის ბუნების სრულად წვდომის საფუძველზე დადგინდა, რომ ზმნამ მოქმედება შეიძლება წარმოკვდილოს: როგორც პასიური პროცესი და როგორც სუბიექტის აქტიურობის გამოვლენა: როგორც სუბიექტისთვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან — აქტიური, პასიური); როგორც სუბიექტის ნამოქმედარი და როგორც სხვის მეშვეობით შეპარულებული, როგორც მდგომარეობა, სტატიკურობა და პროცესი, დინამიკა. თუ ავიღებთ მაგალიცად ზმნას თესავს, მითითებული ნიშნების საფუძველზე ლექსიკონში აღგილი უნდა დაიმკვიდროს შემდეგმა ერთეულებმა: თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია.

მართლაც. ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში ყველა ეს ზმნა სახეზეა. აქასთან, ყოველი მათგანი დოკუმენტირებულია — განმარტებას ახლავს საილუსტრაციო მასალა, რაც მოწმობს, რომ ეს ერთეულები წიგნის მეტყველებას მოუწოდებია.

ახლა ვიკითხოთ: როგორ მოვიქცევით, თუკი წიგნის მეტყველება, წერილობითი წყარო არ დაგვიდასტურებს ამა თუ იმ ზმნის ერთ-ერთ მოსალოდნელ წარმოებას?

„ამა ორთა კიდევანთა აზრი არა არ იქნების“. ან საერთოდ არ შევიტანთ ლექსიკონში არც ერთ სიტყვას, რომელიც წერილობითს წყაროში არ შეგვხვდება, ან კიდევ, წერილობითი წყაროების მხრივ დაუმოწმებლობისდა მიუხედავად, ლექსიკონითაც დავადასტურებთ ამა თუ იმ მოსალოდნელ წარმოებას (ზმნის გარდა ეს საკითხი ლექსიკონში შესულ მეტყველების სხვა ნაწილებსაც ეხება, ცხადია, ოღონდ ამჟერად მათ დაეხსნათ, ზმნის ფარგლებს ნუ გავცდებით).

ნებისმიერი მესამე გზის არჩევა პრინციპიდან გადახვევის მომასწავებელი იქნებოდა.

პირველ შემთხვევაში თავს ვერასოდეს დავალწევდით უსრულობას. ხარვეზებს: ვინ იქნება თავდები, რომ ესა თუ ის წარმოება, რომელიც დღეს არ გვხვდება წიგნის მეტყველებაში, ხვალაც აღარ შეგვხვდეს, ან რა გარანტია გვაქვს, რომ შემთხვევით არ გამოგვრჩენია ესა თუ ის ერთეული?

მეორე შემთხვევაში საფუძველი გვექნება ვთქვათ, რომ ქართული ზმნა ლექსიკონში სრულად არის წარმოდგენილი, რომ ლექსიკონი ამოწურავს ქართული ზმნის მარაგს.

აღნიშნულთაგან რომელ პრინციპს ადგას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი? უნდა ითქვას, ძნელია ამ საკითხზე პასუხის გაცემა.

ავიღოთ ზმნა ხარშავს. წარმოების ზემოთ მოტანილი ნიმუშის თანახმად, ამ ზმნამ უნდა მოგვეცეს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ხარშავს, იხარშავს, უხარშავს. ახარშვინებს, ეხარშება, იხარშება (სტატიკური წარმოება ამ ზმნას არ ექნება). ამათგან განმარტებითს ლექსიკონში წარმოდგენილია (სათანადო დოკუმენტაციითურთ) ყველა ერთეული, გარდა ერთისა: ეხარშება.

მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს წარმოება (თავისთავად ერთობ ბუნებრივი) არ დაუდასტურებია ლექსიკონის შემდგენელთა მიერ გამოყენებულ წერილობითს წყაროებს. სხვაგვარად ვერ აიხსნება ექვსი წარმოებიდან მხოლოდ ერთის განწირვა.

აქედან დასკვნა: რელაქციას სახელმძღვანელოდ აურჩევია მითითებულთაგან პირველი პრინციპი (არ შევიტანთ ლექსიკონში არც ერთ სიტყვას, რომელიც წერილობითს წყაროში არ შეგვხვდება).

ამავე დროს, ლექსიკონში უდოკუმენტაციოდ წარმოდგენილი იშვიათი ტიპის რამდენიმე ზმნა (ააგროვებინებს და მიხთანანი), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნიშანდობლივი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ეს პრინციპი ყოველთვის არაა მკაცრად დაცული.

და, თუ ეს ასეა, მაშინ ძნელი გააარკვევია - - რა ნიშნის მიხედვით ეძლევა უპირატესობა ამა თუ იმ ზმნას (ვთქვათ, ზემოხსენებულ კაუზატრეებს) თავის მსგავსთა წინაშე.

2. ესოდენ დიდი გამოცემის განხორციელებისას ცალკეული ტომების რედაქტორებს თუ მთელი ლექსიკონის მთავარ რედაქტორს, ცხადია, არ შეიძლება მხედველობიდან არ გამოარჩეთ ზოგიერთი შეუსაბამობა თუ უზუსტობა, რაც ცალკეული სიტყვების განმარტებას თან სდევს ლექსიკონში. ამიტომ, ვფიქრობ, მკითხველთა მხრივ ამ თვალსაზრისით, ამ სფეროში შენიშვნების მიწოდება მომავალ გამოცემას შეეძველად წაადგება.

მოვიტან ჩემი აზრით შესასწორებელ განმარტებათა რამდენიმე ნიმუშს პირველი ორი ტომიდან (ყველა ტომის ასევე საგულდაგულოდ გამოწვლილვით შესწავლა და დამუშავება ამჟამად ჩემს ძალას აღემატებოდა).

„ააშენებს — აღმართავს, ააგებს“.

თითქოს არავის უნდა ჰქონდეს რაიმე სადავო ამ განმარტებასთან: ყოველივე გასაგებია და ლოგიკური. მაგრამ ვიყოთ რეალურნი და საკითხი ასე დავსვათ: ყოველმა ქართულის მცოდნემ (თუნდაც სუსტად მცოდნემ) ისედაც მშვენივრად იცის, რას ნიშნავს სიტყვა ააშენებს; ოღონდ ეს არათერს ცვლის — განმარტებითს ლექსიკონში, რაც უნდა კარგად ნაცნობი, ყოველდღიურად სახმარი სიტყვა იყოს, განუმარტავად ვერ დარჩება, თუნდაც ფორმალური მოსაზრებების გამო. მაგრამ თუნდაც ამგვარივე მოსაზრებების გამო განმარტება ტავტოლოგიად არ უნდა იქცეს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ როდესაც ვკითხულობთ: „ააშენებს — აღმართავს, ააგებს“, შესაძლოა უნებლიეთ ჩავხედოთ განმმარტებელ სიტყვებსაც, შედეგი საკმაოდ მოულოდნელი იქნება: „ააგებს—ააშენებს“, „აღმართავს — იგივეა, რაც ამართავს“. ხოლო რა არის ამართავს? „ამართავს — ააგებს, ააშენებს, დადგამს“ (მე-3 მნიშვნელობა). აქ უკვე გაჩნდა დადგამს. ამ სიტყვისაც ჩავხედოთ: „დადგამს — ააშენებს, ააგებს“ (მე-2 მნიშვნელობა).

მაშასადამე, დაგვიგროვდა ოთხი სიტყვა (ააშენებს, ამართავს, ააგებს, დადგამს), რომელთაგან ოთხივე ერთიმეორეს განმარტავს სხვა რაიმე ნიშნის გარეშე. ამავე დროს, ეს ოთხი სიტყვა არამც და არამც არაა ერთმანეთის მიმართ ისეთი ზუსტი სინონიმები (როგორიცაა, ვთქვათ, ავადმყოფი და სნეული, კოჭლი და მკელობელი, კოცნა და ამბორი, ბებერი და მოხუცი, ბარათი და წერილი და მრავალი სხვა...), რომ თითოეულის შინაარსმა დანარჩენთა შინაარსი ამოწუროს და დაფაროს.

მე მესმის, რომ მთელ ამ მსჯელობასაც დაჰკრავს ფორმალურობის

იერი. მაგრამ დიდია სურვილი — ამ შესანიშნავ ნაშრომში ყოველივე აბსოლუტურად ზუსტი, ბოლომდე გარკვეული და უზადო იყოს.

„ააწიალებს — წიალით აიყვანს“ (აქვეა ილუსტრაცია: „მერცხალს მხარში შეუსხდა დედ-მამა, ერდომდის ააწიალეს“..).

წიალი საკმაოდ უჩვეულოდ ყლერს. შესაძლოა მრავალმა მკითხველმა არ იცოდეს მისი მნიშვნელობა. ვნახოთ ლექსიკონშივე: „წიალი — ხეტიალი, წოწიალი“.

შეუსაბამობა აშკარაა.

ლექსიკონში მოთავსებული ზოგიერთი სიტყვის ზედმეტად ძუნწა, სიტყვაძვირი განმარტება მოულოდნელ კონტრასტად ჩანს სხვა სიტყვათა ამომწურავ, ზოგჯერ ერთობ გულუბნ განმარტებასთან შედარებით. ავიღოთ სიტყვა ანგალა. დარწმუნებული ვარ, მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ეს უცნობი სიტყვა იქნება. ამიტომ აშკარად არასაკმარისია (აღარ ვამბობ: მკითხველისათვის არაფრის მთქმელია-მეთქი) ამგვარი ლაკონური განმარტება: „ანგალა — ოქრო-მკედლის იარაღი“.

შევუდაროთ ამ განმარტებას მეორე: „ანეკი-ბანეკი — საბავშვო თამაშობა. ბავშვს, რომელმაც ჯერ კიდევ რივიანად თვლა არ იცის, დიდები გასართობად ეუბნებიან, რომ ერთი ხელიდან ოცს თითს გამოვიყვანოთ, და ითვლიან: ანეკი, ბანეკი, თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი. თვლას ნეკიდან იწყებენ“.

არც ამგვარი განმარტებაა სრული: „გააცლანგებს—ცლანგს გახდის“. ცლანგი არაა ისეთი ჩვეული სიტყვა, მისი მნიშვნელობა ყველამ იცოდეს. რომ გაიგოთ. რას ნიშნავს გააცლანგებს, უნდა მოძებნოთ ცლანგი („ცულლუტი“ ყოფილა). ისიც ანგარიშგასაწევეია, რომ, თუ ვინმე მართლა დაინტერესდა ამ სიტყვით, 13 წელიწადს მოუხდებოდა ლოდინი: „გააცლანგებს შეტანილია ლექსიკონის მეორე ტომში, რომელიც გამოვიდა 1951 წელს, ხოლო ცლანგი — მერვეში, რომელიც შარშან გამოიცა.“

ზოგიერთი განმარტება შინაარსის მხრივ მეჩვენება სადავოდ.

„გაამჩივნებს — მომჩივნად გახდის“. საილუსტრაციოდ მოტანილია რუსთაველის ფრაზა: „საბოლოოდ დამირიგდა, თავი მისი გაამჩივნა“. სათანადო ადგილას „ვეფხისტყაოსანში“ ამ ფრაზას ამბობს ტარიელი, რომელსაც ფრიდონმა შოუთხრო თავისი თავგადასავალი — თავი გაამჩივნა. კონტექსტის მხედვეთ თუ ვიმსჯელებთ, უფრო სწორი უნდა იყოს მკვლევარ რამაზ პატარიძისეული განმარტება, რომლია მიხედვითაც გაამჩივნა ნიშნავს გაამჟღავნა.

სიტყვასთან გააქვს მოტანილია იდიომატური გამოთქმა: ბურთი გააქვს, რომელიც განმარტებულია ასე: „ბურთი გააქვს — ბურთი დანიშნულ ადგილზე მიაქვს“. არა მგონია მართებული იყოს ანგარიშგაუწე-

ვლობა იმ ფაქტისა, რომ მილიონობით ქართველისთვის ბურთის გატანა ადგილზე მიტანას კი არ ნიშნავს, არამედ დარტყმის შედეგად ჰაღეში (კარში) მოთავსებას.

ორიოდე წვრილმანი კიდეც.

სიტყვას გაბანცალდება მიწერილი აქვს „სასაუბრო“, ხოლო სიტყვას ბანცალი — „კუთხური (იმერული)“. თუ ბანცალი კუთხურია, გაბანცალდებაც კუთხური უნდა იყოს და პირუკუ.

გააჩოჩებს — მიწერილი აქვს: „კუთხური (იმერული, გურული)“. ხოლო ზმნები გადააჩოჩებს, მიაჩოჩებს, მოაჩოჩებს უკვე ამგვარი კვალიფიკაციის გარეშეა წარმოუდგენილი. მსგავსი ფაქტები, ცოტა არ იყოს, აბნევს მკითხველს.

3. ალაგ-ალაგ საილუსტრაციო მასალა მარჯვედ ვერაა შერჩეული, ახ კიდეც შეცდომითაა წარმოდგენილი.

სიტყვასთან საიმდროო ვკითხულობთ ამგვარ ილუსტრაციას: „საიმდროო ყვაილები ქარში მიქრის ტბორი“.

გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსის სათანადო ადგილას წერია:

ქარიშხალი მოდის საიმდროო
ყვაილები ქარში მიქრის ტბორი.

რა ვუყოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების 1927 წლის გამოცემაში ამ ადგილას კორექტურული შეცდომაა — მძიმე არსად უსვია; ვაბმულადაც რომ ეწეროს ეს ორი სტრიქონი და არა ლექსად, „საიმდროო ყვაილები“ მაინც არ უნდა ამოვიკითხოთ. პირველ სტრიქონში ელემენტარული ტმეის გვაქვს: „ქარიშხალი მოდის საიმდროო“ იგივეა, რაც „საიმდროო ქარიშხალი მოდის“. სხვაგვარად ამ სტრიქონების წაკითხვა გაუგებრობაა — „საიმდროო ყვაილები“ წარმოუდგენელი რამ არის.

სიტყვასთან ხილაყვარდე მოტანილია გალაკტიონ ტაბიძისავე ლექსის ციტატი. ვერასგზით წარმოვიდგენდი, რომ ამ პოეტურ სიტყვასთან (მომიტევონ ენათმეცნიერებმა!) დაკავშირებით არ მოიტანდნენ ლაპის ყოველი ქართველის მიერ ზეპირად დახსომებულ სტრიქონებს — „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარაა და შორეული ცის სილაყვარდე“ და ნაცვლად ამისა წარმოგვიდგენდნენ ამგვარ უგემურ ფრაზას გალაკტიონის აღრეული ლირიკიდან: „ცის დასაუვალს, როგორც ლუქი, გადაეკრა ნორჩი შუქი, შემორტყმული ნაზი ლილით, აფერადდა ყვაილივით სილაყვარდე მუქი, მუქი“.

არც საილუსტრაციოდ, არც აზრის სიცხადით, არც გემოვნების, დაბოლოს, არც ადგილის ეკონომიის თვალსაზრისით შედარებაც კი არ შეიძლება ამ ორი ციტატისა.

რაკი გალაკტიონ ტაბიძეზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთსაც დაუშობტებ: „მისტერ ლიკის ხსენებაზე პაპიდას სახე მოელრუბლება“ (სიტ-

ყვასთან მოედრებლება) სჯობს, თუ ამგვარი სტრიქონი: „მაშინ მთებზე ისევ უუქვდავესად შუბლი მოწყენით მოედრებლება“. მართალია, ეს მაგალითი, შესაძლოა, სადავოდ იქცეს. შესაძლოა თქვან: „მთებზე შუბლი მოედრებლება“ თავისთავად განსამარტავია, იდიომით გამოთქმული სახეაო. შესაძლოა ასეც იყოს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, „პაპილას სახის მოედრებლება“ იდიომია თავისთავად.

ასევე, ნაქაჩთან დამოწმებული ფრაზისთვის („მეტი წილი ნაქაჩსა თათარად ეხმარობდით“) იქნებ ეჭობნა გურამიშვილის სტრიქონს: „ვიმცერივე ქალას ბაბილო ნაქაჩი და ნაქაქარი“.

თუმცა, ამგვარად რომ მიყვებით, სუბიექტური მოსახრებების თუ სუბიექტური გემოვნების საკოჭმანო კრიტერიუმებს ვერ გავეჭევით და ეს შორს წაგვიყვანს.

რე პნა შახდეს

ცნობილია: სალიტერატურო ენის უპირველეს წყაროს ხალხის მეტყველება წარმოადგენს. ამ ღებულების საეჭვოდ გამოცხადება აზრად არავის მოუვა. მაგრამ ეს დებულება შესწორებას, უკეთ — დამატებას საჭიროებს, რადგან იგი არ ითვალისწინებს უკუგაველენას, რომელსაც ხალხის მეტყველებაზე დღესდღეობით ახდენს სალიტერატურო ენა (იგულისხმება, ცხადია, არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა, არამედ, მასთან ერთად, სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა, პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, თეატრი და მისთანანი). გასაგები მიზეზის გამო ეს უკუგაველენა ერთობ დიდი მასშტაბისაა.

ძველად ასე არ ყოფილა. ხალხის მეტყველება ნელი ტემპით იცვლებოდა, საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდა თავისთავადობას, სალიტერატურო ენა საგრძნობ გავლენას ვერ ახდენდა მასზე. დღესდღეობით კი სალიტერატურო ენა სწრაფად ვრცელდება და ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი მომავალში კიდევ უფრო დაჩქარდება და გაფართოვდება, ესე იგი უფრო გაძლიერდება სალიტერატურო ენის გავლენა ხალხის მეტყველებაზე.

ამიტომ გვმართებს ამთავითვე მეტი ვიზრუნოთ მომავლის გამო. თუ სალიტერატურო ენას, როგორც შეპფერის, რაც ვერ მოუვარეთ, იგი შეიშვიკვლება, დაკნინდება, წახდება, ეს კი ხალხის მეტყველებასაც შერყვნის; ხალხის შერყვნალი მეტყველება, თავის მხრივ, კვლავ სალიტერატურო ენის განვითარებაზე იმოქმედებს და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი თავმოსაწონები ქართულიაგან ხელთ ცოტა რაველა შემოგვრჩება.

ქართული ენის სიწმინდის დასაცავად ერთსა და ორ ქართველ მოღვაწეს არ აღუმაღლებია ხმა, ერთი და ორი სტატია არ დაწერილა. მაგრამ, ჩემის აზრით, მრავალთაგან მცირედნი ჩასწვდნენ ამ საქმის არსებას, მცირედთა შენიშნეს უმთავრესი და უპირველესი საფრთხე, რომელიც ენის შეუშვიკვლელად შენახვას ემუქრება.

ამ საკისის ირგვლივ მინდა მკითხველებს ზოგიერთი მოსაზრება გავუზიარო.



ქართული ენის სიწმინდის გამო საუბარი ლექსიკის სფეროში იწვეება და ამავე სფეროში მთავრდება მეტწილად.

აგრე იმიტომ ხდება, რომ პირველი შეხედვით მართლაც ლექსიკა შეიძლება მოგვეჩვენოს ყველაზე მეტად შერყვნილ უბნად ქართული ენისა. ამის მიზეზი გახლავთ სასაუბრო მეტყველება (განსაკუთრებით— ქალაქის მკვიდრთა და, საერთოდ, ინტელიგენციის მეტყველება), რომელიც ძალზე აქრელდა ბარბარიზმებით და ზოგჯერ ამაზრზენი მოსასმენიცაა.

ამ ბარბარიზმების წინააღმდეგ ბრძოლაში იხარჯება ქართული ენის სიწმინდის დამცველთა უმთავრესი ძალა.

და, აი, აქ წამოიჭრება რამდენიმე უღმობელი კითხვა.

ზედმეტად ხომ არ გვეშინია ჩვენ სასაუბრო მეტყველებაში დანერგილი სიტყვებისა და ხომ არ ვეწინააღმდეგებით ენის განვითარების ბუნებრივ ტენდენციას? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალი სიტყვა, რომლებიც ახლა ბარბარიზმებად მიგვაჩნია, მომავალში ქართული ენის ისეთივე ორგანულ კუთვნილებად იქცევა, როგორადაც იქცა მრავალი ბერძნული, ლათინური, სპარსული, არაბული, თურქული, ებრაული, სომხური და რუსული სიტყვა? დაბოლოს, ცუდ სამსახურს ხომ არ ვუწევთ ქართულ ენას, როდესაც ვცდილობთ ხალხის მეტყველებაში უკვე დამკვიდრებული ყველა არაქართული სიტყვა შევცვალოთ თარგმნილი, ხელოვნურად შექმნილი ან სულაც მოგონილი სიტყვებით?

გავიხსენოთ, რა ტიპის უცხოური სიტყვები უფრო ვრცელდება ხალხის მეტყველებაში. ძნელი არაა იმის მიხედვრა, რომ არაქართულ სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა დაკავშირებულია ქალაქურ ყოფასთან, ქალაქის ცივილიზაციასთან; სოფლური ცხოვრების ანტიურაჟის ლექსიკური გამოხატვა ქართულში შედარებით მცირე მასშტაბებით შეიცვალა. არც იმის ახსნაა ძნელი, თუ რატომ მოხდა აგრე: საქართველო საუკუნეთა მანძილზე აგრარული ქვეყანა იყო. ქალაქური ცხოვრება (მით უმეტეს — თანადროულ ქალაქურ ყოფასთან დაახლოებული) ამ ქვეყანაში სუსტად იყო განვითარებული და არც იკრძნობოდა საჭიროება შესდგომოდნენ სახელდებას ჩვენში არარსებული საგნების და მოვლენებისა. ქალაქური ყოფის სწრაფად განვითარებასთან ერთად საჭირო შეიქნა უამრავი საგნისა და მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება. და, რაკი ეს სიტყვები ქართულს არ გააჩნდა, სასაუბრო მეტყველებაში არაქართული სიტყვები დამკვიდრდა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო მთავარი. უმთავრესი სიძნელე მაშინ დაიწყო, როდესაც ცხოვრების განვითარებამ წამოჭრა ალტერნატივა — ან სალიტერატურო ენასაც მიეღო ეს სიტყვები, ან კიდევ მათი ქართული ექვივალენტები მოეძებნა თუ შეექმნა.

მათ, ვისაც ამ საქმის მოგვარება ხელეწიფებოდა (მხედველობაში მყვანან, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ენათმეცნიერები და ლექსიკოგრა-

ფები), მეორე გზას მიაჩქეს უპირატესობა. მათივე სასასკლოდ უნდა ითქვას. დიდი შრომა გასწიეს, მძიმე და საპატიო სამუშაო შეასრულეს. მრავალი უარესად საქირო სიტყვა აღადგინეს და შესძინეს! დღევანდელ სალიტერატურო ქართულს (გაეიხსენოთ ერთი შეპანიწნავი მაგალითი: ძველ ტექსტებში ნახმარი „მიავლინა-დან“ ჩვენმა ენათმეცნიერებმა შექმნეს თანადროული ყოფისათვის ესოდენ საქირო „მივლინება“).

ამას ვერავინ უარყოფს. ოღონდ ესაა, ლექსიკის წმინდად დაცვის საქმეში არცთუ იშვიათად ზედმეტი გუდმოდგინების მაგალითებიც გვხვდება; უეჭველად ვცდილობთ ქართული შესატყვისი მოვუძებნოთ, ან მოვუგონოთ მრავალ ისეთ არაქართულ სიტყვას, რომელიც სასაუბრო მეტყველებაში კარგა ხანია დამკვიდრებულა. ეს კი ქმნის ხელოვნურობას, ხშირად უხერხულობასაც, რადგან ჩნდება ბზარი ხალხის მეტყველებასა და სალიტერატურო ენას შორის.

რამდენიმე მაგალითი მოვიშველიოთ.

რუსული ყ.У.ТОК. როდესაც საუბარი ამ საგანს შეეხება, ასიდან ასივე თუ არა, ოთხმოცდათხუთმეტი ქართველი იტყვის: ჩულქი; მაკრამ დაწერით კი უმრავლესობა (ვინც თავის თავს განათლებულ კაცად მიიჩნევს) დაწერს: წინდა. ან: მაღალყელიანი წინდა (როგორც ლექსიკონშია).

ამ ამბავს აღარაფერი ეშველება. „ჩულქი“ იმდენად გამჭდარია ქართულ მეტყველებაში, ხმარებიდან აღარ გადავარდება. რაღად ვართულებთ საქმეს, რა აუცილებელია სასაუბრო მეტყველებაში ერთი ვინმართ, ხოლო სალიტერატურო ენის ნორმად მეორე მივიჩნიოთ? ხონ არ აჯობებდა ამ შემთხვევაში დათმობაზე წავსულიყავით და დაქვედრებულ ფორმას წინ არ აღვდგომოდით? აკი წერია „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“: „ბირულკა“ (бирюлька), „ბოკკა“ (бочка), „ბუბლიკი“ (бублик), „ბულკი“ (булка), „ვედრო“ (ведро) და მრავალ სხვა!

მით უმეტეს, რომ „წინდას“ ხსენებაზე ქართველ კაცს უწინარეს ყოვლისა წარმოესახება შალის ძაფით ნაქსოვი, ზამთრობით ჩასაცმელი წინდები და არა ის საგანი, რომელსაც იგი „ჩულქს“ უწოდებს.

ესეც არ იყოს, როგორ მოუუაროთ იმ ამბავს, რომ ლექსიკონის მიხედვით, носок არის აგრეთვე „წინდა“?

ხედავთ, როგორია საქმის ვითარება? საუბარი შეეხება პირველადი მოხმარების საგნებს (რომლებსაც დღეში ასჯერ მაინც შეხედავს, მოიხმარს და ახსენებს ადამიანი) და არა რაიმე განყენებულ ცნებებს. ცისმარე დღე ქართველი მამაკაცები იცვამენ „ნასკებს“, ქალები (და არ დაგვაიწყდეს: ბავშვები) — „ჩულქებს“, ზამთრობით ორივე სქესის წარმომადგენლები — წინდებს. ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგეს და მილიონობით ადამიანს მოეთხოვოთ სალიტერატურო ენაზე აგვიწერონ

თავიანთი მოქმედება, აღმოჩნდება, რომ მამაკაცები „ნასკებს“ კი არ იცავენ, არამედ „წინდებს“, ქალები და ბავშვები — აგრეთვე „წინდებს“, ოღონდ „მალაყელაინა“, ხოლო ზამთრობით — „შალია წინდებს“.

ნუთუ თავის მოტყუებას არ ჰგავს ეს ყოველივე?

დიდი ხანია ჩვენს ქალაქებში გავრცელდა და ჩვენი ბავშვების საყვარელ გასართობად იქცა სათამაშო, რომელსაც რუსულად ეწოდება САМОКАТ (САМОКАТКА). ქართულად? „თვითმგორავი, თვითგორია“, — ვკითხულობთ ლექსიკონში.

მაგონდება ერთი დამახასიათებელი შემთხვევა: თბილისის მილიციის მუშაკებმა კარგი საქმე გააქეთეს — გამოსცეს წიგნაკი, რომელიც ბავშვებს განუმარტავდა ქუჩაში მოძრაობის წესებს. სხვა ამბებთან ერთად საუბარი ზემოხსენებულ სათამაშოსაც შეეხებოდა. წიგნაკის შემდგენლებმა არ იცოდნენ, რა ერქვა ქართულად САМОКАТ-ს, ამიტომ ლექსიკონი მოიშველიეს და წიგნაკში გაჩნდა ფრაზა: „ნუ დაგორავთ ქუჩაში თვითმგორავით“. წიგნაკის შემდგენლებს ვერ გაეაძტყუნებთ, ოღონდ ვერც ბავშვებს გაეამტყუნებთ, თუკი ყურს არ ათხოვებენ ამგვარ დარიგებას.

მსგავსი მაგალითების გამრავლება ძნელი არაა, მაგრამ ნათქვამიც კმარა იმის ცხადსაყოფად, თუ რა უხერხულობას იწვევს ხშირად სასაუბრო და სალიტერატურო ენის შეუთანხმებლობა. მით უმეტეს, როცა სასაუბრო მეტყველებაში დამკვიდრებულ სიტყვას „თვითმგორავის“ უაილის ხელოვნური და ყოვლად უგემური რამ უპირისპირდება.

ენა ხელოვნურობას ვერ ეგუება. ახალშექმნილი ან თარგმნილი სიტყვა ბუნებრივად თუ არ ქდერს, ხალხი მას არ იწყნარებს და ისევ ბარბაროზმის ხმარებას არჩევს.

აქ აღიძვრის კითხვა: ვინ არის მსაჯული, ვის ხელეწიფება დაადგინოს — ბუნებრივია თუ არა ქართულისათვის ესა თუ ის სიტყვა ამ გამოთქმა?

ვიდრე სიტყვას სალიტერატურო ენასა და მეტყველებაში დამკვიდრების სანქცია მიეცემოდეს, ვიდრე ლექსიკონში მოთავსდებოდეს და მოქალაქეობრივი უფლებებით აღიჭურვებოდეს, მის ავკარგიანობას ყოველმხრივ იხილავენ ენათმეცნიერები და ლექსიკოგრაფები. მაგრამ ყოველთვის შესწევთ თუ არა ამ უკანასკნელთ უნარი შეუმცდარი დასკვნის გამოტანისა? არა მგონია. ამას ადასტურებს არაერთი საჩოთირო სიტყვა თუ გამოთქმა, რომლებიც სისტემატურად თავსდება ლექსიკონებში.

მოვიტან რამდენსამე ნიმუშს ამგვარი ხელოვნური, საჩოთირო სიტყვების და გამოთქმებისა (ნიმუშები ამოკრებილია ახალი „რუსულ-ქართული ლექსიკონიდან“).

თანადაკვრა. Она аккомпанировала певцу на роя-
ле—გი მომღერალს თანაუკრავდა როიალზე.

თეთრემიგრანტი (белоэмигрант).

ბენზინის კოლონა (бензоколонка). ნუთუ აუცილებელია
ყოველთვის სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ? დამისახელეთ ერთი ქართვე-
ლი, რომელიც იტყოდა — მანქანა ბენზინის კოლონას მივაყენო.

უთანაგრძობობა. Проявить полную бесчувственность--
სრული უთანაგრძობობის გამომჟღავნება. მსგავს შემთხვევაში
ქართველი კაცი იტყვის — მის გულს არაფერი მიეკარაო.

უძღები შვილი (блудный сын). კარგა ხანია ეს უმართებუ-
ლო გამოთქმა ბოგინებს ჩვენში. Блудный сын. გულისხმობს სახარე-
ბაში მოთხრობილ ერთ-ერთ იგავს, რომლის შინაარსი გამოიხატება
სიტყვებით „ძე შეცთომილი“ და არა „უძღები შვილი“ (შეადარეთ ბა-
რათაშვილის „ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი“).

თმის თახვურად შექრა (стричься ибриком). აქაც სიტყვა-
სიტყვითი თარგმანია.

ფეხშიშველურება (босоножки). იხმარს ვინმე ამ სიტყვას,
თქმად საჩოთიროს და სასმენად საზარელს?

უსაფრთხო სამართებელი (безопасная бритва).

მეჭავეშანსგამტანე (бронбойщик).

აზრის წინასწარაკვიატებულობა (предвзятость
мысли).

არაკეთილგანწყობილება (неприятнь).

მსგავსი სიტყვები თუ გამოთქმები სასაუბრო მეტყველებაში ვერა-
სოდეს დამკვიდრდება, თუნდაც რომ რუსულ-ქართული ლექსიკონისთან-
ა ავტორიტეტული გამოცემა აძლევდეს მათ სანქციას. სამაგიეროა
ეურნალ-გაზეთებსა და წიგნებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე წავაწყდებით
ამგვარი ხელოვნურობის შეწყნარების ნიადაგზე აღმოცენებულ ფრა-
ზებს:

„ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი დიდ ისტორიულ მოვლე-
ნებს“. „...რასაც არ შეეძლო სათანადო გამოხატულება არ ეპოვა
ქართულ ლიტერატურაში“. „ჩატარებულ ია მუშაობა“. „ამ პერი-
ოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესწავლა მთლია-
ნად მაინც აშკარად არ აღამაკმაყოფილებელ მდგომარე-
ობაშია“. „ამ თეორიას ჩვენში გაბატონებული მდგომარეობა
უჭირავს“. „ღრმა აღტაცება“. „ჩახრუხაძე ერთ-ერთი
ძსხვილი ფიგურაა ქართულ მწერლობაში“. „პოეტი თვით-
დაჯერებით ამბობს...“ „ყოველ ნაშვთს პოეტს ცხოვრებასთან თა-
ვისებური კუთხით მისვლა და მისი ორიგინალური გამოხატვა
ახასიათებს“. „ამ ეპიზოდთან კარგად ჩანს რევოლუციისადმი

პოეტის დამოკიდებულების წინააღმდეგობრივი ხასიათი.
 „ამ საფუძველზე სწარმოებს მისი განთავისუფლება ბურ-
 ჟუაზიული ლიბერალიზმის ილუზიებისაგან“ (თუ მეხსიერება არ მლა-
 ლატობს, ერთგან „თავის მოკვლა აწარმოა-ც“ კი შემხვდა!).
 „ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებითი და პრაქტიკული აზროვნე-
 ბა, შეიძლება არა თანამიმდევრულს, მაგრამ ძირითადად რევოლუცი-
 ურ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდ“.
 „ახალგაზრდა მწერლის დიდი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ...“ „საქმე იმაშია,
 რომ...“ „პიესისათვის ამ მეტად საჭირო სახეს მან ვერ მისცა ძლიე-
 რი სცენიური ხორცშესხმა“. „ამ იდეას ჩვენს ბინამდვილეში
 უფრო ფართო და ღრმა გაშუქება მიეცა“. „მისი რევოლუციური
 პათოსი ახლა უკვე სრულ გაქანებას ეძლევა“. „ნაყოფიერი
 შრომისა და წარმატებითი სწავლის ადამიანები“. „ამ
 ეურნალისტების გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება მი-
 ლებულ იქნა...“ „დელეგაცია შეხვდა უალრესად გულთბილ
 მიღებას“. „მახიზმმა ვერ ნახა რაიმე მნიშვნელოვანი
 გავრცელება ბოლშევიკთა შორის“. „მან აიღო მაღალი ვალ-
 დებულება“. „მაღლდება მშრომელთა ორგანიზაციების რო-
 ლი“. „თანატოლების უმეტესობასთან მუდამ დაძაბულ მდგომარ-
 ეოპაში იმყოფებოდა“. „ხანგრძლივი და მრავალი მოგზაუ-
 რობის დროს, რომელსაც იგი ატარებდა, პოეტმა შეიყვარა აღმო-
 საველეთი“. „ქალისათვის გმირობის ჩადენის მზადყოფნა მოიპო-
 მის შემდეგ სტრიქონებში...“ „ამ ლექსებში არის ჩამწვდომობა“.
 „საჭიროდ არ დანიხა ეთქვა რაიმე“. „მას ჰქონდა მუქ-წამწამებო-
 ანი, მუქ-ქროლა, დამოუკიდებელი და ოდნავ ცივად გამომეტყუე-
 ლი თვალები და თავმოყვარულად დაწყობილი სქელი
 ტუჩები“. „ის თავმოყვარულად დუმდა“. „განუწყვეტელ
 მშფოთარებაში იმყოფი ადამიანი“. „...ხმადაბლა, შემრი-
 გებლურად თქვა ქალმა“. „მტკნარს ულელად მიგაჩნევართ“.
 „ძლიერი უღვაშები“. „ყრუსიბრაზე“. „მისი ღიმილი არ
 ჰგავდა სხვათა ღიმილს, რომელიც არ აღიმილს შეუმჩნევლად და-
 ერთვის ხოლმე“. „ასეთი ან შესაძლოა არა სავსებით ასეთი
 ფიქრი და გრძნობა უტრიალებდა თავში“¹.

მომიტევონ ენათმეცნიერებმა ჯა ლექსიკოგრაფებმა, მაგრამ მათი მისაპართით უნდა შევნიშნო: საქმე ბევრად უკეთ წარიმართებოდა, უფრო ხშირად რომ აგონდებოდეთ ქართული სიტყვის უპირველესი ქომაჯნი — მწერლები, მკვიდრო კონტაქტი რომ ჰქონდეთ დამყარებული და მათს რჩევას უფრო ხშირად რომ ათხოვებდნენ

¹ აქც და ქვემოთაც ყველგან ზედმიწევნით დატულია მოტანილი ციტატები მართლწერა.

ყურს. რადგან, რაც ენათმეცნიერის სმენას სრულიად არ ეჩოთირება, შესაძლოა მწერლის უფრო დახვეწილმა სმენამ არ შეიწყნაროს.

სამწუხაროდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვერც ერთი მხარე ვერ დაიქაღის, რომ დიდი ინიციატივა გამოეჩინოს მეორესთან კონტაქტის დასამყარებლად. ქართული ენის უზადობისათვის მხარდამხარ საბრძოლველად.

თქმა არ უნდა, მწერლებიც დიდად სცოდნენ: არასგზით არ სურთ გაითვალისწინონ, რომ ენის განვითარების კანონების, გრამატიკის საფუძვლიანი ცოდნა სულაც არ შებოქავს მათს შემოქმედებითს აღმაფრენას და რომ ამგვარი ცოდნის გარეშე ისინი ვერასოდეს შეძლებენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სალიტერატურო ქართულის ნორმების დადგენის პროცესში, ვერ შეძლებენ ითანამშრომლონ ენათმეცნიერებთან და ლექსიკოგრაფებთან.

მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მწელები თავის მხრივ ვერასოდეს უღალატებენ ენათმეცნიერთა მიერ საკმაოდ ირონიული ღიმილით და აბუჩად მოხსენიებულ პრინციპს: „კარგად ეღერს“. ეს პრინციპი იოლად ხელწამოსაკრავი არ გახლავთ და მისი უარყოფაა სწორედ, „თვითმგორავისა“ და „ფეხშიშველურების“ მსგავსი სიტყვებისთვის გზის გახსნას რომ უწყობს ხელს.

ენათმეცნიერთა, ლექსიკოგრაფთა და მწერალთა ამგვარი გათიშულობა კარგს არათერს გვიქაღის. და ეს რომ მართლაც ასეა, სხვა ტიპის მაგალითებითაც დასტურდება.

უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში ქართული ენის ლექსიკური მარაგი არაჩვეულებრივად გამდიდრდა, მაგრამ, ამასთან. გაღარბდა კიდეც. გაღარბდა იმ მხრივ, რომ დაიკარგა მრავლის უმრავლესი უაღრესად საჭირო სიტყვა თუ გამოთქმა. სამწუხაროა, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება, ხოლო კიდეც უფრო დასანანი ის არის, რომ ყოველი ჩვენგანი ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ხელს უწყობს ამ არასასურველ პროცესს.

ცნობიერად, რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმ უმართებულო, მიმკერძავ დამოკიდებულებას, რომელსაც ამჟღავნებს ზოგიერთი ჩვენგანი ქართული ენის ლექსიკური ფონდის მიმართ; ხოლო „გაუცნობიერებლად“ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხშირად იოლი გზის არჩევა გვიყვარს და, როცა ვწერთ ან ვმეტყველებთ, თავს დიდად არ ვიწუხებთ ხოლმე უმჯობესთაგან უმჯობესი სიტყვებისა თუ გამოთქმების შესარჩევად; ამასთან, ცოტა ძნელად გასაგებს ან შედარებით იშვიათად ხმარებულ სიტყვებსა და გამოთქმებს მეტწილად ვერიდებით ხოლმე და სწორედ ამით ვუწყობთ ხელს ხმარებიდან მათს ნელ-ნელა ამოვარდნას ან სულაც დაკარგვას.

ცოტა უფრო გამოწველილვით განვიხილოთ ეს საკითხი.

ახლა ძნელი დასადგენია, ვინ იხმარა ჩვენში პირველად საშინელი სიტყვა — „არქაიზმი“. ეს კია, რომ ამ სიტყვამ მრავალი უბედურება დააწია ქართულ ენას. მიეკერებოდა რომელსაიმე სიტყვას ან გამოთქმას არქაიზმის იარლიყი და გათავდა — შემდეგ ჯვაროსნული ომი იწყებოდა მის წინააღმდეგ. ერთი პირობა ისეთი გულმოდგინებით ვებრძოდით ამ „არქაიზმებს“, თითქოს შენიღბული კლასობრივი მტერი ყოფილიყოს (მე მგონია არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ენის კლასობრიობის თეორიამ გვარიანი ბიძგი მისცა ამ გულმოდგინებას).

რა მოხდა? ვინ დაანათლა დღევანდელ ქართულს ეს უკუღმართობა?

უბედურების სათავე ძალზე შორსაა საძიებელი. რუსთაველის ეპოქის მომდევნო ხანაში მომხდარი საშინელი კატაკლიზმების შედეგად მთელ ქართულ კულტურასთან ერთად ქართული ენაც დიდად დაზარალდა (მართო ის ფაქტი რამდენს: ნეტყველებს, რომ ამ ხანაში თითქმის გაქრა და მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე სპორადულადღა იჩენდა თავს ენის განვითარების ისეთი მძლავრი ფაქტორი; როგორიცაა მხატვრული პროზა). ეგრეთ წოდებულ აღორძინების ეპოქაში ამ მხრივ საქმე დიდად არ წაწეულა წინ: ამ ეპოქის მოღვაწეებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, იმას თუ მოეთხოვდით, ძველი კულტურის ნამუსხრევათა შეკავშირებას ცდილიყვნენ, თორემ ახლის შექმნის უნარი მათთვის ღმერთს არ მიემადლებინა და ნაკლებ მოსალოდნელიც იყო ახლის შესაქმნელად ზრუნვა იმ თავგზაარეულ საუკუნეებში. მაგრამ მაინც, თუ „აღორძინების“ ხანამ ახლის დანერგვა ან ყოველივე იმის თავმოყრა ვერ შეძლო, რაც რომ „დაცაჰკარგოდათ ქართველთა“, იმდენი მაინც მოახერხა. ასე თუ ისე არ გაეწყვიტა ორგანული კავშირი აღრეული საუკუნეების კულტურასთან და ამ კულტურის ერთ ძირითად ინგრედიენტთან — ქართულ სალიტერატურო ენასთან.

მაგრამ ფეოდალური საქართველო ძალზე მჭარი ნაბიჯით მიდიოდა დაღუპვისაკენ. ასეთ ვითარებაში კულტურული „აღორძინება“ (მაგალითად, ერეკლე მეორის კარზე შექმნილი ატმოსფერო) მხოლოდ ეფემერული, მოჩვენებითი ხასიათისა შეიძლებოდა ყოფილიყო. და, მართლაც, როგორც კი საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა. როგორც კი სახელმწიფოებრიობა დაემხო, აღმოჩნდა, რომ გამუდმებული ბრძოლითა და შფოთით ილაჩგაწყვეტილ ქვეყანას არ ჰყოლოდა ისეთი ძალები, რომლებიც ამოქმედდებოდნენ ახალი ვითარების შესატყვისი კულტურის შესაქმნელად, დასახავდნენ ძველის

ორგანულად შესისხლბორცების საფუძველზე მისი განვითარების გზებს და ითავებდნენ ერის კულტურული განახლების დიდ მისიას. ასეთ პირობებში, ცხადია, თითქმის არაფერ ჩანდა სალიტერატურო ქართული ენის დამცველი და შემნახველი. ქართულს ჩამორთმეული ჰქონდა სახელმწიფო ენის უფლებები, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასწავლებლები ქართულს არ იყენებდნენ, არ არსებობდა ქართული პრესა, ქართულად არ იბეჭდებოდა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, არც სამეცნიერო თუ პოლიტიკური ლიტერატურა, არ იყო თეატრი; ამასთან, ისიც, რაც მხატვრული ლიტერატურის სახით იქმნებოდა და შემდეგ ხელნაწერებად ვრცელდებოდა ან, ვთქვათ, სალონებში იკითხებოდა (ლირიკული პოეზიის ნიმუშები), რაღა თქმა უნდა, სალიტერატურო ენის დამცველისა და შემნახველის როლს ვერ იტვირთავდა.

ფაქტიურად ასე იყო კულტურის ასპარეზზე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობის გამოჩენამდე. ასე დაირღვა სულხან-საბა ორბელიანის და გურამიშვილის ეპოქისა და თერგდალეულთა ეპოქის ქართულის (და, საერთოდ, ამ ორი ეპოქის კულტურის) ორგანული კავშირი. და როდესაც ამ კავშირის აღდგენის ჟამმა მოატანა, აღმოჩნდა, რომ ქართულ კულტურას ჭერაც არ ჰყოფნიდა ძალები ამგვარი სამუშაოს შესასრულებლად. „სამი სტილის“ მიმდევართა ულიმლამო ცდა — ანტონ კათალიკოსის ქართულს მიბრუნებოდნენ, ცხადია, საქმეს ვერ უშველიდა, ხოლო ილიას, აკაკის და მათს თანამებრძოლებს ყოველთვის როდი ეცალათ მსგავსი საკითხებისთვის — მათი ფიქრი უზარმაზარი მასშტაბის პოლიტიკურსა და სოციალურ პრობლემებს დასტრიალებდა და არაადამიანური შრომის გაწევა უხდებოდათ ამ პრობლემათა გადასაჭრელად. კერძოდ, ირგვლივ გამეფებული აბსოლუტური უწიგნურობის პირობებში მათთვის ერთადერთ სწორ გზად ისახებოდა: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი...“ ხოლო მთლიანად ქართული კულტურის შესისხლბორცებისა და გააზრების გარეშე ეს მყოობადი რომ ვერ იშვებოდა, ამ დიდ ქეშმარიტებას ქართული აზროვნება ცოტათი უფრო გვიან ჩასწვდა.

და მაინც ქართული კულტურის რჩეული მოღვაწენი მუდამ გრძნობდნენ იმ დიდ დანაკლისს, რომელიც ქართულმა ენამ განიცადა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. გრძნობდნენ და კიდევ ცდილობდნენ ასე თუ ისე შეევისოთ ენაში გაჩენილი უზარმაზარი ხარვეზი. მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა მათს ძალას აღემატებოდა, ეს მომავალ თაობათა ხვედრი იყო.

აქ უნდა ითქვას ერთი რამ: ჩვენში ზოგჯერ უკუღმართად ესმით

ილია ჰავეკავაძისა და მისთა თანამებრძოლთა თვალსაზრისი ენის საკითხზე. რატომღაც ჰგონიათ, რომ ილია ჰავეკავაძე ეგრეთ წოდებული ძველი ქართულის წინააღმდეგ იყო ამხედრებული საერთოდ. ამასთან დაკავშირებით იხსენიება „მამათა და შვილთა ზრდოლა“, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ილია ჰავეკავაძემ ხმარებიდან გადააგდო დრომოქმული ასოები.

ამ საკითხს გულდასმით უნდა დაფიქრება. უწინარეს ყოვლისა, არ უნდა ავურიოთ ცნებები „ძველი“ და „მწიგნობრული“ ერთი მხრივ და „ახალი“ და „ხალხური“ — მეორე მხრივ. ხალხურ ენას ეყრდნობოდა ქართული ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი უძველესი დროიდანვე, ასე იქმნებოდა ერთიანი სალიტერატურო ენა, დაწყებული მეხუთე საუკუნიდან (თუ უფრო ადრიდან არა). ზოგან ეს ხალხურობა უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს (მაგალითად, „შუშანიკას წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“), ზოგან, ავტორის ინდივიდუალობისდა მიხედვით, — ნაკლებად (მაგალითად, ათონელთა შემოქმედებაში), ზოგან სტილიზაციისადმი სწრაფვა მოსჭარბდებოდა (მაგალითად, „აბოს წამებასა“, „აბდულ-მესიასა“ და „თამარიანში“), ხოლო სტილის სირთულისადმი სწრაფვის უკიდურესი გამოვლინება ანტონ კათალიკოსის და მისთა მოდასეთა ბნელმეტყველებასა და ლელაქნილ ქართულსაც წარმოქმნიდა. მაგრამ ანტონ კათალიკოსისა და მისი უბადრუკი მიმდევრების სტილის დანერგვა არ იყო ქართული სალიტერატურო ენის უმთავრესი უბედურება. უმთავრესი უბედურება ის იყო, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეცხრამეტეს პირველ ნახევარში ამ ენას არ მოეპოვებოდა ასპარეზი. ფაქტიურად აღარ არსებობდა პროზა, აღარ იქმნებოდა სამეცნიერო თუ სხვა სახის ლიტერატურა, ერთი სიტყვით, კულტურული დეგრადაცია საერთოდ საექვოდ აქცევდა ენის ყოფნა-არყოფნის საკითხს. ამიტომაც გაბატონდა ანტონ კათალიკოსის სკოლა! თუმცა „გაბატონდა“ ზუსტად ვერ ასახავს საქმის ვითარებას — საბატონო ზომ აღარაეინ იყო. თორემ აბა წარმოიდგინეთ მსგავსი სტილისტური მიმართულების გაბატონება კულტურის აღორძინების ხანაში! რატომ იოანე პეტრიწის სტილი ვერ გაბატონდა თავის დროზე? იმიტომ, რომ პარალელურად იქმნებოდა „ვისრამიანი“ და „ამირან-დარეჯანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და საისტორიო ქრონიკები. პეტრიწის სტილისთვის ერთობ მცირე ასპარეზიდა რჩებოდა. სიცარიელეში მეუფეებას გაბატონება არ ეთქმის. აბა ანტონ კათალიკოსის პარალელურად ემოღვაწათ სულხან-საბას და დავით გურამიშვილს (დიახ, გურამიშვილს, რადგან მის ნაღვაწს, როგორც ვიცით, იმ ხანაში არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქართულ კულტურაზე: „დავითიანი“ უცხოობაში დაიწერა და მხოლოდ გვიან შეიქნა ცნობილი საქართველოში), ნიკოლოზ ბარათა-

შეილს და გრიგოლ ორბელიანს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას..

რას გულისხმობს ილია ჭავჭავაძის სიტყვები, „მამებისადმი“ მიმართული, რომ ენა „ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა?“ ნუთუ ილია ენის წახდენას აბრალებდა გრიგოლ ორბელიანს? მაშინ როგორღა აიხსნება მის მიერ არაერთგზის გამოთქმული აღტაცება გრიგოლ ორბელიანის პოეზიით? ან რაღად მოსწონდა მას ასე თავდავიწყებით გრიგოლ ორბელიანზე უფრო „არქაული“ ენით შექმნილი პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა?

არა, ილია ჭავჭავაძეს არაფერი ჰქონდა სადავო გრიგოლ ორბელიანის ენასთან. იგი ედავებოდა გრიგოლ ორბელიანის თაობას, „მამებს“, იმას ედავებოდა, რომ მათ სათანადოდ ვერ უპატრონეს, ვერ დაიცვეს, ვერ შეინახეს ქართული ენა, ბოლო ამ თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა მოსასპობადაც კი გაიმეტა და „მკვდრის სუღარა გადააფარა“ ქართულს. აი, ეს იყო ილიას გულისწყრომის მიზეზი; წინა რამდენიმე თაობის დაუღვევრობის თუ უილაჯობის შედეგად სალიტერატურო ქართული ენა ლამის აღიგავა მიწის პირისაგან. ახალ თაობას დიდი ჯაფის გაწევა მოუხდა მის აღსადგენად, მაგრამ ოდინდელი ბრწყინვალება კი ვეღარ შესძინა, რადგან ეს მის ძალას აღემატებოდა („კარგად თუ ავად შენახვაც“ თავისთავად დიდი საქმე იყო უკვე).

ილია ვერ იწყნარებდა სამი სტილის თეორიას (როგორც ერთიანი სალიტერატურო ენისადმი დაპირისპირებულ მოძღვრებას), ანტონ კათალიკოსისა და მისთა მიმდევართა ღვლარქნილ მეტყველებას, თორემ ძველი თუ ახალი საუკუნეების სალიტერატურო ქართულთან რომ არაფერი ჰქონდა სადავო, ამის უპირველესი საბუთია მისივე პოეზია. სადაც უხვად ვიპოვნით ჩვენს მიერ ზოგჯერ „არქაულად“ მონათლული მეტყველების ნიმუშებს.

აქ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ აგრეთვე ვაჟა-ფშაველას აზრი ენის შესახებ:

„...ხშირად გამიგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამღურავი — დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო. რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გავიტანოთ და სანაგვეზედ გადავავდოთო... ამისთანა სამღურავი, რა თქმა უნდა, უმეცრების ბრალია და, ხომ მოგეხსენებათ, უმეცრებასავით თამამი არა იქნება რა. არა მგონია შეეღარებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მღინარე და ენა. რით ჰგავს ენა მღინარეს? იმითი, რომ, რაც ერთხელ მღინარეს გემო და თვისება მიუღია, თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, იგი თავისთავად არასოდეს არ დაჰკარგავს... ვისაც ჰსურს ამ მღინარის წყალი იგემოს და დააფასოს, იგი ბოლოში, სადაც

მღვრიე მოდის, კი არ ამოჰკრეფს, არამედ სათავეს მიჰმართავს... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჰიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა“.

ქართულ კულტურას დიდხანს ეყოფა სირცხვილად იმის გახსენება, რომ იყო წლები, როცა ვაჟა-ფშაველას ეს მოსაზრება რეაქციულად გამოაცხადეს.

ილია ჭავჭავაძე. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა თუ სხვანი მათნი მოდასენი ისეთ გარემოში აღიზარდნენ, სადაც ჯერ კიდევ მინც იგრძნობოდა „ძველთა ნიჰიერ მწერალთა“ ენის სუნთქვა. ამიტომ ფლობდნენ ისინი ბრწყინვალედ ენას. მაგრამ შემდგომ და შემდგომ მდგომარეობა გაუარესდა. მოიშალა ძველებური ოჯახები, სადაც ბავშვებს ნიადაგ უკითხავდნენ „ვეფხისტყაოსანს“, „ქართლის ცხოვრებას“ თუ სულხან-საბა ორბელიანის ქმნილებებს; სასწავლებლებში ხომ ქართული ენა და ლიტერატურა არ ისწავლებოდა; არც ის იყო, რომ მასობრივი ტირაჟით დაესტამბათ ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშები: ამასთან, გამწვავებული სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის ატმოსფეროში ენის განვითარების ნიუანსებზე ფიქრის დრო აღარავის ჰქონდა. და ასეთ ვითარებაში არამცთუ ორგანული კავშირი გაწყდა — ნამდვილი უფსკრული გაირღვა „ძველსა“ და „ახალ“ ქართულს შორის. ქართველის ყური გადაეჩვია თითქმის ყოველივეს, რაც მეცხრამეტე საუკუნის სამანებს სცილდებოდა, ქართველის ენამ დაივიწყა თითქმის ყოველივე. რაც თერგდალეულთა და მომდევნო თაობების, ლექსიკონში არ მოიპოვებოდა. ბოლოს დადგა. დრო და აღმოჩნდნენ თეორეტიკოსები, რომელთაც გადაწყვიტეს შეეჩვენებინათ და ქართული ენიდან გაეძევიებინათ ყოველივე, რაც მათს გაუწაფავ სმენას ეჩოთიერებოდა, რაც არაქართულ ნიადაგზე აღზრდილ პუბლიცისტთა თუ ბელეტრისტთა გემოვნებას არ შეესატყვისებოდა.

ასე იქნა კანონგარეშე გამოცხადებული მრავლის უმრავლესი მშვენიერი სიტყვა თუ გამოთქმა და ლექსიკონებში (თუკი საერთოდ მოხვდებოდა ეს სიტყვები ლექსიკონებში) მათ გვერდით გაჩნდა თავზარდამცემი ეპითეტები: „ძვ.“ („ძველი“, „მომძველებული“), „არქ.“ („არქაული“), „წიგნ.“ („წიგნური“). ხოლო როდესაც ისევ ქართულმა მწერლობამ მოიკალა აღრინდელი საუკუნეების კულტურასთან ორგანული კავშირის აღდგენაზე დაფიქრებისთვის, მას უკვე „თეორიულად“ დამუშავებული და ოფიციალური მეცნიერების იერით აღჭურვილი საბუთებით გადაეღობნენ წინ და განუმარტეს, რომ ახალი სალიტერატურო ქართული უნდა ეყრდნობოდეს ხალხურ მეტყველებას, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის. აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ქმნილებებს, ხოლო „უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს“.

ზემოთაც აღინიშნა და აშკერადაც ხაზი უნდა გაეყვას ერთ საგულისხმო ამბავს: ხალხის მეტყველებისა და სალიტერატურო ენის მიმართების განსასაზღვრად დღესდღეობით განსხვავებული კრიტერიუმია საჭირო. არ შეიძლება სალიტერატურო ენიდან გავაძევოთ და მწიგნობრულად მოძველებულად არქაულად მივიჩნიოთ ყველაფერი, რასაც XIX—XX საუკუნეთა მწერლობა და ხალხის მეტყველება არ დაგვიდასტურებს. რადკან სალიტერატურო ენა დღესდღეობით ერთობ მძლავრ უკუგავლენას ახდენს ხალხის მეტყველებაზე. ეს გავლენა უნდა გავითვალისწინოთ და გონიერულად გამოვიყენოთ. მაშინ შესაძლო შეიქნება მრავლის უმრავლესი სიტყვა თუ გამოთქმა, აწ მოძველებულად მიჩნეული, კვლავ აღდგეს თავის უფლებებში და კვლავ დაინერგოს ცოცხალ მეტყველებაში, კვლავ ხალხის კუთვნილებადად იქცეს. საჭიროა მხოლოდ არ უგულებელვყოთ ეს სიტყვები თუ გამოთქმები, ზურგი არ შევაქციოთ, ან კიდევ წინასწარ არ დაეფრთხოთ ხალხი მათთვის „არქაულის“, „მოძველებულის“, „მწიგნობრულის“ იარლიყის მინიჭებით.

ამგვარი უკუგავლენა რომ მართლაც შესაძლოა, ამას ზემოთ მოტანილი ერთი მაგალითიც ადასტურებს: არსებობდა „მწიგნობრული“. „არქაული“, ცოცხალი მეტყველებიდან გადავარდნილი ზმნა „მიავლინა“, რომლის საწყისი ფორმა — „მივლინება“ — ჩვენმა ენათმეცნიერებმა გამოიყენეს რუსული командировка-ს შესატყვისად. შედეგი თვალსაჩინოა და ფრიად გამახარებელი: „მივლინება“ უმაღლ დაინერგა და გავრცელდა ხალხის მეტყველებაში, ამ სიტყვას ველარავინ ამოაგდებს ქართული ენის ფონდიდან.

ასევე აღდგა და უკვე დამკვიდრდა (მაგალითად: „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“) „ზედეთი“ (верх), „ვაეინი“ (сироп), „მებოძირი“ (распутье), „ნიჟი“ (росинка), „დაუცადებელი“ (несперерывный) და ზოგიერთი სხვა.

ახლა ვიკითხოთ: რა იქნება, რომ უფრო გაბედულად აღვადგინოთ და დავამკვიდროთ ჩვენს ენაში აწ უკვე არქაულად მიჩნეული ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომელთა ბადალი ოფიციალურად აღიარებულ სალიტერატურო ქართულს ან არ გააჩნია, ან კიდევ მათ ნაცვლად ხელოვნური თუ თარგმნილი ლექსიკური ერთეულებია გამოყენებული? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ეს სიტყვები ლექსიკონების, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, რადიოს, კინოს, თეატრის და მისთანათა მეშვეობით ხალხში გავრცელდება და სასაუბრო მეტყველებაში დაინერგება. ისევე როგორც „მივლინება“ გავრცელდა და დაინერგა.

ჩემს თავს უფლებას მივცემ რამდენიმე ამონაწერი გავაკეთო თუნდაც მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან (ადრინდელი საუკუნეების მრავლის უმრავლეს სხვა ძეგლზე რომ აღარაფერა

ეთქვათ). მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ერთხელ კიდევ გაიხსენოს ამ ლექსიკონში მოთავსებული ისეთი სიტყვები, რომლებიც დღესდღეობით მივიწყებულია ჩვენი ლექსიკოგრაფების მიერ და რომელთა აღდგენა და სალიტერატურო ენაში დამკვიდრება სიკეთის მეტს არაფერს მოიტანდა.



ა ი ქ ე ა — აიყვანა მკლავთა.

ა ლ მ ე დ ა დ — მხარიდლოც.

საგულიანბმოა, რომ „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“ ეს სიტყვა არაა შეტანილი. სამაგიეროდ არის ქიზიყური „ალმეშად — გეზად, ცერად“.

ა ნ ა გ უ ლ ი — მატყლის ანაჩეჩი.

ა ნ ა ზ დ ე უ ლ ი — მყის, იჩქითი, აწი, ნვინი, მალე, მსთვად, არდი, არდიფრუ, აპა, მსწრაფლ, მუნთქვესვე — ერთი და იგივე არიან, რომელიც სიტყვას გაეწყოს, იგი ჩაურთე.

გაუგებრობა არ წარმოიქმნას: „ანაზდეული“ შეტანილია როგორც განმარტებითს, ისე რუსულ-ქართულ ლექსიკონში. სხვებთან ერთად იმიტომ ამოვწერე, მკითხველისთვის შემეხსენებინა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბა ენაში სინონიმების არსებობას და რაოდენ უმართებულოდაა ჩვენში ზშირად მივიწყებული პრინციპი: „რომელიც სიტყვას გაეწყოს, იგი ჩაურთე“.

ბ ი ნ ა რ ი — სნეული ჩუმად მივარდნილი.

როგორი ნიუანსია, ან როგორ ეღერს სიტყვა!

ბ ნ დ უ — მიუმხდარი: სადა დაღვას, ვერ პოოს.

ამ სიტყვის აღდგენა აუცილებელია, რადგან რუსულ-ქართული ლექსიკონის „დაბნეული“, „გულმავიწყი“ და „დაფანტული“ მის შინაარსს ვერ ამოწურავს. განმარტებითს ლექსიკონში ეს სიტყვა შეტანილია, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, მიწერილი აქვს „ძვ.“.

ბ ო რ ი — ხმელი ნისლი მტერის მსგავსი.

გ ა ვ ე შ ე ბ ა — კაცის განძვინება.

გ ა მ გ უ ნ ე ბ ა — ჩუმი წყრომა მყოვარ.

დ ა ე ო ლ ვ ი ლ ი — ძმარი დამატლებული.

დ ო რ ი — ზურგის მისაყრდენი ბალიში.

რაოდენ საჭირო სიტყვაა, დღევანდელი ბინის რეკვიზიტს თუ გავითვალისწინებთ!

დ უ რ დ უ რ ი — უკაფიო წიგნის კითხვა.

ეს სიტყვა განმარტებითს ლექსიკონში შეტანილია. მაგრამ რის მაქნისია განმარტებითს ლექსიკონში შეტანა, თუკი პრაქტიკულად არ გამოვიყენებთ? ამას იმიტომ ვამბობ, რომ რუსულ-ქართულ ლექსიკონ-

წში ნყნИИТЬ განმარტებულია ასე: „ბუტბუტი, ბურტყუნი, ბუზ-
ლუნი“. კეთილი, მაგრამ როცა კითხულობენ რასმე? კითხვასთან და-
კავშირებით არც „ბუტბუტი“ ვარგა, არც „ბურტყუნი“, არც „ბუზლუ-
ნი“; ასეთ შემთხვევაში სწორედ რომ „დურდური“ უნდა საგულის-
ხმოა, რომ სხვაგან განმარტებითი ლექსიკონი „სამაგიეროს უხდის“
რუსულ-ქართულს: „ზედეთი“ რუსულ-ქართულ ლექსიკონში შეტანი-
ლია, ხოლო განმარტებითში — არა.

ე ხ ი — კლდე გამონახეთქი ქვაბივით.

ი ა ლ კ ი ა ლ ი — ცაში აქა-იქ ღრუბელი.

ეს გახლავთ переменная облачность, რასაც სინოპტიკოსები
„ცვალებად მოღრუბლულობას“ უწოდებენ რუსულ-ქართული ლექსი-
კონის თანახმად. განმარტებითს ლექსიკონში კი არის ეს სიტყვა.

ი შ ი ნ ა ე ა — შინ ხანი დაყო.

არსებობს რუსული გამოთქმა на подывку. იხილეთ რუსულ-ქარ-
თულ ლექსიკონში: „Он приехал домой на подывку — ჩამოვიდა შინ
თავისიანების მოსანახულებლად“. არჩევანი მკითხველისთვის მიმინდვია!

ი წ ი წ ვ ი — მოწიწებით ხარ.

კ ა ე შ ი — ცხოელის ფერხის საოლავი თეთრი.

კ ო რ ა — ბარის სატერფული.

ლ ო ხ ი — მძორმძიმე ცხოველი.

შეადარეთ რუსულ-ქართული ლექსიკონის: „Тыша — დონდროხა
ვინმე“.

მ ი მ ო ს ი — მოთამაშე კაცი, რომელი იქმს საკვირველებათა და
ძნელებათა არა გრძნებითა, არამედ ხელოვნებითა.

შეადარეთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Факусник — მეფო-
კუსე (!), ფოკუსების მკეთებელი“.

მ ი ტ ო ჩ ე ბ ა — კაცი რომ ჩუჩხიროს სტვიანა საქმეში, რომელშიც
არ ექირებოდეს.

მ ე მ თ ვ რ ა ლ ე — მარადის შეღვინებული.

რუსულ-ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „Забудыга —
ლოთი, მოჭეიფე“. ეს არის ნიმუში იმისა, როცა სათანადო სინონიმის
უქონლობა (თუ უგულებელყოფა) დაღს აჩნევს სიტყვის განმარტებას.
Забудыга — ლოთი, пыхляща — ისევ ლოთი. „მოჭეიფე“ საქმეს ვერ
შველის — მოჭეიფეა ყველა, ვინც სუფრას უზის და ქეიფობს.

მ ო ს მ უ რ ნ ი — ღვინის მსმელნი.

მ ო ღ ნ ი შ უ ლ ი — თვალად ავი.

მ უ რ ე შ ა — წითელ-შავი ზროხა.

ნ ა ე ნ ა ვ ი — ენით ნათქვამი.

ნ ა ყ რ ო ა ნ ე ბ ა — უწესო სიმაძღრე; ნ ა ყ რ ო ა ნ ი — ეწესოდ
გამძღომელი.

შეადარეთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Обжорство — გაუმაძღრობა, სიმსუნავე, ღორმუცლობა, აემუცლობა“.

ნ ა შ ა შ ი — ზღვაში რა ლელვათა ჩატეხილსა და ხევასავით ჩნდეს წყალი.

უ ა ნ ტ ი — მცირე რამ სისველე.

შეადარეთ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში — сырость.

ს ა ლ ბ ი ლ ბ ე ლ ი — ესე არს სნეულთათვის შემრგე და უწყინარი საქმელი.

თავის დროზე მოგვეგონებოდა ეს სიტყვა, კარგი იყო. ახლა „დიეტურს“ ველარავინ გააძევებს.

ს ა მ ო რ ი ნ ე — სახლი მენარდეთა.

შეადარეთ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: „მორინე, მორინი — სამღერელი, სათამაშო ფულის წასაგები, ნარდი, ჭადრაკი, игра азартная“. შემდეგ რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Игровой дом — ბანქოს სათამაშო სახლი“. არჩევანი ამჭერადაც მკითხველზე იყოს: „სამორინე“ სჯობს, თუ „ბანქოს სათამაშო სახლი“?

ყ უ ვ ე ლ ი — ძვალთა და კბილთა ნელიად ტყვიელი.

რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Ныть — ტეხა, წიწკნა: у него зуб ноет — კბილი სტეხს“. მკითხველმა გამოარჩიოს უმჯობესი.

შ ე ტ ყ ვ ე ლ ვ ა — ორნივე ხელნი რა ერთად შეჰკრიბო.

შეადარეთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Сложить руки крестом — ხელების გადაჯვარედინება; Сложь руки — გულხელდაკრეფილი“. კეთილი, მაგრამ თუ არც გადაჯვარედინებულია და არც გულს დაკრეფილი, არამედ უბრალოდ შეერთებულია ორივე ხელი?

შ უ ვ ე ლ ი — ფრინველთ ფრენის ხმა.

ც ო რ ვ ი — თოვლსა და მოლზედ ჩაგლინვება.

ც უ დ მ ა ვ ა ლ ი — უსაქმოდ მთარული.

„Шалопай — ცუდლუტი, უქნარა, უსაქმური. бездельник — უსაქმური, უქნარა, ცუდლუტი“, — ვკითხულობთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში. სიტყვების გადასმა-გადმოსმა — „ცუდლუტი, უქნარა, უსაქმური“, „უსაქმური, უქნარა, ცუდლუტი“ — საქმეს ვერ შველის და არც შეიქნებოდა საქირო, шалопай რომ „ცუდმაველად“ განმარტებულიყო.

ც უ ც უ რ ა გ ი — მხცოვანი ცელქი.

ქ ა ნ ჭ რ ო ბ ი — კორღი წყლიანი ნოტიო.

ქ ე ო — კლდის ნაწყობი.



ჩვენს ეპოქაში, როცა ყველა პირობაა შექმნილი ქართული კულტურის ასაღორძინებლად, მეტი ფიქრი გვმართებს ადრინდელი საუკუ-

ნების კულტურასთან ორგანული კავშირის აღდგენისა და განმტკიცებისთვის. მაგრამ ამ კავშირის აღდგენაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ვიდრე არ მოვიშლით ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დაყოფას „ძველ“ და „ახალ“ ქართულად.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაში ვკითხულობთ: „ახალი სალიტერატურო ქართული ენა ჩაისახა XII საუკუნის საერო პოეზიაში (შ. რუსთაველი, მეხოტბეები). მეთვრამეტე საუკუნეში მისი ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია (საბას „მოგზაურობა“, დ. გურამიშვილი)“.

კადნიერებად ნუ ჩამომერთმევეა, თუ არ გავიზიარებ ასეთ ავტორიტეტულ გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებას.

ახალი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა (და არა ჩაისახა!) მაშინ, როდესაც ითარგმნა „ბიბლია“ და დაიწერა პირველი ორიგინალური ნაწარმოებები, ერთი სიტყვით, არაუგვიანეს მეხუთე საუკუნისა.

„ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“ (ისევე როგორც „ძველი ქართული ლიტერატურა“ და „ახალი ქართული ლიტერატურა“) პირობითი ცნებებია, ენათმეცნიერთა მიერ შეთხზული. ამ ცნებებით ოპერირება მიზანშეწონილია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ენას წმინდა საენათმეცნიერო პოზიციებიდან განვიხილავთ. მაგალითად, როცა გვსურს დავადგინოთ, თუ რა ცვლილებები განიცადა ქართულმა მეხუთე საუკუნიდან მეოცემდე:

1. ლექსიკის სფეროში. ზოგიერთი სიტყვა გადავარდა ხმარებიდან და არქაიზმად იქცა. მაგალითად, ნუუკვე (ვაითუ), სახიერი (კეთილი), ცრემლოვდა (ტიროვდა), თვალღება (მიკერძობება), ხვებული (დაკლებული), იქცევისი (მბრუნავი). კარაული (სახედარი), მოყვივნება (შერცხვენა) და სხვა. ზოგიერთმა მნიშვნელობა შეიცვალა. მაგალითად, თმობა (გაძლება), ცხედარი (საწოლი), მღერა (თამაში), განმარტებული (გაპართული, სწორი), არამედ (მაგრამ), ჰასაკი (სხეული), ცოფი (გიჟი); ტაძარი (სახლი, სასახლე), წყობა (ბრძოლა), ფოლორცი (ქუჩა), გარდარეული (ძლიერი, მეტიმეტი) და სხვა;

2. ფონეტიკის სფეროში (მაგალითად, აღარ გამოითქმის უ, კ);

3. მორფოლოგიის სფეროში (მაგალითად, ზმნების უღვლილებამ მოგვცა ზოგიერთი სხვაობა. დღეს ვამბობთ: კაცნი მოვიდნენ. ძველად იტყოდნენ: კაცნი მოვიდეს);

4. სინტაქსის სფეროში (მაგალითად, ზმნაში აღინიშნებოდა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა: კაცნი დახოცნა. დღეს ვამბობთ: კაცნი დახოცა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სინტაქსის სფეროში მომხდარი ცვლილებები სრულიად უმნიშვნელოა).

ენათმეცნიერისათვის შესაძლოა პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, „ზღუა“ წერია თუ „ზღვა“ რომელსაზე აღინიშნულ ტექსტში,

„ქელი“ თუ „ხელი“, „კაცნი მოვიდეს“ თუ „კაცნი მოვიდნენ“, „კაცნი დახოცნა“ თუ „კაცნი დახოცა“. მაგრამ ენა ხომ ენათმეცნიერთათვის არ არსებობს! ენა, უწინარეს ყოვლისა, გაგებინების, კავშირის, ურთიერთობის იარაღია და მხოლოდ შემდეგ — კვლევის ობიექტი. ამ თვალსაზრისით კი შეუწყნარებელია ქართული სალიტერატურო ენის განყოფილება „ძველ“ და „ახალ“ ქართულად, რაც მიუტევებელი უცხოობის გრძნობას აღუძრავს თანამედროვე ადამიანს ადრინდელი საუკუნეების კულტურის მიმართ (ამგვარი გათიშვა „ძველისა“ და „ახლისა“ საბოლოოდ ისეთსავე სავალალო შედეგს მოგვცემს, როგორც შექცეული მოვეცა ქართული სალიტერატურო ენის დაწილადებას იმერულად, კახურად, ქართლურად, აჭარულად, გურულად, ფშავ-ხევსურულად, ინგურულად...).

ნუთუ მართლა ასერიგად განსხვავდება „ძველი“ ქართული ენა დღევანდელისგან? ვიმეორებ, საენათმეცნიერო თვალსაზრისით განსხვავდება, მაგრამ აზრის გაგებინების თვალსაზრისით — არამც და არამც. ამიტომ არ არსებობს არავითარი „ძველი“ და „ახალი“ სალიტერატურო ქართული ენა, არსებობს ერთი სალიტერატურო ქართული, რომლითაც მეტყველებდნენ იაკობ ხუცესი და გიორგი მერჩულე, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი, „ვისრამიანის“ მთარგმნელი და „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი, შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე, სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურაძე-შვილი, ანტონ კათალიკოსი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და ივანე მაჩაბელი, ვასილ ბარნოვი და ივანე ჭავჭავიძე, ნიკო ლორთქიფანიძე და დიმიტრი უზნაძე, მიხეილ ჭავჭავიძე და გალაკტიონ ტაბიძე...

ვიდრე საუბარს ამ მიმართულებით განვაგრძობდეთ, ჭერ რამდენიმე ციტატი მოვიშველიოთ. მხოლოდ მკითხველს წინასწარ მინდა ვაუწყო, რომ ამ ციტატების ამოწერისას შეგნებულად უგულვებლევყოფ ასოებს: ჰ, უ, ზ, კ (სხვათა შორის, მრავალი გაუწაფავი მკითხველის შიშს და უცხოობის გრძნობას „ძველი“ ქართულის მიმართ იწვევს სწორედ ამ ასოების დანახვა. და ჩვენ, ნაცვლად იმისა, რომ ამ უკუღმართა გრძნობის გასაქარწყლებლად ვზრუნავდეთ, ავით მაპობრივი ტირაჟით დაბეჭდილ გამოცემებშიც ვერასგზით ვერ შევლევთ ვართ ამ ასოებს, რომლებიც არავისთვის აღარაა საჭირო ენათმეცნიერთა და პალეოგრაფთა უაღრესად ვიწრო წრის გარდა!).

„პა, ზამთარი წარხდა, წვიმა განვიდა, განვიდა თავსა თვისსა შანა. ყვავილნი გარჩნდეს ქვეყანასა ზედა, ჟამი სხლვისი მოიწია, ხმა გვრატისა ისმა ქვეყანასა შინა ჩვენსა. ლელვან გამოილო ნაყოფი თვისი, ვენახმან მწიფებულმან მოსცეს სულნელება. აღდგე, მოვედ, მახლობელო ჩემო, კეთილო ჩემო, ტრედო ჩემო, და მოვედ! შენ, ტრედო

ზემო, საფარდულსა შინა კლდისასა, მახლობელად ზღუდისათანა მიჩვენე მე პირი შენი და მასმინე ხმა შენი, რამეთუ ტყბილ არს ხმა შენი ლა სახე შენი შვენიერ“.

(„წიგნი ქება ქებათა მეფისა სოლომონისა“)

„მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისითა დას-
თრგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა
და თვალი ერთი დაუბუშტა; და მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ
და თპითა მიმოითრევდა, ვითარცა მხეცი მძვინვარეჲ ყოდა და იზახდა
ვითარცა ცოფი. მაშინ შველად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს,
კიდრემლის გვემა იგიცა. და კუბანტიცა თავსა მისსა მოხეთქა და ჰი-
რით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ხელთა მისთა. და ვითარცა
ჰკვდარი იღვა წმიდაჲ შუშანიკ ქვეყანასა ზედა. და აგინებდა ვარსქენ
აესლ-ტომსა მისსა და სახლისა მათხრებლად სახელსდებდა მას“.

(„წამებაჲ შუშანიკისი“)

ანუ იყავ მორჩილ და
შეიწყნარე კეთილი,
ანუ შეგვი წაშალი
და თავს იღვე სიკვდილი.

(მიქაელის წამება)

„მასმიეს მეფისა ვისთვისმე, რომელსა ესვა ძე. და ჰრქვეს მკურ-
ნალთა:

— უკეთუ უწინარეს ათისა წლისა იხილოს მზე ყრმამან ამან, მო-
აკლდეს ნათელი თვალთაჲ.

ხოლო მეფემან მან გამოუთხარა ქვაბი და დასვა ყრმაჲ იგი მას ში-
ნა. და შემდგომად ათისა წლისა ბრძანა გამოყვანებაჲ ყრმისაჲ მის. ლა
ბრძანა მეფემან დადგინებდად წინაშე ძისა მისისა, რომელი უხილავ
იყო მისგან, რაჲთა რომელი იხილოს, იცოდის, თუ რაჲ არს.

ხოლო ყრმაჲ იგი იკითხვიდა სახელსა თითოეულისასა. და იხილნა
დედანიცა და აღეგზნა სიყვარულითა და იკითხა:

— რაჲ არიან ისლ?

ხოლო მათ ჰრქვეს:

— ეშმაკნი არიან, რომელნი წარსწყმედენ კაცთა.

ხოლო ყრმამან ჰრქვა:

— არარაჲ ვიხილე უშვენიერეს და უსაწადელეს იმათ ეშმაკთა“.

(„სიბრძნე ბალაჰვარისი“)

„ზაფხულისა ყამი იყო, დღე — ამო. მინდორნი, ველნი და წალ-
კოტნი სამოთხესა ჰკვანდეს. ხენი — ნაყოფიანნი, წყალნი — მდინარენი.
და ფრინველნი ზედა დამღერდეს. ნარგისნი მწლეთა ჰკვანდის და იანა
თავჩამოგდებულობითა — მთრეალთა. ყოველი ქვეყანა ყვავილითა, სი-

ტურფითა და სურნელობითა ავსილ იყო. საწკუთრო ახალ სძლისაებრ ნაზობდა“.

(„ვისრაპიანი“)

საოცარია, ღმერთმანი! საოცარია, რატომ უნდა ვართმევდეთ უფლებას ხსენებულ ნაწარმოებებს (და არა მხოლოდ მათ, ცხადია!) იწოდებოდნენ ისეთ ქმნილებებად, რომლებშიაც ჩაისახა და განვითარდა „ახალი სალიტერატურო ქართული ენა“? იმიტომ, რომ ზოგიერთ ლექსიკურსა და მორფოლოგიურს, აგრეთვე უმნიშვნელო სინტაქსურ თავისებურებას წარმოაჩენენ (განვიდა, წარხდა, ქვეყანასა ზედა, მწიფებულმან, მოსცეს, საფარდულსა შინა, ზღუდისათანა, იწყო უჭეროსა გინებად, უხეთქნა, მასმიეს და სხვა)?

თუ ასეა, სხვა მაგალითებსაც მივმართოთ, დავიმოწმოთ ისეთი ავტორები, რომლებიც „ახალი“ ქართული ენის უეჭველ აღდგატებად არიან მიჩნეულნი.

აწ იგი იქმნას, რაცაღა ენებოს ღმრთიაა წადილსა!
ვეკვ, ჩემი სისხლი არ შეპრჩეს, ძალი შემწეედეს ქადილსა.
ობრად გავუხდი ყოფასა მათ საღამოსა და დილსა,
უხშობ ვყავთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქმნევ ხადილსა!

(შოთა რესთაველი)

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი,
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამისშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ოხლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

ოჰ, საღ არიან, სიკაბუქევე, სიტკბონი შენნი?
სად არს აღმტაცტა სიყვარულს ტანჯვა, საშთხე?
განძრცილვარ გრძნობით, უღროოღა მეყვეთნენ ფრთენი,
გაზაფხულია, მე კი ვდგევარ ვით უფოთლო ხე.

(ილია ჭავჭავაძე)

წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო
ვარდით მორთული ჩნდა თავის ქალა¹.

(გალაკტიონ ტაბიძე).

¹ შკოთხევის ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ გალაკტიონ ტაბიძე სისტემატურად ხმარობს ისეთ სიტყვებსა და ფორმებს, რომლებიც „ძველი“ ქართულის კუთვნილებად უნდა გამოვაცხადოთ უეჭველად, თუკი ზემოთ ნახსენებ თვალსაზრისს გავიზიარებთ. აი ისინი: რაიც, აწცა, მობიბინეთა ამ არეთ ბელი, როსმე, ოღუა, შთენილი, ვითარ, ამოტქმნილი, განსაცდელი ფრიალი, შთართული, განვლის, მთოვარე, ელიან ღრუბლნი, ნიაღვარმან, სცნა, ხილვად უცხო, ყნოსვად კეთილი, გარდამოვიღუა, ამბავი უა, ვეკვ. მკვრეტენ ქანდაკნი და მრავალი სხვა. ამასთან, ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი ფორმები მის პოეზიაში გახშირდა სწორედ ბოლო ხანა (40-50-იან წლებში), როცა პოეტი ყველაზე ღრმად ჩააწვდა ქართული ენის სტიქიონს.

მსგავსი მაგალითების პოვნა ძნელი არაა. რას მეტყველებენ ისინი? ნეთუ მხოლოდ იმას, რომ „მით უარესი ფაქტებისათვის“? თუ იმას, რომ სალიტერატურო ქართულის არსება არასოდეს შეცვლილა, არ გათიშულა ძველ და ახალ ქართულად, რომ ამ ენაში მომხდარი რაოდენობრივი ცვლილებები, ყოველ შემთხვევაში ჭერჭერობით, თვისებრივ ცვლილებად არ ქცეულა, რომ შეუძლებელია დადგენა, თუ „ქვეშარითი სად ძეგს სამძღვარი“ ეგრეთ წოდებულ ძველსა და ახალ ქართულს შორის?

შესაძლოა მრავალ ჩვენგანს წარმოდგენილიც არ ჰქონდეს, თუ რა სავალალო შედეგებს გამოიწვევს ხანებული თვალსაზრისის მიყოლა. უკვე ამთავითვე საჩინოა მრავალი რამ. კერძოდ, გვსურს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით არცთუ იშვიათად შევხვდებით საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. რომელთაც მიაჩნიათ, რომ „ძველი“ ქართული ენა და ლიტერატურა ნათელდებულთა დახშული კასტის — ენათმეცნიერთა და ფილოლოგთათა კუთვნილებას წარმოადგენს და ამ იდუმალებით მოცულ სამლოცველოში შესვლა არავის ძალუქს სპეციალური საგულდაგულო მომზადების გარეშე (გულზე ხელი დავიდვათ და ვთქვათ — შეგვხვედრიან თუ არა თუნდაც მხოლოდ ნაცნობ ინტელიგენტთა შორის ისეთნი, რომელთაც ან საერთოდ არ წაუკითხავთ „ვეფხისტყაოსანი“, ან, თუკი წაუკითხავთ, დარცხვენილი, უმწეო ღიმილით გამოგვტყდომიან — ბევრი რამ ვერ გავიგე, მრავალი სიტყვა და გამოთქმა უცნობია!).

და განა ჩვენი მეცნიერები (განსაკუთრებით „ძველი“ ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი სპეციალისტი) ხშირად ხელს არ უწყობენ მსგავსი უკუღმართი აზრის გავრცელებას? ჩვენს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (თვით სპეციალურ — ფილოლოგიის ფაკულტეტებზეც!) V—XVIII საუკუნეთა ენა და ლიტერატურა ისე ისწავლება, სიყვარულის ნაცვლად ლამის სიძულვილს ნერგავს მოსწავლეებსა და სტუდენტებში. „ძველი“ ქართული ენა და ლიტერატურა მომადბეზრებელ, მოსაწყენ საგნად, რაღაც ეზოთერიული ცოდნის მფლობელთა კუთვნილებადაა მიჩნეული ხშირად.

ნეთუ ვერ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ ასე გაგრძელდა, რამდენსამე ათეულ წელიწადში არამცთუ „შუშანიკის წამებას“ ან „ქართლის ცხოვრებას“, — თვით „ვეფხისტყაოსანს“, „სიბრძნე-სიცრუის წიგნსა“ და „დავითიანსაც“ აღარ ეყოლება მასობრივი მკითხველი! ხომ საგულდაგულოდ ვაკანონებთ, რომ XVIII საუკუნემდე შექმნილ ნაწარმოებებში ნახმარი სიტყვებისა და გამოთქმების აბსოლუტური უმრავლესობა „არქაულია“, „მოძველებულია“, „წიგნურია“, და თუ ქართველი მწერლები დღესაც ფარ-ხმალს არ ყრიან და ჭიუტად ხმარობენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორცაა: მორკმული, მეინახე, შემოგა-

რენი, მრუმე, სახლეული, მოყვასი, სერობა, სანახები, მსხემი, განეხენენ, გულშეუძრავი, ხელმწიფება (ხელწიფება), ხამს, ოდეს, წარუღანებელი, გარნა, რულუნება, მოტყინარე, უწყის, ვითარცა, აღანთებს ნიშატი, მოვანება, ოდენ, გარეშეუწერელი, აწვია, გვემა, მობლარდნილი, მიმწუხრი, შვილმრავალი (და არა მრავალშვილიანი), მიახლება (მიეახლა) მწდე, მოსრვა და მისთანანი (ყველა ეს მაგალითი თანამედროვე მწერლების ქმნილებებიდანაა ამოკრებილი) — მათს მეცადინეობას წინ აღუდგება ენათმეცნიერთა და ლექსიკოგრაფთა ასევე ჭიუტი განაჩენი — მსგავსი სიტყვები და გამოთქმები ან საერთოდ არ ხვდება ლექსიკონებში, ან „არქაულია“ და „ძველის“ ეპითეტებით აღიჭურვება. მიმწუხრი — „ძვ. და წიგნ.“ (ძველია და წიგნური!), გარნა — „ძვ. და წიგნ.“, გვემაც „ძვ. და „წიგნ.“, აღზევებაც „ძვ. და წიგნ.“ (ნიშანდობლივი ამბავია: „აღზევება“ წიგნურადაა მიჩნეული, ისევე როგორც „აღძვრა“, „აღვა“, „აღატყინებს“, „აღაღადება“, ხოლო „აღქმადი“ არა!). ასევე: აღანთებს — ძვ., ალაგზნებს — „ძვ.“, აღიმართება -- „ძვ.“ აღიჭურვება, აღმსარებელი, აღმსარებლებელი -- სულ „ძვ.“ და ძვ.“.

მსგავსი სიტყვების ხმარება დიდ მკრეხელობად ითვლება, ყოველ შემთხვევაში, იქნებ ვისმე კიდევ შეუნდონ ამგვარი მკრეხელობა, ოღონდ იქვე განმარტავენ — მწერალი არქაიზმებს სამკაულად იყენებს და ამით ნაწარმოებს თავისებურ სურნელს ანიჭებსო. თითქოს „სერობა“, „მეინახე“ და მისთანანი პრეისტორიულ სამარხებში ნაპოვნი სავშენისები ყოფილიყოს. საქმე იქამდე მივიდა, ნართანიანი მრავლობითიც კი არქაულ ფორმადაა გამოცხადებული და მისი ხმარება ეგზოტიკის ფარგლებშია მიაჩნიათ შესაწყნარებლად.

და ეს ხდება ნაცვლად იმისა, რომ საგულდაგულოდ გადავსინჯოთ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები და მოსწავლეებს თუ სტუდენტებს იმათივე ისეთი მასალა მივაწოდოთ და ისე მივაწოდოთ, რომ მათს სმენას აღარ ეჩოთირებოდეს „ძველი“ ქართული, რომ მათ იგრძნონ, განიცადონ, შეიცნონ: „ძველი“ ქართული ენა და კულტურა დღევანდელი ენისა და კულტურის განუყოფელი, მოუკვეთელი. ორგანული ინგრედიენტია.



და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ქართულ ენა უმთავრესი საფრთხე ლექსიკის სფეროში როდი ემუქრება. ბოლოს და ბოლოს, თუ სხვა საშველი არ იქნა, „თავმოყვარულად დაწყობილ ტუჩებსაც“ გაუძლებს ენა და „აზრის წინასწარაკვიატებულობასაც“. უფრო საშიში ისაა, რომ ჩვენ დღენიადაც, ნებით თუ უნებლიეთ, ვაკნი-

ნებთ, ვაჰახინჯებთ, ვკოდავთ ქართული ენის ნამდვილ ბურჯს — ქართულ ზმნას.

მრავალ მეტოქეს გაჰკლავებია ქართული ზმნა. მას ექიშპებოდნენ სემიტური ენებიც (ებრაული, არაბული) და ინდოევროპულნიც (ბერძნული, სპარსული, სომხური, რუსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური). და თავისი იშვიათი თვისებების წყალობით ქართული ზმნა მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა ამ შეტოქებიდან.

მაგრამ დღესდღეობით ინდოევროპული ენების გავლენა, როგორც ჩანს, ძალზე მოქარბდა. ამის შედეგად თვალსაჩინოა ზმნის როლის დაკნინება, აგრეთვე უმართებულო ფორმით ხმარება ზმნისა, რაც იწვევს არა მხოლოდ მორფოლოგიურ, არამედ სინტაქსურ შეცოდებებსაც. ხოლო რა შემზარავი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ენის სინტაქსის შერყენას, ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

რა თქმა უნდა, ქართული მწერლობა მშვენიერად იცნობს იმ ეფექტს, რომელსაც უზმნო მეტყველება ქმნის ზოგჯერ: მოვიგონოთ: „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალემაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მია აღგილისანი საესენა სენითა, წყლითა განსიეებულნი და განყითლებულნი, დაწერტილნი და დამქნარნი და დამლიერებულნი, და განყითლებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი“.

(გავიხსენოთ აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანი, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე).

მაგრამ ქართული ენის სტიქიონი მაინც ზმნით სულდგმულობს და თუ მცირე ზმნიანობა სტილისტური ხერხის ფარგლებს ვერასოდეს გასცილდება, ზმნის სიმრავლე და მრავალფეროვნება უპირველესი ნიშანია ნამდვილი ქართულისა. ამ მხრივ მრავალი რამის სწავლა გვმართებს წინაპართაგან. აბა დავუკვირდეთ:

ვ ი უ ს ა მ ა რ თ ლ ო ე ბ ი შენგან (შენ უსამართლოდ მექცევი). რათა არა გ ა * ც ო დ ვ ო ნ შენ ჩემდა მომართ (ჩემს მომართ ცოდვა არ ჩაგადენინონ). რომელნი გ ბ რ დ დ ვ ი ნ ვ ი დ ე ს შენ, ვითარცა ლომნი. კაცნი შ ე ი ვ ღ ტ ო დ ე ს ქვაბსა მას (გამოქცეულნი გამოქვაბულში შევიდნენ სწრაფად). რაოდენი იუსჯულოვა მონაჰან შენმან (რამდენი უსჯულოება ჩაიდინა). ე უ ს ჯ უ ლ ო ვ ა უ ფ ა ლ ს ა. ს ა ვ ა ნ ე ო ბ დ ე ს ვ ი რ ს ა ბ ს შ ი ნ ა. ი კ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი თ. ი უ ღ მ რ თ ო ე ს, მ ე შ ი შ ო ღ ე ნ (ჩემი ეშინოდათ). მ ე წ ა მ უ ლ ო ბ დ ა ს ი კ ე თ ი თ ა. უ კ მ ო ჰ ხ ე დ ა...

ახლა გავიხსენოთ, როგორ იყენებს ზმნას რუსთაველი:

მათ ლაშქართა ყოლბსა შუა
ორბი სითმე გარდმოფრინდა;

ყმაამ ცხენით შეუტრია,
გაამყდა, არ შეშინდა,
შესტყორცნა და ჩაშოაგდო,
დაეცა და სისხლი სდინდა,
გარდახდა და ფრთენი დასჭრნა,
წყნარად შეჭდა, არ აქშინდა.

ეს სტროფი, რომლითაც მთელი ამბავია მოთხრობილი, 25 სიტყვას შეიცავს („და“ კავშირს ნუ მივათვლით) და აქედან თითქმის ნახევარი (12) — ზმნებია.

აღარას ვამბობ რუსთაველის მიერ ნახმარი ისეთი ზმნების შესახებ, როგორცაა: ენა ენდა, მზე თინათინებდა, გასისხლმდინარდა, გიშერი აწამწამე, ცრემლი ემალმალეების და მრავალი სხვა. ამის თაობაზე არაერთი გამოკვლევა დაწერილა.

დაბოლოს მივმართოთ გალაკტიონ ტაბიძეს. აი, რამდენიმე ნიმუში მის მიერ ნახმარი ზმნებისა: დრო გვეუარესა. ყვავილები გიიადონა. თვალეზი უფრო გადაიჩია. საყვარელ თითებს გავენახებე. გგრძნობენ, გფიქრობენ და მიგელიან. დღეები თოვლით გადაიხადება. იხტიოზავრის გაღვიძებას ესადარებე. ანგვლოსს ესაფეხუროს ლალის ტატნობი. მას მომავალი ეალუბლებე. იანვარს მოძმედ არვეძნელებე. და შეღამებამ ითანდათანა. იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი. სიტყვა არითარეობს. სხივს მომაკრძალებს. გრგვინვა ციდან ცით მიიგვირგვინებეს ელვას. იით მსაიაავებს.

როგორც ვხედავთ, ქართული ენის დიდი მესაიღუმლენი სახელებსაც კი ზმნებად აქცევენ (ენა — ენდა, თინათინი — თინათინებდა, უარესი — გვეუარესა, იადონი — გიიადონა, არე — არეობს და სხვა). მათ კარგად იციან, რომ მეტყველების ეს ნაწილი მართლაც ბურჯია ქართული ენისა და მისი დომინანტური როლის გარეშე ჩვენი ენა ვერ განვითარღება.

შინც რა აქცევს ზმნას ქართულის დედაბოძად?

უწინარეს ყოვლისა, ეს არის მრავალპირიანობა. კაცი წერს — ერთპირიანი ზმნაა; კაცმა წერილი დაწერა — ორპირიანი; კაცმა მეგობარს წერილი მისწერა — უკვე სამპირიანი. აქ გამოხატულია ის, ვინც წერს (მოქმედების სუბიექტი), ის რასაც წერს (წერილი — ობიექტი) და ის, ვისაც წერს (მეგობარი — მეორე, ეგრეთ წოდებული ირიბი ობიექტი), შეადარეთ: Он написал письмо და Он написал письмо приятелю. ზმნა ვერ გამოხატავს ობიექტის მომატებას.

„ე პაწა არ ღამიშშიოთ, ფოცხვერს არ დამიჭმიოთა“, — წერს რაფიელ ერისთავი. „ამის ოტკა ჩამომისხი, მისვი მშიერ სალდათებსა“. — კვითხულობთ „არსენას ლექსში“. გრამატიკა გვასწავლის, რომ

ამგვარი ზმნებიც სამპირიანია, რადგან მეოთხე ნაგულისხმევი პირი ნიშანს ვერ იჩენს, ფორმალურად ვერ გამოიხატება. მაგრამ ამჟერად გრამატიკულ თვალსაზრისს დავეხსნათ და მსგავს ზმნებს შევხედოთ სტრუქტურის თვალთ, მეტყველების ეკონომიის პოზიციიდან. დ ა მ ი კ მ ი -
ო თ — ზმნა გულისხმობს ბავშვსაც, მის შესაძლო შემკველსაც (ფოცხვერი), მისივე მომვლელებსაც (სახლეულნი, ვისაც მიმართავს მეოპარი) და მამასაც (მეომარი). ასევე: მ ი ს ვ ი თ --- გულისხმობს არაყსაც, სალღათებსაც, მედუქნესაც და თავად არსენასაც.

აბა სცადეთ მსგავსი რამის თქმა რომელსამე ინდოევროპულ ენაზე! ქართული ზმნა უდიდეს გავლენას ახდენს ენის სინტაქსზე. „სიტყვათა სინტაქსური კავშირი ისევე თავისებურია, როგორც თავისებურია ქართულ ორპირიან ზმნათა უღვლილება“ (ა. ჩიქობავა). ზმნა სახელა მართავს ბრუნვაში — ზმნის ცვლილება სახელის ცვლილებას იწვევს. კ ა ც ი წერს, კ ა ც მ ა დაწერა, კ ა ც ს დაუწერია (შეადარეთ: ч е л о - в е к пишет, человек написал).

შემდეგ, ქართული ზმნის უღვლილება გვაძლევს ისეთ მწკრივებს, რომელთა ბადალი, რამდენადაც ვიცით, სხვა ენებს არ გააჩნიათ. ეს არის; წ ე რ დ ე ს (კავშირებითი პირველი), დ ა წ ე რ დ ა (პირობითი), დ ა წ ე - რ ო ს (კავშირებითი მეორე), დ ა უ წ ე რ ი ა (თურმეობითი პირველი), დ ა ე წ ე რ ა (თურმეობითი მეორე), დ ა ე წ ე რ ო ს (კავშირებითი მესამე). ზმნის ამ ფორმების მეშვეობით ენას ძალუძს საოცარი ნიუანსების გამოხატვა.

ქართულ ზმნას შეუძლია გვიჩვენოს, თუ ვისთვისაა განკუთვნილი მოქმედება (საარვისო, სათავისო და სასხვისო, ან, სხვანაირად, საარვისო, სასუბიექტო და საობიექტო ქცევა). კ ა ც მ ა რ ი მ ე დ ა ა გ რ ო ვ ა (საარვისო), მაგრამ შეიძლება ითქვას აგრეთვე დ ა ი გ რ ო ვ ა (სათავისო) და დ ა უ გ რ ო ვ ა (სასხვისო). არც ამგვარი ნიუანსების გამოხატვა ხალუძს ინდოევროპული ენების ზმნას (შეადარეთ: накопил. მაგრამ ვისთვის მოხდა მოქმედება, ამის გასარკვევად აუცილებელია სხვა სიტყვების მოშველიება: для себя, для него და სხვა).

ქართული ძალზე მდიდარია ზმნისწინებით, რომლებიც საოცარ მოქნილობას სძენენ ენას. მი-ვიდა, მო-ვიდა, შე-ვიდა, შემო-ვიდა, გადა-ვიდა, ა-ვიდა (აღ-ვიდა), წა-ვიდა, წამო-ვიდა, და-ვიდა, ჩა-ვიდა და სხვა. ამ ფაქტს კარგად უნდა დამახსოვრება.

ეს ექსკურია გრამატიკის წიაღში საჭირო იყო, რათა ერთხელ კიდევ გავეხსენებინა ქართული ზმნის თავისებურებანი, მისი სიმდიდრე და საოცარი ძალმოსილება. უაზისოდ შესაძლოა გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს ზემოთ იამოთქმული მოსაზრება, რომ ჩვენ დღენიადაც, ნებით თუ უნებლიეთ, ვაკნინებთ, ვამახინჯებთ, ვკოდავთ ქართული ენის ნაადვილ ბურჯს — ზმნას. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართული ზმნის

აღნუსხულ თვისებებს (და არა მხოლოდ მათ, ცხადია), ეს მოსაზრება გადაკარბებულად აღარ მოგვეჩვენება. სხვა სიტყვებით ვერ შეიძლება ქვემოთ წარმოდგენილი ნიმუშები არაერთი ჩვენთაგანის მეტყველებისა.

გადახედოთ ამ თვალსაზრისით ჩვენს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, რადიო და ტელეგადაცემებს, პიესებს, კინოსცენარებს. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც პირდაპირ შეგზარავთ ამა თუ იმ ნაწარმოების, სტატიის, გამოკვლევის ენა და ამის მიზეზი ხშირად არის ზმნის დომინანტური როლის უგულვებლყოფა. ზმნის ბუნების შელანძღვა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ხალხი წერს რომელიღაც ინდოევროპულ ენაზე, ოღონდ ქართული სიტყვებით. მათ ავიწყდებათ, რომ ქართული ზმნა შეიძლება ერთპირიანიც იყოს, ორპირიანიც და სამპირიანიც.

ავიღოთ უბრალო მაგალითი. პოეტმა რომელსამე აუდიტორიას წაუკითხა თავისი ახალი ლექსები. მსმენელებმა ლექსები მოიწონეს ზოგიერთი კიდევ აღფრთოვანდა. ამ ამბავს პრესაც გამოეხმაურა. ყველამ აღიარა პოეტის ნიჭი. როგორ გგონიათ, რა სახეს მიიღებს ამ ამბავს გამო დაწერილი ხუთსტრიქონიანი ინფორმაცია? ჩვენ შევიტყობთ, რომ მოსმენილი იქნა (ან წაკითხულ იქნა) პოეტის ახალი ლექსები, რომ ეს ლექსები მოწონებულ იქნა, რომ ამ ამბავმა გამოხმაურება პოეტის პრესაში და რომ პოეტმა აღიარება პოეტისა. თანაც, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ამგვარი ინფორმაციის დაწერას ცუდ მოქართულედ არ მიიჩნევენ (ზომ შეეძლო ასეც დაწერა: პოეტმა აწარმოა ახალი ლექსების წაკითხვა! სათანადო მისაბამ მაგალითებს უხვად შეხვდებოდა ჩვენს პრესაში. აი ერთი მათგანი საგაზეთო სტატიიდან: „კომუნისტური მშენებლობისას იწარმოებს სახელმწიფოს თანდათანობითი გადაზრდა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციაში“; მხატვრული ქმნილებიდან: „იპავე დროს ეწეო დნენ ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამომგონებლობას წარმოებებში, აწარმოებდნენ იმ პროდუქტებისა და ნედლეულის შემცველთა ძიებას, რომლებიც არ კმაროდა“).

ეკვი არაა, ასე თუ მივყევით, მალე იდეალურ სიპარტივეს მივალწევთ, „აწარმოას“ და „იქნას“ ტიპის სავითხი ფორმის გარდა ზმნა საერთოდ აღარ დაგვეკირდება და მაშინ ქართული ენის შესწავლა და პისი გამოყენება უადვილესი საქმე შეიქნება!

მწკრივთა აღრევის (ესე იგი უკვე სინტაქსური შეცოდების) შემთხვევები ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ამ მხრივ ცალკეული ავტორები თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებიან, თუ ვინ უკეთ მოახერხებს ინდოევროპულ ენათა ზმნების ასლების გადმოღებას.

ვთქვათ, გვინდა ვთარგმნოთ წინადადება: Я стоял дожидаясь, когда они кончат говорить. ნორმალური თარგმანი ამ წინადადებასა

აღბათ ამდაგვარ სახეს მიიღებდა: „ვიდექი და ველოდებოდი, როდის მორჩებოდნენ საუბარს“. არა. მთარგმნელი წერს: „მე ვიდექი და ვიციდი, როდის გაათავებენ ისინი ლაპარაკს“. დავანებოთ თავი იმ ამბავს, რომ „მე“ და „ისინი“ ამ წინადადებაში სრულიად ზედმეტია, რადგან „ვიდექი“ და „გაათავებენ“ თავისთავად მიგვანიშნებენ, თუ ვინ იღვალა და ვის უნდა დაემთავრებინა ლაპარაკი; ნურც იმას მივაქცევთ ყურადღებას, რომ, თუკი „ლოდინს“ „ცდა“ ვარჩიეთ, „ვეუციდი“ მაინც უნდა დავეწყოთ; ნურც იმას, რომ „ლაპარაკის გათავებას“ „ლაპარაკის დამთავრება“ სჯობს. მთავარი, რაც უწინარეს ყოელისა გვებამუშება ამ წინადადების კითხვის დროს, არის „გაათავებენ“, ნაცვლად მოსალოდნელი ფორმისა „გაათავებდნენ“. მაგრამ ნურას უკაცრავად! ჩვენი მთარგმნელის აზრით საკმარისია ასლები შექმნა სათარგმნი ტექსტისა და ყველაფერი რიგზე იქნება. **Кончат** — ხომ ასე წერია რუსულად? ესე იგი „გაათავებენ“. სად იმტერიოს თავი მთარგმნელმა და ეძებოს რაღაც ახირებული ფორმები (მერე რამდენი!) ქართული ზმნისა!

„მას უნდოდა პირისპირ მოლაპარაკებოდა ბავშვობის მეგობარს, რომელიც მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ზეირიანად არც კი უნახავს“. აქაც აღრეულია მწკრივები. „უნახავს“ (პირველი თურმეობითი) ნაცვლად უნდა ეწეროს „ენახა“ (მეორე თურმეობითი).

აქაც: „ღარწმუნებული არა ვარ, რომ აქედან, დამცირების გარდა, სხვა რამეც გამოვა“. **Выйдет** — გამოვა. თარგმანი, როგორც ხედავთ, ზუსტია. სამაგიეროდ დავიწყებულია ზმნის ფორმა „გამოვიდეს“, რომელიც, თუკი გესურს ქართული გამოვიდეს, უნდა შეენაცვლოს „გამოვას“.

„ისე მიხარია, რომ მოხვედი, თითქოს მძიმე ტვირთი მომეხსნა გულზე“. ამჯერადაც ნუ მივაქცევთ ყურადღებას სხვა ნაკლოვანებებს ამ წინადადებისა, მხოლოდ ეს ვიკითხოთ: რისთვისღა არსებობს ქართულში მესამე კავშირებითის მწკრივი („მომხსნოდეს“), თუკი მსგავს შემთხვევებშიც არ გამოვიყენებთ?

„მოვედი შენთან არა იმისთვის, რომ გედაო და გეკამათო“. ეს რუსული გახლავთ, ოღონდ ქართული სიტყვებით დაწერილი. ქართული იქნებოდა: „სადაოდ და საკამათოდ კი არ მოვსულვარ“.

„არ იქნებოდა ურიგო, რომ ამის შესახებ ცოტა გულახდილად ვილაპარაკოთ“ („გველაპარაკნა“).

„ამ ხნის განმავლობაში უკვე ცხადი გახდა, რომ გერმანელებმა ქალაქი დაიკავეს“. ესეც რუსულია. ქართული იქნებოდა: „...გერმანელებს ქალაქი დ ა ე კ ა ვ ე ბ ი ნ ა თ“.

„სახალხო კომისარს თითქოს თქვენი ტელეგრამის წაკითხვის გარდა, სხვა საქმე არა აქვს“. ქართველი კაცი იტყვოდა: „თითქოს სხვა არაფერი პ ქ ო ნ ღ ე ს საქმე“.

„მაშ რაღად იპალებოდით, თუ თქვენ არ მოკალით თქვენი ცოლი?“
ქართულად იტყოდნენ: „მოგიკლავთ“. მაგრამ ყნაჲჲ — მოკალით. ზუს-
ტი თარგმანი არ სჯობს?

რაც შეეხება ქცევას. ეს კატეგორია კარგა ზანია აღარ ახსენდება
ზოგიერთ მოქართულეს. მხატვარმა შეგობარს სურათი დაუხატა. რო-
გორ მოგვითხრობს ამ ამბავს შეგობარი — თანამედროვე ქართველი ინ-
ტელიგენტი? ეს სურათი ჩემთვის ის დახატა. „დამიხატა“ რომ ეთ-
ქვა, რაღაც არ ემგვანებოდა ინდოევროპული ენების ზმნას. დახატა...
нарисовал. რას უწუნებთ? მშვენიერი სიტყვაა — მარტივი და ყვე-
ლასთვის გასაგები. აბა „დამიხატა“ თუ მივსდიეთ, სხვა უცნაური ფორ-
მებიც წამოყოფს თავს: დაგიხატა, დაუხატა, დაგვიხატა, დაგიხატათ.
მიხატავდეს, გიხატავდეთ, დაუხატავდა, დამიხატავდეს, დაგიხატოთ,
და ასე შორს წავალთ...

მსგავსი მაგალითები იმდენად ზშირია, მათი ამოწერით მკითხველს
აღარ შევაწყენ.

მიმოიტაცებოდა კიდობანი ზედა წყალთა. მიმოდაგო-
რვიდა (აქეთ-იქით დაგორავდა). მიჰრქვა (აქედან იქით
რქვა, უთხრა). მხედრ მიმოდასდევინ (ამხედრებულნი აქეთ-
იქით დასდევდა). მოსცემდა (იქიდან აქეთ). მიაქცინეს (პირ-
იქით აქნევინეს). გარდამოხილე ზეცით (ზემოდან ქვემოთ ჩვენ-
სკენ). ოცდაათნი ცოლნი შემოგვარანა ძეთა თვისთა შინა (ცოლები
მოჰგვარა, ოლონდ შინაც შემოუყვანა). გარდაუტევა მელქოლას
დავით სარკმლითა, — ვკითხულობთ აღრინდელ ტექსტებში.

ვისგან მზე შენაფლობია. მიჰხოცდეს დამიისროდეს,
მინდორს სისხლსა მიასხმიდეს. მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუ-
შინ შეეარა. ბალი შეღმა შე-რა-შენდა (ბალი შეღმა, ქვემოდან
ზემოთ რა შეშენდა), — წერს რუსთაველი.

აბინდდება. გადაეზმანა. გადაასრიდე. გადაარე-
კოს. დაოცნებობს. დაუფარჩოს. მიეთოვოს. მიუღი-
ავებს. მოაიხვებს. შეეკიდებიან მთვარეს მტევნები. ცეცხლი
შემოიკიდე. ასე დაბინდულ მყინვარს ზღვა რად შედეღავა
შავი. შეხავსებია. მტკვარი ამღვრეული ფიქრს რომ მიახვია.
შეემუქრება, შეეშენება, — წერს გალაკტიონ ტაბიძე.

ააგლისე — აღმა შეგოზე; ააგრიხე — ზედ შეაგრიხე. ააკე-
რე — ზედ შეანემსე; ააკვეთე — აღმა აპკვეთე; ააპე — შეღმა
შეხეთქე; აარბიე — აღმა ცხენი აქუსლე; აარონინე —
ზე შეატარე (შეადარეთ „აარონია“); ააქციე — სართული აღმარე-
ვე; ააძლიე — ზე შეაწოდე; ააწვინე — ზე შეაწვინე; ალგესა-
ბურველნეს — საბურველი აღგეხადა. დაარვეულე — რვეუ-
ლად გახადე; დააქვრიტე — დაამზირე; დაინაბნეს — შიშით

გაიქცაფენეს; მიმოდაყვნა — აქეთ-იქით განაბნივა; შეედევნა — თან შეჰყვა შორი-ახლო; შეედეზა — ცხენი დეზით დაეჭვულია; შეეზმანა — ზე შეეტოლა; შეეზომა — შეღმა, გინა შიგნით გარეღამ გაეზომა; შეეთოხნა — შეღმა მოეთოხნა; შეეკიბა — კობის მსგავსად ფერხის ადგილნი შეემზადა; შეეკოშკა — შეემალღებინა; შეეპო — ხე პირალმა შეეხუტა, გინა წყალში მალიად შევიდეს; შეერაზმა; — რაზმი შეეწყო; შეეტარებინა — შეერონი-ნებინა; შეეტირა — ცრემლით ეუბნა; შეეტოლა — მის ტოლი იქმნა; შეეფათერაკა — ფათერაკად მოუხდა; შეედარა — ღარი შეველო; შეეყბედა — უღარესისაგან უშვერი სიტყვა; შეეყინა — ზედ მიეყინა; შეეყურებინა — გარეგნით ყური მიეპყრო; წააგავა — მიაცოცხა; წააგრიხა — ზე შეასთო; წაანთებინა — წინ გაინთო; წაარონინა — წინ გაატარა; წააქამა — კამაში შეატანა; წაახვია — შებლარდნა, — წერს სულხან-საბა ორბელიანი.

ერთი ძალზე საინტერესო ფაქტი: საბა აღნუსხავს შეე-ზე დაწყებულ („შეედევნა“ და მისთ.) სამასამდე ზმნას და ბოლოს შენიშნავს: „შინზედ ორი ენი მრავალი მოვალს, სიმოკლის შენდობას ვითხოვ“.

შენდობის თხოვნა მოკრძალებისა და თავმდაბლობის მიმნიშნებელია. აბა ამის დამწერი კი არ მოითხოვს შენდობას: „შეეარდენი ანვა-რებნას მეტრ სისწრაფეს წამში, როცა ზემოდაპიკირებით შევება მახვერპლზე“. არც ამისი: „ზღვა მიმოქცევას აწარმოებს“. კიდევ: „ცხენი ჰენებით წაიყვანა აღმართში“; „მას საკმლიდან შეგვხედა და გაგვიცინა“: „კინოში წასვლამდე მეგობრის სახლში გაიარა“; „რამდენჯერმე გაიარა ოთახში“; „დადის წინ და უკან ოთახში“; „შევიდა თუ არა ეზოში, უხმაუროდ გაიხურა კიშკარი“; „იგი ქვემოდანი მიჩერდა მოსაუბრეს“.

ჩვენ ვნახეთ, რა სავალალო შედეგებს იწვევს ზმნის როლის გაუთვალისწინებლობა, მისი სირთულისა და მრავალფეროვნების უგულვებლყოფა. მაგრამ ამით არ ამოიწურება სათქმელი. ზმნისადმი უსულგულო დამოკიდებულება წარმოშობს უფრო ღიღი მასშტაბის შეცოდებებსაც — სინტაქსურ შეცოდებებს, რადგან ზმნა არის სწორედ ქართული წინადადების უმთავრესი წევრი (შემასმენელი).

ამ მხრივ ყველაზე მეტად თვალსაჩინოა ზმნისა და სახელის არასწორი შეთანხმება რიცხვში. ცნობილია, რომ უსულლო საგნის გამომხატველი სახელი, ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს. მაგრამ ინდოევროპულ ენათა გავლენის მოძალების შედეგად ეს წესი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა:

„მნახველთა თვალს იზიდავენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მოდლები“ (უნდა: იზიდავს); „მის სახეზე საშინელი ძალის ხაზები ისახებოდნენ“ (უნდა: ისახებოდა); „პოეტის ფიზიკური და სულიერი ძალები აუტანელი შრომისა და ეკონომიური გაჭირვებისაგან თანდათან ეცემოდნენ“ („ძალების დაცემა“ ისედაც არაა ქართული); „სურათებს ცვლიან სცენები“ (უნდა: ცვლის); „ცალკეული წანაკითხები აქრელებულ სურათს იძლევიან“ (უნდა: იძლევა); „გადიან წლები“ (გადის); „დრამატული მომენტები ლექსებში გადადიან“ (გადადის) „ლექსები გვხიბლავენ“ (გვხიბლავს); „ეს ლექსები აქტუალობით გამორჩევიან“ (გამორჩევა); „ქუჩები გამოცვლილიყვნენ“ (გამოცვლილიყო, შეცვლილიყო); „ხეები ყვაოდნენ“ (ყვაოდა); „ისეთი ქალაქები, როგორც არიან“.

ვხვდებით საწინააღმდეგო სურათსაც, როცა შედგენილი შემასმენელი სულიერი საგნის აღმნიშვნელ სიტყვასთან მხოლოდობით რიცხვშია: „სახელგანთქმული პოეტებია“ (უნდა: პოეტები არიან); „დაზგასთან სტუდენტებია“ (სტუდენტები არიან) და სხვა.

უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა ზმნას სახელს არასწორად ამართვინებენ ბრუნვაში. ეს იმდენად მომაკვდინებელი ცოდვაა, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ავტორმა (თუ მთარგმნელმა) საერთოდ არ იცის სალიტერატურო ქართული. ვინმემ რომ სალიტერატურო ენა არ იცოდეს, თავისთავად საკვირველი როდია. საკვირველი ისაა, რა გზით ხერხდება ამგვარი ენით დაწერილ ნაწარმოებთა დაბეჭდვა.

ორიოდე მაგალითი:

„სწორედ იმ წამიდან, როცა შევიცან საკუთარი თავი, ვიდრე უკანასკნელ წუთამდე, როცა შენ ქანცში იღე უღმამა, უკანასკნელად თავით ჩუმად მომეყრდნე მკერდზე...“ „ახალგაზრდა, რომელიც ფეხზე საკმელს ღეჭავდა, არც თუ დიდი სიამოვნებით აიღო ჩაიდანის და გაუდგა გზას“.

შეცოდებანი სინტაქსის სფეროში აქ აღნუსხული ტიპის შემთხვევებით არ ამოიწურებიან. საკმაოდ ხშირია, როცა არასწორად ათანახმებენ სახელს სახელთან ბრუნვაში („მაღალ სახლების“, „გაუთავებელ კამათით“), რიცხვში („მრავალი სტუდენტები“, „ბევრი ბურთები“) და სხვა. მაგრამ ამის თაობაზე ბევრი დაწერილა და იწერება, ასე რომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ზმნის როლის უგულვებლყოფის სხვა მაგალითები უკვე სცილდება მორფოლოგიისა და სინტაქსის (საერთოდ, გრამატიკის) სფეროს

და ისეთ ნაკლებად შესწავლილსა და, ამავე დროს, რთულ ცნებას უკავშირდება, როგორცაა ს ტ ი ლ ი.

კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ სფეროში ირყვნება და მახინჯდება ყველაზე უღვთოდ ქართული ენა. ჭერ ერთი, იმიტომ, რომ გრამატიკული შეცოდება ყოველთვის უფრო ავალსაჩინოა და, ამდენად, უფრო ნოლად აღსაკვეთიც, ხოლო სტილისტური შეცოდების შესამჩნევად ცოტათი უფრო მახვილი თვალი და დახვეწილი სმენა, ერთი სიტყვით, ენის ბუნების კარგი ცოდნაა საჭირო. და კიდევ იმიტომ, რომ ნაუბარის თუ ნაწერის გრამატიკულ დახვეწას ნაკლები შრომა სჭირდება, ვიდრე სტილისტურად გამართვას. ამასთან, ბარბარიზმი, ამ სიტყვის ჩვეული გაგებით, უცბად მოხვდება სმენას („სტოლი“, „რიუჯაჟი“, „ავტორუჩკა“, „ლოყები“, „შკაფი“, „კრანი“ და მრავალი სხვა), ხოლო სტილისტური ბარბარიზმები ზოგჯერ ისე შემოეპარება ენას, ნაცადი მოქართულენიც ვერაფერს შეინიშნავენ.

მაგრამ ბარბარიზმიცაა და ბარბარიზმიც. „ხმარებაში შემოიღო“, „შეცდომაში შეიყვანა“ და სხვა მსგავსი გამოთქმები თავის დროზე სტილისტური ბარბარიზმები იყო, მაგრამ ენამ ისინი ნებაუნებურად შეიწყნარა და ახლა ლექსიკონებშიც კი დამკვიდრდა. ოღონდ ვიდრე ქართულს ქართული ეთქმის, ვერასოდეს იგუებს ასეთ რამეს:

„განა მას შეეძლო ეფიქრა, რომ ამ წუთში მან გადადგა პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელმაც იგი დაღუპვამდე მიიყვანა?“

„ვიმ ამ ნაცვალსახელების სიმრავლეს!“ — წერდა თავის დროზე ილია ჭავჭავაძე მსგავსი შემთხვევის გამო. მაგრამ თუ მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, გარკვეული მიზეზების გამო (მოვიგონოთ ზემოთ ნახსენები უზარმაზარი ხარვეზი, ქართულ ენაში გაჩენილი მეთვრამეტე საუკუნიდან ვიდრე თერგდალეულთა თაობის ამოქმედებამდე), მსგავსი რამ მოსალოდნელი და, მე ვიტყვოდი, კანონზომიერიც იყო, დღეს რა ღმერთი უნდა გაუწყრეს ქართველ კაცს, რომ ასე უგულოდ დაწიხლოს ქართული ზმნა და, საერთოდ, ქართული ენა? გამრავლოთ მაგალითები.

„ჩერვიაკოვს მუცელში რაღაც ჩასწყდა. მან კარებისკენ დაიხია. ის არც რამეს ხედავდა და არც რამე ესმოდა“.

„რა იქნა დეჟეშა? სად გადააგდეთ? იგი ყაზანიდან გუშინდელი თარიღით იყო გამოგზავნილი“.

„— მაგრამ გუალი?“

— რა გუალი?

— ის შენთან წამოვიდა“.

„— ვის უმზადებ ამ ფხენილებს?“

— არავის, მარაგს ვამზადებ.

— მარაგს? ეს ძალიან კარგია, ძალიან კარგი“.

„შენ მხოლოდ ერთი კვირაა, რაც აქა ხარ. შენ არაფერი იცი. შენს საქმროს მაინც ჰკითხე. თუნდაც ის, თუ რად გადმოვსახლდი მასთან. საერთოდ, ის ბევრ ჰკუთის სასწავლს გიამბობს. ამ წელიწადს მან აქ ბევრი რამ იწვინია“.

„და ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ იგი რაიმე ახალს შესძენს პატერსონების სახელს. მართალია, იგი ახალგაზრდაა. მაგრამ მან უკვე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მეცნიერების სამყაროში“.

„ძალიან გთხოვთ თავი დანებოთ მას და ნუ ეჩიჩინებით, რომ იგი უბედურია, თორემ მართლა იფიქრებს, რომ ეს ასეა“.

აქ მოტანილი ყველა მაგალითი თარგმნილი ნაწარმოებებიდანაა აღებული. სწორედ სხვა ენის მოუწუნებელი გავლენა აიძულებს მთარგმნელს დაივიწყოს ქართული ზმნის ფასდაუდებელი თვისებები და მისი დომინანტური როლი წინადადებაში და ნაცვალსახელთა მსგავსი სიუხვე შემოგვთავაზოს.

ასევე სხვა ენის (თუ ენების) გავლენით მოხშირდა ჩვენს თარგმანებში ერთი შეუწყნარებელი შეცდომა — წინადადების უზმნოდ დეტოვება. არავის ეგონოს, თითქოს საერთოდ უზმნო წინადადების (როგორც სტილისტური ხერხის) წინააღმდეგ ვილაშქრებდე ამ შემთხვევაში. არა, მხედველობაში მაქვს მხოლოდ ისეთი ასლები რუსული ფრაზისა, როგორცაა:

„ხედავთ რას წერენ ახლა? არაფერი ჰკუთის სასწავლი“.

ან კიდევ: ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი ამბობს — უცოლშვილო მამაკაცები არ მიყვარს, ქვეყნისთვის ზედმეტი ბარგი არიანო, ხოლო მეორე პასუხობს: „ღიახ, ზედმეტნი ბარგნი არიან. ფუქსავატობა“.

კიდევ: ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი მეორეს უნდა განშორდეს და, როცა წასვლას დააპირებს, მეორე წამოიძახებს: „უკვე?“.

„საბანაოდ მივალ, ჭერ არც ერთი დღე არ გამიცდენია. ყოველთვის ამ დროს“.

„ერიჰა! შენც მაღალ საზოგადოებაში? — მიმართა მან მეგობარს“.

როგორც ხედავთ, ყველა მოტანილ წინადადებაში, როგორც ილია ქავჭავაძე იტყოდა აგრეთვე მსგავსი შემთხვევის გამო, „ზმნა ოცნებაში ჩაფლულა და ჩაჰბარებია პატრონსა“.



ზემოთ აღწუსებული იყო ტიპური შემსაკცეები, როდესაც ზმნის როლის უგულვებელყოფა იწვევს სტილის შერყენას და დამახინჯებას. მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა ხასიათის სტილისტური შეცდომები, რომლებსაც ვერავითარ კატეგორიაში ვერ მოვათავსებთ და რომლებიც

სიტყვათა და სიტყვათშეხამებათა უხეირო შერჩევისა და განლაგების თუ დაკავშირების შედეგად წარმოიქმნება უპირატესად. მსგავსი შეცოდებები რაოდენობის მხრივ ყველაზე ხშირია და ერთობ კრელ სურათს წარმოქმნის.

„რამდენიმე ესახალი მოწყობილობა უკვე დადგმულია ფაბრიკაში“.

„ბორჯომის რაიონის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ტყეებითაა დაფარული. რომელთაც საკურორტოს გარდა, სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ“.

„ამ მეურნეობის ტყის ფართობები საკმაოდ დიდია. იგი (მეურნეობა თუ ტყის ფართობები?) გადაჭიმულია მტკვრის ორივე სანაპიროზე და წიწვიანი მცენარეებისა ფიჭვის, ნაძვის, სოჭის გარდა, ძვირფასი ჯიშები წიფელი, მუხა, თელა, ნეკერჩხალიც ბევრია“.

„საფრანგეთის გარკვეული წრეები, საზოგადოების ფართო წრეების მოლოდინისა და იმედის საწინააღმდეგოდ, ცდილობენ ენევის თათბირის მოწვევის წინ შექმნან პესიმისტის ვითარება მისი შედეგების მიმართ“.

„საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ცდილობენ აგრეთვე შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს დასავლეთ ბერლინის მოსახლეობა წინააღმდეგია ბერლინის სტატუტის შეცვლისა, ე. ი. დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ნაშთების ლიკვიდაციისა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო დაძაბულობის საშიშკერას“ (გამოდის, რომ ლიკვიდაცია წარმოადგენს დაძაბულობის კერას!).

„ლუმანიტი“ იმოწმებს დასავლეთ ბერლინის პრესას და აღნიშნავს, რომ დასავლეთ ბერლინის ხელისუფალნი აპირებენ მაისის პირველ ნახევარში, ე. ი. ენევის თათბირის დროს, მოაწყონ მთელი რიგი მანიფესტაციების ინსცენირება, რომელთა მიზანი ის არის, რომ ცხადყონ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის „უკმაყოფილება“ თათბირის მოწვევის გამო“.

„...ცდილობენ გამოიწვიონ მისი სიბრაღული ბერლინის მოქალაქეთა ბედისადმი, რომლებიც თითქოს სურთ პირში მისცენ ავმგლებს“.

„შეეხო რა შინაპოლიტიკურ მდგომარეობას დასავლეთ ბერლინში, მან განაცხადა“ (დასავლეთ გერმანიაში შეეხო თუ დასავლეთ გერმანიისას?).

„მან განაცხადა, რომ აღენაუერის თანხმობა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა არჩევნებში, ცხადყოფს, რომ ბონის მთავრობის მეთაური ჩიხში მოექცა უწინარეს ყოვლისა თავის საგარეო პოლიტიკაში“.

„მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც ძმური მეგობ-

რობის ა ტ მ ო ს ფ ე რ ო შ ი მიმდინარეობდა, გამოვლინდა ორივე მხარის აზრთა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხში“ (შიშინის გარდა იმასაც ყურადღება მივაქციოთ, რომ მსვლელობა მიმდინარეობდა!).

„იგი წარმოადგენს აგრეთვე იმ ჩაშლის იდეოლოგიურ მომზადებას, რასაც გერმანიის მილიტარიზმის წარმომადგენლები უპირებენ ენევის თათბირზე გერმანელი ხალხისათვის მთავარი საკითხის — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების წარმატებით განხილვას“ („თუ აქ გაიგება რამე, ხელს მოვიჭრით“, — წერდა მსგავსი შემთხვევის გამო ილია ჭავჭავაძე).

„გაზეთი „ასამ ტრიბუნი“ მოწინავე სტატიაში, რომელიც ეძღვნება ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, წერს, რომ „ინდოეთი და რუსეთი, ისე როგორც მათთან ერთნაირად მოაზროვნე სხვა ქვეყნები, გულწრფელად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ დაიცვან საყოველთაო მშვიდობა, რაც სრულიად საკვიროთა ყველა ქვეყნის, როგორც დიდი, ისე პატარა ქვეყნების მატერიალური და სულიერი პროგრესისათვის“.

„მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობა თავისი წარმოშობიდანვე გადაჭრით გამოდის და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის“.

„ეს მონაცემები იმის მკაფიო დადანტურებაა, თუ საბჭოთა კავშირში როგორ აღორძინდნენ ხალხები, რომლებიც წარსულში ჩაგრულნი იყვნენ“.

„მოსახლეობის გადიდება მოხდა ბუნებრივი მატებით და სოფლის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი რიცხვის სამუშაოდ ქალაქებსა და მუშათა დაბებში გადასვლით“.

„პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ, — თქვა საუბრის დროათბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა...“ (სულ 23 სიტყვაა და ამთგან 13 ნათესაობითს ბრუნვაში დგას!).

„გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდი მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე სახავს ბევრ საკითხს სოციალისტური სახელმწიფოს ბედის შესახებ, ახალ პირობებში მისი როლისა და მნიშვნელობის, მისი შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზების შესახებ“.

„საბჭოთა კავშირი მესამე ადგილზეა ყველა სახეობის საათესის გამოშვების მხრივ და მეორეზეა, პირველობას უთმობს რა შედეგობას, მაჯის საათების წარმოებაში“.

„ეჭიშებისა და მეცნიერებისათვის გამოშვებული იქნება წამმზომი-

ანი საათები, ხოლო სპორტის მოყვარულთათვის ორისრიანი წამშხომით“.

„მომავალი წლისათვის კიდევ გავადიდებთ გეგმას, რათა ჩაგაყენოთ იმის აუცილებლობის პირობებში, რომ იფიქროთ და იმეუშაოთ იმაზე, რომ ყოველწლიურად ზრდიდეთ მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა პროდუქტების მოყვანას“.

„...ევალებათ მოაწყონ სამეცნიერო დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელების, რომლებიც კვლევას აწარმოებენ ისტორიის დარგში, და თვალსაჩინო მეცნიერ ისტორიკოსთა თათბირი, რომელიც განიხილავს ისტორიის მეცნიერებათა მეცნიერ-პედაგოგთა კადრების გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხს“ (ხელის მოკრა აქაც მოგვიხდება!).

„ამ ნაწარმოებების მთავარი აზრი მდგომარეობს დასაბუთებაში გმირობისა და კეთილშობილებისა, როგორც ომში, ფრონტზე. ისე მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ვითარებაში“.

„ეს ნაწარმოები გამორჩევა იყო დახვედბული ფეოდალური სამყაროს მიმართ“.

„დედამიწის ყველა ხალხი ზეიმით აღნიშნავს ამ დიდი ჰუმანისტისა და დემოკრატის ხსოვნის დღეს, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ადამიანთა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას“.

„უმეტეს შემთხვევაში ნაწარმოებთა მიხედვით ნათელი ხდება ამ გმირის სულიერი სამყარო“.

„პარიზის კომუნის დამარცხებაში კაცობრიობის ისტორიული პროგრესის დროებითი შეფერხების დანახვა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ პოეტი თავის ლექსში კომუნის სწორედ მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს“.

„ვაჟა უძვირფასეს მასალას გვაწვდის ფშავ-ხევსურთა ცხოვრებიდან — იქნებ ეს ფშაური ლექსები თუ ლაშარობა“.

„განა საჭიროა მტკიცება იმისა, რომ თვით ნაწარმოების გმირისთვისაც კი საქმის ვითარება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს აქ არის წარმოდგენილი, და რომ ის, რაც არცთუ სავსებით სწორია ნაწარმოების გმირის მიმართ, სავსებით არ არის სწორი ავტორის მიმართ? “

„მაგრამ ყოველივე ამასთან, ცხადია, თუ რა მიმართულებებს ხელოვნებაში იცავს გაზეთი, ვის მხარეზეა იგი“.

„მას კი ხომ, ყველაფრის მიხედვით, შეეძლო კარგი მუსიკით გაეხარებინა მსმენელები“.

„მათ მიაჩნიათ, რომ შინაარსით უაზრო სიმღერებიც სასარგებლოა იმიტომ, რომ ისინი.თითქოს იზიდავენ ახალგაზრდობას არა „საკუთრივ უაზრობით“, არამედ „უაზრობისადმი თავიანთი დამოკიდებულების ერთობით გატაცებით“ შეაძლებლობით“.

„პირველი პოეტური კრებულის გამოცემიდან ცამეტი წლის სიჩუმის შემდეგ გამოდის კრებული „ანაბაზისი“, რომლის შთანაფიქრი მოგვაგონებს იმავე სახელწოდების ძველი საბერძნეთის მწერლის ქსენოფონტეს ნაწარმოებებს“.

„იგი გრძნობს თავის თავს განდევნილად არა მარტო ამ ისტორიულ სიტუაციაში, არამედ საერთოდ ცხოვრებიდან“.

„ლექსების კრებული აფრთხილებს ატომური ომის საშიშროებაზე და პოეტის მაღალ დანიშნულებას ქადაგებს“.

„მისი პოეზია უკიდურესობამდე მგრძობიარეა თანამედროვე განვითარების დინამიკის მიმართ, აგრეთვე ყველა მერიდიანის ადამიანის დაახლოებებისადმი, რაც მისი პოეზიის არსებითი, გადამწყვეტი თვისებაა“.

„პოეზია ის აქტიური ძალაა, რომელსაც შესწევს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა“.

„აჰ, რიყის ქვაფენილზე მხოლოდ ბებერი ცხენი კეთილი, დაღლილი თვალებით დააგორებ და რეზინის ბორბლებიან ფორანს“.

„რატომღაც ქუდი მოიხადა და ბავშვის ცხვირსახოცი თ მოულოდნელობისაგან გაოფლიანებულ იშუბლის წმენდა დაიწყო“.

„— ღმერთო ჩემო, რა ცხარე თავდასხმაა! — მიუგო მხიარული გამომეტყველებით ბრტყელ სახეზე დარბაზში შესულმა და ასეთი შეხვედრით სრულიად არ შეშფოთებულმა თავადმა“.

„ქენინა ღიმილით და ყველასთან გამოლაპარაკებით ახალ ადგილზე გადავიდა“.

„თავადის ასული, თავისი, ფეხებთან შედარებით, შეუსაბამოდ გრძელი წელით, იჭდა და შეჭყურებდა თავადს“.

„იგი უადრესად საქმიანი გამომეტყველებით დატრიალდა მთელი თავისი მსუბუქი აგებულებით, განიერი მხარბეჭით და ოქროსფერი წამწამების ციმციმით“.

„ვხედავ როგორ შეგაქვს შენი ძლიერი ხელით ნამგალი პურში, მეორე მუტკაში ჩაბღუჯულ დეროებს პირდაპირ ნამგალზე აწყო, ვხედავ ნამგლის თვალშეუსწორებ პრიალს, მერე კი ამ წამიერად თანაბრად ქალური მოძრაობას ხელებისას და ნამგლისას, რომელიც თავთავებს ფრთხილად აწყო ბს კონებად, რომ არ დაამტკრიონ მოთიბული ღეროები“.

„უცებ ქალი მის მიმართ სიბრაღულისა, და იმავე დროს, რაღაც ანცობის გრძნობამ შეიპყრო“.

„ჯარის ნაწილი სულ მიდიოდა და მიდიოდა სიბნელეში, პაპიროსე-

ბის ცეცხლის კიაფით, მიდიოდა დაუსრულებლად, როგორც ცის იკან-კლედის“ (სად მიდის ცის იკანკლედის მთარგმნელის აზრით?).

„ქალაქის ცენტრში, პარკთან მომიჯნავე ქუჩებში უკვე სრული სიწყნარე ჩამოვარდა“.

„ლიანდაგზე წინ და უკან გრუხუნით დადიოდა რკინიგზის უკანასკნელი შედგენილობა“.

„ისინი გატაცებით საუბრობდნენ, ეტყობოდათ, არც ეს საბარგო მანქანა, არც გაოფლილი ადამიანები და არც სხვა ყველაფერი ის, რაც ირგვლივ ხდებოდა, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მათთვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაზეც ახლა საუბრობდნენ ისინი“.

„... რომლებიც ქარბუქსა და ამურის ქარყიხვიანი გზებით ყინულის ხერელებში მიძვრებოდნენ“.

„თითქოს რაღაც მოუსვენარი ნაპერწკალი დახტოდა ყოველთვის მისი ერთიდან მეორეთვალში“.

„მაშინ, როცა უამრავი ხალხი, ხანდაზმულნი და ახალგაზრდები, არა მარტო ქალები, არამედ თოფიანი მამაკაცებიც კი იტანჯებოდნენ და წვლობდნენ უკან დახევის ამ დაუსრულებელ ნიღვარში, ვანია და ჯორა ზურგზე წამოკიდებული საბარგო ტომრებით, იდაყვებს ზემოთ დაკაპიწებულნი, ხელში ქუდებით და სანუკვარი იმედით გამსკვალულნი, მხნედ მიაბიჯებდნენ ტრამალზე“.

„ვალთა მიჩვეული იყო მის მიმართ თანატოლი ჭაბუკების თაყვანისცემას“.

„ნაღია! ცამეტი რიცხვიდან არა ვწოლილვარ, ცამეტი რიცხვის დილიდან დღეს საღამომდე სულ ბრძოლაში ვარ“.

„იგი შესცქეროდა თავისი მეგობრის ნამძინარევ, ყვრიმალთან სახეს“ (უყვრიმალს სახე?).

„მერე ამხანაგის ჩამუქებულსა და თითქოს აღზნებულ სახეზე შეხედა“.

„სწორედ ეს იყო ის დეკა, რომელზეც ჭერ კიდევ ბავშვობიდან, ეიულ-ვერნის წიგნების მიხედვით, იქმნებოდა მასში წარმოდგენა, როგორც ზღაპრული სილამაზის ყვავილზე“.



ეს ყოველივე (ერთი-ორი უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა) დაბეჭდილია ქართულად გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ასიათასობით ადამიანი ამგვარი ქართულის ნიმუშებს ეცნობა ყოველდღიურად. ეცნობა და გავლენის ქვეშ ექცევა. შემდეგ ეს ადამიანებიც ამგვარი ქართულით იწყებენ

მეტყველებას და წერას, ამ გვარ ქართულს გადასცემენ მოზარდ თაობებს. და ძნელი არაა წარმოდგენა, თუ რა მოპყვება შედეგად ასეთ ვითარებას.

ჩვენს ხანაში ცხოვრების ტემპი დღითი დღე იზრდება. გასაგებია, რომ ზოგჯერ ვჩქარობთ ხოლმე (არ შეიძლება ერთიმეორეს შევეუდაროთ, მაგალითად, მწერლის ან მეცნიერის დინჯი შრომა და პრესის ან დეპეშათა სააგენტოს მუშაის გაწამაწია). მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ზოგჯერ სიწყნარე გამობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. კერძოდ, ეს კეშმარიტება დევიზად უნდა გავიხადოთ, როცა ქართულ ენას შეეხება საქმე. იმის გამო, რომ ესა თუ ის ინფორმაცია ან მასალა სასწრაფოდაა დასაწერი ან სათარგმნი, არ უნდა დაგვეზაროს ყოველ სიტყვაა თუ ფრაზაზე გულდასმით მუშაობა, ვიდრე ნათქვამს სრულ, ჩამოყალიბებულ სახეს არ მივცემთ, ვიდრე ყოველმხრივ არ ავწონ-დავწონით და არ დავხვეწავთ. მით უმეტეს, თუკი არსად გვეჩქარება. თუ პრესისა და დეპეშათა სააგენტოს მუშაის ენობრივ ლაფსუსებს ფორმალური გამართლება მაინც მოეძებნება, მწერლისა და მეცნიერის ჩიქორთულობას არავინ შეიწყნარებს.

რადგან ის, ვინც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად რყვნის, ბღალავს, ამახინჩებს ქართულ ენას, ქართული კულტურისა და, მაშასადამე, ქართველი ხალხის მტერია.

მე კარგად მესმის, რაოდენ მძიმეა ასეთი ბრალდება. მაგრამ, თუ საქმის ვითარებას ღრმად ჩაუთვკირდებით, სხვაგვარ დასკვნას ვერ გამოვიტანთ. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. — გრიგოლ ორბელიანმა მშვენიერად იცოდა, რასაც წერდა. და მარქსისტული მსოფლმხედველობის თანახმადაც ხომ ენა ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანია ერისა. ამავე დროს ენა აზრის უშუალო სინამდვილეა და ენის სიმახინჩე აზრის სიმახინჩეს მოასწავებს. ხოლო აზრის გადაგვარება ერს სიკეთეს ვერ მოუტანს, ცხადია. ვისაც ქართველი ერის მომავლის გამო გული შესტკივა, მან ქართული ენის წმინდად დასაცავადაც უნდა იზრუნოს.

ჩვენ კარგად ვიცით და მტკიცედ გვწამს, ცხადია, რომ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას ვერაფერი შეარყევს, მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას გულდამშვიდებით უყუროს ამ ძლიერების წინააღმდეგ მიმართულ ამა თუ იმ აქტს, მაგალითად, სახელმწიფო ქონების განიავებას ან მითვისებას. ასევე კარგად ვიცით და მტკიცედ გვწამს, რომ ქართველი ერი არასოდეს დაეცემა და ქართული ენა არ წახდება, მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას გულდამშვიდებით უყუროს ქართული ენის შერყვნისა და დამახინჩების შეუწყნარებელ ფაქტებს.

რა არის არქაიზმი?

ყველამ ვიცით, რაოდენ დიდი მნიშვნელობა მიეწყვება ჩვენი კულტურის ძალმოსილებისათვის ქართული ენის შემდგომ დახვეწასა და განვითარებას. ამ საკითხზე ორი აზრი არ არსებობს ალბათ. ამიტომაც, რომ მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ეწაფება ყოველ ნაშრომს, ქართული ენის საჭირბოროტო საკითხებისადმი მიძღვნილს.

სწორედ ასეთი ინტერესით მივმართე ენათმეცნიერ არლი თაყაიშვილის წერილს „ენა ძველი, ენა ახალი“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ციცქრია“ 1968 წლის მეოთხე ნომერში.

ამ წერიალში აღძრულია საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია არქაიზმების გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებში, კერძოდ — თარგმანში. სახელდობრ, არლი თაყაიშვილი განიხილავს ბაჩანა ბრეგვაძის, ზვიად გამსახურდიას, ზურაბ კიკნაძის, რომან შიშინოშვილის, გივი შაპნაზარის, თამაზ ჩხენკელისა და ჩემს თარგმანებს.

რამდენადაც ჩემი თარგმანებიცაა განხილვის ობიექტი, ყოველ ფენის ნაბიჯზე თავი უხერხულად რომ არ ვიგრძნო და პრინციპულ საკითხებზე უფრო მიუყერძობებლად შევძლო მსჯელობა, სჯობს ამთავითვე მოვიშორო პირადული სათქმელი, ჯერ ჩემი თარგმანების ირგვლივ აღძრულ საკითხებს შევეხო. ვისაც არ დააინტერესებს, შეუძლია სინდისის ქენჯნის გარეშე გამოტოვოს წიგნის ეს ნაწილი. ოღონდ ქვემოთ კი, ზოგადი საკითხების განხილვისას, მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას მოვითხოვ.

1. „ლეოპარდის“ თარგმანში ერთგან რომ „ფერხით“ წერია და მეორეგან „ფეხით“, ეს უბრალო კორექტურაა და ავტორს თავისი საცქვო დებულების გასამაგრებლად არ ეკადრებოდა ამ მაგალითის მოშვებობა. თავად მას „გიტანჯალის“ ენის განხილვისას (გვ. 142) ერთგან „სტროფი“ უწერია და მეორეგან „სტრიქონი“ მსგავსი ერთეულების მიზართ. ახლა რა, იმის მტკიცებას მოვყვეთ — არლი თაყაიშვილი სტროფსა და სტრიქონს ვერ არჩევსო?

2. „ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს კონტექსტის მიხედვით აგრეთვე ...ცადაქნილი, გესავ, უგმერენ, წარებიო“, — წერს არლი თაყაიშვილი. ვისთვისაა განკუთვნილი ეს უაპელაციო განცხადება? მკითხველისთვის? კი მაგრამ, სად უნდა ეძებოს მკითხველმა „აბუ-ლალა-მარის“

თარგმანში ეს კონტექსტები (მით უმეტეს, „უგვირუნს“, საგულდაგულოდ რომ ჩხრიკოს, იქ ვერ იპოვის, ეა სიტყვა „ლეოპარდიდანაა“) ზოლო უამისოდ როგორ ირწმუნოს ავტორის შენიშვნის სისწორე? მე რომ ნამდვილად არ ვირწმუნებ, ეს კიდევ სხვა საკითხია.

3. ავტორი წერს: „...ზნურთი ფორმა არააწორადაა ნაწარმოები შემდეგ მაგალითში: „ხოლო ბედისწერა მაშინ განეხვენება თვალს. როცა საწყაულს სარქველი აეხდება („აბუ-ლალა-მარის“). აქ სახელი (ბედისწერა) მხოლოდითშია. ამდენად განედება ფორმა იყო მოსალოდნელი. ასევე დაუშვებელია იქვე ნახმარი განიხვენება შინა“ (გვ. 140).

„აბუ-ლალა-მარის“ თარგმანში მსგავსი რომ არათერი მიწერია?!

ესა და ამის წინ მოტანილი მაგალითი მხოლოდ ჰციკრე ნიშნული იმისა, თუ როგორი წარმოუდგენელი დაუდევრობით, როგორ ჰაიპარად ეპყრობა არლი თაყაიშვილი განსახილველ ტექსტებსა და ამ ტექსტების ავტორებს. მისი წერილიდან ციტატებისა და ავტორების დამახინჯებულად დამოწმების იმდენი შემთხვევა ამოიწერებოდა, კარგა ხანს ეყოფოდა სასწორებლად არლი თაყაიშვილს. ოღონდ ამჯერად ნუ გამოვედევნებით ამ ამბავს.

4. ამჯერად სხვა ციტატს მივაქციოთ ყურადღება: „შემდეგ ტ. ტაბიძე ეხება პოემა „აბუ-ლალა-მარის“ (!) ...და იხსენებს მასზე ვალერი ბრიუსოვის მაღალ შეფასებას. ამ ციტატებიდან საკმაოდ ნათლად იკვეთება ისააკიანის ენობრივი პოზიცია. იგი ახალი ორიენტაციის გაიტარებელია ზემოთ აღნიშნულ პოემაშიც. ოღონდ ერთგვარი სტილიზების იერიით“ (გვ. 143. ხაზი ჩემია. — რ. თ.).

ამ ციტატით მართლაც რომ „საკმაოდ ნათლად იკვეთება ენობრივი პოზიცია“, ოღონდ არა ისააკიანის, არამედ არლი თაყაიშვილისა. ამგვარი ქართულით მიხსნის ავტორი, რომ მე სწორად ვერ გამიგია ავეტიქ ისააკიანის ერთი განცხადება (ბარათაშვილის „მერანთან“ დაკავშირებული), რომ ამის გამო არასწორ გზას დავდგომივარ და „აბუ-ლალა-მარის“ თარგმნისას თურმე გამომიყენებია „არა მარტო „მერანის“ პოეტური ინტონაციები, არამედ ბარათაშვილის მთელი ლექსიკური ანალი და ენობრივი თავისებურებები“ (ძალიან არ მომიხერხებია?!). რომ ისააკიანი „ისეთივე ფიგურაა (!) სომხური ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ჩვენთან გალაკტიონ ტაბიძეა“ და სხვა.

საიდან იცის ავტორმა, როგორი „ფიგურაა“ ისააკიანი (ცოტა ზემოთ აღმოჩენილი მოემის „უბადლო სტილისტობის“ არ იყოს)? ვითონ ასე ზედმიწევნით აბულბულებს სომხურს (ან ინგლისურს)? სომხური მეც არაფერი გამეგება, მაგრამ რატომ წარმოიდგინა ავტორმა, რომ „აბუ-ლალა-მარის“ სათარგმნელად წელიწადნახევარს მუშაობისას ნაკლებ მოვასწრებდი რუსულად და ქართულად ისააკიანის შესახებ არ

შებული მასალის გაცნობას, ვიდრე მან მოახერხა თავისი სტატიის წერისას? საკვირველია სწორედ.

5. და ბოლოს, რამდენადაც უხერხული უნდა იყოს ჩემთვის, მკითხველს მოვაგონებ, როგორ შეფასებას აქლევს წერილის ავტორი „აბუ-ლალა-მარის“ ჩემულ თარგმანს: ერთი მხრივ, ეს თარგმანი თურმე „შესრულებულია მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი გემოვნებით“, წერილის ავტორი მას ტიცოან ტაბიძისეულ თარგმანზე გაცილებით მაღლა აყენებს თუმრე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ჩემს თარგმანში არ ყოფილა მოძებნილი სტილისტური გასაღები და, რაც ყველაზე საინტერესოა: „რაც შეეხება ბარათაშვილის ენას, რომელიც მძაფრი არქაიზაციით ხასიათდება, მან თარგმანს შესძინა ძველქართული იერი და ამითაც დააცილა დედანს“.

გეკითხებით: შეიძლება თუ არა ეწოდოს თარგმანს „მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი გემოვნებით შესრულებული“. თუკი მთარგმნელს სტილისტური გასაღები ზუსტად ვერ უპოვნია და თუკი, რაც მთავარია, თავისი ენით კი არ თარგმნის, ამა თუ იმ ნაწარმოებს, არამედ სხვისი (თუნდაც ბარათაშვილის) ენით?

ვიმეორებ: ყველაზე მეტად ჩემთვისაა უხერხული ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. და, თუ მაინც ვამახვილებ, მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველმა დაინახოს, როგორი სახით წარმოგვიდგება არლი თაყაიშვილი, როდესაც მხატვრული თარგმანის სპეციფიკურ საკითხებზე იწყებს მსჯელობას.

და ეს შემთხვევითი ამბავი, გამონაკლისი როდია, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მთარგმნელის წიგნები ასეა განხილული: ჯერ უადგილო რევერანსები, შემდეგ — წყლის გადამწურავი დასკვნები.

რამდენიმე სათანადო ციტატი კიდევ (ეს უკვე ყველა ჩამოთვლილ მთარგმნელს გვეხება). „აი ასეთი ტრადიციის ნიადაგზე გამოჩნდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები... მათ ამ ეროვნული საქმის ფერხულში ჩასაბმელად მოჰყვა სიყვარული და ენთუზიაზმი, დაფუძნებული მთარგმნელობისათვის ესოდენ საჭირო ოსტატობასა და ერუდირებაზე. მათი „შემთხვევითი“ არჩევანიც კი დიდ გემოვნებასა და მისწრაფებაზე მეტყველებს... მსოფლიო ლიტერატურის არა ერთ ღიღებულ ძეგლს ჩაჰბერეს ქართული სული და თავისი კოლორიტით ჩვენს ორიგინალურ შედევრებს ამოუყენეს გვერდში... ეს ენობრივი პრინციპი წითელი ხაზივით გასდევს მათ მშვენიერ თარგმანებს... მთარგმნელთა ეს ერო-ერთი ყველაზე მოწინავე ფრთა... უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების სტილისტურად მაღალ დონეზე გაპართვის ამოცანა მიღწეულია...“ — ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ: „არქაიზაციის ისე მძაფრად გამოვლენა, როგორიც ზემოთ დასახელებულ ნიჭიერ მთარგმნელებთან გვაქვს, ვერ მიიჩნე-

ვა პროგრესულ მოვლენად. ისინი მეტად იხედებიან უკან და არა წინ, საითაც უნდა გვიბიძგებდეს ენის შინაგანი განვითარების ტენდენცია. ამასთან, ეს ხაზგასმული სტილიზება ერთგვარი პოზისა და მანერულობის შთაბეჭდილებას ტოვებს“.

მაგრამ აქ უმთავრეს საუკმელს მივადექით.



არლი თაყაიშვილის წერილში გამოთქმულია შემდეგი ძირითადი მოსაზრებები:

1. „ზემოთ აღნიშნულ მთარგმნელებთან გვაქვს მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სიმაღლემდე აყვანილი კამპანია, მიმართული არქაული ფორმების აღდგენისაკენ“. „ამ ავტორთათვის დამახასიათებელია არქაიზაციის მძაფრი განცდა, ძველი ქართულისაკენ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი“.

წერილის ავტორს „ღრმად სჯერა“, რომ „მთარგმნელთა მიერ არჩეული გზა არ არის ერთადერთი და აუცილებელი“.

2. დასახელებული მთარგმნელები არქაიზაციის ამ თავიანთ პრინციპს ბოლომდე ვერ იცავენ, მთლიანად ძველი ქართულით ვერ მართავენ ნაწარმოებს, რადგან „ძველი ქართულის ნორმები მთარგმნელთათვის არც ისე ორგანულია“, მათ უჭირთ ძველი ქართულის გრამატიკულ-ლექსიკოლოგიურ სისტემაში გარკვევა და ამის გამო შეცდომებსაც უშვებენ ისევ ძველი ქართულიავე თვალსაზრისით.

3. არქაული მასალის გამოყენება აუცილებლობით არაა ნაკარნახევი. ის ავტორები, ვისაც დასახელებული მთარგმნელები მიმართავენ, არ იძლევიან არქაიზაციის საბაბს („თუკი „მებაღე“ ბენგალურ სასაუბრო ენაზეა დაწერილი, რატომ უნდა ითარგმნოს იგი ძველი ქართულით?“).

ქვემოთ შევეცდები დავამტკიცო, რომ ამ მოსაზრებათაგან არც ერთი არ არის სწორი.



1. მაშასადამე, „ამ ავტორთათვის დამახასიათებელია არქაიზაციის მძაფრი განცდა, ძველი ქართულისაკენ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი“.

ყოველგვარი წესიერი კამათის უპირველესი და აუცილებელი პირობაა ცხადი, მკაცრად მოხაზული ცნების მომარჯვება და ცნებათა გამო შეთანხმება. ამიტომ ჩვენც, ვიდრე საბაჟეკრო საგანს შევეხებოდეთ, შევეცადოთ ზუსტად განვსაზღვროთ ის ცნებები, რომელთა გარეშე ამ

საგანს ვერ მივუახლოვდებით. მხედველობაში მაქვს „არქაიზაცია“ და „ძველი ქართული“.

პირველის მიმართ საკითხი მარტივად გადაწყდება: თუკი ზუსტად არ გვახსოვს, ან საერთოდ არ ვიცით, რა არის „არქაიზაცია“, ავიღოთ ნებისმიერი ლექსიკონი, სადაც კი შესაძლოა ეს ტერმინი შეგვხვდეს, და წავიკითხოთ: „არქაიზაცია — ძველი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება (ჩვეულებრივ საჭიროების გარეშე)“. ასე წერია „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“.

მაგრამ მეორე შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, გაძნელება საქმე.

ვიცი თუ არა თქვენ და მე, მკითხველო, რა არის „ძველი ქართული“?

როგორ არ ვიცით! ეს არის — „ქელი“, „საქმილი“, „აღჩხულდა“, „წარმოტა“, „მოაქეჟამდე“, „იყენეს“, „წარმიყვანებიან“, „იწყის“, „დასაბამი სიბრძნისაჲ“, „სიტყუანი მისნი არად შერაცხნა“ და მისთანანი, რომელნიც ოდესღაც, ძველად იხმარებოდნენ. ახლა კი, დღევანდელ ქართულში აღარ იხმარებიან.

ძალიან კარგი! რაკი გვცოდნია, შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ ზუსტი განსაზღვრა: „ძველი ქართული“ არის ხმარებიდან გამოსული...

ღიან. აქ მრავალწერტილის დასმა მოგვიხდა, იმიტომ, რომ აღიძრა კითხვა: „ხმარებიდან გამოსული“ რა? ბგერები და ასოები (ჟ, ჰ)? მარტო ეგ არა. კიდევ სიტყვები („წარმოტა“, „მოაქეჟამდე“)? არც მხოლოდ სიტყვები. კიდევ — სიტყვათა ფორმები, („იყენეს“, „იწყის“) და სიტყვათა ერთიმეორესთან დაკავშირების წესები („დასაბამი სიბრძნისაჲ“. „სიტყუანი შერაცხნა“).

მაშასადამე, „ძველი ქართული“ ყოფილა ხმარებიდან გამოსული ფონემები, ხმარებიდან გამოსული ლექსიკონი და ხმარებიდან გამოსული გრამატიკული წყობა. ოღონდ სწორედ ეს არის ია, რასაც ენას ვუწოდებთ. ამდენად, შეგვიძლია მივიღოთ საბოლოო დეფინიცია:

„ძველი ქართული“ არის ხმარებიდან გამოსული ენა.

თუ ენა ხმარებიდან გამოსულია, მას შეიძლება მკვლარი ენა ვუწოდოთ (ასე ეწოდება, მაგალითად, ლათინურს).

ახლა, თუ ჩვენს მიერ მიღებულ განსაზღვრას ჩავსვამთ არლი თაყაიშვილის ზემოთ მოტანილი ფრაზის შესაბამის ადგილას, მივიღებთ: „ამ ავტორთათვის დამახასიათებელია ხმარებიდან გამოსული ენისაკენ (ანუ მკვლარი ენისაკენ) დაბრუნების დაუოკებელი სურვილი“.

ორში ერთია: ან ეს ავტორები გიჟები არიან, ან კიდევ არლი თაყაიშვილი ცილს სწამებს მათ.

ორივე შესაძლებლობა გამორიცხულია.

გამოდის, რომ ჩიხში მოვქცეულვართ.

ისლა დაგვრჩენია, ეკვი შევიტანოთ ჩვენს დასკვნაში („ძველი ქა-

რთული“ არის ხმარებიდან გამოსული, მკვდარი ენა) და, რაკი საკუთარ ძალებში შევეკვდით, შესატყვის მეცნიერებას მოვეუხმით დასახმარებლად, ჩვენ თვითონ კი ნულარ დავადგენთ, რა არის „ძველი ქართული“, შესატყვის მეცნიერებას მოვთხოვთ ამ კითხვის პასუხი.

მაშასადამე, ზელახლა ვსვამთ საკითხს: რა არის „ძველი ქართული“?

მივმართოთ სპეციალურ ლიტერატურას.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ შევამჩნევთ, რომ ამ ტერმინის ზუსტ განსაზღვრას ენათმეცნიერთა უმრავლესობა ერიდება. მეტიც: უმრავლესობა უფრო ხალისით ხმარობს ტერმინს „ძველი ქართული“, ვიდრე „ძველი ქართული ენა“. ალბათ იმიტომ, რომ „ძველი ქართული ენა“ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს შეუგუებელ თვალსაზრისს ორი ქართული ენის არსებობისა.

შემდეგ შევიტყობთ, რომ საქმე „ძველი ქართულისა“ და „ახალი ქართულის“ დაპირისპირებით არ მთავრდება, რომ არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც ქართული იყოფა „ძველ ქართულად“, „საშუალ ქართულად“ და „ახალ ქართულად“, და ამ შეხედულებას ადგას ენათმეცნიერთა საგრძნობი და ერთობ ავტორიტეტული ნაწილი.

აქ მკითხველს შესაძლოა აღეძრას ექვი უკვე სამი ქართული ენის არსებობისა.

საბედნიეროდ, ეს ექვი მალე გაქარწყლდება. გამოირკვევა, რომ ამ შეხედულების მომხრენი სამ ენას კი არ გულისხმობენ, არამედ ერთი ენის განვითარების სამ პერიოდს:

„ქართული ენის განვითარების მთელ ისტორიას სამ პერიოდად ყოფენ, რომელთაგან პირველი V—X საუკუნეების ენას შეიცავს, მას ძველ ქართულს უწოდებენ, მეორე XI—XVIII საუკუნეების ენას წარმოგვიდგენს, მას საშუალი ქართულის სახელით იხსენიებენ, ხოლო მესამე XIX—XX საუკუნეების ენაა, მას ახალ (თანამედროვე) ქართულს ვეძახით“, — წერს პროფესორი ივანე იმნაიშვილი (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1965, 5 ნოემბერი, წერილი „ქართული ენის ისტორიიდან“).

მაშასადამე, ამ თვალსაზრისის თანახმად, „ძველი ქართული“, „საშუალი ქართული“ და „ახალი ქართული“ აღნიშნავს არა სხვადასხვა ენებს, არამედ ქართული ენის განვითარების გარკვეულ პერიოდებს.

შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რომ არსებობს აგრეთვე სხვა თვალსაზრისი. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა წერს:

„ქართული ენის განვითარებაში უნდა განვასხვაოთ ძველი და ახალი ქართული. ძველი სალიტერატურო ენა — მეხუთე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნის დამლევამდე... ძველი ქართული ენა მკვეთრად ჩამოყალიბებული ნორმების სისტემაა. ახალი ქართული სალიტერატურო

ენა ისახება მეთორმეტე საუკუნიდან... მხობებთა (შავთელის, ჩახრუხადის) ენა, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე აღარაა ძველი ქართული... მეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, შესავალი წერილი „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“).

თითქოს აქ წინ აღარაფერი უდგას ორი ქართული ენის აღიარებას და იმის თქმას, რომ ახალი ქართული სხვა ენაა, ხოლო ძველი ქართული — სხვა.

მაგრამ ამგვარ შთაბეჭდილებას აქარწყლებს აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას წიგნი „ენათმეცნიერების შესავალი“ (1952), სადაც ვკითხულობთ:

სხვადასხვა ენების შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ სხვადასხვა გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი გვაქვს“ (გვ. 26—27).

„ძველი ქართული და ახალი ქართული წარმოადგენს საერთო ენობრივი საფუძვლის ვარიანტებს და არა სხვადასხვა საფუძველს“ (გვ. 27).

„ენაში ცვლილებებს შევამჩნევთ, თუ შევიდარებთ ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდს (მაგ., გიორგი მერჩულის ენა X საუკუნისა, რუსთაველის ენა — ე. ი. XII ს. ქართული სამწერლო ენა — და თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა)“ (გვ. 57).

„ძველი ქართული ენა, V—XI საუკუნეების ძეგლების ენა, შეიცვალა ახალი ქართული ენით... ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე ენასთან: ენის განვითარებამ მოგვცა იმავე ენის ახალი ვარიანტი. მაგრამ მასში არსებითი ცვლილებები მოხდა...“ (გვ. 86. ხაზი ყველგან ავტორისაა. — რ. თ.).

მაშასადამე, ამ თვალსაზრისის თანახმად, „ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“ აღნიშნავს არა სხვადასხვა ენებს, არამედ ქართული ენის ვარიანტებს.

როგორც ვხედავთ, ქართველ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი „ძველ ქართულში“ გულისხმობს ქართული ენის განვითარების გარკვეულ პერიოდს, ხოლო მეორე — ქართული ენის ერთ-ერთ ვარიანტს. ეს საესებით გასაგები უნდა იყოს.

ოღონდ საყვებით გაუგებარია, რას გულისხმობს „ძველ ქართულში“ არლი თაყაიშვილი.

მკითხველი დაინახავდა და მთელი სიმწვავეითაც იგრძნობდა, რაოღენ ძნელი და, ამავე დროს, საჭოკჰანო საქმე ყოფილა ამ ტერმინის („ძველი ქართული“) ზუსტად განსაზღვრა. ყველა მკითხველი არ არის ვალდებული გამოწვლილვით გამოიძიოს ეს საკითხი და. თუ საკუთარ

თვალსაზრისს ვერ შეიქმნის, ენათმეცნიერთა მიერ შემუშავებულ ერთ-ერთ თვალსაზრისს მაინც მიემხროს და აღიაროს.

მაგრამ ენათმეცნიერი კი, თუნდაც ახალგაზრდა, როცა სამეცნიერო წერილს წერს და პოპულარული, მასობრივი მკითხველისთვის განკუთვნილ ჟურნალში ბეჭდავს, უეჭველად მოვალეა რაღაც გარკვეულ თვალსაზრისზე იდგეს.

არლი თაყაიშვილმა კარგად იცის, რომ ქართველ ლიტერატორთა შორის სხვა თვალსაზრისიც არსებობდა და არსებობს ეგრეთ წოდებული ოველი ქართულის შესახებ. ამ თვალსაზრისის თანახმად, ქართული სალიტერატურო ენისადმი მიპართებით შეუწყნარებელია „ძველისა“ და „ახლის“ ხმარება. ეს ტერმინები მიჩნეულია ევროპული ენებისთვის შექმნილ მოდელთა მექანიკურ გადმონერგვად ქართულ სინამდვილეში, „ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“ შესაწყნარებელია ნხოლოდ როგორც პირობითი, სამუშაო ტერმინები. რომელთა მომარჩევებისას ქართულ სალიტერატურო ენას იკვლევენ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით. ხოლო რაც შეეხება ქართულ სალიტერატურო ენას. როგორც კულტურის ფაქტს, მისი განყოფა „ძველ“ და „ახალ“ ქართულად ამ თვალსაზრისის მიმდევრებს მიუღებლად მიაჩნიათ.

ამ თვალსაზრისის მიმდევარნი უარს იტყოდნენ თავიანთ შეხედულებაზე, შემდეგი გარემოებები რომ არაა:

უწინარეს ყოვლისა, როგორც დავინახეთ, ჩვენთვის საინტერესო საკითხში თვით ენათმეცნიერნიც არ არიან შეთანხმებულნი, არ არის საბოლოოდ განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს ტერმინი „ძველი ქართული სალიტერატურო ენა“, ესე იგი ეს ტერმინი ცნების ხარისხში არ არის აყვანილი, რაც არცთუ იშვიათად იქცევა გაუგებრობათა წყაროდ. ამის გამოა, რომ არაენათმეცნიერთათვის ეს ტერმინი კიდევ უფრო ბუნდოვანია, დაუნაწევრებელი, და ემოციური შეფერილობის მეოხებით უფრო სულღმულობს (ძველი, ესე იგი ხმარებიდან გამოსული, რაღაც შორეულის, უცნაურის მიწინაშეხებელი), ვიდრე მკაცრი აუცილებლობის გამო. ეს მკაცრი აუცილებლობა მათთვის ენათმეცნიერებს უნდა დაესაბუთებინათ, მაგრამ ამგვარი რამ ჭერჭერობით არ გაკეთებულა (აქ ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ ქართველმა ენათმეცნიერებმა დიდი და ნძიმე შრომა გასწიეს ქართული ენის შესასწავლად, მისი ამა თუ იმ პერიოდის თავისებურებათა წარმოსაჩენად -- მოცემულ შემთხვევაში ამით არაფერი იცვლება).

შემდეგ: ნაგულისხმევ ლიტერატორებს მიაჩნიათ, რომ, მოყოლებული XIII საუკუნიდან, ქართული სალიტერატურო ენის განვითარება გარეშე მიზეზთა ზეგავლენით ხელოვნურად შეფერხდა (იყო პერიოდები, როდესაც შეწყდა კიდევც) და სრული გასაქანი ამ ენას მხოლოდ ჩვენს ხანაში მიეცა ხელახლა, მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა

პრობლემა — გულდასმით გაანალიზებისა და გააზრების მეშვეობით ავითვისოთ ყოველივე საუკეთესო, რაც კი წარსულში არსებულა, გავამთლიანოთ ქართული კულტურის ძალისძალად დაწყვეტილი ხაზები. ასეთ ვითარებაში ძალზე ნაადრევია რომელიც გნებავთ პერიოდის ენობრივი მოვლენებისათვის ანდერძის აგება: მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, რას შეიწოვს და რას უკუაგდებს წარსულის მარაგიდან ქართული სალიტერატურო ენა. ენის წარსულის ხელალებით გაუცხოების, მისგან გამიჯვნისა და გათაშვის ტენდენციები კი არ მოითხოვს დღესდღეობით ხელის შეწყობას, პირიქით — მიახლოების, კავშირის აღდგენისა და მოვლა-პატრონობისა. ხოლო ასეთ ტენდენციათა მატარებლად ვერასგზით ვერ მიიჩნევა ტერმინი „ძველი ქართული ენა“, რომელიც გვსურს ეს თუ არა, კეშმარიტად საფრთხობელას როლს ასრულებს საქმეში ღრმად ჩაუხედავი ათასობით და ათასობით ადამიანისათვის. ~

გარდა ამისა, ნაგულისხმევ ლიტერატორთა აზრით, წარსულის გამოცდილებაც ცხაჯროფს და აწინდელი ვითარებაც გვიჩვენებს: ენათმეცნიერთა მიერ განწირულად მიჩნეული ენობრივი მოვლენები მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურაში, პრესაში, ერთი სიტყვით, წიგნის ენაში არცთუ იშვიათად წარმატებით განაგრძობს არსებობას და, ინფორმაციის გავრცელების დღევანდელი პირობების კვალობაზე, ხალხის მეტყველებაშიც იჩენს ხოლმე თავს.

აი, რატომ ფიქრობენ ხსენებული თვალსაზრისის მიმდევარნი, რომ დღესდღეობით მეტი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ ენობრივი მოვლენისთვის „ძველისა“ და „არქაულის“ კვალიფიკაციის მინიჭება, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არქაიზმად მიჩნეული მრავლის უმრავლესი სიტყვა, გამოთქმა თუ გრამატიკული ფორმა ჭერ კიდევ გადასასინჯია და ზოგჯერ — სუბიექტურ კაპრიზთაგან დასაბნეულიც.

მაგალითად, ვიღერ გამოვიტანდეთ განაჩენა, რომ „გარნა“ მოძველებულია, არქაულია, წიგნურია და ღვთის პირიდან გადაეკარდნელი, მანამდე ანგარიში უნდა გავუწოთ იმ ფაქტს, რომ ეს სიტყვა ყოველ ფენის ნაბიჯზე იხმარება, ვთქვათ, „მადამ ბოვარის“ თარგმანში (მთარგმნელი არისტო ჭუმბაძე). ეს წიგნი ახლახან მეორედ გამოიცა, მას მრავალი ათასი მკითხველი ჰყავს და ამათგან ყველა როდი ერკვევა ენათმეცნიერებისა და ლექსიკოგრაფიის ნიუანსებში. მკითხველი ამ სიტყვას იმახსოვრებს, ქართული ენის ორგანულ ელემენტად მიიჩნევს, ხოლო შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, ენათმეცნიერის სტატიიდან ან ამა თუ იმ ლექსიკონიდან შეიტყოფს, რომ ეს „გარნა“ არქაიზმი ყოფილა. ენათმეცნიერის ნაშრომი ან ლექსიკონი კი მრავალი მკითხველისთვის კანონის ძალის მატარებელია. ასე, ჩვენდა შეუმჩნეველად, ზოგჯერ ხელოვ-

ნურად ვაწყებთ სამანებს და, შესაძლოა ჩვენდა უნებურადაც, არსებობას ვუკრძალავთ ისეთ სიტყვებს, გამოთქმებს თუ ფიქრებს, რომელთა ენაში არსებობა თუ წაადგებოდა, თორემ ზიანს არაფერს მოუტანდა ენას...

ამიტომ, ვიდრე არლი თაყაიშვილი განაჩენს გამოგვიტანდა — ამ ავტორთათვის არქაიზაციის მძაფრი განცდა და ძველი ქართულისკენ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი არისო დამახასიათებელი, რაკი სამეცნიერო წერილს წერდა და რაკი სამივე აღნიშნულ თვალსაზრისს კარგად იცნობდა, ჯერ მკითხველისათვის უნდა განემარტა, რომ „ძველი ქართული“ არცთუ ისე ამომწურავად განსაზღვრული ტერმინია, რომ ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს და რომ მრავალი მკითხველის გულმბრყვილო წარმოდგენა „ძველი ქართულის“ შესახებ მაინცდამაინც მტკიცე საფუძველსარ ემყარება.

მაგრამ ავტორი ამგვარად არ მოქცეულა, არც ცნებათა დაზუსტებით შეუწუხებია თავი. მან ისე აუგო ანდერძი „ძველ ქართულს“, ერთი წუთითაც არ შეეკვებულა, ჰქონდა თუ არა ამგვარად მოქცევის უფლება თუნდაც როგორც ენათმეცნიერს, რადგან ენათმეცნიერი ზუსტი ცნებებით უნდა აზროვნებდეს, ჩვენ კი ვნახეთ, რომ „ძველი ქართული“ არ არის ამგვარი ცნება.

ღიბს, „ძველი ქართული“ არლი თაყაიშვილისთვისაც არის რაღაც ბუნდოვანი, რაღაც შორეული, რაღაც უცნაური, რაღაც ახირებული, რაღაც ხმარებიდან გამოსული, მკვდარი — „მუნ“, „მიჩნა“, „ყავნ“ და მისთანანი. იგი არც კი სვამს საკითხს, — რა არის ეს ყოველივე — სხვა ენაა, იმავე ენის ვარიანტია, განვთარების პერიოდი თუ სხვა რამ. ასე მეცხრეკლასელებმაც იციან, რა არის „ძველი ქართული“. ვიმეორებ. ავტორი რომ ამ ცნების დაზუსტებას ცდილიყო, ესოდენ კადნიერად ველარ დაგვიდგენდა, თუ რამდენი „გარნა“ შეიძლება მოდიოდეს ერთ სულ მთარგმნელზე ან რამდენი ნართანიანი მრავლობითის ხმარების უფლება აქვს ამა თუ იმ ავტორს.

ზემობსუნებულ მთარგმნელთა განქიქებას არლი თაყაიშვილი ამგვარი შესავლით იწყებს: „ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს არქაული ელემენტები სხვა მწერლებთან და მთარგმნელებთან არ გვხვდებოდეს. მაგრამ იგი მათთან შემთხვევითის შთაბეჭდილებას ტოვებს“ (გვ. 126).

ამჯერად ყურადღებას ნუ მივაქცევთ იმ ამბავს, რომ „არქაული ელემენტების“ მიმართ „იგი“ მაინცდამაინც შეუცვლელი ნაცვალსახელი არ უნდა იყოს. მთავარი სხვა რამ არის: შეიძლება თუ არა, რომ სამეცნიერო კვლევა და სამეცნიერო ნაშრომი შთაბეჭდილებებს დაემყაროს? ამგვარი ნაშრომის ავტორს, საცა სამართალია, გულმოდგინედ უნდა შეესწავლა იმ სხვა ავტორთა და მთარგმნელთა ნაწერები და მერე დაესკვნა — მართლა შემთხვევითია თუ არა მათს ნაწერებში ის,

რასაც „არქაულ ელემენტებს“ უწოდებს. ხოლო, თუ შემთხვევითი არ აღმოჩნდებოდა, კიდევ უნდა გამოეძიებინა ამგვარი ვითარების მიზეზები. მაშინ ზოგი რამ უფრო ნათლად გაირკვეოდა მისთვის.

ახლა ხელი მივყოთ უმათვრესს.

ავტორი ტრადიციას არ ღალატობს და „არქაულ ელემენტებს“ შემდეგნაირად აჩვენებს: არქაული ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები, დაბოლოს — არქაული ლექსიკა ხსენებულ მთარგმნელთა ხელიდან გამოსულ წიგნებში. ჩვენც ფეხდაფეხ მივყავთ ავტორს.

ფონეტიკა.

„...მთარგმნელებთან ყველაზე მოწესრიგებული გრამატიკის ეს უბანი (ორთოგრაფია-ფონეტიკა) გახლავთ“, — წერს არლი თაყაიშვილი. ოღონდ აქ დასტუდებიან იოტას ხმაურება (ჯაჲ, მამაჲ) და თანხმოვანთა მიუღებელი დაწყვილება (ჩჩილი, ეანა).

ორივე საკითხი სადავოა. არაერთი ლიტერატორი, განსაკუთრებით — ვისაც უცხოურ ენებთან აქვს საქმე. დაინებით მოითხოვს როგორც იოტას აღდგენას, ან თანხმოვანთა დაწყვილებას, ენათმეცნიერნი კი ასევე დაინებით უარყოფენ ამ წინადადებებს (ერთი დეტალი: არლი თაყაიშვილს გამოერჩა იმის აღნიშვნა, რომ თანხმოვანთა დაწყვილება მხოლოდ სიტყვის ფუძეში არის მიჩნეული მიუღებლად). სხვათა შორის, აკავინ იკის. რით დამთავრდება ეს დავა. ყოველ შემთხვევაში, არლი თაყაიშვილი გაცილებით მოგებული დარჩებოდა, თავისი აზრი ამ საკითხში ჭერჭერობით თავისთვისვე რომ შეენახა. მაშინ მეცნიერულ არგუმენტაციასთან შეზავებულ მის მოპაკვდინებელ იუმორს, სხვებს რომ თავი დავანებოთ, იქნებ ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც გადარჩენოდა („ჩჩილი ენის მოსატეხად თუ ივარგებსო“, რომ წერს, ბარათაშვილის ლექსის სათაურს გულსხმობს?).

მაინც, რაკი ავტორმა გრამატიკის ეს უბანი მოწესრიგებულად ჩაგვითვალა, ჩვენც ნულარ გავუგრძელებთ სიტყვას.

მორფოლოგია.

ამ სფეროში ავტორი არქაიზმებად გვითვლის შემდეგ მოვლენებს:

1. მეორე ბრძანებითს (განვედ, მოვედ); 2. სრული სახით წარმოდგენილ თანდებულებს (ზედა, შინა, შიგან); 3. ზმნისწინებს წარ- (წარმონთხეულა), აღ-(აღუესია), გარდა-(გარდაიქცა); 4. ნათესაობითს ბრუნვაში ო-ზე დაბოლოებულ სახელებთან ბრუნვის ნიშნის სრულად ხმარებას (უღაბნო-ის); 5. „ძველი ქართული გამოსვლითი და მიწვევითი ბრუნვების“ გამოყენებას (მალლით, მიიყვანა უღაბნოს); 6. ნართანინ მრავლობითს.

სინტაქსი.

„სინტაქსი ერთ-ერთი ის საიმედო უბანია, რომელიც არქაიზაციის

მომხრეთ წარმოუდგენელ თავისუფლებას ანიჭებს“, --- შემფოთებუ-
ლია არლი თაყაიშვილი.

ამ სფეროში ავტორი არქაიზმებად გვითვლის შემდეგ მოვლენებს:

1. სიტყვათა შებრუნებულ რიგა, აიატ-პოზიციურ წყობას („წუ-
ხილი მისი“); 2. „...ზმნის ბოლოდან მეორე ადგილზე მოქცევა, მის
უკან კი ზმნიზედის, ნაწილაკის ან ნაცვალსახელის გადასროლას“
(„ბევრი ამ ასულთაგანი განცვიფრდა ფრიად“); 3. ვითარებითს ბრუნ-
ვაში დასმული საწყისის ხმარებას („მბობად მოუხხმე“); 4. აღწერითს
ფორმებს („ლაღად ჰყო“).

რადგან ფონეტიკისგან განსხვავებით აქ თითქმის ყველაფერი სადა-
ვო და განსამარტავია, ვიდრე ლექსიკის სფეროში ჩვენთვის დაყვედრე-
ბულ არქაიზმებსაც ჩამოვთვლიდეთ, ჯერ მორფოლოგიურ და სინტაქ-
სურ არქაიზმთა გამო ვისაუბროთ.

მეორე ბრძანებითი დღეს ქართულს მართლაც აღარ აქვს, ამაში
საესებით მართალია წერილის ავტორი. ოღონდ ამ მწკრივის ორიოდ
გაქვავებული ფორმა (განვედ, შოვედ...) არქაიზმად უბრალოდ იმის გა-
მო ვერ მიიჩნევა, რომ მათი ბადალი არაფერი მოეძეება დღევანდელ
სალიტერატურო ქართულს. არლი თაყაიშვილმა ლადო ასათიანიც არ
დაზოგა და გამოაცხადა — სტრიქონში „ო, განვედ ჩემგან, ბოროტო
სენო“ — განვედ მისთვის ორგანულად ვერ ჩაითვლებო (გვ. 126). მაშ
რა ჩაითვლება ორგანულად — გადი? გრამატიკული ნორმების თანა-
ხმად დღეს განვედ-ს მართლაც გადი ენაცვლება („გადი გარეთ!“),
ოღონდ აბსოლუტურად წარმოუდგენელია ამ გადის ხმარება ისეთ
კონტექსტებში, როგორცაა თუნდაც ლადო ასათიანის მოტანილი
სტრიქონი. ვისთვისაც ყურზე დათვს არ დაუბიჯებია ფეხი, არავინ
იტყვის: „ო, გადი ჩემგან, ბოროტო სენო“. აი, როდესაც არლი თაყაი-
შვილს ეშმაკი შეუჩნდა და „ენა ძველი, ენა ახალის“ წერისას აცდუნებ-
და, იმ ეშმაკისთვის გადის ნაცვლად განვედ რომ ეთქვა, თქვენ და მე
ამდენი ჯაფა არ დაგვადგებოდა.

განვედ არქაიზმი კი არაა, არამედ ენაში დღესაც ხმარებული ფორ-
მა ხმარებიდან გამოსული მწკრივისა. მსგავსი გაქვავებული ფორმები
ენას მრავლად შემოუნახავს და მათი წარმომავლობის ახსნა ან მათი ასა-
კის დადასტურება ერთობ უსუსური საბუთია სალიტერატურო ქართუ-
ლიდან მათი განდევნის სასარგებლოდ.

რაც შეეხება სრული სახით წარმოდგენილ თანდებულებს (ზედა,
შინა, შიგან), ესენი მართლაც რომ პირწმინდა არქაიზმებია და ამ არქა-
იზმებს ერთობ იშვიათად, მაგრამ მაინც ხმარობს ზოგიერთი ზემოხსენე-
ბულ მთარგმნელთაგან. არლი თაყაიშვილი სულ ოთხ მაგალითს ასახე-
ლებს. საინტერესო კი იყო — კიდევ მრავლად იპოვება მსგავსი მაგა-
ლითები? რაღაც ეჭვი მეპარება (ძიუხედავად იმისა, რომ ავტორის

მიერ განხილული ჩვენი თარგმანების საერთო მოცულობა ოცდახუთ სააქტორო თაბახს მაინც შეადგენს. ამ ფაქტს საგულდაგულოდ უნდა ანგარიშის გაწევა).

აწვეე იშვიათია ნათესაობითს ბრუნვაში ო-ზე დაბოლოებულ სახელებთან ბრუნვის ნიშნის სრულად ხმარება. არლი თაყაიშვილს სულ ორი მაგალითი მოაქვს: ხაშრეკლოს, უდაბნოს. ოლონდ მსგავსი ფორმები არქაიზმად უნდა მივიჩნიოთ თუ არა, დმერთმა იცის — ქართული მწერლობისათვის ეს ფორმები არც ისე იშვიათია, რომ ხმარებიდან გამოსულად შევრაცხოთ.

ხოლო გამოსვლითი და ადგილის მიცემითი¹ იმდენად ცოცხალია სალიტერატურო ქართულში, მაგალითების მოტანა საჭიროდაც არ მიმაჩნია. ამ წერილის წაკითხვის დღეს არლი თაყაიშვილმა გადაშალოს გაზეთი „კომუნისტი“ და იქ შეუპველად ამოიკითხავს — ესა და ეს პირი ლონდონს (პარიზს, ბერლინს...) მიემგზავრებაო.

განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ავტორი ზმნისწინებისა და ხართანიანი მრავლობითის საკითხზე:

„როგორც ცნობილია, სხვა ცვლილებებთან ერთად ისტორიულად მოხდა ქართული ზმნისწინების სისტემის გამარტივება: წარ>წა, გან>გა, აღ>ა, შთა>ჩა... ეს არის „ეკონომიის ტენდენციის“ კერძო გამოვლენა, რომელიც ჩანს ენის ყველა სფეროში“ (გვ. 129). და შემდეგ: „...სრული ზმნისწინების ხმარებას დღეს არსებულთა ზუსტ ეკვივალენტად (აუფხისია||აღუფხისია) გამართლება არ ეძებნება“ (გვ. 130).

ახლა ნართანიანი მრავლობითის ამბავს აღარ იკითხავთ?

„ნართანიანი მრავლობითი ის მორფოლოგიური ოდენობაა, რომელიც განსაკუთრებულ არქაულ იერს ანიჭებს ფრაზას“ (გვ. 130).

საბრალო მთარგმნელნი! არც ისტორიული ცვლილებებისა გაეგებათ რამე, არც „ეკონომიის ტენდენციისა“. რა არის წარგიმართოს გზა? უნდა თქმულიყო წაგიმართოს გზა. ასევე: წარგვტაცა კი არა — წაგვტაცა, წარხდეს კი არა — წახდეს (წაახდარ საქმეს თუკი ეშველება ამით რამე!), განეშორა კი არა — გაეშორა, აღიგავა კი არა — აიგავა, აღავლინა კი არა — აავლინა...

ან ეს ყრუნი, ხანაპირონი, ქვიშანი, ჩემნი, შენთა, დღეთა, ბაგეთა რაღაა? ეს მორფოლოგიური ოდენობანი ხომ განსაკუთრებულ არქაულ იერს ანიჭებენ ენას!

ხუმრობა იქით იყო და ნუთუ ავტორს მართლა სჯერა, რომ აღუფხიას ხმარებას გამართლება არ ეძებნება და რომ ნართანიანი

¹ ავტორი ხმარობს ტერმინს „მიწვენილი ბრუნვა“ იხეთი ფორმების აღსანიშნავად, რომლებსაც, თუ არ ვცდები, „ადგილის მიცემითი“ უფრო შეეფერება (თბილისს წავიდა).

ნრავლობითი „სხვადასხვა ოფიციალურ დასახელებაში შემოგვრჩა“ მხოლოდ?

თუ ასეა, მაგალითების საძებნელად შორს ნურსად წავალთ, ქართულ მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურას, ლექსიკონებს, პრესას ნუ დავიმოწმებთ. მივმართოთ მხოლოდ ქურნალ „ცისკრის“ იმ ნომერს, რომელშიც მოთავსებულია თვით არლი თაყაიშვილის წერილი, და ვიხილოთ იქ დაბეჭდილ ლექსებში, მოთხრობებში, ნარკვევებშია და წერილებში:

წარ: წარვდგე (გვ. 21). წარუშლელი (გვ. 117). წარმართვა (გვ. 119).

აღ: აღივსეთ (გვ. 8. სწორედ ავტორის მიერ მოტანილი და შეჩვენებული მაგალითი!), აღმქურვა (37), აღუნიშნავს (116), აღსავსენი (117)...

გან: განუდგა (3). განეწმენდილვართ (7), განვლოს (8). განწმენდილი (21), განეკუთვნება (157). განწირული. განსწავლულობა (119)...

ნართანიანი: დღეთა (4), მათათა (8), მიზეზთა, თხზულებათა, დამდგენთა (21), კაცთა (24), მყოფთ, წვიმათა (36), მიცვალებულთა (100). გოგონათა (101), მოაზროვნეთა (112), მკვლევართა (152). ნაგებობათა (157), რჩეულნი (3), დრონი, ქარნი (4), თანამოკალმენი (17), გართულნი (18), ტოლნი, სისხლნი, ხორცი, ერთნი, მეორენი, მეზამენი (24), მოკრძალებულნი, აღტაცებულნი (25), გლუნი (30), მკვიდრნი (108, 157), მრავალრიცხოვანნი (118), მოწმენი (157)...

ხოლო თუკი არლი თაყაიშვილი არ დაიზარებს და საკუთარ წერილსაც გადაოკითხავს ხელახლა, იქ განმსგავსებასაც იპოვნის, წარმოჩენასაც, აგრეთვე — რომელთა, სხვათა, სიტყვათა, მთარგმნელთა, სახელთა, მომხრეთ, ღირებულებანი, თანმიმდევრულნი... ოღონდ ეს ყოველივე მასთან „შემთხვევითის შთაბეჭდილებას ტოვებს“.

„ცისკრის“ ამავე ნომერში ვიხილავთ ავტორის მიერ არქაულად გამოცხადებული პოსტ-პოზიტიური წყობის არაერთ მაგალითს (სინტაქსის საუფლოში გადმოვედით): წვერი მისი (3), მანქანა იგი (8), ფიცარი მისი (10), მოხუცი დიდო, ბერიკაც გაწყურალს, გონებას მისას (11), ლაზათი ქალამნისა (15), დროშა სახელმწიფოსი, სახე ძვირფასი (33), ციავს დილის (36), სახელებს ხისას (108), სადღეგრძელოებს დედისას (110), მუხა ტანახოვანი (121)...

აქვე წავაწყდებით „ზმნის ბოლოდან მეორე ადგილზე მოქცევას, მის უკან კი ზმნიზედის, ნაწილაკის ან ნაცვალსახელის გადასროლას“: „მარტო აღვიხებები კი არ ედგა თავი“ (14), „წიგნა ეთხულობდა ხმამალა“, „აღარაფერი გაუგია მისი“ (20), „მათი ნაამბობიდან, აი რის გამოტანა შეიძლება კიდევ“ (24). „ერთხელ ნათელი დარი დადგა საოცარი“ (24), „მინც ჭიუტად მიიწევდა მალა“, „სადღაც ქვემოთ გაიწვია წამით“, „ილიმებოდა და არაფერს ამბობდა მეტს“. „სახეზე ხე-

ლები აიფარა და ასე დარჩა დიდხანს“ (25), „ის ერთი დღე ბრწყინავს-
მიშვიდველად“ (28), „ამ მთებს ვეკუთვნი ვიდრე“ (36), „უხაროდა, რომ
ამერიკაში არ იყო ამეამად“ (100), „ბედო ქრისტიანს მოსვლაზე ფიქ-
რობდა ახლა“, „თავიანთი ქმრები შორს ეგულებათ თვეობით“ (101).
„ადამიანებისა და სოფლის სახე იცვლება მხოლოდ“ (108), „დღესაც
არ არის თარგმნილი მთლიანად“ (113)...

სხვათა შორის. ვითარებითს ბრუნვაში დასმული საწყისიც აქვეა -
„დაჯდებოდა წერად“ (17), და, მორფოლოგიას რომ მიუებრუნდეთ,
გამოსვლითიც (არსით, კიდით...) და ადგილის მიცემითიც („სათათრეთს
წავიდოდა“).

ვიდრე სიტყვას განვაგრძობდე, მინდა ბოდიში მოვუხადო მურმან
ლებანიძეს, რვეზ ინანიშვილს. „ცისკრის“ ამ ნომერში წარმოდგენილ
სხვა ავტორებს. ჯერ ერთი. იმის გამო, რომ მათს მშვენიერ სიტყვებს,
ფრაზებსა და გამოთქმებს ასეთი უგემური საჭიროებრათვის ვიყენებ.
მეორეც იმიტომ. რომ მათი ნაწერებიც „არქაიზაციისაკენ გაშლილი
ფორმით სვლის ერთ-ერთ რგოლად“ წარმოგვიდგა ჩვენდაუნებურად.
ნუ შეშფოთდებით, მეგობრებო! არქაისტობის იარაღიმა თუ შეგაკრ-
თით. მაინცდამაინც ახალთახალი ქართული ენით თუ მოიწადინეთ
წერა და არა ძველი ქართული ენით, არაბული, გვდარი ენით,
მიაკითხეთ „ენა ძველი, ენა ახალი“ ავტორს და უმაღ მიიღებთ მზამზა-
რეულ რეცეპტს. თუ როგორ უნდა შესცვალოთ აღმჭურვა ამჭურვა-
თი, განუდგა — გაუდგათი, განვლო — გავლოთი, განეკუთვნება —
გაეკუთვნებათი, როგორ იხმარება ნაცვლად ფორმისა მყოფთ მყოფებს,
ნაცვლად დამდგენთა — დამდგენებს, დრონი — დროები, ერთნი —
ერთები (ერთები ასე წერენ, მეორეები — ისე, მესამეები კიდევ აშ-
ფოთებულები არიან გასაკუთრებული ენობრივი მოვლენების ამოჩე-
ნით.. რა ვუყოთ, ხალხები ვართ).

მე დავას არ დავუწყებ არლი თაყაიშვილს აღწერითი ფორმების
გამო. თუკი ის ასერიგად გულდაჭერებულა, რომ „სახელი + ყო ზმნის
კავშირი დღეს ენაში აღარ არსებობს“ და ამის გამო უარსა ჰყოფს სრუ-
ლევოს და მისთანებს, ხელი ჰყოს ერთ საქმეს: გადაშალოს „ქართული
ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და წაიკითხოს ყოფს ზმნის მეორე მნი-
შვნელობა საილუსტრაციო მასალითურთ. იქნებ ამის შემდეგ მაინც
აღარ ხელყოს სულხან-საბა ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანის, ივანე
მანაბლასა და ვასილ ბარნოვის ქართული.

ოლონდ ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუა-
როთ არლი თაყაიშვილას ერთ თეორიულ აღმოჩენას: ფრაზეოლოგიზ-
მებისა და აღწერითი ფორმების ნაწილი. — გვმოძღვრავს ავტორი. —
„ორგანულადაა შეზრდილი თანამედროვე ქართულს, ნაწილი კი საერ-
თოდ აღარ იხმარება. ეს აიხსნება იმ ელემენტარული კანონით, რომ

ენაში ახლის წარმოქმნასთან ერთად ქრება ძველიც“ (ნაზი ჩემია. რ. თ.).

ქეშმარიტად! ქეშმარიტად! ენაში აფეთქება მოხდება, ახალი წარმოიქმნება, ახლის წარმოქმნასთან ერთად ძველი გაქრება, მერე ამ ახალ ენაზე სამეცნიერო ნაშრომები დაიწერება და ამ ნაშრომთა დაბნეულ მკითხველს თავში ქვა უხლია, თუკი ვერ მიხვდება, როდის აქეთ იქცა ესოდენ ელემენტარულად და საყოველთაოდ ენის რევოლუციური ცვლილების უარყოფილი თეორია.

ლ ე ქ ს ი კ ა.

„და ბოლოს, ჩვენ მივადექით ყველაზე რელიეფურად გამოხატულ 'სფეროს — ლექსიკას. არ არის ძველ ძეგლებსა და სულხან-საბას ლექსიკონში არც ერთი საინტერესო სიტყვა, რომელსაც ახალგაზრდა მთარგმნელთა ენაში ადგილი არ ეპოვოს“, — წერს ავტორი და წამითაც არ უფიქრდება იმ ამბავს, რომ სიცრუეს წერს. თუკი ჩემს მიერ ხაზგასმული ფრაზა სიცრუედ კი არ ვიჩინო, არამედ უწყინარ ხუმრობად, ღმერთმა კარგად ამყოფოს და კვლავაც სულ ხუმრობა-ხუმრობით აწერინოს სამეცნიერო სტატიები. ხოლო თუ ეს სერიოზულად არის ნათქვამი, ან სიცრუეა, ან — უეიცობა. თავად გამოარკვიოს.

ხოლო მე იძულებული ვხდები ხელი ავიღო პირვანდელ განზრახვაზე — ლექსიკის სფეროშიც შევკამათებოდი „ენა ძველი, ენა ახლის“ ავტორს. რადგან არლი თაყაიშვილის წერილში ლექსიკის საკითხებს ხუთ გვერდზე მეტი უჭირავს, აქ მოტანილია უამრავი სიტყვა, არქაიზმად მიჩნეული, გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, და ყველაფერი თავიდან ბოლომდე საკამათოა.

აქ ერთ მაგალითს დავჭერდები: „ძველი „მკვდარი“ ელემენტების ჰარბად შემოტანა და გაცოცხლება იწვევს ნაწარმოებში მეორე, მხატვრული პლანის მეტისმეტად წინ წამოწევას. მაგრამ ამ მხრივაც მიზანი ნაწილობრივ მიუღწეველი რჩება, რადგან მან (ამ ძველმა ელემენტმა) დაკარგა ენის ახალ ელემენტებთან ცოცხალი კონტაქტის უნარი. იგი თითქოს უცხო სხეულია, რომლის მორგებისა და შესისხლხორცების პროცესს დისტანციიდან ხედვა სჭირდება“ (გვ. 138).

აქ საქმეს არ შევლის „მკვდარის“ ბრჭყალებში ჩასმა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამ დებულების დასადასტურებლად მოტანილი მაგალითების დიდი ნაწილი ისევეა მკვდარი, როგორც გან-, წარ- და აღ- ზმნისწინები, ნართანიანი მრავლობითი. პოსტ-პოზიციური წყობა ან კიდევ ზმნის ბოლოდან მეორე ადგილზე მოქცევა აღმოჩნდა მკვდარი და დასამარებელი ჟურნალ „ცისკრის“ იმავე ნომრის ფურცლებზე, რომელშიც დაბეჭდილია არლი თაყაიშვილის წერილი. სხვათა შორის. ამავე ნომერში ლექსიკის სფეროდანაც შეიძ-

ლება უხვი მასალის ამოკრება. ხოლო, თუკი არც ისე სქელტანიანი ეურნალის ერთი ნომერი ამდენ მასალას გვაძლევს არლი თაყაიშვილის მოსაზრებათა გასაბათილებლად, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, გულდასპით რომ მოვყვეთ სათანადო მაგალითების ამოწერას ქართველ მწერალთა თხზულებებიდან საერთოდ. მკითხველი შენიშნავდა ალბათ, რომ მე განზრახ არ მოვიშველიე არც ერთი ნიმუში, ვთქვათ, ვასილ ბარნოვის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ანა კლანდაძის და სხვათა და სხვათა მრავალთა ნაწერებიდან. ეს არის ზღვა მასალა და ეს ზღვა მასალა ორგანული ნაწილია ქართული სალიტერატურო ენისა, ეს არის ქართული სალიტერატურო ენა — ერთიანი და განუყოფელი. აღარაფერს ვამბობ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვეჟა-ფშაველას გამო, აღარაფერს ვამბობ რუსთაველის, პულხან-საბა-ორბელიანის. დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გამო, მიუხედავად იმისა, რომ შათს ენას თვით „ძველი ქართულისა“ და „ახალი ქართულის“ დამპირისპირებელნიც „ახალი ქართულის“ ფაქტად მიიჩნევენ.

სხვა არა იყოს რა, სირცხვილია ამდენი „უჩემოდ ვინ იმღერეთა“, სირცხვილია ხელოვნურად გათიშვა ჩვენი სასიქადულო ენისა და, რბილად რომ ვთქვათ, დაუფიქრებლად მტკიცება, თითქოს „იგორის ლაშქრობის“ ტექსტი ისევე იყოს გასაგები თანამედროვე რუსისთვის, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ — ჩვენთვის (გვ. 127). ნუ წარმოვიდგენთ, რომ ეგრეთ წოდებული ძველი ქართული არის რიყე, საიდანაც ზოგს ქრელ-პრელი კენჭები მოაქვს სამშენისებულად, ზოგს კიდევ — ლოდები, და მერე ამ ლოდებს თავში ურტყამს საბრალო მკითხველს (სიტყვასიტყვით ასე უწერია არლი თაყაიშვილს: „ესაა ემპირიულად არსებული მასალა, რომელიც ძვეს ჩვენგან დამოუკიდებლად და ყველას აქვს მისით სარგებლობის უფლება“).

ვიმეორებ: ქართული ენის განვითარება ოდესღაც მექანიკურად შეფერხდა და შემდეგ ამ ენას საუკუნეთა მანძილზე აღარ ჰქონია სრულად გამოვლენის შესატყვისი პირობები. XIX საუკუნეში ბევრი რამ გაკეთდა საიმისოდ, რათა ქართული კვლავ აელვარებულყო ოდინდელი მშვენიებით, მაგრამ „ბევრი რამ“ არ ნიშნავს ყველაფერს. სხვაგვარად ვერც იქნებოდა: ჯერ ერთი, ამ საუკუნეში ქართული არ ყოფილა სახელმწიფო ენა; მეორე, აღრინდელი კულტურის მონაპოვართა ორგანულად შესისხლბორცებისთვის ზრუნვის დრო ამ საუკუნეში ბევრს არავის ჰქონდა. გარდა ამისა, სალიტერატურო ენის საბოლოო სახით დადგენასა და დასვეწას ერთი და ორი თაობის ღვაწლი არ ეყოფა, საიმისოდ მრავალი თაობის დაუცადებელი გარჯა არის საჭირო. ოღონდ გარჯა სათანადო პირობებსაც გულისხმობს და სწორედ ამგვარი პირობები შეიქმნა ჩვენს ხანაში. შეადარეთ XX საუკუნის ათიანი და ოცია-

ნი წლების ენა დღევანდელს თუნდაც მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების მიხედვით. სხვაობა იმდენად თვალსაჩინოა, ამჟერად ილუსტრირებასაც არ საჭიროებს, — სხვაობა გაუმჯობესებისკენ, დახვეწისკენ, ამალღებისკენ. ოღონდ ვინ იტყვის — ამით დასრულდა ყოველივე და, ახალგაზრდა ლიტერატორნო, თქვენ ნულარ ირჯებითო? და თუკი ესა თუ ის ლიტერატორი ცდილობს მაქსიმალურად მოიცვას ქართულის განვითარების ყველა პერიოდი და ამით თუნდაც უმცირესი წვლილი შეიტანოს სალიტერატურო ენის სრულყოფის საშვილიშვილო საქმეში, ამას უნდა ეწოდოს არა „მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სიმაღლემდე აყვანა-ლი კამპანია, მიმართული არქაული ფორმების აღდგენისაკენ“, ან კიდევ „ძველი ქართულისკენ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი“, არამედ ისეთი საქმიანობა, რომელიც სწორედ დღევანდელი, ხვალისდელი და ზეგინდელი დღის ინტერესებს ემსახურება. ამ საქმიანობის განსახილველად დიხანაც სასურველია გრამატიკის, ისაერთოდ, ენათმეცნიერების მონაპოვართა მოშველიება, ოღონდ შეუწყნარებელია ყოველივე ამის განსჯა მარტოოდენ ლინგვისტიკის პოზიციებიდან (ისიც — დაუდგენელი პოზიციებიდან).

ვინ რას იტყვის, ზემოხსენებული მთარგმნელნი მართლაც ხმარობენ ხოლმე არქაულ ფორმებს, ოღონდ, ვიდრე ამის გამო შევაჩვენებდეთ, კარგად უნდა განვსაზღვროთ და შევთანხმდეთ — რა შეიძლება ჰივიჩინოთ არქაიზმად და რა — სალიტერატურო ენის ცოცხალ ელემენტად. წარმოუდგენელი რამ არის. როდესაც ქართული ენის განვითარების ამა თუ იმ ადრეულ ეტაპზე დადასტურებულ ენობრივ მოვლენებსა და ფორმებს არქაიზმებად ვაცხადებთ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ასე იქცევიან თავიანთი ენების მიმართ ევროპელები. თითქოს ქართული ენის ცვლილების ტემპები ევროპულისას თუ ჩამორჩა, დიდი სირცხვილი და თავის მოჭრა იყოს ჩვენი ენისთვის. იქნებ პიროქით გვექონდეს საქმე, იქნებ ქართულის „კონსერვატულობა“ სწორედ საამაყო მოვლენა იყოს და არა თავში საცემი და საწუხარი! აბა კარგად დავეუკვირდეთ ამ სიტყვებს: „ზოგი ენის არქაულობა სხვა ენებთან შედარებით იმას მოწმობს, რომ თუშეცა ყველა ენა ვითარდება, მაგრამ მათი განვითარება სხვადასხვა ტემპით ჰიმდინარეობს. თუ რა იწვევს ენათა არათანაბარი ტემპებით განვითარებას, ამის ახსნა წარმოადგენს ენის განვითარების თეორიის ერთ-ერთ უძნელეს ამოცანას“ (არნოლდ ჩიქობავა).

ყოველივე ამას ანგარიში თუ არ გავუწიეთ, ზემოხსენებულ მთარგმნელებთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილიც „არქაული ფორმების აღმდგენელი“ გამოგვივა, ალექსანდრე ჰავეკაძეც, გრიგოლ ორბელიანიც, ილია ჰავეკაძეც, აკაკი წერეთელიც; ვაჟა-ფშაველაც, მერცი საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი მწერალიც, და შეიქმნება შთაბეჭდილი-

ბა. თითქოს ამ მხრივ მთელი ქართული ლიტერატურა სცოდავდეს და მხოლოდ ზოგიერთი ახალგაზრდა მეცნიერი იყოს უცოდველი (მით უპეტეს, თუ ლიტერატურაში დადასტურებულ მაგალითებს ერთად თავს მოეუყრით და შავი პეტიტით ერთიმეორეს მივაწყობთ საეურნალო სტატიაში).

ამიტომ, როდესაც არლი თაყაიშვილი კითხვა: სვამს: „სადამდე შეიძლება ვიაროთ ასე? ხომ არსებობს რაღაც საზღვარი, რომლის იქით გადასვლა უხერხულიცაა?“ — ჩვენ შეგვიძლია კითხვითვე მიუუცოთ: მართლაც სადამდე შეიძლება ვიაროთ ასე უგზო-უყვლოდ?

ოღონდ ეს კითხვა მთარგმნელებსა და მწერლებს როდი მიემართებათ.



2. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ადვილი გასაგებია, რა ფას აქვს არლი თაყაიშვილის მეორე ძირითად მოსაზრებას — დასახელებული მთარგმნელნი არქაიზაციის პრინციპს ბოლომდე ვერ იცავენ, მთლიანად ძველი ქართულით ვერ მართავენ ნაწარმოებს, რადგან ძველი ქართულის ნორმები მათთვის არც ისე ორგანულიაო.

როგორც დავინახეთ, იმ ენობრივ მოვლენათა და ფორმათა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებსაც ავტორმა „მკვდრის სუღარა გადააფარა“, სალიტერატურო ქართული ენის ცოცხალი ინგრედიენტია. აღნიშნული მთარგმნელები ხმარებიდან გამოსული ენის ან ენის მკვდარი ელემენტების აღდგენას კი არ ეწრაფვიან (იშვიათი გამონაკლისების გარდა, როდესაც მართლაც არქაიზმებს ხმარობენ), არამედ ცოცხალი სალიტერატურო ენის შეძლებისდაგვარად გამრავალფეროვნებას. ისინი იყენებენ იმ ლექსიკურ ერთეულებს, იმ ფორმებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულის პრაქტიკით დადასტურებული კუთვნილებაა. მთავარია გაირკვეს — რომელ ლექსიკურ ერთეულებს, რომელ ფორმებს უნდა ეწოდოს არქაიზმები. ახირების მეტი ვერაფერი დაერქმევა იმ ამბავს, რომ მრავლის უმრავლესი ლექსიკური ერთეული და ფორმა, დღევანდელ ქართულ მწერლობაში ხმარებული, მაინცდამაინც „ძველ ქართულად“, არქაიზმად გამოვაცხადოთ.

ამიტომ, მეტი რომ არ ვთქვა, ძალზე თავშესაქცევად უღერს არლი თაყაიშვილის მოთხოვნა: „ეფიქრობთ. ამ ტენდენციის გამოვლენის დროს ერთი პირობის დაცვა აუცილებელია: ასე თუ ისე დასრულებული მონაკვეთი მაინც უნდა გაიმართოს ძველქართულად“ (გვ. 139).

ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორს ამგვარი მაგალითი მოაქვს: „ვპვრეტდი ხრწნადისგან შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას და

„შევიცანი წარმავალი წუთისოფელი“ (დანტე). პირველი ნაწილი აბსოლუტურად ძველია, მეორე — უდავოდ ახალი“ (გვ. 139).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ავტორი ანგარიშმიუცემლად, დაუზუსტებლად ხმარობს ტერმინებს „ძველი“, „ძველი ქართული“, „არქაული“. ახლა დამატებით გაჩნდა „აბსოლუტურად ძველი“. ზემოთ იხილეთ გაიჩვენა, რომ რასაც ავტორი „ძველ ქართულს“ უწოდებს, სალიტერატურო ქართულში ყოველდღიურად ხმარებული მოვლენები ყოფილა (გარდა რამდენიმე იშვიათი გამონაკლისისა). მოდი, ახლა გავაანალიზოთ მოტანილი მაგალითი: იქნებ „აბსოლუტურად ძველმა“ მაინც მიგვაკვლევინოს, რა არის ბოლოს და ბოლოს „ძველი“.

„**ეპიკურული ხრწნადისგან შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას და შევიცანი წარმავალი წუთისოფელი**“.

მაშასადამე, ხაზგასმული ფრაზა აბსოლუტურად ძველია.

ეპიკურული.

„**ეპიკურული** (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. იგივეა, რაც უპიკურული. რად მინდა მისი ვინაობის გაგება! ქურდულად ეპიკურული მის სილამაზეს და განა ეს საკმაო არ იყო? (ა. ჭუმბ.). || ფიგურ. ჩემ შარბათში ნალეულს ეპიკურულ და ვარდში — გველს (აკაკი)“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“).

თუ ავტორი „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონსაც“ არ მიიჩნევს „არქაიზაციისკენ განდილი ფრონტით სვლის ერთ-ერთ რგოლად“, აბსოლუტურად ძველ ფრაზას ეს სიტყვა უნდა გამოვავლოთ.

დაგვჩა „...**ხრწნადისგან შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას**“.

ხრწნადი.

„**ხრწნადი** (ხრწნადისა) წიგნ. რაც იხრწნება, რაც შეიძლება გაიხრწნას, — ლპობადი. ეგ ხრწნადი ხორცი მოკვდება და დაიშლება (ვ. ბარნ.), სილამაზე მხოლოდ ყვავილია ხრწნადი (თ. სახოკ. თარგმ.)“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“).

თუ ავტორი „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონსაც“ არ მიიჩნევს „არქაიზაციისკენ განდილი ფრონტით სვლის ერთ-ერთ რგოლად“, აბსოლუტურად ძველ ფრაზას ეს სიტყვა უნდა გამოვავლოთ.

დაგვჩა „...**შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას**“.

შემტკიცებული.

„იგივეა, რაც **განმტკიცებული**“, — გვაუწყებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. მოტანილ ფრაზაში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „**განმტკიცებულის**“ მნიშვნელობით არ იხმარება. მაშინ რა მნიშვნელობით? „**შემტკიცება** — შემყარებასავით“ (სულხან-საბა ორბელიანი).

მაშასადამე, „**შემტკიცებული**“ ზემოთ ნახმარი მნიშვნელობით განმარტებითს ლექსიკონს არქაიზმად მიაჩნია. და, თუმცა ძნელია ამგვარ

დასკვნას დაეთანხმო, მაინც გავიზიაროთ ავტორის სიხარული იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი არქაიზმი ბოლოს და ბოლოს ნაპოვნია!

დაგვრჩა „...სიცოცხლეს ჩემსას“.

მკითხველს თავს აღარ შეეაწყენ ამ სიტყვათა მნიშვნელობის ლექსიკონიდან ამოწერით. არც ერთი საშუალო ინტელიგენტი (ვისაც არ-ლი თაყაიშვილი გულისხმობს ჩვენი თარგმანების მკითხველად) ამ სიტყვებს არქაიზმად არ მიიჩნევს.

მაშასადამე, მოტანილი ფრაზის ლექსაკა შეიცავს ერთადერთ არქაიზმს (რაც პირობითად წოდებულს ამგვარად) -- „შემტკიცებული“.

იქნებ ფონეტიკური, მორფოლოგიური ან სინტაქსური თვალსაზრისით აღმოჩნდეს ეს ფრაზა აბსოლუტურად ძველი?

ღიახ, სწორედ ეს გახლავთ თავი და თავი. ფონეტიკურად და მორფოლოგიურად არა, მაგრამ სინტაქსურად ხომ არქაიზმია „სიცოცხლეს ჩემსას“, ეს ხომ შებრუნებული რიგია, პოსტ-პოზიციური წყობა! ახლა რაღას იტყვი?

მხოლოდ იმას, რომ კვლავ მიგითითებთ ეურნალ „ცისკრიდან“ ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებს და შეგახსენებთ, რომ არავითარი არქაიზმი აქ არ არის. ბოლოს და ბოლოს, როგორც არლი თაყაიშვილი თვითონვე აღნიშნავს, მისი წერილის სათაურიც ხომ ამ წყობით არის გამართული („ენა ძველი, ენა ახალი“).

მაშ რაღაა მოტანილ ფრაზაში აბსოლუტურად ძველი?

ზემოხსენებული თავშესაქცევი მოთხოვნა („...დასრულებული მონაკვეთი მაინც უნდა გაიმართოს ძველქართულად“) და ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო თავშესაქცევი მაგალითები ავტორს იმისთვის სჭირდება, რომ გვიჩვენოს, „თუ რამდენად რთულია ძველი ქართულის გრამატიკულ-ლექსიკოლოგიური სისტემა“, იმ ზომამდეო, რომ „მასში შუცდომლად გარკვევა უჭირთ ძველი ენისა და კულტურის ისეთ კვალიფიციურ სპეციალისტებს. როგორადაც ზემოთ ნახსენები ახალგაზრდა მთარგმნელები ითვლებიან“ (გვ. 142).

ხოლო კვალიფიციურ სპეციალისტებთან დაკავშირებული ცუდად დაფარული ირონია იმის შედეგია, რომ. ავტორის აზრით, ახალგაზრდა მთარგმნელნი სწორედ მათ მიერ ამოჩემებული ძველი ქართულის თვალსაზრისით უშვებენ შეცდომებს.

ამ დებულებას დაადასტურებლად მოტანილი ერთი მაგალითი უკვე გავაანალიზებთ და სათანადო დასკვნის გაკეთება მკითხველზე იყოს. დანარჩენი მაგალითები ან ასეთივე ხარისხისაა, ავტორისავე თვალსაზრისის გამაბათილებელი. ან კიდევ სადავოა და საკამათო და ამჭერად ვერ გამოვუდგებით.

ვიტყვი მხოლოდ, რომ მრავალი მაგალითიდან ორად ორია მართ-

ლაც. შეცდომის ნიშნში. ერთია ებ-იანი მრავლობითის შემთხვევაში ჰირდაპირი ობიექტის მიერ ზმნაში რიცხვის აღნიშვნა („ძალები მოსრ-ნა“ — გრამატიკულად მიუღებელია და, საერთოდაც, ჩემი აზრით, „მო-სრნა“ გაუმართლებელი არქაიზმია სწორედ ამ ნ-ს გამო), მეორე — ორმაგი მრავლობითი („ცოცხლებთ“).

თუ ეს ციტატები სწორადაა ამოწერილი, აღნიშნულ შეცდომათა დამშვებნი არლი თაყაიშვილს ალბათ მადლობას ეტყვიან მითითებისა-თვის და მომავალში ამ შეცდომებს გაასწორებენ. ამიტომ დაველო-დოთ, რას იტყვიან მოტანილი მაგალითების შემქმნელნი... ილიადასა“ და „ვილგამეშის“ მთარგმნელნი.

მანამდე კი, რაკი რიცხვში შეთანხმებაზე ჩამოვარდა სიტყვა, შე-ცბუნებულებმა შეენიშნოთ, რომ როგორც ძველი, ისე ახალი ქართუ-ლის სპეციალისტი არლი თაყაიშვილი თავის წერილში ასე გვითარგმნის ერთ რუსულ ფრაზას: „ეს ერთ-ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ სა-ეკლესიო სლავიზმები კრიზისს განიცდიან და ხმარებისას რიცხობრივად მცირდებიან, გარკვეული ჭკუფები კი საერთოდ აღარც გამოიყენება“ (გვ. 136).

ახლა თქვენ არ თქვათ — ავტორი სხვა მთარგმნელებს უკიყი-ნებს — რიცხვში შეთანხმების წესებს ძველი ქართულის მიხედვით რატომ ვერ იცავთ, თვითონ კი ახალშიც შეცდომებს უშვებთ, ისიც ორად ორი ბწყარის თარგმნისას, ეს სადაურიაო!

სადაურია და, ეტყობა, მომავლის ქართულია, ძველისაგან და ახლისგანაც განსხვავებული.



3. ვიდრე არლი თაყაიშვილის მესამე ძირითადი მოსაზრების გამო ვიტყოდეთ რამე, ვნახოთ, კიდევ როგორ ირღვევა რიცხვში შეთანხმე-ვის წესები მისსავე წერილში:

„მათ ამ ეროვნული საქმის ფერხულში ჩასაბმელად მოჰყვა სიყვა-რული და ენთუზიაზმი“ (გვ. 125); „ზოგიერთ სახელთა ფუძებების...“ (გვ. 135); „...სიტყვები, რომლებიც დღესაც იხმარებიან...“ (გვ. 135); „ენის ერთ სისტემაში იჭრება სხვა სისტემის სემანტიკური ღირებულე-ბანი, რაც კონფლიქტში მოღის არსებულთან...“ (137); „უნდა აღდგეს ?ხოლოდ ის გრამატიკული ფორმები და ლექსიკური მასალა, რომელსაც რაღაც აზრობრივ-ემოციური ნიჟანსი შემოაქვს...“ (139); „ზოგჯერ ბიბლიური იერი მიეცა ისეთ მწერლებს...“ (145); „ერთნაირად ამეტყ-ველდა უიტმენი და ბო ძიუ-ი, თაგორი და ალიგიერი, აბუ-ლალა-შაარი და ომარ ხაიამი“ (145); „ამ მხრივ... თარგმანებს დედნის ერთგვარი

ჯავლენა ისევ ეტყობათ“ (146); ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენ საერთოდ წინააღმდეგი ვიყოთ არქაიზმებისა. დიალექტიზმებთან, ნეოლოგიზმებთან და ბარბარიზმებთან ერთად მას ვუყუარებთ როგორც ენის გამდიდრების ერთ-ერთ დაუშრობელ წყაროს“ (150).

ენახოთ აგრეთვე, როგორ არღვევს ავტორი პირის ნიშანთა ხმალების მიღებულ წესს: ყვებოდნენ (132), ჯობდეს (135), ჯობდა (137); როგორ აღადგენს არქაულ „ზედა“ თანდებულს; რაზედაც (149). რომელზედაც (150); როგორ პარალელურად ხმარობს ხან ჩვენს ეჭვს (141), ჩვენს მიერ (145) და ხან ჩვენ მიერ (131), ხან მოვიტანთ ნიმუშს (126), ხანაც ნიმუშად მოვიყვანოთ (131): როგორ „ქმნის სიტყვათა არქაულად დალაგების თავისებურ სახეს ზმნის ბოლოდან მეორე ადგილზე მოქცევით, მის ჯგან კი ზმნიზედის, ნაწილაკის ან ნაცვალსახელის გადასროლით“: „და ამ ფრჩხილების გახსნა მოგვიბნდა ჩვენ“ (144). „ეს კი ბევრზე მეტყველებს თავისთავად“ (147)...

„ეს არის სალიტერატურო ენის ნორმებიდან მეთოდურად გადახვევის შესანიშნავი ნიმუში“ (გვ. 135) — ასე შეაფასა არლი თაყაიშვილმა ზემოხსენებულ მთარგმნელთა ენა.

ახლა მივხედოთ ავტორის სტილს:

„ჩვენ შევეცდებით დასახელებულ მთარგმნელთა დიდძალი საილუსტრაციო მასალის ანალიზზე, აგრეთვე ცნობილ ლიტერატორთა შემოქმედებით გამოცდილების მოშველიებით ვაჩვენოთ, რამდენად ზოლომდე გამართლებული არაა არქაიზმებისაქენ ასეთი მკვეთრი ორიენტაცია“ (127).

„ეს ღრვეანდელი ფორმების მიმართ ერთგვარი უპატივემლობაა. უფრო მეტიც: მათ შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურების დასტურარიც“ (135).

„...იგი (დანტე) გადაუქარბებლად აღიარებულია როგორც ნამდვილი შემქმნელი ეროვნული და პოეტური ენისა“ (142).

ვითომ ქართულია „ანალიზზე ვაჩვენოთ“, „შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურების დასტური“ ან „აღიარებულია როგორც ნამდვილი შემქმნელი“?

მაგრამ ეს ყოველივე მაშინვე დაიჩრდილება, როგორც კი არლი თაყაიშვილი მოგვევლინება არა ავტორის, არამედ მთარგმნელის როლში. დაუკვირდით ერთი, როგორ გვითარგმნის იგი „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ორიოდ ფრაზას:

„ღვთაებრივი კომედიის“ ენა — „საამო სტილის“ სკოლის მაღალი სახალხო ენაა, მაგრამ საგრძნობლადაა იგი გამდიდრებული ტოსკანური ანდაზების, სხარტი და მყარი ხალხური გამოთქმების ცოცხალი სასაუბრო მეტყველებით. პოემის ხალხური ელემენტები განსაკუთრებულ ნიშნელობას იძენდნენ ერესების მასობრივი სახალხო მოძრაობების

ეპოქაში. აქ უნდა ვეძიოთ თვით სათავეც დანტეს ფანტაზიისა, რომელიც კლერიკალური ლიტერატურის სულს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ახლოს იყო აპოკრიფულ, ეკლესიისაგან უარყოფილ ხალხის რელიგიურ ლეგენდებთან“ (143. ხაზი ჩემია. — რ. თ.).

როგორც ხედავთ, მთარგმნელობა არც ისე იოლი ხელობა ყოფილა. თუკი ორიოდ ფრაზის თარგმნით ამგვარი რამ მივიღეთ, წარმოდგინეთ, რა შეიძლება დავმართოთ ჩვენს საბრალო ქართულს ვრცელი ნაწარმოების (ისიც მხატვრულის) გადმოღებისას!

ამას იმიტომ მოვახსენებთ, რომ, ვიდრე არლი თაყაიშვილი სახელოებს აიკაპიწებდა და ხსენებულ თარგმანებს გრამატიკის პროკრუსტეს სარეცელზე დააწვენდა. ცოტათი უკეთ უნდა გარკვეულიყო, თუ რა არის თარგმნა ან რატომ უწოდებენ ხოლმე მხატვრულ ლიტერატურას სიტყვაკაზმულ მწერლობას. ვიდრე „გილგამეშის“, „გიტანჯალის“ ან „ფედონის“ მთარგმნელებს ენასა და სტილს დაუწუნებდა. იმის მეასედი დრო და ენერჯია მაინც უნდა მოეხმარებინა სიტყვის დაურეებისა და კაზმვის ხელოვნებისათვის. რასაც ზემოხსენებული მთარგმნელნი ახმარდნენ წლების მანძილზე. მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება იმის შეტყობა, რომ პლატონის თარგმნისას ბაჩანა ბრეგვაძე თორმეტ-თორმეტ საათს მუშაობდა დღე-ღამეში. რომ თამაზ ჩხენკელი უკვე ოცი წელია ინტენსიურად თარგმნის აღმოსავლურ პოეზიას და ბოლოს და ბოლოს რამდენიმე საკმაოდ თხელტანიანი კრებული გამოისცა მხოლოდ (ამ ხნის განმავლობაში, როგორც იტყვიან, დაკეთდა ხალხი თარგმანებით)...

კარგი, ვთქვათ ნაწარმოების გრამატიკულად განხილვისას ყოველივე ამისათვის ანგარიშის გაწევა არ არის აუცილებელი (თუმცა მკითხველს ალბათ ახსოვს, როგორი მაგალითი მოგვცეს ამ თვალსაზრისით ჩვენმა ენათმეცნიერებმა — აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთლის, ივანე იმნაიშვილისა და სხვა გამოჩენილ ლინგვისტთა ნაშრომები სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდებულების კვლევითი ნიმუშია).

ის ხომ მაინც აუცილებელია, რომ საკუთრივ სტილის საკითხებზე მუშაობისას ჯერ საკუთარი სტილი გვექონდეს მოწესრიგებული? არლი თაყაიშვილის მესამე ძირითადი მოსაზრება ხომ იმას ლაღადებს, რომ „ახალგაზრდა მთარგმნელებმა“ სათარგმნ ავტორებს თავს მოახვიეს შეუფერებელი სტილი, უადგილო არქაიზაციით სახე დაუყარგეს დანტეს. ისააკიანს, ბო ძიუ-ის, ომარ ხაიამს, უიტმენს, ოსკარ უაილდს, თაგორს („თუკი მებაღე ბენგალურ სასაუბრო ენაზეა დაწერილი, რატომ უნდა ითარგმნოს ძველი ქართულით?“)...

მე ვერ ვირწმუნებ სტილისტურ შეგონებებს იმ ავტორისა, რომელიც „მათ შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურების დასტურის“ ენით

შელაპარაკება, რომელსაც ჰგონია, რომ „ჩემი ლოცვის“ თარგმნისაჲ პასტერნაკმა სიტყვა 4011 „ლექსის საზომის საკიროებით“ იხმარა, რომ დანტეს სტილის შესახებ გულდაჯერებულად მსჯელობისათვის საკმა-
ჭისია ენციკლოპედია გადაშალო და იქ წაიკითხო შესატყვისი სტატია.

რომელი ერთი ჩამოვთვალო...



„ენა ძველი, ენა ახალი“ დაწერის აზრი რომ დაებადა, არლი თა-
ყაიშვილმა რამდენიმე ახლობელ ადამიანს გაგვიზიარა თავისი განზრახ-
ვა. სხვებისა არ ვიცი, პირადად მე კი მოჰყვალ ავტორს ვუთხარი: მართა-
ლია ქართული ენის აწინდელი მდგომარეობისა და განვითარების პერ-
სპექტივების შესახებ ჩვენ სულ სხვადასხვაგვარი აზრი გვაქვს, მაინც
სულთ და გულთ მივესალმები-მეთქი წერილს, რომელშიც ჩვენი
უნის საკირობოროტო საკითხებზე იქნება საუბარი. ასეთ წერილს ალბათ
სხვებიც აიამოვნებით გამოეხმაურებიან და ამას რა სჯობს — ვიდავოთ,
ეკიკამათოთ, ეს მხოლოდ წაადგება-მეთქი საქმეს.

ზემოთ დასახელებულ მთარგმნელთაგან არც ერთი არ მეგულება
და ჩემს თავსაც არ მივიჩნევ ისეთ კაცად, ვინც ყალუზე დადგება მისი
ინამუშავევის კრიტიკულად მიმოხილვისას, ვინც შენიშვნას არ ჩაუყვი-
რდება, ყოველმხრივ არ აწონ-დაწონის და „ჩემი სჯობსო“ იძახებს
ბრიყვულად.

ოლონდ დასახელებული მთარგმნელნი ის ადამიანები არიან (ამგვა-
რი ადამიანები კი, მაღლობა ღმერთს, ცოტანი როდი არიან დღევანდელ
საქართველოში), რომელთაც ათეული წლები და პირადი კეთილდღეო-
ბის არაერთი პერსპექტივა შეუწირავთ მშობლიური ენის საიღუმლოე-
ბათა ჩასაწვდომად ღამეების თევისათვის. ამიტომ საეკირველი არ
უნდა იყოს, თუკი ქართული ენის განვითარების კარდინალურ საკითხე-
ზე მსჯელობისას სიჩქარეს, უგულისყურობას ან უპრინციპობას ვერ
შეიწყნარებენ.

„ენა ძველი, ენა ახლის“ ავტორიც ერთ იმ კაცად მეგულე-
ბოდა, ვინც მხოლოდ საგულდაგულოდ მომზადების, პრინციპთა მკაც-
რად გააზრებისა და ჩამოყალიბების შემდეგ მიჰყოფდა ხელს მშობლი-
ური ენის ძირეულ პრობლემებზე მუშაობას. ამიტომ მოველოდი ინტე-
რესით მის წერილს.

დიდი იყო იმედის გაცრუება. მისი წერილიდან ერთი რამ გამოს-
კვივის ყველაზე რელიეფურად: სიჩქარე, სიჩქარე და დაუკვირვებლობა.

აჩქარების ბრალია „მხატვრული ლიტერატურის ენის შესწავლის
სამი ასპექტის“ იმგვარად დაფორმულება (წერილის დასაწყისშივე),
რომ კაცი უფრთხვერს გაიგებს ამ ასპექტებისას; აჩქარების ბრალია ცი-

ტაყების ისე დაუდევრად. არეულ-დარეულად მოხმობა, გარჯად რომ ღირდეს, მარტო ამ საკითხზე სპეციალური წერილი დაიწერებოდა; აჩქარების ბრალია „ძველი ქართულის“ განუკითხავად ხმარება და დასახელებულ მთარგმნელთა წიგნებში მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ ლექსიკური „არქაიზმების“ უხვად აღმოჩენა (მორფოლოგიურ-სინტაქსურ არქაიზმებს რაც შეეხება, ზემოთ გამოჩნდა, თუ როგორია საქმის ნამდვილი ვითარება. ლექსიკური არქაიზმები ცალკე საუბრის თემაა); აჩქარების ბრალია ახირებული პრეტენზია — რატომ მთლიანად ძველი ქართულით არ მართავენო დასრულებულ მონაკვეთებს ხსენებული მთარგმნელნი; აჩქარების ბრალია სათარგმნ ავტორთა სტილისტურა თავისებურებების გამო ზემოთ ციტირებული მსჯელობა; დაბოლოა, აჩქარების ბრალია თვით ორთოგრაფიულ-გრაფიკული და სტილისტური შეცდომები, რომლებიც, როგორც დავინახეთ, ძნელი მისაკვლევია არაა არლი თაყაიშვილის წერილში (აჩქარება რომ არა, ვინ დაიკვრებს, თითქოს ენათმეცნიერ კაცს უკეთ არ ეხერხებოდეს წერა!).

და აქ უნებურად აღიძვრის კითხვა: რატომ ისწრაფა ავტორმა და გამოაქვეყნა ფაქტიურად დაუმუშავებელი, ჩაპოუყალიბებელი, გაურანდავი წერილი, რა იყო თვით ამ აჩქარების მიზეზი? ნუთუ მხოლოდ სურვილი — რადაც უნდა დასჯდომოდა, მკითხველი საზოგადოების თვალში გაეზიარებინა ზემოხსენებული მთარგმნელები? ან იქნებ „მათ შესაძლებლობებზე ჯეპტიკურად ყურება“?

ამას მომავალი დაგვანახვებს ალბათ.



P. S. მომავალმა სანუგეშო ვერაფერი დაგვანახა: არლი თაყაიშვილმა „ცინკის“ 1968 წლის მერვე ნომერში მოათავსა ამ შენიშვნების პასუხად დაწერილი სტატია, რომლითაც სავეებით გაბათილდა ჩემი ვარაუდი — „ენა ძველი, ენა ახალი“ ავტორის შეცდომები ალბათ აჩქარების ბრალია-მეთქი. ამ სტატიაში მეტ-ნაკლებდ განმეორებულია ყველა ის შეცდომა, რაც პირველ სტატიაში აღინუსხა, და დამატებით წარმოდგენილია არაერთი მცდარი დებულება. ამასთან, ეს ყოველივე იმ ზომამდე ქაოტური და მოუწესრიგებელი ფორმით არის მოცემული. ქართული ენის განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემათა გამო კამათის გაგრძელების ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს.

ტიქსტის დასასვეზად და გასამართავად

გამომცემლობა „ნაკადულმა“ წამოიწყო კიდევ ერთი შესანიშნავი საქმე — ხალხური სიტყვიერების ხუთტომიანი ბიბლიოთეკა „ხალხური სიბრძნე“, რომლის პირველი და მეორე ტომი ეთმობა ზღაპრებს, მესამე ტომი — ეპოსსა და ლეგენდა-თქმულებებს, მეოთხე — პოეზიას და მეხუთე — მახვილსიტყვაობას. ანდაზებსა და გამოკანებს.

უკვე გამოვიდა პირველი ტომი, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან: „ცხოველთა ზღაპრები“ და „ჯადოსნური ზღაპრები“. სულ დაბეჭდილია ას ათი ზღაპარი.

წიგნს დართულ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ქართული მრავალსაუკუნოვანი ზეპირსიტყვიერების სისტემატური გამოცემა დღემდე არ მოგვეპოვება. აქამდე გამოქვეყნებულ კრებულებს უმთავრესად ენოგრაფიული პრინციპი ეღო საფუძვლად. ამგვარ გამოცემებს გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ფართოდ არის ცნობილი კრებულები, რომლებშიც მოთავსებულია ფშაური, ხევსურული, მთიულური, მოხეური, თუშური, ქართლული, კახური, მესხური, გურული, აჭარული, ლეჩხუმური, რაჭული და საქართველოს სხვა კუთხეთა სიტყვიერების მარგალიტები. ასეთი გამოცემები საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ აუცილებელია მთლიანი ეროვნული ხალხური საუნჯის მრავალტომიანი გამოცემაც, სადაც მოთავსებული იქნება ხალხური სიტყვიერების ყველაზე საუკეთესო, კლასიკური ნიმუშები. ამგვარ ცდას წარმოადგენს ხალხური სიტყვიერების ხუთტომიანი ბიბლიოთეკა — „ხალხური სიბრძნე“. რომელსაც „ნაკადული“ გამოსცემს“.

ამგვარი ცდა უეჭველად მისაღმების ღირსია. „ხალხური სიბრძნის“ პირველ ტომს მადლიერების გრძნობით აიღებს ხელში ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ხალხური შემოქმედება.

მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული ცნობების მოსაწოდებლად და მხოლოდ მადლიერების გრძნობის გამოსათქმელად არ შევდგომივარ ამ წერილის წერას. ჩემი მიზანია მკითხველს გაეუზიარო შენიშვნები, რომლებიც აღმეძრა ხანებულები ტომის გაცნობის შედეგად. ეს შენიშვნები ეხება წარმოდგენილი მასალის ტექსტს და არა შინაარსს (სათანადო სპეციალისტებმა უნდა განსაჯონ — რამდენად

ამართლებს ამ ტომში მოთავსებული მასალა წინასიტყვაში დადგენილ ფორმულას: „ხალხური სიტყვიერების ყველაზე საუკეთესო, კლასიკური ნიმუშები“. მათვე უნდა შეაფასონ მასალის განლაგების ავკარგიანობა).

სიმართლე უნდა ითქვას: ყველაზე ნაკლებად ამგვარი შენიშვნების აღძვრას ველოდი, როცა წიგნის კითხვა დავიწყე. „ნაკადულმა“ შეგვაჩვია იმ აზრს, რომ მისი გამოცემები ყოველმხრივ უზადოა და ღახვეწილი მეტწილად.

დასანანი, რომ აპქერად მოლოდინი არ გამართლდა.



დავიწყეთ უმარტივესით.

ზღაპრის მთქმელი, პროფესიონალი მწერლისაგან განსხვავებით. ვერასოდეს განსაზღვრავს, თუ როგორი სახე უნდა მიიღოს მისმა მონათხრობმა დაბეჭდვის შემდეგ — სად რომელი სასვენი ნიშანი უნდა დაისვას, ახალი აზრი თუ შინაარსი სად უნდა გამოიყოს — აბზაცი სად უნდა გაკეთდეს. ეს ყოველივე ჩამწერის, უპირატესად კი გამომცემლის ფუნქციებში შედის; მისი მოვალეობაა ცთელი ტექსტი (ჩვენს შემთხვევაში — ყველა ზღაპრის ტექსტი) რაღაც ერთ პრინციპს დაუმორჩილოს, ამის მიხედვით გამართოს და მხოლოდ შემდეგ წარუდგინოს მკითხველს.

ამ თვალსაზრისით „ხალხური სიბრძნის“ პირველ ტომში ყველაფერი რიგზე ვერაა. არც კი გინდა, რომ თვალს დაუჯერო. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ ტომში აღინუსხებოდა ორას ორმოცდაათზე მეტი შემთხვევა, როდესაც დარღვეულია სასვენი ნიშნების (უპირატესად მძიმეებისა და წერტილების) ხმარების წესი — სათანადო აღგილას ან აკლია, ან ზედმეტია, ან კიდევ ადგილშესანაცვლებელია.

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ წიგნს ათი-თორმეტი წლის ასაკამდე ჩაუჯდებიან ქართველი ბავშვები საკითხავად.

სასვენ ნიშანთა გარდა არც აბზაცების გამოყენების პრაქტიკა და აკმაყოფილებს ამ წიგნის უასაკოსა თუ ასაკოვან მკითხველს. ერთადერთი ზღაპარი, რომელიც ამ თვალსაზრისით თითქმის შეუმცდარადაა დაბეჭდილი, არის „წიქარა“ (ამ ბედნიერი გამონაკლისის ასახსნელად უნდა მიმართოთ ტომისთვის დართულ შენიშვნებს, სადაც წერია: „წიქარა, დამუშავებული ქეთევან ნადირაძის მიერ, „ნაკადულის“ გამოცემა, 1962 წ.“). დანარჩენ ზღაპრებში აბზაცების განლაგება თითქმის არავითარ წესს არ ემორჩილება, უმეტესად შემთხვევითი ხასიათისაა. რით შეიძლება, მაგალითად, გავამართლოთ, რომ ერთ შემთხვევაში უვრცესი დიალოგი დაბეჭდილია გაბმულ ტექსტად, უაბზაცოდ (აქ, როგორც წესი, სადმე ტირე გამორჩევა ხოლმე და აირევა მონასტერი, მკი-

ახველი ველარაფერს გებულობს — რომელი პერსონაჟი რას ამბობს მან რემარკები სადაა), ხოლო მეორე შემთხვევაში მსგავსივე დიალოგიდან ერთ-ერთი მოსაუბრის ფრაზა რატომღაც საგულდაგულოდ აბზაყით გამოიყოფა!

ამასთან, დიალოგის გარდა, ჩვეულებრივი წინადადებებიც ხომ იწყება ხოლმე აბზაყით. გადავშალოთ ტომი ნებისმიერ გვერდზე და ვცადოთ გარკვევა: რა ნიშნის, რა პრინციპის მიხედვით იწყება აბზაყით ესა თუ ის ადგილი და არა რომელიმე სხვა? საეჭვოა, რომ რაიმე პრინციპს მივაკვლიოთ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, დავუმატებ: ეს არაა პირველი შემთხვევა. ჩვენი ზღაპრების თითქმის ყველა გამოცემა დახუთულია ამ უაბზაყობით, რაც ძალზე აძნელებს ტექსტის აღქმას (მით უფრო — უმცროსი ასაკის მკითხველთათვის). მაგრამ სხვა გამოცემებმა იქნებ არც მოეთხოვოთ იმდენი, რამდენიც ამ უკანასკნელს. ამ გამოცემაში აბზაყებით უნდა გამართულიყო თუნდაც მხოლოდ დიალოგები, სხვა მრავალი ადგილის გამო რომ აღარაფერი ითქვას. უკიდურეს შემთხვევაში, თუ წიგნის მოცულობა ან ქალაქის ფონდი ვერ გაუძლებდა ამას, აჯობებდა ერთი-ორი ზღაპარი სულაც გაგვეწირა, ოღონდ კი ტექსტი ნორმალური საკითხავი ყოფილიყო.

ახლა უშუალოდ ტექსტის თაობაზე.

უწინარეს ყოვლისა, შევთანხმდეთ ერთი საკითხის გამო: რაკი „ზალხური სიბრძნის“ სახით საქმე გვაქვს მასობრივი მკითხველისთვის გამიზნულ (და არა ვიწრო მეცნიერულ) გამოცემასთან, უნდა იგულისხმებოდეს, რომ ამ გამოცემის ტექსტი დასაბეჭდად მომზადების პროცესში მაქსიმალურად დაიხვეწება, რაღაც ერთი პრინციპის მიხედვით გაიმართება და უნიფიცირებული სახით წარდგება მკითხველის წინაშე. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ზღაპრებს და არა, ვთქვათ, პოეზიას. ზღაპართა ტექსტის დასაბეჭდად მომზადების პროცესში დახვეწილი გემოვნებისა და მახვილი სმენის მქონე რედაქტორის აქტიური ჩარევა საქმეს დიდად წაადგება. საამისო მაგალითები ცნობილია.

წიგნის დართული წინასიტყვაო გვიმოწმებს: „წინააღმებარე გამოცემა არაა ვიწრო დანიშნულებისა. პირველ ყოვლისა, ჩვენ სხვადასხვა ასაკის მასობრივი მკითხველი გვეყავს მხედველობაში, რომელიც დაინტერესებულია ეროვნული ხალხური შემოქმედების გაცნობითა და შესწავლით. ამის გამო ტექსტი განტვირთულია მეტისმეტი კუთხური თავისებურებებისა და ბარბაროზებისაგან. ალაგ-ალაგ შესწორებულია სტილისტური აღრევებიც“.

მაგრამ ხომ არ აჯობებდა ტექსტი განტვირთულიყო არა მხოლოდ მეტისმეტი კუთხური თავისებურებებისაგან, არამედ ისეთი ფორმებისგანაც, რომელთა შენარჩუნება არავითარ აუცილებლობას არ წარმოაუ-

გენს? მით უმეტეს, რომ ხალხური მეტყველების სპეციფიკა ტექსტში მშვენიერადაა დაკული სიტყვათა წყობით წინადადებაში, აგრეთვე ემფატიკური ა-ს და სხვათა სიტყვის ო-ს ხშირი ხმარებით? ამასთან, ასეთი სპეციფიკური დიალექტური ფორმები არც ისე ბევრია; დაბოლოს, რაც მთავარია: თითქმის ყველა დიალექტურ ფორმას წიგნში მოექმბნება პარალელი წმინდა სალიტერატურო ფორმის სახით. ასე, თუ გვხვდება კუთხური „მაიტანეთ“ (გვ. 486), მას უპირისპირდება სალიტერატურო „მოიტანეს“ (გვ. 151); გვხვდება კუთხური „აქნობამდე“ (152) და „აქამდინ“ (26) და მათ უპირისპირდება სალიტერატურო „აქამდის“ (199); ასევე — კუთხური „კარგა“ (107) და სალიტერატურო „კარგად“ (37); კუთხური „უთხარი“ (105, 145) და სალიტერატურო „უთხარი“ (38), „სამივ“ (93) და „სამივე“ (56), „დგა“ (104) და „დგას“ (235), „მეავე“ (36) და „მეავეს“ (17), „ხეთის“ (210) და „ღვთის“ (212), „ვიყავ“ (44, 107, 111, 143, 238, 248) და „ვიყავი“ (181, 195, 218), „რო“ (65, 89, 142...) და „რომ“ (66, 89...), „ნეტავი შენ“ (174) და „ნეტავი შენ“ (173), „ესეა, ესეა ჩემი საქმე“ (77) და „ასეა, ასეა ჩემი საქმე“ (76, 82), „შემინახე-ვით“ (66), და „შემინახეთ“ (66), „შემიძლიან“ (62) და „შემიძლია“ (62) და ზოგიერთი სხვა.

რაღა გამართლება აქვს ამგვარი კუთხური ფორმების დატოვებას? მე მგონია, რომ არავითარი.

შეუწყნარებლად მიმაჩნია, რომ წიგნში მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ობიექტური ნიშნების (ჰ, ს) ხმარება არავითარ წესს არ ემორჩილება. ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ზმნა არ მოითხოვს ამგვარ პირის ნიშანს და მაინც ნახმარია. მაგალითად, „შესძლო“ (55, 203), „მოჰკლა“ (92, 134), „დაჰკარგა“ (99), „გადაჰკოცნა“ (99), „გადასწყვიტა“ (237), „დასტოვა“ (239), „მოსწყვიტა“ (241), „გასძლებს“ (265), „ჩასწყვეს“ (221)... სხვა შემთხვევებში პირის ნიშანი უექველად საქიროა, მაგრამ არსად ჩანს: „წვდა“ (39), „შეყვა“ (143), „ყავდა“ (159), „წაყვა“ (222, 280), „ყავს“ (284), „მოჰკრიდნენ“ (სამპირიანია. 224), „მოყვენენ“ (224), „დაძინებოდა“ (235), „ჯობიხარ“ (287) და სხვა. ამასთან, გვხვდება უამრავი პარალელური ფორმა: „თქვა“ (88, 110, 119, 125, 153, 162, 170, 188, 189, 209, 224, 233, 236, 243, 260...) და „სთქვა“ (11, 17, 73, 86, 89, 90, 99, 100, 107, 119, 126, 134...), „მოკლა“ (57) და „მოჰკლა“ (134), „მოკლეს“ (138) და „მოჰკლეს“ (57), „ყვაოდეს“ (74) და „ჰყვაოდეს“ (62), „მოჰკრეს“ (70) და „მოჰკრა“ (44), „ჰკონდა“ (78) და „ჰკონდა“ (78), „დაძრა“ (83) და „დასძრა“ (83), „ჰამს“ (233) და „სჰამს“ (145), „ჰამეს“ (133) და „სჰამეს“ (86), „ჰენი“ (96, 204, 266...) და „ჰქენი“ (103, 227), „ყავდა“ (159) და „ჰყავდა“ (150) და მრავალი სხვა.

პირის ნიშანთა ხმარების წესი ისედაც წამდაუწუმ ირღვევა ქარ-

თულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში. არ აჯობებდა ამ ნიშნების სტიქიურად ხმარებაზე უარის თქმა და ტექსტის გამართვა ერთი წესის მიხედვით, რომ მკითხველს ამ თვალსაზრისით თავსატეხი არ მომატებოდა?

ტექსტი ბოლომდე არაა გამართული გრამატიკის ნორმების თანახმად. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნში აღარ უნდა დარჩენილიყო ამგვარი წინადადებები: „ყველა იმასთან ცხოვრობდნენ“ (221), „სამი ქალი სამმა ძმამ ცოლებად შეირთეს“ (224), „ხელად ეს სახლი --- ქალიც შიგ არის, ეს კაციც, გაჩნდნენ იმ ალაგზე“ (229), „თვითეული მათგანი ერთმანეთზე თითო წლით იყვნენ უფროსი“ (243).

არც ამგვარი პარალელური ფორმები უნდა დარჩენილიყო ერთიმეორის გვერდით: ერთი მხრივ — „ჩემს სასიძოს“ (62), „ჩემს სახლამდე“ (74), „ჩემს შვილს“ (105, 226), „ჩემს ქალს“ (109, 234), „ჩემს თვალწინ“ (109), „ჩემს მიზანს“ (250) და მეორე მხრივ — „ჩემ კაცს“ (85), „ჩემ ბოლქას“ (215), „ჩემ გულში“ (215), „ჩემ ცოლს“ (109), „ჩემ წინ“ (109), „ჩემ შვილს“ (170).

შემდეგ: „ჩვენს კაცს“ (86), „ჩვენს ბაღში (152) და „ჩვენ ბიქს“ (265); „შენს ცხვარს“ (143), „შენს შვილს“ (227), „შენს საკმელს“ (233) და „შენ შვილს“ (159). „შენ ტანსაცმელს“ (184), „შენ ხელმანდილში“ (265); „ერთს ქალაქში“ (232) და „ერთ დერეფანში“ (232).

შემდეგ: „არს“ (84) და „არის“ (84); „ცხრა მთის იქით“ (234) და „ცხრა მთას იქით“ (272); „კოლნისმა“ (268) და „კოლიძმა“ (268).

მართლწერას მეტი ყურადღება რომ მიქცეოდა, ერთ შემთხვევაში არ დაიბეჭდებოდა „თუკი“ (315), ხოლო მეორეში — „თუ კი“ (68), „ერთი-მეორეს“ (270) და „ერთი მეორეს“ (222), „რათ“ (68, 241...) და „რად“ (200, 236...); „თავის თავს“ (31), „თავის თავზე“ (66). „თავის თავის“ (132, 250), აგრეთვე „კარის კაცები“ (162), „ერთი ერთმანეთს“ (216) ორ-ორ სიტყვად კი არ გაიყოფოდა, შერწყმულად წარმოადგებოდა მკითხველის წინაშე; „სანადიროთ“ (66), „უტბათ“ (116), „ტყუილათ“ (77), „მთლათ“ (76), „წასაყვანათ“ (232) — დონით დაბოლოვდებოდა, ისევე როგორც „სათითაოდ“ (115), „ანდერძად“ (115), „რძლად“ (232), „აეად“ (232) და სხვა მრავალი...

„ალაგ-ალაგ შესწორებულია სტილისტური აღრევებიც“, — გვაქცნობს წიგნის წინასიტყვა. მაგრამ რატომ ალაგ-ლაგ და არა ყველაგან? ამ საკითხს გულდასმით უნდა გააზრება.

საქმე ის არის, რომ უკანააქნელი ათეულა წლებს მანძილზე ხალხის მეტყველება სალიტერატურო ენის ერთობ მძლავრ გავლენას განიცდის. ეს ბუნებრივი პროცესია და ამის წინააღმდეგ არაიქნა არაფერი ეთქმის. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ თავად ის, რასაც სალიტერა-

ტურო ენას უწოდებენ (ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, რადიოს, კინოს, თეატრის ენა), არცთუ იშვიათად ძალზე სკოდავს ქართულის თვალსაზრისით. ინდოევროპული ენების გავლენის შედეგად ჩვენი ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, რადიოს, კინოს, თეატრის მეტყველება ხშირ შემთხვევაში შეუწყნარებლად შერყვნილია ხოლმე. აქედან კი ხალხის მეტყველებაშიც ინერგება ყოვლად უგვანი ფორმები, კონსტრუქციები და გამოთქმები, და სულაც არაა აუცილებელი, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გამოქვეყნებისას მსგავს შერყვნილ მეტყველებას პასიურად მოვეყიდოთ, წინ არ აღუდგეთ და არ გავასწოროთ. მით უმეტეს, როდესაც ხელთ გვაქვს შესანიშნავი ეტალონი — ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა უფრო აღრინდელი ჩანაწერები (მეცხრაშეტე საუკუნის და მეოცის დამდეგისა, იმდროინდელი, როდესაც ხალხის მეტყველება თითქმის აბსოლუტურად დაზღვეული იყო ხსენებული არასასურველი გავლენებისაგან).

ერთ-ერთი პირველი ნიშანი ინდოევროპული ენების არასასურველი გავლენისა გახლავთ ნაცვალსახელთა მოქარბება წინადადებაში. ჩვენს კალმონის ხშირად ავიწყდებათ ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სხვათა სიტყვის ო-ს ფუნქცია და წინადადებას უცხოური კონსტრუქციების მიხედვით აგებენ. ვღებულობთ ამგვარ ფრაზებს: „მან უთხრა მას, რომ იგი მივიდეს მასთან და გააკეთოს მისთვის ის საქმე“. ან კიდევ: „განა მას შეეძლო ეფიქრა, რომ ამ წუთში მან გადადგა პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელმაც იგი დალუპვამდე მიიყვანა?“

და თუ ამგვარ რასმე ვერ შევიწყნარებთ ლიტერატურულ ნაწარნოებში, მით უფრო მოუთმენელია, რომ მსგავსი ფრაზები ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ამკობდეს. ვისაც ქართული ზღაპრების ხმოვანება ახსოვს, დამეთანხმება, რომ მათთვის უცხოდ უნდა მივიჩნიოთ ქვემოთ მოტანილი ფრაზები:

„შე შენ ძლიერ მომწონხარ, მაგრამ მამაჩემი ჩემს თავს შენ არ მოგათხოვებს“ (გვ. 471). „ჩველი ხარ, ხომ იცა, სადლა გაგასწრებ მე შენ“ (გვ. 273). „იმას უყვარს ტყის კაცი. ახლა იგი მასთან დროს ატარებსო“ (გვ. 318). „ყოველდღე აქ მოფრინდებოდა სამი ფრინველი, ისინი ძალიან ლამაზები იყვნენ“ (გვ. 327). „მშვენიერმა ბიჭმა ჩაიარა, ის პირველად დაბრუნდა, მაგრამ მეორედ ველარაო“ (გვ. 334). „აქ ერთი ბიჭი არის, მან დარიაჩანგის ბალი მოიტანა“ (გვ. 334). „იყო ერთი ცოლქმარი. ისინი მეტად ღარიბად ცხოვრობდნენ“ (გვ. 340). გზაში მას სსხვა მონადირეები შეხვდნენ, ისინი დასცინოდნენ, ვერაფერი მოჰკალიო“ (გვ. 344). „სალამოზე რომ მოვიდეს დევი, შენ დაჯექი, იტირე ისე, რომ მან გაიგონოსო“ (გვ. 356). „არის ერთი ირემი, მას სამასი კაცი ყოველდღე ბალანს უთიბავს“ (გვ. 356). „იყო ერთი ცოლქმარი. მათ ბევრი შვილი ჰყავდათ“ (გვ. 359). „ამ კაცს გზაში ერთი მონადირე შეხვდა,

თსინი დაემგზავრნენ ერთმანეთს. წყლის პირას რომ მივიდნენ, მათ
თქვეს“ (გვ. 360). „აი, ეს ჩრდილოეთის ხელმწიფის შვილია და სურს
შენი ცოლობა. შე უკვე აღუთქვი, რომ უნდა მიგცე მას“ (გვ. 256). „ის
მთელ სახელმწიფოში არავინ უნახავს იმ გოგოებს გარდა, ვინც იმას საქ-
მელს ასამელს უზიდავენ“ (გვ. 470).

ასევე უცხოდ ქლერს ფრაზები, რომლებშიც იგნორირებულია
სხვათა სიტყვის ო-ს ფუნქცია:

„ჭიბხა, თუ რატომ არ მოვიდა ამდენ ხანს ელენე“ (გვ. 266). „ვა-
ქებმა უთხრეს, რომ ის ქალი მათი და იყო“ (გვ. 383). „ბერმა უთხრა მა-
მაჩემს, რომ მას თვალები აეხილებოდა მაშინ, თუ სამოცი პატარა ქალის
და სამოცი პატარა ვაჟის სისხლში იბანავენლა“ (გვ. 423). „შეპირდ-
ნენ ბიჭები, რომ ისინი ბრძოლისათვის არიან დაბადებულნი და არას
ვიდარდებთ და არც შენ დაგაბრალებთო“ (გვ. 423). „ჩიხვა გარეთ დარ-
ჩა და უთხრა, რომ თუ გამოცანა გითხრას, თუ გინდა იცოდე, ნუ უპა-
სუხებ მაშინვე, უთხარა დრო მოგცეს მოფიქრებისა და გამოდი, მე მი-
თხარი რაშია საქმე“ (გვ. 424).

ნუთუ ესაა ივეის ზღაპრების მწყაზარი ქართული? თუ უხეირა
ბთარგმნელის მიერ შეკოწიწებულ წინადადებებს კვითხულობთ? რო-
გორ მოხვდა ზღაპრების წიგნში ამგვარი ამაზრხენი რამ: „ჩიხვა გა-
რეთ დარჩა და უთხრა, რომ თუ გამოცანა გითხრას, თუ გინდა იცოდე,
ნუ უპასუხებ მაშინვე, უთხარი დრო მოგცეს მოფიქრებისა და გამო-
დი, მე მითხარი რაშია საქმე“. ვინ და როდის ჩაწერა ზღაპარი „თერთ-
მეტი ძმა“, რომელშიც ეს წინადადება გვხვდება? ამ კითხვის პასუხს
ვიპოვნით ტომისთვის დართულ შენიშვნებში: „თერთმეტი ძმა. თვით-
ჩამწერი ვ. მრეკლიშვილი, სოფ. იყალთო, 1938 წელი“.

ქვემოთ მოტანილი მაგალითები დაგვიდასტურებს, რომ წიგნად გა-
მოცემის დროს არამტუთ თვითჩამწერის, კვალიფიციური ჩამწერების
მიერ წარმოდგენილი ტექსტიც კი უჩქველად უნდა გადაისინჯოს და
ჩასწორდეს:

„იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაში იყო ნაცარქექია“ (გვ. 78). „სა-
მივეს ნადირობა საშინლად უყვარდა“ (გვ. 107). „ცოლს საშინლად გა-
უხარდა“ (გვ. 182). „იმ ღამეს ისევ ბებერთან გაათია. მეორე დღეს
რომ გათენდა, გამოვიდა გარეთ“ (გვ. 136). „საუბარმა ვერაფერი შედე-
გი მოიტანა“ (გვ. 196). „მეცხვარე შიშმა შეიპყრო, მაგრამ მაინც ცნო-
ბისმოყვარეობა აღძრა“ (გვ. 239). „რაში რომ დაინახავს უშედევოდ
მოქმედებს...“ (გვ. 254). „მას აქვს გარკვეული მიჯნა...“ (გვ. 254). „უნდა
იცადა, რომ ეს ყველაფერი მოეყვანა სისრულეში“ (გვ. 254). „კაცმა
იფიქრა: დიდ უბედურებას წარმოადგენს მისი ოჯახისათვის ამ კამეჩის
მოშორება, მაგრამ რა ქნას...“ (გვ. 315). „რა გინდოდა, რომ იქ არ ყო-
ფილიყო, ჩიტის რძეც კი მოიპოვებოდა“ (გვ. 341). „იქ არ მოიპოვებო-

და ლამაზი მცენარეები“ (გვ. 346). „მთელ სახელმწიფოში მისი მომრევეი არ მოიპოვებოდა“ (გვ. 453). „იგი არასოდეს ნაღირობიდან ხელცარიელი არ დაბრუნებულა“ (გვ. 348). „მე ვცხოვრობდი ერთ სოფელში და საკმაოდ გამოჩენილ კაცად ვითვლებოდი“ (გვ. 349). „ახლობელი ნათესავი ხელმწიფის შვილი აღმოჩნდა“ (გვ. 353). „აქ ქეიფობდნენ ყოველდღიურად დედა-შვილი“ (გვ. 365). „ქალი ყოველდღიურად ადიოდა“... (გვ. 379). „ამ რამდენიმე ასეული წლის წინათ იყო ერთი მეფე“ (გვ. 420) „ლარიბი ჭკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ მეფე კარგს არ დააყრიდა უარის თქმისათვის და ამიტომ თავისი შვილებით გაიხიზნა ერთ უღაბურ ტყეში და იქ გაიკეთა საფარი. მეფემ დაადევნა ვეზირები და ჯარი, მაგრამ, მათ აღრევე ჰქონდათ სიმაგრე გაკეთებული და შვილებიც კარგი მეომრები ჰყავდა, მეფის ჯარმა ვერაფერი დააკლო და უკან დაბრუნდა“ (გვ. 420. დაუკვირლით წინადადებათა სიგრძეს და დახვანჯულ აგებულებას). „ისიც კი გაიფიქრა, რომ შეიძლება ვერც კი მოასწროს საფეხურების მოთხრა და იქნება მალე მოკვდეს, მაგრამ იმედს არ ჰკარგავს და მუშაობს შეუსვენებლივ, თავგამოდებით, დღედაღამე მუშაობს, იმიტომ, რომ ამოვიდეს და გაათავისუფლოს მამა და ძმები“ (გვ. 422). „სიამოვნებით ვღებულობ მაგ წინადადებას, გაყავი როგორც შენ გინდაო“ (გვ. 427). „შეაერთეს ეს სახელმწიფო და აშენებენ საამურსა და ბედნიერ ცხოვრებას“ (გვ. 428).

ქართული ენისთვის (მით უფრო — ხალხური მეტყველებისთვის) უცხოა ამგვარი ფორმები: „ვიც არ უნდა გითხრას“ (გვ. 71), „რაც არ უნდა დავაელო“ (გვ. 74), „რაც არ უნდა დაარტყან“ (გვ. 367), ისევე როგორც ორმაგი უარყოფა: „იმ ღამეს არავინ არ მოსულა“ (გვ. 73), „ვერაფერს ვერ იგებენ“ (გვ. 198), „არაფერი არ იცოდნენ“ (გვ. 177).

წიგნში განმარტებულია რამდენიმე კუთხური, ძნელად გასაგები ან სპეციფიკური მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა: „ქასური“, „მოისამთა“, „ჯიმაღურელი“, „ტარიელები“. ასევე უნდა განმარტებულიყო სიტყვები: „გაზივთა“ (გვ. 218), „ჩანჩხერელა“ (გვ. 218), „შემოისოსნა“ (გვ. 218), „გახვანებული“ (გვ. 221), „თვალხმეირად“ (გვ. 348) და „გელიგეშად“ (გვ. 409).

როგორც მსგავს შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, ზემოთ გამოთქმული შენიშვნები არ ამცირებს წიგნის ღირსებას.

მაგრამ, თუკი „ხალხური სიბრძნის“ ხუთტომეულის სარედაქციო კოლეგია ამ შენიშვნებს შესაწყენარებლად მიიჩნევს, მომდევნო ტომებზე მუშაობისას აუცილებელი იქნება მათი გათვალისწინება.

ქანუხის ქანუხი

„ლიტერატურული საქართველოს“ 20 მარტის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „ტექსტის დასახვეწად და გასამართავად“, რომელშიც გამოთქმული იყო შენიშვნები „ხალხური სიბრძნის“ პირველ ტომში მოთავსებული ზღაპრების ტექსტის ირგვლივ. „ხალხური სიბრძნის“ სარედაქციო კოლეგია უმალ გამოეხმაურა ამ შენიშვნებს და გაზეთის მომდევნო ნომერშივე გამოაქვეყნა საპასუხო წერილი („ხალხური ტექსტების გამოცემისათვის“).

ამგვარი ფიცხელი რეაქცია ორ რამეს მეტყველებს: ჯერ ერთი, სარედაქციო კოლეგია გულდასმით არ გასცნობია ჩემს რეცენზიას, მკაცრად არ განუსაზღვრავს — გამოთქმულ შენიშვნათაგან რომელია უწყველად მისაღები და რომელი — არა, დეტალურად არ უმსჯელია იმის თაობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანნი არიან ჩემს მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი და შეცოდებანი; მეორეც, სარედაქციო კოლეგიას საკუთარი პრესტიჟის დაცვა უფრო მნიშვნელოვან ამბავს მიუჩნევია, ვიდრე საკითხის ბოლომდე გარკვევა, „ხალხური სიბრძნის“ მომდევნო ტომების დახვეწისა და უზადობისათვის ზრუნვა.

ჩემს მიერ გამოთქმული შენიშვნებიდან „ხალხური სიბრძნის“ სარედაქციო კოლეგიამ ხუთი გაიზიარა, ხოლო სამი შენიშვნა უარყო.

მაგრამ გაზიარებაცაა და გაზიარებაც. მართებულად მიჩნეული შენიშვნები ისე მოხერხებულადაა მიჩქმალული, ხოლო უარყოფილთა გარშემო ისეთი აურ-ზაურია ატეხილი, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ ჩემი წერილი რაღაც გაუგებრობას თუ წვრილმან ჩხირკედლობას წარმოადგენს და რომ მთელი ჩემი მეცადინეობა იქითკენ იყო მიმართული, როგორმე გადამეცდინა სწორი გზიდან „ხალხური სიბრძნის“ სარედაქციო კოლეგია.

არც წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით გამოთქმულ ჩემს მისაღმებლასა და მადლიერების სიტყვებს გაუწიეს ანგარიში, არც თავაზიან ტონსა და უაღრესი მოკრძალებით გამოთქმულ კეთილ სურვილებს. ყოველსავე ავას დაუპირისპირეს სრულიად უაღვილო გულისწყრომა.



ახლა მივმართოთ იმ შენიშვნებს, რომლებიც სარედაქციო კოლეგიამ არ გაიზიარა. მოგაგონებთ, რომ ეს შენიშვნები შეეხება: 1. გრამა-

ტიკულად გაუმართავ წინადადებებს. 2. ნაცვალსახელთა მოქარბებულად ხმარებას და, საერთოდ, შეუწყნარებელ სტილისტურ ლაპსუსებს. 3. დიალექტურ ფორმებს.

მაგრამ ვიდრე საკუთრივ შენიშვნების თაობაზე ვიტყვოდეთ რამეს, უეჭველად უნდა დავახუსტოთ ორი საკითხი: 1. ვისთვის გამოიცა „ხალხური სიბრძნე“, როგორი მკითხველი ჰყავდათ მხედველობაში გამოცემლებს. 2. როგორ უნდა დადგინდეს ზღაპრების ტექსტი ამა თუ იმ მკითხველისათვის გამიზნულ გამოცემაში.

სარედაქციო კოლეგიის პასუხში ვკითხულობთ: „ხალხური სიბრძნის“ მკითხველს პროფილი თავიდანვე გარკვეული გვექონდა. ეს სერია, გამოცემლობის წინასიტყვაობის თანახმად, განკუთვნილია იმათთვის, ვისაც მიეძღვნა ქართული კლასიკური მწერლობის ოცტომიანი ბიბლიოთეკა (იგულისხმება „ჩვენი საუნჯე“.—რ. თ.) და რჩეული საბავშვო ნაწარმოებების ორტომეული (იგულისხმება „პატარა საუნჯე“.—რ. თ.). სამივე ამ ბიბლიოთეკის მკითხველი შეგნებულ პიროვნებაა, გაცნობიერებული და მოზრდილი ადამიანი...“

ხოლო ვისთვისაა განკუთვნილი „ჩვენი საუნჯე“ და „პატარა საუნჯე“? „ჩვენი საუნჯე“ განკუთვნილი ყოფილა ახალგაზრდობისათვის, ხოლო „პატარა საუნჯე“ — უმცროსი და საშუალო ასაკის მოზარდთათვის (იხილეთ „პატარა საუნჯის“ წინასიტყვა).

რა გამოდის? 1. „ხალხური სიბრძნე“ განკუთვნილია იმათთვის, ვისაც მიეძღვნა „ჩვენი საუნჯე“ და „პატარა საუნჯე“. 2. „სამივე ამ ბიბლიოთეკის მკითხველი შეგნებულ პიროვნებაა, გაცნობიერებული და მოზრდილი ადამიანი“. 3. „პატარა საუნჯე“ განკუთვნილია უმცროსი და საშუალო ასაკის მოზარდთათვის.

ამავე დროს კი წიგნის წინასიტყვა გვამცნობდა: „წინამდებარე გამოცემა არაა ვიწრო დანიშნულებისა. პირველ ყოვლისა, ჩვენ სხვადასხვა ასაკის მასობრივი მკითხველი გვეყავს მხედველობაში, რომელიც დაინტერესებულია ეროვნული ხალხური შემოქმედების გაცნობითა და შესწავლით“.

როგორც ვხედავთ, არაფერიც არ ჰქონიათ „თავიდანვე გარკვეული“.

რატომ ცდილობენ ასე თავგამოდებით პასუხის ავტორები დაგვარწმუნონ, რომ „ხალხური სიბრძნის“ მკითხველი მაინცადამაინც „შეგნებულ პიროვნებაა, გაცნობიერებული და მოზრდილი ადამიანი?“ იმიტომ, რომ დაგვიმტკიცონ: ზღაპრების ტექსტის ჩაწორება არასაგზიო არ შეიძლება, ხელუხლებელი უნდა დარჩეს, როგორც არის, ზუსტად ისე უნდა გამოიცესო.

ძალიან კარგი. დავეთანხმეთ ავტორებს და წავიკითხოთ მათი წერილის ბოლო სტრიქონები:

„ჩვენი უმთავრესი ნაკლი ის კი არაა, რომ ფიქსირებული ფორმე-
ში შევინარჩუნეთ, არამედ ის დათმობა, რაც წინასიტყვაობაშიც არის
აღნიშნული. ჩვენ, წაკითხვისა და მხატვრული აღქმის გასაადვილებ-
ლად, მართლაც განეტვირთეთ ტექსტი მეტისმეტი კუთხური თავისებუ-
რებებისა და ბარბარიზმებისაგან. ეს საჭიროდ ვცანით, მაგრამ აქედან
ისეთი დასკვნა არ უნდა გამოეთანა რეცენზენტს, თითქოს ყველაფრის
გასწორება იყოს შესაძლებელი და მიზანშეწონილი“.

იშვიათი ულოგიკობაა. თუკი საჭიროდ სცანით „ტექსტის განტ-
ვირთვა მეტისმეტი კუთხური თავისებურებებისა და ბარბარიზმები-
საგან“, თქვენსავე უმთავრეს ნაკლად როგორღა მიგაჩნით ეს ამბავი?
სარედაქციო კოლეგიასაც თქვენ წარმოადგენთ და ტექსტიც თქვენს
ხელთ იყო. რატომ „განტვირთეთ, რაღად სცანით საჭიროდ, თუკი წოგ-
ნის გამოსვლის შემდეგ ამას ნაკლად მიიჩნევდით და თავში საცემი შე-
გუქნებოდით? ვინ გაიძულათ რაღაცის „დათმობა“?

ესეც არ იყოს, რით უნდა აიხსნას სარედაქციო კოლეგიის წუხი-
ლი იმის გამო, რომ მეტისმეტი კუთხური თავისებურებებისა და ბარ-
ბარიზმების თავიდან აცილების შედეგად ტექსტი უფრო ადვილად წა-
საკითხი და მხატვრულად უფრო ადვილად აღსაქმელი შეიქნა? ძნე-
ლად წასაკითხი და ძნელად აღსაქმელი ტექსტი სჯობდა?

როგორც ხედავთ, სარედაქციო კოლეგიას ვერც მკითხველის პრო-
ფილი განუსაზღვრავს და ვერც ტექსტის გამოცემის პრინციპი შეუ-
ბუშავებია.

ამ საკითხში მეტი სინათლის შესატანად დროებით დავეხსნათ
„ხალხურ სიბრძნესაც“ და სარედაქციო კოლეგიის საპასუხო წერილ-
საც. მივმართოთ წიგნს, — „რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“,
რომელიც გამოცემულია 1958 წელს ელენე ვირსალაძის რედაქციით,
შესავალი წერილით და შენიშვნებით. „ხალხური სიბრძნისაგან“ განსხ-
ვავებით, ამ წიგნის წინასიტყვაობაში ზუსტადაა განსაზღვრული ის
პიზნები, რომლებსაც შეიძლება ისახავდეს ხალხური ტექსტის ესა თუ
ის გამოცემა, აგრეთვე პრინციპები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვ-
ნელოთ გამოცემის პროფილის შესატყვისად.

„ერთ-ერთი მიზანი, რომელიც შეიძლება ხალხური ტექსტების გა-
მოცემას ჰქონდეს... დიდქტიკურ-აღმწარდგელობითია.

მეორე მიზანი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ხალხური სიტყვიე-
რების დაბეჭდვას — ფართო მასებში ხალხური შემოქმედების საუკე-
თესო ნიმუშთა პოპულარიზაციაა.

ფოლკლორულ ტექსტთა გამოცემის მესამე სახეს წმინდა მეცნიე-
რული დანიშნულება აქვს“.

ამისდა კვალობაზე მკვლევარი განსაზღვრავს ტექსტის დასაბეჭ-
დად მომზადების პრინციპებს.

პირველი ტიპის გამოცემისას საჭიროა ტექსტთა „გაცხრილვა და ზოგჯერ გადამუშავებაც კი როგორც ენის. ისე შინაარსის მხრივ“.

მეორე — პოპულარული ტიპის გამოცემის მომზადებისას საჭიროა შემდეგი სამუშაოს შესრულება: „...შერჩეული ვარიანტი ენის სინქსის თვალსაზრისით ბარბაროზებისა და ვულგაროზებისაგან უნდა გაიციხროს... უნდა განვასხვავოთ გარკვეულ დიალექტზე გამოთქმულ ლექსთა თუგინდ ზღაპართა გამოცემა იმ ფონეტიკურ ტრანსკრიპციით ჩაწერისაგან, რომელსაც აწარმოებენ ფოლკლორისტები თუ ენათმეცნიერები და რომელსაც წმინდა საპეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა აქვს მათთვის. პოპულარულ-მხატვრული გამოცემისათვის ასეთი ენათმეცნიერული სიზუსტით ჩაწერილი ტექსტები ზედმეტიც არის და მხატვრული მთლიანობის თვალსაზრისით — ზოგჯერ დაუშვებელიც. ისინი ხშირად არა კუთხურ, არამედ მთქმელის მეტყველების ინდივიდუალურ თავისებურებებს გადმოგვცემენ (ხაზი ჩემია.— რ. თ.) და ამით ტექსტის პოეტურ ღირებულებას მეტად ამდაბლებენ. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ... ჩაწერისა და დაბეჭდვისას ჩვენ მაინც ხალხურ ძეგლს წერილობით ძეგლად ვაქცევთ, რომელიც, ერთგვარად, ამით ლიტერატურულ ძეგლთა რიცხვში შემოდის და ამათგან ლიტერატურის კანონებს უნდა დაემორჩილოს. თუ ხალხური ლექსის ენაში შეუძლებელია კუთხურ თავისებურებათა წაშლა, პროზაული ტექსტების პოპულარულ გამოცემებში დიალექტიზმები ხელუხლებელი რჩება მხოლოდ პერსონაჟთა ენაში, ზღაპრის ლექსიკასა და სინტაქსში. მთლიანად ზღაპრის თხრობაში ზოგიერთი გრამატიკული ფორმები, განსაკუთრებით ზმნები ლიტერატურული ენის ნორმებს უნდა დაემორჩილოს“.

მესამე ტიპის — მეცნიერული გამოცემა „ტექსტებს ჩაწერისა და გამოქვეყნების მაქსიმალურ სიზუსტეს ითვალისწინებს...“

დავუბრუნდეთ „ხალხურ სიბრძნეს“ და მივუყენოთ მას ზემოთ წარმოვსთქვამი კლასიფიკაცია. როგორი ტიპის გამოცემაა „ხალხური სიბრძნე“? ცხადია, მეორე ტიპისა, პოპულარული, მასობრივი მკითხველისათვის გამიზნული. წინასიტყვაობაშიც ხომ ასე წერია: „წინამდებარე გამოცემა არაა ვიწრო დანიშნულებისა. პირველ ყოვლისა, ჩვენ სხვადასხვა ასაკის მასობრივი მკითხველი იცუყავს მხედველობაში...“ (როგორც დავინახეთ, ეს განსაზღვრა საჩუქრად კოლეგიამ რატომღაც თვითონვე აქცია საკომპანოდ და რაღაც გაუგებარი ფორმულები შემოგვთავაზა).

ზემოთ ნათქვამი იყო, თუ რა სახის სამუშაო უნდა შესრულდეს ამგვარი გამოცემისთვის ტექსტის მომზადებისას ერთ-ერთი აღიარებული, თვალსაჩინო ფოლკლორისტისა და მკვლევარის ელენე ვირსალაძის აზრით.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს წერილში გამოთქმული მოსაზრებები თითქმის საესებით ემთხვევა დიდად პატივცემული მკვლევარის თვალსაზრისს. მე ვწერდი:

„რაკი „ხალხური სიბრძნის“ სახით საქმე გვაქვს მასობრივი მკითხველისათვის გამიზნულ (და არა ვიწრო მეცნიერულ) გამოცემასთან, უნდა იგულისხმებოდეს, რომ ამ გამოცემის ტექსტი დასაბეჭდად მომზადების პროცესში მაქსიმალურად დაიხვეწება, რაღაც ერთი პრინციპის მიხედვით გაიმართება და უნიფიცირებული სახით წარდგება მკითხველის წინაშე. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ზღაპრებს და არა, ვთქვათ, პოეზიას. ზღაპართა ტექსტის დასაბეჭდად მომზადების პროცესში დახვეწილი გემოვნებისა და მახვილი სმენის მქონე რედაქტორის აქტიური ჩარევა საქმეს დიდად წაადგება“.

მე ფოლკლორისტი არ ვახლავართ და ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემდი სპეციალისტებისათვის ხალხური ტექსტების გამოცემის პრინციპთა დახუსტება დაჰეწყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს უფლება არ მქონდა მომეთხოვა, რომ თავად „ხალხური სიბრძნის“ სარედაქციო კოლეგიას მქონოდა რაღაც ერთი პრინციპი. ჩემი წერილიც ხომ იმიტომ დაიწერა, რომ სწორედ ამგვარი პრინციპის უქონლობა შევნიშნე სარედაქციო კოლეგიას.

იმ საში შენიშვნიდან, რომლებიც სარედაქციო კოლეგიამ მიუღებლად მიიჩნია, ორი შეეხება გრამატიკის ნორმების დარღვევას და შეუწყნარებელ სტილისტურ ლაპსუსებს.

მქონდა თუ არა უფლება მომეთხოვა, რომ მასობრივი მკითხველისათვის გამიზნულ (და არა მეცნიერულ) გამოცემაში ტექსტი ბოლომდე გამართულიყო გრამატიკის ნორმების თანახმად და ბოლომდე დახვეწილიყო სტილისტურად? ვფიქრობ, უეჭველად მქონდა. საესებით მართებულად შენიშნავს ელენე ვირსალაძე: „ჩაწერისა და დაბეჭდვისას ჩვენ მაინც ხალხურ ძეგლს წერილობით ძეგლად ვაქცევთ, რომელიც, ერთგვარად, ამით ლიტერატურულ ძეგლთა რიცხვში შემოდის და იმიტომ ლიტერატურის კანონებს უნდა დაემორჩილოს“.

საგულისხმოა, რომ „ხალხური სიბრძნის“ წინასიტყვა გვამცნობს: „ალაგ-ალაგ შესწორებულია სტილისტური აღრევებიც“. აი. აჰან გამოიწვია ჩემი შენიშვნა: რატომ ალაგ-ალაგ დაზარა ყველგან? სადაა პრინციპი?

მაგრამ ჯერ გრამატიკის ნორმების დარღვევის შემთხვევებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. სარედაქციო კოლეგია განმარტავს: კუთხურ-მეტყველების სინტაქსური ნორმების თანახმად, შეცდომად არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდობითში დასაძულ ქვემდებარესთან შემასმენლის შეწყობა აზრის და არა გრამატიკული კანონების მიხედვით; ენობრივი კოლორიტის შენარჩუნების შემთხვევაში ამგვარი დარღვევები

არ უნდა ჩავასწოროთ; მით უმეტეს, ამ ტიპის მაგალითები აღნუს-
ხულიაო არა მხოლოდ ხალხური ტექსტების, არამედ ილია ჭავჭავაძის,
ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის თხზუ-
ლებებში.

ჯერ ერთი, ტექსტი უნდა გამართულიყო დღევანდელი სალიტერა-
ტურო ენის კანონების და არა მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის ნი-
მუშთა მიხედვით. მეცხრამეტე საუკუნეში არც ის მიაჩნდათ აუცილებ-
ლად, რომ მსაზღვრელი საზღვრულს ნაწილობრივ შეთანხმებოდა
ბრუნებაში.

მეორეცაა და, როგორც სარედაქციო კოლეგიაც შენიშნავს, ხუ-
თასგვერდიან წიგნში მოიძებნა სულ ოთხი შემთხვევა, როცა შემასპე-
ნელი ქვემდებარეს რიცხვში არ ითანხმება. დავიჯეროთ, კიდევ არ
იქნებოდა ამგვარი შემთხვევები? დავიჯეროთ, ეს ოთხი შემთხვევა
მართლა „კოლორიტის შენარჩუნების“ მიზნით დატოვეს გაუსწორებ-
ლად და არა უყურადღებობის შედეგად? ან რა ისეთი განუმეორებე-
ლი და შეუღლებელი კოლორიტი მოგვხიბლავს ამ ოთხ წინადადებაში?
გაგახსენებთ: „ყველა იმასთან ცხოვრობდნენ“, „სამი ქალი სამამ
ცოლებად შეირთეს“, „ხელად ეს სახლა — ქალიც შიგ არის, ეს კა-
ციც, გაჩნდნენ იმ ალაგზე“ (ამ წინადადებაში აზროს მიხედვით შეწყო-
ბაზეც ძნელია ლაპარაკი), „თვითული მათგანი ერთმანეთზე თითო
წლით იყვნენ უფროსი“.

ახლა სტილისტური ლაპასუების თაობაზე.

მკითხველს მოვავიწყებ, რომ ამ მხრივ მიმართული შენიშვნები
ყველაზე არსებითია ჩემს წერილში. არც პუნქტუაციის დარღვევა, არც
აბზაცების არასწორად მომარჯვება, არც პირის ნიშანთა უსისტემოდ
ხმარება თუ მართლწერის ნორმების უგულვებელყოფა მოუტანს მკი-
თხველს იმდენ ზიანს, რამდენსაც შერყვნილი სტილი, ქართული ენის
ბუნებისათვის უცხო ან, საერთოდ, მახინჯი კონსტრუქციები, სტილის-
ტური ბარბარისმები და აღრევები. ამიტომ სწორედ ამ სფეროშია,
ჩემი აზრით, აუცილებელი „დახვეწილი გემოვნებისა და მახვილი სმე-
ნის მქონე რედაქტორის აქტიური ჩარევა“.

თავდაპირველად სარედაქციო კოლეგიაც შესაძგომია ამ უაღრე-
სად საპირო საქმეს, შაგრამ ბოლომდე აღარ მიუყვანია და, როგორც
თვითონვე აცხადებს, მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩაუწორებია სტილისტური
აღრევები. ამგვარი მოქმედება მე არასწორად მივიჩნეე ჩემს წერილში:
სტილისტური აღრევები უმეტესად ყველგან უნდა გასწორებულიყო-
მეთქი. საილუსტრაციოდ „ხალხური სიბრძნის“ ტექსტიდან ამოვწერე
სტილისტური აღრევის მრავალი ნიმუში.

ამის საპასუხოდ სარედაქციო კოლეგიამ ჩემს მიერ მოტანილი მა-
გალითების დაცვა დაიწყო, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ

რაოდენ აუცილებელია დახვეწილი გემოვნებისა და ძახვილი სქენის გამო საუბარი. აა, ერთი ნიშნში პასუხის დაწერთა გემოვნებისა:

„გაუგებარია, რატომ დაუფუნოთ იყალთოელ კოლმეურნეს, როცა ასეთ ფრაზას გვაწოდის: „აშენებენ საამურსა და ბედნიერ ცხოვრებას“.

გაუგებარი ის კი არაა, რომ ჭაღოსნური ზღაპრის ტექსტში უადგილოდ მივიჩნით გახელმწიფებული ღარიბი კაცისა და მისი ნათესავენგობრების მიერ საამური და ბედნიერი ცხოვრების აშენება (განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს, როდის შემუშავდა და რომელ ეპოქას უკავშირდება გამოთქმა „საამური და ბედნიერი ცხოვრება“), არც ის, რომ „აშენებენ ცხოვრებას“ ხალხური ზღაპრის ტექსტისთვის შეუფერებელ გამოთქმად გამოვაცხადოთ.

გაუგებრობას ის ქმნის, რომ, მოტანილი სტრიქონების დაწერთა კონცეფციით, მკითხველი ვალდებულია ყოველი ზღაპრის წაკითხვამდე აუცილებლად მიმართოს წიგნს დართულ შენიშვნებს და იქ არკვიოს — კოლმეურნეა თუ ერთპიროვნული გლეხი ამა თუ იმ ზღაპრის მთქმელი ან „თვითჩამწერი“!

იქნებ არც ასეთი ფრაზები უნდა დაუფუნოთ „იყალთოელ კოლმეურნეს“: „ჭიხვა გარეთ დარჩა და უთხრა, რომ თუ გამოცანა გითხრას, თუ გინდა იცოდე, ნუ უპასუხებ მაშინვე, უთხარი დრო მოგცეს მოფიქრებისა და გამოღი, მე მითხარი რაშია საქმე“.

თურქმე არ უნდა დაუფუნოთ. მიზეზი? „საბჭოთა პერიოდის მთქმელები თანამედროვე ადამიანები არიან (!) და ზღაპრულ ამბებს იმ სამეტყველო ნორმებით ფაღმოსცემენ, რაც ყოველდღიურად ესმით“.

კარგად იქნება ჩვენი საქმე, თუ ამგვარი „სამეტყველო ნორმები“ ისმინეს ყოველდღიურად თანამედროვე ადამიანებმა! საბედნიეროდ, ამგვარ „სამეტყველო ნორმებს“ ზაერათო არაფერი აქვს არც ქეშმარიტ ხალხურ მეტყველებასთან და არც ნამდვილ სალიტერატურო ქართულთან. ამგვარი სიმახინჯე მთქმელის თუ დამწერის უილაჯობისა და ენის უცოდინარობის მოწმობად გვევლინება. და, როდესაც მსგავს რამეს წავაწყვლებით ზეპირ თუ წერიტს მეტყველებაში, ჩვენს ხელთ არსებული ყოველგვარი საშუალებით უნდა შევებრძოლოთ მას და არა მფარველობის კალთა გადავაფაროთ საყუთარი პრესტიჟის შეულახავად დაცვის მიზნით.

სარედაქციო კოლეგია მისდევს უცნაურ ლოგიკას: თუ ჩვენ შევნიშნავთ და ჩავასწორებთ სტილისტურ აღრევებს, ეს იქნებაო სიკეთე: ხოლო თუ სხვა მიგვეითითებს ამგვარ აღრევებზე და მათს გასწორებას მოითხოვს. ეს იქნებაო ბოროტება.

რაც შეეხება ჩემს მიერ ეტალონად მიჩნეულ ტექსტებს — ზეპირსიტყვიერების ნიშნუთა აღრინდელ (მეცხრამეტე საუკონისა და მეოცის დამდეგის) ჩანაწერებს — და მათს შეპირისპირებას უკანასკნელი ათეული წლების ჩანაწერებთან, უნდა განვაცხადო შემდეგი: ჩემს წე-

რილში განზრახ არ გავხსენი ფრჩხილები. საქმე ისაა, რომ აღრინდელი ჩანაწერები, როგორც წესი, მწყაზარი ხალხური მეტყველებს, მშვენიერი ქართულის ნიმუშა წარმოადგენს, ამ ტექსტებში, რამდენიმე უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ვერსად ნახავთ სტილისტურ აღრევებს, უცხოურ კონსტრუქციებს, ნაცვალსახელთა მოკარბებას წინადადებაში (აპიტომაჲ ვწერდი: ეს ტექსტები თითქმის აბსოლუტურად დაზღვეულია-მეთქი არასასურველი გავლენებისაგან). ხოლო ჩემს წერილში აღნუსხული სტილისტური ლაშქარების აბსოლუტური უზრავლესობა ამოკრებილია ჩვენი საუკუნის 30—50-იანი წლების ჩანაწერებიდან, რომელთა ნაწილი შესრულებულია საჩუქრად ქოლევგის ზოჯაერთი წევრის მიერ. ორში ერთია: ამ ჩაწერებს ან მთქმელები ვერ შეუტრჩევიან, ან თვითონ ვერ ჩაუწერიათ კარგად. თუ საჭიროებამ მოიტანა, მე უფრო გულდასმით, გამოწვლილვით განვიხილავ ამ საკითხს და კიდევ უფრო ნათლად დავანახებ მკითხველს, რაოდენ სამწუხარო კონსტრასტად ჩანს ზოჯიერთი თანამედროვე ფოლკლორისტის მიერ წარმოდგენილი ტექსტი, მაგალითად, თედო რაზიკაშვილის ჩანაწერებთან შედარებით.

დაბოლოს იმ შენიშვნის შესახებ, რომელმაც საჩუქრად ქოლევგის განსაკუთრებული გულსწყრომა გამოიწვია. ეს შენიშვნა დიალექტური ფორმების გაწარმოების საკითხს შეეხებოდა.

დიალექტურ ფორმათა შენარჩუნების აუცილებლობის დამტკიცებას ეძღვნება პასუხის ორი მესამედი, წერილის მთელი პათოსი აქეთკენაა მიმართული. ვისი ავტორიტეტი გნებავთ, რომ აქ არ იყო მონაწილეობის: ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველასი, იაკობ გოგებაშვილის და თედო რაზიკაშვილისა. ფ. გოგიჩაიშვილის და პ. უმიკაშვილისა, ა. აფანასიევის და პროფ. ვლ. პროპისა.

პასუხის დაწერილი ენერგიულ გამოთქმებს და დამცინავ შეძახილებს არ იშურებენ, თან დაეინებით ერთსა და იმავეს გვიპოვებენ: არა და არა, „დიალექტური ფორმების აღმოფხვრა არაა მართებული ნაბიჯი“, არასგზით არ დაგანებებთო.

კეთილი, მაგრამ ვინ „აღმოფხვრა“ დიალექტური ფორმები „ხალხური სიბრძნის“ ტექსტიდან? მე და თქვენ? თუ იმათ, ვინც ახლა სინანულს მისცემია: ჩვენი უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ ტექსტი „მეტისმეტი კუთხური თავისებურებებისაგან“ განვტვირთეთო?

საოცარია ლწორედ. ჯერ თვითონ „განტვირთეს“ ტექსტი დიალექტური ფორმებისაგან და ახლა თეორიულად გვისაბუთებენ ამ ფორმების დატოვების აუცილებლობას. თანაც ისეთი გულმოღვინებით, რომ დიალექტური ფორმების ტექსტში დატოვების მოწინააღმდეგენი ლამის ხალხის მტრებად გამოაცხადონ.

რაც შეეხება ჩემს წერილს, მე კატეგორიულად არსად მოვი-

თხოვდი დიალექტური ფორმების „აღმოფხვრას“ (მით უმეტეს ტექსტის „ინდივიდუალურად გადამუშავებას“, „სტანდარტიზაციას“ და „მოღურად გამოწყობას“, ეს გამოთქმები სარედაქციო კოლეგიის მიერ შეთხზული გახლავთ). მე მხოლოდ კითხვას ვსვამდი: „ხომ არ აჯობებდა ტექსტი განტვირთულიყო არა მხოლოდ მეტისმეტი კუთხური თავისებურებებისაგან, არამედ ისეთი ფორმებისაგანაც, რომელთა დატოვება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს? მით უმეტეს, რომ ხალხური მეტყველების სპეციფიკა ტექსტში მშვენივრადაა დაცული სიტყვათა წყობით წინადადებაში, აგრეთვე ემფატიკური ა-ს და სხვათა სიტყვის ო-ს ხშირი ხმარებით; ამასთან, ასეთი სპეციფიკური დიალექტური ფორმები არც ისე ბევრია; დაბოლოს, რაც მთავარია: თითქმის ყველა დიალექტურ ფორმას წიგნში მოეძებნება პარალელი წმინდა სალიტერატურო ფორმის სახით“.

ეს იყო და ეს, ამ „ხომ არ აჯობებდათ“ ამოიწურა ჩემი დამოკიდებულება დიალექტური ფორმებისადმი. ამ კითხვას კი მიტომაც ვსვამდი, რომ ტექსტს აშკარად ეტყობა „განტვირთვის“ კვალი და ალაგ-ალაგ ობლად დარჩენილი დიალექტური ფორმები (რომლებიც თითქმის ყველა ჩამოთვლება ხუთაგვერდიან წიგნში) ისე გამოიყურება, როგორც შემთხვევით გადარჩენილი თავთავები დასეტყვილ ყანაში.

პასუხის ავტორნი განმიპარტავენ: „თუ რომელიმე დიალექტურ ფორმას წიგნში ლიტერატურული პარალელი მოეძებნება, მით უმეტეს უნებელია“. ფორმების მთლიანობა მხოლოდ ერთ ტექსტშია აუცილებელი, ხოლო სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე სხვადასხვა დროინდელ ტექსტში მათი არსებობა კანონზომიერია“.

ძალიან კარგი. გადავშალოთ წიგნი 65-ე გვერდზე და წავიკითხოთ ზღაპარი „ლერწმის ქალი“ (თან იმედი ვიქონიოთ, რომ, რაკი საქმე მხოლოდ ერთ ზღაპართან გვაქვს, მის ტექსტს „სხვადასხვა კუთხიდან მომდინარედ და სხვადასხვა დროინდელად“ არ გამოაცხადებენ): „გამარჯობა რო უთხრა, ძლივსა გააგებინა“. ახლა კი წავიკითხოთ შუაგულსი ფრაზა ამავე ზღაპრის ტექსტში, 66-ე გვერდზე: „გამარჯობა რომ უთხრა, ძლივსა გააგებინა“.

ასევე, ვნახოთ 89-ე გვერდი: „...ნახეს, რო აღმური ამოდის ქვეყნელიდან“. გამოვტოვოთ ერთი სტრიქონი და წავიკითხოთ: „შუაზე რომ მიატანა, იყვირა“. შევღებ: „ახეა, ასეა ჩემი საქმეო“ (გვ. 76) და ამავე ზღაპარში: „ესეა, ესეა ჩემი საქმეო“ (გვ. 77). „შემინახევითო“ (გვ. 66) და იქვე, ექვსი სტრიქონის შემდეგ: „შემინახევითო“. „მე სად შემიძლია ამ დავალების შესრულებათ“ (გვ. 62) და იმავე ზღაპარში. იმავე გვერდზე: „მე სად შემიძლიან ამ საქმის გაკეთებათ“. „ნეტავი შენ“ (გვ. 173) და იმავე ზღაპარში. მომღვენო გვერდზე: „ნეტავ შენ“. „ხვთის“ (გვ. 210) და იმავე ზღაპარში: „ღვთიდან“ (გვ. 212).

ცოტათი მაინც რომ დაჰკვირვებოდნენ ჩემს წერილს. აქ მოტანილ ყველა მაგალითს იქვე ნახავდნენ, დარწმუნდებოდნენ, რომ სწორედ ერთსა და იმავე ტექსტებშია დატოვებული პარალელური ფორმები და იქნებ აღარ ჩაეგდოთ თავი ამგვარ არასახარბიელო მდგომარეობაში.

მაგრამ ყველაზე თავშესაქცევი და სასაცილო მაინც სხვა რაჟია: ის მცირეოდენი დიალექტური ფორმები, რომლებიც განტვირთვას გადარჩენია და ახლა აქე საცოდავად, უთვისტომოდაა მიმობნეული ხუთასგვერდიან წიგნში, არც ისეთი ფასდაუდებელი მარგალიტებია, როგორც სარედაქციო კოლეგიას ჰგონია: „მაიტანთ“, „აქნობამდე“, „აქამდინ“, „სამივ“, „დგა“, „მყავ“, „შემინახევით“ და ზოგიერთი სხვა.

აი, ამათ დაცვას (ისიც უფრო საკუთარი, ვიდრე ჩემი მხრივ ხელყოფისაგან!) მიეძღვნა არსებითად მოპასუხეთა წერილის დიდი ნაწილი.



შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული.

სარედაქციო კოლეგიამ, მართალია, უნდომლად, მიჩქმალულად, მაგრამ მაინც აღიარა, რომ ჩემი რვა შენიშვნიდან ხუთი მართებული იყო, გასაზიარებელი. მთელი საპასუხო წერილი დანარჩენი სამი შენიშვნის უარსაყოფად და გასაბათილებლად დაიწერა. და რა გამოიკვია?

სარედაქციო კოლეგიას ხეირიანად გაცნობიერებული და განსაზღვრული არ ჰქონია, თუ ვისთვის იცემა „ხალხური სიბრძნე“, როგორია პროფილი მისი მკითხველებისა.

სარედაქციო კოლეგიას გარკვეული არ ჰქონია ამგვარი გამოცემის ტექსტის დადგენის პრინციპები. ერთი მხრივ, თვითონ განტვირთა ტექსტი კუთხური თავისებურებებისაგან, ჩაასწორა სტილისტური აღრევები, მეორე მხრივ კი, გვიმტკიცებს — ხალხური ტექსტი გაუსწორებლად უნდა გამოიცეს.

სარედაქციო კოლეგიის პასუხის დამწერი იცავენ ისეთ გრამატიკულსა თუ სტილისტურ ლაპსუსებს, აგრეთვე დიალექტურ ფორმებს, რომელთა დაცვა მაინცდამაინც არ უნდა ესახებოდეს დახვეწილი გეპოვნების აღამიანს. ყოველ შემთხვევაში, მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ის, რაც მე შესასწორებლად მივიჩნიე, სულაც არაა (პასუხის დამწერთა გამოთქმას დავესესხები) „...ძარღვიანი გლეხური მეტყველება, რომელიც ესოდენ გვირისტიან და მისაბამ მოვლენად მიჩანდა ილიას“.

სარედაქციო კოლეგიამ არავითარი ანგარიში არ გაუწია იმ ამბავს. რომ ჩემი სტატია მხოლოდ საქმის სასიკეთოდ წარმართვის მიზნით იყო დაწერილი. საკუთარი პრესტიჟის დასაცავად აიჩქარა და ფაქტიურად გაუგებრობაზე აგებული პასუხი შემოგვთავაზა.

ამგვარ პასუხს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიჩნევთ „გვირისტიან“ და მისაბამ მოვლენად“.

კვლევ კატანტისის პრობლემისაკენ

„ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ — ამ სათაურით გამოვიდა ცნობილი შვედურენოვანი და მთარგმნელის აკაკი ურუშაძის წიგნი. ეს არის მართლაც კოლოსალური შრომა შედეგად შექმნილი გამოკვლევა, რომელსაც უნდა გაეცნოს ყველა, ვისაც ოდნავ მაინც აინტერესებს ქართველ ტომთა ეთნოგენეზისის, ოდინდელი სამკვიდრებლისა და კულტურის, საერთოდ, ჩვენი ერის ისტორიის უძველესი პერიოდის საკითხები.

წიგნის პირველ ნაწილში („არგონავტთა თქმულების წერილობითი გადმოცემანი“) აკაკი ურუშაძე მიმოიხილავს ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაწარმოებებს, შეთხზულს არგონავტების თქმულების საფუძველზე. აქ განხილულია ელინური, ელინისტური და ბიზანტიური პერიოდის წყაროები. ამ წყაროთა გულდასმით შესწავლისა და სკრუპულოზური ანალიზის შედეგებით ავტორს გამოუვლენია არგონავტთა თქმულებასთან და, ამდენად, ქართველ ტომთა უძველეს ისტორიასთან დაკავშირებული დიდძალი მასალა. ერთი მაგალითი: ირკვევა, რომ „ოლიადასა“ და „ოდისეაში“ ყოფილა ოცამდე ისეთი ადგილი, რომლებიც მოწმობს ჰომეროსის მიერ არგონავტების თქმულებისა და კოლხური გარემოს კარგად ცოდნას. კერძოდ, „ოლიადაში“ მოხსენიებული ყოფილა პალიძონების (ხალიბების) კოლხური ტომი, „ოდისეაში“ — მედეას ვაჟი მერმეროსი და სხვა.

ამავე ნაწილშია წარმოდგენილი უაღრესად საინტერესო გამოკვლევა „პელასგები და კოლხური ტომები“.

წიგნის მეორე ნაწილში მოთავსებულია საკუთრივ ტექსტები — არგონავტთა თქმულების გადმოცემები ან ამ თქმულებასთან რაიმე მხრივ დაკავშირებული ბერძნული წერილობითი წყაროები (როგორც წინასიტყვა გვაპცნობს, აქ არ შესულა მხოლოდ აპოლონიოს როდესელის „არგონავტიკა“ და ე. წ. ფსევდო-ორფეუსის „არგონავტიკა“. აგრეთვე ლათინური წყაროები, რომლებიც ცალკე გამოიცემა). ტექსტები წარმოდგენილია პარალელურად — ბერძნულ ტექსტს იქვე ახლავს ქართული თარგმანი.

ვისაც წაუკითხავს აკაკი ურუშაძის მიერ თარგმნილი აპოლონიოს როდესელის „არგონავტიკა“ და პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“, დარწმუნდებოდა, როგორი შესანიშნავი მოქართულე ჰყავს

მისი სახით ჩვენს მწერლობას. ეს არის ჭეშმარიტი ესთეტიური სიამოვნების მომგვრელი თარგმანები, რომლებიც კითხვის პროცესში თარგმანად არც კი აღიქმება — შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ორიგინალურ ქართულ თხზულებას ეცნობოდეთ. ეს ამბავი შემთხვევით არ გამიხსენებია: მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ურუშაძის ამ ახალ წიგნში მოთავსებული თარგმანები ბერძნული ტექსტისა მეცნიერული (და არა მხატვრული) დანიშნულებისაა და, ამდენად, უფრო ბჭკარედის პრინციპით უნდა იყოს შესრულებული (მით უმეტეს, რომ ტექსტების ნაწილი თავისი ბუნებით არც განეკუთვნება მხატვრულ ქმნილებებს), ეს თარგმანები, ორი-სამი შემთხვევის გარდა, უზადო ქართული მეტყველების ნიმუშად გამოდგება.



არასპეციალისტი მკითხველი თავის თავს უფლებას ვერ მისცემს ხსენებული წიგნის გაანალიზებას, განხილვას თუ შეფასებას შეეცადოს და იმის განსჯას მოჰყვეს, რამდენად სრული სახით წარმოადგინა ავტორმა არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებული მასალა. ანდა რამდენად მართებულია მისი ესა თუ ის დასკვნა ან დებულება. მსგავსი მიზნებით არ შეედგომივარ ამ წერილის წერას, ცხადია. მინდა მხოლოდ მკითხველებს გავუზიარო რამდენიმე მოსაზრება, აკაკი ურუშაძის წიგნის გაცნობის შედეგად აღძრული.

ამგვარი აზრები აღიძვრის განსაკუთრებით წიგნის იმ თავთან დაკავშირებით, რომლის სათაურია „პელასგები და კოლხური ტომები“. უაღრესად საგულისხმოა აქ მოწოდებული ფაქტები (რომელთა ნაწილი ადრეც იყო ცნობილი გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომებით), ახალი ცნობები და ავტორის მოსაზრებები თუ დასკვნები.

ჩერ შევეცდები მოკლედ გავაცნო მკითხველს ყოველივე ამის რაობა.

1. ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის მიწურულამდე, ნაწილობრივ პირველ ათასწლეულშიც, დღევანდელი ბალკანეთის, აპენინისა და პირენეს ნახევარკუნძულები, ბალკანეთის მიმდგომი კუნძულები (კრეტა, კორფუ, ევბეა, ქიოსი, ლესბოსი და სხვანი), აგრეთვე მცირე აზია დასახლებული იყო გენეტურად მკიდროდ დაკავშირებული, ერთ ენაზე მოლაპარაკე, ეგრეთ წოდებული პელასგური მოდემის ხალხებით, რომლებმაც უძველესი და უბრწყინვალესი კულტურა შექმნეს.

ეს ხალხები ქართველ ტომთა ახლო მონათესავენი იყვნენ როგორც გენეტურად, ისე ენითა და კულტურით.

2. ინდოევროპული მოდემის ხალხები, კერძოდ, ბერძნები, სამხ-

ჩეთ ევროპისა და მცირე აზიის ავტონომიები (აბორიგენები) არ ყოფილან. აქ მცხოვრებ პელასგური მოღვმის ხალხებს ისინი დაპყრობლებად და დამრბევლებად მოევილინენ. მათი შემოსევის შედეგად პელასგური მოღვმის ხალხთა ნაწილი აღმოსავლეთისკენ დაიძრა და შავი ხღვის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე (კოლხეთში) დაემკვიდრა, ნაწილმა კი თვითმყოფალობა დაკარგა და დამპყრობლებს შეერია.

სამკვიდრებლიდან განდევნილ პელასგთა ერთი ნაწილი (ეტრუსკები) დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე გადავიდა. აქ მათ დააფუძნეს ქალაქი რომი.

3. მაგრამ, როგორც არაერთხელ მომხდარა ისტორიაში, მძლეველნი თავადვე იძლიენ ძლეულთაგან კულტურული თვალსაზრისით; ბერძნებმა პელასგების დიდი გავლენა განიცადეს. მათი მერმინდელი ბრწყინვალე კულტურა პელასგების კულტურის ნიადაგზე აღმოცენდა.

რას ემყარება ამგვარი უჩვეულო, ერთი შეხედვით თითქმის ფანტასტიური (მით უმეტეს საქმეში ჩაუხედავი მკითხველისათვის) დასკვნები?

უწინარეს ყოვლისა, თავად ბერძნული წყაროების მონაცემებსა და ჩვენებებს (პირდაპირს თუ არაპირდაპირს); შემდეგ — ისტორიის, ლიტერატურის ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, პალეოგრაფიის მონაპოვრებს.

არც ერთი დებულება არ წამოუყენებია აკაკი ურუშაძეს ისე, რომ ბერძენ და რომაელ ავტორთა მოწმობა არ მოეშველიებინოს იქვე. ავიღოთ საკითხი: ვინ მოსახლეობდა ბერძნებამდე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე?

მოუუქსმინოთ ცნობილ გეოგრაფოსს სტრაბონს:

„ჰეკატე მილეტელი (ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნე) პელოპონესის შესახებ ამბობს, რომ ელინებზე უწინ მასზე მოსახლეობდნენ ბარბაროსები (ძველი ბერძნები „ბარბაროსს“ უწოდებდნენ ყველას, ვინც ელინი არ იყო).

მართლაც, მთელი ელადა ბარბაროსთა სამკვიდრებელი იყო ძველად...

...ელადის მპყრობელთა შორის პელასგები უძველესნი არიან“.

პელასგებს ავტონომიებად, ხოლო ბერძნებს — ეგეოსის მხარეში შემდგომში მოსულ ხალხად მიიჩნევენ ისტორიკოსები პეროდოტე და თუკიდიდე, აგრეთვე მოგვიანო ხანის ბერძენი და რომელი მწერლები.

პლუტარქე იპოწმებს ჩვენთვის უცნობ, უძველეს წყაროებს და თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“ მოგვითხრობს: პელასგური წარმომავლობის ტირენები (ეტრუსკები) ჭერ თესალიაში მოსახლეობდნენ, მერე ლიდიიში, ლიდიიდან კი იტალიაში გადასახლდნენ და იქ დაა-

ფუნქციონირებს ქალაქი რომი (საათქმელს წინ გავუსწროთ და აღვნიშნოთ: აპენინის ნახევარკუნძულის გეოგრაფიულ სახელთა დიდი ნაწილი მიჩნეულია ეტრუსკული წარმომავლობის სახელებად. ასეთია, მაგალითად, ქალაქის სახელი „რომა“ და მდინარის სახელი „ტიბერის“).

პირველწყაროების ამგვარ ჩვენებათა მიკვლევა ავტორს საშუალებას აძლევს უცილობლად აქციოს დღემდე საცილობლად მიჩნეული ზოგიერთი დებულება, ან კიდევ წამოაყენოს ახალი, ურყევი ფაქტებით დასაბუთებული დებულებები.

ენახოთ, მაგალითად, რას ამბობენ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები პელასგური მოდგმის ხალხთა და ქართველ ტომთა ნათესაობის გამო.

ეუმელოსი, სიმონიდე, ლიკოფრონი, ევრიპიდეს „მედეას“ სქოლიასტი, პავსანია და სხვა ავტორები გვაუწყებენ: ქალაქი კორინთო (ზალკანეთის ნახევარკუნძულზე, საბერძნეთში) კოლხეთის გამგებლის აიეტის სამფლობელოა, აიეტი კორინთოსა და აიას გამგებელია; მედეა ჩადის კორინთოში როგორც მამის სამშობლოში და განაგებს კიდევც ამ ქალაქს პელასგ იასონთან ერთად.

შეგახსენებთ, რომ აიეტი და მისი დაი კირკე (რომელსაც, რუსული თარგმანების მიხედვით, ზოგჯერ ლათინიზებული ფორმით — „ცირკეად“ იცნობენ ჩვენი მკითხველები) არიან შვილები პელასგთა დეათების — პელიოსისა (შემდეგში ბერძენთა იშის ღმერთი).

აქვე დროს, ჰესიოდე „თეოგონიაში“ მოგვითხრობს: კირკე ენათესაებოდრო ტირსენელებს, ანუ ეტრუსკებს.

აქ სხვათა შორის შევნიშნოთ: გამოთქმული ყოფილა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ოდისევსი პელასგური მოსახლეობის პანთეონს მიეკუთვნება. პრომეთესა და ოდისევსის იგივეობის საკითხიც კი დასმულა. ხოლო პრომეთე, როგორც მოგვხსენებათ, ელინიზებული ამიჩანია.

ახლა სხვა რაგის ცნობები.

ტაციტუსი: იბერები და ალბანები (ლაპარაკია კავკასიელ ალბანებზე, რომელთა წარმომავლობა გაურკვეველად ითვლებოდა) ამტკიცებენ — იასონისა და მედეას კოლხეთს დაბრუნების შემდეგ თესალიელებისგან (ე. ი. პელასგებისგან) წარმოვიშვითო.

სოლინუსი: ალბანები თავიანთ თავს თესალიელი იასონის შთამომავლად მიიჩნევენ.

მწერალი ქალი ევდოკია: ალბანები ახლანდელი მინკრელებია (მეგრელები).

დიონისიოს პეროეგეტი: პელასგური ქვეყნის ნაშიერა ჰენიოხები... (ჰენიოხები, როგორც ცნობილია, ქართულ ტომს წარმოადგენენ).

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიასტი: იფიქრეს,

მაკრისელთა პელასგური ლაშქარი მოგვადგაო, ეგრეთ წოდებული მაკრონების, რომელნიც გადმოასახლებულნი არიან ევბეელთაგან, საიდანაც მაკრონები ეწოდათ. საქმე ისაა, რომ ევბეას მაკროსიც ერქვა... ევბეა მეზობელი მხარეა პელოპონესისა, რომელიც უწინ პლასგიად იწოდებოდა.

ამ ციტატის აზრის უკეთ გასაგებად საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი: ევბეა ეგეოსის ზღვის უდიდესი კუნძულია, აღმოსავლეთის მხრიდან აკრავს ბალკანეთის ნახევარკუნძულს; მაკროსი ამ კუნძულის, ევბის, უძველესი პელასგური სახელწოდებაა; ბერძნები ამ კუნძულის მკვიდრთ უწოდებდნენ მაკროსელებს ანუ მაკრონებს.

ხოლო ვინ იყვნენ და სად მოსახლეობდნენ მაკრონები სხვა ბერძნული წყაროების მიხედვით?

პეროდოტე: მაკრონების მახლობლად იბინადრობენ მოსხები, ტიბარენები და მოსინიკები (ქართული ტომებია).

ქსენოფონტე: მაკრონები ცხოვრობენ კოლხების სამხრეთ-აღმოსავლეთით.

სტრაბონი: ტრაპეზუნტის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ქალდეები და სანნები (ზანები), რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს. სტრეფანე ბიზანტიელი: მაკრონები ახლანდელი სანნებია (ზანები).

პროკოპი კესარიელი: მაკრონები, პონტოელი ტომი... ეხლა მათ ეწოდებთ სანნებს, უფრო მდაბიურად კი — ქანებს.

მამასადამე, კოლხურ ტომს — მაკრონებს, მაკროსელებს — თავისი სახელწოდება მიუღია ჯერ კიდევ მამინ, როდესაც კუნძულ ევბეაზე (მაკროსზე) მკვიდრობდა და პელასგთა მოღვმის ხალხად იყო მიჩნეული.

ისლა დაგვარჩენია, დავუმატოთ, რომ მაკრონები (მაკროსელები) იგივე მეგრელებია.

ახლა სხვა ქართული ტომების შესახებ.

სტრაბონი: დასავლეთის (იგულისხმება პირენეს ნახევარკუნძული) იბერთა ნაწილი გადასახლდა პონტოსა და კოლხეთის ზემოთ მდებარე ადგილებში.

ავიენუსი: იბერები პირენეს სანაპიროებიდან არიან გამოძევებულნი.

სოკრატე სქოლასტიკოსი: იბერები ცხოვრობენ ევქსინის პონტოსთან (შავ ზღვასთან), ხოლო იმ იბერთაგან არიან გამოსულები, რომლებიც ისპანიაში არიან.

ვერგილიუსის „გეორგიკების“ განმარტება: ხალიბები — ტომი პონტოში, რომელმაც რკინა აღმოაჩინა; სახელი ეწოდათ ხალიბიუმიდან, ევბის სოფლიდან, რადგან აქედან გადასახლდნენ (ვფიქრობ, განმარტება არ სჭირდება იმ ამბავს, რომ ხალიბების ტომი ქართველთა ცნობილი ტომია).

გიორგი სინგლოზი: თობელი, რომლისგანაც არიან თესალიელები...
თესალია მხარე იყო ჩრდილო საბერძნეთში, პელასგთა ოდინდელი
სამკვიდრებელი; ხოლო „თობელის“ ამავე მკითხველს კარგად მოეხ-
სენება — თობალი, ანუ ტაბალი ქართველთა წინაპარი ტომის სახელ-
წოდებაა.

ენახოთ ამის შემდეგ, როგორ დგას საკითხი იმ დიდი გავლენისა,
რომელიც პელასგური მოდგმის ხალხებს (ახლა უკვე შეგვიძლია
ეთქვათ: ქართველთა წინაპრებს) მოუხდენიათ ბალკანეთის ნახევარ-
კუნძულზე შემოქრილ, იმხანად დაბალგანვითარებულ ბერძ-
ნებზე.

ოლონდ მანამდე ერთხელ კიდევ გავისხენოთ, რომ პელასგური
მოდგმის ხალხებს მართლაც დიდი კულტურა ჰქონდათ შექმნილი სამხ-
რეთ ევროპის, მცირე აზიის თუ შავი ზღვის აღმოსავლეთის ცენტრებში.
ეს ითქმის, უწინარეს ყოვლისა, ეგრეთ წოდებული კრეტა-მიკენის, იგი-
ვე კრეტულ-ეგეოსური ან ეგეოსური, იგივე მინოსური კულტურის
შესახებ.

„წარსულ საუკუნეში საბერძნეთის ისტორიას ჩვეულებრივად ეგ-
რეთწოდებული პომპროპის პერიოდებიდან და მასთან დაკავშირებული
ამბებიდან იწყებდნენ. ხოლო თუ ამ ეპოქას წინ რაიმე უსწრებდა, ამის
შესახებ გარკვეული წარმოდგენა არავის ჰქონდა“ (ალ. წერეთელი,
„ძველი საბერძნეთი“, ტ. I, გვ. 11); მაგრამ შემდგომ და შემდგომ გა-
მოირკვა, რომ ჭერ კიდევ ძვ. წ. მესამე ათასწლეულში კუნძულ კრე-
ტაზე და, საერთოდ, ეგეოსის რაიონში იშვიათი კულტურული დონი-
სათვის მიუღწევია მოსახლეობას (ჩვენ უკვე ვიცით, ვინ იყვნენ ამ
მცხოვრები ხალხები ეთნიკურად).

აი, რას წერს ერთი ცნობილი რუსი მეცნიერი.

„ბერძნულ მითებსა და ლეგენდებს განსაკუთრებულ ღირებულე-
ბას ანიჭებს ის ამავე, რომ ძველმა ბერძნებმა ძალიან ბევრი რამ შეით-
ვისეს ხმელთაშუა ზღვის აუზის სახე ხალხებისაგან, უწინარეს ყოვლი-
სა — კრეტულ-ეგეოსური (აგრეთვე მინოსურად წოდებული) ცივილი-
ზაციისაგან. ჩვენი აზრით, მინოსურ ცივილიზაციას, ძველი ევროპის
ყველაზე ბრწყინვალე ცივილიზაციას, განსაკუთრებით დიდმნიშვნელო-
ვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოს... კრეტას გავლენა და სავაჭრო კავში-
რი არა მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზზე ვრცელდებოდა. არა-
მედ დასავლეთით ბრიტანეთის კუნძულებამდე, პირენეს ნახევარ-
კუნძულამდე, კანარის კუნძულებამდე და სენეგალამდე, ხოლო აღმო-
სავლეთით ინდოეთამდე იყო განფენილი. ძვ. წ. 3000—2700 წლების ახ-
ლო ხანებში კრეტელი მონაწილეობდნენ პირენეს ნახევარკუნძულზე
არსებული მალარობის დამუშავებაში. დღესდღეობით გაკეთებულია
დამაჯერებელი, ყურადსაღები დასკვნები იმის თაობაზე, რომ კანარისა

და მადეირის ჯგუფის უმნიშვნელოვანესი კუნძულები კრეტელებს აღ-
მოუჩინიათ და არა ფინიკიელებს. ოღესმე ესოდენ ზვიადად საჩინო
დიდება ფინიკიელებისა სულ უფრო მჭკქალდება... როგორც ჩანს, კრე-
ტელნი გულადი ზღვაოსანნი კი არ ყოფილან მხოლოდ, კარგი გეოგ-
რაფოსებიც იყვნენ. არსებობს ბუნდოვანი მითითება იმის თაობაზე,
რომ შესაძლოა მათ ეკუთვნოდეთ პირველი გეოგრაფიული რუკები...
უეჭველია, რომ მრავალი გეოგრაფიული ცნობა ძველმა ბერძნებმა
კრეტელების ცოდნის მათ დრომდე მოღწეული ნაშუსრევებისაგან მიი-
ღეს“ (Н. Ф. Жиров, Атлантида. Стр. 75—76).

სხვას ყოველივეს თავი რომ დავანებოთ, კრეტა-მიკენას კულ-
ტურის შემქმნელ ხალხებს უკვე ჰქონდათ დამწერლობა (ხატოვანი და
ხაზოვანი). ზოგიერთმა მეცნიერმა (პროფ. ვლ. გეორგიევი) ის აზრიც
კი გამოთქვა, რომ „ფინიკური დამწერლობა მიკენურისგან განვითარდა
და, მამასადამე, თანამედროვე აღფაბეტის პირვანდელი საფუძველი
მიკენური და არა ფინიკური დამწერლობა იყო“ (ალ. წერეთელი, „ძვე-
ლი საბერძნეთი“, ტ. I, გვ. 21). მართალია, ეს მოსაზრება გაზიარებუ-
ლი არაა.

აკაკი ურუშაძის წიგნში განხილულია როგორც ძველი ბერძნული
და ლათინური წყაროები, ისე თანამედროვე მეცნიერთა ცნობები და
მოსაზრებები, რომლებიც უჭეხ ფენს პელასგური მოდგმის ხალხთა
ბერძნებზე გავლენის საკითხებს. ყოველივე ამის საფუძველზე ავტორი
უადრესად ყურადსაღებ დასკვნებს აკეთებს. გავახსენებთ რამდენსამე
მათგანს.

ბერძნულ ენაში გვხვდება მრავალი ისეთი სიტყვა, რომელთა ახსნა
ბერძნულივე ენის ნიადაგზე, საერთოდ, ინდოევროპულ გარემოში არ
ხერხდება. ძველი ბერძნულის შემადგენლობაში შემავალი ძირების
ერთ მესამედზე მეტი ინდოევროპული არაა. ნახესხებ სიტყვათა უმ-
რავლესობა შეთვისებულია პელასგების ენიდან. ასეთია ტომთა, ლი-
თონთა, ღვთაებათა, ტანსაცმლის, მუსიკალური ინსტრუმენტების და
პისთანათა სახელები. საკულტო სიტყვები, სამშენებლო, სახელმწიფო
მმართველობის ტერმინები და სხვა.

„ეგეოსური სუბსტრატი იგრძნობა ძველ ელინთა არა მარტო ენა-
ში, არამედ მათ მატერიალურ და სულიერ კულტურაშიც, — წერს
ა. ურუშაძე. — წინაელინური — პელასგური სოსახლეობის ენისა და
ჰატერიალური კულტურის შესწავლასთან ერთად დიდი მნიშვნელობა
აქვს ეგეოსის რაიონის უძველესი მოსახლეობის იმ სულაერი განძის
აღმოჩენის საქმეს, რომელიც ინდოევროპულ-ელინური სამოსლით
შებურვილ პოეზიასა და მითოლოგიაშია დაფარული. ბერძნული ეპო-
სის პოეტიკური ფაქტების რიგი ცხადყოფს, რომ ელინთა ლიტერატუ-
რული ზიარება პელასგების კულტურულ მონაპოვართა საფუძველზე

მოხდა. თანდათანობით ირკვევა, რომ მთავარი ბერძნული იქმულებები თესალიელი გმირის აქილევის ჩისხვაზე, ოდისეუსზე, ჰეფესტოზე, პრომეთესა და თესალიელ არგონავტებზე, რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს ელინური ხელოვნების განვითარების საქმეში, პელასგური წარმომავლობის იქმულებებია. ბერძნული ეპოსის სალექსო საზოგადოება — დაქტილური ჰეგზამეტრი, დამყარებული ქართული ლექსის სიტყვის, ქორეოგრაფიისა და სიმღერის აბსოლუტურად დაქტილური რიტმზე, პელასგური წარმოშობისა აღმოჩნდა“ (გვ. 117—118).

როგორც ზემოთაც ითქვა, ეგეოსური კულტურის შემქმნელ ხალხებს ძვ. წ. მესამე ათასწლეულში უკვე ჰქონდათ დამწერლობა (ეგრეთ წოდებული მინოსური დამწერლობა) — იეროგლიფური და აქედან განვითარებული ორგვარი ხაზოვანი — A და B ხაზოვანი. ამათგან B ხაზოვანი დამწერლობა ნაწილობრივ გაშიფრულია. გამოითქვა მოსაზრება, რომ B ხაზოვანი დამწერლობა შექმნილია A ხაზოვანისაგან ბერძნული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით. ხოლო იეროგლიფური და A ხაზოვანი დამწერლობა დღემდე ამოუცნობია. უიკრობენ, რომ ამ დამწერლობათა გაშიფრვა ვერც მოხერხდება, ვიდრე ამას ცდილობენ ინდოევროპული ენების საფუძველზე, რადგან ეს დამწერლობები ამჟამად არაინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ხალხთათვისაა შექმნილი. ყოველივე ამის საფუძველზე ავტორი დაასკვნის: „მინოსური დამწერლობის მომავალ კვლევა-ძიებაში პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმოხსნათის — იბერიულ-კავკასიური ენების ჩართვამ შეიძლება საქმე წარმატებით დააგვირგვინოს“ (გვ. 168).

თუ ეს ვარაუდი გამართლდა, შესაძლოა უცნაურად აღარ მოგვეჩვენოს აზრი, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში, მინოსური დამწერლობის შექმნიდან ოთხი ათასი წლის შემდეგ გამოითქვა ავტორმა დიდებული ძეგლისა — „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“: „დამარხულ არს ენაჲ ქართული... და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე... რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

გადავიდეთ იმ მოსაზრებებზე, რომლებიც, როგორც ზემოთაც ითქვა, აღიძვრის აკაკი ურუშაძის ამ შესანიშნავი წიგნის გაცნობის შემდეგ. ეს მოსაზრებები უკავშირდება ერთი საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემას, რომლის ირგვლივ, მოყოლებული ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, უკვე ოცი ათასზე მეტი წიგნი დაიწერა.

საქმე ეხება ატლანტის ოკეანეში ოდესღაც არსებულ და კოსმო-

სური კატასტროფის შედეგად ჩაძირულ დიდ კუნძულს — ატლანტისს, მასზე მცხოვრები ხალხის მაღალგანვითარებულად მიჩნეულ ცივილიზაციას და ამ ცივილიზაციას შემკვიდრეთა საკითხს.

გამოთქმული იყო ის მოსაზრება, რომ როდესაც ატლანტისი ჩაიძირა (დაახლოებით 11—12 ათასი წლის წინათ) და ამ კუნძულზე არსებული დიდი ცივილიზაცია დაიღუპა, ოდინდელი ცოდნისგან ვაღარა მხოლოდ ის, რაც გარკვეული ხალხების ეზოთერიულ წრეებს შეენარჩუნებინათო. ამგვარ ხალხთა შორის მოიხსენიებოდნენ, მაგალითად, ეგვიპტელები, რომელთა ძველი ცივილიზაცია ატლანტთა ცივილიზაციის პერაფერიულ ნაშთად შეგვეძლო მიგვეჩინა.

სულ უკანასკნელი ხანის კვლევა-ძიებამ ამ მოსაზრებებში ერთგვარი კორექტივი შეიტანა. მკვლევარნი სულ უფრო მეტი ნდობით ეკიდებიან ძველი ბერძნების მიერ მოწოდებულ ცნობებს ატლანტისის შესახებ (აღრე ეს ცნობები აღზნებული ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ ზოგჯერ). ამ ცნობების მეოხებით კი ირკვევა, რომ კოსმოსური კატასტროფის (მრავალი ხალხის ხსოვნაში წარღვნის შესახებ არსებული თქმულების სახით შემორჩენილის) შედეგად ერთბაშად ჩაიძირა მთავარი კუნძული და არა მთელი ხმელეთი ატლანტის ოკეანისა. ესპანეთისა და აფრიკის დასავლეთით განფენილი ხმელეთი (კუნძულების სახით) ნელ-ნელა ინთქებოდა ოკეანეში და მისმა ნაწილმა ძვ. წ. VI საუკუნემდეც კი მოათანა.

ამავე დროს, მეტი ნდობა გამოეცხადა პლატონის ცნობებს, რომელთა თანახმად, ატლანტისის მკვიდრნი სულაც არ ყოფილან გარესამყაროსაგან იზოლირებული და ახლო კავშირი ჰქონდათ როგორც ევროპასთან, ისე ამერიკასთან (შეცდომა არავის ეგონოს: ირკვევა, რომ პლატონმა მშვენივრად იცოდა ამერიკის დიდი კონტინენტის არსებობა!).

აი, რა უთხრა სოლონს ძვ. წ. VI საუკუნეში საისელმა (ეგვიპტე) ქურუმმა:

„ის კუნძული ლიბიისა და აზიის — ერთად აღებულს — უდიდესი იყო და იქიდან სანაოსნო გზა იხსნებოდა სხვა დანარჩენი კუნძულებისაკენ, ხოლო ამ კუნძულებიდან — გაღმა მხარეს მდებარე მატერიკისკენ (იგულისხმება ამერიკა). ამ კუნძულზე, ატლანტისზე, შეიკრა დიდი და შრისხანდ კავშირი ხელმწიფეებისა, რომელთა მეუფება მთელ კუნძულს, აგრეთვე მრავალ სხვა კუნძულს და მატერიკის ნაწილსაც სწევდებოდა. გარდა ამისა, ისინი გამოღმა მხარესაც ფლობდნენ — ლიბიას ეგვიპტემდე და ევროპას ტირენიამდე“ (პლატონი. დიალოგი „ტიმაიოსი“).

შეგახსენებთ, რომ ტირენია ერქვა ეტრუსკების სამყოფელ მხარეს იტალიაში (ეტრუსკები ტირენებულად იწოდებოდნენ).

ახლა ჩვენს წინაშე წამოიჭრება პრობლემა, რომლის გადაჭრამ, შე-
საძლოა, კემპარიტად ფანტასტიური სურათები გადაგვიშალოს და სულ
სხვაგვარად დააყენოს კაცობრიობის ძველთუძველესი ცივილიზაციის
საქიბი.

(ზედმეტია იმის თქმა, რომ ამ სტრუქტურების ავტორს, გასაგები მი-
ზეზების გამო, არავითარი პრეტენზია არა აქვს ამ პრობლემის გადაჭრას
შეეცადოს. ჩემი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, არსებული მასალის
საფუძველზე წამოიჭრას ეს პრობლემა და მას ყურადღება მიაპყრონ
მეცნიერებმა და სათანადო სპეციალისტებმა).

აკაკი ურუშაძის ხსენებული წიგნის მეოთხებით მკითხველმა უკვე
იცის: დღესდღეობით საექვოდ აღარ მიიჩნევა დებულება, რომლის თა-
ნახვად, სამხრეთ ევროპა (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარ-
კუნძულები) და მცირე აზია ქართველ ტომთა წინაპრების სამკვადრებე-
ლი ყოფილა ოდესმე.

ხომ არ გვექნება საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეგვევ ხალხები
იყვნენ ატლანტიის დაღუპული ცივილიზაციის უშუალო მემკვიდრე-
ნი და რომ მათ შემოუნახეს კაცობრიობას ოკეანეში დანთქმული კუნ-
ძულის მკვიდრთა დიდი ცოდნის თუნდაც ნამუსრევები?

1964 წელს მოსკოვში გამოიცა მეცნიერ ნ. ფ. ჟიროვის ფუნდა-
მენტური ნაშრომი: «Атлантида. Основные проблемы атланти-
логии».

ამ შესანიშნავ წიგნში შეჯამებულია მთელი ის მუშაობა, რაც
ოცდაოთხი საუკუნის მანძილზე, პლატონის შემდეგ გაუწევეია კაცობ-
რიობას ატლანტიის პრობლემების ირგვლივ. საკმარისია ითქვას, რომ
წიგნს დართული, ავტორის მიერ მითითებული ლატერატურა (რუსულ
და უცხოურ ენებზე) შეიღწაზე მეტ საბელწოდებას მოიცავს. არ დარ-
ჩენილა ატლანტოლოგიის რაიმე სფერო, რომელსაც ავტორი ამა თუ იმ
სახით არ შეხებოდეს.

ამ წიგნში მოცემულ ცნობებსა და მოსაზრებებს ემყარება ძირი-
თადად ზემოთ წამოჭრილი პრობლემა.

მივმართოთ თავად წიგნს:

არსებობს ცნობა, რომ ძვ. წ. პირველ ათასწლეულში ევროპის
უკიდურეს დასავლეთ სანაპიროზე თუ სანაპიროსთან ახლოს მდებარე
კუნძულზე ჭერ ისევ არსებობდა განთქმული ქალაქი ტარშიში, ანუ
ტარტესისი, რომელსაც, პეროლოტუს სატყვიით, 80 წელს განაგებდა
ნეფე არგანტიონი.

ნ. ჟიროვი წერს: „უეჭველია, რომ ბერძნული სახელწოდება „ტარ-
ტესისი-ი“ თავის „ჩას“ დაბოლოებით აშკარად მიუთითებს კრეტელების
ახლო ნაცნობობას“ (Атлантида, გვ. 86).

ავტორმა არ იცის (და ვერც მოვთხოვთ იცოდეს), რომ კრეტელე-ბის კუთვნილად მიჩნეული „სს“ პელაგური სუფიქსია და რომ მეფის სახელში „არგანტიონ“ შემონახულია პელაგური წარმომავლობის ძი-რი „არგ“.

საქმის ვითარება უფრო ნათელი შეიქნება, თუ მივიღებთ დაწე-რილობას „ტარშიშ-ი“. ამ სატყვავში დაცული სუფიქსია -იშ (მეაღარეთ ჭიხა-იშ-ი და სხვ.) ამჟამად მიგვიითიუბებს მის წარმოშობაზე.

ნ. ჟიროვი განაგრძობს: „გვიანდელ ტარტესსელებს შულტენი არც-თუ უსათუძელოდ უიგივეებს იბერიულ ტომს ტურდეტანებს, რომლე-ბიც შემდგომში რომაელებმა დაიპყრეს და რომლებსაც საკმაოდ მაღალ-განვითარებული სახელმწიფო წყობილება ჰქონდათ“ (გვ. 88).

ტარტესისი იმდენად სახელმწიფოეპილი და კულტურით განთქმუ-ლი ყოფილა, რომ ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს თავად ატლანტისს გაუიგივეოს. ამასთან დაკავშირებით ნ. ჟიროვი შენიშნავს:

„ტარტესისი მთელ ატლანტისს კი არ უნდა გავუიგავოთ, არამედ მხოლოდ პოსეიდონის მეორე ვაჟის — ეველოსის სამეფოს, რომლის შემადგენლობაშიც, როგორც ჩანს, ესპანეთის ნაწილიც შედიოდა... ეს სამეფო ზღვაში დაინთქა ყველაზე გვიან და, ჩანს, ძვ. წ. VI საუ-კუნეში ჯერ კიდევ არსებობდა, მართალია, უპნიშენლო ნაშთის — ჰატარა კუნძულ ტარტესისის სახით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კავშირი ატლანტისსა და ევროპას შორის ოდესღაც კუნძულ ტარტესისს მეშ-ვეობით მყარდებოდა და ქალაქი ტარტესისი ახალი სამეფოს სატაბტო იყო. ამ თვალსაზრისით სავსებით ლოგიკური იქნება ატლანტისის პირ-დაპირ შემკვიდრედ მივიჩნიოთ ტარტესისი... გავიხსენოთ, რომ, სტრაბონ-ის მიხედვით, ტურდეტანებს, რომლებიც ტარტესსელებთან არიან გაი-გივებული, სტრაბონამდე სულ ცოტა 6000 წლის წინანდელი წერილო-ბითი ისტორიული მათიანები მოეპოვებოდათ“ (გვ. 88).

ერთხელ კიდევ მოგაგონებთ, რომ ტურდეტანები იგივე პირენეს იბერიელები იყვნენ.

გამოვყვეთ უფრო აღმოსავლეთით, აპენინის ნახევარკუნძუ-ლისაკენ.

„ნ. რუსო (1930 წელს) ატლანტების შთამომავლებად მიიჩნევდა გამოუცნობ ხალხს ეტრუსკებს, რომელთაც ძვ. წ. პირველ ათასწლე-ულში ბრწყინვალე ცივილიზაცია შექმნეს იტალიის დასავლეთში. ის ემყარებოდა ერთი ნაკლებად ცნობილი ბერძენი მწერლის ფილოკო-რის (ძვ. წ. III საუკუნე) შრომის ფრაგმენტებს. გინიარცი ვარაუ-დობდა — შესაძლოა ეტრუსკები ატლანტისიდან იყვნენო წამოსულ-ნი“ (გვ. 90—91).

მცირეაზიელი პელაგებიც უკავშირდებიან თურმე ატლანტისის პრობლემას:

„ბერძნული მითოლოგიის მესამე წარღვნა დაკავშირებულია დარ-დანთან... როგორც ცნობილი პოეტი ვერგილიუსი წერს, დარდანი იყო ატლასის შვილიშვილი და მცირე აზიაში გადმოიხვეწა გესპერიიდან, უკიდურესი დასავლეთის ქვეყნიდან. თავდაპირველად დარდანი კუნძულ სამოთრაკზე დასახლდა, მაგრამ წყალდიდობამ აძძელა მატერიკზე გადასულიყო. იქ, იდას მთის ძირას, დააარსა მითიური ქალაქი დარდანი, რომელიც უძველესავე დროს აღიგავა მიწის პირისაგან. ძალზე საინტერესოა ის გარემოება, რომ, მითოლოგიის თანახმად, დარდანისაგან წარმოდგებოდა ტროას განმგებელთა სამეფო სახლი“ (გვ. 106).

მკითხველისათვის უფრო ნათელი რომ შეიქნეს ყოველივე, კვლავ მივმართოთ აკაკი ურუშაძის დასახელებულ წიგნს და გავერკვიოთ, ვინ იყვნენ ტროელნი: „პელასგი თესალიელები, მცირეაზიელი ტროელე-ბი... კოლხთა მონათესავე ტომებადაა მიჩნეული“ (გვ. 121).

დასასრულ, ნ. ეიროვის წიგნში ვპოულობთ ერთ ქეშმარიტად საოცარ ცნობას, რომლისთვისაც, თუ არ ვცდები, ჩვენს სპეციალისტებს ყურადღება დღემდე არ მიუქცევიათ:

ბიზანტიული გეოგრაფოსი კოზმა ინდიკოპლოვი თავის „საქრისტიანო ტოპოგრაფიაში“ წერს, რომ ტიჰეოსის (რომლის წყარო უცნობიაო) და აგრეთვე ბეროსის სიტყვით, ქალღმის პირველი ათი მეფე მოსულა იმ ქვეყნიდან, რომელიც მდებარეობდა ოკეანის გაღმა მხარეს, კუნძულ ატლანტისზე (გვ. 45).



ასე წამოიჭრა ჩვენს წინაშე ატლანტისის მკვიდრთა და ქართველი ტომების წინაპართა კავშირის პრობლემა.

იმედია ჩვენი მცნოელები დაინტერესდებიან ამ პრობლემით.

ოცნება პარუსკაბისტვის

ვიღრე. სათქმელს ვიტყოდე, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველი გავა-
ფრთხილო: ის, რასაც ამ წერილში ამოიკითხავთ, შესაძლოა აღგზნებუ-
ლი ფანტაზიის ნაყოფი გამოდგეს, აქ გამოთქმული მოსაზრებები და
ვარაუდები შესაძლოა საფუძველს მოკლებულად მიიჩნიოს მეცნიერე-
ბამ. ოღონდ უნდა გვახსოვდეს. რომ ეს სათუობა შეეხება არა ფაქ-
ტებს, არამედ მათი ახსნის ცდას, ერთიმეორესთან მათს დაჯავშინებას.
მოდრი, დავარდვიოთ სამეცნიერო ტრადიცია და ჩვენს თავს უფლება
მივცეთ მეცნიერების მიერ აღწესხულ ფაქტებს მეოცნების მშერა მი-
ვაპყროთ.



ცეცა ჰია...
მაღე ცეცა ჰია ეტნამ
ციხ ვაკლ აისვალე,
მაღე ცეცა ჰია ტრინთ
ეტნამ ციხ ალე,
მაღე ცეცა ჰია ეტნამ
ციხ ვაკლ ვილე ვალე,
სტაილე იტრილე
ჰია ციხ ტრინთაშა...

ეს სალოცავი შეთხზულია ორი ათას ხუთასზე მეტი წლის წი-
ნათ და იმ იდუმალებით მოცულ ხალხს ეკუთვნის, ვინც მაშინ მკვიდ-
რობდა დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე.

ვინ იყო ეს ხალხი?

ეტრუსკები განხლდნენ — ქალაქ რომის დამაარსებელნი და აპენი-
ნის ნახევარკუნძულზე პირველი ბრწყინვალე კულტურის შემქმნელნი.

პეროლოტედან მოყოლებული არსებობდა ტრადიცია, რომლის თა-
ნახმადაც ეს ხალხი მცირე აზიიდან უნდა გადასულიყო იტალიაში. ამ
ტრადიციის მომხრენი ეტრუსკებს პელასგებთან აიგივებდნენ ხოლმე.

გავიხსენოთ, რომ, თავის მხრივ, პელასგები იმ ხალხად მიაჩნდათ,
ვისი მატერიალური და სულიერი ფასეულობანიც შემდგომში ძველმა
ბერძნებმა საფუძველად დაუდვეს თავიანთ მაღალ კულტურას.

მკითხველთა უმრავლესობას ეს ყოველივე უჩემოდაც კარგად მოეხსენება — ეს არის მეცნიერების მიერ დადგენილი და აღიარებული ფაქტები. ოღონდ ყოველივე ამის რაიმე მხრივ ქართველ ხალხთან ან მის წინაპრებთან დაკავშირება დღესდღეობით სარისკოდ იქცა...

მე ინტელიგენციის იმ თაობას ვეკუთვნი, ვისაც ბავშვობიდანვე უნერგავდნენ აზრს, რომ მის წინაპრებს საქართველოს მიწა-წყალზე კი არ უცხოვრიათ დასაბამიდან, არამედ საიდანაც, სამხრეთიდან გადმოსახლებულან, ყოველ შემთხვევაში — ამ წინაპართა ძირითადი ბირთვი, კულტურის ძირითადი კერა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას საქმაოდ ყოფილა დაშორებულნი.

„ესე იყო პირველი მეფეა მცხეთას შინა — აზოა, ძე არიან ქართველთა მეფისა“, — კვითხულობდით და ქრუანტელი გვივლიდა: ვინ იყო აზო. ვინ იყვნენ „არიან ქართველნი“ ან რას ნიშნავდა „არიან ქართლი“? საიდან ვართ მოსულნი?

და ამ კითხვებზე საესებით გარკვეულ პასუხს გვაძლევდნენ:

„ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ. ხეთურ-იბერული გვარტომობის, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს ვრცელი მიწა-წყალი ეპირათ წინა აზიაში და, აქედან დასავლეთისაკენ გავრცელების შედეგად, აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში. ევროპაში ამ გვარტომობის ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს, რომელთაც დამხვდური მოსახლეობისა და მისი განვითარებული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. ასე იყო პირენეს ანუ იბერიის ნახევარკუნძულზე, სადაც ძველი იბერული მოსახლეობის შთამომავალნი, ბასკებად წოდებულნი, დღემდე არიან შემორჩენილნი; ასევე მოხდა აპენინის ნახევარკუნძულზე. სადაც ეტრუსკებმა შექმნეს იტალიის უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომ მძლავრი ზემოქმედება იქონია რომის კულტურაზე. დასასრულ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გვიან მოსულს ინდოევროპელ ბერძნებსაც პელაზგების პირვანდელი დაწინაურებული მოსახლეობა დახვდათ. ამ ხალხთა მიერ შექმნილ მალაი კულტურის კერათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად წინააზიური კერები უნდა ჩაითვალოს... ევფრატისა და ტიგროსის აუზთა ქვემო ნაწილში სუმერებმა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში განავითარეს საქალაქო ცხოვრება, საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოიგონეს მსოფლიოში უძველესი დამწერლობა — ჯერ იეროგლიფური. ბოლო შემდეგ ლურსმული... წინა აზიის მოსახლეობის სიმდიდრე ძველი ღრობიდანვე იზიდავდა უცხოელ კელურ ტომებს. ამ მეჭოგე ტომების შემოსევებს წყალობით თანდათან შეიზღუდა მკვიდრი. ძველი მოსახლეობის საფლობელო. მე-2 ათასწლეულის დამდეგს. ძველი

წელთაღრიცხვით, წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და ხუბარები. ხეთები და ხუბარები ქართველების წინაპრები არიან“ (ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია — „საქართველოს ისტორია“, 1946).

ჩვენს წინაშე გადამლილი იყო უვრცესი პორიზონტი — მესოპოტამიიდან ვიდრე ატლანტის ოკეანემდე — და მტკიცედ გვწამდა. რომ მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიება მოიპოვებდა შემერებთან, ხეთებთან, პელასგებთან, ეტრუსკებთან და ბასკებთან ქართველთა წინაპრების: ახლო ნათესაობის სულ ახალსა და ახალ საბუთებს, რომელთა წინაშე ქედმაღალი ევროპული სწავლულნიც კი ბოლოს და ბოლოს თავს მოკრძალებით მოიდრეკდნენ.

ამ აზრით ვიზრდებოდით. ეს ურყევად გვწამდა.

ეს რწმენა შემოგვრჩა იმით, ვისაც ისტორია ჩვენს სპეციალობად არ გაგვიხდია. ვინც დღემდე მხოლოდ მოყვარულს თვალთ შეეყურებოდა ამ მეცნიერებს, უბრალო მოყვარულს კი ვერაფერს მოსთხოვს, ამა თუ იმ მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა კურსში იყოს ნიადაგ.

და. აი, მოულოდნელად გაიჩკვა, რომ ბევრი რამ გამოგვრჩენია. ვიდრე ჩვენ ჩვენი საქმით ვიყავით გართულნი, საისტორიო მეცნიერებს მრავალი რამ გადაუსინჯავს. მრავალ საკითხზე შეუცვლია აზრი.

ამ სტრიქონების ავტორი პირველად მაშინ შეცბუნდა, როცა ხეთებისა და პელასგების შესახებ ძველებური პათოსით ჩამოუგდო სიტყვა ერთ ახალგაზომცხვარ მეცნიერს და ამ უკანასკნელს იქედნურმა ღიმილმა გადაუსერა ბაგე. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ მეორე კურსის ასპირანტს მხოლოდ ზრდილობა და ასაკისმიერი მოკრძალება არ აძლევდა უფლებას მწარედ დაეცინა ცრუპატრიოტული შეხედულებებით დატვირთული თანამოსაუბრისთვის.

მაღე დავრწმუნდი, რომ იმ ახალგაზომცხვარ მეცნიერს, თავის მხრივ. სრული საფუძველი ჰქონდა ჩამორჩენილ კაცად მივეჩნიე. რადგანაც მას უკვე სხვა სახელმძღვანელოთი ასწავლეს ისტორია. ამ სახელმძღვანელოში კი აღარსად წერია, რომ „ხეთები და ხუბარები ქართველების წინაპრები არიან“, და არც ისაა სადმე ნათქვამი, რომ ქართველთა მონათესავე ტომების საქვედრებელი უძველეს ხანაში შუამდინარეთიდან პირენეს ნახევარკუნძულამდე იყო განფენილი. ახალ სახელმძღვანელოში ქართველები მიჩნეულნი არიან აზოროგენებად და მათ შესახებ ნათქვამია:

„უკვე ამ რამდენიმე ათასი წლის წინათ ქართველ ტომებს, ენობრივად თვალსაზრისით. უკვე ჰქონდათ საკუთარი სახე. მეგრულ-ქანური ტომები გაერკველებული იყვნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი სანაპიროს რაიონებში. ქართველი მათ მეზობლად. აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. ფართო ტერიტორია უნდა სჭეროდათ ძვე-

ლად სვანებსაც, როგორც დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ისე, ნაწილობრივ, აგრეთვე ბარშიც... სამხრეთიდან ქართველ ტომებს ემეზობლებოდნენ ურარტული, ხურიტული და ხეთური ტომები. ქართველ ტომთა უძველესი მეზობლები იყვნენ სომეხი ტომებიც“.

ეს, როგორც ხედავთ, უკვე სულ სხვა თვალსაზრისია. „საქართველოს ისტორიის“ ამ სახელმძღვანელომ (1958 წ.) ავტორთათვის „საქართველო, და საერთოდ კავკასია, ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც მაიჰუნის გაადამიანების პროცესი მიმდინარეობდა“ და ამ დროიდან მოყოლებული ცხოვრობდა აქ ხალხი, რომელიც შემდეგ ქართველ ტომებად ჩამოყალიბდა.

ეს — რაც შეეხება სახელმძღვანელოს. ხოლო რაც შეეხება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, ჩვენთვის საინტერესო საკითხში მოპოვებული ახალი თვალსაზრისი ყველაზე სრული და საბოლოო სახით მოცემულია აკადემიკოს გ. მელიქიშვილის წიგნში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“. აქ ვკითხულობთ: „ს. ჭანაშიას კონცეფციამ ძლიერი გავლენა იქონია ქართველ ისტორიკოსებზე, არქეოლოგებზე, ეთნოგრაფებზე, ენათმეცნიერებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრება იწყო მის მიერ შემოტანილი ტერმინებმა: „ხეთურ-იბერული ხალხების ჯგუფი“ (პირენეის იბერები, ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულზე, ბალკანეთის პელაზგები, შუმერები, ხეთები და სუბარები (ხურიტები), ურარტუ, მუშქები და თაბალი, ქართველები და სხვა კავკასიელი ხალხები და სხვ. და ა. შ... დილექტანტებს ხელში „ხეთა-სუბარეთი“ და „საქართველო“ სინონიმები ხდებოდა და აბა რა საძებნი იქნებოდა საქართველოს და მისი მეზობელი მხარეების უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ან აქ მომხდარი ეთნიკური ძვრები. ქართველთა წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ს. ჭანაშიას ზოგი მოსაზრება, როგორც ადრეც გვქონდა აღნიშნული, მოკლებულია სათანადო დამაჭერებლობას... ზოგი მოსაზრება კი ბუნდოვანია და ხშირად ამის გამო არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი ხდება. ასეთია, მაგალითად, აკად. ს. ჭანაშიას კონცეფციაში მოსაზრება ხეთურ-იბერული გეარტომობის ხალხთა შესახებ, რომელიც წარმოდგენილია, კერძოდ, საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში. ემახის რა ხეთებსა და სუბარებს ქართველთა წინაპრებს, აკად. ს. ჭანაშია არ განმარტავს, რომ შესაძლებელია ვიმსჯელოთ მხოლოდ ენობრივ მონათესაობაზე ქართველი ხალხისა მახლობელი აღმოსავლეთის ამ ხალხებთან (ე. ი. პროტოხეთებთან, ხურიტებთან და ა. შ.), რომ ქართველ ტომებს სამხრეთში ხეთურ-ხურიტული სახელწოდების არსებობის ხანაში უკვე გააჩნდათ თავისი საკუთარი ენობრივი, ეთნიკური ინდივიდუალობა, რომლითაც

ისინი განსხვავდებოდნენ მონათესავე ტომებისა და ხალხებისაგან. ამიტომ შეიძლება შეიქმნას არასწორი წარმოდგენა, თითქოს ქართველი ტომების ენებისა და სხვა ეთნიკური ნიშნების უშუალო წინაპრებია ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის შემოქმედი ხალხების ენები და სხვა ეთნიკური ნიშნები, რომ უკანასკნელთაგან შეიძლება პირველების უშუალო გამოყვანა“.

აქაღემიოკოსი გ. მელაქიშვილი ხსენებულ წიგნში ბასკების, ეტრუსკებისა და პელასგების საკითხს თითქმის აღარც ეხება და ეს ბუნებრივიცაა: დღევანდელ ევროპულ მეცნიერებაში კარგა ხნის დამკვიდრებულია აზრი, რომ ხეთებიც (პროტოხეთების გამოკლებათ), პელასგებიცა და ეტრუსკებიც ინდოევროპულ ენებზე მეტყველებდნენ, ხოლო ქართული, როგორც მოგვხსენებათ, ინდოევროპულ ენათა არაა მიჩნეული.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა ასევე სკეპტიკურად უყურებს ხეთებთან, პელასგებთან, ეტრუსკებთან ქართველთა ნათესაობას, იმ ზომამდე, რომ ამ საკითხით დაინტერესება და მის გამო სერიოზული მსჯელობა მათს თვალში მეცნიერის რენომეს დაკარგვის ტოლფასოვანია. როგორც ჩანს, მკავასი თვალსაზრისი მალე საბოლოოდ გაბატონდება აგრეთვე ენათმეცნიერთა შორის. ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ მომავალი თაობების ინტერესთა სფეროდან დიდი ხნით გამოირიცხება სამხრეთ ევროპისა და წინა აზიის უძველესი ხალხებისა და ქართველთა წინაპრების ნათესაური კავშირის საკითხი.

მაგრამ ვითომ უეჭველად ამგვარად წარიმართება ყოველივე? ვითომ არაფერი შეიცვლება, როგორც მრავალგზის შეცვლილა მეცნიერებაში? ისტორია ხომ მათემადიკა არაა (მადლობა ღმერთს!). რომ მისი ყველა პოსტულატი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილად მივიჩნიოთ! იქნებ უახლოესმა მომავალმა სულ სხვა სურათი დაგვიხატოს უმორესი წარსულისა, იქნებ გაირკვეს, რომ ქართული არც იმდენად დაშორებული ყოფილა ეგრეთ წოდებულ ინდოევროპულ ენებს და ეს მისი „არაინდოევროპულობა“ არც ისეთ დიდ დაბრკოლებად წარმოგვესახოს? იქნებ მოგვევლინოს მეცნიერი, რომელშიც შერწყმული იქნება ივანე ჯავახიშვილის დიდი ერუდიცია (დროის შესაბამისად), პავლე ინგოროყვას გასაოცარი ინტუიცია და ესპანეთს გასაქრელად ამგზავრებული იოანე ათონელის მგზნებარება? („...განიზრახა ნეტარმან მამამან ჩვენმან იოვანე, რამათა აღილოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოღის სპანიად... რამეთუ ასმიოდა, ვითარჲმედ ქართველნი არამცირდენი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“).

ვინ იცის!

მანამდე კი ისლად დაგვრჩენია, ვერწმუნოთ ჩვენს ისტორიკოსებს თუ

ენათმეცნიერებს, ან კიდევ იმ ევროპელ სწავლულებს, რომლებსაც საყველამო ქართლის ცოდნა საკმარისად მიაჩნიათ უაღრესად კატეგორიული დასკვნების გამოატანად.



მაგრამ ზოგჯერ ძნელია თავის შეკავება, მეტად დიდი ხოლმე ცდუნება სხვასაც გაუზიარო ნათქვამი, ნაოცნებარი და ნაგზნები, იმ იმედით, რომ იქნებ ვისიმე გულში კვლავ გაღვივდეს ჩასაქრობად გამეტებული ცეცხლი; რა ვუყოთ — ზოგ-ზოგნი დილეთანტად მოგნათლავენ, სხვანი — პროვინციელად. ყველაზე დიდი პროვინციელობა ხომ იმის შიშია — პროვინციელად არ ჩაჰთვალონო. არაერთი მინახავს ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთაგან — ოღონდ კი პატრიოტობა (რაც პროვინციელობის სინონიმად იქცა!) არ დასწამოს ტურისტად ამგზავრებულმა ევროპელმა სწავლულმა!..



რატომაა, რომ ზემოთ დამოწმებული ეტრუსკული სალოცავი უცნაურ გრძნობებს აღუძრავს ქართველ მკითხველს (ყველა ალბათ არა — ღმერთმა დაგიფაროს!)? რატომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ქართლის, მეგრულისა და სვანურის რაღაც ფანტასტიურ ნაზავს ეცნობით? რა არის ეს „ცეია“, „მალე“, „ციზ“, „აისვალე“, „ალე“ („ალე“ სვანურად ნიშნავს „ეს“), „იტრილე“, „ტრინთაშა?“

რატომ რეკავს ასე უღმერთოდ „მთიბლურის“ ინტონაცია, თითქმის აღექვატური მეტრულ-რიტმული სტრუქტურა?

აბა დაუკვირდით:

მალე ცეია ჰია ეტნამ...
ცელი ვლესე და ვერ გავლესე...
თიბა გავიდეს ჩარგალენი...
კოქნი არ დამქრნა, სიძაგელო...
ექში ითახა დათვიამა...

იქნებ გვეჩვენება, თუ ნამდვილად რითმა ეღერს? „აისვალე-ალე-ვალე!“

...თაფალკი ლათენიკაი თანი... ავილს შას ამცე უპლეს... კაპემუკათესა კაპეს შლი... ლიპატის ენე კავირე ვემატი ტურესა... თუი არაშა თენტშასე მენათა... ალპან მენახე... ზიხნე შეტირუნეკ... არა რატუშ აისნა ლეიტრუმ ზუთევა ცალ ეშოკ ცი ჰალხზა... თანა ლეკნე ამთნიალ რენინე... სალ კუს ელუცე... ეტნამ ათუშიცა თლუთკვა...

ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები თუ სიტყვათშეხამებანი ამოღებულ-
ლია ეტრუსკული ტექსტიდან.

არც ისე ძნელი საქმე ყოფილა ამ ტექსტების წაკითხვა: ეტრუს-
კებს საკუთარი დამწერლობა არ გააჩნდათ — ოღნავ სახეცვლილ ბერძ-
ნულ ანბანს იყენებდნენ.

უძნელესი საქმე აღმოჩნდა ამ ტექსტების გაშიფრვა: უგამოჩენი-
ლესი მეცნიერნი ამოღდ დაშვრნენ, მაგრამ თითქმის ვერაფერი გაუგეს
ეტრუსკულს.

წარწერა კი იკითხება, ოღონდ სიტყვების მნიშვნელობა და აზრი
გაუგებარი რჩება — ეტრუსკული ენა დაჟინებით ინახავს თავის საი-
დუმლოს.

რომელ ენასთან თუ ენათა ოჯახთან არ სცადეს ეტრუსკულის და-
კავშირება — არაინდოევროპულთან, ინდოევროპულთან თუ ქამურ-
თან, მცირეაზიულ ენებთან, იტალიკების ენებთან, ძველ იბერიულთან
(ბასკურთან), ფინურ-უგორულთან, კავკასიურთან, აფრიკანულთან, ლა-
თინურთან, უმბრულთან, ბერძნულთან, ალბანურთან, ხეთურთან,
სლავურთან, სომხურთან, ილირიულთან, პელაგურთან, ტასმანიურ-
თან, მალგაშურთან, ტუნგუსურთან, ახალზელანდიურთან, ლიტვურთან,
ოსკ-უმბრულთან, ძველ ეგვიპტურთან, ქართულთან... ერთი პირობა
იმასაც ფიქრობდნენ — მსოფლიოში ცნობილ არც ერთ ენასთან არ
უნდა ჰქონდესო კავშირი.

ეტრუსკულის გასაღები ვერ იქნა და ვერ მოიძებნა.

იმპერატორმა კლავდიუსმა (ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნე)
ეტრუსკების წარმომავლობისა და მათი ენის საკითხს ოცტომიანი შრო-
მა მიუძღვნა. ეს შრომა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ინახებოდა და
მასთან ერთად დაიღუპა. დიონისე ჰალიკარნასელი (ძველი წელთაღრი-
ცხვის I საუკუნე) მიუთითებდა ეტრუსკული ენის უნიკალურ ხასიათს:
არც თავიანთი ენით და არც ზნე-ჩვეულებებით ეტრუსკები არც ერთ
სხვა ხალხს არ ჰგავდნენო. XV საუკუნიდან მოყოლებული რიგრიგობით
წამოაყენეს თეორიები ეტრუსკთა ამერიკული, სემიტური, კელტური,
სლავური, უგრო-ფინური, სომხური, ალბანური, ბერძნული, შუმერუ-
ლი წარმომავლობისა.

საიდუმლო დღემდე საიდუმლოდ რჩება...

ეტრუსკული დამწერლობის ზოგიერთ თავისებურებას მეცნიე-
რებმა მაინც აუღეს ალღო. უწინარეს ყოვლისა, ნახესხები (ოღნავ სა-
ხეცვლილი ბერძნული) ანბანი ეტრუსკულის ფონეტიკურ თავისებუ-
რებებს არ შეესატყვისებოდა, მისთვის ნამდვილ პროკრუსტეს სარე-
ცელს წარმოადგენდა; შესაძლოა ამის გამოც, ზოგიერთი ბგერის გად-
მოსაცემად ეტრუსკები ხან ერთ ასოს ხმარობდნენ, ხან მეორეს; ანას-
თან, ხმოვანს ზოგჯერ გამოტოვებდნენ ხოლმე; გადამწერლები ტექსტს

საკმაოდ თავისუფლად ეკიდებოდნენ — ვისაც როგორ მოეგუნებებოდაო; ტექსტები ხშირად გაბმულად იწერებოდა და ახლა ჰირს კოდეც დადგენა — სად იწყება და სად მთავრდება ესა თუ ის სიტყვა.

ყოველივე ამის შედეგია ზოგიერთი მეცნიერის მხრივ ტექსტის ძალზე თვითნებური ინტერპრეტაცია.

(რატომ არ მასვენებს ფიქრი: ამ ტექსტებს რომ ჩაუჯდებოდეს ქართველური ენების სრულყოფილად მცოდნე და ორგანულად განმცდიელი მეცნიერი, რომლის გონებაც წინასწარ არ იქნება კასტრირებული სექსისით თუ პატრიოტობის აჩრდილის წინაშე ძრწოლით!).



„ხალხი, რომელსაც ტურსკებს, ტუსკებსა და ეტრუსკებს უწოდებდნენ, თავისი წარმოშობით ნაწილობრივ უკავშირდება ტურშას მეომარ ტომს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XIII და XII საუკუნეებში ლოკიელებთან და სხვა მოხეტიალე ტომებთან ერთად კადნიერდებოდა ზღვის მხრიდან თავს დასხმოდა ფარაონთა ეპოქის ეგვიპტეს. შემდგომში, ხუთი-ექვსი საუკუნის მერე, ტურშას ტომი მომავალი ეტრურის მიღამოში დაემკვიდრა...“.

„შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ ეტრუსკული კულტურის მნიშვნელობა და მისი გავლენა ძველი ლაციუმის (რომის) კულტურაზე. ცოტაა იმის თქმა, რომ თავად სახელწოდება Roma ეტრუსკული წარმოშობისა უნდა იყოს... უნდა ვიფიქროთ, რომ უძველესი რომაული სახელმწიფო წესები, წოდებები, თანამდებობები, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო და სამართლებრივი ნორმები, რომლებიც წმინდა რომაულად მიაჩნდათ, ეტრუსკული ნიშნების მიხედვით ჩამოყალიბდა. ყოველივე, შედარებით წვრილმანებიც კი — მტერზე გამარჯვების შემდეგ ტრიუმფის ჩვეულება ყველა აქსესუარითურთ, ტოგა, საციჩკო თამაშები, თეატრალური სანახაობანი — ეს ყოველივე რომაელებმა ეტრუსკებთანგან, ყოველ შემთხვევაში — მათი მეშვეობით შეითვისეს“.

„ეტრუსკული იყო ენა ეტრურის თორმეტი ტომისა — ძლევამოსილი ხალხისა, რომელსაც შეადგენდნენ მკლავმოუღლეი მიწის მუშები, გულოვანი მეზღვაურები, მეომარნი და ვაჭარნი, დახვეწილი ხელოსანნი და ხუროთმოძღვარნი, რომელნიც აგებდნენ ტაძრებს, კამხალებს, სიმაგრეებს, აშენებდნენ დიდ-დიდ ქალაქებს. ამ ხალხმა თავის სამკვიდროში ქაობები ამოაშრო, პოს წყალი არხებში მიუშვა, ვაზი გააშენა და ლითონების დამუშავებას მიჰყო ხელი... ეტრუსკულიდან წარმოადგება მრავალი სიტყვა, რომლებიც დღესაც იხმარება მრავალ ენაში... ეტრუსკებმა ჩაუყარეს საფუძველი იტალიის რელიგიურსა და

პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომის სამხედრო მანქანას, რომელ ხელოვნებას. იტალიაში სალიტერატურო და საპეცნიერო საქმიანობისთვის დასაბამის მიმცემი ეტრუსკები პირველობას მხოლოდ ბერძნებს უთმობდნენ...“

„საგარეო ვაჭრობის მხრივ ეტრუსკებმა მოიკცეს იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს ოთხივე კუთხე, ეგვიპტიდან და ურარტუდან დაწყებული თვით ბალტიისპირეთამდე...“

ეტრუსკული ქალაქები შშვენიერი იყო, საცხოვრებლად მარჯვე და მოსახერხებელი, ფართო, მოკირწყლული ქუჩებით, კანალიზაციით აღჭურვილი. „როდესაც რომაელთა ჯარებმა ბოლოს და ბოლოს აიღეს ქალაქი ვეია, ეს ქალაქი — დარბეული და სანახევროდ გადამწვარი — პაინც იმდენად მშვენიერი იყო რომთან შედარებით, რომ რომაელთა ნაწილმა იქ დასახლება მოიწადინა. ახალგაზრდა რომაელი პატრიციები იძულებულნი შეიქნენ მდაბიორთა უბნებისთვის მიეშურებინათ და ხალხისთვის ექადაგათ—ნუ მიატოვებთო წინაპართა მიწა-წყალს...“

„იტალიაში გზებიცა და არხებიც, უწინარეს ყოვლისა, ეტრუსკების ხელით იყო ნაგები...“

„ცნობილია, რომ ოქროსთასმიანი სანდლები, რომლებითაც ფიდიუსმა ათენას ქანდაკება შემოსა, „ტირენულად“ (ეტრუსკულად) იწოდებოდა, ხოლო რომაელმა სენატორებმა ლუკუმონთა ფეხსამოსი გადაიღეს...“.

„რომაელთა სამება — იუპიტერი, იუნონა, მინერვა — რომაელებს ეტრუსკებიდან მოველინათ... დმერთქალ ფორტუნას კულტი რომში ეტრუსკთა მეფემ დაამკვიდრა... რომაელთა უზენაესი ქურუმნი ეტრუსკთა ტრადიციების მემკვიდრენი იყვნენ... მათგანვე გადაიღეს რომაელებმა თეატრისა და პანტომიმის კულტურა...“

ასე წარმოგვისახავს ეტრუსკების ვინაობას თანადროული მეცნიერება.



ვინ იყო ეს ხალხი — ერთსა და იმავე დროს შემმართებელიც და მეოცნებეც, გულოვანიც და გულჩვილიც, სიცოცხლის მოტრფიალც და სიკვდილის არად ჩამგდებიც, ფილოსოფიური განსჯის მოყვარულიც და თავდავიწყებული დროსტარების, ღვინის სმის მოთაყვანეც, რთული ფსიქიკის მქონეც და მიაშიტიც, მკაცრიც და ჰუმანურიც?

„მათ სურდათ, რომ მათი ტაძარი ღირსეული ყოფილიყო. ესაა მთელი საქმე. და ხომ არ არის შემთხვევით ეს აშბავი ეტრუსკული საიდუმლოს გასაღები? ეს ღირსება, რომლითაც ერთიერთის პირისპირ მსხლარი ლუკუმონები სახელმწიფო საქმეთა გამო ბჭობენ, ეს ღირსე-

ბა, რომლითაც თავიანთ მარმარილოს საწოლებზე მშვიდად მოძლინარი ცოლ-ქმარნი მონაწილეობენ მარადიულ ნადიმში, ეს ღირსება, რომლითაც უხეში ეტრუსკი გლეხი თავის ცოლითურთ კავს მისდევეს, ღირსება, რომლითაც მოხელე გადახსნის მის მიერ ქალაქისთვის გაწეული სამსახურის ნუსხას, — ეს ხომ არ არის ეტრუსკული ხასიათის ერთი ძირითადი თვისებათაგანი? ეს გულმარტივი ხალხი თავისი ღირსების დაცვას ესწრაფვოდა. არც მეტი და არც ნაკლები. მათში ნატამალიც არ იყო თავიანთ უფალთა ფერხით მიწის ამბორმყოფელ ეგვიპტელთა და ასირიელთა ქედმოდრეკილობისა... მათ სურდათ შეენარჩუნებინათ ღირსება. ხოლო როდესაც მძლეველებმა (რომაელებმა) ამ ღირსების წართმევა დაუპირეს, მიხედნენ — განწირულნი ვართო დასაღუპავად“.

და, ამავე დროს, ამ ხალხს მიმადლებული ჰქონდა იუმორის იშვიათი გრძნობა, უადრესად დახვეწილი უნარი ადამიანის ფსიქიკის ნიუანსთა წვდომისა.

ვინ იყო ეს ხალხი, ვინც წარწერებში ჯერ დედას მოიხსენიებდა და შემდეგ მამას, ვისი ოჯახიც ცოლ-ქმრის ურთიერთი იყვარულს ეფუძნებოდა?

„ეტრუსკი ქალი სიყვარულითა და პატივისცემით იყო გარემოსილი. ბერძნული ჩვეულებებისგან განსხვავებით, ეტრუსკებში დიასახლისს ნებადართული ჰქონდა სადღესასწაულო სუფრას მისჯდომოდა და, როგორც თანასწორს, მონაწილეობა მიეღო ნადიმში“.

და ამავე ხალხში, ზოგიერთი ჩვენთვის ნაცნობი ხალხის არ იყოს, ფალოსის კულტი დიდი პატივისცემით სარგებლობდა თურმე. და, ზოგიერთი ჩვენთვის ნაცნობი ხალხის არ იყოს, დაკლული საქონლის შიგნეულზე მკითხაობასაც მისდევენ.

ვინ იყო ეს ხალხი, ვინც ქალაქები თაღოვანი კარიბჭეებით და აკლდამები თაღოვანი კარებით დააშვენა? ვინც „დარბაზი“ ტიპის დედაბოძიანი ნაგებობა შექმნა?

ვინ იყო ეს ხალხი, ვინც ახალ სამკვიდროში (აპენინის ნახევარკუნძულზე) მოსვლისას სიმბოლური საფლავი გათხარა და შიგ ჩააბნია თავდაპირველი სამშობლოდან წამოღებული მიწა?

ვინც ამის შემდეგ ახალ სამკვიდროში, უწინარეს ყოვლისა, ვაზი გააშენა და ნაყოფიერების წყაროდ მიიჩნია? ვინც ვაზა ტიპის სახეც გამოძერწა? ვინც, სანადიმო სუფრას, რომ მიუჯდებოდა, უეჭველად წინამდგომს (თამადას) ირჩევდა?

„სუფრის დიქტატორის (!) თანამდებობა თუმცა დროებითი იყო. მაგრამ ერთობ მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ ის განსაზღვრავდა, თუ (შეინახეთაგან) ვის რამდენი უნდა შეესვა“.

ხალხი, რომელსაც იმ ზომამდე იტაცებდა კრივი და ჭიდაობა. რომ

ფრესკებზეც გადაჰქონდა? ამასთან, ფრესკებს იმკვარი ოსტატობით ხატავდა, რომ ნატურალიზმს ხარკს არ უხდოდა? ვინც კადნიერდებოდა ფრესკებითვე გამოესახა ბერძნულ თქმულებათა სიუჟეტები (ვთქვათ, მშვენიერი ელენე), ოღონდ იუმორისტულ პლანში, პაროდიალ გარდაქმნილი!

აი, ეტრუსკული ფრესკა. ქაბუქს ორი ქალიშვილი მიახლებია. მათს თავთან გამოყვანილი წარწერები მათსავე სათქმელს გვაუწყებს. ერთი ამბობს: თრამა მლითუნს. მეორე: რე მიიშმეთუმფს.

რა ენაზე მეტყველებენ ეს ქალიშვილები?

აი კიდევ მეორე ფრესკა — ეს უკვე ტავერნაა. შემთვრალი ეტრუსკები ერთიმეორეს გასძახიან: „პელლუო, ლარჯენა, დალიუს...“



ეს უკანასკნელი წარწერა რომ წაეიკითხე, მართალი გითხრათ. შევშინდი. არც მეტი. არც ნაკლები, იწმინის ეს სიტყვები ასე აელერდა: ჰეი, ლარჯენა!, დალიე! (არ დავივიწყოთ, რომ ტავერნასთან და მოქეიფებთან გვაქვს საქმე; არ დავივიწყოთ, რომ ეტრუსკებმა წარსაწერ ტექსტს საკმაოდ ლაღად ეკიდებოდნენ; არ დავივიწყოთ, რომ წარწერა, ისევე როგორც ყველა სხვა, ამ წერილში ზემოთ და ქვემოთ მოტანილი, ჯერ ბერძნული ანბანითვე დაიბეჭდა ტექსტების კრებულში, შემდეგ ეს ტექსტი ფრანგმა მეცნიერმა ლათინური ტრანსკრიპციით გადაწერა თავის ნაშრომში, ეს ნაშრომი რუსულად ითარგმნა და ტექსტმა მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოაღწია თბილისს).

ნათუ შესაძლოა ამგვარი რამ? თუ ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევაა?

გამაზსენდა, როგორ სკეპტიკურად უყურებენ მეცნიერნი ამგვარ დამთხვევებს — ყველაფერი შემთხვევითობას მიეწერება ხოლმე.

ალბათ ასევე შემთხვევითობას უნდა მიეწეროს, რომ -არ ეტრუსკულშიც და სვანურშიც მრავლობითობას აღნიშნავს (ეტრუსკულად: კლან — ვაჟი, კლან-არ — ვაჟები; სვანურად: ღვაჟ — ვაჟი, ღვაჟ-არ — ვაჟები), რომ ს ეტრუსკულშიც და ქართულშიც მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომ იგივე სუფიქსი -არ ეტრუსკულში აგრეთვე პროფესიის, ხელობის აღმნიშვნელად (შეადარეთ: მწიგნობ-არ-ი, მკურნ-ალ-ი, მხატვ-არ-ი...), რომ ე ეტრუსკულშიც და ქართულშიც აორისტის მაწარმოებელია (დაწერ-ე. ამოიკითხ-ე...). რომ ტ (თ) სახელთა მრავლობითობის მაწარმოებელია.

ისიც შემთხვევის ამბავია ალბათ, რომ ეტრუსკულ რიცხვით სა-

¹ „ლარჯენა“ თუ „ლარგენა“. ეს უკანასკნელი სოფელ ლარგვისს (ლენინგორის რაიონი) გავვახსენებ.

ხელთა შორის გვხვდება ჰუთ (ჰუთიშ — მეხუთე); რომ ნაცვალსახელი მი ნიშნავს მე-ს, ხოლო მეი — იმავე მე-ს ნათესაობითს ბრუნვაში, რომ ეტრუსკული ტოპონიმია ყოველ ფეხის ნაბიჯზე წარმოგვიდგენს სახელეებს -ისსა დაბოლოებით (ლარ-ისსა, ტურ-ისსა...), რომ ქალის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი ეტრურიაში იყო თანია (შეაღარეთ: თანიაშვილი) ან კიდევ ანაია (ამ ფორმით!), ხოლო ეტრუსკულ ღვთაებათა პანთეონში ვხვდებით ამგვარ სახელებს: ანი, კულშუ. თუფლთა, ტინ (თუ თინ? — ეტრუსკულში ტ და თ მონაცვლეობენ), ტარკუ-ტარკონ, ცერე, ვანთ, მალახე და, ბოლოს, აის (ცის ღმერთი!)...

...რომ ეტრუსკული ტექსტები საესეა ჭერაც გაუშიფრავი თუ ევროპელ მეცნიერთაგან თავისებურად გაშიფრული ამგვარი სიტყვებით: თაურა, ეტერა, ცეხანერი, კვერ, კლა, სალ (შესაძლოა ერთს, ცალს ნიშნავდესო!), არხატე, კარათ (გადაღობილს უნდა ნიშნავდესო!), ელუცე. იტხრანი, კი, ლუთკვა, ლუს (ლოცვა ნიშნავსო!), ნუნა, (დედაო!), რანინუმ, რახ (რტყმევაო!), რუ, სკუ, სლი (შლას ნიშნავსო!), უფლი, ნაკნუვა (ნა — ჩვენ, კნუ — შეგვექმნა, ვა — ნაწყოდროის სუფიქსიო!), ართ (მოსვლას ნიშნავსო!), მატი (შესაძლოა „დიდს“, „ბევრს“ ნიშნავდესო!), კალე (ქალს ნიშნავსო!), ზახრი (სისხლს უნდა ნიშნავდესო; შეაღარეთ ქანური ზისხირი — სისხლი). შეტირუნეკ, რეპინეკ, ავილერეკ, რკუ, საკნი, პეთერენი, სკარა, მულახ, არათვინაკნა, თუ, ესერა, თუმსა (ნიშნავსო: „შეიძლება ითქვას, რომ...“), რუნეთი...



ზემოთ უაქტოროდ დამოწმებული ციტატები, აგრეთვე თითქმის ყველა ცნობა, ფაქტი თუ ტექსტი ამოღებული მაქვს ფრანგი მეცნიერის ზ. მიაიანის წიგნიდან „ეტრუსკები ამეტყველდნენ“, რომელიც შარშან რუსულად გამოიცა მოსკოვს.

მიაიანის ამ ბრწყინვალე (ვანსაკუთრებით სტილის თვალსაზრისით) შრომაში გატარებულია აზრი, რომ ეტრუსკულის ამოხსნა შესაძლოა ალბანური ენის შემწეობით. ავტორს საეჭვოდ აღარც კი მიაჩნია ეს ამბავი, იმდენად მრავალი პარალელი, დამთხვევა, შეპირისპირება მოაქვს თავის წიგნში. ზოგიერთი მათგანი რომ წაგაკითხათ, ჩემს მიერ ზემოთ წარმოდგენილი პარალელები ნაძალადევად, გულუბრყვილოდ თუ სასაცილოდ არ მოგეჩვენებოდათ.

ეს წიგნი რომ ხელში ჩამივარდა და გავიგე მისი ავტორის მიზანი — ეტრუსკული ალბანურთან დაეკავშირებინა, უმალ აღმეძრა კითხვა: კი მაგრამ ალბანელები ხომ პელაგების შთამომავლებად მიაჩნია ზოგიერთ მეცნიერს! ამის თაობაზე წერილში აღარაფერი ვთქვი,

რადგან ალბანური ინდოევროპულადაა მიჩნეული. რაღა თქმა უნდა, ისიც შემეძლო მეფიქრა, რომ ეს დაბრკოლების ლოდი — ქართულის არაინდოევროპულობა — ოდესმე შესაძლოა გადაილახოს კიდევ და ქართულ-ალბანური პარალელებიც მოიძებნოს-მეთქი (საამჟამად საკირო მასალას საკმაოდ წააწყდებით მაიანის წიგნში¹). მაგრამ აღარ ღირდა ამ საკითხის გამოდევნება, მრავალ მეცნიერს ალბათ ისედაც გააღიზიანებს ამ წერილში გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ალბათ შეეფერება დილეტანტისა და მოყვარულის ერუდიციას.

ჩემდა სანუგეშოდ მაიანისავე წიგნში ამოვიკითხე ამგვარი რამ: „ეტრუსკოლოგიისადმი საყოველთაო სიმპატიის სათავეები სულაც არ ამოწურულა. „მოყვარულნი“ ხელს ვერ შეუშლიან ეტრუსკოლოგთა მუშაობას, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებშიც არაკის უშლიან ხელს. მათ მიერ გამოწვეული შემთხვევითი აღგზნება მეოცე საუკუნის ადამიანის ყოველდღიური საზრდოა. ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგებს მაინც უნდა ახსოვდეთ, რომ ანტიურობის შესწავლაში გადამწყვეტი შემობრუნება „მოყვარულ“ შლიმანის ინიციატივის წყალობით მოხდა. პირველად სწორედ მას დაებადა იღვია ისტორიული ადგილები გაეთხარა. მანამდე გათხრები მხოლოდ ბიბლიოთეკებსა და არქივებში წარმოებდა“.

1967.

¹ უზომო იყო ჩემი გაოცება (რბილად რომ ვთქვათ!), როდესაც ზ. მაიანის წიგნის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში ამოვიკითხე: „ზ. მაიანის წიგნის რუსულ თარგმანში ზოგი რამ შემოკლებულია უმეტესწილად მისი დასკვნითი ნაწილის ხარჯზე, რომელშიც ავტორი ძველ ალბანურს აკავშირებს კავკასიურ ენებთან, აგრეთვე სხვა ძველსა და ახალ ენებთან“.

ფიქრები მომავლის პოეზიისთვის	3
მთლიანი საქართველოს შენიჭევე	6
ხილვათა ხილვა	43
„ბაგავატგიტას“ თარგმნის გამო	62
„სიბრძნე ბალაქვარისი“ -- ორი რედაქცია	68
გარულდა დიდი საქმე	150
რა ენა წახდეს	161
რა არის არქაიზმი?	199
ტექსტის დანახეუწად და გასამართავად	225
პასუხის პასუხი	233
კვლავ ატლანტისის პრობლემისაკენ	243
ოცნება ეტრესკებისთვის	255

რედაქტორი ჯ. ლომაშვილი
 გამომცემლობის რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
 მხატვარი დ. ნოდია
 მხატვრული რედაქტორი ო. მესხი
 ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
 კორექტორი ო. ცინცაძე
 გამოცემები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 4/VI-70 წ. ხელმოწერილია დასაბუქლად 17/IV-71 წ. ქალაქის ზომა 60X90 1/16
 ნაბეჭდი თაბახი 16,75. სააღრ-საგამომც. თაბახი 15,8
 უე 01779 ტირაჟი 2000, შეეც. № 1815

ფასი 1 მან. 32 კაპ.
 გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
 თბილისი, მარჯანიშვილის 5. 1971

საქართველოს კბ ცუ-ის გამომცემლობის სტამბა
 თბილისი, ლენინის ქ. № 14